ლიტერატურული საქართველო

1. 9. 7. 0

ცოდნა
საერთაშორისო
ჟურნალი

1 9 7 0 № 4

სარჩევი

ბსოფლიოს პოეტები ლენინს 3
ვაჯ ას-ხირ ჰასანი
ნაოკი უსამი
ველსი ბუჩი
სომერსეტ მოემი
მთვარე და ექვსპენიანი 7
ფადეევ ალექსეიჩი
ლექსები 172
რაინერ მარია რილკე
დუინური ელეგიები 178
მაქს ფრიში
„Homo faber" 183
გიორგ აპოლინერი
ლექსები 262
ხო-ხუან-ხიმენეზი
ლექსები 269
ორჰან ველი
ლექსები 277
სადეყ ჰედაიათი
მარგალიტის ზარბაზანი . . . 280
აბჯი ხანუმი 293
ალფონსო ერნანდის ქატა (კუბა)
მარგალიტი 299
ჩვენი პუბლიკაცია
ედგარ პო
ჭია მეგატონე 308
ილადიმერ მაჰაკოვსკიანი
საბჭოთა კულტურის, ლიტერატურის განვითარების ზოგიერთი საკითხი 310

რედაქტორი
ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია

ვახტანგ ბეწუაშელი
ციალა თოფურიძე
ნიხეილ კვესელავა
ვახუშტი კოტეტიშვილი
ვახტანგ ძოწორაძე
ნიკო ყიასაშვილი

შარიგანი
დავით დუნდუასი

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი

მსოფლიოს პოეტები ლენინს

თარგმანი
მორის ფოცხიშვილისა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაჯ ალ-ხარ ჰასანი
(სუდანი)

სალამი ლენინურ ოქტომბერს

მხიარულების ნათელო კვარო,
იმედისა და სიმღერის წყაროვ,
მთებზე გადადის შენი ხმა,
გულ ო,
ზღვებზე გადაჰქრის შენი ხმა,
გულ ო, —
ოვისუფალო,
შეუვარებულო,
კეთილო გულო, მართალო გულო.

მიწავ, ცისკარი — შენი ჭრილობა,
შენი შვილების ჭრილობა ჩნდება.
ჩვენ თუ ვიჩქარით,
შენთვის ვიჩქარით,
შენთვის ქცეულა სიცოცხლე გზნებად.

ოქტომბერს შუქი თოვლივით სწყდება,
შავი კედლები იმსხვრევა ქარში,
თოვლივით ლღვება
მწუხრი და სევდა,
გუგუნებს დიდი დიდების მარში.

ინგრევა ტახტი შიმშილის, შურის,
სიკვდილის სანთელს უბერავს ქარი,
წითელ ღრუბლებში
ოქტომბრის გული
რეკს გამუდმებით, ვით რწმენის ზარი.

მესმის ცხენების ჭიხვინი შორი,
ცხენებია თუ ქარები ჰქრიან,
ცაზე დაფრინავს შიმშილის ქორი,
გზებზე სისინებს სიკვდილის ტყვია.

ნისლებია თუ ტალღები შავი,
უცებ ჰფარავენ მიბნედილ ზეცას,
ზეცა გულმოკლულ ჩიტივით ჩხავის
და ფრთებს მომაკვდავ გედივით ჰკეცავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ კვლავ ავსებს
იმედის აფრას
აღმოსავლეთის კეთილი ქარი,
და მზე ბრიალებს
მაღლა და მაღლა,
ვით გამარჯვების ბრიალა კვარი.

არ უწერია გაქრობა ამ კვარს,
ჩვენი სულივით ციმციმა ალი
ენთება მუდამ,
რამეთუ ზამთარს
ლენინი ებრძვის ოქტომბრის ძალით.

ის დგას მესაჭედ
და რწმენის კომპასს
დაჰყურებს, როგორც ილბალი, ბედი,
და ზეთისხილის შტოებით მოჰყავს
მხარზე დასმული მშვიდობის მტრედი.

ლენინი —
ხალხთა იმედი დიდი,
იმედის წყაროდ ჩუხჩუხებს ახლაც,
ლენინი —
ხალხთან შუქივით მიდის,
ლენინი —
ხალხებს შუქივით ახლავს.

მრუმე ნილოსის წიაღში ვიშვი,
ნილოსის ფსკერზე ვებრძოდი შიმშილს,
მაგრამ ნევაზე ანთებულ კოცონს
იმედის ლეიბ-საბანად ვიშლი,
იმედის მფრინავ ხალიჩად ვიშლი
და სიზმარს ვხედავ
ნიადაგ ასეთს, —

თენდება დიდი ოქტომბრის დილა
მარად ნისლოვან
ნილოსის ცაზეც.

ოქტომბრის დილას, ვით დროშას გაშლილს,
ჩვენც ვაფრიალებთ იმედად ხალხში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ლენინთან ერთად
დაღლილ სხეულით
ვჭრი ღამეს, როგორც
ჯერ ხელუხლებელ მწუხარების წიგნს.

გულივით ფეთქავს
დროის ბორბალი
და მწუხრის გზაზე მატარებელი
ჩიბუხის ნაცარ-ნაპერწკლებს მაყრის.

მივემგზავრები ჩემს ტოკიოში,
შინ მივდივარ და
თავად არ ვიცი
რა მიხარია ამ ქვეყანაზე.
ხელთა მაქვს ერთი
პატარა წიგნი,
რომლის მკრთალ ყდაზე წითელ ასოებს
ვარსკვლავებივით გააქვთ ბრიალი:

ლ ე ნ ი ნ ი
ვკითხულობ, მინდა ვიყვირო, როგორც
ყვირის შემხვედრი მატარებელი.
მინდა ლენინის ცინცხალი სიტყვა
როგორც საგზალი გადავცე მგზავრებს:
— გაინაწილეთ გულუხვად, ძმებო,
მშვიდობა, პური, თავისუფლება.
მივემგზავრები ჩემს ტოკიოში,
შინ მივდივარ და თავად არ ვიცი
რა მიხარია ამ ქვეყანაზე.
ლენინთან ერთად შევდივარ ახლა
ნისლით დაბინდულ დედაქალაქში,
ლენინთან ერთად ვოცნებობ მზეზე
და გზას იმედის ნაბიჯით ვკვალავ.

და ვიმეორებ პოეტის სიტყვებს:
მე ვიმეორებ პოეტის სიტყვებს:
ქუჩებს, მოედნებს მთელი ხმით ვფარავ:
„ლენინი — ცოცხლობდა!
„ლენინი — ცოცხლობს!
„ლენინი — იცოცხლებს მარად!“

ვალერიო მუჩი
(იტალია)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანკონსკის პორტში მტვირთავი ტირის ლენინის გარდაცვალების გამო

მე მახსოვს შენი ცრემლები, მამა.
მე მახსოვს შენი მთრთოლვარე ბაგე,
როს იხრებოდი ჩემს საკოცნელად, —
მე არაფერი გამეგებოდა.

რანერო მუჩი,
დიდი მაესტრო,
მუშებს სიმღერას რომ ასწავლიდა,
იმ დღეს სხვა იყო, —
სტიროდა იგი...
მე არაფერი გამეგებოდა.

შენი ცრემლები
ძოულოდნელი წვიმაა ახლაც,
მოულოდნელი წვიმაა ჩემთვის,
სისხლის ძარღვია,
რომელიც შუბლზე
აჩნია ყველა ანკონსკელ მტვირთავს.

ყოველ წელს,
ოდეს გლოვის დღე დგება,
მე ვფიქრობ შენზე
და შენს ცრემლებზე.

თანდათანობით მე მესმის შენი.
მე ვგრძნობ, რომ
მძლავრი იყავი მაშინ,
ოდეს ცრემლები
ვცვიოდა, მამა, —
მე კი, პატარას,
კვლავ არაფერი გამეგებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სომერსეტ მოემი

ინგლისურიდან თარგმნა
ანდუყაფარ ჰეიშვილმა

მთვარე და ექვსპენიანი

თავი პირველი

ჩარლზ სტრიკლენდი რომ გავიცანი, სწორე გითხრათ, ერთი წამითაც არ გამივლია თავში, არაჩვეულებრივი ადამიანია-მეთქი, ახლა კი ითქმის არავინ მეგულება, ვინც იტყვის, დაუმსახურებლად გაითქვა სახელიო. მე ისეთ სახელზე როდი მოგახსენებთ, იღბლიანი პოლიტიკური მოღვაწე ან მხედართმთავარი რომ ნოხვეჭს ხოლმე. ისიც ამ სახელს, უმეტესად, თანამდებობას უნდა უმადლოდნენ და არა საკუთარ ღირსებებს. როგორც კი ვითარება შეიცვლება, ეს სახელიც მიიღუნეა და ქრება. თანამდებობიდან გადამდგარი პრემიერ-მინისტრი მალალფარდოვან მოლაყბედ იქცევა, ხოლო უჯარო გენერალი — თავმომბეზრებელ პროვინციელ ბაქიად. ჩარლზ სტრიკლენდის სიდიადე კი ნამდვილად ნამდვილი და ურიოში იყო. შეიძლება მისი ქმნილებები არ მოგწონებოდა, მაგრამ ეულგრილად მაინც ვერ ჩაუვლიდი გვერდს — აუცილებლად აგაფორიაქებდა და დაგატყვევებდა. წავიდა ის დრო, როდესაც ჩარლზ სტრიკლენდს სასაცილოდ აგდებდნენ, როცა მისი დაცვა ექსცენტრულობად ითვლებოდა, ქება კი — გარყვნილებად. ახლა მიაჩნიათ, რომ სტრიკლენდის ნაკლოვანებანი მისივე ღირსებათა აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ჯერ კიდევ საკამათოა, თუ რა ადგილი უნდა მიეკუთვნოს სტრიკლენდის შემოქმედებას ხელოვნებაში. ალბათ, მისი თაყვანისმცემლების ქება-დიდება ისევე გადაჭარბებულია, როგორც მო-

წინააღმდეგეთა ლანძღვა-გინება, მაგრამ ის კი უდავოა, რომ დიდი ნიჭი ჰქონდა მომადლებული.

მე მგონი, მთავარია, ხელოვანს საკუთარი „მე“ გააჩნდეს და თუკი ეს „მე“ სხვისას არა ჰგავს, მზადა ვარ ყველანაირი შეცდომა შევუნდო. ელასკესი თითქოს ელ გრეკოზე უკეთესი მხატვარი იყო, მაგრამ მისი სულიერი ცალი გბეზრდება. ვნებიანი და ტრაგიკული კრეტოსელი კი ისე გთავაზობთ თავისი სულის საიდუმლოს, თითქოს მუდმივ სამსხვერპლოზე მოაქვსო.

მსახიობი, მხატვარი, პოეტი თუ მუსიკოსი, თავისი ამაღლებული და მშვენიერი შემოქმედებით, ესთეტიკურ მოთხოვნილებებს გაკმაყოფილებთ. ეს სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილებას ჰგავს, იმასავით ბარბაროსულია, რადგან ისიც საკუთარ თავს გთავაზობთ საჩუქრად. შემოქმედის საიდუმლოს ამოხსნას ისევე ესწრაფვის ადამიანი, როგორც დეტექტიური რომანის დამთავრებას, მაგრამ იგი სამყაროსავით ამოუხსნელი და შეუცნობელია.

სტრიკლენდის თვით ყველაზე უმნიშვნელო ნაწარმოებებიდანაც მხატვრის პიროვნება იმზირება — უცნაური, ტანჯული, რთული პიროვნება, და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ სტრიკლენდის შემოქმედებისადმი ისინიც კი არ რჩებიან გულგრილნი, ვისაც მისი ნახატები არ მოსწონს. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ასე დიდია ინტერესი მისი ცხოვრებისა და პიროვნული თვისებებისადმი.

სტრიკლენდის გარდაცვალებიდან ოთხი წელიც არ იყო გასული, რომ მორის ჰიურემ „მერკიურ დე ფრანსეში“ სტატია დაბეჭდა და ამით გადააარჩინა დავიწყებას მანამდე ყველასათვის უცნობი მხატვარი. ჰიურეს გაკვალულ გზას მრავალი სახელგანთქმული ლიტერატორი გაჰყვა მეტ-ნაკლები გულმოდგინებით. კარგა ხანია, საფრანგეთს არა ჰყოლია ასეთი ავტორიტეტული კრიტიკოსი და, გარდა ამისა, არც შეიძლებოდა მხედველობაში არ მიგელოთ მის მიერ წამოყენებული დებულებები. თუმცა, ეს დებულებები მაშინ, ცოტა არ იყოს, ექსტრავაგანტური ჩანდა, მაგრამ მომდევნო გამოკვლევებმა დაადასტურა და გაამაგრა ისინი და ახლა ჩარლზ სტრიკლენდის დიდების ნაკადული პირთამდე ავსებს მორის ჰიურეს მიერ გაჭრილ კალაპოტს. ამ ნაკადულის წარმოქმნისა და გაზრდის ამბავი ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული ეპიზოდია ხელოვნების ისტორიაში, მაგრამ მე არ ვაპირებ სტრიკლენდის შემოქმედების ძირფესვიანად განხილვას და ამ საკითხს მხოლოდ იმდენად შევეხები, რამდენადაც მხატვრის პიროვნების დასახასიათებლად დამჭირდება. მე არ შემიძლია დავთანხმო იმ მხატვრებს, რომლებიც ქედმაღლურად ამტკიცებენ, რომ ჩვეულებრივ მოკვდავთ მხატვრობისა არაფერი გაეგებათ და უმჯობესი იქნება, თუ თავიანთ თვალსაზრისს დუმილითა და ჩეკზე ხელის მოწერით გამოხატავენო. ეს მტკნარი სისულელეა! განა ხელოვნება ხელოსნობაა, რომელიც მთლიანად მხოლოდ ხელოსანმა უნდა გაიგოს? ხელოვნება გრძნობების მანიფესტაციაა, გრძნობების ენა კი ყველას ესმის. მხოლოდ ერთი რამაა უდავო: ადამიანი, რომელსაც პრაქტიკულად არ ესმის მხატვრობის ტექნოლოგია, იშვიათად შეძლებს გამოთქვას რაიმე ჭეშმარიტად სრულფასოვანი აზრი ხელოვნების ამ დარგის შესახებ. მე მხატვრობისა სრულიად არაფერი გამეგება, მაგრამ, საბედნიეროდ, აღარც დამჭირდება ამ საფათერაკო საქმეს შევეჭიდო, რადგან ჩემმა მეუბარ-

მა — მისტერ ედუარდ ლეგატმა — ნიჭიერმა მწერალმა და შესანიშნავმა მხატვარმა, დაწვრილებით გააანალიზა ჩარლზ სტრიკლენდის შემოქმედება თავის პატარა წიგნში, რომელიც იმ მომხიბვლელი სტილით არის დაწერილი, საფრანგეთში რომ უფრო მოიკიდა ფეხი, ვიდრე ინგლისში.

მორის ჰიურემ თავის ცნობილ სტატიაში განვლო ისე აღწერა ჩარლზ სტრიკლენდის ცხოვრება, რომ კიდევ უფრო გაელვივებინა საზოგადოების ინტერესი. მორის ჰიურე თვითონ სრულიად უანგაროდ იყო გატაცებული ხელოვნებით და ცდილობდა, მცოდნეებსაც მიეპყროთ ყურადღება ამ უაღრესად თავისებური ტალანტისათვის. ამასთან, იგი კარგი ჟურნალისტიც იყო და იცოდა, რომ „ადამიანური ინტერესის" გალვივებით უფრო ადვილად მიაღწევდა ამ მიზანს. და როდესაც იმ ხალხმა, ვისაც წარსულში რაიმე ურთიერთობა ჰქონდა სტრიკლენდთან, იმ მწერლებმა, რომლებიც ლონდონიდან იცნობდნენ მას, მხატვრებმა, რომლებიც მონმარტრის კაფეში ხვდებოდნენ თავიანთ ხელმოკლე კოლეგას, სრულიად მოულოდნელად გაიგეს, რომ ის ადამიანი, მათ წრეში რომ ტრიალებდა და ერთი უნიჭო მხატვარი ეგონათ, ჭეშმარიტი გენიოსი ყოფილა, საფრანგეთისა და ამერიკის ჟურნალებში ზედიზედ გამოქვეყნდა სტატიები. ერთნი იგონებდნენ მხატვარს, მეორენი ხოტბას ასხამდნენ. მაგრამ ყველა ერთად, ნებსით თუ უნებლიეთ, უფრო აშკარად აჩენდა სტრიკლენდის უარყოფით თვისებებს და კიდევ უფრო მეტად აღვივებდა საზოგადოების ცნობისმოყვარეობას. თემა მეტად მომგებიანი იყო და ბევრი ეტანებოდა. სწორედ ამიტომ შეძლო მუყაითმა ვაიტბრეხტ-როტჰოლცმა თავის საყურადღებო მონოგრაფიაში მოეტანა წყაროების გრძელი სია.

ადამიანთა მოდგმას ჩვეულებრივი ამბის ზღაპრად გადათქმის თანადაყოლილი ნიჭი აქვს. იგი ხარბად ჩასჭიდებს ხოლმე ხელს რჩეულ ადამიანთა ცხოვრებიდან აღებულ ყოველ უცნაურ და იდუმალ შემთხვევას, ლეგენდად გარდაქმნის მას და მერე თვითონვე ირწმუნებს, რომ ეს ლეგენდა კი არა — სინამდვილეა.

ეს რომანტიკის ამბოხებაა ყოველდღიური, ჩვეულებრივი ცხოვრების წინააღმდეგ. ეს ლეგენდა უკვდავების პასპორტს აძლევს გმირს. ირონიული ფილოსოფოსი ღიმილით იხსენებს, რომ სერ უოლტერ რალეი იმით კი არ არის ცნობილი ადამიანი, რომ ინგლისის საბელი მრავალ მანამდე უცნობ ქვეყანაში მიიტანა, არამედ იმით, რომ ქალწულ დედოფალს ფეხქვეშ თავისი წამოსასხამი გაუშალა და სთხოვა, ზედ გაიარეო. ჩარლზ სტრიკლენდი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. იგი მტრებს უფრო იოლად იძენდა, ვიდრე მეგობრებს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ისინი, ვინც ჩარლზ სტრიკლენდის შესახებ წერდნენ, იძულებულნი იყვნენ ათასნაირი მონაჩმახით შეევსოთ თავიანთი მწირი მოგონებები. თუმცა ცხადია, ის ცოტაც, რაც მათ იცოდნენ, საკმაოდ საიმისოდ, რომ ჩარლზ სტრიკლენდის ცხოვრება რომანტიკულად ყოფილიყო აღწერილი. მას ცხოვრებაში ბევრი უცნაური და საშიში ამბავი გადახდა თავს, რადგან თვითონაც დაუდგრომელი იყო და არც ბედი ანებივრებდა. ამიტომ სტრიკლენდის შესახებ ისეთი ლეგენდები შეიქმნა, რომ ჭკვიანი ისტორიკოსი ვერც კი გაბედავდა მათ გაჭარწყლებას. მაგრამ ღირსეული მღვდელი, რობერტ სტრიკლენდი, არ იყო ჭკვიანი ისტორიკოსი. მან ხმამაღლა განაცხადა, სწო-



 მხატვარი დ. ერისთავი

რედ იმიტომ დავწერე ეს ბიოგრაფია, რათა უარვყო „ზოგიერთი დღემდე არსებული უზუსტობა“, რომელიც მამაჩემის ცხოვრების ბოლო წლების შესახებ არის გავრცელებული და რომელიც მნიშვნელოვან უსიამოვნებას აყენებს ზოგიერთ ცოცხლად დარჩენილ პიროვნებასო“. ცხადია, ბევრ[illegible] ჩვეულებრივ ჰყვებოდნენ სტრიკლენდის ცხოვრებაზე, თავზარ[illegible] დარბაისელ და პატივცემულ ოჯახს. მე გატაცებით წავიკითხე ეს წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად მოსაწყენი და უფერულია. მისტერ სტრიკლენდმა სანიმუშო მეუღლისა და მამის პორტრეტი დახატა. იგი თურმე კეთილი, მშრომელი და უპატიოსნესი ადამიანი ყოფილა. ამ თანამედროვე ყაიდის ხუცესმა ბრწყინვალედ აითვისა მეცნიერების ის დარგი, რომელსაც, თუ არ ვცდები, ეგზოგეზისი ეწოდება. იგი ისე მარჯვედ განმარტავს და ალამაზებს მამამისის ბიოგრაფიის იმ ეპიზოდებს, რომლებმაც შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ეკლესიის სახიმუშო მსახურს, რომ, უეჭველია, მისტერ სტრიკლენდი დიდ წარმატებას მოიპოვებს საეკლესიო სარბიელზე. მე უკვე ვხედავ ეპისკოპოსის წინდებს მის დაკუნთულ წვივებზე!

ასეთი წიგნის გამოქვეყნება გაბედული, მაგრამ სახიფათო საქმე იყო, იმის შემდეგ, რაც ფართოდ გავრცელებულმა ლეგენდებმა საკმაოდ აამაღლა ჩარლზ სტრიკლენდის რეპუტაცია. ზოგს იმიტომ იზიდავდა სტრიკლენდის ნახატები, რომ ისინი ესოდენ საზიზღარი პიროვნების მიერ იყო შექმნილი, ზოგს იმიტომ, რომ ეცოდებოდათ ასე საოცრად დაღუპული მხატვარი, მაგრამ შვილის სურვილმა — დადებით პიროვნებად წარმოედგინა მამამისი, რაღაც უცნაურად გაუგრილა გული სტრიკლენდის თაყვანისმცემლებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ სტრიკლენდის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევარში „სამარიტელ ქალში“ ქრისტიმ რობერტ სტრიკლენდის წიგნის გამოქვეყნებით ატეხილი დისკუსიის მომდევნო პერიოდში 235 სტერლინგით ნაკლები მისცა, ვიდრე ერთმა ცნობილმა კოლექციონერმა ცხრა თვის წინ. ეს კოლექციონერი უეცრად გარდაიცვალა და სწორედ ამიტომ მოხვდა სურათი ხელმეორედ საჯარო ვაჭრობაზე.

იქნებ ჩარლზ სტრიკლენდის შემოქმედება იმდენად ძლიერი და ორიგინალური არც კი იყო, რომ თავისით წამომდგარიყო ფეხზე, მაგრამ ადამიანთა მოდგმა, რომელიც ყოველივე განსხვავებულსა და არაჩვეულებრივს ეტრფის მარად, შეურაცხყოფილი დარჩა და მაშინვე უკუაგდო შვილის მონათხრობი. მალე დოქტორმა ვაიტბრეხტ-როტჰოლცმა გამოაქვეყნა თავისი შრომა და ხელოვნების მოყვარულები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ჩარლზ სტრიკლენდი ნამდვილად არაჩვეულებრივი ადამიანი იყო.

დოქტორი ვაიტბრეხტ-როტჰოლცი იატორიკოსთა იმ სკოლას ეკუთვნის, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანის ბუნება უბრალოდ ცუდი კი არა, უკიდურესად გათახსირებულია. რაღა თქმა უნდა, მკითხველს მათი ნაწარმოების კითხვა უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებს, ვიდრე იმ ისტორიკოსთა თხზულებებისა, სადაც ადამიანები რომანტიკულად, უმწიკვლოდ და ცოლ-შვილია მოყვარულად არიან წარმოდგენილნი.

მეც, ჩემდა თავად, ძალიან უკმაყოფილო დავრჩები, ვინმემ რომ დამიმტკიცოს, ანტონიოსსა და კლეოპატრას შორის მხოლოდ ეკონომიური ურთიერთობა არსებობდაო. არა მგონია, მოიძებნოს ისეთი საბუთი, რომელიც დამარწმუ-

ნებდა, რომ ტიბერიუსი ისეთივე უნაკლო ხელმწიფე იყო, როგორიც გიორგი მეხუთეა. დოქტორი ვაიტბრეხტ-როტჰოლცი ისეთი გამოთქმებით გაუმასპინძლდა ღირსი მამის — რობერტ სტრიკლენდის მიერ დაწერილ უცოდველ ბიოგრაფიას, რომ ძნელია უბედური მოძღვრისადმი სიბრალულის გრძნობით არ განიმსჭვალო. მისი თავაზიანი თავშეკავება პირადი თანაგრძნობა-მონაწილეობისა, მრავალსიტყვაობა — სიცრუეზე და რომელიმე უმნიშვნელო ფაქტის გამოტოვება — მუხანათობად, წვრილმან უზუსტობებზე დაყრდნობით, რომლებიც მწერალს არავრით არ ეპატიება, მაგრამ შვილს შეიძლება მიეტევოს, დოქტორმა ვაიტბრეხტ-როტჰოლცმა მთელ ანგლოსაქსურ რასას ბრალად დასდო პრანჭიაობა, ფარისეველობა, პრეტენზიულობა, მატყუარობა, გაუტანლობა და თაღლითობა.

ჩემი აზრით, მისტერ სტრიკლენდი წინდაუხედავად მოიქცა, როდესაც ჩარლზ სტრიკლენდის მიერ პარიზიდან გამოგზავნილი წერილი გამოაქვეყნა. ამ წერილში ივი თავის მეუღლეს „შესანიშნავ ქალს“ უწოდებდა და შვილმა ნოინდომ დაემტკიცებინა, რომ დედამისსა და მამაშისს შორის არავითარი უსიამოვნება არ იყო.

დოქტორმა ვაიტბრეხტ-როტჰოლცმა მოახერხა ამ წერილის დედნის შოვნა და მისი ფოტოპირი გამოაქვეყნა. წერილში კი შემდეგი ეწერა: „ჯანდაბას წაუღია ჩემი ცოლის თავი. ივი შესანიშნავი ქალია. ნეტავი უკვე ჯოჯოხეთში იყოს“. ეკლესია, თავისი ძლიერების მწვერვალზე ყოფნისას, სულ სხვანაირად ექცეოდა ასეთ მამხილებელ საბუთებს.

დოქტორი ვაიტბრეხტ-როტჰოლცი ჩარლზ სტრიკლენდის მხურვალე თაყვანისმცემელი ვახლდათ და ამიტომ მოსალოდნელი არ იყო, რომ ნამუსს შეუნახავდა მას. ამასთან, ეს მკვლევარი იშვიათი გამჭრიახობით ხედებოდა, თუ რა მდაბალი მოტივი ედო საფუძველად ამა თუ იმ გარეგნულად კეთილშობილურ მოქმედებას. ივი მარტო ხელოვნებათმცოდნე კი არა, ფსიქოპათოლოგიც იყო და შესანიშნავად ერკვეოდა ქვეცნობიერ მოვლენებში. ამ მკვლევარზე უკეთესად ვერც ერთი მისტიკოსი ვერ ამოიკითხავდა ჩვეულებრივი მოვლენის ფარულ დედააზრს. მისტიკოსი იმას ხედავს, რაზედაც ვერ ლაპარაკობენ, ფსიქოპათოლოგი კი იმას, რაზეც არ ლაპარაკობენ. მეტად საინტერესო იყო თვალი გადევნებინათ, თუ როგორი გულმოდგინეობით ცდილობდა ეს განსწავლული ავტორი გამოექექა ყოველგვარი წვრილმანი საბუთი, რომელიც შეარცხვენდა მის გმირს. ივი ალტაცებისაგან ლამის ცაში აფრენილიყო, როდესაც რაიმე ახალ ფაქტს გამოაშზეურებდა ჩარლზ სტრიკლენდის სისასტიკისა და სიმდაბლის დასამტკიცებლად, ხოლო, როდესაც რომელიმე მივიწყებული ამბის გახსენებით ღირსეული მლვდლის რობერტ სტრიკლენდის ოჯახის პატიოსნებას ჩასცემდა ლახვარს, იმ ინკვიზიტორივით გაიხარებდა, რომელმაც ეს-ესაა ერეტიკოსი გაგზავნა კოცონზე დასაწვავად.

ეს ავტორი საოცრად შრომისმოყვარე გამოდგა და არც ერთი წვრილმანი არ დაუტოვებია უყურადღებოდ. დარწმუნებული იყავით, ჩარლზ სტრიკლენდს რომელიმე სამრეცხაოს ვალი რომ დარჩენოდა გადაუხდელი, აუცილებლად იქნებოდა ამ ნაშრომში აღნიშნული და, ალბათ, იმასაც მოიხსენიებდა, ნახევარი კრონი ვალი რომ არ დაებრუნებინა ვინმესთვის.

თავი მეორე

თუკი ამდენი რამ დაუწერიათ ჩარლზ სტრიკლენდის შესახებ, იქნებ საჭირო აღარ იყოს, რომ მეც ავიღო კალამი. მხატვარს ხომ თავისივე შემოქმედებამ უნდა დაუდგას ძეგლი. მართალია, მე ბევრზე [illegible] ვიცნობდი ჩარლზ სტრიკლენდს — ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როცა [illegible] და ხშირად ვხვდებოდი პარიზშიც, სადაც ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობდა, მაგრამ, ალბათ, მაინც არასოდეს არ გადავწყვეტდი მოგონების დაწერას, ამ ომის დროს ტაიტიზე რომ არ მოვხვედრილიყავი. სტრიკლენდმა, როგორც ვიცით, იქ გაატარა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები. მე ის ხალხიც გავიცანი, რომლებიც კარგად იცნობდნენ სტრიკლენდს და მივხვდი, რომ შემეძლო ნათელი მომეფინა მისი ტრაგიკული ბიოგრაფიის ყველაზე ბუნდოვანი პერიოდისათვის. თუკი სტრიკლენდი მართლაც დიდი მხატვარია, მისი ახლო ნაცნობების მოგონებათა შეკრება, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ იქნება ზედმეტი. რას არ მივცემდით ისეთი კაცის მოგონებებში, რომელიც ისე იცნობდა ელ გრეკოს, როგორც მე — სტრიკლენდს.

თუმცა კი რა საჭიროა ამდენი ბოდიში. არ მახსოვს, ვინ იყო, რომ ამბობდა: თუკი სიმშვიდე გინდა, ყოველდღე ორი ისეთი რამ ჩაიდინე, რაც ძალიან გეჯავრებაო. ამის მთქმელი ბრძენი ადამიანი იყო და მეც ბეჯითად მივდევ მის დარიგებას: ყოველ დილით ვდგები ლოგინიდან, საღამოთი კი ვწვები და ვიძინებ. ვარდა ამისა, ჩემი ასკეტური ხასიათის გამო საკუთარ ხორცს უფრო მეაცრი სასჯელი გადავუწყვიტე: დღემდე „ტაიმსის" არც ერთი ლიტერატურული დამატება არ დამიტოვებია წაუკითხავი. მართლაც, ფიქრი იმ უამრავ წიგნზე, რომელთა დაბეჭდვას უამრავ ტკბილ ოცნებას უკავშირებდნენ ავტორები, ფიქრი ამ წიგნების ბედზე, ნამდვილად სულის გამწმენდი სასჯელია ადამიანისათვის. განა აღვიღია, რომ რომელიმე წიგნმა გზა გაიკაფოს თავის თანამოძმეთა მრავალათასიან ლაშქარში? და თუ რომელიმე წიგნი წარმატებას მიაღწევს, განა დიდხანს უწერია გამარჯვების სიხარულით ტკბობა? მხოლოდ ღმერთმა იცის, თუ რა ტანჯვა-წვალება გადაიტანა ავტორმა, რა მწარე გამოცდილება შეიძინა, რა საშინელმა ტკივილებმა გამოუხრა გული, ვიდრე წიგნს დაწერდა. ახლა კი ამ წიგნმა ორიოდე საათის სიამოვნება უნდა მიანიჭოს შემოხვევით მკითხველს, ან ვინმე მოწყენილი ბეზარი გაართოს. თუკი „ტაიმსის" ლიტერატურული დამატების მოკლე რეცენზიებს დავუჯერებდი, ამ წიგნების უმრავლესობა კარგად იყო დაწერილი, თითქმის ყველა შესანიშნავი აზრების საგანძურს წარმოადგენდა, ხოლო ზოგი მათგანის დასაწერად ავტორი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ღღედაღამ შრომობდა.

დასკვნა, რომელიც მე აქედან გამოვიტანე, ის არის, რომ მწერალი ჯილდოდ იმ სიამოვნებაა უნდა მიიჩნეოდეს, რომელსაც მუშაობისას, თავისი ფიქრებიდან განთავისუფლების დროს იღებს ხოლმე, ხოლო ლანძღვასა და ქებას, წარმატებასა და მარცხს ყურადღება არ უნდა მიაქციოს.

ომმა ახალი შეხედულებები მოიყოლა თან.

ახალგაზრდობა ახალ, ჩვენ დროს არარსებულ კერპებს სცემს თაყვანს და უკვე აშკარად ჩანს გზა, რომელსაც ჩვენს შემდეგ მოსულები დაადგებიან. დაუდეველი და საკუთარ ძალაში დარწმუნებული ახალგაზრდები მოკრძალებით

აღარ აკაკუნებენ კარზე. ისინი ძალით შემოცვივდნენ ჩვენს ბინაში, ადგილიდან წამოგვყარეს და თვითონ მოიკალათეს ზედ. მათი ღრიალისგან ყურთასმენა აღარ არის. ზოგი მოხუციც აჰყოლია ახალგაზრდების მანჭვა-გრეხას და ცდილობს, საკუთარი თავი დაარწმუნოს, ჩემი დრო ჯერ არ წასულა. ისინი ცდილობენ, ყვირილში აჰყვნენ ახალგაზრდებს, მაგრამ ომახიანი ყიჟინის ნაცვლად ულაზათო ღრიალი ამოსდით პირიდან. ისინი იმ ბებერ ლომვიანებს ჰგვანან, ფერუმარილით, ჭიაფერათი და ახალგაზრდული ცუსდრუკით რომ ცდილობენ თავი მოიტყუონ — ჩვენი გახაფხული ჯერ არ წასულაო. უფრო ჭკვიანები მორიდებით, მაგრამ ჯიუტად აგრძელებენ თავიანთ გზას. მათ თავშეკავებულ ღიმილში დაცინვაც იგრძნობა და მიტევებაც, რადგან ახსოვთ, რომ ასევე გადათელეს უფროსი თაობა, რომელსაც უკვე მოყირჭებული ჰქონდა ამქვეყნიური სიტკბოებანი. ზუსტად ასეთივე ყვირილითა და დაცინვით დაასამარეს ისინი და, რაღა თქმა უნდა, მომავალში ამ თაობამ მეჩირაღდნეებსაც მოუწევთ ადგილის დათმობა უკანმავალთათვის.

ამქვეყნად არაფერი არ არის ახალი. ახალი აღთქმა ჯერ კიდევ მაშინ იყო მოძველებული, როდესაც ნინევია თავისი ძლიერების ზენიტზე იდგა. გაბედული სიტყვა, რომელიც მთქმელს ახალი ჰგონია, ერთი ასჯერ მაინც არის ნათქვამი და თანაც ზუსტად ისეთივე ინტონაციით. ქანქარა წინ და უკან ქანაობს. მოძრაობა ყოველთვის წრიულია.

ხანდახან ადამიანს სიცოცხლე უგრძელდება და იმ დროიდან, სადაც მას გარკვეული ადგილი ეკუთვნის, ახალ, უცხო დროში მოხვდება ხოლმე. აი, სწორედ მაშინ იწყება ადამიანური კომედიის ყველაზე უფრო საინტერესო მოქმედება. ახლა ვის ახსოვს, მაგალითად, ჯორჯ ქრაბი? იგი თავისი ეპოქის გამოჩენილი პოეტი იყო და მსოფლიოს ისეთი ერთსულოვნებით სწამდა მისი გენიოსობა, როგორიც ახლა, ამ რთულ ცხოვრებაში, ძნელი წარმოსადგენია. იგი ალექსანდრე პოპის სკოლის მიმდევარი იყო და გარითმული მრჩობლედით წერდა თავის დიდაქტიკურ თხზულებებს. მალე, როცა საფრანგეთის რევოლუცია მოხდა და ნაპოლეონის ომები დაიწყო, პოეტები ახლებურად ამღერდნენ. მისტერ ქრაბი კი კვლავ გარითმული მრჩობლედით წერდა თავის დიდაქტიკურ თხზულებებს. მე ვფიქრობ, ჯორჯ ქრაბი ნამდვილად კითხულობდა იმ ახალგაზრდების ლექსებს, რომლებმაც ასე ააფორიაქეს მსოფლიო, და, ალბათ, ძალიან სულელურ ნაწარმოებებად მიიჩნევდა მათ. რასაკვირველია, ბევრი მართლაც სულელური იყო, მაგრამ კიტსისა და უორთსვორთის ოდებმა და კოლრიჯის, უფრო მეტად კი შელის ლექსებმა კაცობრიობას ადამიანის სულის მანამდე ბნელით მოცული კუნჭულები დაანახვა. მისტერ ქრაბი კი ჯორიკით ჯიუტი იყო: იგი კვლავ დიდაქტიკურ თხზულებებს წერდა გარითმული მრჩობლედით. მე დროდადრო გადავხედავ ხოლმე ახალი თაობის ნაწერებს: იქნებ არ ვიცი და მათ შორის ვინმე კიტსზე უფრო ცეცხლოვანი და შელიზე უფრო ამაღლებული ბუნების პოეტი მოიპოვება, იქნებ მათ უკვე დაბეჭდეს კიდეც მრავალი ნაწარმოები, რომელთაც კაცობრიობა არ დაივიწყებს. მე ამ ახალგაზრდების წერის მოხდენილი მანერა მომწონს. ეს ახალგაზრდობა იმდენად დასრულებულია, რომ მისი ზრდისა და წინსვლის აღარავითარი იმედი აღარ არსებობს. მანცვიფრებს მათი სტილის სინატიფე, მაგრამ ამ ლაბაზ სიტყვათა ნიაღვარი (კაცი მაშინვე მიხვდება, რომ ისინი ბავშვობაშივე ეზიარნენ როჯერტის „საგანძურს") მე არაფერს

მეუბნება. ჩემი აზრით, ამ ახალგაზრდებმა მეტისმეტად ბევრი იციან, მაგრამ მეტისმეტად ზერელედ შეიგრძნობენ ყველაფერს. მე ვერ ვიტან, როდესაც ისინი მეგობრულად მიტყაპუნებენ ხელს მხარზე, ან როცა გრძნობამორეულნი შეკვრიან გულში. მათი ვნება, ცოტა არ იყოს, დუნე მეჩვენება, მათი ოცნებები კი—მოსაწყენი. მე ისინი არ სომწონს. მე სხვა კუნძულზე ვარ დარჩენილი. მე კვლავ გავაგრძელებ დიდაქტიკური თხზულებების [illegible] გარითმული მრჩობლედით, მაგრამ სამგზის სულელი ვიქნები, თუ ამით მარტო ჩემი თავის კი არა, სხვების გართობასაც მოვინდომებ.

თავი მესამე

თუმცა, ეს ყოველივე ისე, სხვათა შორის მოგახსენეთ.

ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც პირველი წიგნი დავწერე. საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ ამ წიგნმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და ჩემი გაცნობა ათასმა ვინმემ მოინდომა.

ახლა სევდამორეული ვიხსენებ ლონდონის მაშინდელ ლიტერატურულ სამყაროს, რომელშიც ნორიდებით, მაგრამ მონავლის იმედებით ალსავსე შევაბიჯე. მე კარგა ხანია დავიწყებე თავი ლონდონის მონახულებას და, თუკი ის რომანები, რომლებშიც ამ წრის დამახასიათებელი თვისებებია აღწერილი, არა ტყუიან, უნდა დაეასკვნა, რომ იქ დიდი ცვლილებები მომხდარა. თვით ლიტერატურული ცხოვრების ცენტრებსაც კი გადაუნაცვლებია: ჰემპსტედმა, ნოთინგჰილგეიტმა, პაისტრიტმა და კენსინგტონმა ადგილი დაუთმო ჩელსის და ბლუმბერის. მაშინ მწერალი ორმოცს მაინც უნდა ყოფილიყო გადაცილებული, ახლა კი ოცდახუთ წელზე ნაკლები ასაკისა თუ არ იქნება, მასხარად იგდებენ. მაშინ, ცოტა არ იყოს, ვერიდებოდით გრძნობების გამომჟღავნებას და არც ძალიან ეყოყოჩობდით, რადგან დაცინვისა გვეშინოდა. არ ვამბობ, რომ მაშინდელი ბოპემა ძალიან დაგიდეედათ ზნეობასა და ზრდილობას, მაგრამ არც ასეთი ამბები მახსოვს, ახლა რომ ყოველ ნაბიჯზე ხდება. ჩვენ სულ არ მიგვაჩნდა თვალთმაქცობად, რომ მოკრძალებული დუმილით დაგვეფარა თავში მოსული ველური აზრი. აუცილებელი არ იყო ყველაფრისათვის თავისი სახელი გეწოდებინა და ქალებიც ასე თავისუფლად ვერ განაგებდნენ საკუთარ ბედილბალს.

იმ დროს ვიქტორიას სადგურთან ვცხოვრობდი და სანამ სტუმართმოყვარე მწერლების სახლს მივაღწევდი, რამდენიმე ტრანსპორტი უნდა გამომეცვალა. მაშინ ძალიან მორცხვი ვიყავი და სანამ ზარის დარეკვას გავბედავდი, რამდენჯერმე ეეუელ-ჩავუელიდი ხოლმე სახლს. ბოლოს, როგორც იყო, დავრეკავდი და ჭერის ოთახში გაწყრული შევიძურწებოდი ხალხით გატენილ, დახუთულ ოთახში. შემდეგ ხან ერთ, ხან შეორე გამოჩენილ მწერალთან მიეყავდი მასპინძელს და საშინელ უხერხულობას ვგრძნობდი, როდესაც ისინი ჩემს წიგნს დაუწყებდნენ ქებას. ვიცოდი, რომ ჩემგან რაიმე მოსწრებულ სიტყვას ელოდნენ პასუხად, მაგრამ ეს სიტყვა მხოლოდ უკან დაბრუნებისას ნომდგომოდა თავში. ჩემი დაბნეულობის დაფარვას იმით ვცდილობდი, რომ მეზობლებს მალიმალ ვაწოდებდი ჩაისა და ულაზათოდ დაჭრილ ბუტერბრო-

დებს. ძალიან მინდოდა, ჩრდილში დავრჩენილიყავი, რათა მშვიდად მედევნებინა თვალი ამ შესანიშნავი ხალხისათვის და ყურადღებით მომესმინა მათი გონიერი და დახვეწილი საუბარი.

მახსენდება ჯავშანივით მოუხეშავ კაბებში გამოწყობილი ვეებერთელა, ტლანქი, დიდცხვირა და ხარბთვალა გათხოვილი ქალები [illegible], თაგვივით მკვირცხლი შინაბერები, რომელთაც ხაევრდოვანი ხმა [illegible] გამოხედვა ჰქონდათ. მე თვალს ვერ ვაცილებდი მათ, როცა ყბის გაუჩერებლად დაიწყებდნენ კარაქში შემწვარი პერის ჭამას ხელთათმანიანი ხელებით და როცა ეგონათ, არავინ გვხედავსო, კარაქიან თითებს სკამს შეაწმენდდნენ ხოლმე. ეს, რა თქმა უნდა, აფუჭებდა ავეჯს, მაგრამ, ალბათ, არც დიასახლისი რჩებოდა ვალში, როდესაც საპასუხო ვიზიტით ეწვეოდა თავის მეგობრებს. ზოგი მათგანი მოხდენილად იცვამდა. ასეთები ამბობდნენ — ვერ გამიგია, რატომ უნდა იცვამდეს მწერალი ქალი ულაზათოდ, ყველა ქალი ცდილობს, რომ ტანი უფრო ლამაზად გამოაჩინოს და კოხტა ფეხებზე ჩაცმულ მოხდენილ ფეხსაცმელს: ჯერ ისე არ დაუფრთხია რომელიმე გამომცემელი, რომ ჩვენი „საქონლის“ აღებაზე უარი ეთქვასო.

ზოგს ლამაზად ჩაცმა ქარაფშუტობად მიაჩნდა. ისინი მზა ტანსაცმელს ყიდულობდნენ და ბარბაროსულ სამკაულებს ატარებდნენ. მამაკაცები, ჩვეულებრივ, პეწენიკად იცვამდნენ. ისინი ძალიან ცდილობდნენ, მწერლებს კი არა, მაღალი საზოგადოების ხალხს დამსგავსებოდნენ და ნაწილობრივ ახერხებდნენ კიდეც: ზოგი მათგანი, შეიძლება, კაცს რომელიმე ცნობილი ფირმის მოხელე ჰგონებოდა. მამაკაცებს ყოველთვის გადაღლილობა ეტყობოდათ. ადრე არასოდეს მუნახია მწერალი და ახლა ძალიან უცნაურები და, ცოტა არ იყოს, არაბუნებრივები მეჩვენებოდნენ. მახსოვს, ძალიან მომწონდა იმათი საუბარი და მუდამ განცვიფრებული ვუსმენდი, თუ როგორ დაუნდობლად გესლავდნენ ამხანაგს, როგორც კი იგი თვალს მიეფარებოდა. ხელოვნების ხალხი იმითა სჯობს ჩვეულებრივ ადამიანებს, რომ შეუძლიათ არა მარტო ერთმანეთის გარეგნობა და ხასიათი აიგდონ მასხრად, არამედ ერთმანეთის შემოქმედებაც. მე უკვე დაკარგული მქონდა იმედი, რომ ოდესმე ასეთ მომხიბვლელ და ძალდაუტანებელ საუბარს ვისწავლიდი. იმ დროს საუბარი ჯერ კიდევ ითვლებოდა ხელოვნების ერთ-ერთ დარგად. მოსწრებული პასუხი უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე ძნელად გასაგები ღრმააზროვნება. ეპიგრამა ჯერ კიდევ აძლევდა პეწს საუბარს. იგი ჯერ კიდევ არ ქცეულიყო ბრძენის ნიღბად, რომელიც ყველა სულელს შეეძლო აეფარებინა სახეზე. რა სამწუხაროა, რომ ჩემმა მეხსიერებამ იმ ბრწყინვალე სიტყვიერი შადრევნის ვერც ერთი მხეფი ვერ შემოინახა. ის კი მახსოვს, რომ საუბარი განსაკუთრებით მაშინ გაცხოველდებოდა ხოლმე, როდესაც ვინმე ჩვენი ხელობის კომერციულ მხარეს გაიხსენებდა. ახალი წიგნის ღირსება-ნაკლოვანებებზე რომ მოვათავებდით საუბარს, ბუნებრივია, ვეკითხავდით, თუ რამდენი ეგზემპლარი გაიყიდა, რამდენი ფული მისცეს ავტორს წინასწარ და კიდევ რამდენის მიღებას ვარაუდობს. შემდეგ გამომცემლებზე გადავდიოდით, ვაქებდით გულუხვებსა და ვკიცხავდით წვრილმანებსა და ძუნწებს. ვკამათობდით იმაზე, თუ ვისთან სჯობდა წიგნის მიტანა: იმასთან, ვინც ბევრ ჰონორარს იძლევა, თუ იმასთან, ვისაც უნარი შესწევს, რეკლამა გაუკეთოს წიგნს. ზოგი ახერხებდა რეკლამის გაკეთებას, ზოგი კი — ვერა. ზოგი

გამომცემელი უფრო ხალისით იღებდა მოდერნისტულ ნაწარმოებებს, ზოგი კი მარტო ძველი ყაიდისას ეტანებოდა. შემდეგ აგენტებსა და მათი [illegible] ახმარებით მიღებულ შეკვეთებზე ვიწყებდით ლაპარაკს, შემდეგ — [illegible] რედაქტორებზე. ვარკვევდით, რომელ რედაქტორს როგორი სტატია [illegible], ვინ რამდენს იძლეოდა ათას სიტყვაში, დროზე იძლეოდნენ [illegible] ებდნენ. მე ყოველივე ეს ფრიად რომანტიკული მეჩვენებოდა [illegible] საიდუმლო ძმობის წევრად ვთვლიდი.

თავი მეოთხე

იმ დროს როზა უოტერფორდზე კეთილად არავინ მეპყრობოდა. მას მამაკაცური გონება ჰქონდა, მაგრამ არც ქალური უჯიათობა და თავნებობა აკლდა. როზა უოტერფორდი მეტად ორიგინალურსა და ამაფორიაქებელ რომანებს წერდა. სწორედ მის სახლში გავიცანი ერთ მშვენიერ დღეს ჩარლზ სტრიკლენდის მეუღლე. მის უოტერფორდმა ჩაიხე მოიპატიჟა ხალხი. პატარა ბინაში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა საუბრით იყო გართული, მე კი ჩემთვის ვიჯექი ჩუმად და, თუმცა დიდ უხერხულობას ვგრძნობდი, იმას მაინც ვერა ვბედავდი, რომ რომელიმე ჯგუფს მივკედლებოდი. ჯერ ერთი, მეტისმეტად შორცხვი ვიყავი და. გარდა ამისა, ისიც მაჩერებდა, რომ ყველა ძალიან გართული ჩანდა თავისი საქმით. მის უოტერფორდი ყურადღებიანი დიასახლისი გახლდათ და როდესაც შემატყო, რა ღონეშიც ვიყავი, მომიახლოვდა და მითხრა:

— მინდა მისის სტრიკლენდი გაგაცნოთ. იგი აღტაცებულია თქვენი წიგნით.

— რა საქმიანობას ეწევა? — ვკითხე მე, რადგან ვიცოდი ჩემი უვიცობის ამბავი და ვიფიქრე, თუ მისის სტრიკლენდი ცნობილი მწერალია, საჭიროა წინასწარ, გაცნობამდე გავიგო-შეთქი.

როზა უოტერფორდმა თვალები ოდნავ მოჭუტა, რათა უფრო მეტი სერიოზულობა მიეცა ნათქვამისათვის:

— იგი საუზმედ პატიჟებს ხოლმე ხალხს. ცოტათი გაფხაკურდით და თქვენც მიგიპატიჟებთ.

როზა უოტერფორდი ცინიკოსი იყო. მისი აზრით, საწყეთრო იმიტომ არსებობდა, რომ რომანები დაწერილიყო, ხალხი კი მასალა იყო ამ რომანებისათვის. ამიტომ დროდადრო ამ მასალიდან იმათ ამოირჩევდა, ვინც თავისი ნიჭის თაყვანისმცემლებად მიაჩნდა, შინ მოიწვევდა და მეტად გულითადად და ლაღად მასპინძლობდა. იგი უბოროტოდ დასცინოდა თავის სტუმრებს გამოჩენილი ადამიანებისადმი სიყვარულისათვის, მაგრამ თვითონ მონდომებით თამაშობდა მათ წინაშე გამოჩენილი მწერალი ქალის როლს.

მიმიყვანეს მისის სტრიკლენდთან და მე და იმან ათიოდე წუთს ვისაუბრეთ. ერთი ჩვეულებრივი ქალი გამოდგა, მხოლოდ ხმა ჰქონდა მეტად სასიამოვნო. მისის სტრიკლენდს თურმე უესტმინსტერში ჰქონდა ბინა. მისი ფანჯრები დაუმთავრებელ ეკლესიას გადაჰყურებდა. მეც იქვე მეზობლად

ვცხოვრობდი და შეიძლება ამიტომ იყო, რომ ერთმანეთისადმი სიმპათიურად განვეწყვეთ. არმიისა და ფლოტის მაღაზია ხომ ყოველთვის აახლოვებს იმათ, ვინც ტემზისა და სენტ-ჯემსის პარკის შუა მდებარე რაიონში ცხოვრობს. მისის სტრიკლენდმა მისამართი მკითხა და რამდენიმე დღის შემდეგ სტუმრად მიწვევა მივიღე.

მე იშვიათად მპატიჟებდნენ ხოლმე და ამიტომ ამ ამბავმა ძალიან მახარა. როცა სტრიკლენდების ოჯახში მივედი, სტუმრები უკვე შეკრებილნი დამხვდნენ (მე იმიტომ დამაგვიანდა, რომ შემეშინდა, ადრე არ მივიდე-მეთქი და ბარემ სამჯერ მაინც შემოვუარე ეკლესიას). მის უოტერფორდიც იქ იყო, მისის ჯეიც, რიჩარდ ტუანინგიც და ჯორჯ როუდიც. ერთი სიტყვით, სულ მწერლები შეეკრიბეთ. ადრეული გაზაფხულის მშვენიერი დღე იდგა, ყველანი კარგ ხასიათზე ვიყავით და ათას რამეზე ვსაუბრობდით. მის უოტერფორდს, ეტყობოდა, ჯერ კიდევ თავისი სიყმაწვილის დროინდელი შეხედულებები გამოეყოლოდა, რადგან მომწვანო კაბა ჩაეცვა და ხელში ნარგიზების კონა დაეჭირა, მაგრამ არც შუაბნის ქალისათვის დამახასიათებელი ქარაფშუტობა აკლდა: მაღალ ქუსლებზე შემდგარიყო და თავზე ახალი მოდის ქუდი დაეხურა. ეტყობა, ამის გამო იყო კარგ ხასიათზე: ადრე ასე მწარედ არასოდეს დაუგესლავს ჩვენი საერთო მეგობრები. მისის ჯეი დარწმუნებული იყო, თუ ოსუნჯის სახელი გინდა მოიხვეჭო, უხამსი სიტყვების თქმას არ უნდა მოერიდო და ხმამაღალი ჩურჩულით ისეთ ნაკვესებს ისროდა, რომ ლამის სირცხვილით დავმწვარიყავით.

რიჩარდ ტუანინგი რაღაც აბდაუბდას ბოშავდა, ჯორჯ როუდი კი გრძნობდა, რომ მას უკვე აღარ სჭირდებოდა თავისი ენაჭევრობის დამტკიცება და მხოლოდ იმიტომ ადებდა პირს, რომ ლუკმა ჩაედო. მისის სტრიკლენდი ბევრს არ ლაპარაკობდა, მაგრამ საუბრის წარმართვის უბადლო ნიჭი აღმოაჩნდა. როცა სიჩუმე ჩამოვარდებოდა, სწორედ საჭირო ფრაზას გადმოისროდა და მაშინვე ყველანი ალაპარაკდებოდნენ. იგი ოცდაჩვიდმეტი წლის მაღალი, ტანსრული ქალი იყო. ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ კეთილი თვალებისა და ოქროსფერი თმის წყალობით სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. კანი მოყვითალო ჰქონდა. შავი თმა გულმოდგინედ დაეგარცხნა. იმ საშა ქალიდან მარტო მისის სტრიკლენდს არ ესვა სახეზე ნელსაცხებელი და ამიტომ უფრო ბუნებრივად გამოიყურებოდა.

სასადილო ოთახი, იმდროინდელი გემოვნებით თუ ვიმსჯელებთ, კარგად იყო მოწყობილი. ზედმეტი და მატრაქვეკული არაფერი ჩანდა. კედლებზე ხის მაღალი თეთრი პანელები და მწვანე შპალერი იყო გაკრული. აქა-იქ ეკიდა ფისტლერის გრავიურები, რომლებიც კოხტა, შავ ჩარჩოებში იყო ჩასმული. ფარშავანგივით მოხატული მწვანე, სქელი ფარდები სწორ ნაოჭებად ეშვებოდა ნწვანე ხალიჩაზე, რომელზეც ბუნდოვნად მოჩანდნენ დაბურული ხეებს ქვეშ მოხეტიალე ბაჭვები. ეტყობოდა, რომ ეს ხალიჩა უილიამ მორისას ნახატების გავლენით იყო შექმნილი. ბუხრის თავზე ლურჯი ფაიფურის ჭურჭელი ეწყო. იმ დროს ლონდონში ხუთი ათასი ბინა მაინც იქნებოდა ზუსტად ასე მოწყობილი — გემოვნებით, სადაც, მაგრამ, მოსაწყენად.

მე და მის უოტერფორდი ერთად წამოვედით იქიდან და, ალბათ, იმ შე-

სანიშნავი დღისა და ჩემი თანამგზავრის ახალი ქუდის ბრალი იყო, რომ პარკში გავიარეთ.

— ბრწყინვალედ გავატარეთ დრო, არა? — ვკითხე მე.

— საჭმელები ხომ მოგეწონათ? მე საგანგებოდ გავაფრთხილე მისის სტრიკლენდი: თუ მწერლები გინდა მიიჩვიო, გემრიელი საჭმელები უნდა დაავზალო-მეთქი.

— გადასარევი რჩევაა! — მოვუწონე მე, — კი მაგრამ, რად უნდა მწერლები?

მინ უოტერფორდმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ მერე მაინც მიპასუხა:

— საინტერესო ხალხად მივაჩნივართ, თანაც არ უნდა მოდას ჩამორჩეს. ჩემი აზრით, დიდი ჭკუის პატრონი არ არის ეგ საცოდავი და ცალაც განსაკუთრებული ადამიანები ვგონივართ. ასეა თუ ისე, უყვარს ჩვენი დაპატიჟება და ჩვენც რა გვენაღვლება, ვეწვიოთ ხოლმე. აი, ამიტომ მომწონს ეს ქალი.

ახლა, როდესაც უკან ვიხედები, ვხვდები, რომ მისის სტრიკლენდი ყველაზე უწყინარი იყო იმ მონადირეებს შორის, რომლებიც არც ჰემპსტიდის ნატიფ სალონებში ასვენებენ გამოჩენილ ადამიანებს და არც ჩეინ უოლკის საცოდავ სტუდიებში. მისის სტრიკლენდმა მშვიდად გაატარა ახალგაზრდობა პროვინციაში და „ბადის ბიბლიოთეკიდან“ გაგზავნილ წიგნებს მარტო იმიტომ კი არ კითხულობდა, რომ მათში აღწერილი ამბების რომანტიკა იტაცებდა, არამედ იმიტომაც, რომ ისინი ოვითონ ლონდონზე ოცნების საშუალებას აძლევდნენ. იგი თავგამოდებული მკითხველი იყო (რაც ძალზე იშვიათია მისი ყაიდის ადამიანებში, ადამიანებში, ვისაც ავტორი და მხატვარი უფრო აინტერესებს, ვიდრე მათი შემოქმედება) და ამიტომ საკუთარი, ფანტასტიკური სამყარო შექმნა, სადაც ისეთი თავისუფლება მოიპოვა, როგორსაც ნაცდვილ ცხოვრებაში ვერასოდეს ვერ ეღირსებოდა.

შემდგომში, როცა მწერლები გაიცნო, თავი იმ სცენაზე წარმოიდგინა, რომელსაც ადრე მხოლოდ ლარბაზიდან უმზერდა. იგი ისე აღმერთებდა მწერლებს, რომ, როდესაც პატიჟებდა ან თვითონ ეწვეოდა ხოლმე, ეგონა, ნამდვილად სხვანაირი, უფრო ამაღლებული სამყაროს მკვიდრი ეარო. ისეთი ცხოვრება, როგორსაც მწერლები ეწეოდნენ, მწერლებისათვის საკალდებულოდ მიაჩნდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ თვითონაც მიეგაძა მათთვის. მწერლების თავისუფალი ქცევა და ჩაცმა-დახურვა, ფუქსავატური თეორიები და პარადოქსები ანთობდა მისის სტრიკლენდს, მაგრამ არავითარ გაელენას არ ახდენდა მის რწმენაზე.

— მისტერ სტრიკლენდიც არსებობს? — ვკითხე მის უოტერფორდს.

— კი, როგორ არა. რაღაცას საქმიანობს სიტიში. მგონი, ბირჟის მაკლერი უნდა იყოს. ერთი უნდილი კაცია.

— კარგი მეგობრები არიან?

— აღმერთებენ ერთმანეთს. სადილზე რომ მოხვდე იმათთან, გაიცნობ, მაგრამ მისის სტრიკლენდი იშვიათად პატიჟებს სადილად ხალხს, ძალიან წყნარი კაცია, თანაც სულ არ აინტერესებს ლიტერატურა და ხელოვნება.

— რატომ მიხთხოვდებიან ხოლმე ასეთი შესანიშნავი ქალები მოსაწყენ მამაკაცებს?

— იმიტომ, რომ გონიერ მამაკაცებს არ მოსწონთ შესანიშნავი ქალები.

მე პასუხად ვერაფერი მოვიფიქრე და ვკითხე, ბავშვები თუ ჰყავთ-მეთქი.

— კი, ბიჭი და გოგო ჰყავთ. სკოლაში დადიან, — გვიპასუხა უოტერ-ფორდმა.

ეს თემა ამოიწურა და ჩვენ სხვაზე გადავერთენით ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაკი მეხუთე

იმ ზაფხულს ხშირად ვხვდებოდი მისის სტრიკლენდს. იგი ხან საუზმეზე მპატიჟებდა, სადაც სულ რამდენიმე კაცი ვიყავით, ხან კი — საზეიმო ვახშამზე, ორივეს ძალიან მოგვწონდა ერთმანეთი. მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ეტყობა, ფიქრობდა, რომ მისი დახმარებით უფრო ადვილად შეეუღლებოდი ლიტერატურის მწვერვალისაკენ მიმავალ ცოცაბი ალმართის, მე კი ძალიან მოვნებდა, რომ შემეძლო ვინმესთან მავსულიყავი, ჩემი გაჭირვება მეთქვა და იმედი მქონოდა, რომ ყურადღებით მომისმენდნენ და გონიერ რჩევას მომცემდნენ. მისის სტრიკლენდს შეეძლო თანაგრძნობა გაეწია გაჭირვებულისათვის. ეს მეტად მომხიბლავი თვისებაა, მაგრამ უმეტესობა ბოროტად იყენებს: ისინი წყურველასავით ჩაეჭიდებიან ხოლმე მეგობრის უბედურებას, რათა თავიანთი ნიჭი გამოიყენონ და თანაგრძნობის ისეთ ნიაღვარს დაატეხონ თავს თავიანთ მსხვერპლს, რომ იმათ მთლად დაებნეთ ხოლმე გზა-კვალი. ზოგის მყერდზე იმდენი ცრემლია დაღვრილი, რომ დამატება ალარ შეიძლება. მისის სტრიკლენდი მეტად ტაქტიანად იყენებდა თავის ნიჭს, მაგრამ იგრძნობდით, რომ დიდ სიამოვნებას განიცდიდა, როდესაც მისგან დახმარებას იღებდით. როდესაც ეს ალვნიშნე (მაშინ ჯერ კიდევ არ დამკარგოდა ჭაბუკური უმუალობა), როზა უოტერფორდმა მომიგო:

— რძე სასიამოვნო სასმელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ორიოდე წვეთ ბრენდის ჩაასხამ შიგ, მაგრამ ძროხასაც ძალიან უნდა განთავისუფლდეს მისგან. აბა რა სასიამოვნოა გატეკნილი ცუდით ს

ვაჟი, რობერტი, თექვსმეტი წლისა იყო. იგი რეგბიში სწავლობდა. ერთ-ერთ სურათში რობერტი ფლანელის კოსტიუმითა და კრიკეტის სათამაშო ჯოხით იყო გადაღებული, მეორეში — ფრაკით და გახამებული საყელოთი. მაღალი, ნათელი შუბლითა და ლამაზი, გონიერი თვალებით დედამისს წააგავდა. ამ სურათებიდან სუფთა, განმრთელი და წესიერი ჭაბუკი იმზირებოდა.

— ძალიან ნაჭიერი არ არის, — მითხრა ერთხელ მისის სტრიკლენდმა, როცა შენიშნა, რომ სურათს მივჩერებოდი, — მაგრამ კარგი ბუნების ბავშვია. მშვენიერი ხასიათი აქვს.

ქალიშვილი თოთხმეტისა იყო. დედამისივით სქელი და შავი თმა ლამაზად ეყარა მხრებზე. იმასაც კეთილი გამომეტყველება და მშვიდი, უდარდელი თვალები ჰქონდა.

— ორივე თქვენი ასლია, — შევნიშნე მე.

— სწორი პრძანდებით. მე უფრო მგვანან, ვიდრე მამას.

— რატომ არ ვამაცნობთ თქვენს მეუღლეს?

— გინდათ?

მისის სტრიკლენდმა მომხიბლავად გაიღიმა და ოდნავ გაწითლდა. საკვირველი იყო, რომ ამ ხნის ქალი ასე ადვილად წითლდებოდა. მე ვფიქრობ, სწორედ ეს მიამიტობა მატებდა შნოსა და ლაზათს მისის სტრიკლენდს.

— იცით, მწერლობისა სულ არაფერი გიეგება, — განაგრძო ქალმა, — ნამდვილი ფილისტერია.

მისის სტრიკლენდმა ეს სიტყვები აგდებულად კი არა, ნაზად წარმოთქვა. ვიგრძენი — იგი ვერ აიტანდა, მის მეგობრებს რაიმე გადაბრუნებული რომ ეთქვათ ქმარზე.

— ჩემი მეუღლე ბირჟაზე მუშაობს. ნამდვილი მაკლერია. მე მგონი, სამინლად მოგაბეზრებთ თავს.

— თქვენც ასე გაბეზრებთ თავს?

— მე ხომ მისი ცოლი ვარ! ძალიან მიყვარს ჩემი ქმარი. ქალმა გაიღიმა, რათა თავისი შეცბუნება დაეფარა. მე მივხვდი, რომ მისის სტრიკლენდს შეეშინდა, რაზე ფოტერფორდიესთან არ დამგესლოსო. შემდეგ ცოტა ხანს ჩუმად იყო, თითქოს რაღაცას თქმა უნდა, მაგრამ ვერა ბედავსო. ბოლოს თვალებში სითბო ჩაეღვარა: — აბა თვითონ მიაჩნია თავი ლამაზ ვინმედ, ბევრსაც ვერ აკვლებს ბირჟაზე, მაგრამ ძალიან მშვიდი და კეთილი კაცია.

— მე მგონი, ძალიან მომეწონება.

— ოდესმე ერთად ვისადილოთ. მარტო შინაურები ვიქნებით. მაგრამ თუ მოგეწყინოთ, თქვენს თავს დააბრალეთ.

თავი მეექვსე

მართლაც ადვილი ფიქრია მისტერ სტრიკლენდის ნახვის შესაძლებლობა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ხეირიანად ვერც კი გავიცანი. ერთ დილას მისის სტრიკლენდის ბარათი მიეიღე. იგი სადილად შეპატიჟებოდა. თურმე იმ დღეს

ერთ-ერთ მიწვეულს შეეთვალა, ვერ მოვალო, და ეს დანაკლისი მე უნდა შემევსო. ბარათის ბოლოს ეწერა:

„თავაზიანობა მოითხოვს გაგაფრთხილოთ, რომ საშინლად ნოიწყენთ. სიის შედგენისთანავე ვიცოდი, რომ მეტად უხალისო საღამო შეიქმნება. მაგრამ უაღრესად მადლიერი დაგრჩებით, თუ მობრძანდებით. [illegible] ვთხოვ, რომ ცოტა წავისაუბროთ კიდეც".

ბევრი ვიფიქრე და ბოლოს გადავწყვიტე, რომ მეზობლისათვის უარის თქმა არ ეგებოდა.

მისის სტრიკლენდმა თავისი მეუღლე გამაცნო. ძან საკმაოდ ცივად გამომიწოდა ხელი. ქალი ქმარს მიუბრუნდა და იხუმრა:

— იმიტომ მოვიწვიე, რომ დამერწმუნებინა, ქმარი მყავს-მეთქი. მე მგონი, უკვე ეჭვობდა.

სტრიკლენდმა თავაზიანად გაიღიმა. მაგრამ თქვით ალაფერი უთქვამს. ასე მხოლოდ ძაშინ იღიმეზიან, როცა ვინმე უკბილოდ იხუმრებს ხოლმე. შემდეგ ჩემი მასპინძელი ახალშემოსულ სტუმრებს მიუბრუნდა და მე ყველას მივაკითხე. ბოლოს, ყველანი შევგროვდით და სადილზე მიწვევასა ველოდით. მე იმ ქალს ვესაუბრებოდი, რომლის გარითობაც დამავალეს და თან ვფიქრობდი, რა გულუხვად ფლანგავს ცივილიზებული ადამიანი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის წუთებს ათასგვარ ზოსაწყენ საქმიანობაში-მეთქი.

ეს ისეთი წვეულება იყო, რომ კაცი ვერ მიხვდებოდა, რატომ შეიწუხეს თავი მასპინძლებმა სტუმრების დაბატიჟებით. ხოლო სტუმრებმა მოსილით. სულ ათი სტუმარი მოგვროვდით. ყველანი გულგრილად ვიყავით გახწყობილი ერთმანეთისადმი და, ალბათ, განშორებისას ყველა შვებით ამოვისუნთქავდით. ეს თითქოს საკალდებული შეკრება იყო. ალბათ, სტრიკლენდებს აუცილებლად უნდა მოეწვიათ სადილად გარკვეული რაოდენობის ნაცნობები, თუმცა დიდად არც ერთი არ ეპატიჟებოდათ, და მოიწვიეს კიდეც.

ნაცნობებიც დაეთანხმნენ. რატომ? იმიტომ, რომ ან სულ შინ საღილობა მობეზრდათ, ან მოსამსახურეები დაესვენეს, ან უარის საბაბი ვერ იპოვეს, ანდა სულაც იმიტომ, რომ „ერთი მისვლა" ემართათ სტრიკლენდებისა.

სასადილო ოთახში სივიწროვე იყო. მაგიდას უსხდნენ ცნობილი ადვოკატი და მისი მეუღლე, ვიღაც სახელმწიფო მოსამსახურე, ისიც მეუღლით, მისის სტრიკლენდის და, მისი ქმარი, პოლკოვნიკი მაკ-ენდრიუ, და პარლამენტის რომელიღაც წევრის მეუღლე. თვითონ პარლამენტის წევრს გადაეწყვიტა იმ დღეს აუცილებლად დასწრებოდა სხდომას და სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ამ სადილზე მოვხვედი. ერთი სიტყვით, საოცრად წესიერი წვეულება გამოვიდა. ქალები მეტისმეტად გაპრანჭულები და თავდაჯერებულები იყვნენ. ასეთმა ქალებმა არც ვემოვნებით ჩაცმა იციან და ვერც ლაპარაკითა და ქცევით მიიპყრობენ ყურადღებას. მამაკაცები მეტისმეტად დარბაისლები ჩანდნენ. ეტყობა, ძალიან კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი ბედითა და მდგომარეობით.

ყველანი ჩვეულებრივზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რათა წვეულებისათვის ხალისი მოეტანებინათ. სასადილო ოთახში ხმაური იდგა, მაგრამ საერთო საუბარი მაინც ვერ აეწყო. ყველა თავის მეზობელს ელაპარაკებოდა; თევზის,

საუზმისა და წვნიანის შემოტანის დროს მარჯვენა მეზობელს, შემწვარის, ტკბილეულისა და ცხარე საუზმის შემოტანის დროს კი — მარცხენას, ზოგი პოლიტიკაზე ლაპარაკობდა, ზოგი გოლფზე, ზოგი შვილებზე, ახალ სპექტაკლზე, სამეფო აკადემიაში გამოფენილ ნახატებზე, ამინდზე, ზაფხულის გეგმებზე...

საუბარი წამითაც არ ცხრებოდა, სტუმრები თანდათან [illegible], მისის სტრიკლენდი კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო. [illegible] ნავად წარიბართა. მისი მეუღლე კარგად თამაშობდა ღირსეული მასპინძლის როლს, ოუმცა ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. მე შევამჩნიე, რომ მის გვერდით მსხდომ ქალებს სახეზე დაღლილობა ეტყობოდათ — ალბათ, მისტერ სტრიკლენდის დუმილმა მოქახცა. მისის სტრიკლენდმა რამდენჯერმე შეშფოთებით გადაჰკრა თვალი მეუღლეს.

ბოლოს დიასახლისი წამოდგა და ქალებს მეორე ოთახში გასვლა შესთავაზა. მისტერ სტრიკლენდმა მეუღლეს კარი მიუხურა და მაგიდის ბოლოს ადვოკატსა და მთავრობის მოხელეს შუა ჩაჯდა. მერე პორტვეინი დაგვიანა და სიგარები ჩამოგვირიგა. ადვოკატს ღვინო მოეწონა და სტრიკლენდმა უთხრა, ამა და ამ ადგილას ვიყიდეთ. ცოტა ხანს ღვინისა და თამბაქოზე ვლაპარაკობდით, მერე ადვოკატმა თავის ახალ საქმეზე გადაიტანა საუბარი. შემდეგ პოლკოვნიკმა ამოიღგა ენა და პოლოზე ჩამოაგდო სიტყვა. მე არაფერი მქონდა სათქმელი, ამიტომ ჩუმად ვიჯექი და ვცდილობდი ისეთი სახე მიმეღო, თითქოს ძალიან მაინტერესებდა იმათი საუბარი. მე არავინ მაქცევდა ყურადღებას და შემეძლო თავისუფლად მემზირა სტრიკლენდისათვის. იგი უფრო მოსული გამოდგა. ვიღრე წარმოდგენილი მყავდა. არ ვიცი რატომ, მისტერ სტრიკლენდი უფრო გამადარა და შეუხედავი მეგონა. სიხალვილეში კი ბრგე, ზორზორა კაცი აღმოჩნდა. დიდი ხელ-ფეხი ჰქონდა. საღამოს კი სტიკნი ულაზათოდ ადგა ტანზე. ცოტა არ იყოს, მდიდრულად გამოწყობილ მეეტლეს წააგავდა. მისტერ სტრიკლენდი ორმოცი წლისა იქნებოდა. არც ლამაზი იყო და არც შეუხედავი. სახის სწორი, მაგრამ მსხვილი ხაკვთები ადვილად ტლანქ შესახედაობას აძლევდა. ფერთო სახე სუფთად მოეპარსა, მაგრამ სულ არ უხდებოდა: ლოყები თითქოს ძალით გაეშიშველებინა მისთვის ვიდაცას. მწითური, მოკლედ გაკრეჭილი თმა და პატარა, ლურჯი თუ ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. ერთი სიტყვით, სრულიად ჩვეულებრივი გარეგნობისა იყო. მე უკვე ალარ მიკვირდა, რომ მისის სტრიკლენდს ცოტათი ერცხვინებოდა ქმრის გამოჩენა. ასეთი ქმარი დიდად ვერაფრად გამოადგებოდა ისეთ ქალს, რომელსაც უნდოდა სახელი მოეხვეჭა ხელოვნების ქურუმთა წრეში. აშკარა იყო, რომ მისტერ სტრიკლენდს მაღალი საზოგადოებისა არაფერი ეცხო. ზოგს უამისოდაც გააქვს თავი, მაგრამ მაშინ კაცს რაიმე უცნაურობა უნდა ახასიათებდეს. მისტერ სტრიკლენდისათვის კი არც ეს ღირსება მიემადლებინა ღმერთს. იგი გულკეთილი, მოკრძალებული, პატიოსანი და უშმაკო კაცი გახლდათ. იქნებ ვინმეს მოსწონებოდა ეს სანაქებო თვისებები, მაგრამ ამხანაგად მაინც ვერ იგუებდა. იგი არარაობა იყო. სტრიკლენდი, რა თქმა უნდა, საზოგადოების ღირსეულ წევრად, სანიმუშო მეუღლედ, სოხეგარეულ მამად და პატიოსან მაკლერად ჩაითვლებოდა, მაგრამ მასთან ამხანაგობა დროის გაფლანგვა იქნებოდა.

თავი მეშვიდე

მუშაობის სეზონი მიიწურა, ყველაფერი ამტვერდა და უკვე ყველამ დაიწყო მზადება ქალაქიდან გასახლელად. მისის სტრიკლენდი ნორფოლკის სანაპიროზე აპირებდა წასვლას. იქ ბავშვები ზღვაში იბანავებდნენ, ქმარი კი გოლფით გაერთობოდა. ჩვენ ერთმანეთს დაველაპარაკეთ [illegible] ამბავი, [illegible] ძისათვის დავთქვით, მაგრამ სწორედ წასვლის წინადღეს, მაღაზიიდან რომ გამოვდიოდი, მისის სტრიკლენდი შემხვდა თავის ქალ-ვაჟთან ერთად. ისიც ჩემსავით საგვარაჟო საყიდლებზე იყო გამოსული და ჩემსავით დაღლილიყო და დასიცხულიყო. მისის სტრიკლენდს შევთავაზე, პარკში შევიდეთ და ნაყინი ვჭამოთ-მეთქი.

ეტყობა, ქალს ძალიან უნდოდა, რომ ახლის გამეცნო მისი შვილები და მაშინვე დამეთანხმა. ისინი უფრო [illegible] კი აღმოჩნდნენ. ვიდრე ფოტოსურათებზე ჩანდნენ და სულ არ იყო საკვირველი, რომ მისის სტრიკლენდი ასე ამაყობდა თავისი შვილებით: მე საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი, ამიტომ ბავშვებმა სულ არ დაირცხვინეს და მხიარულად განაგრძეს ყლურტული. მშვენიერი ჯანმრთელი ბავშვები იყვნენ და ხეების ჩრდილქვეშ ჯდომაც ძალიან გვეამა.

ერთი საათის შემდეგ სამივენი კენბში ჩასხდნენ და შინ წავიდნენ. მე კი აუჩქარებლად გავემართე ჩემი კლუბისაკენ. იმ დღეს მიუსაფრად ვგრძნობდი თავს და, ცოტა არ იყოს, შერცხვენილი ვფიქრობდი იმ ბედნიერ ოჯახზე, რომელსაც ეს იყო დავშორდი.

ადამიანი ერთი შეხედვით შეატყობდა, რომ მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. საუბარში ხანდახან რაღაც სიტყვებს ჩაურთავდნენ, რომლებიც მე არ მესმოდა, და სიცილით კვდებოდნენ.

ის სალონი, ვინც მხოლოდ ენამჭევრობას სცემს პატივს, ალბათ მოსაწყენ ადამიანად მეჩვენება ჩარლზ სტრიკლენდს, მაგრამ თავის ახლობლებში ჩვეულებრივი ინტელექტის პატრონად ითვლებოდა და ეს ხომ მარტო წარმატების კი არა, ბედნიერების საწინდარიცაა. მისის სტრიკლენდი მომხიბლავი ქალი იყო და ქმარიც უსაზღვროდ უყვარდა. მე წარმოვიდგინე მათი მომავალი ცხოვრება — უშფოთველი, პატიოსანი, მოკრძალებული და, რა თქმა უნდა, შინაარსიანიც. რადგან სტრიკლენდებს ორი მშვენიერი შვილი ეზრდებოდათ, რომლებიც უეჭველად გააგრძელებდნენ თავიანთი ფენის ტრადიციებს. მამა და მისის სტრიკლენდები ალბათ მიაწევენ ღრმა სიბერემდე, მოესწრებიან შვილების დახარდას, მერე კი ისე დააქორწინებენ, როგორც მათ მდგომარეობას შეეფერება: ვაჟი მოხდენილ გოგოს შეირთავს და ჯანმრთელი შვილები შეეძინება, ქალიშვილი, ალბათ, ვაჟკაცური შეხედულების ახალგაზრდა სამხედროს გაჰყვება. ბოლოს ყოველგვარ საქმეზე ხელს აიღებენ და დაშსახურებულ განცხრომას მიეცემიან შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულით მოსილნი. შემდეგ კი, როცა ღრმად მოხუცდებიან, დაეშვიდობებიან თავიანთ ბედნიერებას და არცთუ უსარგებლოდ გავლილ სიცოცხლეს და მიწას მიებარებიან.

ასეთია უამრავი ოჯახის მიერ გავლილი გზა და ასეთი ცხოვრება არ ეროს მოკლებული თავისებურ ეშხსა და მომხიბვლელობას. ოვი ხეებით დაჩრდილული ნაკადულს მაგონებს, ამბებინებულ მდელოზე რომ მიროაკრაკებს და ბოლოს

ეკიდეგანო ზღვა ჩაიხვევს გულში. მაგრამ ეს ზღვა ისეთი მშვიდი და მდუმარეა, ისეთი გულგრილი, რომ უნებურად რაღაც გაურკვეველი სევდა შემოგაწვება გულზე. თუმცა, ვინ იცის, იქნებ მხოლოდ მე მემართებოდა ასე/ ალბათ, მაშინაც, ახალგაზრდობაშიაც, ისეთი უკუღმართი ბუნება [illegible] ადამიანების მიერ გავლილი გზა მოსაწყენად მეჩვენებოდა. რ[illegible] საზოგადოებას სჭირდება ასეთი ოჯახები. რა თქმა უნდა, ისინი ბედნიერად და მშვიდად განლევენ ხოლმე თავიანთ ცხოვრებას, მაგრამ ჩემი ბუნებაა სისხლი უფრო სახიფათო ბილიკებისაკენ მიბიძგებს, ასე ითლად მოსაპოვებელი ბედნიერება მაშინებს და მაფორიაქებს. მე ყოველთვის უფრო საშიში ცხოვრებისაკენ მიმიწევდა გული. არად მიჩანდა ციცაბო კლდეებისა და მუხანათი მარჩხობების გადალახვა, ოღონდ ერთ ადგილას არ გავყინულიყავი. ოღონდ ჩემს გულს ბალიმალ განეცადა მოულოდნელი მღელვარება.

თავი მერვე

როდესაც წინა თავები გადავიკითხე, მივხვდი, რომ სტრიკლენდები ძალიან უფერულად წარმოვსახე და ვერც ერთი ისეთი თვისება ვერ მივანიჭე, რომელიც წიგნის გმირებს ნამდვილი და თავისებური სიცოცხლის საგზურს აძლევს ხოლმე. ნუთუ ჩემი ბრალია? დიდხანს ვიჭექებოდი გონებაში, იქნებ რაიმე ისეთი დეტალი გამომრჩა, რომელიც ჩემს პერსონაჟებს გააცოცხლებდა-მეთქი. ვგრძნობდი, რომელიმე დამახასიათებელი ჯამოთქმა ან რაიმე უცნაური ჩვეულება რომ შემენიშნა, ჩემი გმირები უფრო შესაძლებელი და ხელშესახები გახდებოდნენ, ასე კი შპალერზე გამოხატულ ფიგურებს წააგავდნენ. ისინი ძლივს ერჩოლნენ გახუნებულ ფონს. და შორიდან ვერც კი შეატყობდი, რომ ადამიანები იყვნენ. შორიდან ისინი პატარა, სასიამოვნო ფერადი ლაქები გვგონებოდათ. მე მხოლოდ ეს თუ გამამართლებს, რომ სტრიკლენდებმა ზუსტად ასეთი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. ჩვეულებრივ ასეთი უფერულები არიან ეს ადამიანები, რომლებიც სოციალური ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. ისინი ორგანიზმის უჯრედებს ჰგვანან, ურომლისოდაც სხეული ვერ იარსებებს, მაგრამ სანამ სხეული ჯანსაღია, უჯრედებს ვერც კი ვამჩნევთ.

სტრიკლენდები საშუალო კლასის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ. სასიამოვნო, სტუმართმოყვარე ქალი, რომელიც ახირებულად იყო გატაცებული ლიტერატურით და ცდილობდა თუ გამოჩენილებში არა, საშუალო მწერლებში მაინც ეტრიალა, მოსაწყენი ქმარი, რომელიც მუყაითად ასრულებდა იმ მოვალეობას, რომელიც ბედმა დააკისრა, ორი მშვენიერი, ჯანმრთელი ბავშვი! ერთი სიტყვით, სრულიად ჩვეულებრივი ოჯახი იყო. არა მგონია, რაიმეთი მიექციათ კაცის ყურადღება.

ახლა, როდესაც სტრიკლენდის თაკვადასავალს ვიხსენებ, ჩემს თავს ვეკითხები: გონებაჩლუნგი ხომ არ ვიყავი, რომ სტრიკლენდი სრულიად ჩვეულებრივ ადამიანად მივიჩნიე-მეთქი. ალბათ, ასეც არის. შემდგომ წლებში მე კარგად გავიცანი ადამიანები, მაგრამ იმ დროს, ეს გამოცდილებაც რომ მქონოდა, არა მგონია, სტრიკლენდებზე სხვანაირი შეხედულება შემექმნოდა.

ერთი კია: მაშინ რომ ასე კარგად მცნობოდა ადამიანი და ისიც მცოდნოდა, რომ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ასე ძლიერ ადარ გაწვალებდი, როცა შემოდგომის დასაწყისში ლონდონში დავბრუნდი და სტრიკლენდის ამბავი გავიგე.

ერეკენელი

ორი დღის ჩამოსულიც არ ვიყავი, რომ როზა უფტერფორდს შევეფეთე ჯერმინ-სტრიტზე.

— მეტისმეტად მხიარული მეჩვენებით, — ვუთხარი მე, — რისი ბრალია?

მან გაიღიმა და თვალები ბოროტად დააკვესა. ხშირად შემიმჩნევია როზა უოტერფორდისათვის ასეთი გამომეტყველება და მივხვდი, რომ ამ ლიტერატორ ქალბატონს რაღაც საძრახი ამბავი გაეგო რომელიმე მეგობრის შესახებ და ამიტომ იყო ასე აფორიაქებული.

— ჩარლზ სტრიკლენდს ხომ იცნობთ? ვანა არ იცნობთ?

მის უოტერფორდი თითქოს საბრძოლველად იყო შემართული. აღელვებას მარტო მისი სახე კი არა, მთელი სხეული გამოხატავდა.

ნე თავი დავუქნიე დასტურის ნიშნად და გულში გამიელვა, ალბათ ის საცოდავი ბირჟაზე „დაიწვა“ ან ომნიბუსიკ ჩაუვარდა ქვეშ-მეთქი.

— ვანა სამინელება არ არის? თავები დატოვა!

ის უოტერფორდმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ჯერმინ სტრიტის ბინაფენილზე ამ პრობლემის განსჯა არ მოხერხდებოდა. ამიტომ, როგორც ნამდვილმა ხელოვანმა, ძალიან ფაქტი შემატყობინა და მაშინვე დასძინა, რომ ამ საქმის მეტი არაფერი იცოდა. ნე, რასაკვირველია, დაეეჭვდი, რომ ისეთი უბრალო რამ, როგორც ქუჩის ხმაური და ტრანსპორტის მოძრაობაა, ხელს შეგვიშლიდა ამ ამბის დაწვრილებით განსჯაში, მაგრამ მის უოტერფორდმა ქვა აგდო და თავი წეუწვინა.

— ხომ გითხარით, მეტი არაფერი ვიცი-მეთქი, — მიპასუხა, როდესაც ძალიან ჩავუძიე, მხრები შეათამაშა და დაამატა: — დარწმუნებული ვარ, ვინმე ახალგაზრდა ქალმა დაიწყო თავი საჩაიეში მუშაობას. — შემდეგ მან თვალისმოშეჭრელი ლიმი მტყორცნა, ბოდიში მოიხადა — კბილის ექიმი მელოდებაო, მიტრიალდა და ლამის ცეკვა-ცეკვით წავიდა.

უნდა გითხრათ, ამ ამბავმა უფრო გამაოცა, ვიდრე შემაწუხა. იმ დროს ცხოვრებას კარგად არ ვიცნობდი და ძალიან აღელდი, რომ ჩემს ნაცნობებში ისეთი რამ მოხდა, რაც აქამდე მხოლოდ წიგნებში წამეკითხა. შემდგომში მრავალი ამგვარი ამბავი დატრიალდა ჩემს ირგვლივ და ახლა უკვე აღარაფრად მიმაჩნია. მაშინ კი საკმაოდ ავღელდი. სტრიკლენდი ორმოცზე ნაკლებისა არ იქნებოდა და ეს, ცოტა არ იყოს, დაცინვით ვფიქრობდი, რაღა დროს მაგის სიყვარულია-მეთქი.

როგორც ყველა ახალგაზრდა, მეც შედიდური და ამბარტავანი ვიყავი და ვამბობდი: კაცმა ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ არავინ არ უნდა შეიყვაროს. ათრეგ ქვეყნის საშასხარეო გახდება-მეთქი. გარდა ამისა, ამ ამბავმა ცოტათი ძეც ამიერია გეგმები: აგარაკიდან მისის სტრიკლენდს შევატყობინე, როდის ჩავიდოდი ლონდონში, თან დავამატე, ამა და ამ დღეს ფინჯან ჩაიზე გეწვევით და თუ მიღება არ შეგეძლებათ, წინასწარ მაცნობეთ-მეთქი. დღეს სწორედ ის დღე იყო და თანაც ერთი არ მქონდა მიღებული მისის სტრიკლენდისგან.

ნეტავი გაბავებინა, უნდა თუ არა ჩემი მიღება! შეიძლება, ამ არეულობა-

ში სულ დაავიწყდა ჩემი მინაწერი. ალბათ, უფრო ჭკვიანური იქნება, თუ აღარ წავალ. ვინ იცის, იქნებ არ უნდა, ვინმეს გააგებინოს თავისი ამბავი და უზრდელობა გამომიჩიდეს, რომ ვაგრძნობინო, ყველაფერი ვიცი-მეთქი. მეშინოდა, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამეგდო ეს მშვენიერი ქალი, მეშინოდა, თავი არ მომეგზავნებინა მისთვის. ვიცოდი, რომ ძალიან შეწუხებული იქნებოდა და ამბავი რა სასიამოვნოა უმზირო, როგორ იტანჯება ადამიანი, ძით უმეტეს, თუ შველა არ შეგიძლია. მაგრამ, ამავე დროს, თუმცა ამ სურვილისა მრცხვენოდა კიდეც, მინდოდა მენახა, თუ როგორ შეხვდა იგი ამ უბედურებას, როგორ ეჭირა თავი. პირდაპირ აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი.

ბოლოს ასე გოვიფიქრე: წავალ, ვითომ არაფერიც არ ვიცი და მოახლეს ვაკითხვინებ, ნებავს თუ არა ჩემი მიღება. თუ არ უნდა, ეარს შემომითვლის და ის იქნება.

ასეც მოვიქეცი, მაგრამ მაინც საშინლად ველოდი, როცა მოახლეს წინასწარ მომზადებული ფრაზა ვუთხარი. პასუხს ბნელ დერეფანში ველოდი და, ცოტას გაწყდა, უკანმოუხედავად არ გავიქეცი. მალე მოახლე უკან მობრუნდა. მე კვლავ აღგზნებული ვიყავი და მომეჩვენა, რომ მოახლემ კარგად იცოდა, თუ რა უბედურება ტრიალებდა ამ ოჯახში.

— აქეთ წამობრძანდით, ბატონო, თუ არ შეწუხდებით, — მითხრა მან. იგი სასტუმრო ოთახში შემიძღვა. ფარდები სახაპერეროდ ჩამოშვებული იყო და მისის სტრიკლენდიც იქე დამჯდარიყო, რომ სინათლე სახეზე არა ცემდა. ოთახში მისი სიძე — პოლკოვნიკი მაკ-ენდრიუც დამხვდა. პოლკოვნიკს ჩამქრალი ბუხრისათვის შეექცია ზურგი. ძალზე უდროოდ მეჩვენა ჩემი სტუმრობა. მე ხომ მოულოდნელად შემოვიჭერი და მისის სტრიკლენდმა მხოლოდ ამიტომ მიმიღო, რომ დაავიწყდა ბარათით შეეტყობინებინა. პოლკოვნიკი, ალბათ, საშინლად არის აღშფოთებული ჩემი საქციელით.

— მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მელოდით, — დავიწყე, რაც კი შემეძლო, მწყალად.

— რა თქმა უნდა, გელოდით. ენი ახლავე მოგვართმევთ ჩაის.

ამ ჩაბნელებულ ოთახშიაც კი შევამჩნიე, რომ მისის სტრიკლენდი ნამტირალევი იყო. სახე ყოველთვის ფერმიხდილი ჰქონდა, ახლა კი მთლად მიწისფერი დასდებოდა.

— ეს ჩემი სიძეა, ხომ იცნობთ? ჩემთან გავაცანით სადილზე, დღესასწაულის წინადღეებში.

პოლკოვნიკს ხელი ჩამოვართვი, მაგრამ ისე ვიყავი დარცხვენილი, რომ ენა ვერ მოვაბრუნე. ისევ მისის სტრიკლენდმა მიხსნა. მკითხა, ზაფხული როგორ გაატარეთო. მე ვუპასუხე და, როგორც იყო, მოვახერხე, რომ ჩაის შემოტანამდე საუბარი არ შემეწყვიტა.

პოლკოვნიკმა ვისკი და გაზიანი წყალი მოითხოვა და მერე ლიანდაგს მიუბრუნდა:

— ემი, კარგი იქნება ცოტა შენც დალიო.

— არა, მე ჩაი მირჩევნია, — იუარა მისის სტრიკლენდმა.

მარტო ამითაც მიხვდებოდა კაცი, რომ აქ რაღაც უჩვეულო რამ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მე არაფერი შევიმჩნიე და ყველანაირად შევეცადე საუბრის ძაფი არ გამეწყვიტა. პოლკოვნიკი კვლავ ბუხრის წინ იდგა და დუმდა.

მე ვფიქრობდი, როგორ მოიმეხერხებინა აქედან წასვლა ისე, რომ თავაზიანობის წესები არ დამერღვია. დროდადრო თავში გამიელვებდა, ნეტავი რატომ არ შემომითვალა მისის სტრიკლენდმა ფარი. რაცა მოახლეს ოდა დანაბარები ვადასცა-მეთქი. ოთახში არც ყვავილები მოჩანდა და არც ის ფერადი-ფერადი ნივთები, ოთახის დასამშვენებლად რომ ხმარობენ ხოლმე. [illegible] დასასვენებლად წასვლის წინ აელაგებინათ და ახლა ჩვეული მყუდროებისა [illegible] სიმშვიდის ნაცვლად ისეთ მწუხარებასა და მოუსვენრობას დაესადგურებინა, გევონებოდათ, აქეე, მეზობელ ოთახში მიცვალებული ასვენიაო.

მე ჩაის ფინჯანი დავცალე.

— სიგარეტს არ იწევთ? — მკითხა მისის სტრიკლენდმა და ყუთს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვა.

— მე მგონი, არა გაქვთ!

მისის სტრიკლენდი უეცრად აქვითინდა და ოთახიდან გავარდა. მე შევეცბუნდი. ახლა კი ვხვდები, რატომ ატკინა ასე გული სიგარეტების უქონლობამ. მისის სტრიკლენდს გაახსენდა, რომ სიგარეტებს ყოველთვის მისი ქმარი ყიდულობდა და მიხვდა, რომ ამიერიდან წარსულს ჯვარი დაესვა. ამიერიდან ველარ შეძლებდა ისე ეცხოვრა, როგორც მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა მოითხოვდა.

— მე მგონი, აჯობებს, რომ წავიდე. — ეუთხარი პოლკოვნიკს და ფეხზე წამოვდექი.

— ალბათ იცით, რომ ის ნაძირალამ მიატოვა, — ცხარედ წამოიძახა პოლკოვნიკმა.

მე ცოტათი შევყოყმანდი და მერე ვუპასუხე.

— ხომ იცით, ხალხი რა ჭორიანია. გაკვრით მითხრეს, რომ რაღაც ცუდ-ამბავი დაემართა.

— წაბრძანდა! პარიზში ვიქეა ელანა ქალთან ერთად. ეგი სულ უსახსროდ დარჩა.

— ძალიან მეწყინა ეს ამბავი, — ვუთხარი და გავჩუმდი, რადგან ველარაფერი მოვიფიქრე სათქმელად.

პოლკოვნიკმა ვისკი გადაკრა. იგი ორმოცდაათი წლის მაღალი, ხმელ-ხმელი, გრძელფეხა და ჭალარა მაბაეაცი გახლდათ, ცისფერი თვალები და დონდლო ტუჩები ჰქონდა. პირველი შეხვედრიდან მხოლოდ მისი ყვავისა სახე და ტრაბახი გავიხსენე. სატრაბახო მხოლოდ ისა ჰქონდა, რომ პოლო ათი წლის განმავლობაში, სანამ თადარიგში გავიდოდა, კვირაში სამჯერ თამაშობდა პოლოს.

— არა მგონია, რომ მისის სტრიკლენდს ახლა ჩემი თავი ჰქონდეს, ალბათ, გადასცემთ თუ როგორ მეწყინა ეს ამბავი. თუკი რაიმეში გამოვადგები, სიამოვნებით დავეხმარები.

პოლკოვნიკმა ყურადღება არ მიქცია ჩემს ნათქვამს და განაგრძო:

— არ ვიცი რა ეშველება. თანაც ბავშვები ჰყავს. მაგრამ ხომ ვერ აცხოვებს. ჩვიდმეტი წელია.

— როგორ თუ ჩვიდმეტი?

— ჩვიდმეტი წელია ცოლ-ქმარი არიან. — მიმიგო პოლკოვნიკმა, — მე ერასოდეს არ მომწონდა, მაგრამ ქვისლები ვიყავით და უნდა ამეტანა. თქვენ ჯენტლმენი გეგონათ, არა? არა, არ უნდა გაპყოლოდა ცოლად.

— ვითომ არ შემობრუნდება საქმე?

— ემის ერთადერთი გზაღა დარჩენია — უნდა გაშორდეს. სწორედ ამას ვეუბნებოდი თქვენს მოსვლამდე. ვალდებული ხარ შენი თავიხა და ქალების წინაშე, რომ სასამართლოში გახშორების განცხადება შეიტანო-მეთქი. ურჩევნია, თვალში არ მომხვდეს სადმე, ითრემ ისეთ ღღეს დავაკ[illegible] ველარ იცნოს.

ბიბლიოთეკა

უნებლიეთ გავიფიქრე, რომ პოლკოვნიკი მაკ-ენდრიუ ისე ადოლად ვერ შეასრულებდა ამ მუქარას, რადგან სტრიკლენდი კარგა ზორბა ვინმე გახლდათ. გავიფიქრე, მაგრამ ხმამაღლა არაფერი ვთქვი. რა საბწუხაროა, რომ შეურაცხყოფილ სათნოებას ხელარეწიფების ცოდვილის საგვემად! ის იყო მეორედ დავაპირე წასვლა, რომ მისის სტრიკლენდიც დაბრუნდა. მას ცრემლები მოეწმინდა და ცხვირზე პუდრი წაესვა.

— მაპატიეთ, თავი ველარ შევიკავე, — პოდიუმი მომიხადა მან,—მოხარული ვარ, რომ არ წახვედით.

იგი დაჯდა. ალარ ვიცოდი, რა მეთქვა. ეს ამბავი მე სულ არ შემეხებოდა და ამიტომ მოვერიდა, პირველს დამეწყო ლაპარაკი. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ქალებს ერთი გამოუსწორებელი ნაკლი ჰქონდათ: ოღონდ კი მსმენელი ეშოვათ, და ყველას სიამოვნებით გაანდობდნენ პირად საიდუმლოს. მისის სტრიკლენდი თავს ძალას ატანდა, რომ ხმა ამოეღო. ბოლოს ჯიქურ მკითხა:

— ხალხი ლაპარაკობს ამაზე?

ამით მისის სტრიკლენდმა მითხრა: ვიცი. რომ ყველაფერი გაგებული გაქვსო და უკანდასახევი გზა მომიჭრა.

— მე ეს-ეს არის დავბრუნდი ქალაქში და როზა ფოტერფილდის მეტი არავინ მინახავს.

მისის სტრიკლენდმა სიმწრით კინაღამ თითები დაიმტვრია.

— დაწვრილებით მიამბეთ, რა გითხრათ; ზუსტად მინდა ვიცოდე!

— არ იცით, ხალხი რანაირია! როზას ნათქვამი რა დასაჯერებელია, ასე არ არის? მითხრა, ქმარმა მიატოვაო.

— მეტი არაფერი?

მე ალარ ვუთხარი, რომ როზამ ბოლოს ვიღაც კაფეში მომუშავე ქალი ახსენა.

— როზას არ უთქვამს, მარტო წავიდა თუ ვინმე გაიყოლა თან?

— არა!

— აი მაგის გაგება მინდოდა.

მე კვლავ დაბნეული ვიყავი, მაგრამ იმას მაინც მივხვდი, რომ უკვე შემეძლო წავსულიყავი. როცა მისის სტრიკლენდი ხელს მართმევდა, ეუთხარი, თუკი რაიმეში გამოგადგებით, სიამოვნებით დაგეხმარებით-მეთქი.

ქალმა სეედიანად გაიღიმა და მიპასუხა:

— დიდი მადლობა. არა მგონია, ვინმემ შეძლოს ჩემი დახმარება.

მე მალიან მორიდებული ვიყავი და ველარ მოვახერხე ორიოდე სიტყვით მეთქვა, ძალიან მაწუხებს თქვენი უბედურება-მეთქი და ახლა პოლკოვნიკისაკენ მივბრუნდი გამოსამშვიდობებლად.

პოლკოვნიკმა ხელი არ ჩამომართვა:

— მეც მოვდივარ. თუ თქვენც ვიქტორიას ქუჩით მიდიხართ, ერთად წავიდეთ.

— დიახ. წავიდეთ, — მივუგე ძე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ

— საშინელი ამბავია, — ჩაილაპარაკა მაკ-ენდრიუმ, როცა ქუჩაში გავედით.

მივხვდი, თუ რატომ გამომყვა ქუჩაში: პოლკოვნიკმა ალბათ ბევრი იმსჯელა ამ საქმეზე თავის ცოლისდასთან. მაგრამ მაინც უნდოდა ჩემთანაც ელაპარაკა.

— ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ის ქალი. გაიგეთ? მარტო ის ვიცით, რომ იმ გაიძვერამ პარიზში მოუსვა.

— მე მეგონა, ტკბილად ცხოვრობდნენ.

— მართლა ტკბილად ცხოვრობდნენ, რატომ არა! ემი სწორედ თქვენი მოსვლის წინ მეუბნებოდა, რომ არასოდეს არ უჩხუბიათ ერთმანეთთან. ემის ხომ იცნობთ? მაგისთანა ქალი ბევრად არ მეგულება.

რიდვან შევიტყვე, რომ არაფერს მიმალავდნენ, გავბედე და რამდენიმე კითხვა მივეცი.

— როგორ ფიქრობთ, ხუთუ ემი ვერაფერს ხვდებოდა?

— ვერა. აგვისტოში ბავშვებიანად დაისვენა ნორფოლკში. ჩვეულებრივად იქცეოდა, სულ არაფერი ეტყობოდა. ერთი-ორჯერ ვესტუმრეთ მე და ჩემი ცოლი, გოლფიც ვითამაშე. სექტემბერში ლონდონში ჩამოვიდა, რათა თავისი პარტნიორი გაეშვა შვებულებაში, ემი კი ისევ იგარაკზე დარჩა. ოთახი თვენახევრით ჰქონდათ დაქირავებული და როცა ვადა მიიწურა, ემიმ ქმარს შეატყობინა, ამა და ამ დღეს ჩამოვდიოდეთ.

ქმარმა პარიზიდან უპასუხა. მოსწერა, გადავწყვიტე ამიერიდან შენთან ალარ ვიცხოვროთ.

— მიზეზად რა მიუტანა?

— არავითარი მიზეზი არ მიუტანია, ჩემო ძვირფასო, სულ არავითარი. წერილი ჩემი თვალით წავიკითხე. სულ ათი სტრიქონი თუ იქნება.

— საოცარი ამბავია.

ამ დროს ქუჩის მეორე მხარეს გადავდიოდით და ცოტა ხნით შეეწყვიტეთ საუბარი. პოლკოვნიკის ნათქვამი, ცოტა არ იყოს, დაუჯერებლად მეჩვენა და ვიფიქრე, ალბათ, მისის სტრიკლენდმა ყველაფერი არ გაუმხილა-მეთქი. აშკარაა, რომ კაცი, ჩვიდმეტი წლის ცოლქმრობის მერე, სულ უმიზეზოდ არ დატოვებს ცოლს. ეტყობა, ნთლად ბედნიერი ცხოვრება არა ჰქონიათ.

უცებ პოლკოვნიკის ხმა მომესმა და ფიქრი შემაწყვეტინა:

— აბა რა უნდა ეთქვა. გარდა იმისა, რომ ვიღაც ქალის გულისათვის მიატოვა ცოლ-შვილი, ალბათ, იფიქრა, ამას თვითონაც გაიგებდაო და ალარ მოსწერა. აი რანაირი ყმაწვილია!

— რას აპირებს მისის სტრიკლენდი?

— უპირველეს ყოვლისა, სიმართლე უნდა გავიგოთ. მე პარიზში მინდა წავიდე.

— სამსახურის საქმე როგორ ექნება?

— აი მანდ კი ძალიან ოსტატურად მოიქცა. მთელი წელი ემზადებოდა გასაქცევად და ისე იქცეოდა, რომ ვერავინ შეატყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავის პარტნიორსაც არაფერი უთხრა?

— არც ერთი სიტყვა!

პოლკოვნიკ მაკ-ენდრიუს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა კორიერიაზე, მე კი ამ საქმისა სულ არაფერი მესმოდა, ამიტომ სრულებით ვერ გავარკვიე, თუ რა მდგომარეობაში დატოვა ნისტერ სტრიკლენდმა თავისი ბიზნესი. იმას კი მივხვდი, რომ მიტოვებული პარტნიორი ძალზე გაცეცხლებული ყოფილა და თურმე სასამართლოთი ემუქრებოდა გაქცეულს. როგორც იტყოდა, სტრიკლენდს ოთხასი-ხუთასი გირვანქა მაინც უნდა ამოეყაფა საკუთარი ჯიბიდან.

— კიდევ კარგი, რომ ავეჯი ემის სახელზეა გაფორმებული. ეს მაინც შერჩება.

— ალბათ, ამ ვალს გულისხმობდით, როცა მითხარით სულ უსახსროდ დატოვაო.

— რა თქმა უნდა. სულ ორასი-სამასი გირვანქა აქვს და ეს ალბა.

— კი მაგრამ, როგორ უნდა იცხოვროს?

— რა ვიცი!

საქმე უფრო და უფრო იხლართებოდა და პოლკოვნიკი, იმის მაგივრად, თან გავერკვიე, ბრაზობდა, რაღაცას მიედ-მოედებოდა და კიდევ უფრო მაბნეველა. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა შევნიშნეთ ახალა „არმიისა და ფლოტის მაღაზიის" საათს და გაახსენდა, რომ კლუბში კარტის სათამაშოდ იყო წასასვლელი. მაკ-ენდრიუმ დამტოვა და მე სენტ-ჯეიმსის პარკის ხეივანს დავუსვი.

თავი მეათე

ორიოდე დღის მერე მისის სტრიკლენდმა ბარათი გამოგზავნა — თუ შეგიძლიათ, დღეს საღამოს მნახეთო.

იგი ნარტო დამხვდა შინ. შავი, სადა კაბა ეცვა, როგორიც მის მდგომარეობაში ზეოფს შეეფერებოდა. ძაშინ გულუბრყვილო ვიყავი და ძალიან გამიკვირდა, როგორ შეუძლია ესოდენ დამწუხრებულ ქალს, კიდევ იმაზე იფიქროს, თუ როგორი ჩაცმა და მოქცევა შეეფერება-მეთქი.

— თქვენ მითხარით, თუკი რაიმეში გამოგადგებით, მიმსახურეთო, არა? — მომმართა მისის სტრიკლენდმა.

— დიახ. რასაკვირველია.

— პარიზში ვერ წახვალთ, ჩარლისთან?

— მე?

პირდაპირ გავოგნდი. გამახსენდა, რომ ჩარლი მხოლოდ ერთხელ მყავდა ნახული. ვერ მივხვდი, თუ რა უნდა დაეეალებინა მისის სტრიკლენდს ჩემთვის.

— ფრედი ამბრეგს წასულია (ფრედი პოლკოვნიკ მაკ-ენდრიუს ერქვა). ბაგრამ, მე მგონი, ტეტრო გაიფუჭებს საქმეს. თქვენს მეტი ალბად ეგეგულება...

ქალი ხმა აუკანკალდა და ვიგრძენი, რომ ჩემგან ყოყმანი არ ეგებოდა.

— კი მაგრამ, მე და თქვენს ქმარს ათი სიტყვა ვერ გავეცვალეთ ზედიზედ ერთმანეთისათვის. ვერც კი გამიხსენებს. ალბათ, მაშინვე [illegible] თაკიდან მოშუყდით.

— მაგით ორივეერი დაგიშალეგიათ, — ღიმილით დამამშვიდა მისის სტრიკლენდმა.

— მაინც რა ვინდათ, რომ ეუთხრა?

ქალმა პირდაპირი პასუხი არ გასცა:

— მე მგონი, პირიქით, უკეთესიცაა, რომ არ გიცნობთ. იცით, იმას თავიდანვე არ მოსწონდა ფრედი. სულელად მიაჩნდა. საერთოდ, სამხედროებს ვერ იტანდა. ფრედი თავს ვერ შეიკავებს, იჩხუბებენ და საქმე სულ წახდება. თუ იტყვით, რომ მე გაგაგზავნეთ, აუცილებლად მოგისმენთ.

— მე და თქვენ დიდი ხნის საცნობობა არა გვაქვს და ვერ წარმოგიდგენია, როგორ უნდა ვიკისრო ამისთანა საქმის მოგვარება — მე ხომ ყველაფერი არ ვიცი. არ მინდა, ამისთანა რაიმეში ჩაგყო ცხვირი, რაც მე არ შემეხება. რატომ თქვენ თვითონვე არ წახვალთ და არ მოელაპარაკებით?

— ხომ არ გავიწყდებათ, რომ იგი მარტო არ არის პარიზში?

მე ხმა გავიკმინდე. შემდეგ წარმოვიდგინე, რომ ჩარლზ სტრიკლენდთან ჩავედი და საგიზიტო ბარათი შევუგზავნე. ის უკვე გამოვიდა ჩემთან, ბარათი ცერია და საჩვენებელი თითით უჭირავს:

„რას უნდა ვუბადლოდე თქვენს მობრძანებას?“

„მოვედი, რათა თქვენი მეუღლის შესახებ მოგელაპარაკოთ“.

„მართლა? აი, ცოტა ხანი რომ მოგემატებათ, მიხვდებით, რომ ყოველთვის სჯობს, კაცმა საკუთარ საქმეს მოუაროს. თუ კეთილინებებთ და ოდნავ მიაბრუნებთ თავს მარცხნივ, კარს დაინახავთ. კარგად ბრძანდებოდეთ!“

ვგრძნობდი, რომ ახლა უარის თქმა სირცხვილი იყო და ვნანობდი, ასე ადრე რომ ჩამოვედი ლონდონში. უკეთესი იყო მაშინ ჩამოვსულიყავი, როცა მისის სტრიკლენდი მოგვარებდა თავის საქმეს. მალულად შევავლე თვალი ქალს. იგი ფიქრებში ჩაფლულიყო. ცოტა ხნის შემდეგ შემომხედა, ღრმად ამოიოხრა და გამიღიმა.

— ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა... ჩვენ ჩვიდმეტი წელია ცოლქმარი ვართ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩარლის ვინმე შეუყვარდებოდა. ძალიან კარგად ვეწყობოდით ერთმანეთს. რასაკვირველია, მე ბევრი ისეთი რამ მომწონდა, რასაც ის ყურადღებასაც არ აქცევდა.

— გაარკვიეთ, ვინ არის, — მე სიტყვას დავუწყე ძებნა, — ვინ არის ის პიროვნება, ვისთანაც ერთად წავიდა ჩარლზი?

— არა, იმას არავინ იცნობს. ძალზე საოცარია. ჩვეულებრივ, როცა კაცი ვინმეს წაიყვარებს, ან კაფეში დაინახავენ, ან სჩვეგან და მეგობრები მაშინვე ატყობინებენ ხოლმე ცოლს, მე კი არავის გავუფრთხილებივარ, არავის არაფერი უნიშნებია. ეს წერილი მეზიზით დამეცა თავს. მე მეგონა, რომ ძალიან ბედნიერი იყო...

საწყალმა ქალმა ტირილი დაიწყო.

ისე შემეცოდა, რომ აღარ ვიცოდი რა მექნა, მაგრამ მალე ისევ დამშვიდდა.

— სიცოცხლელის დრო არა მაქვს, — თქვა მან და ცრემლები მოიწმინდა, — უნდა გადავწყვიტო, როგორ აჯობებს და ისე მოვიქცე. — მან ცოლი ბინეულ-დაბნეულად განაგრძო თხრობა. ჯერ ახლო წარსული გაიხსენა, მერე პირველი შეხვედრა, დაქორწინება და თანდათან მთელი თავიანთი ცხოვრება გადმოშალა თვალწინ. თითქმის ისე გამოდგა, როგორც ვფიქრობდი: ჩარლზ სტრიკლენდის ბაბა ინდოეთში მუშაობდა. პენსიაზე გასვლის შემდეგ იქვე დარჩენილა. მაგრამ ცოლ-შვილი ყოველ ზაფხულს ჩამოჰყავდა ისტბორნში. მის ქალიშვილს სწორედ აქ გაუცნია ჩარლზ სტრიკლენდი. ქალიშვილი ოცი წლისა ყოფილა, ვაჟი — ოცდასამის. ისინი ტენისს თამაშობდნენ, სანაპიროზე სეირნობდნენ და ზანგი მომღერლების კონცერტებზე დადიოდნენ. ქალმა ერთი კვირით აღრე, ვიდრე ვაჟი ხელს სთხოვდა, გადაწყვიტა, მისი ცოლი უნდა გავხდეო. ისინი ლონდონში დასახლდნენ. ჯერ ჰემპსტედში ცხოვრობდნენ და მერე, როცა ცოტათი წელი მოიმაგრეს, შიგ ქალაქში გადმოვიდნენ.

მერე შვილები შეეძინათ.

— ორივე ძალიან უყვარდა. კარგი, ვთქვათ, მე მოვბეზრდი, რა გულმა უქნა, რომ შვილები დატოვა? პირდაპირ წარმოუდგენელია. ჯერ ყველაფერი სიზმარი მგონია.

ბოლოს ქმრის გამოგზავნილი წერილი მიჩვენა. დიდი ხანია მეწადა მისი წაკითხვა, მაგრამ თხოვნას ვერ ვუბედავდი.

„ძვირფასო ცმი,

იმედია, შენ ყველაფერი რიგზე დაგხვდება. ენს გადაეცი შენი განკარგულებები და რომ ჩამოხვალთ, სადილი გამზადებული იქნება შენთვისა და ბავშვებისათვის. მე არ დაგხვდებით. გადავწყვიტე, ცალკე ვიცხოვრო და ამ დღითან პარიზს მივემგზავრები. ამ წერილს იქიდან გამოგიგზავნი. უკან აღარ დავბრუნდები. ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა.

მარად შენი ჩარლზ სტრიკლენდი“.

— არავითარი განმარტება, არავითარი სინანული. განა ეს ადამიანობაა?

— მერად უცნაური წერილია. ჩვეულებრივ, ასეთ დროს სულ სხვანაირად წერენ ხოლმე.

— მხოლოდ ერთი რაიმეთი შეიძლება აიხსნას ყველაფერი: იგი სხვა ადამიანად იქცა. არ ვიცი, ვინ არის ის ქალი, რომელმაც ასე ჩაიგდო ხელში, მაგრამ იმან თლად გადაასხვაფერა. ეტყობა, ეს კარგა ხნის ამბავია.

— საიდან იცით?

— ფრედმა გამოარკვია. ჩემი ქმარი კვირაში სამჯერ-ოთხჯერ დადიოდა კლუბში ბრიჯის სათამაშოდ. ფრედი იმ კლუბის ერთ-ერთ წევრს იცნობს და ლაპარაკში უთხრა, ჩარლზი ბრიჯის დიდი მოყვარულიაო. ის კაცი ძალიან გაოცებული დარჩა და უთხრა, ჩარლზი ქალალდის სათამაშო ოთახში ჩემს დღეში არ მინახავსო. ახლა აშკარაა, მე რომ კლუბში მევონა, მაშინ იმ ქალთან იყო.

ცოტა ხანს ორივენი ვდუმდით. მერე ბავშვები გამახსენდა და ვკითხე:

— წარმოიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდით, როცა რობერტს გაუმხილეთ ყველაფერი.

— ოჰ, არა, მე სიტყვაც არ მითქვამს არც ერთისათვის. ჩვენ ხომ სკოლის

დაწყების წინ ჩამოვედით. საიმისო ჭკუა მეყო, რომ მეთქვა, მამათქვენი საქ-ნეზე გამოიძახეს-მეთქი.

ალბათ, ძალზე ძნელი იყო, რომ მისის სტრიკლენდს გულში ბიუკლა დარ-ჩა და შვილებისათვის არაფერი შეემჩნევინებინა. თანაც, განა ადვილი იყო ბავშვების სკოლაში გაშვება? რამდენი წვრილმანი უნდა დაეფარა. ქალს კვლავ აუკანკალდა ხმა...

— რა ეშველებათ ჩემ საწყალ ბავშვებს? როგორ უნდა ვიცხოვროთ? — იგი ცდილობდა, გამაგრებულიყო. ვხედავდი, როგორ კუმშავდა და შლიდა თითებს. საცოდავი სანახავი იყო.

— რა თქმა უნდა, მე წავალ პარიზში, თუკი მიგაჩნიათ, რომ აქედან რაიმე გამოვა, მაგრამ ზუსტად უნდა მითხრათ რას მავალებთ.

— მე მინდა, რომ უკან დაბრუნდეს.

— პოლკოვნიკმა მაკ-ენდრიუმ მითხრა, რომ თქვენ განქორწინება გინ-დათ.

— არასოდეს არ დავთანხმდები განქორწინებაზე! — გაცეცხლდა მისის სტრიკლენდი, — აი ასე გადაეცით. ვერასოდეს ვერ შეირთავს იმ ქალს. მე ნაკლებ ჯიუტი კი არა ვარ. არასოდეს არ გავშორდები. ბავშვებზე ხომ უნდა ვიფიქრო.

ბოლო სიტყვები, ეტყობოდა, ეზიზღომ დაამატა. რომ ეჩვენებინა — მარტო ჩემს თავზე არა ვზრუნავო, მაგრამ, მე მგონი, დედობრივი მზრუნველობა კი არა, სრულიად ჩვეულებრივი ეჭვი ალაპარაკებდა.

— ისევ გიყვართ?

— არ ვიცი. მინდა, რომ დაბრუნდეს. თუ დაბრუნდა. წარსულს დავიწყებას მივცემთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვიდმეტი წელია ერთადა ვართ. მე წვრილ-მანი ქალი არა ვარ. რაც უნდა ისა ქნას, ოღონდ მე არ გავიგო. უნდა იცოდეს, რომ ეს გატაცება დიდხანს არ გასტანს. თუ ახლავე დაბრუნდება უკან, ყველა-ფერი მიწყნარდება და ვერავინ ვერაფერს გაიგებს.

ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა, რომ მისის სტრიკლენდს ასე ეშინოდა ჭორების. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქალი ხალხის აზრს. ხშირად იგი ყველაზე გულწრფელ გრძნობასაც კი შეაწირავს ხოლმე მსხვერპლად ამ აზრს.

სტრიკლენდის მისამართი ვიცოდით. როცა მისმა კომპანიონმა მრისხანე წერილი გაუგზავნა ბანკს, სადაც აღნიშნავდა, გაქცეული თავის ადგილსამყო-ფელს მალავსო, სტრიკლენდმა ცინიკური და დამცინავი პასუხი გამოუგზავნა და თავისი ზუსტი მისამართიც შეატყობინა. როგორც ჩანდა, იგი სასტუმროში ცხოვრობდა.

— მე არასოდეს გამიგონია ამ სასტუმროს სახელი, მაგრამ ფრედს სცოდნია. ძალიან ძვირი სასტუმროაო, თქვა,—შენიშნა მისის სტრიკლენდმა და სახეზე ალმური შემოენთო.

მაშინვე მივხვდი, რომ წარმოიდგინა, თუ როგორ დასეირნობს ჩარლზი ფუფუნებით მორთულ ოთახებში, როგორ სადილობს საუკეთესო რესტორ-ნებში, დღეებს იპოდრომზე ატარებს, საღამოებს კი — თეატრებში.

— ასე დიდხანს ვერ გაძლებს. ბოლოს და ბოლოს, ორმოცი წლისაა. მეს-მის, აბალგაზრდა იყოს, მაგრამ ამ ხნის კაცი რომ ასე იქცევა, ამაზე საშინელი

არაფერია. ჩვენ ხომ უკვე მოზრდილი შვილები გვყავს. არა, მაგის ჯანმრთელობა ამას ვერ გაუძლებს.

ქალი ხან ბრაზობდა ქმარზე, ხან კი ეცოდებოდა იგი.

— უთხარით, რომ ჩვენი სახლი მოუთმენლად ელოდება. ჩვენ არაფრისათვის გვიხლია, მაგრამ მაინც ყველაფერი სხვანაირია. [illegible] რომ მე უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია, რომ მირჩევნია თავი [illegible], გახსენეთ ჩვენი წარსული, ყველაფერი, რაც თავს გადაგვხდომია. ბავშვება რა უნდა უპასუხოს შენმა ცოლმა, როცა მოგიკითხავენ-თქო? მისი ოთახი ისევეა, როგორც დატოვა და ელოდება, ჩვენც ყველანი ველოდებით!—და მისის სტრიკლენდმა ჯერ დაწვრილებით მითხრა, რა უნდა გადამეცა მისი ქმრისათვის, მერე კი ასევე დაწვრილებით მიკარნახა, თუ როგორ უნდა გამეგამთლებინა ყველა არგუმენტი, რომელსაც, ალბათ, თავის დასაცავად წამოაყენებდა მისი ქმარი.

— თქვენ ხომ ყველაფერს გააკეთებთ ჩემს დასახმარებლად? — საწყალად მკითხა მისის სტრიკლენდმა ბოლოს, — აუწერეთ, თუ რა ღლეში ვარ, ვიგრძენი, რომ უნდოდა, როგორმე გული ამეჩვილებინა მისი ქმრისათვის. ახლა უკვე შოურიდებლად ტიროდა. ძალიან შემეცოდა ქალი, საშინლად გაბრაზდი, რომ სტრიკლენდმა ასეთი სიმკაცრე და გულცივობა გამოიჩინა, და დავპირდი, ყოველხაირად ვეცდები, უკან დავაბრუნო-მეთქი. დავთანხმდი, რომ მეორე დღესვე წავიდოდი პარიზში და სანამ რაიმეს არ მივაღწევდი, უკან არ დავბრუნდებოდი. რაკი უკვე გვიან იყო და ამდენმა განცდებმაც ძალიან დაგვღალა ორივე, წამოვდექი და დავემშვიდობე.

თავი მეთერთმეტე

პარიზში კი წავედი, მაგრამ გზაში ყველაფერი აეწონ-დაეწონე და მივხვდი, რომ დავალებას ვერ შევასრულებდი. ახლა, როდესაც მისის სტრიკლენდის საცოდაობას არ ვუმზერდი, შემეძლო უფრო მშვიდად განმესაჯა ყველაფერი და, თუმცა ძალიან ვეცადე, ვერაფრით ვერ ავხსენი, რატომ ეწინააღმდეგებოდა მისის სტრიკლენდის საქციელი მის სიტყვებს. ეჭვი არაა, რომ იგი მართლა ძალზე განიცდიდა თავის უბედურებას, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ყოველნაირად ცდილობდა დაეერწმუნებინე, მეტისმეტად უბედური ვარო. იმასაც მივხვდი, რომ წინასწარ იყო მომზადებული სატირლად, რადგან რამდენიმე ცხვირსახოცი მოემარაგებინა.

მე აღტაცებული ვიყავი ასეთი თადარიგიანობით, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი წუხილი მთლად გულწრფელი აღარ მეჩვენებოდა. უკვე აღარ ვიცოდი, რატომ უნდოდა, რომ ქმარი დაბრუნებოდა — კვლავ უყვარდა, თუ ხალხისა რცხვენოდა.

მე ვეჭვობდი, მისის სტრიკლენდს ყველაზე უფრო ის უკლავს გულს, რომ მის სიყვარულს ხელი ჰკრეს და თავმოყვარეობა შეულახეს-მეთქი. ამაზე წუხილი კი ჩემი ახალგაზრდობისა და ვამოუცდელობის გამო საამარცხვინოდ მიმაჩნდა ქალისათვის. მაწინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ რა წინააღმდეგობებით არის აღსავსე ადამიანის ბუნება. არ ვიცოდი, რომ ხშირად ყველაზე გულწრფელი ადამიანიც კი პოზიორობს, კეთილშობილი — სიბილწეს სჩადის, გაიძ-

ვერა კი — სიკვდილს, მაგრამ ჩემი მოგზაურობა რაღაცით სათავგადასავალო რომანს წააგავდა და ამიტომ პარიზს რომ მივუახლოვდი, ხასიათი გამომიკეთდა. ახლა სხვისი თვალით შევხედე ჩემს თავს და ძალზე მომეწონა ერთგული მეგობრის როლი. ეს მეგობარი გზასაცდენილ ქმარს ოჯახში [illegible] და ცოლიც დანაშაულს შეუნდობდა მას.

ბიბლიოთეკა

გადავწყვიტე, სტრიკლენდი მეორე საღამოს მენახა. ვგრძნობდი, რომ ნახვის დრო გულდასმით უნდა შემერჩია. ჭამის წინ, მაგალითად, გრძნობებზე ლაპარაკი უაზრობაა. იმ დროს გამუდმებით სიყვარულზე ვფიქრობდი, მაგრამ ვერც კი წარმომედგინა, რომ ადამიანს ჩაის დალევამდე მიეცა თავი ოჯახური ნეტარებისათვის.

როცა დავბინავდი, ჩარლზ სტრიკლენდის სასტუმროს მისამართი ვიკითხე. სასტუმროს „დე ბელჟი" ერქვა. კონსიერჟმა, ჩემდა გასაკვირად, მითხრა, ასეთი სასტუმრო არც გამიგონიაო, მე კი მისის სტრიკლენდისაგან ვიცოდი, რომ „დე ბელჟი" დიდი და მდიდრული სასტუმრო იყო და რომ იგი სადღაც რივოლის ქუჩის ახლომახლო მდებარეობდა. ცნობარი მოვიშველიეთ და დავადგინეთ, რომ ამ სახელწოდების სასტუმრო მხოლოდ მუანის ქუჩაზე იყო, ეს ქუჩა კი საკმაოდ მიგდებულ რაიონში გახლდათ. თავი გადავაქნიე და ჩავილაპარაკე: „დარწმუნებული ვარ, რაღაც შეგვეშალა-მეთქი".

კონსიერჟმა მხრები აიჩეჩა. პარიზში მეორე ასეთი სახელწოდების სასტუმრო არ არსებობდა. უცებ თავში გამიელვა, რომ სტრიკლენდმა დაცალა თავისი ნამდვილი ადგილსამყოფელი. ალბათ, განგებ გაუგზავნა თავის კოშტანიონს ეს მცდარი მისამართი — უნდოდა ოინი მოეწყო მისთვის. რატომღაც ვიფიქრე, რომ სწორედ სტრიკლენდისაგან იყო მოსალოდნელი ასეთი რამ. აბა წარმოიდგინე, რა ხასიათზე დადგებოდა ისედაც გაცოფებული მაკლერი, როცა პარიზში ჩამოვიდოდა და სადღაც მიგდებულ ქუჩაზე მდებარე საეჭვო სასტუმროს მიადგებოდა. მაინც გადავწყვიტე, რომ აჯობებდა წავსულიყავი და ჩემი თვალით შენახა.

მეორე დღეს, ექვსი საათისათვის, კვბი დავიქირავე და მუანის ქუჩაზე წავედი. ქუჩის კუთხესთან გავაჩერებინე და ჩამოვედი. მინდოდა, ფეხით გაბეგლო და, სანამ შევიდოდი, გარედან დამეთვალიერებინა ეს სასტუმრო. ქუჩაზე პატარ-პატარა მაღაზიები იყო ჩარიგებული, რომლებშიც ღარიბული საქონელი გამოეფინათ. ცოტა რომ გავიარე, ხელმარცხნივ სასტუმრო „დე ბელჟი" დავინახე. ჩემი სასტუმრო საკმაოდ უბრალო იყო, მაგრამ ამასთან შედარებით სასახლედ მოეჩვენებოდა კაცს. „დე ბელჟი" ერთი აწოწილი, გასაცოდავებული სახლი გახლდათ. ალბათ, უკვე მრავალი წელი იყო, რაც არ შეეღებათ და ისე ბინძურად გამოიყურებოდა, რომ გვერდით მდგომი სახლები სუფთა გეგონებოდათ. ჭუჭყიანი ფანჯრები მჭიდროდ იყო მიხურული.

არა, ნამდვილად წარმოუდგენელი იყო, რომ ჩარლზ სტრიკლენდს აქ მოეყვანა ის უცნობი ფერია, რომელმაც სინდისიც დაავიწყა და მიგვალეობაც. ალბათ, სადმე, უფრო მდიდრულ ადგილას ტკბებოდნენ მოპარული სიყვარულით. მივხვდი, რომ სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და გაბრაზებულმა უკან დაბრუნება დავაპირე. მაგრამ მერე მაინც შევედი სასტუმროში. ვიფიქრე, მისის სტრიკლენდს ვეტყვი, რაც კი შემეძლო, ცდა არ დავაკელი-მეთქი.

შესასვლელი რომელიღაც მაღაზიის გვერდზე იყო. კარი ღია დაეტოვები-

ნათ. შიგნით წარწერა დავინახე: „Bureau au premier“ [1]. ვიწრო კიბეს ავუყევი და პატარა შემინულ ჯიხურს მივადექი. შიგ მაგიდა და. ორიოდე სკამი მოჩანდა. გარეთ მოგრძო სკამი იდგა, რომელზედაც, ალბათ, სართულის მორიგე ატარებდა თავის მოუსვენარ ღამეებს. ახლომახლო არავინ ჩანდა, მაგრამ იქვე ელექტრონის ღილაკი შევნიშნე, რომლის ქვეშ ეწერა: „garçon“ [2]. თუ არა, ვილაც კუშტი. ქვეშ-ქვეშად მზირალი ახალგაზრდა გამოჩნდა: ტანზე ჟილეტი ეცვა, ფეხები ჭოშებში წაეყო.

არ ვიცი რატომ, მაგრამ მეტად ჩვეულებრივი ტონით ვკითხე: შემიძლია-ვით აქ მისტერ სტრიკლენდი ხომ არ ცხოვრობს-მეთქი. ბიჭმა მაშინვე მიპასუხა:

— ოცდამეთორმეტეშია, მეექვსე სართულზე.

ისე გამიკვირდა, რომ ერთხანს ხმა ველარ ამოვიღე. ბოლოს ვკითხე:

— შინ ყოფილა?

ბიჭმა გასაღების დაფას შეხედა:

— გასაღები არ დაუტოვებია. შინ იქნება, ალბათ.

გადავწყვიტე კიდევ ერთი კითხვა მიმეცა:

— Madame est la? [3]

— Monsieur est seul [4].

ბიჭმა ეჭვიანი მზერა გამომაყოლა, როცა ბნელსა და დახუთულ კიბეს დავადექი. იქაურობა საშინლად ყარდა. მესამე სართულზე რომ ავედი, ვილაც ხალათმოსილმულმა, თმაგაწეწილმა ქალმა გამოაღო ოთახის კარი და სანამ თვალს არ მოვეფარე, მდუმარედ მიმზერდა. ბოლოს, როგორც იყო, მივაღწიე მეექვსე სართულს და ოცდამეთორმეტე ოთახის კარზე დავაკაკუნე. შიგნით რაღაცა გახმაურდა. შემდეგ კარი სანახევროდ გაიღო და ჩარლზ სტრიკლენდი დავინახე. მას სიტყვა არ დაუძრავს. აშკარა იყო, ვერ მიცნო.

ჩემი ვინაობა ვუთხარი. შევეცადე, რომ მშვიდად და თავისუფლად დამეჭირა თავი.

— თქვენ ალბათ გახსოვართ, მე წელს იცლისში მქონდა ბედნიერება თქვენთან მესადილა.

— შემოდით, — გულღიად შემიპატიჟა მან, — ძალიან მოხარული ვარ. დაბრძანდით.

ოთახში შევედი. იგი პატარა იყო და თანაც ალაგით გამოჭედილი. ასეთ ალაგს ფრანგები ლუი-ფილიპის სტილისას უწოდებენ. ხის ფართო საწოლზე წითელი საბანი ეფარა, კუთხეში ტანსაცმლის უზარმაზარი კარადა იდგა, ოთახის შუაგულში — მრგვალი მაგიდა. აქვე იყო პაწაწინა პირსაბანი და ორი რბილი სკამი, რომელთაც წითელი რეპსი ჰქონდა გადაკრული. ყველაფერი ბინძური და შელანძღული იყო. არსად არ ჩანდა იმ დიდკაცური ფუფუნების ნიშანი, რომელსაც ასე თვალნათლივ მიხატავდა პოლკოვნიკი მაკ-ენდრიუ.

სტრიკლენდმა ერთ-ერთი სკამზე დახვავებულ ტანსაცმელს იატაკზე გადა-

---

[1] ბიურო პირველ სართულზეა.

[2] ბიჭი, აქ: მსახური.

[3] ქალბატონი იქ არის?

[4] ბატონი მარტო გახლავთ.

უძახა და სკამი ჩემკენ მოიჩოჩა. როცა დავჯექი, მკითხა, რით შემიძლია გემსახურითთ.

ამ პატარა ოთახში სტრიკლენდი კიდევ უფრო ბრგე მოჩანდა, ვიდრე მე მახსოვდა. ტახთ განიერი ქამრიანი ქურთუკი ეცვა, საკმაოდ გაქცევლი. წვერი მოეშვა. ბოლოს რომ ვნახე, მშვენივრად ეცვა, მაგრამ, ეტყობოდა, მთლიად კარგად ვერა გრძნობდა თავს იმ მოხდენილ ტანსაცმელში, ალბათ ეჯაჭულ-დაჯაჭული და დაუვარცხნელი, ძალზე გალღეებული გამოიყურებოდა.

არ ვიცოდი, როგორ შეხვდებოდა ჩემ მიერ წინასწარ მომზადებულ ფრაზას, მაგრამ, რაღა გზა შქონდა.

— მე თქვენი მეუღლის დავალებით მოვედი!

— სწორედ ახლა ვაპირებდი ოთახიდან გავსულიყავი და სადილის წინ ცოტა გადამეკრა. კარგი იქნება, თუ თქვენც წამომყვებით. აბსენტი გიყვართ?

— შემიძლია დავლიო.

— მაშინ წავედით.

მან მტვრიანი ქვაბურა ქუდი დაიხურა და მითხრა:

— ჩვენ შეგვიძლია ერთადაც ვისადილოთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ გავიწყლებათ, რომ ერთი სადილი გმართებთ ჩემი.

— რა თქმა უნდა, მახსოვს. მარტო ბრძანდებით?

მე მომეწონა, რომ ასე ბუნებრივად დავუსვი ეს საჩოთირო კითხვა.

— ჰო, რა თქმა უნდა. მართალი მოგახსენოთ, სამი დღეა კაციშვილს არ დავლაპარაკებივარ. ჩემი ფრანგული, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს.

კიბეზე რომ ჩავდიოდი, სულ იმის ფიქრში ვიყავი, ნეტავი სად გაქრა ის ვოგონა, კაფედან რომ წამოიყვანა-მეთქი. ნუთუ უკვე წაიჩხუბნენ? ან იქნებ სტრიკლენდს უკვე გაუარა ამ გატაცებამ? ეს ძნელი წარმოსადგენი იყო, რადგან იგი მთელ წელიწადს ემზადებოდა აქ გამოსაქცევად.

ჩვენ კლიშის ქუჩაზე გავედით და ერთ მოზრდილ კაფეს მივადექით. მაგიდები პირდაპირ ქუჩაში იყო გამოდგმული. ერთ-ერთი ამოვირჩიეთ და მიეუსხედით.

თავი მეთორმეტე

კლიშის ქუჩაზე ამ დროს უამრავი ხალხი ირეოდა და თუკი ოდნავ მოიშველიებდი ფანტაზიას, ყველა გამვლელში შეგეძლო ნახატვრული ნაწარმოების მდიდრიო პერსონაჟი ამოგეცნო. აქ ნახავდით კლერკებსა და გამყიდველ ქალებს, ნახავდით მოხუცებს, რომლებიც თითქოს ონორე დე ბალზაკის რომანებიდან იყვნენ გადმოსულნი. აქვე ტრიალებდნენ იმ ხელობის ქალები და ბიჭები, რომლებიც კაცობრიობის ზნეობრივი სისუსტის ხარჯზე შოულობენ ლუკმაპურს. პარიზის ღარიბ კვარტალებში ჭორები ენებებია დაბუდებული. ადამიანს აქ სასხლი უდგეს და ყველაფერია მოსალოდნელი.

— პარიზს კარგად იცნობთ? — ვკითხე სტრიკლენდს.

— არა. თიფლის თვე გავატარეთ აქ. მერე არც ვყოფილვარ.

— ღვთის ფულისათვის, მითხარით, რატომ დაბინავდით ამ სასტუმროში?

— მირჩიეს. იაფფასიან სასტუმროს ვეძებდი.

ამ დროს აბსენტი მოიტანეს. ჩვენც ლაპარაკი შევწყვიტეთ და გულმოდგინედ შევუდექით შაქრის ღინამვას.

— ეს მგონი, აჯობებს ახლავე გითხრათ, თუ რატომ ჩამოვედი ჩქვენთან, — დაიწყო, ცოტა არ იყოს, მორიდებითა და აღელვებით.

ჩარლზ სტრიკლენდმა ღიმილით გააქნია თავი.

— ვიცოდი, რომ, აღრე თუ გვიან, ვინმე მომიკითხავდა. ეს ერთ ულამაზავი წერილი გამოგზავნა

— მაშინ მშვენიერად გეცოდინებათ, რა უნდა გითხრათ.

— არც კი წამიკითხავს ის წერილები.

დროის მოსაგებად სიგარეტს მივეძალე. უკვე აღარ ვიცოდი, თუ როგორ მომეფლო ამ საქმისათვის. წინასწარ მომზადებული რიტორიული ფრაზები აქ, კლიშის ეტაპზე, უადგილოდ მიმეჩვენა. აქ არც მაღალფარდოვნება გამოდგებოდა, არც კიცხვა და შეგონება.

ეცდა სტრიკლენდმა ჩაიფიქრა:

— ძალიან ოხრული დავალებაა, არა?

— ჰო, არც კი ვიცი, რა ვთქვა.

— კარგი, მომისმინეთ, ჩქარა ამოღერღეთ ყველაფერი და მერე ჩვენს გემოზე გავატაროთ ეს საღამო.

ცოტა ხანს ვიყოყმანე. მეთქვა თუ არა რაიმე, მერე ვკითხე:

— გაგივლიათ თუ არა თავში, რომ თქვენი მეუღლე ძალიან უბედურია?

— გადაუვლის.

არ შეიძლება გიამოგცეთ, თუ როგორ უგულოდ იყო ნათქვამი ეს სიტყვა. დავიბენი, მაგრამ ყველანაირად შევეცადე არ შემემჩნია. მერე ისე დავუწყე ლაპარაკი, ბიძაჩემმა, მღვდელმა ჰენრიმ რომ იცოდა, როცა უნდოდა, თავისი მრავალი საქველმოქმედო საზოგადოებაში შესვლაზე დაეყოლიებინა.

— ხომ არ გეწყინებათ, რომ გულახდილად გელაპარაკოთ?

ჩარლზ სტრიკლენდმა ღიმილით გააქნია თავი.

— არ მეწყინება.

— განა თქვენი ცოლი ამის ღირსია?

— არა.

— განა რაიმე გაწყენინათ?

— არაფერი.

— მაშინ განა სიმხეცე არ არის თქვენი საქციელი? ჩვიდმეტი წელი ერთად ცხოვრობდით და ეცემ ყოველგვარი საბაბის გარეშე მიატოვეთ!

— სიმხეცეა.

მე გაოცებით შევაჩერდი სტრიკლენდს. იგი ხალისით მეთანხმებოდა ყველაფერზე და უკვე აღარ ვიცოდი რა მეთქვა. ძალიან სასაცილო დღეში ჩავვარდი: თავიდანვე საამისოდ ვემზადებოდი, რომ დამერწმუნებინა, შემეგონებინა, ჭკუაზე მოვეყვანა, გამეფრთხილებინა, ნაუსხე შემეგდო, თუ საჭირო იქნებოდა, გამელახძღა, გამეთრია და სასხარად ამეგდო კიდეც. მაგრამ, რა ჯანდაბა უნდა ქნას მოიდვარმა, თუკი ცოდვილი უყოყმანოდ აღიარებს თავის დანაშაულს? არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი ასეთ შემთხვევაში, რადგან მე თვითონ ყოველთვის ჯიუტად უარვყოფდი ხოლმე ყოველგვარ ბრალდებას.

— კიდევ რას იტყვით? — მკითხა სტრიკლენდმა.

შევეცადე სახეზე ზიზღი გამომეხატა:

— რაღა უნდა გითხრათ, თუკი თვითონვე გრძნობთ თქვენს დანაშაულს?!

— მართალია, რაღა უნდა მითხრათ.

ვიგრძენი, რომ მაინცდამაინც მარჯვედ ვერ ვასრულებ [illegible]ებას და კიბრაზდი:

— ეშმაკმა დალახვროს, განა შეიძლება ქალის ასე უფულოდ დატოვება?

— რატომაც არა?

— როგორ უნდა იცხოვროს?

— ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მე ვარჩენდი. რა უშავს, რომ ახლა თვითონ არჩინოს თავი?

— არ შეუძლია.

— სცადოს, იქნებ შეუძლია?

ამაზე მრავალგვარი პასუხის გაცემა შემეძლო. შემეძლო მელაპარაკა ქალების ეკონომიურ მდგომარეობაზე საზოგადოებაში, შემეძლო შემეხსენებინა ის ვალდებულება, რომელსაც მამაკაცი კისრულობს, სიტყვიერად თუ უსიტყვოდ, როცა ცოლს თხოულობს და მრავალი სხვა, მაგრამ უცებ მიყვედი, რომ ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ერთ გარემოებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა და გკითხე:

— ახლა გიყვართ?

— არა.

საკითხი ადამიანთა ურთიერთობას შეეხებოდა და ამდენად ფრიად სერიოზული გახლდათ, მაგრამ სტრიკლენდი ისე თამამად და უტიფრად მპასუხობდა, რომ ძლივს ვიკავებდი სიცილს. ვცდილობდი, არ დამვიწყებოდა, რომ მან საზიზღარი საქციელი ჩაიდინა და ძალიან მინდოდა, კეთილშობილური რისხვის ცეცხლით ავნთებულიყავი.

— ჯანდაბას ყველაფერი, მაგრამ შვილებზე არ უნდა იფიქროთ? იმათ ხომ არაფერი დაუშავებიათ თქვენთვის? თუ არ გინდოდათ, რას აჩენდით? თუ ასე აიღეთ ხელი ყველაფერზე, მალე ქუჩაში აღმოჩნდებიან.

— ამდენ წელიწადს უზრუნველად ცხოვრობდნენ. განა ყველა ბავშვს ჰქონდა ასეთი ბედი? ესეც არ იყოს, ვინმე მიხედავს. საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაკ-ენდრიუ იკისრებს სწავლის ფულის გადახდას.

— კი მაგრამ, ნუთუ არ გიყვართ? ასეთი საყვარელი ბავშვები არიან! ნუთუ საბოლოოდ აიღეთ მათზე ხელი?!

— პატარაობისას ძალიან მიყვარდა ორივე, მაგრამ ახლა, როცა წაბოდიზარდნენ, არც მიყვარს და არც მეჯავრება.

— ამას უგულობა ჰქვია!

— მართალი ხართ.

— ნუთუ სულ არა გრცხვენიათ?

— არა.

გადავწყვიტე, სხვა ფანდი მეხმარა.

— იტყვიან, რა ლამაზი ყოფილიო!

— თქვან.

— ნუთუ ხალხის ლანძღვა-გინება არაფრად მიგაჩნიათ?

— არა.

ამ მოკლე პასუხში იმდენი ზიზღი იყო ჩაქსოვილი, რომ ჩემი ბუნებრივი კითხვა სულელური ეგონებოდა კაცს. კარგა ხანს ხმა ალარ გამომიღია. ბოლოს ვკითხე:

— ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მშვიდად ცხოვრო კაცმა, როცა იცი, რომ ყველა გაიცხავს? დარწმუნებული ხართ, რომ არ დაიტანჯებით? სინდისი ყველას აქვს და, როცა იქნება, თავს გაგახსენებთ. ვთქვათ, თქვენი ცოლი მოკვდა. ნუთუ არც მაშინ იგრძნობთ სინდისის ქენჯნას?

მან არ მიპასუხა. კარგა ხანს ველოდე, იქნებ ხმა ამოიღოს-მეთქი და ბოლოს იძულებული გავხდი, ისევ მე დამერღვია სიჩუმე.

— ამაზე რას მეტყვით?

— რას და იმას, რომ მთლად ყეყეჩი ყოფილხართ.

— ბოლოს და ბოლოს გაიძულებენ, რომ ცოლ-შვილი არჩინოთ, — ვუთხარი, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილმა, — მე მგონია, კანონი თავის ფრთებს გადააფარებს მათ.

— განა კანონს შეუძლია ქვას წყალი გამოადინოს? მე ფული არა მაქვს. სულ ასიოდე გირვანქა ჩამომყვა.

ახლა მთლად დავიბენი. თუმცა, რატომ უნდა გამკვირვებოდა. ამ სასტუმროში ცხოვრება განა თვალნათლივ არ აღასტურებდა, რომ სტრიკლენდი ხელმოკლედ იყო?

— ეგ რომ დაგეხარჯებათ, რას იზამთ?

— ვიმუშავებ და ვიშოვი.

სტრიკლენდი სრულიად დაშშვიდებული იყო. თვალებში ისეთი დამცინავი ხაპერწკლები უციმციმებდა, თითქოს ყველაფერი, რასაც ვეუბნებოდი, მტკნარი სისულელე ყოფილიყოს. მცირე ხნით დავდუმდი, რათა სათქმელი მომეფიქრებინა, მაგრამ თვითონ დამასწრო:

— რი იქნება, რომ ემი გათხოვდეს? არც მაინცდამაინც ხნიერია და არც შეუხედავი. ეშვი არ წეპარება, რომ შესანიშნავი ცოლი იქნება. თუ განქორწინება უნდა, მზადა ვარ ყველაფერი მე დავიბრალო. — ახლა ჩემი სიცილის ჯერი დადგა. სტრიკლენდი ძალზე ეშმაკი იყო, მაგრამ მაინც ადვილად მივუხვდი, თუ რას ისახავდა მიზნად. მას არ უნდოდა გამეგო, რომ ქალთან ერთად ვამოიქცა პარიზში და ყველანაირად ცდილობდა, გზა-კვალი აერია ჩემთვის. რაც კი შემეძლო, შეიამაგონებლად ვუთხარი:

— თქვენმა მეუღლემ თქვა, რაც არ უნდა ჩაიდინოს, მაინც არ გავშორდებით. ეს მისი საბოლოო და ურყევი გადაწყვეტილებაა, ასე რომ, არასოდეს არ იქონიოთ განთავისუფლების იმედი.

სტრიკლენდმა ჯერ ღიმილი ჩამოირეცხა სახიდან და ერთხანს უზაკველი გაოცებით შიმზირა თვალებში, შემდეგ კი მშვიდად და დაბეჯითებით მითხრა:

— კი მაგრამ, ჩემთვის სულერთია, ჩემო ძვირფასო. ფეხებზეც არ მკიდია, გაშორდება თუ არ გაშორდება.

ნე სიცილით ვუთხარი:

— გეყოფათ. არც ეგეთი სულელები ვართ. განა ვერ გავიგეთ, რომ ვიღაც ქალთან ერთად გამოიქეცით?

სტრიკლენდი ჯერ შეცბუნდა, მერე კი ხმამაღალი ხარხარი აეტეხა. ისე გადამდებად იცინოდა, რომ ახლომახლო მსხდომნიც აჰყვნენ.

— სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

— საწყალი ემა, — ჩაიდუდუნა სტრიკლენდმა და მერე ხახაში ნელი ზიზღი გამოესახა: — რა ჭკუათხელი ხალხია ეს ქალები! ეგეთ ყაყაჩოულ ელანდებათ, ყველგან! ჰგონიათ, რომ კაცი მხოლოდ სიყვარულის გულისათვის ტოვებს ქალს. ნუთუ თქვენც ასე სულელად მიგაჩნიეართ? ნუთუ ფიქრობთ, რომ ქალის გულისათვის ჩაიდინე ყველაფერი?

— ესე იგი, თქვენ იმის: თქმა გინდათ, რომ ცოლი სხვა ქალის გულისათვის არ დაგიტოვებიათ?

— რასაკვირველია!

— პატიოსან სიტყვას მაძლევთ?

არ ვიცი, რატომ მოვთხოვე პატიოსანი სიტყვა. ეს ჩემი მხრივ მეტისმეტი გულუბრყვილობა იყო.

— პატიოსნებას გეფიცებით.

— მკერა. მაგრამ მაშინ, ღვთის გულისათვის, მითხარით, რატომ დატოვეთ?

— ხატვა უნდა დავიწყო.

კარგა ხანს უხმოდ მივაშტერდი. ჯერ ვერაფერი გაიგე. მერე ვიფიქრე, გაგიჟდა-მეთქი, არ დაგავიწყდეთ, რომ მე მაშინ სულ ახალგაზრდა ვიყავი და სტრიკლენდი თითქმის მოხუცი მეგონა. გაოცებისაგან თავგზა დამეკარგა და ისღა მოვახერხე მეთქვა, კი მაგრამ, თქვენ ხომ ორმოცი წლისა ხართ-მეთქი.

— აი, სწორედ მაგიტომ გადავწყვიტე, დროა დავიწყო-მეთქი. — მიპასუხა სტრიკლენდმა.

— ოდესმე გიცდიათ რაიმეს დახატვა?

— ბავშვობაში მინდოდა მხატვარი გამოვსულიყავი, მაგრამ მამამ მარძია, კომერციისათვის მომეკიდა ხელი, მითხრა — ხელოვნება კუჭს ვერ გაგიძღებსო. ხატვა ამ ერთი წლის წინ დავიწყე. სალამოს კურსებზეც დავდიოდი.

— მისის სტრიკლენდს კი ეგონა, კლუბში დადიოდით ბრიჯის სათამაშოდ, არა?

— დიახ.

— რატომ არ უთხარით?

— ვარჩიე, არაფერი გამემხილა.

— გაწოლის რაში?

— ჯერ არა, მაგრამ გამოვა. სწორედ ამიტომ ჩამოველი აქ. ლონდონში ვერ ვნახე, რაც მინდოდა, იმედია, აქა ვნახავ.

— განა გგონიათ, რომ თქვენს ასაკში რაიმეს მიაღწევთ? უმეტესობა ხომ თვრამეტი წლისა იწყებს ხატვას.

— ახლა უფრო სწრაფად ვისწავლი.

— რატომ გგონიათ, რომ მხატვრობის ნიჭი გაქვთ?

იგი პასუხის ნაცვლად ირგვლივ მოფუსფუსე ხალხს მიაჩერდა. მაგრამ არა მგონია, რომ რაიმეს ხედავდა. ბოლოს მიპასუხა, თუმცა ეს პასუხი არ იყო:

— მე უნდა ვხატო.

— კი მაგრამ, არ გეშინიათ, რომ არაფერი გამოგივიდეთ?

სტრიკლენდი დაჟინებით მომაჩერდა. თვალებში ისეთი უცნაური ცეცხლი უგიზგიზებდა, რომ თავი გვერდზე მივაბრუნე.

— რამდენი წლისა ხართ? ოცდაათამის?

შეკითხვა, ცოტა არ იყოს, უადგილოდ მეჩვენა. ჩემს ასაკში კაცს შეეძლო ყველაფერი სასწორზე დაედო. სტრიკლენდი კი შუახნის კაცი იყო, კარგი სამსახური ჰქონდა და ცოლი და ორი ბავშვი ჰყავდა. მას უფლება არ ჰქონდა ახალგაზრდა კაცივით მოქცეულიყო. გადაეწყვიტე, სრულიად მოუკრძალებლად გამომეთქვა ჩემი აზრი:

— რა თქმა უნდა, შეიძლება სასწაული მოხდეს და თქვენ საუკეთესო მხატვარი დადგეთ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ეს თითქმის შეუძლებელია. აბა წარმოიდგინეთ, რა საშინელ ღღეში ჩავარდებით, როცა ბოლოს და ბოლოს მიხვდებით, რომ სისულელე ჩაიდინეთ.

— მე უნდა ვხატო! — ჯიუტად გაიმეორა სტრიკლენდმა.

— თუკი საძულამოდ მესამეხარისხოვან მხატვრად დარჩით, აბა იფიქრეთ, ღირს ეს ამბავი იმად, რომ ყველაფერზე ხელი აიღოთ? სხვა საქმეში დიდი მნიშვნელობა არა აქვს პირველი იქნებით თუ მეათე. სხვა საქმეში საშუალებიც მშვენივრად ცხოვრობენ, მხატვრობა კი სულ სხვაა.

— მთლად სულელი ყოფილხართ.

— რათა? სიმართლეს რომ ვაშბობ, იმიტომ?

— ხომ გითხარით, უნდა ვხატო-მეთქი. სხვანაირად არ შეიძლება. როცა კაცი წყალში ვარდება, მკლავები უნდა მოუსვას. იმას აღარ აქვს მნიშვნელობა, კარგი ცურვა იცის თუ ცუდი. უნდა იცუროს, თორემ დაიხრჩობა.

სტრიკლენდი ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ჩემდა უნებურად ავღელდი. ვიგრძენი, სულში რაღაც დაუოკებელი ძალა ჩაღვროდა და თავის ნებაზე ატრიალებდა. მე აღარაფერი მესმოდა. ამ კაცს ეშმაკი ჩაბუდებოდა გულში და შიგნიდან ხრავდა, გარედან კი ვერაფერს შეამჩნევდით. მე გაოცებით ვუმზერდი, მაგრამ სტრიკლენდი თითქოს ვერც ამჩნევდა ამას. ვცდილობდი გამეგო, ვინ შეიძლებოდა ჰგონებოდათ ეს კაცი, რომელსაც ძველი ქუროთუკი ეცვა და მტვრიანი ქუდი ეხურა. სტრიკლენდს განიერი შარვალი ეცვა, ხელები ბუჩქიანი ჰქონდა, ნიკაპზე მუითური წვერი წამოზრდოდა. ბატარა თვალები და მოზრდილი ცხვირი უხეშსა და ტლანქ გამომეტყველებას აძლევდა. პირი უზარმაზარი უჩანდა. ტუჩები — მსხვილი და ვნებიანი. არა, ამ კაცის შეცნობა შეუძლებელი იყო.

— მაშ ცოლს აღარ დაუბრუნდებით?

— არასოდეს.

— იგი თანახმაა ყველაფერი გაპატიოთ. თავიდან დაიწყებთ ცხოვრებას. არასოდეს არ წამოგაძახებთ.

— დაიკარგოს!

— ნუთუ არც ის შეგაწუხებთ, რომ ყველა უკანასკნელ გაიძვერას გაწყდებს, რომ თქვენი ცოლ-შვილი იძულებული იქნება მოწყალება ითხოვოს.

— სულაც არა, ეშმაკმა დალახვროს.

ცოტა ხნით გავჩუმდი, რომ ბოლო სიტყვებისათვის მეტი ძალა მიმეცა და, რაც კი შემეძლო, გამოთქმით ვუთხარი:

— თქვენ პირწავარდნილი ხეპრე ხართ!

— გული ხომ ამოირეცხეთ, ახლა წავიდეთ და ერთად ვისადილოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეცამეტე

რა თქმა უნდა, უფრო სწორი იქნებოდა, რომ სტრიკლენდისათვის უარი მეტყვიცა. ალბათ, აშკარად უნდა გამომეხატა აღშფოთება, რომელიც ნამდვილად მიტრიალებდა გულში.

პოლკოვნიკი მაკ-ენდრიუ, ეჭვი არ მეპარება, ძალიან შემაქებდა, რომ მეთქვა, სტრიკლენდს ამაყად მივახალე, თქვენისთანა კაცს გვერდით არ მოვუჯდებიმეოქი, მაგრამ მე ყოველთვის მეშინოდა, რომ კარგად ვერ ვითამაშებდი მორალისტის როლს და თავს ვიკავებდი ხოლმე. ახლა, მით უმეტეს, ვიცოდი, რომ სტრიკლენდი ყურში არ შეუშვებდა ჩემს შენიშვნებს და კიდევ უფრო გამიჭირდა რაიმეს თქმა. მხოლოდ წმინდანსა და პოეტს შეუძლია მოასფალტებული ქუჩის მორწყვა, აქაოდა ზედ შროშანები ამოვიან.

დანახარჯი გადავიხადე და ერთი იაფი, მეშტრებით სავსე, მხიარული რესტორანი მოვნახე, მე ახალგაზრდული მადა მქონდა, სტრიკლენდს კი — ნამუსდაკარგული კაცისა და ამიტომ კარგა გემრიელად ვისადილეთ. სადილის შემდეგ ტავერნაში წავედით და ყავასა და ლიქიორს შევექეცით.

მე უკვე ყველაფერი ვუთხარი სტრიკლენდს და თუმცა ვგრძნობდი, რომ მისის სტრიკლენდს ჩემი ქცევა მუხანათობად მოეჩვენებოდა, მაგრამ არაფერით ალარ შემეძლო შეებრძოლებოდი მისი ქმრის გულგრილობას. მხოლოდ ქალს შეუძლია დაუღალავად იმეოროს ერთი და იგივე. თავს იძალა ვიმშვიდებდი, რომ ასე უფრო კარგად გავიცნობდი სტრიკლენდს და გავიგებდი, რა ედო გულში. ამის გაგება კი ითლი საქმე არ გახლდათ, რადგან სტრიკლენდი სიტყვაძვირი კაცი ჩანდა. ისე ეზარებოდა ლაპარაკი, თითქოს სიტყვებით არ შეუძლია თავისი ნააზრევის გადმოცემა. გულისნადებს ჟარგონული ფრაზებითა და რალაც გაურკვეველი, დაუმთავრებელი ჟესტებით გამოხატავდა. თუმცა ლირსშესანიშნავი არაფერი უთქვამს, მოსაწყენი ადამიანი მაინც არ ეთქმოდა. შესაძლებელია, ამის მიზეზი სტრიკლენდის გულწრფელობაში იყო საძიებელი. პარიზი მაინცდამაინც არ აინტერესებდა, თუმცა პირველად ხედავდა (წინათაც იყო ნამყოფი, ცოლიანად, მაგრამ ის არც არის ანგარიშში ჩასაგდები) და არც რამე აკვირვებდა. მე უამრავჯერ ვარ ნამყოფი პარიზში და მაინც ყოველ ახალ ჩასვლაზე აღტაცებით ვთრთი. ქუჩაში რომ მივდივარ, ყოველ წამს რალაც უცხაურს ველოდები.

სტრიკლენდი კი ყველაფრის მიმართ გულგრილი იყო.

ახლა ვხვდები, რომ მაშინ სტრიკლენდს საკუთარი აფორიაქებული სულის გარდა არაფერი აინტერესებდა.

ტავერნაში რომ ვისხედით, ერთი საკმაოდ სულელური ამბავი შეგვემთხვა. იქაურობა მეძავებით იყო სავსე. ზოგი კაცთან იჯდა, ზოგი — მარტო. უეცრად შევნიშნე, რომ ერთ-ერთი მათგანი თვალს არ გვაშორებდა. როცა სტრიკლენდ-

მა მისკენ მიიხედა, ქალმა გაუღიმა, მაგრამ სტრიკლენდმა, მგონი, ვერც კი შენიშნა იგი. ცოტა ხნის შემდეგ მეძავი ტაეერნიდან გავიდა, მაგრამ მალევე დაბრუნდა, მოგვიახლოვდა, თავაზიანად გვთხოვა რაიმე დამალეკინეთო და გვერდით მოგვიჯდა. საუბარი გავუბი, მაგრამ შევატყვე, რომ სტრიკლენდი მოსწონდა. ვუთხარი, ამ კაცმა ფრანგული თითქმის არ იცის-მეთქი. მაგრამ ქალი შეეცადა ხან ნიშნებით ელაპარაკა, ხან დამტვრეული ფრანგულით, რადგან ეგონა, ასე უფრო ადვილად გამიგებსო და, გარდა ამისა, რამდენიმე ინგლისური ფრაზის თქმაც მოახერხა. ქალმა მაიძულა გადამეთარგმნა ის, რისი თქმა ბოლოდ მშობლიურ ენაზე შეეძლო და მთხოვა ზუსტად ჰეთარგმნა სტრიკლენდის პასუხი. სტრიკლენდი კარგ ხასიათზე იყო და ამ ამბავმა ცოტათი გაართო, მაგრამ ამკარად ეტყობოდა, რომ სულერთი იყო ამ ქალს მოსწონდა თუ არა.

— მე მგონი, დაიპყარით ამისი გული, — სიცილით ვუთხარი სტრიკლენდს.

— დიდი რამე! — გულგრილად მიპასუხა მან.

სტრიკლენდის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ალბათ, უფრო დაბნეული და აღელვებული ვიქნებოდი. მეძავს მცირარი თვალები და სანდომიანი ტუჩები ჰქონდა, თანაც ახალგაზრდა იყო. მიკვირდა კიდეც, სტრიკლენდი რამ მოაწონა-მეთქი. ქალს არ დაუმალავს თავისი სურვილი და მეც, სხვა რა გზა მქონდა, უნდა მეთარგმნა:

— ამ ქალს უნდა თავისთან წაგიყვანოს.

— მაგისთანებს არ დაკუეები, — მომახალა სტრიკლენდმა.

შევეცადე, რაც შეიძლება შემერბილებინა მისი ნათქვამი. ასეთი უარი, ცოტა არ იყოს, უზრდელობად მიმაჩნდა და ქალს ვუთხარი, ფული არა აქვს და იმიტომ არ მოდის-მეთქი.

— მე მომწონს. უთხარით, უყვარხარ, ფული არ უნდა-თქო.

როცა ვუთარგმნე, სტრიკლენდმა გაბრაზებით შეარხია მხრები:

— უთხარით, თავიდან მომწყდეს!

ეს ისეთი ხმითა და გამომეტყველებით იყო ნათქვამი, რომ თარგმნა აღარ უნდოდა. ქალმა ამაყად აწია მაღლა თავი. სახეზე ნელსაცხებელი ჰქონდა წასმული, თორემ, ალბათ, გაწითლდებოდა. იგი ფეხზე წამოხტა.

— Monsieur n'estpas poli,[1] — მითხრა ქალმა და დარბაზიდან გავიდა. მე ცოტათი გავბრაზდი და სტრიკლენდს ეუსაყვედურე:

— არ მესმის, რატომ აწყენინეთ. ბოლოს და ბოლოს, მოეწონეთ, მეტი ხომ არაფერი დაუშავებია?

— ეგეთები გულს მირევენ. — ჩაიბურდღუნა მან.

სტრიკლენდს ყურადღებით დავაკვირდი. სახეზე გულწრფელი ზიზღი ეხატა, მაგრამ ეს სახე ულვაში და ვნებიანი იყო. მე მგონი, ქალს სწორედ ეს აშკარად გამოხატული სიტლანქე მოეწონა.

— მე ყოველნაირ ქალს ვიშოვიდი ლონდონში, რომ მომენდომებინა. აქ ქალების გულისაფვის კი არ ჩამოვსულვარ!

---

[1] ეს ბატონი უზრდელია (ფრანგ.).

თავი მეთოთხმეტე

უკან, ლონდონში, რომ ვბრუნდებოდი, სულ სტრიკლენდზე ვფიქრობდი და ვცდილობდი კარგად მომეაზრებინა, რა უნდა მეთქვა მისი ცოლისათვის. ვგრძნობდი, რომ მისის სტრიკლენდი უკმაყოფილო [illegible] და არც იქნებოდა გასაკვირი. მე თვითონ არ ვიყავი [illegible] ჰქონდა თავით. სტრიკლენდმა საგონებელში ჩამაგდო: მაინც ვერ მივმხვდარიყავი, რამ აიძულა, სახლიდან გაქცეულიყო. როცა ვკითხე, როდის დაგებადათ მხატვრად გახდომის სურვილი-მეთქი, სტრიკლენდმა ვერ მიპასუხა ახ, შესაძლებელია, არც მიიჩნია საჭიროდ, რომ ეპასუხა. მე თვითონ კი ვერ გავერკვიე ამ ამბავში. ვცდილობდი, დანერწმუნებინა თავი, რომ სტრიკლენდის ზანტ გონებას თანდათან ეუფლებოდა აღმოფოთების გაურკვეველი გრძნობა. მაგრამ ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, სტრიკლენდი თავისი ცხოვრების უკმაყოფილო იქნებოდა, მას კი არასოდეს წამოსცდენია საყვედური და არც ცხოვრების ყაიდის შეცვლა უცდია ოდესმე. ან იქნებ ერთფეროვნება მობეზრდა და გადაწყვიტა მტანჯველი ხუნდები გაეგლიჯა? ასე თუ ეფიქრებოდით, ყველაფერი ადვილად ასახსნელი და ბანალური იქნებოდა, მაგრამ, ჩემი მტკიცე რწმენით, სტრიკლენდს ბანალობისა არაფერი ეცხო. საბოლოოდ, რაკი რომანტიკული ბუნებისა გახლდით, ერთ-ერთ თვალსაზრისზე შევჩერდი. ეს თვალსაზრისი მე თვითონ ნაკლებდამაჯერებლად მიმაჩნდა, მაგრამ მაინც ყველაზე უფრო მაკმაყოფილებდა: სტრიკლენდს სულის სიღრმეში, ალბათ, ჩამარხული ჰქონდა შემოქმედების ინსტინქტი. ცხოვრების პირობებმა არ მისცა საშუალება, რომ ეს ინსტინქტი განეთავისუფლებინა. მაგრამ იგი თანდათან იზრდებოდა და ცხოველდებოდა, ბოლოს კი მთელ მის არსებას მოედო ისე, როგორც კიბო მოედება ხოლმე ავადმყოფის სხეულს. სტრიკლენდმა უკვე ველარ შეძლო მისი მოთოკვა და იძულებული გახდა ემოქმედა. გულგული სხვის ბუდეში დებს კვერცხს და როცა ამ კვერცხიდან ბარტყი გამოიჩეკება და წამოიზრდება, ჯერ თავის ძიძიშვილებს გადმოყრის ბუდიდან, ბოლოს კი ბუდესაც დაანგრევს ხოლმე. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ შემოქმედების ინსტინქტმა ამ უნდილი მაყლერის სულში ჩაიბუდა და დაღუპვის კარამდე მიიყვანა თვითონ ისიც და მისი ახლობლებიც. მაგრამ განა უფრო საკვირველი არ არის, რომ ხშირად რაღაც ზეგარდმო ძალა ჩაიბუდებს ძლიერთა და მდიდართა სულში და იმდენ ხანს სდევს, სანამ არ დაიმორჩილებს და სიმდიდრეს, განცხრომასა და ქალებს ბერის ღარიბულ სენაკზე არ გააცვლევინებს.

ეს ძალა სხვადასხვა სახით მოეკვლინება ადამიანს და მასაც სხვადასხვანაირად ხვდებიან. ზოგის სული მთლად შეიძრება და ისე გადადუღდება, როგორც ცეცხლზე ჩაგდებული ლითონი, ზოგისა კი ნელ-ნელა იცვლის სახეს, როგორც მდინარის მიერ ალეგორებული ქვა. სტრიკლენდი ფანატიკოსივით შეუპოვარი და მოციქულივით თვითრჯული იყო.

მაგრამ, მინდოდა ნამდვილად მცოდნოდა, გამოიღო თუ არა რაიმე ნაყოფი იმ ძლიერმა, ყოვლის დამთრგუნავმა ვნებამ. სტრიკლენდს როცა ვკითხე, საღამოს კურსებზე რომ დადიოდით, სტუდენტებს თუ ბოსწონდათ თქვენი ნახატები-მეთქი, ჩაიცინა და მიპასუხა, იმათ ეგონათ, ვმასხარაობდიო.

— აქ რომელიმე სტუდიაში დაიწყეთ სიარული?

— დავიწყე. იმ ბაიყუშმა დაგვხედა ამ ლილას, ჩვენს მასწავლებელზე გეუბნები, ჰოდა, ჩემი ნახატი რომ დაინახა, წარბები ასწია და ... ეუბარა, არც შეჩერებულა.

სტრიკლენდმა ჩაიფრუტუნა. ეტყობოდა, სულ არ აწუხებდა ადამიანების აზრი.

ბიბლიოთეკა

სწორედ ეს თვისება მიშლიდა ხელს სტრიკლენდთან ურთიერთობაში. ადამიანები შეტწილად თავს იტყუებენ, როცა ირწმუნებიან სხვების აზრს ინტუშიც არ ეგდებათ. როცა რაიმეს ამბობენ, ჩვეულებრივ, იმის იმედი აქვთ, ვერავინ ვერაფერს გაგვიგებსო. ხოგჯერ კი იმიტომ იქცევიან უშრავლეობის თვალაზრისის საწინააღმდეგოდ, რომ ახლობლების მხარდაჭერის იმედი აქვთ. მართლაც, ძნელი არ არის რაიმე წესის დარღვევა, თუ თქვენს წრეში ასეთ საქციელს მოიწონებენ. როცა ასეა, ადამიანი პატივისცემით იმსჭვალება საკუთარი პიროვნებისადმი. მას მოსწონს საკუთარი სიმამაცე და თანაც თითქმის არ განიცდის შიშის უსიამოვნო გრძნობას.

მაგრამ, როგორც ჩანს, ცივილიზებულ ადამიანს ყოველთვის აქვს სურვილი, რომ სხვებმა საქციელი მოუწონონ და შეუქონ. გახრიოსებული ხნეობის მიერ დევნილი უზნეო ქალი გულდასმით ეხვევა ხოლმე უმწიკვლოების საჯურველში. მე არასოდეს არ ვუჯერებ იმას, ვინც მეუბნება, ხალხის აზრი არაფრად მიმაჩნიაო. ამით ისინი მხოლოდ თავს იმხნევებენ ხოლმე. სინამდვილეში, იმათ მხოლოდ მცირე დანაშაულისა არ ეშინიათ, რადგან დარწმუნებულნი არიან, მაინც ვერავინ ვაიგებსო.

მაგრამ, აი. მე გავიცანი კაცი, რომელიც მართლა არაფრად აგდებდა საზოგადოების აზრს და არავითარ წესს არ ეწორჩილებოდა. იგი იმ მოჭიდავეს ჰგავდა, რომელსაც ტანზე ქონი უსვია და, როგორც არ უნდა ეცადო, მაინც გაგისხლტება ხელიდან. ამიტომ იყო, რომ სტრიკლენდი არც კაცს უწევდა ანგარიშს და არც ღმერთს.

ერთხელ ვუთხარი — გამიგონეთ, ყველა რომ თქვენსავით მოიქცეს, ეს ქვეყანა დაიქცევა-მეთქი.

— რა სისულელეს ამბობთ. ყველაა არცა აქვს სურვილი, ჩემსავით მოიქცეს. უმეტესობას სრულიად აკმაყოფილებს ჩვეულებრივი ცხოვრება.

ერთხელ დავცინე:

— ეჭვი არ არის, არასოდეს გაგიგონიათ გამოთქმა: ისე მოიქეცი, რომ თითოეული შენი ნაბიჯი საყოველთაო კანონად იქცესო.

— არა, პირველად მესმის, მაგრამ ვატყობ, რომ მტკნარი სისულელეა.

— მართლა? ეს კი კანტის აფორიზმია!

— ვისიც არ უნდა იყოს. სისულელე კია და...

არა, ასეთ ადამიანთან სიხდის-ნამუსზე ლაპარაკი კედლისათვის ცერცვის შეყრა იქნებოდა. ჩემი აზრით, სიხდისი ხომ იმიტომ დაუყენეს დარაჯად ადამიანს, რომ წესებს არ გადაუხვიოს. ეს წესები კი საზოგადოებამ საკუთარი თავის დასაცავად გამოიგონა. სინდისი ყოველი ადამიანის გულში მოკალათებული პოლისმენია. იგი თვალყურს ადევნებს, რომ კანონი არავინ დაარღვიოს. სინდისი ჯაშუშია, რომელიც ჩვენი მეობის მთავარ ციხე-სიმაგრეში ჩასაფრებულა. ადამიანს ისე ძალიან უნდა, ხალხმა საქციელი მოუწონოს, ისე ძალიან

ეშინია საზოგადოების სამსჯავროსი, რომ თვითონვე უღებს თავის უბოროტეს მტერს ციხე-სიმაგრის კარს. და, აი, ეს მტერი მუდამ თვალმოუშორებლივ დარაჯობს ამ ციხე-სიმაგრის მფლობელს, მუდამ ფხიზლად იცავს თავისი ბატონის ინტერესებს და მაშინვე უკან შემოაბრუნებს ხოლმე ფარას აცდენილ ცხვარს. იგი აიძულებს ადამიანს, რომ საზოგადოების [illegible] საკუთარზე მაღლა დააყენოს. ადამიანი მეტად მტკიცედ არის დაკავშირებული საზოგადოებასთან. ერთხელ რომ ირწმუნებს, ყველაფერზე მთავარი საზოგადოების კეთილდღეობაა, აღარ გადათქვამს და თანდათან ამ რწმენის მონა ხდება. იგი თავის ახალ ბატონს საპატიო ადგილზე სვამს და ბოლოს იმ კარისკაცის მსგავსად მოიხრება წელში, რომელსაც ხელმწიფემ კვერთხი დააგო მხარზე, თან იამაყებს კიდეც, მეტად ფაქიზი სულის პატრონი ვარო. ამის შემდეგ უმკაცრესი სიტყვებით დაუწყებს გაკიცხვას იმას, ვინც ამ მბრძანებლის ძალაუფლების არ აღიარებს, რადგან ახლა უკვე საზოგადოების წევრია და კარგად იცის, რომ საზოგადოებას მხოლოდ იმ ადამიანის დამორჩილება შეუძლია, ვისაც სინდისი აქვს. მეც, როცა ვნახე, რომ სტრიკლენდს შართლა არ ინაღვლებოდა, თუ რას იტყოდა ხალხი მის საქციელზე, მხოლოდ ის მოვახერხე, რომ უკან დამეხია. ისე საშინლად ვიყავი შეშინებული, თითქოს საზარელი მხეცი დაშენახოს.

სტრიკლენდის ბოლო სიტყვები, როცა ღამე მშვიდობისა ვუსურვე, ასეთი იყო:

— ეშის ფთხარით, ტყუილად არ გამომეკიდოს. ისე, მე მაინც გამოვიცვალ სასტუმროს, რომ ვერ მიპოვოს.

— ჩემი აზრით, ის თვითონვე უნდა მირბოდეს თქვენგან.

— მე იმედი მაქვს. ჩემო ძვირფასო ჭაბუკო, რომ როგორმე გააკეთებინებ მაგას. თუმცა, არა მგონია, რომ ამდენი შეძლო — ქალები ძალიან შეუგნებელნი არიან.

თავი მეთხუთმეტე

ლონდონში რომ ჩავედი, შინ ბარათი დამხვდა. მისის სტრიკლენდი დაჟინებით მთხოვდა, საღამოს ჩემთან მობრძანდითო. როცა მივედი, პოლკოვნიკი მაკ-ენდრიუ და მისი მეუღლე უკვე იქ დამხვდნენ. მაკ-ენდრიუს მეუღლე თავის დაზე უფროსი იყო. დები ერთმანეთს ჰგავდნენ, ოღონდ მისის მაკ-ენდრიუს ხანი უფრო ეტყობოდა და თანაც ისე იბღინძებოდა, თითქოს მთელი ბრიტანეთის იმპერია ედო ჯიბეში. ოფიცერთა უფროსი შემადგენლობის ცოლებს ეამაყებით, რომ უმაღლესი კასტის წარმომადგენლები არიან და მუდამ ასე იბღინძებიან ხოლმე. მისის მაკ-ენდრიუც ძალზე თამამად იქცეოდა და ძლივს იკავებდა თავს, რომ დახლიდარად არ მოენათლა ყველა „სამოქალაქო". მას არც გვარდიელები მოსწონდა — ბაქიებსა და ყოყოჩებს ეძახდა, ომათ ცოლებზე კი ლაპარაკსაც არ კადრულობდა — გაბრაზებული იყო, საბასუხო ვიზიტად აღარ მოდიანო. ტანთ მდიდრულად, მაგრამ უგემოვნოდ ეცვა.

მისის სტრიკლენდი აშკარად ღელავდა.

— აბა, გვიამბეთ ახალი ამბები, — მთხოვა მან.

— ვინახულე თქვენი მეუღლე. ჩემი აზრით, მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი, აღარ დაბრუნდეს. — ცოტა ხანს ვდუმდი, ბოლოს დავამატე:

— ბატვის დაწყებას აპირებს.

— რას ამბობთ? — შეჰკივლა საშინლად გაოცებულმა მისის სტრიკლენდმა.

— მთლად გამოჩერჩეტებულა, — დაასკვნა პოლკოვნიკმა.

— ნუთუ არასოდეს არ შეგიმჩნევიათ, რომ ხატვა უყვარდა?

მისის სტრიკლენდმა შუბლი შეიჭმუხნა. ეტყობოდა, რაღაცას იხსენებდა.

— ხანამ გავყვებოდი, მახსოვს, ხანდახან თავს იქცევდა ხოლმე საღებავებით. უნდა გენახათ, როგორ ითითხნებოდა! ყოველთვის დავცინოდით ხოლმე. ნიჭის ნასახიც არა ჰქონდა.

— მხატვრობა მხოლოდ საბაბია, — ჩამოგვერია ლაპარაკში მისის მაკ-ენდრიუ.

მისის სტრიკლენდი ჩაფიქრდა. ეტყობოდა, ჩემმა ნათქვამმა თავგზა აურია. ახლა სასტუმრო ოთახი საკმაოდ მილაგებული ჩანდა. ეტყობოდა, მისის სტრიკლენდმა ნაწილობრივ მოინელა დარდი და ოჯახს მიხედა.

ბინა აღარ წააგავდა იმ გასაქირავებელ ოთახებს, რომლებიც დიდი ხანია ელიან მუშტარს, მაგრამ ახლა, როცა სტრიკლენდი უკვეთ გავიცანი პარიზში, უკვე ველარ წარმოვიდგენე აქაურ გარემოში; ვიფიქრე, ნუთუ არც ერთხელ არ მოუვიდათ თავში, რომ აქ არაფერი არ არის მისი შესაფერი-მეთქი.

— კი მაგრამ, თუ მხატვრობა უნდოდა, რატომ პირდაპირ არა თქვა? — იკითხა ბოლოს მისის სტრიკლენდმა, — მე მგონი, სულ არა ვგავარ ისეთი ადამიანს, რომ ასეთი სურვილი ჩავუკლა ვინმეს.

მისის მაკ-ენდრიუმ მაგრად მოკუმა ტუჩები. ალბათ, მას არასოდეს არ მოსწონდა, რომ მისი და ხელოვანი ხალხისაკენ მიიღტვოდა და ყოველთვის დასცინოდა ამ „კულტურულ“ მეგობრებს.

— ბოლოს და ბოლოს, სულ მცირე ნიჭიც რომ აღმოსჩენოდა, მე პირველი გავამხნევებდი, — განაგრძო მისის სტრიკლენდმა, — ყოველგვარ მსხვერპლს გავიღებდი. ბირჟის მაკლერის ცოლობას მხატვრის ცოლობა ჯირჩევნია. ბავშვები რომ არა მყოლოდა, არაფერს არ მივხედავდი და სიამოვნებით ვიცხოვრებდი მასთან ერთად რომელიმე საცოდავ სახელოსნოში „ჩელსიზე“.

— შენი მოამენა აღარ შემიძლია, — დაისისინა მისის მაკ-ენდრიუმ, — ნუთუ ამ აბდაუბდიდან ერთი სიტყვა მაინც დაიჯერე.

— დარწმუნებული ვარ, რომ მართალია, — მონდომებით ჩავურთე მე.

პოლკოვნიკის მეუღლემ ზიზღით გადმომხედა:

— კაცი მხატვრობის გულისათვის სამსახურს და ცოლ-შვილს არ მიატოვებს ორმოცი წლის ასაკში, თუ ამ საქმეში ქალიც არ არის გარეული. მე ვფიქრობ, ვინმე „ხელოვნების მსახურმა“ დაახვია თავბრუ.

— როგორი ქალია? — მკითხა უეცრად მისის სტრიკლენდმა, რომელსაც ერთი წამის წინ ფერმიხდილი ღაწვები წითლად აფერადებოდა.

მე ცოტა შევყოყმანდი. ვიცოდი, რომ ჩემი ნათქვამი ყუმბარასავით გასკდებოდა:

— სტრიკლენდს არავითარი ქალი არ ახლავს.

პოლკოვნიკმა მაკ-ენდრიუმ და მისმა ცოლმა მაშინვე გაცოცხლდეს, ტყუილია: მისის სტრიკლენდი ფეხზე წამოვარდა და მკითხა:

— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ის ქალს თვალი ვერ მოვაცილეთ, არა?

— იქ არაფერი იყო თვალის მოსაკრავი. თქვენი [illegible]

— ეგ სისულელეა. — წამოიძახა მისის მაკ-ენდრიუმ.

— ნე თვითონ უნდა წაესულიყავი. — თქვა პოლკოვნიკმა, — აბა მაშინ ნახავდით, თუ უცებ არ გავიგებდი ყველაფერს.

— ძალიან კარგი იქნებოდა, რომ თქვენ წაბრძანებულიყავით. — ცოტა არ იყოს, გესლიანად ეუთხარი მე. — მაშინ საკუთარი თვალით დაინახავდით, რომ ყველა თქვენი გარაუდი მცდარი ყოფილა. სტრიკლენდი მიღიღრუნ სასტუმროში არ დაბინავებულა: ერთი პიჯია ოთახი აქვს ნაქირავები და საცოდავად ცხოვრობს. ოჯახი ინიტომ კი არ ლატოვა, რომ ქარაფშუტული ცხოვრება დაეწყო. ფულიც ძალიან ცოტა აქვს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ რაიმე დანაშაული ჩაიდინა და ახლა პოლიციას ემალება?

ამ გარაუდმა ახალი იმედები აღაგზნო სამივეს გულში, საღრამ მე მაშინვე ნოფუმბერი:

— ასე რომ იყოს, განა ისეთი სულელია, რომ კომპანიონისათვის თავისი მისამართი გამოეგზავნა? ასეა თუ ისე, ერთი რამ ლრმად მწამს: იგი მარტოა წასული აქედან, არაფერ არ უყვარს და ამისათვის რამეზე არც კი ფიქრობს.

ისინი კარგა ხანს ლუმდნენ, ალბათ, ჩემს ნათქვამზე ფიქრობდნენ.

— ძალიან კარგი. — დაარღვია სიჩუმე მისის მაკ-ენდრიუმ, — საქმე ისე ცუდად ყოფილა, როგორც მე მეგონა.

მისის სტრიკლენდმა შეხედა დას, მაგრამ არაფერი უთქვამს. იგი ძალზე ფერმკრთალი იყო. წვრილი წარბები შეეკრა და რაღაც უცნაურად იცურებოდა.

— თუ ეს მხოლოდ ახირებაა, მალე გაუვლის, — განაგრძო მისის მაკ-ენდრიუმ.

— რა იქნება, რომ ჩაკითხო, ემი. — დაიწყო პოლკოვნიკმა, — ვითომ რა გაშლის ხელს, რომ ერთი წელი პარიზში იცხოვროთ ერთად. ბაეშვებს ჩვენ მოვუვლით. მე მგონი, ლბრალოდ მოგეჩვენა ყველაფერი. ალრე იქნება თუ გვიან, ისევ დაბრუნდება ლონდონში და ამით ყველაფერი გათავდება.

— მე არ წავიდოდი, — თქვა მისის მაკ-ენდრიუმ, — დე, იაროს თავის ნებაზე, სანამ არ მოგწყინდება. ბოლოს თვითონვე მოგრძანდება კუდამოძუებული და კვლავ ძველებურ ცხოვრებას მოინდომებს. შენ, ალბათ, ეკვიანურად არ იქცეოდი, ემი. — მისის მაკ-ენდრიუ მკაცრად მიაჩერდა დას, — კაცები ახირებული ხალხია და ქალმა უნდა იცოდეს, როგორ მიუდგეს. — მისის მაკ-ენდრიუ, როგორც ყველა ქალი, ფიქრობდა, რომ კაცი, რომელიც მოყვარულ ცოლს დატოვებს, პიროტყვია. მაგრამ დამნაშავეე მაინც ცოლია. Le coeur a ses raisons que la raison ne connait point [1]. მისის სტრიკლენდი სათითოდ მოგვაჩერდა სამივეს და მერე დაბეჯითებით თქვა:

— იგი აღარასოდეს არ დაბრუნდება უკან.

---

[1] გულის ნათქვამს გონებით ვერ განსჯი (ფრანგ.).

— რას ამბობ, ძვირფასო, ვერ გაიგონე, როგორ უცხოგრია? ეს ხომ ფუ-ფუნებას არის შეჩვეული. თავისი ხელით ცერაფერს იკეთებდა. [illegible] რამდენ-ხანს გაძლებს იქ გაუბედურებული ოთახში? თანაც ფული [illegible]. არა, ნამდვილად დაბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სანამ მეგონა, რომ ქალთან ერთად გაიქცა, იმედი [illegible] რომ ყველა ფეხზე ბრუნდება ხოლმე. დარწმუნებული ვარ, სამ თვეში საშინლად მო-ბეზრდებოდა ის ქალი. მაგრამ, რადგან აქ ქალი არ ყოფილა შუაში, ამ ამბავს ჭვარი უნდა დაესვას.

— ოჰ, შენ რაღაც ძალიან ნატიფად მსჯელობ, — თქვა პოლკოვნიკმა და სიტყვა „ნატიფი" სამხედროებისათვის დამახასიათებელი ზიზღით წარმო-თქვა. — რა თქმა უნდა, დაბრუნდება და, როგორც დოროთი ფიქრობს, იქნება უფრო დაგათასოს.

— კი მაგრამ, მე აღარ მინდა რომ დაბრუნდეს.

— ეგი!

მისის სტრიკლენდი უეცრად საშინელმა რისხვამ შეიპყრო. იგი ქალალდი-ვით გათეთრდა და ისე სწრაფად ალაპარაკდა, რომ სულს ძლივსღა ითქვამდა.

— ვაპატიებდი, ვინმე რომ გაგიქცევია შეყვარებოდა და იმასთან ერთად გაქცეულიყო. ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა და დიდად არ დავაღანაშაულებდი. მაშინ ვიფიქრებდი, თავგზა დაუბნიეს და წაიყვანეს-მეთქი. კაცი ხომ ძალიან უნებისყოფოა, ქალი კი თავიანთქვამა — რასაც გულში ამოიჭრის, გა-იტანს კიდეც. მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია. მეზიზღება, არასოდეს არ ვაპა-ტიებ!

პოლკოვნიკი მაჯ-ენდრიუ და მისი ცოლი ერთად ალაპარაკდნენ. ორივენი განცვიფრებულნი იყვნენ. გიჟიც კი უწოდეს მისის სტრიკლენდს, მერე ეხვეწ-ნენ, გაგვაგებინე, ასე რატომ ბრაზობო. ქალმა განწირული თვალები მოჰაშ-ტერა და ტირილით მკითხა — თქვენ მაინც ვერ გამიგეთ?

— ბოლომდე ვერა. მე მგონი, ასე თქვით: ვინმე ქალის გულისათვის რომ მივეტოვებინე, ვაპატიებდი, თუ რაიმე იდეის გულისათვის — არაო. ალბათ ფიქ-რობთ, რომ ქალს დაამარცხებთ, იდეას კი ვერ შეებრძოლებით, არა?

მისის სტრიკლენდმა მტრულად გადმოიკრა თვალი. მაგრამ არაფერი უთქ-ვამს. ეტყობოდა, ენიშნა ჩემი ნათქვამი. ცოტა ხნის შემდეგ ჩუმი, აკანკალებუ-ლი ხმით განაგრძო:

— არ მეგონა, თუ ასე ვინმე წამძულდებოდა. მე ხომ თავს ვინუგეშებდი, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, გამიხსენებდა. ეიცოდი, რომ სიკვდილის წინ მოიკითხავდა. მეც წავიდოდი, დედასავით მოვუვლიდი, სიკვდილის წინ ვე-ტყოდი, ყოველთვის მიყვარდი-მეთქი და ყველაფერს შევუნდობდი.

არასოდეს არ მესმოდა, თუ რატომ ეკლესიებში ქალები საყვარელი ადამიანის სასიკვდილო სარეცელთან. ხანდახან მეგონა კიდეც, რომ მოუმენ-ლად ელოდნენ იმ წამის დადგომას, როცა ლამაზი სცენის გათამაშების შე-საძლებლობა მიეცემოდათ.

— ახლა კი... ახლა ყველაფერი გათავდა. ახლა ის ჩემთვის უცხოა. მინდა, სიღატაკეში ამოხდეს სული, წყლის მიმწოდებელი არავინ ჰყავდეს. ვნატრობ, რომ რაიმე საშინელი სენი შეეყაროს. იგი ჩემთვის აღარ არსებობს.

ვიფიქრე, ახლა კი დადგა დრო, რომ სტრიკლენდის წინადადება გადავცემეთქი და ვუთხარი:

— თუ განქორწინება გინდათ, მზად არის ყველა საჭირო ცნობა გამოგიგზავნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მაგრამ, რატომ უნდა მივანიჭო თავისუფლება?

— არა მგონია, თვითონ მაინცდამაინც ესწრაფვოდეს მაგ თავისუფლებას. უბრალოდ, ჰგონია, რომ თქვენთვის ასე აჯობებს.

მისის სტრიკლენდმა მოუთმენლად შეატოკა მხრები. მე უკვე ძველებურად აღარ მომწონდა ეს ქალი. მაშინ ადამიანი უფრო ერთგვაროვანი მეგონა და ძალიან შეეწუხდი, რომ ასეთი მომხიბვლელი ქალი ასე ულმობელი აღმოჩნდა. იმ დროს არ ვიცოდი, რომ ადამიანი მრავალნაირი თვისების მატარებელია. ახლა კი კარგად ვიცი, რომ ერთი და იმავე ადამიანის გულში შესანიშნავად თავსდება წვრილმანობა და სულგრძელობა, სიბოროტე და გულმოწყალება, სიძულვილი და სიყვარული. „ნუთუ ვერ შევძლებ ისეთი სიტყვა ვუთხრა, რომ ოდნავ მაინც გავუქარწყლო დარდი ამ დამცირებულ ქალს“, — გავიფიქრე გულში და მისის სტრიკლენდს მივუბრუნდი. — იცით, რას გეტყვით? მე არ მგონია, რომ თქვენს ქმარს კარგად ესმოდეს, თუ რა ჩაიდინა. ჩემი აზრით, უკვე სხვა ადამიანია. იგი თითქოს რაღაც უცნაურმა ძალამ შეიპყრო და თავის ნებახე ათამაშებს. მისტერ სტრიკლენდი ისეთი უმწეოა ამ ძალის წინაშე, როგორც ობობას ქსელში გაბმული ბუზი. რომ ნახოთ, იტყვით, მოუჯადოვებიათო. როცა ვუყურებდი, ოდესღაც მოსმენილი ამბავი მახსენდებოდა, ვიღაცას სხვა ადამიანის სული რომ ჩაესახლდა სხეულში, ძველი სული კი გაეგდო. სული დროებით იმყოფება ჩვენს სხეულში და თანაც ათასნაირი იდუმალი სახეცვლილების უნარი შესწევს. ეს ამბავი რომ წინათ მომხდარიყო, იტყოდნენ, ჩარლზ სტრიკლენდი ეშმაკეულიაო.

მისის მაკ-ენდრიუმ კაბის კალთაზე დაისვა ხელი. ოქროს სამაჯურები წკრიალით ჩამოუცვივდა ხელის მტევანზე.

— მთელი ეს ახსნა-განმარტება ყურით მოთრეულად მეჩვენება, — უგემურად ჩაილაპარაკა მან, — ეშვი არ წეპარება, რომ ემი ცოტა ზედმეტად ენდობოდა ქმარს. მარტო თავის საქმეებს რომ არ გადაჰყოლოდა, აუცილებლად დაეშვებოდა. არა მგონია, რომ ჩვენმა ალეკმა მთელი წელი იფიქროს რამეზე და მე ვერაფერს მიხვდე.

პოლკოვნიკი ისეთი სახით მიაშტერდა სივრცეს, რომ იტყოდით, ამაზე სპეტაკი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დაიარებაო.

— მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩარლზ სტრიკლენდი მაინც მხეცად უნდა მივიჩნიოთ, — ქალმა მკაცრად გამიყარა თვალი თვალში. — მე შემიძლია გითხრათ, თუ რატომ დატოვა მან ცოლი: მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეგოისტია. აქ სხვა მიზეზი არ არის.

— ეს ყველაზე მარტივი განმარტებაა, — ვთქვი მე, გულში კი ვიფიქრე, რომ ეგოიზმი აქ არაფერ შუაში იყო.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა დაღლილობა მოვიმიზეზე და წასასვლელად წამოვდექი ფეხზე, მისის სტრიკლენდი ერთხელაც არ შემპატიჟებია, ცოტა ხანს კიდევ დარჩით.

თავი მეთექვსმეტე

შემდგომმა მოვლენებმა ყველა დაარწმუნა, რომ მისის სტრიკლენდი მტკიცე ხასიათის ქალი იყო. იგი ცდილობდა, თავისი ტანჯვა არავისთვის შეემჩნევინებინა, რაღგან კარგად იცოდა, რომ ხალხს მალე ბეზრდება ხანგრძლივი უბედურების მოსმენა. მეგობრებს ეცოდებოდათ და ხშირად ეპატიჟებოდნენ თავისთან, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ღირსეულად ეჭირა თავი. ყოველთვის გემოვნებით ეცვა, ზომაზე მხიარულობდა და თითქმის არასოდეს არ წუწუნებდა თავის უბედურებაზე. კიდევ მეტი: ქმარს ყოველთვის სიბრალულით იხსენიებდა. პირველ ხანებში ძალიან მიკვირდა ეს ამბავი. ერთხელ მითხრა:

— იცით, მე დარწმუნებული ვარ, შეცდით, როცა გეგონათ, რომ ჩარლზი მარტო იყო პარიზში. მე სხვა წყაროებიდან გავიგე, რომ იგი მარტო არ წასულა ინგლისიდან.

— თუ ასეა, დიდებულად მოუხერხებია კვალის დაფარვა. ნამდვილი გენიოსი ყოფილა ამ საქმეში.

ქალმა თვალი ამარიდა, ოდნავ გაწითლდა და მითხრა:

— მაინც მინდოდა მეთხოვა, რომ თუ ვინმემ თქვა, მარტო არ წასულაო, თქვენ ხმა არ ამოიღოთ.

დავპირდი: რა თქმა უნდა, არაფერს ვიტყვი-მეთქი.

მისის სტრიკლენდმა მაშინვე სხვა რაღაცაზე დამიწყო საუბარი, თითქოს ყველაფერი, რაც მითხრა, ისე, სხვათა შორის გაახსენდათ. მალე აღმოვაჩინე, რომ მისის სტრიკლენდის მეგობრებში ჩარლზ სტრიკლენდის გაქცევის ახალი ვერსია შექმნილიყო: ვითომდა მას ფრანგი მოცეკვავე ენახა „ემპაიერში", შეყვარებოდა და პარიზში გაპკიდებოდა. ის კი ვერ გამოვარკვიე, თუ როგორ წარმოიშვა ეს ვერსია, მაგრამ ცხადი იყო, რომ იგი ძალიან ხელსაყრელი გახლდათ მისის სტრიკლენდისათვის, რომელსაც ცხოვრების სახსარი უნდა ემოვნა და საამისოდ ძალიან ესაჭიროებოდა საზოგადოების მხარდაჭერა. პოლკოვნიკი მაკ-ენდრიუ არ აშარბებდა, როცა ამბობდა, ემი სულ უფულოდ დარჩა და სასწრაფოდ უნდა მოეკიდოს რაიმე საქმესო. მისის სტრიკლენდი, უამრავ მწერალს იცნობდა და გადაწყვიტა, აქედან რაიმე სარგებლობა მიეღო. მან საჩქაროდ დაიწყო სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის შესწავლა. მისის სტრიკლენდი განათლებული ქალი იყო და კლიენტები ფიქრობდნენ, კარგი მბეჭდავი იქნებაო. გარდა ამისა, მისი თავგადასავალი ყველამ იცოდა და მოსწონდათ, რომ საკუთარი შრომით აპირებდა ცხოვრებას. მეგობრები დაჰპირდნენ, ჩვენს სამუშაოსაც გაგაკეთებინებთ და სხვებსაც შენთან მოვასწავლითო.

მაკ-ენდრიუები უშვილოები და მდიდრები იყვნენ და ბავშვებზე ზრუნვა იკისრეს; ასე რომ, მისის სტრიკლენდს მხოლოდ საკუთარი თავი უნდა შეენახა. მან ავეჯი გაყიდა და ბინა გამოიცვალა; უესტმინსტერის რაიონში ორი პატარა ოთახი იქირავა და ახალი ცხოვრება დაიწყო. მისის სტრიკლენდმა ისე გამოიდო თავი, რომ აუცილებლად წარმატებით დააგვირგვინებდა წამოწყებულ საქმეს.

თავი მეჩვიდმეტე

ამ ამბის შემდეგ ხუთი წელი იყო გასული, როცა გადაწყვიტე დროებით პარიზში გადავსულიყავი საცხოვრებლად. ლონდონმა საკმაოდ მომაბეზრა თავი, რადგან დღეები ერთმანეთს ჰგავდა, ერთფეროვნება კი, [illegible], ძალიან ლლის ადამიანს. ჩემი მეგობრები დინჯად მიაბიჯებდნენ [illegible]ზე. ისინი სულ ალარ მაინტერესებდნენ. ეუჩაში რომ შევხვდებოლით ერთმანეთს, უკვე წინასწარ ვიცოდი, რას მეტყოდნენ. იმასაც ვამჩნევდი, რომ იმათ საბიჯნურო გატაცებასაც მოწყენილობისა და ერთფეროვნების ელფერი ედო. ჩვენ იმ ტრამვაის ვაგონს ვგავდით, მთელ დღეს რომ დაარბენინებს ლიანდაგებზე. წინასწარ ზუსტად შეიძლებოდა თქმა, თუ რამდენ მგზავრს გადაიყვანდა თითო ვაგონი დღის განმავლობაში. ჩვენ მშვიდად მივაწყვედით წინ. გზაზე არც მოსახვევები გვხვდებოდა, არც ეკალ-ბარდები.

ასეთმა ცხოვრებამ ძალზე დამაფრთხო, ამიტომ, ჩემი პატარა ბინა დავტოვე, მცირეოდენი მონაგარი გავყიდე და გადავწყვიტე, ყველაფერი თავიდან დამეწყო.

გამგზავრების წინ მისის სტრიკლენდს ვეწვეე. იგი კარგა ხანი იყო, რაც არ მენახა და შევამჩნიე, რომ საკმაოდ შეცვლილიყო — მობერებულიყო, გამხდარიყო, სახე ნაოჭებით დალარბოდა და, რაც მთავარია, ხასიათი შეცვლოდა. საქმე კარგად წასულიყო და ახლა მეშანქახნეთა პიერო ჰქონდა „ჩანსერი ლეინზე". თვითონ უკვე ოშვიათად ბეჭდავდა, ოთხი მბეჭდავი გოგო ჰყავდა დაქირავებული და იმათ ნამუშევარს ასწორებდა ხოლმე. ცდილობდა შეკვეთა ლამაზად და ფაქიზად შეესრულებინა, ამიტომ ხშირად იყენებდა ლურჯსა და წითელ მელანს, ასლებს სქელ, ნაზი ფერის ქაღალდში ახვევდა და ამ სიფაქიზისა და წესიერების წყალობით მართლაც გაითქვა სახელი. შემოსავალი კარგი ჰქონდა, მაგრამ ძალიან თაკილობდა, რომ საკუთარი შრომით უხდებოდა თავის შენახვა და, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, შეგახსენებდათ, ასეთი და ასეთი ოჯახის შვილი ვარო. ლაბარაკში წამდაუწუმ ახსენებდა ცნობილ პიროვნებებს, რათა თანამოსაუბრე დაერწმუნებინა, ისევ იმ სალონში ეტრიალებო. საუბარში თვითონვე გაიოცებდა, მიკვირს, საიდან აღმოჩენილა ამ საქმეში ასეთი ნიჭი და უნარიო და იქვე ამაყად დასძენდა, ხვალ ამა და ამ ცნობილ ვექილთან ვარ დაპატიჟებული სადილადო. არც იმის თქმა დაავიწყდებოდა, რომ ეს ადვოკატი სამხრეთ კენსინგტონში ცხოვრობდა. მისის სტრიკლენდი თავმომწონედ მოგახსენებდათ — ჩემი ვაჟი ქემბრიჯში სწავლობსო და მერე ხუმრობაშერეული ხმით დაამატებდა, ჩემი ქალიშვილი სულ ახლახან გაათხოვეს საზოგადოებაში. მაგრამ იმდენ საცოლეთ სალამოზე პატიჟებენ, პირდაპირ მოსვენება აღარა აქვსო.

მე ვერ მოეხუმე და როყიოდ ეკითხე. — მომავალში ისიც ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს თუ არა-შეთქი.

— არა, რას ბრძანებთ, ამას როგორ ჩაუდენ. სანდონიანი გოგონაა და, დარწმუნებული ვარ, კარგ ქმარს იშოვის, — სწრაფად მიპასუხა მისის სტრიკლენდმა.

— ჰოდა, კარგადაც ამოგიდგებათ მბარში.

— ბევრმა მირჩია, კარგი იქნებოდა, მსახიობობა დაეწყოო, მაგრამ, რასაკვირველია, წინააღმდეგი წავედი. მე ყველა გამოჩენილ დრამატურგს ვიც-

ნობ და ხვალვე შეშეძლო როლი მეშოვა მისთვის, მაგრამ არ მინდა, იმ ჭრელ ხალხში იტრიალოს.

არ მესიამოვნა, რომ მისის სტრიკლენდი ასე იბღინძებოდა და ვკითხე:

— ქმრისა ხომ არაფერი გაგიგიათ მას შემდეგ?

— არა. ერთი აიტყვაც არ მსმენია მასზე. ჩემი აზრით, ალბათ ცოცხალი.

— პარიზში, რომ გადავაწყდე სადმე, ხომ არ შეგატყობინოთ?

ქალი შეყოყმანდა, მერე მითხრა.

— თუ ძალიან უჭირს, ნუ ეარ ცოტათი დაეხმარო. მცირეოდენ თანხას გამოგიგზავნით და ნაწილ-ნაწილ მიეცით, როცა დასჭირდება.

— ეს დიდი კეთილშობილება იქნება თქვენი მხრივ, — ვუთხარი მე, თუმცა მივხვდი, რომ მისის სტრიკლენდს სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა. არ არის მართალი, რომ ამბობენ, ტანჯვა აკეთილშობილებს ადამიანსო. ბედნიერებას ზოგჯერ შეუძლია ამ თვისების წარმოშობა, ტანჯვა კი მხოლოდ წვრილმანობისა და შურიანობის დედაა.

თავი მეთვრამეტე

მართლაც, პარიზში სულ ორი კვირის ჩასული არც კი ვიყავი, რომ სტრიკლენდს შევხვდი.

ჩასვლისთანავე პატარა ბინა ვიქირავე დამის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი სახლის მეხუთე სართულზე, ორის ფრანკად ვიყიდე ნახმარი ავეჯი და მოსამსახურე ავიყვანე, რომ დილდილობით ყავა მოეხარშა და ოთახები დაელაგებინა. ამ საქმეებს რომ მოვრჩი, ჩემი მეგობრის — დირკ სტროვის მოსანახულებლად წავედი.

დირკ სტროვი ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანი გახლდათ, რომლის გახსენებაზე ზოგი დაიბნეთ ხითხითებს, ზოგი კი გაოცებით იჩეჩავს ხოლმე მხრებს. იგი ღმერთს ტაკიმასხარად მოევლინა ამქვეყნად. ხელობით მხატვარი იყო, ოღონდ ნეტავ ენიჭა. ერთმანეთი რომში გავიცანით. მე დღემდე მახსოვს მისი ბაშინდელი ნახატები. ეს კაცი თითქოსდა განგებ მიისწრაფოდა ბანალობისაკენ. გული ხელოვნების სიყვარულით ეთრთოდა, მაგრამ „ესპანეთის მოედნის“ კიბეზე ჩამომსხდარ ხალხს ხატავდა და თანაც ძალიან ცდილობდა ყველა ლამაზი გამოსვლოდა. მისი სახელოსნო სავსე იყო ტილოებით, საიდანაც ულაყები, დიდთვალება, წოპწოპაქუდიანი გლეხები, დაძონძილი ბიჭუნები და ფაშფაშა ქვედატანიანი ქალები წამოგეყეროდნენ. ზოგი ეკლესიის კიბეზე ისვენებდა, ზოგი კეიპაროსების ჩრდილში დამალულიყო უღრუბლო ზეცას, ზოგი კი აღორძინების დროინდელ შადრევანთან ტკბებოდა მიჯნურის ალერსით, ან კამპანის ველზე დასეირნობდა (იქვე ხარებშებმული ფორანიც იდგა ხოლმე). ყველანი ისე ბეჯითად იყენენ დახატული და გაფერადებული, რომ ფოტოსურათი გეგონებოდათ. მახსოვს, ერთხელ ვილა მედიჩში რომ ვიყავი, ვიღაც მხატვარმა სტროვზე თქვა: შოკოლადის ყუთების მოხატვა უფრო შეეფერებოდაო. იმის ნახატებს ვინც ნახავდა, იტყოდა, ამის შემქმნელს არც კი გაუგონია მონეს, მანეს და სხვა იმპრესიონისტების სახელი.

— მე დიდ მხატვრად არ მიმაჩნია თავი, — იტყოდა ხოლმე სტროვი, ვიცი, რომ მიქელანჯელო არა ვარ, მაგრამ რაღაც ნაპერწკალი მაინც მაქვს. ბოლოს და ბოლოს, სურათი გაუყიდავი არ მრჩება, ათასნაირი ხალხი აფასებს და ყველა ოჯახში რომანტიკა შემაქვს. იცით, რომ ჩემს სურათებს მარტო ჰოლანდიაში კი არა, ნორვეგიაში, შვეიცარიაში და დანიაშიც ეკიდებიან მყიდველები მეტწილად ვაჭრები და მდიდარი საქმოსნები არიან. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რანაირი ზამთარი იცის ამ ქვეყნებში. გრძელი, მოქუფრული, ცივი! ჩემს ნახატებს რომ უყურებენ, ჰგონიათ, რომ იტალია მართლა ასეთია. მათ იდრეც ასეთი წარმოედგინათ იტალია, მეც ასეთი მეგონა, სანამ არა ვნახე.

დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს უნახავად წარმოდგენილი ქვეყანა ჩაებეჭდა სტროვს გონებაში და ისე აუბა თვალები, რომ ნამდვილი იტალია ვეღარ დაინახა. იქ უხეში სინამდვილის ნაცვლად რომანტიკულ ყაჩაღებსა და თვალწარმტაც ნანგრევებს ხედავდა და კვლავ თავისი იდეალის გამოსახვას განაგრძობდა. რა ვუყოთ, რომ ეს იდეალი საცოდავი, უგვანი და ბანალური იყო— იგი მაინც არა ღალატობდა იდეალს და ეს ერთგულება თავისებურ მომხიბვლელობას ანიჭებდა. მე ვგრძნობდი ამ მომხიბვლელობას, და, ალბათ, ამიტომ იყო, რომ სტროვს სხვებივით არ დავცინოდი. მხატვრები აშკარად აგვანებდნენ მის ნახატებს, მაგრამ სტროვს ყოველთვის საკუთარ ქისა და ისინიც მოურიდებლად ათათურებდნენ შაგ ხელებს.

სტროვი ხელგაშლილი იყო და ფულს არავის უჭერდა. ხატვრებიც ესინდისოდ სარგებლობდნენ ამით და თან გულში იცინოდნენ, რომ სტროვი მიამიტად იჯერებდა, როცა ეუბნებოდნენ — ასეთი და ასეთი უბედურება დაგეატყდა თავს და ფული გვჭირდებაო. სტროვი მეტად გულკეთილი ადამიანი იყო. გაიგებდა თუ არა ვინმეს გაჭირვებას, მაშინვე ეხმარებოდა, მაგრამ ამას ისე სულელურად აკეთებდა, რომ მადლობას არავინ ეუბნებოდა. ფულს ისე იოლად სტყუებდნენ, თითქოს პატარა ბავშვი ყოფილიყო და თანაც ზიზღით ამბობდნენ, რა სულელია. ჯიბგირი, რომელიც თავისი თითების სიმარჯვით ამაყობს, ალბათ, მაინცდამაინც აღტაცებული არ დარჩება, ვინმე დოყლაპია ქალის ნიერ დაკარგული საფულე რომ იპოვოს. სტროვს ყველა მასხარად იგდებდა. მაგრამ იგი ბუნებას კეთილი გულით დაეჯილდოებინა და, როგორც არ უნდა სწყენოდა დაცინვა, მაინც ხელს არ იღებდა მადლის ქნაზე. მუდმივი დაცინვა ძალიან აწუხებდა, მაგრამ ისეთი სათნო იყო, რომ არასოდეს არა ბოროტებოდა. შხამიანი გველი ხშირად გესლავდა სტროვს, მაგრამ ჭკუას ვერა სწავლობდა და ნაკბენს მოირჩენდა თუ არა, კვლავ გულზე იხუტებდა თავის დაუნდობელ მტერს. მისი ცხოვრება ტრაგედია იყო, ოღონდ ეს ტრაგედია ვულგარული ფარსის ფორმით გასლდათ დაწერილი. მე არასოდეს არ დავცინოდი დირკ სტროვს და ისიც, მადლობის ნიშნად, ყოველთვის მიზიარებდა თავის გულისტკივილს. ყველაზე სამწუხაროდ ის მეჩვენებოდა, რომ, რაც უფრო ტრაგიკული სახე ჰქონდა, მით უფრო მეტად უჭირდა კაცს სიცილის შეკავება.

თვითონ ხომ ძალიან ცუდი მხატვარი იყო, მაგრამ ისეთი ნატიფი ალღო ჰქონდა, რომ შეუცდომლად აფასებდა სხვის ხელოვნებას. მასთან ერთად სურათების გალერეაში წასვლას არაფერი სჯობდა. თუ რომელიმე ნახატი მოეწონებოდა, გულწრფელად აღფრთოვანდებოდა ხოლმე, დასაწყენს კი მახვილი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა. სტროვი კათოლიკე იყო და ძველი

ოსტატები ძალიან უყვარდა, მაგრამ ახლებსაც დიდი სიმპათიით უყურებდა. იგი თავიდანვე ატყობდა ახალგაზრდა მხატვარს ნიჭსა და უნარს და ქებასა და დიდებას არ იშურებდა. თანაც, თითქმის არასოდეს არ ცდებოდა. ვინაც ამისა, სხვა მხატვრებზე უფრო განათლებული იყო, კარგად იცოდა ხელოვნების სხვა დარგები, ხშირად მოჰქონდა მაგალითები მუსიკიდან და ლიტერატურიდან და ამის წყალობით მისი მსჯელობა კიდევ უფრო მეტ სილრმესა და მრავალფეროვნებას იძენდა. მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და დირკ სტროვი დაუფასებელ სამსახურს მიწევდა თავისი ახსნა-განმარტებებით.

რომიდან წამოსვლის შემდეგ, სტროვს წერილებს ვუგზავნიდი და ლაახლოებით ორ თვეში ერთხელ ვიღებდი პასუხს. ეს პასუხები უცნაური ინგლისურით იყო დაწერილი და, რომ ვკითხულობდი, მაშინვე თვალწინ წარმომიდგებოდა ხოლმე მისი ავტორი, რომელიც აღტაცებული, სხაპასხუპით ლაპარაკობდა და თან ხელებსაც იშველიებდა. სტროვს ამ ცოტა ხნის წინ იხგლისელი ქალი შეერთო და მონმარტრზე დაექირავებინა საბელოსნო. უკვე ოთხი წელი იყო, რაც ჩემი მეგობარი არ მენახა და, რაღა თქმა უნდა, არც მის მეუღლეს ვიცნობდი.

თავი მეცხრამეტე

სტროვისათვის წინასწარ არ შემატყობინებია, უნდა გესტუმრო-მეთქი და კარი რომ გამიღო, ცოტა ხანს გაოცებული შემომაჩერდა სახეში. როცა მიცნო, სიხარულის შეძახილი აღმოხდა, ხელი ჩამავლო და სასწრაფოდ შემათრია ოთახში. მართლაც ძალიან სასიამოვნოა, როცა ასე უბარიათ შენი დანახვა.

მისი მეუღლე ღუმელთან იჯდა და რაღაცას აერავდა. მე რომ დამინახა, ფეხზე წამოდგა. სტროვმა გამაცნო და მერე ცოლს მიუბრუნდა:

— მიხვდი ვინ არის? მე ხომ ხშირად მიხსენებია შენთან! — შემდეგ მე მისაყვედურა: — კი მაგრამ, რატომ არ შემატყობინე, თუ ჩამოსვლას აპირებდი? როდის ჩამოხვედი? რამდენ ხანს აპირებ დარჩენას? ნეტავი ერთი საათით ადრე ვყოფილიყავი, ერთად ვისადილებდით!

დირკმა სავარძელში ჩამსვა, სეტყვასავით დაშეყარა კითხვები და თან ისე დამიწყო მხრებზე ხელის ტყაპუნი, თითქოს გასაბერტყი ბალიში ვყოფილიყავი. იგი ძალით მაჩეჩებდა ხელში სიგარას, დაჟინებით მიმასპინძლდებოდა ღვინითა და ნამცხვრით, და, ერთი სიტყვით, წამითაც არ მასვენებდა. მერე რამდენჯერმე მომაბოდიშა, შინ ვისკი არა მაქვსო, მოინდომა, ყავა მოედულებინა ჩემთვის და ხმამაღლა დაიწყო ფიქრი, კიდევ რითი ვასიამოვნო ჩემი ძვირფასი სტუმარიო. სახე ნეტარებით უბრწყინავდა, წამდაუწუმ იცინოდა და მეტისმეტი სიხარულისაგან ოფლად იღვრებოდა.

— შენ სულ არ შეცვლილხარ, — ღიმილით ვუთხარი მე.

სტროვს სასაცილო გარეგნობა ჰქონდა, დაბალი, მოკლეფეხება, ჩაგოდრებული კაცი იყო და, მიუხედავად ახალგაზრდობისა, — სულ ოცდაათისა თუ იქნებოდა — თითქმის გამელოტებულიყო. ფართო, თეთრი სახე ჰქონდა. ლოყები და ტუჩები წითლად უღვიოდა, ოქროსჩარჩოიანი დიდი სათვალიდან ლურჯი, მრგვალი თვალები შემოგცქეროდნენ, წარბები ისეთი ღია ფერისა ჰქონდა, რომ

სულ არ ეტყობოდა. დირკ სტროვი რუბენშაის მხიარული, ჩასუქებული ეაჭრებს წაგავდა.

როცა ყურადღებით, ბინა ეიქორაეე და ერთხანს პარიზში ბინადარ ეაცხოვრობ-მეთქი, აწარუდ მიხაყვედურა — რატომ წინასწარ არ შემატყობინე, ბინასაც გიქირაეებდი, ავეჯსაც გაშოვიდი და გადაგატანინებდი. ეარეკენიანი ფული რად დახარჯეო. მარილი ძალიან ნაწყენი ჩანდა, როგორ თუ არა მთხოვე დახმარებაო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისის სტროვს ხმა არ ამოუღია: იჯდა, წინდებს კერავდა და ოდნავ გაღიმებული უსმენდა ქმრის ლაპარაკს.

— როგორც ხედავ, დაეკარგეთ, — მოულოდნელად შეეკვეთა დირკმა ასაეკრო ადგილი, — როგორ მოგწონს ჩემი მეუღლე? — მან სიყვარულით სავსე თვალები მიანათა ცოლს და ოთახისაგან ცხვირის წვეროზე ჩამოეკიდებული სათვალე შეასწორა.

— აბა რა უნდა ვიპასუხო მაგ კითხვაზე? — გამეცინა მე.

— გეყოფა, დირკ, — დიპლომატიურ ტონზე დაუტეხა ცოლმა.

— არა, ხომ დიდებული ქალია? იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო? დროს ნულარ დაკარგავ და რაც შეიძლება მალე შეირთე ცოლი. მე უბედნიერესი ადამიანი ვარ ამქვეყნად. აბა, შეხედე, განა დახატული არ გეგონება? შარდენის ნახატს არა ჰგავს? მე მსოფლიოს ულამაზესი ქალები მინახავს, მაგრამ დაბეჯითებით შეშიფლია ვთქვა, რომ ნადამ სტროვისთანა მზეთუნახავი ჯერ არ დაბადებულა.

— თუ არ გაჩუმდები, დირკ, აეადგები და გავალ აქედან.

— Mon petit choux![2] — ვნებიანად ჩაილაპარაკა დირკმა.

ქალი ოდნავ გაწითლდა. დირკი მჭერდა, ცოლი გაგიქებით მიყვარსო და მარილიც ყოფილა — ვხედავდი, რომ თვალს ვერ აცილებდა. ვერ ვიტყვი, ცოლსაც ასე უყვარდა თუ არა. ეს საცოდავი პანტალონე[3] დიდად ვერაფერს შეაყვარებდა თავს, მაგრამ მისის სტროვი ნაზად ულიმოდა ქმარს და, შესაძლებელია, ძალიანაც უყვარდა. ქალი ისეთი გაოგიქებელი სილამაზისა არ იყო, როგორიც დირკ სტროვის შეყვარებულ თვალებს ეჩვენებოდა, მაგრამ სიმშვიდე და მიმზიდველობა ნამდვილად არ აკლდა. საკმაოდ მაღალი იყო და ნაცრისფერ, უბრალო, მაგრამ გემოვნებით შეკერილ კაბაშიც კარგად ეტყობოდა, რომ მეტად მოხდენილი ტანი ჰქონდა. ისეთი ტანი, რომელიც უფრო მხატვარს მიიზიდავდა, ვიდრე მკერავს. წაბლისფერი, სქელი თმა, სადად გადაეკვეცნა, სახე მეტად ფერმკრთალი უჩანდა. ნაკვთები სწორი და ერთნაირად ლამაზი ჰქონდა. ვერ იტყოდით, მაგალითად, ცხვირი უფრო ულამაზესი იყო, ტუჩები თუ ნიკაპი. ნაცრისფერი თვალები მშვიდად შემოგცქეროდა. ნე მზეთუნახავს კი არა, ლამაზსაც არ დავარქმევდი. მაგრამ სტროვმა ტყუილად კი არ ახსენა შარდენი — მისი ცოლი მართლა წაგავდა წინსაფრიან, თავზე სამანათ ქუდდახურულ მოხდენილ დიასახლისს, რომელიც უკვდავყო ამ დიდმა ხატვარმა.

შემეძლო წარმომედგინა, თუ როგორ მშვიდად ტრიალებდა ეგი სამზარეულოში და თავიც მოსწონდა საკუთარი დიასახლისობით. არა მგონია, რომ

---

[1] ფრანგი ხატვარი (1669 — 1779).

[2] ჩემო ძვირფასო (ფრანგ.).

[3] იტალიური კომედიის პერსონაჟი.

ჭკვიანი ან თუნდაც საინტერესო ქალი ყოფილიყო, მაგრამ მისი სიმშვიდე და თავდაჭერილობა მაინც მიზიდავდა. ამ თავდაჭერილობის მიღმა ალბათ რაღაც იდუმალება იმალებოდა. მიკვირდა, დირკ სტროვს როგორ გაეცა-მეთქი. თუმცა ინგლისელი იყო, ვერ მივხვდი, რომელ ფენას ეკუთვნოდა, როგორი აღზრდა მიეღო და რაგვარ ცხოვრობდა გათხოვებამდე. ივი ფრანგულად ლაპარაკობდა ჩვენს საუბარში, მაგრამ როცა ლაპარაკობდა, შევნიშნე, რომ სასიამოვნო ხმა და ბუნებრივი მანერები ჰქონდა.

სტროვს ვკითხე, თუ მუშაობ-შეთქი.

— ნუშაობო? ასე კარგად არასოდეს არ მიმუშაია.

სახელოსნოში ვისხედით და მან ხელით მანიშნა მოლბერტზე დამაგრებულ დაუმთავრებელ სურათზე. მე გაგიკვირდა: სტროვი კამპანელ გლეხებს ხატავდა. გლეხები კიბეზე ჩამომსხდარიყვნენ დასასვენებლად.

— ამას ახლა ხატავ?

— ჰო. ნატურას აქაც ისევე ადვილად ვშოულობ, როგორც იტალიაში.

— ხომ შესანიშნავია? — მკითხა მისის სტროვმა.

— ჩემს ხელად ცოლს ჰგონია, რომ მე დიდი მხატვარი ვარ, — ვითომ ხუმრობით ჩაილაპარაკა დირკმა, სიამოვნებით ჩაიცინა და მოლბერტს მიაჩერდა. საოცარი იყო, როგორ უჩლუნგდებოდა მახვილი კრიტიკული ალღო, როცა საკუთარ უმსგავსო, ვულგარულ ნახატებს ეხებოდა.

— სხვა ნახატებიც უჩვენე, — სთხოვა მეუღლემ.

— ვინდა? — მკითხა სტროვმა.

სტროვს თუმცა ძალიან აშფოთებდნენ მეგობრები, მაგრამ მეტად პატივმოყვარე და თვითკმაყოფილი იყო და ყოველთვის უხაროდა, როცა თავისი ნახატების ჩვენებას სთხოვდნენ. სტროვმა ახლა ორი თმახუჭუჭა იტალიელი ბიჭუნა მიჩვენა. ისინი მარმარილოს ბურთულებს აგორებდნენ.

— რა კარგები არიან, არა? — მკითხა სტროვის მეუღლემ.

შემდეგ სხვა ნახატები მაჩვენეს და დავრწმუნდი, რომ პარიზშიაც ძველებური სტილით ხატავდა. ყველა სურათი ყალბი, ნაძალადევი, უგვანი და კოკობზიკური იყო. ზუსტად ისეთი, როგორიც რიგში მაჩვენა ამ რამდენიმე წლის წინათ. ამავე დროს, დირკ სტროვზე პატიოსანი, გულწრფელი და პირდაპირი კაცი ქვეყნად არ მეგულებოდა. ნეტავი როგორ შეიძლება აიხსნას ასეთი უცნაურობა?

არ ვიცი რატომ მომივიდა თავში და უცებ კი ვკითხე:

— გამიგონე, წეშეთხვევით ხომ არ შეხვედრიხარ ვინმე მხატვარს, გვარად სტრიკლენდს?

— რაო, ხომ არ იცნობ? — შეეკითხა სტროვმა.

— ის პორტრეტზე ლაპარაკობს? — ჰკითხა დირკს ცოლმა.

— Ma pauvre chérie![1] — სიცილით უთხრა დირკმა და ორივე ხელი დაუკოცნა. — ჩემს მეუღლეს არ შოეწონა. რა უცნაურია, რომ სტრიკლენდი გცნობია!

— ვერ ვიტან უზრდელ ხალხს, — კვლავ ჩაურთო სიტყვა მისის სტროვმა. დირკმა ისევ ჩაიცინა და მე მომიბრუნდა:

---

[1] ჩემო საწყალო მეგობარო (ფრანგ.).

— იცი რა იყო? ერთ დღეს ვთხოვე, მოდი და ჩემი ნახატები დაათვალიერე-მეთქი. ისიც მოვიდა და მე ყველაფერი ვუჩვენე, — სტროვი შეყოყმანდა, თითქოს ამბის გაგრძელება აღარ უნდოდა. არ ვიცი რატომ დაიწყო, თუ დაბოლოებისა რცხვენოდა, მერე განაგრძო: — ჰოდა, დაათვალიერა ჩემი... ყველა ჩემი ნახატი ნახა და ხმა არ ამოუღია. ვიფიქრე, ბოლოს [illegible] ყველაფერს-მეთქი. რომ აღარაფერი თქვა, ვუთხარი, სულ ეს [illegible] ფრანაფერი მაქვს-მეთქი და იცი რა მითხრა? მე იმიტომ გამოგყევი, რომ ოცი ფრანკი მინდოდა გამომერთმია სესხადო.

— ჰოდა, დირკმა მართლა მისცა! — გაბრაზებით თქვა მისის სტროვმა.

— ისე მოულოდნელი იყო, რომ... ხომ იცი, უარის თქმა არ მიყვარს. იმან ფული ჯიბეში ჩაიდო, თავი დამიქნია, გმადლობთო მითხრა და წავიდა.

დირკ სტროვს ამ საუბრის დროს ისეთი უსაზღვრო გაოცება ეწერა მრგვალ, ყეყეჩ სახეზე, რომ ლამის ხარხარი ამიტყდა.

— რომ ეთქვა, შენი ნახატები არ ვარგაო, კიდევ ჰო, მაგრამ არაფერი თქვა, სულ არაფერი!

— ჰოდა, ამის მერე განა შეიძლებოდა ხმის ამოღება ამ ამბავზე?! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ქალმა.

ყველაზე საშწუხარო ის იყო, რომ მე ჩემი ჰოლანდიელი თანამოსაუბრის სულელურ გამომეტყველებაზე შეცინებოდა, სტრიკლენდის საქციელზე კი სულ არ ვბრაზობდი.

— იმედია, აღარასოდეს აღარ ვიხილავ იმ კაცს, — თქვა მისის სტროვმა.

სტროვმა ღიმილით აიჩეჩა მხრები. იგი კვლავ თავის ჩვეულებრივ ხასიათზე დამდგარიყო:

— ასე თუ ისე, ერთი კი ნაღდია: ეგ კაცი დიდი მხატვარია, ძალიან დიდი მხატვარი!

— სტრიკლენდი?! — გავიოცე მე, — მაშინ შენ სხვაზე ლაპარაკობ!

— ბრგე, წითელწვერა. ჩარლზი ჰქვია, ინგლისელია.

— მე რომ ვიცნობდი, წვერი არ ჰქონდა, მაგრამ თუ მოუშვა, სწორედ წითური ექნება. მე რომ ვიცნობ, გეუბნები, იმან ამ ხუთი წლის წინ დაიწყო ხატვა.

— სწორედ ეგ არის. ნამდვილად დიდი მხატვარია.

— წარმოუდგენელია!

— განა ოდესმე გავმტყუნებულვარ? — მკითხა სტროვმა, — გეუბნები, რომ გენიოსია. ამაში ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი. ასი წლის შემდეგ თუ მე და შენ გავვიხსენეს, იცოდე, ამის მიზეზი მხოლოდ ის იქნება, რომ ჩარლზ სტრიკლენდს ვიცნობთ.

— ძალიან გავოცდი და ავღელდი კიდეც. უცებ ჩემი და სტრიკლენდის ბოლო საუბარი გამახსენდა.

— სადა ნახავს კაცი მის ნახატებს? რაიმე წარმატებას თუ მიაღწია? სადა ცხოვრობს?

— არა, ჯერ არავითარი წარმატებისათვის არ მიუღწევია. მგონი ჯერ არც ერთი ნახატი არ გაუყიდია. იმის ხსენებაზე იცინიან, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ დიდი მხატვარია. ბოლოს და ბოლოს, მანესაც დასცინოდნენ, კოროს კი ერთი სურათიც არ გაუყიდია თავის სიცოცხლეში. სადა ცხოვრობს არ ვიცი,

მაგრამ შეგახვედრებ. ყოველ საღამოს შვიდ საათზე კაფეში დადის, კლიშის ქუჩაზე. თუ გინდა, ხვალვე წავიდეთ.

— არა მგონია, გაეხარდეს ჩემი ნახვა. დამინახავს თუ არა, წარსული გაახსენდება, მაგრამ არა უშავს, მაინც წამოვალ. იქნებ მოხერხდეს მისი ნახატების დათვალიერება?

— თვითონ არაფერს არ გაჩვენებს. მაგრამ ერთ ვაჭარს აქვს ორი თუ სამი ნახატი. ოღონდ უჩემოდ არ უნდა ნახო — უჩემოდ ვერაფერს გაუგებ. მე თვითონ უნდა ავიხსნა ყველაფერი...

— დირკ, შენ შე გადამრევ, — წამოიძახა მისის სტროვმა, — აბა როგორ აქებ მის ნახატებს იმის შემდეგ, რაც გავიკეთა? იცით, ერთხელ რამდენიმე ჰოლანდიელი მოვიდა ჩვენთან, დირკის ნახატები უნდოდათ ეყიდათ, ეს კი ჩაიცვდა, სტრიკლენდისა იყიდეთო და იმდენი ქნა, რომ აქ მოიტანა საჩვენებლად.

— როგორ მოგეწონათ? — ღიმილით ვკითხე მე.

— ოჰ, საშინელება იყო.

— შენ არ გესმის, ჩემო ძვირფასო.

— კარგი, მაგრამ ხომ გახსოვს, ის შენი ჰოლანდიელებიც რომ გაეცალნენ, მასხარად რატომ გვიგდებო.

დირკ სტროვმა სათვალე მოიხსნა და მინებს წმენდა დაუწყო. მღელვარებისაგან ისედაც ფეროვანი სახე მთლად გაუწითლდა:

— რატომ გგონიათ, რომ მშვენიერება — ყველაზე უძვირფასესი რამ ამქვეყნად — რიყის ქვასავით აგდია ყველა მღინარის პირას და ვისაც კი მოუნდება, შეუძლია აიღოს? მშვენიერება ის საოცრებაა, რომელსაც მხატვარი საკუთარი სულის ტანჯვისა და წამების ფასად გამოაროდებს ამქვეყნიურ ქაოსს. და მაშინაც კი, როცა მშვენიერება საკუთარ სახეს მიიღებს, ყველას არ შეუძლია მისი შეცნობა. საამისოდ თითქმის იმ მხატვრის გზა უნდა გაიარო, რომელმაც ეს მშვენიერება შექმნა. ივი განუმეორებელ ჰანგებს უმღერის მსმენელს, მაგრამ ეს ჰანგები მხოლოდ მცოდნეს, მგრძნობიარესა და წარმოსახვის უნარის მქონეს უთრთოლებს გულს.

— რატომ მომწონს ასე ძალიან შენი ნახატები, დირკ? პირველად დავინახე თუ არა, მაშინვე აღტაცებამ შემიპყრო.

სტროვს ტუჩები აუკანკალდა:

— წადი, დაიძინე, ჩემო თვალისჩინო. მე ცოტაზე გავაცილებ ჩვენს მეგობარს და ახლავე დავბრუნდები.

თავი მეოცე

დირკ სტროვი დამპირდა, ხვალ საღამოს გამოგივლი და იმ კაფეში წავიდეთ, სადაც სტრიკლენდი მეგულებაო.

როცა მივედი, ჩემდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ ეს იგივე კაფე იყო, რომელშიც მე და სტრიკლენდმა აბსენტი დავლიეთ. სტრიკლენდს ჩვეულებისათვის არ ეღალატა და ისევ ამ კაფეში დადიოდა. ესეც მენიშნა. სხვანაირად რომ ყოფილიყო, გამიკვირდებოდა.

— ეგერ, იქა ზის, — მითხრა სტროვმა, როცა კიბეში შეველით.

თუმცა ოქტომბერი იყო, თბილოდა და ქვაფენილზე გაშლილი შავიდენიდან არც ერთი არა ჩანდა თავისუფალი. მე ყველა მაგიდა მოვავლე-ერე, მაგრამ სტრიკლენდი ვერსად შევნიშნე.



— ეგერ, იქით ძიხედე, კუთხეში. ჭიდრაკს თამაშობენ. [illegible] გავიხედე და ჭიდრაკის დაფაზე დახრილი მაძიებლის ფერთა [illegible] ულვაშიანი და წითური წვერი დავინახე. მაგიდებს შორის გაჭირვებით გავიკვალეთ გზა და თავს დავადექით.

— სტრიკლენდ! — შეეკითხა სტროვი.

სტრიკლენდმა ახედა:

— გამარჯობა, გაბერილო, რა გინდა.

— შენი ძველი მეგობარი მოგიყვანე.

სტრიკლენდმა წამოიმეხედა, მაგრამ ვერ მიცნო, სტროვს ბუზღუნით უთხრა: „დაჯექი და ხმა არ ამოიღოო“ და კვლავ დაფას დაეცქერდა. ცოტა ხნის შემდეგ პიკი წასწია! მაგრამ არც ახლა მოუხედავს ჩვენკენ.

სტროვმა საწყლად გადმოგვხედა, ჰაგრამ მე ასეთი მცირე რამ ალარ მაბრაზებდა. სასმელი მოვითხოვეთ და დაბაჭვილებით დავუწყეთ ლოდინი პარტიის დამთავრებას. ის კი არა, გაძახარდა კიდეც, რომ თავისუფლად შემეძლო დავკვირვებოდი სტრიკლენდს. ქუჩაში რომ შემხვედროდა, ნამდვილად ვერ ვიცნობდი. ჯერ ერთი, გაბურძგნილი წვერი უფარავდა მთელ სახეს, თანაც გრძელად ჩაზოზილოდა და, რაც მთავარია, საშინლად გამხდარიყო. სიგანეზერისაგან ისედაც დიდი ცხვირი, უზარმაზარი მოუჩანდა, ლოყები ჩაეარდნოდა, თვალები გაფართოებოდა და საფეთქლებიც კი ჩაღრმავებოდა. ჩხირივით გაწვრილებულ ტანზე ისევ მაწანდელი ქურთუკი ეცვა, ოღონდ უკვე დაგლეჯილი, დაქექილი და დალაქავებული. ისე ეკიდა ტანზე, თითქოს სხვისი ნაქონიაო. ჭუჭყიან და ფრჩხილებწამოზრდილ ფეხებზე მარტო ტყავი ჰქონდა გადაკრული, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ამ ხელებს ჯერ კიდევ საკმაო ძალა შერჩენოდა.

ძლივს გავიხსენე, რომ სტრიკლენდს წინათ ლამაზი ხელები ჰქონდა. ვიჯექი, ვუმზერდი ამ ადამიანს, რიმეულიც ჭიდრაკის დაფას გარდა არაფერს აქცევდა ყურადღებას და ვგრძნობდი, რომ იგი უზარმაზარი ძალის პატრონი იყო. ბრძოლა გაგაბმევდა და სიბერეზეც კიდევ უფრო თვალში საცემს ხდიდა ამ უცნაურ ძალას.

სტრიკლენდმა სელი გააკეთა, სკამის სახელურგეს მიეყრდნო და დაბნეულად მიაჩერდა მოწინააღმდეგეს. სქელ, წვეროსან ფრანგს. ფრანგი ერთხანს დაკვირვებით დასცქეროდა ბრძოლის ველს, მერე ბუზღუნით გადახვევა ფიგურები დაფიდან და ყუთში ჩაყარა. როცა ბუზღუნით ფული მოიჯერა, მიმტანს დაუძახა, დანახარჯი გაისტუმრა და წავიდა. სტროვი სკამიანად მიიწია მაგიდასთან და სტრიკლენდს უთხრა, ახლა კი იმედია ვისაუბრებთო.

სტრიკლენდი მტრულად მიაჩერდა მას: დარწმუნებული ვარ, დაკინვის საბაბს ეძებდა, მაგრამ ვერა პოულობდა და ძალაუნებურად გაჩუმებული იყო.

— შენი ძველი მეგობარი მოგიყვანე, — გაუმეორა სახეგაბრწყინებულმა სტროვმა.

სტრიკლენდი კარგა ხანს ყურადღებით მიაშტერდა. მე ხმა არ ამოვიღე.

— ჩემს ღღეში არ შინახავს ეს კაცი, — გაბაუხალა ბოლოს სტრიკლენდმა, თუმცა თვალებში აშკარად შეეტყვნენ, რომ მიცნო. რაღაცნირე, წლის წინ რომ ეთქვა ასე, შეეცბუნდებოდი, ბიგრამ ახლა არც კი შეეშინია [illegible]:

— ამაა წინათ თქვენი ცოლი ვნახე. დაორწმუნებული ვარ, [illegible] გინდათ მისი ამბის გაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრიკლენდმა პასუხად ჩაიცინა, თვალებში ნაპერწკლებიც გაუელვა.

— რა კარგად გაგიტარეთ ის საღამო! რამდენი ხანი გაიარა მას შემდეგ?

— ხუთი წელი.

სტრიკლენდმა კიდევ მოითხოვა აბსენტი. სტროვმა წერილად დაიწყო მოყოლა, თუ როგორ შეგხვდით ჩვენ ერთიანეთს და როგორ გაქოიტკვა. რომ თურმე ორივენი ეიცნობდით სტრიკლენდს. სტრიკლენდი, ნე მგონი, ორც კი უსმენდა. ერთი-ორჯერ ყურადღებით შემოიხედა, მაგრამ მეტწილად საკუთარ ფიქრებში იყო ჩაფლული და სტროვი ასე რომ არ გალექსილიყო, საუბარი გაძნელდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ ჰოლანდიელმა საათზე დაიხედა და მითხრა, უნდა წავიდე და შენ რას იზამთ. მე ვიფიქრე, მარტო რომ დავრჩებით, იქნებ მაშინ მაინც ალაბარიკდეს-მეთქი და სტროვს დავემშვიდობე.

როცა ჩემი სქელი მეგობარი თვალს მიეფარა, სტრიკლენდს ვუთხარი:

— დირკ სტროვის აზრით, თქვენ დიდი მხატვარი ხართ.

— რა ჯანდაბად მიხდა მაგისი აზრი?

— არ მიჩვენებთ თქვენს ნახატებს?

— ვითომ რად უნდა გიჩვენოთ?

— იქნებ ერთი ნახატის ყიდვის სურვილი გამჩენოდა.

— იქნებ მე არ გამჩენოდა ვაყიდვის სურვილი!

— ალბათ კარგ ფულს აკეთებთ, არა? — დიმილით ვკითხე მე.

— მეტყობა ხოლ? — ჩაიცინა სტრიკლენდმა.

— ნამშიმშილარსა ბგავხართ.

— მართლაც ეგრეა.

— მაშინ წავიდეთ და ვისადილოთ.

— რატომ გიხდათ, რომ მასადილოთ?

— იმიტომ არა, რომ გულმოწყალე ვარ, — ცივად ვუპასუხე მე, — სულ არ მენანება ნშიერი იქნებით თუ მაძღარი.

სტრიკლენდი კვლავ გამოცოცხლდა:

— თუ ეგრეა, წავიდეთ, — იგი ეეხხე წამოდგა, — ერთი კარგი სადილი ძალიან მომიხდება.

თავი ოცდამეერთე

რესტორანი თეითონ ავარჩევინე. როცა სადილი წეუკვეთა, გზაში ნაყიდი გაზეთი სენ გალმეს ბოთლზე მიეაფინე და კითხვა დავიწყე. მალე სადილი მოგვიტანეს და ორივენი ხმაამოუღებლივ შევუდექით ჭამას. ვგრძნობდი, რომ ხანდახან შემომხედავდა ხოლმე, მაგრამ მე ვითომ ვერ ვამჩნევდი. მინდოდა თვითონ დაეწყო საუბარი.

— არის რაიმე საინტერესო გაზეთში?—მკითხა ჩვენი მდუმარე ტრაპეზის დასასრულს, ცოტა არ იყოს, გალიზიანებულმა სტრიკლენდმა.

— მე უფრო თეატრალურ ფელეტონებს ვეტანები ხოლმე. — ვუპასუხე, გაზეთი დავკეცე და გვერდით დავიდე.

— კარგა გემრიელად ვისადილე, — ჩაილაპარაკა მან. ერრეენშლი

— მე მგონი, აჯობებს, ყავაც აქ დაველიოთ, არა? ბიბლიოთეკა

— დავლიოთ.

სიგარეტა მოვუკიდეთ და უხმოდ გავაბოლეთ. ვატყობდი, რომ �rodadrro გალიმებული თვალებით გადმოგხედავდა ხოლმე.

მე მოთმინებით ველოდი, თუ როდის დაიწყებდა ლაპარაკს.

— რას აკეთებდით, რაც მე არ მინახავხართ? — მკითხა მან ბოლოს.

ბევრი არაფერი მქონდა სათქმელი. ამ წლებში ბევრსა ვშრომობდი, მაგრამ ლირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა ჩემს ცხოვრებაში. ხან ერთ გზას მოვსინჯავდი, ხან მეორეს, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ვეცნობოდი წიგნებსა და ადამიანებს. თვითონ სტრიკლენდს არც ახლა ვკითხე, როგორა ცხოვრობთ-მეთქი და ბოლოს მივიღე კიდეც ჩემი თავდაჭერილობის საზღაური: სტრიკლენდმა თავის თავზე დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ მოუქნელი ენა ჰქონდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დიდი გაჭირვებით ძლივს მიამბო რამდენიმე ეპიზოდი თავისი ცხოვრებიდან. დანარჩენი კი საკუთარი ფანტაზიით უნდა შემევსო. პირდაპირ ტანტალოსის ტანჯვა გადავიტანე. განა ადვილია, ასე ძალიან გაინტერესებდეს კაცი, ის კი ასე უხალისოდ და უნდილად გიხსნიდეს გულის კარებს? თითქოს ძველი, გადარეცხილი ხელნაწერი მეჭირა ხელში და ძლივ-ძლივობით ვკითხულობდი. საბოლოოდ მთელი მისი ცხოვრება წარმომიდგა თვალწინ. თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში მედგრად ებრძოდა ათასგვარ გაჭირვებას. იმასაც მიეხვედი, რომ მრავალი რამ, რაც სხვებს მეტისმეტად ამინებდა, სტრიკლენდს არაფრად მიაჩნდა. იგი ინგლისელებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ სრულიად არ მიუწევდა გული ფუფუნებისაკენ; არ აწუხებდა, მაგალითად, რომ იმ გასაოცდავებულ ოთახში ცხოვრობდა, სულ არა სურდა, რომ ძვირფასი ნივთები ჰქონოდა. არა მგონია, შეემჩნია, რომ სასტუმროს იმ ოთახს, სადაც ამ ხუთი წლის წინ ვესტუმრე, ბინძური შპალერი ჰქონდა გაწოკრული. სავარძელს სამზარეულოს ოთხკუთხა სკამი ერჩია, ჭამა მადიანი იცოდა, მაგრამ ოღონდ კი შიმშილი დაეოკებინა და სულ არ დაგიდევდა, თუ რას შეჭამდა. როცა არაფერი ჰქონდა, უდრტვინველად შიმშილობდა. მე მითხრეს, რომ მთელი ექვსი თვის განმავლობაში ღღეში ერთ ნატეხ პურსა და ერთ ბოთლ რძეზე გადადიოდა. ვნებიანი იყო, მაგრამ ერიდებოდა ყოველივეს, რაც ვნებას ბადებს და აძლიერებს. გაჭირვება არასოდეს არ აღონებდა და აშკარად ეტყობოდა, რომ მხოლოდ საკუთარი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა.

როცა ლონდონიდან ჩამოყოლილი მცირეოდენი თანხა გაუთავდა, სულ არ შეშინებულა. სურათი ვერ გაყიდა. მე მგონი, მაინცდამაინც არც შეუწუხებია თავი გასაყიდად. ამის სანაცვლოდ ისეთი საშუშაოს ძებნა დაიწყო, რომ ცოტაოდენი ფული გაეკეთებინა. მან ამიწერა თავისი ცხოვრების ის პერიოდი, როცა ლონდონელებს პარიზის ღამის ცხოვრებას აცნობდა. ეს საქმიანობა სავსებით შეეფერებოდა მის სარდონიკულ ხასიათს. ამ ხანებში ზედმიწევნით შეისწავლა ქალაქის ჯურღმულები. საათობით დადიოდა ხოლმე მადლენის ბულ-

ვარზე ისეთი ინგლისელის მოსაძებნად, რომელსაც კანონით აკრძალული სანახაობებით დატკბობის სურვილი ექნებოდა. უკეთესი იყო, თუ კლიენტს სასმელიც ჰქონდა გადაკრული. როცა ასეთ კლიენტს იპოვიდა, კარგა ხანს მოუალობდა ხოლმე. ბოლოს ტანსაცმელი ისე დაუცვდა, რომ ტუალეტები ალარ ეხლიბოლნენ. ერთხანს ინგლისში გასაგზავნი პატენტირებული წამლების რეკლამებს თარგმნიდა. შემდეგ, გაფაციცის დროს, სახლების მფლობელობა დაკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი დღითაც არ გაუშვია ჯალბისთვის ხელი. ოღონდ ეგ იყო, რომ სტუდიები შესაკერდა და მარტო ხატავდა. ტილისა და საღებავებში ფულს არ იშურებდა და სახატავად სხვა არაფერი სჭირდებოდა. როგორც წევიტყვე, ხელოვნების გზაზე მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ასე იმიტომ გაწვალდა, რომ რიგიანს არავის ეკითხებოდა და ხშირად უამრავ დროს კარგავდა იმ ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებიც უკვე გადაწყვეტილი იყო წინა თაობათა მიერ. რალაცას ეძებდა, ოღონდ რას — არც მე ვიცი და, მგონი, კარგად არც თვითონ იცოდა.

მე თითქმის დაეარწმუნდი, რომ იგი რალაც ძალას დამონებოდა. მართლაც, მთლად ჭკუათმყოფელს არა ჰგავდა. ისიც კი ვიფიქრე, ალბათ, იმიტომ არ მაჩვენებს ნახატებს, რომ ისინი თვითონაც არ აინტერესება-მეთქი. სტრიკლენდი საკუთარი ოცნებით შექმნილ ქვეყანაში ცხოვრობდა და რეალობა არაფრად მიაჩნდა. ალბათ, როცა რაიმეს ხატავდა, მთელ თავის შმაგ ენერგიას აქსოვდა შიგ, ამ დროს ყველაფერი ავიწყდებოდა და მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ როგორმე ტილოზე გადეტანა, რასაც ოცნების ალეალით ხედავდა. ბოლოს, როცა ჩაიქრობოდა გულში ალავით მოგონებაზე ვნებას, ყოველგვარ ინტერესს ჩაკარგავდა თავისი ნახატისადმი, რომელიც, ჩემი აზრით, არასოდეს არ იყო დამთავრებული და დახვეწილი და არასოდეს არ აკმაყოფილებდა სტრიკლენდს. მას ენვენებოდა, რომ სურათი მეტად უფერული იყო მის ზმანებებთან შედარებით.

— ერთხელ მაინც რატომ არ გიგზავნეთ ნახატები გამოფენაზე, — ვკითხე მე. — ხალხის მსჯავრი არაფრად მიგაჩნიათ?

— თქვენ მიგაჩნიათ რამეად? — აუწერელი ზიზღით მეგმიბრუნა კითხვა სტრიკლენდმა.

— სახელი და დიდება არ გინდათ? ეს ისეთი რამაა, რაზეც არც ერთი მხატვარი არ ამბობს უარს.

— სულელები არიან. როგორ შეიძლება ანგარიში გაუწიო ბრბის აზრს, როცა ცალკეული ადამიანის აზრი ჩალად არ გიდირს?

— ადამიანი ასე ლოგიკურად არა მსჯელობს, — გამეცინა მე.

— ვინ უქმნის ადამიანს სახელს? კრიტიკოსები, მწერლები, ბირჟის ბაკლერები, ქალები.

— ვინა არ გესიამოვნებათ, რომ იმ ხალხს, რომლებიც თვალით არ გინახავთ, განაცდევინოთ ტკბობა და ნეტარება თქვენი ქმნილებებით? ძალაუფლება ყველას უყვარს და განა იმაზე მეტი ძალაუფლება შეიძლება არსებობდეს, რომ შეგეძლოს ადამიანს შიშით ან თანაგრძნობით აუთრთოლი გული?

— ეგ მელოდრამაა.

— ხუთე სულ ერთია ცუდად დახატავთ თუ კარგად?

— სულ ერთია, ოღონდ ვხატო. რასაც ვხედავ.

— მე კი არა მგონია, რომ შეეძლო უკაცრიელ კუნძულზე წერა. ხომ უნდა ვიცოდე, რომ ვინმე წაიკითხავს ჩემს დაწერილს.

სტრიკლენდი კარგა ხანს დუმდა, მაგრამ თვალები ისე ფანატიკურად უბრწყინავდა, თითქოს რაღაც ამაღელვებელს უმზერსო.

— ხანდახან ეოცნებობ უკიდეგანო ზღვის სიღრმეში მდებარე კუნძულზე, სადაც უცნობი ხეებით შეფოჯარული ბაღებით ველზე ვიცხოვრებდი სიმშვიდითა და მდუმარებით გარემოცული. აი იქ კი ნამდვილად ვიპოვიდი რასაც დავეძებ.

მას მთლიად ამ სიტყვებით არ გადმოუცია ეს აზრი. ზედმეტობებს ნაცვლად ჯესტებს ხმარობდა, ალაგ-ალაგ ბორძიკობდა. მიეხვდი, რასი თქმა უნდოდა და საკუთარი სიტყვები დავამატე.

— განცლილ ხეთ წელს რომ გადიავლებთ თვალს, ხომ არ ფიქრობთ, ყველაფერი ამდენ წელიწადს არა ღირდაო? — ვკითხე მე.

სტრიკლენდმა ისე შემომხედა, რომ ვიფიქრე, ვერაფერი გამიგო-მეთქი და შეეცადე, კიდევ უფრო გასაგებად ვიდამეცა ჩემი აზრი.

— შესანიშნავ ბინასა და უბრალოდ ცხოვრებაზე აღლეთ ხელი. თქვენ ხომ შეძლებული ადამიანი იყავით. აქ კი, პარიზში, გეტყობათ, ძალიან მძიმე დღეები გაქვთ გადატანილი. რომ შეეიძლოთ წარსულში დაბრუნება, ისევ ასე მოიქცეოდით?

— რა თქმა უნდა!

— დღეს ერთი სიტყვითაც არ ეიხსენებიათ ცოლი და შვილები. ნუთუ არასოდეს არა ფიქრობთ ამათზე?

— არა.

დალაბერების წინაა. ხეტალი ასე თითო-თითო სიტყვით არ მაშორებდეთ თავიდან. ნუთუ არასოდეს არ გიგრძნიათ სინდისის ქენჯნა? თქვენ ხომ ძალიან დიდი ტანჯვა მიაყენეთ ცოლ-შვილს!

სტრიკლენდმა გაიღიმა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ნე მაინც მგონია, რომ ღროდადრო, თქვენდა უნებურად, მაინც იხსენებთ ხოლმე გარდასულ დღეებს, შვიდი-რვა წლის წინანდელ ამბებს კი არა, უფრო ადრინდელს ვგულისხმობ, როცა პირველად შეხვედით თქვენს მეუღლეს, როცა შეიყვარეთ და დაქორწინდით. ნუთუ პირველი კოცნის სიტკბო ალარ გახსოვთ?

წარსულზე არა ეფიქრობ. ჩემთვის მხოლოდ დაუსრულებელ აწმყოს აქვს ფასი.

ამ პასუხზე კარგა ხანა ვიფიქრე. იგი საკმაოდ ბუნდოვანი იყო. მაგრამ რაღაცას მაინც მიეხვდი.

— ბედნიერი ხართ?

— კი.

მკირე ხანს დაფიქრებული ნიკჩერებოდი სტრიკლენდს. მან შენიშნა ჩემი მზერა და თვალებში დამცინავი ნაპერწკლები აუციმციმდა:

— მგონი, ამ წამში განკიცხვის განაჩენი გამოგაქვთ, არა?

— რა სასულელია, — მკვახედ მივუგე მე, — განა შეიძლება მასხრიბელ გველს განკიცხვის განაჩენი გამოვუტანოთ? მე უფრო ის მაინტერესებს, თუ როდის რას ფიქრობს იგი.

— ესე იგი, წმინდა პროფესიული თვალსაზრისით ვიწვევ თქვენს ინტერესს, არა?

დიახ.

— ალბ კი გაქვთ რეში გაბედვის უფლება. თქვენ [illegible] ხასიათისა იქნებით.

ბიბლიოთეკა

— ალბათ, იმიტომ გრძნობთ ასე თავისუფლად ჩემთან თავს, — დაუფარეს მე.

სტრიკლენდმა ცივად გაიღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ძალიან მინდა, როგორმე მოვახერხო მისი ლიმილის აღწერა. ეს ლიმილი რაღაც უცნაურ სხივს ანათებდა მის სახეს და პირქუშ გამომეტყველებას უცვლიდა. ლიმილის დროს სტრიკლენდს ისეთი ეშმაკური ნაპერწკლები ეანთებოდა თვალებში, თითქოს თანამოსაუბრეს ნიშნს უგზავნიდა. ეს ლიმილი სულაც თვალებში იწყებოდა და იქვე თავდებოდა. იგი ვნებიანი იყო, მაგრამ არც მკაცრი გახლდათ და არც კეთილი, თითქოს ადამიანი კი არ ღიმებდა — სატირი ხითხითებდა. სწორედ ამიტომ ვკითხე:

— ბუთუ აქ, პარიზში, არავინ შეგიყვარდათ?

— მაგისთანა სისულელეებისათვის არა მცალია. სიცოცხლე მოკლეა, ორივეს — სიყვარულსა და ხელოვნებას — ვერ გასწვდება.

— ქალების მოძულეს არა ჰგავხართ.

— მაგისთანა საქმეები ზიზღსა ბგერის.

— რა ცუდად არის მოწყობილი ადამიანი, არა?

— რატომ დამცინით?

— იმიტომ, რომ თქვენი არა მჯერა.

— მაშინ მთლად გამოტვინებული ყოფილხართ.

ერთხანს მდუმარედ მივაჩერდი სტრიკლენდს, შემდეგ ვკითხე:

— რატომ სიმართლეს არ მეუბნებით, ტყუილი რაში გარგიათ?

— არ ეიცი, რატომ მსაყვედურობთ!

— აი, გეტყვით, — ლიმილით ვუთხარი მე, — თვეების განმავლობაში ამაზე არ ფიქრობთ და საკუთარ თავს არწმუნებთ, რომ ალარც არასოდეს იფიქრებთ. თქვენ აღტაცებული ხართ, რომ, ბოლის და ბოლის, მოიპოვეთ თავისუფლება, რომ, ბოლის და ბოლის, თქვენი სული თქვენვე გეკუთვნით: ისე გიხარიათ, ლაქის ცას ეწვით სიხარულით. მაგრამ ეეჭვები გრძნობთ. რომ ასეთ ცხოვრებას ველარ აიტანთ, გრძნობთ, რომ ვთქვა ეს ხნის მანძილზე ლაფში ტობავდით და ახლა გინდათ, შიგ ჩაწვეთ და ამოირეცხოთ. და, აი, მიიღიხართ და შოულობთ ვინმე ქალს, რა თქმა უნდა, ვინმე მურდალს, ლირწს, თითქმის ცხოველს, რომელშიც თავმოყრილია მისი სქესის მთელი სიბილწე და საშინელება, მხეციერად დაეცხრებით თავზე და შანამდე არ მოეშვებით, სანამ თვალში სინათლე არ დაგეკარგებათ ძალისგან.

სტრიკლენდი პირდაპირ მომჩერებოდა, მაგრამ სახეზე ერთი ძარღვიც არ შესტოკებია. მეც თვალებში ვუმზერდი და ეცდილობდი, რაც კი შეიძლებოდა, ნელა და შთამბეჭდავად მელაპარაკა.

— და იცით, რა არის ყველაზე საოცარი? როცა ყველაფერს მოთავეებთ, გრძნობთ, რომ უჩვეულოდ გასპეტაკდით, თითქოსდა, სხეულსაც ველარა გრძნობთ, ითქოს მხოლოდ სული ხართ, ხორცი კი სადღაც გაქრა. ახლა ისე

ახლოსა ხართ მშვენიერებასთან, რომ შეგიძლიათ ხელითაც კი შეეხოთ. ახლა გესვენებათ, რომ ნიავსა და კვიტებდაბერილ ხეებს შეენიღბეთ, ათასლრად მოლიელვე მდინარის წყალში გალღვეთ და აირიეთ. გრძნობთ, რომ უკვე ღმერთად იქეცით! განა მართალი არა ვარ?

სანამ ვლაპარაკობდი, სტრიკლენდი თვალმოუშორებლად მიმჩერებოდა. სახეზე უცნაური გამომეტყველება ჰქონდა შერჩენილი. ვიფიქრე, ასეთი სახეალბათ, წამებით მოკლულ კაცს ექნება-მეთქი. როცა დავამთავრე, სტრიკლენდმა ხმა არ ამოიღო და მიეხვდი, რომ შემეძლო ჩემი საუბარი დამთავრებულად ჩამეთვალა.

თავი ოცდამეორე

პარიზში რომ დავბინავდი, პიესის წერა დავიწყე. მე ზომიერ ცხოვრებას ვეწეოდი: დილაობით ვმუშაობდი. შუადღის შემდეგ ხან ლუქსემბურგის ბაღში ვსეირნობდი, ხან ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდი, ხანაც ლუვრს ვესტუმრებოდი და გამოსვლას ველარ მოვიფიქრებდი ხოლმე. ლუვრი ხომ ყველაზე სტუმართმოყვარე და ფიქრების ამშლელი მუზეუმია მსოფლიოში. ხშირად სანაპიროზე ჩაფლულებულ ბუკინისტების დახლებს დავუყენებოდი და იმ წიგნებს ვფურცლავდი, რომელთა ყიდვაც არ ვაპირებდი. თავში ერთ ფურცელს ჩავიკითხავდი, ბოლოში — მეოთხეს და მეტიც არ მიხდოდა. უფრო ახლოს გაცნობის არც სურვილი მქონდა და არც მოცალეობა. ამ გზით უამრავ ავტორს გავეცანი. სალამოობით მეგობრებს ვესტუმრებოდი. დროდადრო სტროვებსაც შევეფეთებოდი და იმათ მოკრძალებულ სუფრას ვიზიარებდი. დირკი ძალიან იკვეხნიდა, იტალიური აბრეშუმის შოშხედებაში ვერავინ მაჯობებსო და, მართლაც, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ სპაგეტი ბევრად უკეთესი გამოუდიოდა, ვიდრე ნახატები.

დირკს უზარმაზარი სინით შემოჰქონდა ტომატით უხვად შეზავებული მაკარონი, რომელსაც ბინ გამოშცხვარ პურს ვიტანდით და წითელ ღვინოს ვეყოლებოდით. სწორედ რომ შეღის საკადრისი სადილი გახლდათ. ამ სადილობის დროს უფრო კარგად გავიცანი ბლანშ სტროვი და, ალბათ, იმიტომ. რომ ისეც ინგლისელი იყო და საერთო ნაცნობები გვყავდა, მგონი, უხაროდა კიდეც ჩემი სტუმრობა. იგი მეგობრულად მეპყრობოდა, ოღონდ ეშმაკესად დუმდა და არ გაცი, რატომ, მაგრამ ყოველთვის გაფაფრობდა, რომ რაღაც საიდუმლოს ინახავდა გულში. თუმცა ეს შეიძლება თანდაყოლილი თავდაჭერილობაც იყო, რომელიც ეფრო მკვეთრად ისახებოდა იმით, რომ ქმარი ესოდენ გულახდილი და ყბედი მყავდა. დირკს არიფრის დამალვა არ შეეძლო. ყოველგვარი მორიდების გარეშე ეუბნებოდა ყველას თავისი ინტიმური ცხოვრების ამბავს. მისის სტროვს რცხვენოდა, მაგრამ ირიდერს ამბობდა. მსოფლიოდ ერთხელ ვერ შეიკავა თავი. ეს მაშინ მოხდა, როცა მისმა ქმარმა მოინდომა, აუცილებლად მოეთხოვა, თუ რომელი დალია საფალარათო წამალი და შეეცადა ნათლად წარმოედგინა ჩვენივის თავისი მდგომარეობა. იგი ისე სერიოზულად პყვებოდა თავის გაჭირვებაზე, რომ ლამის სიცილით დავიხრჩე. ამან კიდევ უფრო გაიმწარა მისი ცოლი.

— ისე იქცევი, თითქოს გინდა, რომ ხალხმა სულელი დაგიძახოს!

დირკს თვალები კიდევ უფრო დაუძრგვალდა, წარბები ალ შუბლზე აეკიდა.

— ნუთუ რაიმე გაწყენინე, ძვირფასო? ალარასოდეს არ დავლევ საფალარათოს. ალბათ, ნაღველი ჩასექცა. მე ხომ უმეტესად ეხივარ, ... სამი დღის განმავლობაში კუჭს სულ არ...

— გაჩუმდი, ხმა ალარ ამოიღო, — გააწყვეტინა აცრემლებულმა ცოლმა.

სტროვს სახე დაუგრძელდა და ტუჩები გაბუტული ბაეშვივით დაებერა. თვალებით მთხოვდა, მიშველეო, მაგრამ სიცილისაგან სულს ვეღარ ვითქვამდი და არავის დახმარების თავი არა მქონდა.

ერთ დღეს იმ ვაჭართან წავედი, რომელსაც სტრიკლენდმა თავისი ნახატები დაუტოვა გასაყიდად.

სტროვს იმედი ჰქონდა, რომ ორ-სამ ნახატს მაინც მიჩვენებდა, მაგრამ სტრიკლენდი ჩვენამდე მისულიყო და თავისი ნახატები უკან წაეღო. ვაჭარმა ვერ გვითხრა, რატომ წაიღო, მაგრამ სულ არა სწყენია.

— არ გეგონოთ, რომ გული დამეცუოქა. ისინი მუსიე სტროვის ხათრით დავიტოვე. ვიფიქრე. შეიძლება შემთხვევით მართლაც გაიყიდოს-მეთქი. ისე კი, — ვაჭარმა მხრები აიჩეჩა, — მე ყოველთვის ვეხმარები ახალგაზრდა მხატვრებს, მაგრამ ამას, თქვენ თვითონვე დამერწმუნებით, მუსიე სტროვ, ბიჭის ნატანალი არა აქვს.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ დღეს არ ნეგულება იმაზე ნიჭიერი მხატვარი. მერწმუნეთ, რომ კარგი საქმე გაუშვით ხელიდან. დრო მოვა და ის ნახატები მთელ თქვენს მაღაზიას აიწონიან, გაიხსენეთ მონე, რომელმაც ასი ფრანკიც ვერ აიღო თავის ნახატებში. ახლა კი რა ფასი აღუვა თითოეულ მათგანს!

— მართალია, მაგრამ იმ დროს ბევრი მისი ბადალი მხატვარი ცხოვრობდა, რომლებმაც ვერც მაშინ მოახერხეს ნახატის გაყიდვა და არც ახლა აქვს რაიმე ფასი მათ ქმნილებებს. ვინ რას გიგებს? განა წარმატება ყველას დამსახურებულად ეწვევა ხოლმე? არ დაიჯერეთ! Du reste[1], თქვენსა მეგობარმა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს თავისი ნიჭიერება. თქვენს გარდა, მუსიე სტროვ, არავის უქია იგი.

— მაშინ თქვენ როგორლა არკვევთ, ვინ რისი ღირსია? — ჰკითხა ბრაზისაგან ჭარხალივით გაწითლებულმა სტროვმა.

— მხოლოდ და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ ვის როგორი წარმატება აქვს.

— ფილისტერო, — დაიღრიალა დირკმა.

— გაიხსენეთ ძველი დროის დიდი მხატვრები — რაფაელი, მიქელანჯელო, ენგრი, დელაკრუა — ყველას სიცოცხლეშივე ჰქონდა წარმატება.

— მოდი, წავიდეთ, თორემ ეს კაცი შემოგაკვდება, — შეთხრა სტროვმა.

---

1 აწმყოთან (ფრანგ.).

თავი ოცდამესამე

პარიზში სტრიკლენდს ხშირად ვხვდებოდი და დროდადრო [illegible]ასაც ვეთამაშებოდი ხოლმე. იგი მეტად ცვალებადი ხასიათის პატრონი იყო — ხან ხმაამოუღებლივ იჯდა და ვერავის ხედავდა, ხან კი, როცა [illegible] იყო, როგორც იცოდა — ბოროტებით ალაპარაკდებოდა ხოლმე. [illegible] სიბრძნეს არ აფრქვევდა, მაგრამ მისი დაუნდობელი სარკაზმი ხშირად აღწევდა მიზანს და, გარდა ამისა, ყოველთვის იმას ამბობდა, რაც გულში ედო. სტრიკლენდს არაფრად მიაჩნდა ადამიანის დაგესვლა და ხშირად ერთობოდა კიდეც ამით. განსაკუთრებით კი დირკ სტროვი ჰყავდა ამოჩემებული და სიცოცხლეს უწამლავდა. გამწარებული სტროვი გარბოდა და იფიცებოდა, უკან აღარასოდეს დაებრუნდებით, მაგრამ სტრიკლენდს რიდაც უცნაური ძალა ჰქონდა და ანდამატივით იზიდავდა ამ სქელ ჰოლანდიელს. ასე რომ, სტროვი ღიმილით და მოწიდებით ბრუნდებოდა უკან ამ ნაცემი ძაღლივით, კუდის ქიცინით რომ უბრუნდება პატრონს, თუმცა მისგან წიხლის ამოკვრის მეტს არაფერს ელოდება.

არ ვიცი რატომ, მაგრამ სტრიკლენდი მე კარგად შეგეწყო. ჩვენს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა დამყარდა. ერთ დღეს მთხოვა, ორმოცდაათ ფრანკი მასესხეო. მე ცივი უარი მივუახელე, გადასაყრელი რომ მქონდეს, მაინც არ მოგცემ-მეთქი.

— რატომ?! — გაუკვირდა სტრიკლენდს.

— არ მინდა და იმიტომ.

— ხომ იცით, რომ ახლა ძალიან მიჭირს?

— ჩემი დარდიც ეგ იყოს!

— ნუთუ ისიც არ გადაარჩენთ, რომ ვშიმშილობ?

— დმერთმანი, არ მეუბნის, რატომ უნდა მადარდებდეს?

სტრიკლენდი ორიოდე წუთს უხმოდ მოშჩერებოდა და თან აბეზარგნილ წვერს ივარცხნიდა თითებით. მე კიდიმეზოდი.

— ვითომ რა გაცინებთ, რა გიხარიათ ასე? — მკითხა ბოლოს გაბრაზებით.

— ნუთუ ასე გულუბრყვილო ხართ? თქვენ ხომ არავინ გენალვლებათ ამქვეყნად და რატომ გიკვირთ, რომ სხვამაც არ გაგიწიოთ დახმარება?

— ნუთუ სულ არ შეწუხდებით, აქედან რომ წავიდე და თავი ჩამოვიხრჩო, რადგან ბინის ქირა არა მაქვს გადახდილი და სახლის პატრონი ჭუჭაში მაგდებს?

— არა.

— ნუ იკვეხნით. მართლა რომ ჩამოვიხრჩო თავი, ალბათ, სინდისის ქენჯნა გაგაგიჟებთ.

— სცადეთ და ვნახოთ.

სტრიკლენდმა თვალებით გაიკინა და უხმოდ დაიცალა თავისი აბსენტი.

— ჭადრაკი ხომ არ ვითამაშოთ? — გკითხე მე.

— ვითამაშოთ.

როცა ფიგურების დალაგებას მოვრჩით, სტრიკლენდმა ყმაწვილი თვალები გადააცლო დაფას. სასიამოვნოა, როცა იცი, რომ შენი ლაშქარი მზად არის საბრძოლველად.

— ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ფულს გასესხებთ?

— ვერ გამიგია, რატომ არ უნდა მასესხოთ?

— თქვენ მე ძალიან მაოცებთ.

— რატომ?

— საბუღალტროდ, სენტიმენტალური ყოფილხართ და ამ[illegible] ადამიანია. უფრო მეტად დაგეთანხმებოდით, ასე მიამიტად რომ არ გეფიქრათ, გულჩვილია და დამეხმარებოთ.

— გული რომ აგრეულებოდათ, შემზიზღდებოდით.

— ასე ალბებდა კიდეც — გამეცინა მე.

ღვინოს ეთამაში და ორივეს ყველაფერი დაგვავიწყდა ამქვეყნად. როცა დავამთავრეთ, ვეთხარი:

— მისმინეთ, თუ ასე გიჭირთ, მაჩვენეთ თქვენი ნახატები და, თუ ოდნავ მაინც მოგეწონა, ვიყიდი.

— მოიწყალეთ თავიდან, — ჩაიბურტყლუნა სტრიკლენდმა, წამოდგა და წასვლა დააპირა, მაგრამ შევაჩერე და ღიმილით ვეთხარი:

— თქვენი აბსენტის ფული არ გალაგიხლიათ.

სტრიკლენდმა ლახვრივა-გინებით დამიგდო მაგიდაზე ფული და წავიდა.

ამის შერე რამდენიმე დღეს ალარ მინახავს. ერთ საღამოს, იმ კაფეში რომ შევედი და გაზეთს დავეუწყე თვალიერება, შემოვიდა და გვერდით მომიჯდა.

— ვხედავ, რომ თავის ჩამოხრჩობა ვადაგიფიქრებიათ, — ვეუთხარი მე.

— დიახ. შეკვეთა მიგიღია. ერთ ბებერ შეთუნუქეს ვხატავ ორას ფრანკად[1].

— როგორ მოახერხეთ?

— იმ ქალმა მიშოვა, ვისგანაც პურია ვყიდულობ ხოლმე. თვითონ მიმუდა და უთქვამს, ეინშეს ხომ არ იცნობ, რომ დამხატოსო. დალალობაში ოცი ფრანკი უნდა მივცე ჩემს მეპატრონეს.

— როგორი შესახედაია?

— დიდებული! ეეები. წითელი სახე აქვს: ცხვრის ბარკალს მიუგავს. მარჯვენა ლოყის მოზრდილი, ფიჩიანი ხალი უმშვენებს.

სტრიკლენდი კარგ ხასიათზე იყო და როცა კაფეში დირკ სტროვი შემოვიდა და ჩვენს სუფრას შემოუერთდა, მძვინვარე დაცინვის ნიაღვარი დაატეხა თავს. იმ დღეს ისეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინა ამ საქმეში, რომ პირდაპირ გოცებული დავრჩი. არაფრით არ მეგონა, თუ ასე კარგად იცოდა უბედური ჰოლანდიელის გულის მტკივნეული ადგილები. სტრიკლენდმა ამჟამად სარკაზმის მახვილი კი აღ აიღო ხელში, არაშენდ ლახვრივა-გინების კეტი და შეუბრალებლად დაუწყო იმით გვემა მოწინააღმდეგეს. შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სტროვმა სულ ვერ მოახერხა ხმის ამოღება თავის დასაცავად და იმ დამფრთხალ ცხვარს დაემსგავსა, ულაზროდ რომ დარბის წინ და უკან, ბოლოს ვერ გაუძლო ამდენს და გოცებული თვალები ცრემლით აევსო. ყველაზე უარესი კი ის

[1] ეს ნახატი წინათ ერთ მდიდარ ლილელ ფაბრიკანტს ეკუთვნოდა, რომელიც გერმანელებმა მოახლოებისას გაიქცა. ახლა ნახატი სტოკჰოლმის ეროვნულ გალერეაშია ექსპონირებული. ჩვენებმა წესანაშნავად იციან თევზის დაჭერა ამდვრეულ წყალში.

გახლდათ, რომ ამ უტიფარი თავდასხმის მაყურებელი უეჭველად დაგმობდა სტრიკლენდის საქციელს. მაგრამ სიცილს მაინც ვერ შეიკავებდა.

დირკ სტროვი იმ უბედურთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა ყველაზე წმინდა და სათუთ გრძნობებს ყველა სასაცილოდ იგდებს ხოლმე. მაგრამ როცა უკან იიხედები, ყველაზე ტკბილად მაინც დირკ სტროვის მყუდრო ოჯახში გატარებული საათები მაგონდება.

ბიბლიოთეკა

საკმარისი იყო ამ ცოლ-ქმრისათვის შეგეხედათ, რომ გული სიამით აგვსებოდათ. სტროვს მაინც ისე უყვარდა ცოლი, რომ მთლად სინაზედ იღერებოდა ეს კაცი სულელურად იქცეოდა, მაგრამ მის გამოხედვაში ისეთი წრფელი და მიანიტი ვნება იგრძნობოდა, რომ ძალაუნებურად ყველაფერს აპატიებდით. მე კარგად მეცნობოდა, რომ ცოლს შეიძლებოდა სულ სხვანაირი გრძნობა ჰქონოდა სტროვის მიმართ და ამიტომ ძალიან მიხაროდა, როცა ვხედავდი, თუ როგორი სინაზით პასუხობდა ბლანშე ქმრის საყვარულს. თუ მას იუმორის გრძნობა ჰქონდა, აუცილებლად გაეცინებოდა, რომ ქმარმა სათაყვანებელ ხატად დაისახა. მაგრამ ქალი იყო და ამა რომელ ქალს არა სიამოვნებს, როცა აღმერთებენ? სტროვი ორმაგი კაცი არ იყო, დარწმუნებული ვარ, რომ მას მოხუცი, ჩამონჭკნარი ბლანშეც ასევე თავდავიწყებით ეყვარებოდა, მაშინაც ყველაზე მოხდენილი ქალი ეგონებოდა.

ამ მყუდრო და თანაგრძნობი ოჯახის ნაცვალ ყველა. მოგვეროდა სიამოვნებას. სახელოსნოს ეარდა მხალოდ საძინებელი ოთახი და პატარა სამზარეულო ჰქონდათ. მისის სტროვი ოჯახში ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებდა. ღღისით, სანამ სტროვი თავის უმსგავს სურათებს ხატავდა, ბლანშე საყიდლებზე მიდიოდა, სადილს ამზადებდა, კერავდა და, ერთი სიტყვით, სულ ფუსფუსებდა. საღამოს კი სახელოსნოში იჯდა და საკერავი ეჭირა ხელში. სტროვი ამ დროს პიანინოზე უკრავდა და, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მის ცოლს ასეთი ბუსიკისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაინც ყურადღებით უსმენდა. დირკ ვენოვნებით უკრავდა. მაგრამ, ცოტა არ იყოს, ზედმეტ გრძნობას აქსოვდა შიგ. რომ მოუსმენდით, მიხვდებოდით, თუ რა პატიოსანი, მგრძნობიარე და მდიდარი სულია. დაეჭვდებოდა ბუნებას ეს კაცი.

მათი ცხოვრება თავისებური იდილია იყო და ლამაზი იდილიაც.

დირკ სტროვი ორივეს ერთ ყველაფერს კოპიკურ ელფერს აძლევდა. მას აქაც თავისებური დასინანსი შეეჭიანდა. მაგრამ ეს დასინანსი კიდევ ოდესმე თანდროულსა და ადამიანურს ხდიდა მათ ცხოვრებას. იგი, სერიოზულ სცენაში ხარიფული მოულოდნელი უხვმი ეუმორობის მსგავსად, ოდესმე ამკარად ეკიზეგნებდა, რომ სიყვარულს სულად ახლავს ტანჯვა და სიმძიმილი.

თავი ოცდამეოთხე

შობამდე ბევრი ალარ იყო დარჩენილი, რომ დირკ სტროვი მესტუმრა და მთხოვა დღესასწაულზე ჩემთან გაატარო. სტროვს ამ დღის მოახლოება ყოველთვის გულს უნელებდა. იგი ცდილობდა, მეგობრებთან ერთად შეხვედროდა დღესასწაულს და თანაც ყოველგვარი წესი და რიგი დაეცვა. უკვე საში ალარა იყო, რაც სტრიკლენდი არ გვენახა. ნე მეგობრები მესტუმრნენ ინგ-

ლისიდან და ველარ მოვიცალე, სტროვმა კი იმ დღეს, სტრიკლენდმა რომ გააბრაზა, დაიფიცა, ჩემს დღეში აღარ გავეკარები და არც ხმას გაიცემ ამ საშინელ ადამიანსო. მაგრამ შობის მოახლოებისას სტროვი ხანი [illegible] ბების მონად იქცა და კინალამ გაგიჟდა, როცა გაიფიქრა, რომ სტრიკლენდი მარტოდმარტო უნდა ყოფილიყო ნათლიღების დამეს. მას ყველა თავ[illegible] ახსენა და ვერ წარმოედგინა, რომ იმ დროს, როცა მეგობრები ერთად [illegible], მარტოხელა მხატვარი პირდაპირ უნდა დარჩენილიყო თავის დარდსა და ნაღველთან.

ჩვენს მეგობარს უკვე დაედგა თავის სახელოსნოში საშობაო ნაძვის ხე და მის მოთეთრო-მოცაზმული ტოტებზე, ალბათ, ყოველი სტუმრისათვის იყო ჩამოკიდებული რაიმე სულელური საჩუქარი.

მაგრამ სტროვს ეროდებოდა სტრიკლენდთან მისვლა. ვრძნობდა, რომ კიდევ უფრო დაიმცირებდა თავს, თუ ოდესმე აპატიებდა ამ მძიმე შეურაცხყოფას და აუცილებლად უნდოდა, მეც დავსწრებოდი მათ ლაპარაკს.

ორივენი კლიშის ქუჩისაკენ გაეემართეთ, მაგრამ სტრიკლენდი თავის კაფეში არ აღმოჩნდა. გარეთ უკვე ცივდა, ამიტომ შიგნით შევედით და ტყავის სავარძელში ჩავსხედით. კაფეში ცხელოდა და თამბაქოს კვამლი იდგა. სტრიკლენდი არ გამოჩნდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ის ფრანგი მხატვარი დავინახეთ, ერთხელ ჭადრაკს რომ ეთამაშებოდა მას. მე თავი გავაცანი და მაგიდასთან მივიწვიე.

სტროვმა ჰკითხა, სტრიკლენდი ხომ არ გინახავთო.

— სტრიკლენდი აკად არის, — უპასუხა მხატვარმა, — ნუთუ არ გაგიგიათ?

— არა. საშინელი ხომ არაფერი სჭირს?

— მგონი კი. მე თვითონ არ მრცხვენია, მაგრამ ასე მითხრეს. სტროვი გაფითრდა:

— რატომ არ შეგატყობინა? რა სულელი ვარ. რატომ წავედი! ახლავე უნდა ვნახო! ალბათ, უპატრონოდ აგდია! საიდან ცხოვრობს?

— არ ვიცი, უბანიც კი არ ვიცი, — უპასუხა ფრანგმა.

გამოირკვა, რომ არც ერთმა არ ეიცოდით მისი აღგილსამყოფელი. სტროვი ლაძის გაგიჟებულიყო:

— შეიძლება მოკვდეს და ძმისიერელი ვერ გაიგებს. რა საშინელებაა! ამაზე ფიქრიც კი არ შეშიძლია! ახლავე უნდა წავიდეთ მოსაძებნად.

შევეცადე გამეგებინებინა, რომ ასე ბრმად ძებნით პარიზში ვერაფერს გავხდებოდით. ჯერ რაიმე გეგმა უნდა შევადგინა.

— იქნებ კედები და თუ დროზე არ ვიპოვეთ, ალბათ ეს შეველოს.

— გასაგებია, რამე მოგვიფიქრებინე, — გავიბრაზდი მე.

ერთადერთი მისამართი, რომელიც მე ვიცოდი, სასტუმრო „დე ბელეტ" იყო, მაგრამ სტრიკლენდი ხუთი წლის წინათ გადავიდა იქიდან და ახლა, ალბათ, არც კი ახსოვდათ. გარდა ამისა, ეგი დაეკნებით მიღავდა თავის აღგილსამყოფელს და საეჭვოა, რომ იმ სასტუმროში თავისი მისამართი დაეტოვებინა. მე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ სტრიკლენდი სადღაც იქვე იქირავებდა ბინას. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ ისევ ამ კაფეში დადიოდა. უკვე გამახსენდა მისი ნათქვამი, ჩვენმა მეპატრემ შეაქვეთა ნიშოვნა და ვიფიქრე, ეს მეპატრე

რომ გვაბოვნინა, იქნებ მისამართი იცოდეს-მეთქი. ცნობარში ჩავიხედე და ვნახე, რომ ახლომახლო ხუთი მეპურე იყო. ახლა მათი ჩამოვლიდა დაგვრჩენოდა.

სტროვი უხალისოდ მომდევდა. მისი აზრით, მახლობელი ბერები უნდა შემოგვერბინა და ყველა სახლში გვეკითხა, სტრიკლენდი აქ ხომ არ ცხოვრობს. ჩემი გეგმა უფრო ჭკვიანური გამოდგა, როდგან უკანასკნელ ... ...

დავხოვავ? ალბათ ჩემი ნათქვამი გეწყინათ. სხვახაირად გამომივიდა. რა თქმა უნდა, დამნაშავე ვიყავი. რა სისულელე იყო... არ უნდა მწყენოდა.

— მომწყდი თავიდან, — შეუღრინა სტრიკლენდმა.

— დაწყნარდით, ნება მომეცით. მოგიაროთ. ნუთუ აქ არავინ არის ისეთი, რომ მოგჩენდეთ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტროვმა დაბნეული თვალები მოავლო ამ საცოდავ სხვენს, მერე შეეცადა ლოგინი შეესწორებინა. სტრიკლენდი მძიმედ სუნთქავდა. ხმა არ ამოუღია, მაგრამ ეტყობოდა, ბრაზობდა. მერე მე შემომხედა გაცეცხლებული თვალებით, მაგრამ არც ხმა ამოუღია და არც არაფერი შეეიმჩნია.

— თუ მართლა რაიმეთი გინდათ დაგეხმაროთ, ცოტა რძე მომიტანეთ, — გვითხრა სტრიკლენდმა ბოლოს, — ორი დღეა ქუჩაში ველარ გავედი.

საწოლიან გვერდით ორი ცარიელი რძის ბოთლი იდგა, გაზეთის ნახევში პურის ნატეხები იყო გახვეული.

— რასა ჭამთ? — ვკითხე მე.

— არაფერს.

— რამდენი ხანია? — იკვირა სტროვმა. — ნუთუ ორი დღე არც არაფერი გიჭამიათ და არც დაგიღევიათ? საშინელებაა!

— წყალსა ვსვამდი.

სტრიკლენდმა წარმოიახლო სდგარ დიდ ტოლჩაზე მანიშნა თვალით.

— ახლავე წავალ. — დაფაცურდა სტროვი, — რა მოვიტანო. რა გენატრებათ?

მე ვთხოვე თერმომეტრი, ყურძენი და პური მოეტანა. სტროვს გაეხარდა, რომ რაღაცაში მაინც გამოადგებოდა ავადმყოფს და კისრისტეხით ჩაირბინა კიბე.

— მთლად გამოტვინებულია, — ჩაიბურტყუნა სტრიკლენდმა.

მაჯა გავუსინჯე: სწრაფად და უღონოდ უცემდა. ერთი-ორი კითხვა მივეცი, მაგრამ არ მიპასუხა და როცა ჩავაცივდი, გაბრაზებული გადატრიალდა კედლისაკენ. რაღა გაეწყობოდა; ვაეჩუქდი და სტროვს დაველოდე. იგი ათი წუთის შემდეგ ქოშინით შემოვარდა ოთახში, რაც დავებარე, მოიტანა და სანთლები, ბულიონი და სპირტქურა მოაყოლა. სტროვი მარჯვე ყმაწვილი გახლდათ და დაუყოვნებლივ შეუდგა რძის ადუღებას. მე სიცხე გავუზომე ავადმყოფს. თერმომეტრი ას ოთხ გრადუსზე ავარდა. არა, სტრიკლენდი მართლა ძალიან ავად იყო!

თავი ოცდამეხუთე

იქაურობა მალე დაეტოვეთ. დირკს შინ ეჩქარებოდა სადილზე. მე კი ექიმი უნდა მეშოვა და სტრიკლენდთან მიმეყვანა, მაგრამ დახუთული სხვენიდან ქუჩაში, სუფთა ჰაერზე რომ გამოვედი, ჰოლანდიელმა მუდარა დამიწყო, შინ წამოძღეგეთ. მას ერთი აზრი ძოსვლოდა თავში, რა იყო, არაფრით არ მითხრა, მაგრამ ჩამაცივდა, თქვენი წამოსვლა აუცილებელია. ვიფიქრე, სტრიკლენდს რაც საჭირო იყო, გავუკეთეთ, ექიმი ახლა ისე საჩქარო არ არის-მგთქი და

დავთანხმდი. სახელოსნოში რომ მივედით, ბლანში უკვე სუფრას აწყობდა. დირეკი მიეჭრა, ორივე ხელი დაუჭირა და შეეეედრა:

— ჩემო ძვირფასო, რაღაც სიხდა გთხოვო და უარი არ მითხრა.

ქალი თავისი მშვიდი, მომხიბვლელი ღიმილით მიაჩერდა. სტროეს წითელი სახე ოფლით ჰქონდა დანამული და რაღაც სასაცილოდ [illegible]ებული, მაგრამ მრგვალ, მუდამ გაოცებულ თვალებში მტკიცე [illegible] ეწერა.

— სტრიკლენდი ძალიან ავად არის; შეიძლება ვერც კი მოიბრუნდეს, სადაც ბინძურ სხეულზე აგდია მარტოდმარტო, მოუვლელად. მინდა, რომ აქ გადმოყვანის ნება მომცე.

ბლანშმა სწრაფად გაიხსტაცა ხელები. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ იგი ასეთი სწრაფი შეიძლებოდა ყოფილიყო. სახე წითლად აელაქლაქდა:

— ო, არა!

— ჩემო სიცოცხლეო, უარს ნუ მეტყვი. იქ ვერაფერით ვერ დავტოვებ. წამით ვერ დავიძინებ, სანამ იქ იქნება.

— თუ გინდა წადი და მოუარე, — ცივად და ამაყად უთხრა ქოლმა.

— კი მაგრამ, მოკვდება.

— მოკვდეს.

სტროვმა ყელში გაჩხერილი ნერწყვი ჩაყლაპა, მერე ოფლიანი სახე მოიწმინდა და თვალებით ზემეხვეწა, მომეშველეო, მაგრამ მე არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— სტრიკლენდი უდიდესი მხატვარია, — ისევ დაიწყო სტროვმა.

— იყოს, მე მეზიზღება!

— ო, ჩემო სიყვარულო, ჩემო თვალისჩინო, ასე ნუ ამბობ; გეეედრები, მომაყვანინე. აქ კარგად მოვუვლით და შეიძლება გადავარჩინოთ. შენ არაფერით არ შეგაწუხებს. ყველაფერს მე გავაკეთებ. აი აქ, სახელოსნოში დავაწვინოთ. ხომ არ შეიძლება უბატრონო ძალლივით მოკვდეს სადღაც. ეს ჩემ მხეცობა იქნება.

— საავადმყოფოში რატომ არ დაწვება?

— რას ამბობ?! მას მხრეხეული ხელი უნდა. საოუთად, ყურადღებით უნდა მოექცნენ.

ბლანში საოცრად ათრთოლდა. სუფრის გაწყობა კი გინაგრძო, მაგრამ ხელები საშინლად უკანკალებდა.

— ლაპის გამაგიჟებს შენმა საქციელმა. რივიერ ფიქრობ, შენ რომ გამხდარიყავი ავად, ხელს გაანძრევდა?

— მერე რა მოხდა? შენ მომიყვანიდი, მაგის მოელა რად მიბრალია? გარდა ამისა, მე და ის ერთი ვარ? მე რას წარმოვადგენ?

— შენ სულ არა გაქვს თავმოყვარეობა. უჯერ ძალლივით ყველის ფეხქვეშ ფგორდები, ყველას ეფერები, მოდით და გამთელეთ.

სტროვმა ჩაიცინა — იფიქრა, ახლა კი მივბედე, რატომ არ უნდა ჩემს ცოლს სტრიკლენდის გადმოყვანა.

— ო, ჩემო საბრალო ანგელოზო, შენ ისევ ის გახსოვს, აქ რომ მოიყვანე ჩემი ნახატების საჩვენებლად, არა? თუ არ მოეწონა, რა ექნა? მე თვითონ არ უნდა მეჩვენებინა. ძალიან, გულახდილად რომ ვთქვა, ჩემი ნახატები არაფრად არ ვაღირებ.

მან საწყალად მოიღო თავი თავის სახელოსნის. მოლბერტზე დადებული

დაუმთავრებელი ნახატიდან იტალიელი გლეხი გვიღიმოდა. იგი ყურძნის ალიდის სთავაზობდა წავოვალა გოგოს. აკადთიანი ხელი ალ ძირკა ჰქონდა აწეული, რომ გოგო ქვეყიდან შეჰყურებდა.

— მოეწონა თუ არ მოეწონა, უჩრდელად არ უნდა [illegible]. შეუ-რაცხყოფა მაინც არ უნდა მოეყენებინა. აშკარად გაგრძელებ[illegible] ანტონიო, შენ კი ხელებს ფლიკავ! ო, მძულს, მეზიზღება!

— კი მაგრამ, ის ხომ გენიოსია, ჩემო გოგონი. მე კი, დარწმუნებული ვარ, შშვენიერად იცი, რომ გენიოსი არა ვარ. ნიტალი ვიყო: მე მაშინვე ვატყობ კაცს ტალანტს და მთელი ჩემი არსებით ვეთაყვანები. ეს ყველაზე გასაოცარი თვისებაა ამქვეყნად და ამავე დროს უმძიმესი ტვირთიც. გენიოსებს მზრუნველად და საოცრად უნდა მოვეპყროთ.

მე შეცბუნებული ვიდექი გვერდზე და მიკვირდა, სტროვმა მე რატომღა დამასწრო ამ ოჯახურ სცენას-ნეოქი. ბლანში ისეთ დღეში ჩავარდა, რომ სადაც იყო ატირდებოდა.

— ძარტო ეძიტომ კი არ გთხოვ აქ გაღმოყვანას, რომ გენიოსად მიმაჩნია. ბოლოს და ბოლოს, ღვთის გაჩენილია, ავადმყოფი და უსახსრო.

— არასოდეს არ შემოვაღვმევინებ ფეხს ჩემს სახლში, არასოდეს!

— უთხარით, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას, რომ არ შეიძლება სტრიკლენდის დატოვება იმ საზარელ ბუნაგში, — მთხოვა სტროვმა.

— ცხადია, აქ უკეთესად შეიძლება მოვლა, მაგრამ ძალიან შეწუხდებით. მე მგონი, აჯობებს, რომ ვინმე დავაყენოთ თავზე, — ვთქვი მე.

— შენ ხომ ისეთი არა ხარ, ჩემო გულო, რომ პატარა სიძნელეს შეეშინდე?

— ის თუ მოვა, მე წავალ აქედან, — რტყიცედ განაცხადა მისის სტროვმა.

— ეცდები მიცვნახარ. შენ ხომ ისეთი კეთილი იყავი.

— დეიის გულისათვის, თავი ლაშაბებე. წავ მე ჭკუიდან შეშლილ.

ქალი საგარეულში ჩავარდა, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. მხრები ნერვიულად უცახცახებდა. ლირკი მაშინვე მის ფეხებთან გაჩნდა და ხელები მოხვია. იგი კოცნიდა ცოლს, ითასგვარ საალერსო სახელს ეძახდა, ეფერებოდა და თვითონაც ტირიოდა. ქალმა ხელი გაიშვებინა, ცრემლები მოიწმინდა და უკვე ცოტათი დამშვიდებულმა უთხრა ქმარს, თავი ლაშანებეო. მერე მე მომიბრუნდა, იცვს ალა დაატანა, რომ გაიღიმა და მომიბოდიშა: ალბათ, რა ცუდი ადამიანი ვგონივართო.

სტროკი წეშეთითებით შეჰყურებდა ცოლს. ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა და ვერა ბედავდა. შუბლი შეჭმუხნილი ჰქონდა, ტუჩები წინ გამოეშვირა... იმ წუთში რატომღაც შეშინებული ზღვის ღორს მივამსგავსე.

— მაშასადამე, უარს ამბობ, არა ძვირფასო? — გაბედა მან ბოლოს. ქალს უკვე ბრძოლის ილაჯი აღარა ჰქონდა. ხელი ჩაქნია და უთხრა:

— სასოწარკვეთილ შენია. აქ ყველაფერი შენი საკუთრებაა: თუ მოყვანა გინდა, მე რა უფლება მაქვს აგიკრძალო?

სტროკს ღიმილმა გაუნათა მრგვალი სახე:

— ესე იგი თანახმა ხარ? ვიცოდი, რომ უარს არ მეტყოდი, ჩემო სიცოცხლევ.

ქალმა უცებ მოიკრიბა ძალა. ჯერ მე შემომხედა ტანჯული თვალებით, მერე ხელები ისე მიიჭირა მკერდზე, თითქოს გულის ცემა უსმენდა შეენელებინა:

— ო, დირკ, მე ხომ არასოდეს არაფერი მითხოვია შენგან?

— ხომ იცი, რომ შენთვის ყველაფერს გავაკეთებ აქვეყნად!

— ძალიან გთხოვ, სტროკლენდი არ მოიყვანო აქ. სხვა ვიცი გინდა იყოს, ქუთუნი მოიყვანე, ლოთი მოიყვანე, ქუჩაში დავდებული მაწანწალა მოიყვანე და პირობას გაძლევ, თავს არ დავზოგავ, სიამოვნებით მოვუვლი, ოღონდ, გევედრები, სტროკლენდი არ მოიყვანო!

— კი მაგრამ, რატომ?

— მეშინია. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეგ კაცი მზარავს. რაღაც დიდ უბედურებას დაგვატეხს თავზე, ნამდვილად ვიცი. ვგრძნობ, რომ ასე იქნება. აქ თუ მოიყვანს, აუცილებლად რაღაცა მოგვივლენ.

— რა სისულელეა!

— არა, არა. ვიცი. რომ ასე იქნება. რაღაც საზარელი რამ დაგვემართება.

— ნუთუ იმიტომ, რომ კეთილ საქმეს ვაკეთებთ?

ქალი ძლივს ითქვამდა სულს. სახეზე ენით გამოუთქმელი ტანჯვა ეხატებოდა. არ ვიცი რისი ეშინოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მისი არსება ძალიან გაუჭირვებია, ღასახო შიშს დაემონებინა. ბლანშ სტროვი საკუთარ მეტად მშვიდი ქალი იყო და მოკვირდა, ახლა ასე რატომ აღელდა-შეთქი. სტროვი გათენებისთან ენახავრდნილი მისჩერებოდა ცოლს. ბოლოს უთხრა:

— შენ ჩემი მეუღლე ხარ. შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ხარ ამქვეყნიერ. თუ შენ არ გინდა, აქ ფეხს ვერავინ შემოდგამს.

ქალმა თვალები დახუჭა. მეგონა, გული მისდიოდა. არ ვიცოდი თუ ეს ქალი ასეთი ნერვიული იყო და ცოტაოი გაებრაზდი კიდეც. უცებ სიჩუმე რაღაც უცნაურად დაარღვია სტროვის ხმამ:

— შენ ხომ გამოგიწოდეა დახმარების ხელი, როცა ეს დიდი უბედურება დგატყდა თავს? კარგად იცი, რას ნიშნავს, როცა ვინმე შეგეწევა ამ[illegible] დროს. სუთუ არა გსურს ვინმეს დაეხმარო, როცა შეგიძლია?

სიტყვები სრულიად ჩვეულებრივი იყო. ცოტა ზედმეტად დიდაქტიკურიც კი ნეჩვენა და კინაღამ გაძელიმა, მაგრამ ბლანშ სტროვზე ამან საოცარი ზემოქმედება მოახდინა. იგი შეკრთა და პირდაპირ თვალებში მიიჩერდა ქმარს. დირკი შეეტუნდა და თვალები ლაბლა დახარა. ქალს ჯერ ოდნავ შეუფაქლდა ღაწვები, მაგრამ მალე სახე, ხელები, მთელი სხეული ისე გაუფითრდა, მიცვალებული ეგონებოდათ. უეცრად კანკალმა დაუარა ტანში. სახელოსნოში მძიმე, თითქმის თვალით დასანახავი სიჩუმე ჩამოწვა. მე მთლად დამებნა თავგზა.

— მოიყვანე სტროკლენდი, დირკ! რაც შემეძლება, მოვუვლი.

— ჩემო ძვირფასო! — გაუღიმა სტროვმა და მოხვევა დაუპირა, მაგრამ ცოლმა შეაჩერა:

— უცხოებთან ნუ ნეფერებ, დირკ. თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ.

იგი კვლავ ჩვეულებრივად იქცეოდა და ვერავინ იტყოდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ასეთი საშინელი მღელვარება გადაიტანა.

თავი ოცდამეექვსე

ჯიუტნელი ვაჟი-კაცობა

სტრიკლენდი შეორე დღესვე გადავიყვანეთ სტროვის სახელოსნოში. საძმისოდ ბევრი ხვეწნა-მუდარა, ჩხუბი და შეგონება დაგვჭირდა. მართალია ძალიან ავად იყო, თორემ ვერაფერს გაუხდებოდით. ჩავაცვით (სანამ ჩავიცვამდა, მისუსტებული ხმით გვაგინებდა), კიბეზე ჩამოვიყვანეთ, კუბში ჩავსვით და სტროვის მინისაკენ გავაქანეთ. გზაში ისე დაიღალა, რომ ხმაამოუღებლივ ჩაგვაწვინა თავი ლოგინში.

სტრიკლენდმა ექვს კვირას ავადმყოფობა. ზოგჯერ ისე ცუდად იყო, რომ გვეგონა ორ-სამ საათსაც ვერ გაიტანსო ხოლ, ლარწმუნებული ვარ, მხოლოდ და მხოლოდ პოლანდიელის თაკვალაღებულმა ბოელამ შეუნარჩუნა სიცოცხლე. იმაზე ცუდი ავადმყოფი არასოდეს მინახავს. ქირეული და ბუზღუნა კი არ იყო, პირიქით, არაფერზე დაიწუწუნებდა. არაფერს ეხოუნებოდა, მუდამ ჩუმად იყო. მაგრამ ამჯერად ეტყობოდა, რომ ჩვენი ყურადღება აკლდებოდა. როცა ვკითხავდით, თავს როგორა გრძნობ, ხომ არაფერი გინდოთ, ან დაიცინვით ვეიბასუხებდა ან ლანძღვა-გინებით. საშინლად შეშაკავება თავი და როგორც კი წავიყვანეთ, რომ პირი ამ ქვეყნისაკენ აბრუნა, ძოგრილებლად ვუთხარი, ალბასელი ხარ-ბეთქი.

– მოძღვარი თავიდან. შემომიბლეარა მან.

დარეკ სტროვმა მთლად აიღო ხელი თავია საბუშაოზე და ამგვიანი სინაზითა და მონდომებით უვლიდა ავადმყოფს. იგი მეტად ნაკვეთად ახერხებდა, რომ სტრიკლენდი არაფერზე არ შეეწუხებინა და ათასნაირი ხრიკებითა და თინებით ასმევდა ექიმის მიერ დანიშნულ წამლებს. ადრე ვერც კი წარმოიდგენდი, თუ სტროვი ასეთი ეშმაკობა და სიძარაზეს ეჭნებოდა. იგი არაფრის წინაშე არ იხევდა უკან. შემოსავალი ისევ ეი ჰქონდა, რომ საცხოვრებლად ჰყოფნოდათ, მაგრამ გასაფლანგი ფული, რა თქმა უნდა, არ ებადათ. ახლა კი ხარჯს ალარ ეროდებოდა, და ათასნაირ ნუგბარ საჭმელს ყიდულობდა. ოღონდ სტრიკლენდს რიგმესოვის პირი დაეკარებინა, აბასიდა დანაყენებდა, როგორი ხვეწნითა და ვედრებით აჭმევდა თავის ავადმყოფობას. სტრიკლენდი ტლანქად ეჭცეოდა. მაგრამ დიდი აბასოდეს არა ჰკარგავდა მოთმინებას. თუ ეუსტად იმზირებოდა, სტროვი ეთაყვა ვერ იმჩნევდა ამას. ლანძღვაზე და ჩხუბზე სიყვილით პასუხობდა. როცა სტრიკლენდი ცოტათი გამოძღებოდა, ეასათობი ეშმა: მასპინძელს დაცინვა და გამასხარავება დაუწყო. სტროვს, იმის მაგივრად, რომ სწყენოდა, უხაროდა და ეაზვენ აძლევდა დაცინვას. თან მალიმალ ეახარებული გადმოიხედავდა ბოლმე, ვითომდა „ნახე როგორ მოვეთა ჩვენმა ავადმყოფობაო". ერთი სიტყვით, სტროვი დიდი უცნაური ვინმე იყო!

მაგრამ ყველაზე მეტად ბლანში მაოცებდა. იგი არა მარტო ულარიანი, არამედ ერთგული და მონდომებული მომვლელი გამოდგა. ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი, რომ ასეთი გაიუთრებული წინააღმდეგობა გაუწია ქმარს, ბოლოსაც მან სთხოვა, სტრიკლენდი ჩვენთან გადმოვიყვანოთო. ბლანში ჩალისიანად ეხმარებოდა სტროვს ავადმყოფის მოვლაში, საწოლი ისე ნოუწყო, რომ ჩეწრის გამოცვლისას არ შეწუხებულიყო. ჩელ-პირს ბანავდა და, ერთი სიტყვით, არაფერს არ იზარებდა. როცა შეეძლო, კარგი მოვლა გაკოლნიათ-მეთქი, თავისი სასიამოვნო ლიბილი მომაშუქა და მითხრა, ერთხანს საავადმყო-

ფილში ენუშაობდით. ვინმეს რომ ეთქვა, ოდესლაც თვალის დასახახავად ეზიზღებოდა სტრიკლენდი, არც კი დავიჯერებდი. ბლანში თითქმის არც კი ელაპარაკებოდა ავადმყოფს, მაგრამ უთქმელად ბევრებოდა მის საჭიროებებს და მაშინვე უსრულებდა. სტრიკლენდი მთელი ორი კვირა ისე იწვა, რომ მარტო არ დაიტოვებოდა და ცოლ-ქმარი რიგრიგობით უთვალთვალებდა, რას ფიქრობდა ქალი. რაცა მთელი ღამე საბნელეში იჯდა ავადმყოფის საწოლის გვერდით? სტრიკლენდი ამქვეყნიურ აზრებას არა ჰგავდა. იგი მთლიან ლანდად ქცეულიყო ლოგინში, გაბურძგნილი წითური წვერი მაღლა აეშვირა და ანთებიანი თვალებით სადღაც, სიცარიელეში იმზირებოდა. სნეულებისაგან თვალები უხეშად გაეცრთოებოდა და უცნაურად უბრწყინავდა.

— ღამე როდისმე დაგლაპარაკებიათ? — ვკითხე ერთხელ ბლანშს.

— არაა-თქვა.

— ახლაც ძველებურად გეჯავრებათ?

— უფრო მეტადაც.

ძან მშვიდი, ნაცრისფერი თვალები მომანაცვლა. სახე ისეთი თვინიერი ჰქონდა, რომ იტყოდი, ეს ქალი თავის ღღეში არ აღელვებულაა.

— მადლობა თუ უთქვამს თდესმე?

— არა. — გაიღიმა ბლანშს.

— დიდი უცვირპირო კაცია.

— და სასიხლარიც!

სტროვი, რა თქმა უნდა, აღტაცებული იყო თავისი ცოლით და ალარ იცოდა, რითი გადაეხადა მისთვის ბადლობა. ქალმა ხომ წეაბაყოფლობით აიკიდა ზურგზე ეს მძიმე ტვირთი. მაგრამ დირკ სტროვი საკმაოდ გაოცებული იყო თავისი ცოლისა და სტრიკლენდის ურთიერთობით.

— გესმია? მთელი საათობით სხელან ერთად და ერთი სიტყვითაც არ გაეხმიანებიან ერთმანეთს!

ერთხელ, როცა სტრიკლენდმა უკვე საკმაოდ მოიკეთა და ორ-სამ დღეში ფეხზეც უნდა წამოდგომოყო, სახელოსნოში მივედი. მე და დირკი ვსაუბრობდით. მისის სტროვი საკერავს ჯდა — თუ არა ვცდები, სტრიკლენდის ხალათს კერავდა. სტრიკლენდი გულიდან იწვა და ლუმდა. უცებ შეენიშნე, რომ იგი ბლანშ სტროვს მიაჩერდა. თვალებში საოცარი დაცინვა ეხატა, ქალმა იგრძნო მისი შემოსედვა და თავი ასწია. ცოტა ხანს ორივენი თვალებში მაჩერებოდნენ ერთმანეთს. კარგად ვერ მივხვდი, თუ რას გამოხატავდა ბლანშის მზერა, ის კი ეტყობოდა, რომ უცნაურად იყო დაბნეული და თითქოს შემინებულიც. მაგრამ რატომ? პირველმა სტრიკლენდმა აიღო თვალი და ყვლავ ჭერს მიაჩერდა. მაგრამ ქალი ერთხანს ისევ ისე დაჟინებით ემზერდა მას.

რამდენიმე დღის შემდეგ სტრიკლენდი ფეხზე წამოდგა. ავადმყოფობას თითქმის დაეფინა: მარტო ძვალი და ტყავიღა დარჩენილიყო. ტანსაცმელი ისე ეკიდა ტანზე, თითქოს ჯოხზე ძონძები ჩამოეკიდოთ ჩიტების დასაფრთხობად. წვერი მოთეთრალი ჰქონდა, თმა — მოშეებული, სახის ირგვლივ მსხვილი ნაკვთები კიდევ უფრო მკვეთრად მოეჩანდა.

ისეთი უცნაური შესახედავი იყო, რომ ველარც კი იტყოდით, ართვალიათ კიდევ მეტი, — ვისაც უნდა შეეხედა ამ მოუქნელი, ულაზათო კაცისათვის, აუცილებლად იტყოდა, რა დიადი და მონუმენტური ადამიანია. მე ზუსტად

ვერც კი მოვახერხებ გადმოგცეთ ის შთაბეჭდილება, რომელიც მაშინ სტრიკ-ლენდმა მოახდინა ჩემზე. სხეული თითქოს გაბრწყინვალე ჰქონდა, მაგრამ მისი არსება ზეშთაგონებით კი არ იყო გამსჭვალული, არამედ მძაფრი და დაუოკებელი ვნებით. ჩემი ნათქვამი წეიძლება სისულელედ მოგეჩვენოთ, მაგრამ ვნებას ხორციელი ელფერი არ ედო. მასში რაღაც პირველყოფილ [illegible] ბოდა. სტრიკლენდი ბუნების იმ ბუნდოვან არსებათ წარგავდა, რომლებიც ძველ ბერძნებს ნახევრად ადამიანებად და ნახევრად ცხოველებად წარმოედგინათ და რომელთაც სატირეზსა და ფავნებს უწოდებდნენ. მის დანახვაზე მარსია მახსენდებოდა, რომელიც ღმერთს შეეჯიბრა სიმღერაში და ამ თავხედობისათვის საკუთარ ტყავს გამოეთხოვა. სტრიკლენდსაც გულში უცნაური ჰანგები ღა გაუგონარი სახეები უტრიალებდა და ვგრძნობდი, რომ იმასაც იმედის გაცრუება ღა წამებით სიკვდილი ეწერა. მე კვლავ ის აზრისა ვიყავი, რომ მის სულს ეშმაკი დაპატრონებოდა, ოღონდ ეს ეშმაკი არ იყო ბოროტი სული, რადგან იგი პირველყოფილი ძალა იყო, მანამდე არსებული, ვიდრე კეთილი და ბოროტი გაჩნდებოდა ქვეყნად.

სტრიკლენდი ჯერ კიდევ სუსტად იყო და ხატვა არ შეეძლო. ამიტომ ან ხმაამოღებლად, ჩაფიქრებული იჯდა სახელოსნოში, ან კითხულობდა. სხვადასხვანაირი წიგნების კითხვა უყვარდა. დამენახავს, რომ ხელში მალარმეს ლექსები ეჭირა და ბავშვივით ამოძრავებდა ტუჩებს. ძალიან მიბდოდა გამეგო, რა გრძნობებს აღუძრავდა პოეტის ნატიფი კადენციები და ბუნდოვანი ფრაზები. ერთხელ გატაცებით კითხულობდა გაბორიოს დეტექტურ რომანს. როგორც ეტყობა, მისი უცნაური, წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნება წიგნების არჩევანზეც ახდენდა გავლენას. კიდეე ერთი რამ მინდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა, რომ სტრიკლენდი ამ ავადმყოფობაში ძალიან დასუსტდა, აღარ მიისწრაფოდა ფუფუნებისა და ვანცხრომისაკენ. სტროვს ძალიან უყვარდა ნებიერი ცხოვრება და სახელოსნოში ორი რბილი საფარძელი და დიდი დივანი ედგა. სტრიკლენდი ასლოსაც არ ეკარებოდა მათ. ამის მიზეზი მოჩვენებითი სტოიციზმი არა ყოფილა. ეს იქიდან ჩანდა, რომ ერთხელ, როცა სტროვთან მივედი, სახელოსნოში მარტო სტრიკლენდი დამხვდა. საბანელა აკამზე მჯდარი, ჩვეულებრივ, იგი საშზარეულოს ოთახეთოა სკამზე ჯდებოდა ხოლმე. მე ეს მაღიზიანებდა. არასოდეს არ მენახა ადამიანი, რომელიც კომფორტს ასე მცირე ყურადღებას აქცევდა.

თავი ოცდამეშვიდე

თრი თუ სამი კვირა გავიდა, ერთ დილას როგორღაც გული ვერ დაეუდე მუშაობას და გადავწყვიტე ლუვრში წავსულიყავი. ლარბაზიდან ლარბაზში გადავდიოდი, დინჯად ვათვალიერებდი ნაცნობ სურათებს და, ვინ იცის, მერამდენედ განვიცდიდი მღელვარებასა და აღფრთოვანებას. ერთ გრძელ დერეფანში რომ მივდიოდი, სტროვი შემომეგება წინ. ამ ჩაკურატებული ფერსფუსა კაცის დანახვა ყველას ღიმილსა ჰგვრიდა და მეც გამეღიმა, მაგრამ როცა მივუახლოვდი, შევამჩნიე, რომ მეტად შესაბრალისი შეხედულება ჰქონდა. საშინლად დათრგუნულად ჩანდა. მავრამ შეხედავდი თუ არა, მაინც გაგვიცინებო-

და ასე ეკითხება ხოლმე ადამიანს, როცა მდინარიდან ამოყვანილ კაცს დაინახავს: იგი სიკვდილს გადაურჩა, წყალი წურწურით ჩამოსდის ტანსაცმლიდან და თვითონვე გრძნობს, რომ ბეტად სასაცილო შესახედავია. ბოლოვი ჩემკენ მოტრიალდა და პირდაპირ თვალებში მომაშტერდა, მაგრამ, ალბათ, ვერაფერი დამინახა. მრგვალ, ლურჯ თვალებში შეშფოთება ეწერა.

— დირკ, — შევეხმიანე მე.

იგი შეკრთა, მერე მიცნო და როგორღაც საცოდავად გაბრიალდა.

— არა გრცხვენია, ასე უქმად რომ კარგავ დროს? — გავექილიკე მე.

— დიდი ხანია ლუკრში ალარ ვყოფილვარ და გადავწყვიტე, წავალ, ვნახავ, რაიმე ახალი ხომ არ მოუტანიათ-ჰეიქი.

— კი მაგრამ, ხომ მითხარი ამ კვირაში სურათი უნდა დავამთავროთ?

— სახელოსნოს არ მიცალია. სტრიკლენდი ხატავს.

— რას ამბობ?!

— მე თვითონ წვეთავაზე. ჯერ ისე არ მოლონიერებულა, რომ შინ დაბრუნება შეძლოს. ბევრნა, ერთად ვიმუშავებდით ჩვენს კვარტალში ხშირად მუშაობს ორ-ორი მხატვარი ერთად. ბევრნა, უფრო ხალისიანად ვიქნებოდით. დაღლები მუშაობით და აგერ გვერდზე ხმის გამცემი გყავს. განა ცუდი იქნებოდა?

ეს ყველაფერი სვენებ-სვენებით მითხრა, თითქოს თქმა არ უნდა და ვინმე აძალებსო, თან მრგვალ, კეთილსა და მოწტერო თვალებს არ მაწორებდა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— ბოლოც კარგად ვერ გავიგე შენი ნათქვამი.

— სტრიკლენდს ვინმესთან ერთად მუშაობა არ შეუძლია.

— ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი, არ შეუძლია, ნუ შეუძლია. სახელოსნო ხომ შენია!

სტროვმა საწყლად შემომხედა. ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ ალარაფერი უთქვამს.

— რა მოხდა? — ცოტა არ იყოს, მკაცრად ვკითხე მე.

ჯერ შეყოყმანდა, მერე გაწითლდა და უმწეოდ მიაშტერდა ერთ-ერთ სურათს. ბოლოს, როგორც იყო, ამოღერღა:

— არ გამიჩერა. მითხრა, მომწყდი თვალიდანო.

— უნდა ჯანდაბის გზა გესწავლებინა!

— თეითონ გამიმაგდო. წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოვახერხე. ჩუდი მომაყოლა ზღვაში და ალარ მომიკვლია.

სტრიკლენდის საქციელმა გამაცოფა, მაგრამ ჩემს თავზეც ვეგბრაზდი: ამ საცოდავის ყურებაზე ძლივს ვიკავებდი თავს, რომ ხარხარი არ დამეწყო.

— შენმა ცოლმა რაღა თქვა?

— შინ არ იყო. საყიდლებზე იყო წასული.

— ვითომ იმას მაინც არ შეუშვებდა შინ?

— არ ვიცი.

განცვიფრებული მიეჩერებოდი სტროვს, რომელსაც დამნაშავე ბავშვივით ჩაეღუნა თავი.

— გინდა წამოგყვე და გამოვაგდო?

სტროვი შეინძრა და კიდევ უფრო გაწითლდა:

— არა, შენ სულ ნუ ჩაერევი. მე მგონი, ასე აჯობებს.

მან თავი დაბიქნია და წავიდა. არ ვიცი მიზეზი რა იყო, მაგრამ ამკარად ეტყობოდა, რომ არ უნდოდა, უფრო დაწვრილებით გვემსჯელა ამ საკითხზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი ოცდამერვე

ერთი კვირის შემდეგ ყველაფერი გამოირკვა. ამ საღამოს მარტომ ვისადილე რესტორანში, მერე შინ, ჩემს პაწია სასტუმროში, დავბრუნდი და კითხვა დავიწყე. ღამის ათი საათი იქნებოდა, რომ ზარმა საცოდავად დაიკლარუნა. დერეფანში გავედი და კარი გავაღე. ზღურბლთან სტროვი იდგა.

— შეიძლება შემოვიდე?

კიბეზე ბნელოდა და სტროვს კარგად ვერა ვხედავდი, მაგრამ მისი ხმა მეუცნაურა. ვიცოდი, მამელი არ იყო, თორემ ნამდვილად მთვრალი მეგონებოდა. სასტუმრო ოთახში შევუძეხი და სკამი შევთავაზე.

— მაღლობა ღმერთს, რომ შინ მოგატანე, — წამოიძახა სტროვმა.

— რა ამბავია? — გაოცებულმა ვკითხე და სტუმარი ყურადღებით შევათვალიერე. დირკი ყოველთვის სუფთად და კოპწიად იცვამდა, ახლა კი აჯაჯულ-დაჯაჯული იყო. ვიფიქრე, დალეულია-მეთქი, გამელიბა და ის იყო დავაპირე გაეხუმრებოდი, რომ ისევ ალაპარაკდა:

— ალარ ვიცოდი სად წავსულიყავი. ცოტა ხნის წინათაც მოვედი. მაგრამ არ დამხვდი.

— დღეს გვიან ვისადილე.

ახლა უკვე აზრი შეგეცვალა: სასმელი არ ჩააგდებდა ასეთ საშინელ დღეში. ვარდისფერი სახე წითელი ფორაჯებით ჰქონდა დაფარული, ხელები უკანკალებდა.

— რამე შეგემთხვა? — ვკითხე დირკს.

— ცოლმა დამტოვა, — ამოილუღლუღა მან, ძლივძლივობით მოითქვა სული და რსხვილ-მსხვილი ცრემლები გადმოყარა თვალებიდან.

ალარ ვიცოდი რა მეთქვა. მაშინვე ვიფიქრე, ალბათ, სტრიკლენდის ცინიკური ქცევა ველარ აიტანა და ქმარს მოსთხოვა, თავიდან მომაშორეო. უკვე ვიცოდი, როგორი აფეთქება იცოდა ამ ვითომდა მშვიდმა ქალმა და თუ სტროვი უარს ეტყოდა ავადმყოფის გაგდებაზე, სულ ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ ქალი სახლიდან გაეარდნილიყო და წასვლის წინ დამუქრებოდა, უკან არასოდეს ალარ დაბრუნდებიო. ვიცოდი, რომ ბლანშს თავის მუქარას არ შეასრულებდა, მაგრამ საწყალი ქმარი ისე იყო შეწუხებული, რომ ტუჩებზე მომდგარი ღიმილი შევიკავე და დამშვიდება დაეუწყე.

— ასე ნუ გადაირევი, ძმაო. აუცილებლად დაბრუნდება. განა გაცვეცხლებული ქალის სიტყვას უნდა დაუჯერო?

— შენ არ იცი, ბლანშს სტრიკლენდი უყვარს.

— რაო! — გავოცდი მე! მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ სტროვმა სისულელე წამორომშა და ღიმილით ვუთხარი:

— ასე შტერი როგორა ხარ?! ნუთუ სტრიკლენდზე იეჭვიანე? ვითომ არ იცი, რომ შენი ცოლი თვალით დასანახავად ვერ იტანს იმ კაცს.

— შენ არაფერი არ გესმის, — ამოიკვნესა სტროვმა.

— რა ფეთიანი ვირი ყოფილხარ! — შევუყვირე მე, — ან ეს გაბუტული ვისკი დალიე, მოგიხდება!

ვიფიქრე, ალბათ, დირკმა გონებაში ჩაიდო, ჩემს ცოლ-სტროვლენდი უყვარსო (ადამიანი ხომ ათასგვარ სატანჯველს იგონებს საკუთარი თავისათვის) და მერე, როგორც ჩვეოდა, როყიოდ წაუყენა ბლანშს თავისი შეთხზული ბრალდება.

ქალს, ალბათ, ძალიან ეწყინა და ქმრისათვის გული რომ მოეკლა, თავი ალარ იმართლა.

— მომხედე რა გითხრა, — ვუთხარი სტროვს, — მოდი, სახელოსნოში წავიდეთ. შენი გაფუჭებული საქმე შენვე უნდა გამოასწორო. მე მგონი, შენს ცოლს გამყოლი გული არ უნდა ჰქონდეს, არა?

— აბა როგორ მივიდე სახელოსნოში? ისინი ხომ იქ არიან. სახელოსნო იმათ დავუტოვე, — მილეული ხმით მითხრა სტროვმა.

— მაშასადამე, ცოლი კი არ გაგექცა, შენ გაექეცი.

— ღვთის გულისათვის, ასე ნუ მელაპარაკები.

მე ჯერ კიდევ არ მჯეროდა ეს ამბავი, მაგრამ დირკი ისე იყო აღელვებული, რომ ბოლოს ვიფიქრე, სიმართლე მითხრა-მეთქი.

— კარგი, შენ ხომ იმიტომ მიხვედი ჩემთან, რომ ყველაფერი მითხრა. მაშ, მოდი, თავიდან დაიწყე და არაფერი გამოტოვო.

— დღეს თავი ველარ შევიკავე, სტრიკლენდს ვეცი და ვუთხარი, უკვე საკმაოდ მოღონიერებული ხარ და შეგიძლია შეხს ბინას დაუბრუნდე, სახელოსნო მე თვითონ მჭირდება-მეთქი.

— აბა სტრიკლენდის გარდა ვის დასჭირდებოდა მაგის შეხსენება? მერე, რა გიპასუხა?

— ჩაიცინა, ხომ იცი, როგორი ჩაცინება იცის: თითქოს მთლად ზერჩეტს ელაპარაკებაო. ჰოდა, ჩაიცინა, ახლავე წავალო, და თავისი ბარგის მოგროვება დაიწყო. ხომ გახსოვს, რომ მე რაღაც-რაღაცა გამოვზიდე მისი ბინიდან, ღასჭირდება-მეთქი. ბერე ბლანშს გასახვევი ქაღალდი და კანაფი სთხოვა.

სტროვი გაჩუმდა. იგი ძლივს ითქვამდა სულს და, სადაც იყო, გული წაეიდოდა. სულ არ ველოდი, რომ ასეთ ამბავს მოვისმენდი, სულ სხვანაირად წარმომედგინა ყველაფერი.

— ბლანში სამინლად გაფითრდა, მაგრამ მაშინვე მიუტანა ქაღალდი და კანაფი. სტრიკლენდს არაფერი უთქვამს, ნივთები ქაღალდში გაახვია და კანაფი გადაუჭირა, თან რაღაცა სიმღერას უსტვენდა: ჩვენ ზედაც არ გვიყურებდა არც ერთს: თვალებში დაცინვა უკრთოდა. გული საოცრად დამიძძიმდა. ეგრძნობდი, რომ რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო. ვინანე კიდეც, ხმა რატომ ამოვიღე-მეთქი. სტრიკლენდმა მიიხედ-მოიხედა — ჭუჭს ეძებდა. ამ დროს ბლანშმა მათხრა: „ნე სტრიკლენდს მივყვები, დირკ! შენთან ალარ შეშიძლია ცხოვრება“. შევეცადე, რაიმე მეთქვა, მაგრამ ხმა არ ამომიღია ყელიდან. სტრიკლენდსაც არაფერი უთქვამს, სტევნა განაგრძო, თითქოს თვითონ არაფერ შუაში ყოფილიყო.

სტროვი კვლავ გაჩუმდა და სახიდან ოფლი მოიწმინდა. მეც ვუმდი. ახლა უკვე დავიჯერე ნაამბობი და ძალიანაც შევეცბუნდი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გავერკვიე ყველაფერში.

შემდეგ სტროვმა მიამბო (თან ხმა უკანკალებდა და [illegible] ჩამოსდიოდა ცრემლი), რომ მაშინვე გაექანა ცოლისაკენ [illegible] ჩაეკრა იგი, მაგრამ ბლანშმა ტუხრა, არ მომეკაროთ. სტროვი ეევლრებოდა, ნუ დამტოვებო, სიყვარულს ეფიცებოდა, თავიანთი ცხოვრების ბედნიერ დღეებს ახსენებდა, ეუბნებოდა, არც გავიბრაზდები და არც არასოდეს გაგიხსენებ ამ ამბავსო.

— მოდი, მშვიდად გამიშვი, დირკ! — უთხოვია ქალს ბოლოს. — სუთუ ვერა ხვდები, რომ სტრიკლენდი მიყვარს? სადაც არ უნდა წავიდეს, წავყვები.

— ჰო, მაგრამ უნდა იცოდე, რომ მაგის ხელში ბედნიერებას ვერ ეღირსები. ისევ შენთვისა სჯობს, რომ ჩემთან დარჩე. არც კი იცი, რა მოგელის.

— შენი ბრალია. შენ დაიჩემე, მოვიყვანოთო.

სტროვი სტრიკლენდისაკენ მიბრუნდა და შეეხვეწა:

— შეიბრალე ეს ქალი, ამ სასულელეს ნუ ჩაადენინებ!

— როგორც უნდა, ისე მოიქცეს, — უპასუხა სტრიკლენდმა, — თუ არ უნდა, არაფერ აძალებს.

— მე უკვე გადავწყვიტე და ალარ გადავთქვამ, — ყრუდ ჩაილაპარაკა ბლანშმა.

სტრიკლენდის სიმშვიდემ საბოლოოდ გამოიყვანა სტროვი მოთმინებიდან. იგი გაცოფებული ეცა სტრიკლენდს, რომელიც სულ არ მოელოდა ამას და წაბარბაცდა, მაგრამ, თუმცა დიდი ავადმყოფობა გადაიტანა, მაინც საკმაო ლონე შერჩენოდა, რომ სტროვი თვალის დახამხამებაში გაეშოტა იატაკზე.

— აი, შე სასაცილო კაცუნავ! — ზიზღით ჩაიდუდუნა მან.

სტროვი ფეხზე წამოდგა და დაინახა, რომ ბლანში სულ არ აღელვებულიყო. ცოლის თვალში დამცირებამ კიდევ უფრო მოუკლა გული. წაბაძვისას სათვალე დაეკარგა და ვერაფრით ველარ იპოვა. ბლანშმა მოუძებნა და უხმოდ გაუწოდა. უცებ სტროვმა ცხადად იგრძნო თავისი უბედურება და ტირილი დაიწყო, თუმცა იცოდა, რომ ამით კიდევ უფრო დამცირდებოდა იმათ თვალში. სტროვს თვალებზე ხელი ჰქონდა ამოარებული და ქვითინებდა, სტრიკლენდი და ბლანში არც ხმას იღებდნენ და არც ფეხს იცვლიდნენ ადგილიდან.

— ო, ჩემო ძვირფასო, — ამოიკვნესა სტროვმა ბოლოს, — ასეთი უგუნური როგორია ხარ?

— რა ექნა, დირკ, თავს ველარ ვერევი.

— მე ხომ გალმერთებ. ასე არც ერთი ქალი არ გაუღმერთებიათ. თუ რაიმე დაეშავე, გეთქვა და გამოვასწორებდი. ყველაფერს გავაკეთებ შენთვის. ყველაფერს, რაც კი ძალმიძს.

ქალმა არ უპასუხა. სახეზე ერთი ძარღვიც კი არ შესტოკებია. სტროვი მიხვდა, რომ თავს აბეზრებდა. ბლანშმა ჰალტი ჩაიცვა, ქუდი დაიხერა და კარისაკენ გაემართა. აი, ერთი წამიც და იგი ოთახიდან გავიდოდა! სტროვი გაექანა და შუხლებში ჩაეყარდა. სულ დაკარგა თავმოყვარეობა.

— ო, ნუ დამტოვებ, ჩემო ძვირფასო. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ. თავს მო-

ვიკლავ. მაპატიე, თუ რაიმე გაწყენინე. მეორედ აღარ ვიზამ. ყველანაირად ვეცდები, რომ ბედნიერი იყო.

— ადექი, დირკ, თავს ნუ იმასხარავებ.

სტროვი უნდილად წამოდგა ფეხზე, მაგრამ ცოლი [illegible] შეაჩერა.

— სად უნდა წახვიდე? — სხაპასხუპით დაიწყო მანანა, [illegible], როგორი ბინა აქვს სტრიკლენდს. შენ იქ ვერ იცხოვრებ. ეს საშინელება იქნება.

— თუკი მე არა ვდარდობ მაგაზე, შენ რა გინდა?

— ერთი წუთი კიდევ მოიცადე, რაღაც უნდა გითხრა. ბოლოს და ბოლოს, ამას ვერ დამიშლი.

— რა გამოვა მაგ ლაპარაკით? მე უკვე გადავწყვიტე და რაც არ უნდა მითხრა, არ გადავთქვამ.

სტროვმა ცრემლები ჩაყლაპა და მკერდზე მიიდო ხელი, თითქოს გული ბუდიდან უგარდება და ხელით უნდა გაიჩეროსო.

— არც ვაპირებ გადავათქმევინო, ოღონდ მინდა ერთი წუთით მომისმინო. ერთი რამ მინდა გთხოვო საბოლოოდ. ამაზე მაინც ნუ მეტყვი უარს.

ქალი შეჩერდა და სტროვა ცივად მიაშტერდა თავისი ფიქრიანი თვალებით. შემდეგ უკან დაბრუნდა და მაგიდას დაეყრდნო.

— რა გინდა?

სტროვმა ძალ-ღონე მოიკრიბა და დაიწყო:

— ცოტა უფრო წინდახედულად უნდა მოიქცე. ხომ იცი, მაერით ვერ იცხოვრებთ, სტრიკლენდს ერთი პენიც არა აქვს.

— ვიცი.

— შენ საშინელი გაჭირვების ატანა მოგიხდება. იცი ამდენ ხანს რატომ ვერ გამოგეთქა? ნაშიმშილევი იყო და იმიტომ.

— ფულს ვიშოვი და ვარჩენ.

— როგორ?

— ჯერ არ ვიცი. რაიმე გზას გამოვნახავ.

ჰოლანდიელს საშინელმა აზრმა გაუელვა თავში. ივი აკანკალდა:

— შვილი ჭკუაზე ადარა ხარ. რა გემართება?

ბლანშმა მხრები აიჩეჩა და მერე ჰკითხა:

— ახლა შეშაძლია წავიდე?

— ერთი წამიც მოიცადე.

სტროვმა უილიამ მზერა მოაცილა სახელოსნოს. აქაურობას ხომ ბლანში ანიჭებდა მყუდროებასაც და სიხარულს. მან თვალები ლახუჭა, მერე გაახილა და დიდხანს, დიდხანს უყურა ცოლს, თითქოს უნდოდა სამუდამოდ ჩაებეჭდა გონებაში მისი სახე. შემდეგ ენერგიულად წამოაღო ხელი. წამოდგა და თქვა:

— არა, მე წავალ.

— შენ?!

ქალი გაოგნდა. ივი ვერაფერს მიხვდა:

— მე მარტო იმის წარმოდგენაც კი ეზარება, რომ იმ საშინელ, ბინძურ სხვენში უნდა იცხოვრო. ბოლოს და ბოლოს, ეს სახლი შენც გეკუთვნის, აქ კარგად მოეწყობი. იმ საშინელ სილატაკეს მაინც აიცდენ თავიდან, სტრიკლენდის ბინაში რომ გელოდება.

სტროვი კარადას მიადგა და ფულის დასტა გამოიღო:

— ნახევარი შენ უნდა დაგიტოვო.

ფული მაგიდაზე დაღო. ხმა არც სტრიკლენდს ამოუღია, არც ბლანშს. სტროვი ცოტა ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, შემდეგ სთქვა:

— შეგიძლია ჩემი ტანსაცმელი ჩამილაგო და კონსიერჟს ჩემოდანი ხვალ მოვალ და წაგიღებ, — იგი შეეცადა გაელიმა, — მშვიდობიანად ... ... მაღლობელი ვარ იმ ბედნიერებისათვის, რომელიც შენთან ერთად ცხოვრების დროს განვიცადე.

სტროვმა კარი გამოიხურა და წამოვიდა. მე თვალნათლივ წარმოვიდგინე, თუ როგორ დააგდო სტრიკლენდმა თავისი ქუდი მაგიდაზე, დაჯდა და სიგარეტი გააბოლა.

თავი ოცდამეცხრე

ცოტა ხანს ვდუმდი და მოსმენილ ამბავზე ვფიქრობდი. ვერ ამეტანა, რომ სტროვი ასე გლახურად მოქცეულიყო. თვითონაც შემატყო, რომ არ მომეწონა მისი საქციელი და მომიბოდიშა:

— ხომ შენი თვალით ნახე, როგორ ცხოვრობდა სტრიკლენდი. მე არ შემეძლო იქ გამეშვა საცხოვრებლად, რა ვქნა, არ შემეძლო!

— ეგ შენი საქმეა.

— შენ როგორღა მოიქცეოდი? — მკითხა სტროვმა.

— ბლანშმა იცოდა რას სჩადიოდა და გაჭირვებაც უნდა აეტანა.

— სწორად მსჯელობ, მაგრამ საქმე ისაა, რომ შენ ის არ გიყვარს.

— ნუთუ ახლაც გიყვარს?

— ო, როგორც არასდროს! სტრიკლენდისთანა კაცის ხელში ქალი ბედნიერი არ იქნება. ეს ამბავი დიდხანს არ გასტანს და მინდა ბლანშმა იცოდეს, რომ ყოველთვის მეყვარება.

— ნუთუ იმის თქმა გინდა, რომ ფეკან თუ დაგიბრუნდა, მიიღებ?

— სიხარულით! ვითომ რატომ არ უნდა მივიღო? უფრო მეტად შემიყვარდება. განა საშიხელება არ იქნება, რომ მეც ხელი ეკრა დამცირებულს, გულგატეხილსა და მიუსაფარს.

სტროვი ვერც კი გრძნობდა, რომ შეურაცხყვეს. მე კი, რასაკვირველია, ეგზაჩობდი, ასეთი ბენავი რომ გაბოდგა. იგი, ეტყობა, ნაფიქრს მიმიხვდა, რადგან მითხრა:

— არცა მქონდა იმედი, რომ ისე ვეყვარებოდი, როგორც მე მიყვარდა. მე ხომ ტაკიმასხარა ვარ. ქალები ჩემისთანა კაცებისაკენ არ მიიღტვიან. ეს თავიდანვე ვიცოდი. არც ვამტყუნებ, რომ სტრიკლენდი შეუყვარდა.

— ზენ თავმოყვარეობის ნატამალიც არ გაგაჩნია. შენისთანა კაცი ჩემს დღეში არ მინახავს.

— იმიტომ, რომ ბლანში საკუთარ თავზე უფრო მიყვარს. მე მგონი, სიყვარული თავმოყვარეობაზე უფრო ძლიერია. ბოლოს და ბოლოს, რამდენი შემთხვეულა, რომ კაცს ვინმე შეუყვარდება, ცოლს დატოვებს, მერე კი ისევ ოჯახში დაბრუნდება და ხალხს ეს სრულიად ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია. ვითომ ქალი რომ მოიქცეს ასე, რა მოხდება?

— უნდა მოგახსენო, რომ შენი მსჯელობა საკმაოდ ლოგიკურია, — ღიმილით ვუთხარი სტროვს, — მაგრამ მაინა�to უმრავლესობა სულ სხვანაირად უყურებს ამ საქმეს. იმათ არ შეუძლიათ, რომ ქალს ოლანდი ატაროთ.

მთელი ამ საუბრის განმავლობაში გონებაში სულ ერთი კითხვა მიტრიალებდა: ნუთუ ეს ყველაფერი ასე უცებ მოხდა, ნუთუ [illegible] ვერაფერს ამჩნევდა-მეთქი. გამახსენდა, თუ როგორი უცნაური გამოძეტანელები ჰქონდა ერთხელ ბლანშ სტროვს, როცა სტრიკლენდს უმზერდა. მაშინ, ალბათ, ქალმა ბუნდოვნად იგრძნო, რომ რაღაც გრძნობა ესახებოდა გულში და ამიტომ იყო ასე დამფრთხალი და გაოცებული.

— ნუთუ დღემდე არც ერთისათვის არაფერი არ შეგიმჩნევია? — ვკითხე სტროვს. მან არ მიპასუხა, მაგიდაზე ფანქარი იპოვა და საშრიბ ქაღალდზე ვიღაცის პროფილის დახატვა დაიწყო.

— თუ ჩემი კითხვები არ გაიამოვნებს, პირდაპირ მითხარი, — გავუბრაზდი სტროვს.

— არა, პირიქით, უფრო მიიდვალდება ლაპარაკი. ოჰ, რომ იცოდე, როგორ მესერებოდა გული! — სტროვმა ფანქარი მაგიდაზე დააგდო და განაგრძო, — როგორ არ შეეამჩნიე. ორი კვირის წინ ვიცოდი, ბლანშზე აღრე მე ვიგრძენი.

— მაშინვე რატომ არ აუკარი გუდა-ნაბადი სტრიკლენდს?!

— მთლიად დარწმუნებული არ ვიყავი. ძალიან დაუჯერებელი ამბავი იყო. ბლანში ხომ აღრე თვალით დასანახავად ვერ იტანდა იმას. აბა რას წარმოვიდგენდი, თუ ამისთანა საარაკო საქმე მოხდებოდა. ჯერ ვიფიქრე, ალბათ, მომეჩვენა-მეთქი. მე ხომ ძალიან ეჭვიანი ვარ, ოლონდ ვცდილობ, არ შევიმჩნიო. ყველაზე ვეჭვიანობდი, შენზეც კი. ვიცოდი, რომ ბლანშს ისე არ ვუყვარდი, როგორც მე მიყვარდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. განა არა? მაგრამ ივი ნებას მაძლევდა მყვარებოდა და ეს საკმარისი იყო, რომ ბედნიერი ვყოფილიყავი. თავს ვაიძულებდი, საათობით გაესულიყავი სახლიდან და ისინი მარტონი დამეტოვებინა. ამით თავს ვისჯიდი, ასეთი სულელური ფიქრი რატომ გავიარე გულში-მეთქი. როცა ვბრუნდებოდი, ვატყობდი, რომ არა სიამოვნებდათ. სტრიკლენდი აღრეც არ მაგდებდა არავრად, მაგრამ ბლანში, კოცნას რომ დავუპირებდი, აკანკალდებოდა ხოლმე. ბოლოს, დავრწმუნდი, რომ ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ვგრძნობდი, ალიაქოთის ატეხვა არ გამოდგებოდა — სასაცილოდ ამიგდებდნენ. ვიფიქრე, თუ ენას კბილს დავაჭერ და არაფერს შევიმჩნევ, ყველაფერი კეთილად დამთავრება-მეთქი. გადავწყვიტე, ნშვიდად, უჩხუბრად გამესტუმრებინა სტრიკლენდი სახლიდან. ო, რომ იცოდე, როგორ ვიტანჯებოდი!

შემდეგ სტროვმა ხელახლა მიამბო, თუ როგორ სთხოვა სტრიკლენდს, წადით: მან დრო შეარჩია და სტუმარი ისე, ვითომდა სხვათა შორის, დაითხოვა სახლიდან. მაგრამ მასპინძელს ხმა უკანკალებდა და გულია, მეგობრულ სიტყვებს ეჭვისა და ტანჯვის ელფერი დაედო. სტროვს არ ეგონა, რომ სტრიკლენდი მაშინვე დაიწყებდა მზადებას წასასვლელად და, რაც მთავარია, არ იცოდა, რომ ბლანშს გადაწყვეტილი ჰქონდა, სტრიკლენდს გაჰყოლოდა. მიეხვდი, რომ სტროვი ნატრობდა, ნეტავი ენა გამეჩერებინაო. ივი ეჭვის ცეცხლით დადაგვას ამჯობინებდა განწირულებას.

— მინდოდა მომეკლა სტროკლენდი და მხოლოდ თავი გავიმასხარავე.

სტროვი კარგა ხანს დუმდა, ბოლოს, როგორც იყო, ლქვა, [illegible] გულში ედო:

— რომ მომეთმინა, ალბათ, ყველაფერი კარგად [illegible]. არა, არ უნდა აეჩქარებულიყავი. ო, ჩემო საცოდავო [illegible] ჩაგაგდე!

ო, უნდა მეთქვა! მხოლოდ მხრები ავიჩეჩე. ბლახშ სტროვზე ჩემი შეხედულება ჰქონდა, მაგრამ სტროვს არაფერი ვუთხარი, გული არ ვატკინოთ-ბეთქი.

სტროვი ისე იყო აღელვებული, რომ გაჩუმების ეეღარ ახერხებდა. იგი ხელახლა მიხატავდა ბოლო სცენას. უცებ ახსენდებოდა, რომ რაღაც გამორჩა და კვლავ უკან ბრუნდებოდა, თავს იდანაშაულებდა, ისე კი არა, ასე და ასე უნდა მეთქვა, მერე წუწუნს იწყებდა, ასე რამ დამაბრმავა და ბოლოს ნანობდა, ასე კი არა, სხვანაირად უნდა მოქცეულიყავი. ამასობაში მოშუადამეედა და ორივეს ქანცი გამოგველია.

— ახლა რას აპირებ? — ვკითხე ბოლოს სტროვს.

— რა ვიცი? დაველოდები, სანამ არ დამიძახებს.

— ცოტა ხნით რომ წასულიყავი პარიზიდან?

— არა, არა! უცებ რომ დავჭირდე და აქ არ ვიყო?!

სტროვს მთლად დაბნეოდა თავგზა. ახლა მასთან მომავალზე ლაპარაკი უაზრობა იყო. როცა ვუთხარი, ლოგინში დაწექი-მეთქი, მიპასუხა, მაინც ვერ დავიძინებ, ჯირჩევნია წავიდე და გათენებამდე ქუჩაში ვიაროთ, მაგრამ ისეთ დღეში იყო, რომ მარტო არ გაიშვებოდა და ჩაეცინედი, ამაღამ ჩემთან მოიცადე-ბეთქი. მე სასტუმრო ოთახში დივანზე დავწექი, სტროვს კი ჩემი ლოგინი დავუთმე. ისეთი დაოსებული იყო, რომ უარის თქვაც აღარა ჰქონდა. კარგა ბლომად ვერონალი მივეცი, რომ რამდენიმე საათს მაინც დავიწყებოდა თავისი ურვა და ნაღველი. ჩვენი აზრით, ამაზე უკეთეს საშსახურს ვერაფრით ვერ გავუწევდი.

თავი ოცდამეათე

დივანი მეტად მოუხერხებელი გამოდგა დასაწოლად. იმ ღამეს მეტწილად მეღვიძა და საცოდავი ჰოლანდიელის ნაამბობზე ვფიქრობდი. ბლანშის საქციელს მაინცდამაინც არ გავუკვირვებივარ — ვფიქრობდი, რომ ყველაფერი ხორციელი ლტოლვის ბრალი იყო. ახლა ვხვდებოდი, რომ ბლანშს არასოდეს არა ჰყვარებია ქმარი. ის, რაც ადრე სიყვარული მეგონა, მხოლოდ ქალური მადლობა იყო. ქალები ასე პასუხობენ ყურადღებასა და მზრუნველობაზე და ამას სიყვარულს არქმევენ. ეს ბასიური გრძნობა ყველას მიმართ შეუძლია გაუჩნდეს ქალს ისევე, როგორც სურს შეუძლია ყველანაირ ხეს შემოეხვიოს. ადამიანებმა იციან ეს უბრალო ჭეშმარიტება და ხშირად ქალიშვილს უსიყვარულოდ ათხოვებენ იმ იმედით, რომ ეს გრძნობა თავისთავად მოჰყვება ქორწინებას. ქალი კმაყოფილია, რომ ხვალინდელ დღეზე ზრუნ-

ვა არ უხდება, თავი მოაქვს სიმდიდრით, სიამოვნებს, რომ ქმარს მოსწონს, რომ თვითონ ოჯახის ბატონ-პატრონია და ყოველივე ამას თავგამოდებულ უწოდებს სიყვარულს. ეს გრძნობა ვერ უძლებს ნამდვილი ვნების შემოტევას. ბლანშ სტროვს თუმცა საშინლად სძულდა სტრიკლენდი, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ სიძულვილში თავიდანვე ჩასახული იყო გაუცნობიერებელი სქესობრივი ლტოლვა. თუმცა მე ვინა ვარ, რომ სქესის გამოცანებს ადამიანთა ამოხსნას ვცდილობ?! შესაძლებელია, დირკის ვნება მხოლოდ აღაგზნებდა და არ კი აკმაყოფილებდა ქალს და სტრიკლენდი იმიტომ შეიძულა, რომ მიხვდა, სწორედ ისა აქვს, რაც ასე ძალიან შინდათ. დარწმუნებული ვარ, სრულიად გულწრფელი იყო, როცა ქმარს ეწინააღმდეგებოდა, სტრიკლენდს ჩვენთან ნუ გადმოვიყვანთო. ალბათ, ეშინოდა მისი, ოღონდ ამ შიშის მიზეზი არ იცოდა. გამახსენდა, თუ როგორ იწინასწარმეტყველა, უბედურება მოგველისო. ეტყობა, სტრიკლენდისა უფრო იმიტომ ეშინოდა, რომ საკუთარი თავის იმედი არა ჰქონდა. სტრიკლენდი უცნაური, ტლანქი ზეხედულების კაცი გახლდათ. თვალები განდეგილისა ჰქონდა, ტუჩები—ავხორცისა. ბრგე და ჯანიანი იყო და როცა სიყვარული მოერეოდა, ალბათ, ვნებას ველარ იოკებდა.

ეტყობა, ბლანშმაც შენიშნა სტრიკლენდს ის უცნაური, ავისმომასწავებელი ძალა, რომელმაც მე პირველყოფილი ველური არსებები გამახსენა; ის არსებები, რომელთაც ჯერ მიწასთან არ გაეწყვიტათ კავშირი, მაგრამ უკვე საკუთარი აზრი და გონება გაღვიძებოდათ. სტრიკლენდი ან უნდა შეყვარებოდა ვინმეს, ან შესძულებოდა. ბლანშს შესძულდა. შემდეგ ვიფიქრე, რომ ყოველდღე ავადმყოფთან ყოფნამ უცნაურად იმოქმედა ქალზე. იგი, ალბათ, ხშირად წამოუწევდა თავს სტრიკლენდს, დააპურებდა და მერე თავისი ხელით მოწმენდდა ვნებიან ბაგეებსა და ცეცხლივით წითელ წვერს. ხშირად ბანდა მთლად ბალნით დაფარულ, ჯერ კიდევ კუნთმაგარ, ღონიერ ხელებს. თითები გრძელი ჰქონდა, მხატვრის მარჯვე, სანთიანი თითები და, ალბათ, ათასნაირ მღელვარე აზრს ალუძრავდა ქალს, როცა იგი ხელებს უნშრალებდა ავადმყოფს. სტრიკლენდი მკვდარივით გაუნძრეველად იწვა. ისე, თითქოს სადმე ტყეში საკბილოს დევნით დაღლილი მხეცი დაგდებულა დასასვენებლადო. ქალი უმზერდა და ფიქრობდა, ნეტავი რაზე ოცნებობსო. იქნებ იმ წუთში ნინეთა ეჩვენებოდა, ტყე-ტყე რომ მიიღტვის სატირისაგან. იგი სწრაფად მიბქრის, დაფეთებული, დაბნეული, მაგრამ სატირი თანდათან ეწევა: აი, უკვე ლიყას უწვავს მისი ცხელი სუნთქვა, მაგრამ მაინც უხმოდ მიიწევს წინ, სატირიც უხმოდ წასწვდება და როცა ბოლოს და ბოლოს მკლავებში მოიწყვდევს, საკითხავია, შიშით აუძგერდება დაჭერილს გული თუ ნეტარებით?

ბლანშ სტროვს წყურვილი ახრჩობდა. ნას, ალბათ, ჯერ ისევ ეჯავრებოდა სტრიკლენდი, მაგრამ ამ წყურვილს მხოლოდ იგი ნოუკლავდა და ყოველივემ, რაც დღემდე იყო, ერთიანად დაკარგა ფერი და შინაარსი. ახლა მას ალარა ჰქონდა ათასნაირი ხასიათი, ალარ იყო თვინიერი და გულფიცხი, ყურადღებიანი და აჯანი — ახლა უკვე მენადა გახლდათ, უკვე მთლად ნდომად ქცეულიყო.

მგონი, ძალიან შევტოპე! შესაძლებელია, ბლანშს უბრალოდ მობეზრდა თავისი ქმარი და მხოლოდ იმიტომ დანებდა სტრიკლენდს, რომ საკუთარი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა. ეს სურვილი ისეთი ძლიერი გამოდ-

ვა, რომ სულ ჩაუკლა გულში ქმრის სიბრალულის გრძნობა. ბლანშს, შეიძლება, სულ არ უყვარდა სტრიკლენდი და პირველად მხოლოდ ამიტომ დამორჩილდა, რომ ან შეეჩვია, ან და მოცლილი იყო და გართობა უნდოდა, ხოლო შემდეგ კი მის მიერვე დაგებულ ბადეში გაიხლართა. ამა რა ვიცი, რა ფიქრებს და განცდებს მალავდა მისი ხათელი შუბლი, ლაჟვარდისფერი ფოლადისფერი თვალები?!

თუმცა ადამიანი ფრიად შეუცნობელი არსებაა, მაგრამ ბლანშ სტროვის საქციელის ახსნა ასე თუ ისე ნაინც შეიძლებოდა. სტრიკლენდს კი, თუმცა ბევრი ვიმტვრიე თავი, სულ ვერაფერი გაეგო. სულ არ ველოდი, რომ ამას ჩაიდენდა. საკვირველი ის კი არ იყო, რომ წუთიერი ჟინის დასაკმაყოფილებლად ასე სასტიკად მოატყუა მეგობარი; რომ წამითაც არ შეყოყმანებულა, ისე ჩაგდო იგი ამ საშინელ სატანჯველში. ასეთი საქციელი სრულიად ბუნებრივი იყო მისთვის. სტრიკლენდს არც მადლიერების გრძნობა გააჩნდა და არც ვინმეს შებრალება ძალუძდა. საერთოდ, ადამიანური გრძნობების უმეტესობა მისთვის სავსებით უცხო იყო და არც შეიძლებოდა მისი დადანაშაულება, ასე გულქვა და არაადამიანური რატომ ხარო. განა შეიძლება ვეფხვს სიკეთისა და ლმობიერებისაკენ მოუწოდო? ასე რომ, მისი უგულობა არ მაოცებდა, მაგრამ ის კი ვერაფრით ვერ ამეხსნა, თუ რატომ მიხებდა ასე ვნებას.

ვერავინ დამარწმუნებდა, რომ სტრიკლენდს შეუყვარდა ბლანშ სტროვი. მას არ შეეძლო სიყვარული. სიყვარულს ხომ სინაზე უნდა, სტრიკლენდს კი არც თავისთვის ემეტებოდა ეს გრძნობა და არც სხვისთვის. მიჯნური გულმოწყალე უნდა იყოს, მფარველობა უნდა გაუწიოს გულის სწორს, ასიამოვნოს, გაახაროს, შეიძლება ეს სიქველით კი არა, საკუთარი თავის სიყვარულით უფრო მოსდიოდეს, მაგრამ ეს სიყვარული ისე შესანიშნავად არის შენიღბული, რომ თვითონ მიჯნურებიც ვერ იტყობენ. თანაც მიჯნურობას ერთგვარი მოკრძალება და გაუბედაობაც ახლავს თან. სტრიკლენდისათვის ყოველივე ეს უცნობი იყო. სიყვარული ძლიერი გრძნობაა და იგი თავგზას უბნევს ადამიანს. თვით ყველაზე შორსმჭვრეტელებსაც არა სჯერათ, რომ ოდესმე გაუცივდებათ გული. მან იცის, რომ თავს იტყუებს, მაგრამ ეს ტყუილი უყრია ჭეშმარიტების. სიყვარული ამაღლებს და ამავე დროს ამცირებს ადამიანს, იგი სახეს უცვლის, ასხვაფერებს მას. წეყვარებული პიროვნება კი არა — საგანია, ნიეთია იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც საბოლოოდ მის მეობას დათრგუნავს. სიყვარულს მუდამ თან ახლავს სენტიმენტალობა. მაგრამ სტრიკლენდს სულ არა ჰქონდა ეს გრძნობა. არა მჯეროდა, რომ ოდესმე სიყვარულის ულელს აიტანდა. იგი ხომ ვერავითარ შეზღუდვას ვერ ითმენდა. ეიცოდი, საკუთარი ხელით ამოიგლეჯდა გულიდან ყოველივეს, რაც ხელს შეუშლიდა, რომ მთელი არსებით მიბრძოლებოდა იმ გაურკვეველ სურვილს, რომელიც ჯიუტად მიიქანებდა სადღაც, უცნობი სამყაროსაკენ; ამოიგლეჯდა, თუნდაც ეს საშინელი ტანჯვის ან თვით სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა.

თუ მოვახერხე და სწორედ აგიწერეთ სტრიკლენდის რთული ბუნება, მაშინ არც ის გაგიკვირდებათ, რასაც ახლა მოგახსენებთ: იგი ერთობ დიდიც იყო სიყვარულისათვის და, ამავე დროს, არც იყო ლირსი ამ გრძნობისა.

თუმცა, გრძნობას ყველა თავისი ადგილი ზომავს და, შესაძლებელია, რაცა ვთქვი, ყველაფერი მცდარი იყოს. სტრიკლენდის ყაიდის ადამიანს ალბათ სულ თავისებურად ესმოდა სიყვარული და ამაოდ ეშვრებოდი, როცა ვცდილობდი, რომ მის სურვილებსა და გრძნობებში გავრკვეულიყავი.

ედრიენ ბელი
ბიბლიოთეკა

თავი ოცდამეთერთმეტე

მეორე დღეს სტროვს ძალიან ვთხოვე, ჩემთან დარჩენილიყო, მაგრამ არ გამიგონა. ნერე შეეთავაზე, საბელოსნოში წავალ და შენს ნივთებს გადმოვიტან-მეთქი, მაგრამ დაიჟინა, მე თვითონ წამოვიღებო. ჩემი აზრით, ფიქრობდა, ალბათ, ნივთების შეგროვება დაავიწყდათ, ავალ, ცოლს ვნახავ და იქნებ დავითანხმო კიდეც, რომ კელავ დამიბრუნდესო. მაგრამ სტროვს იმედი გაუცრუვდა: ბლანშს ყველაფერი კონსიერჟთან ჩაეტანა და თვითონ სადღაც წასულიყო. დარწმუნებული ვარ, სტროვმა თავი ვერ შეიკავა და იმ ქალსაც შესჩივლა თავისი გასაჭირი. მერე გავიგე, რომ ყველას უყვებოდა თავის უბედურებას. იგი თანაგრძნობას ელოდა, მაგრამ არავინ იბრალებდა. ის კი არა, დაეცინოდნენ კიდეც.

სტროვი ძალზე წინდაუხედავად იქცეოდა. ერთხელ ვეღარ მოითმინა ბლანშის უნახაობა, დაუდარაჯდა, როცა ქალი, ჩვეულებრივ, საყიდლებზე გამოდიოდა ხოლმე ქუჩაში და წინ შეეჩეხა. ბლანშმა ხმა არ გასცა, მაგრამ სტროვი არ მოეშვა და ლუღლუღით გაჰყვა გვერდზე. იგი ბოდიშს უხდიდა— მაპატიე, თუ ოდესმე რაიმე მიწყენინებია, არწმუნებდა, ისევ ძველებურად მიყვარხარო და ეაჯებოდა, დამიბრუნდიო. ბლანში დუმდა და გვერდზე მოუხედავად მიიჩქაროდა წინ. ალბათ, სტროვმა დიდი ძალა დაატანა თავის მოკლე, სქელ ფეხებს, რომ ბლანშს არ ჩამორჩენოდა. სწრაფი სიარულისაგან გულამოძჯდარი სტროვი ქლოშინით ეუბნებოდა ქალს, საცოდავი ვარო, შებრალებასა და გულმოწყალებას სთხოვდა და პირდებოდა, თუ შეიბრალებ, ყველა სურვილს შეგისრულებო. ბერე საბოგზაურად წასვლა შესთავაზა, თან შეაპარა, სტრიკლენდს ძალე მობეზრდებიო. როცა სტროვმა ეს საზიზღარი სცენა ამიწერა, საშინლად გავბრაზდი. ამ კაცს არც ჭკუა ჰქონდა და არც თავმოყვარეობა. მან ყველა ღონე იხმარა, რომ ცოლიანთვის თავი შეეზიზღებინა. ქალი ხომ საშინლად გულქვა და შეუბრალებელი ხდება, როცა კაცი არ უყვარს და ის კი თავს ამეზრებს თავის გრძნობებზე ლაპარაკით. მაშინ ქალი ბოროტდება, მოუთმენელი ხდება და სულ მცირე რამეა საჭირო, რომ ცოდვიანს დაემსგავსოს. ბლანშ სტროვი უეცრად შედგა და მთელი ძალით გააწნა სილა ქმარს. მერე ისარგებლა იმით, რომ სტროვი დაიბნა, სწრაფად აირბინა კიბეები და საბელოსნოში შეეარდა. თანაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

როცა ამას მიყვებოდა, სტროვმა ლოყაზე მიიდო ხელი, თითქოს სილამ კვლავ აუწვა ლოყაო. თვალებში გულისამაჩუყებელი და თანაც სასაცილო სევდა და გაოცება ჩაუდგა. სტროვი დასჯილ მოწაფეს დაემსგავსა და, თუმცა ძალიან მებრალებოდა, ძლივს შევიკავე სიცილი.

ამის შემდეგ სტროვი ყოველდღე მოსახვევში აიტუზებოდა ხოლმე, იმ

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სადაც ბლანწს უნდა გაევლო. გამოლაპარაკებას ველარ უბედავდა, მაგრამ ცდილობდა თავისი ნრგვალი თვალებით გამოეთქვა გულისნადები. ალბათ, ფიქრობდა, ასე გასაოცდაებულა რომ დამინახავს, გული მოულბებია. ქალი კი ვითომც არც ამჩნევდა ქმარყოფილს. მას არც საყიდლებზე გამოსვლის დრო შეუცვლია და არც მარშრუტ[illegible] სრული უგულებელყოფაც ქალური სიაასტიკის გამოხატ[illegible] ბელია სიამოვნებდა კიდეც, რომ სტროვს ასე სტანჯავდა. ვცდილობდი და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყავი, თუ რა იყო ამ სიძულვილის მიზეზი.

სტროვს ვეხვეწებოდი, უფრო ჭკვიანურად მოიქეცი-მეთქი. პირდაპირ მაცოფებდა მისი სიგლახაკე.

— ასე ვერაფერს გახდები, — ვარიგებდი ჭკუას სტროვს, — აი, თავის დროზე ერთი-ორჯერ ჯოხით რომ შეგეხლრებინა, ახლა ასე ალარ შეჯავრდებოდი.

ბოლოს ვეურჩიე, კარგი იქნება თუ ცოტა ხნით საშობლოში წახვალ-მეთქი. სტროვი ხშირად იხსენებდა თავის მყუდრო ქალაქს, სადაც ჩრდილოეთ ჰოლანდიაში რომ მდებარეობდა. შობლები ცოცხალი ჰყავდა. ისინი უბრალო ხალხი იყვნენ. მამა ლურგლად მუშაობდა. მდორე არხის ნაპირას პატარა, ძველებური, წითელი აგურის სახლი ედგათ, სუფთა და მოხდენილი. ქალაქს თვითონ, მაგრამ უკაცრიელი ქუჩები ჰქონდა. იქაურობამ უკვე ორასიოდე წლის წინათ დაიწყო კვდომა, მაგრამ სახლებს ჯერ კიდევ შერჩენოდათ ძველებური, გულუბრყვილო ბედნიერობა. მათში ოდესღაც მშვიდად და უხრუველად ცხოვრობდნენ ბედნიერი ვაჭრები, რომლებიც შორეულ ინდოეთში აგზავნიდნენ თავიანთ საქონელს. ახლა ეს სახლები დანგრევის პირას იყო მისული, მაგრამ სანუკვარი წარსულის სურნელი მაინც შემოენახათ. აქ შეგეძლო არხის ნაპირზე გესეირნა, ან ვრცელ ამწვანებულ შინდორში გასულიყავი, სადაც აქა-იქ ქარის წიაქვილები იდგა და ჭრელ-ჭრელი ძროხები ბალახობდნენ. იმედი მქონდა, რომ იმ ბიდამოებში, სადაც ბავშვობა გაეტარებინა, თავის უბედურებას დაივიწყებდა, მაგრამ სტროვმა წასვლაზე გადაჭრილი უარი განაცხადა.

— როცა დავჭირდები, საძებნელი არ უნდა გაგხდე, — ხშირად იტყოდა ხოლმე სტროვი, — საშინელება იქნება, რაიმე რომ შეემთხვეს და მე წასული ვიყო სადმე.

— მაინც რა უნდა შეემთხვეს? — ვეკითხებოდი მე.

— არ ვიცი, მაგრამ სულ შიში კი მაქვს რაღაცის.

მე მხრებს ავიჩეჩავდი და გავჩუმდებოდი ხოლმე.

თუმცა ასე იტანჯებოდა, სულ არ შეცვლილა. კვლავ ისეთივე სასაცილო გარეგნობისა დარჩა. ან ხორცი რომ დაეყარა ცოტა, ან ფერი შეცვლოდა, კიდევ შეეცოდებოდა კაცს, მაგრამ ისევ ისეთი გაბეყვილი იყო და ლოყებიც წითლად ულვივოდა მწიფე ვაშლივით. თავიდანვე ფაქიზად უყვარდა ჩაცმა და ახლაც მოხდენილი, შავი კოსტიუმით დადიოდა, თავზე კოხტა ქუდი ეხურა. ქუდი ცოტათი პატარა ჰქონდა და ამიტომ მხნე და მხიარულ გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს. დირკს უკვე მოეხერხებინა ლიპის გაზრდა და ამ ლიპის ზომაზე არავითარი დარდი არ მოქმედებდა. სტროვი ახლა წინანდელზე მეტად წააგავდა გალაღებულ კომივოიაჟორს. ძალიან ცუდია, როცა

ადამიანის გარეგნობა არ შეეფერება მის სულს. დირკ სტროვს რომელიც ვნება ჩასდგომოდა სერ ტობი ბელჩის სხეულში. ბუნებით ნაზი და დიდსულოვანი იყო და როყიო ლაპარაკი იცოდა; სილამაზეს შეუცდომლად აფასებდა, მაგრამ თვითონ გულისაბრალვ სურათებს ხატავდა; საოცრად თავაზიანი სული, მაგრამ ტლანქი მანერები ჰქონდა; სხვის საქმეში დიდ ტაქტს და წინდახედულობას იჩენდა, თავისაში კი არც ერთი გააჩნდა და არც მეორე. მართლაც რა სასტიკად იხუმრა იმ ბებრუხუნა ბუნებამ, როცა ერთ ადამიანს ამდენი ერთიმეორის საწინააღმდეგო თვისება ჩაუნერგა და მერე პირისპირ შეატოვა გულქვა სამყაროს.

თავი ოცდამეთორმეტე

უკვე რამდენიმე კვირა იყო, რაც სტრიკლენდი აღარ მენახა. რომ შემხვედროდა, დაურიდებლად მივახლიდი პირში, მეზიზღები-მეთქი, მაგრამ ვერსად გადავეწყდი და საგანგებოდ ამის სათქმელად ხომ არ დავუწყებდი ძებნას? მე მუდამ მერიდებოდა ზნეობის დამცველის როლში გამოსელა. როცა ვინმეს მოძღვრავ, აუცილებლად თვითკმაყოფილი სახე უნდა მიიღო და თუ იუმორის გრძნობა გაგაჩნია, აუცილებლად უხერხულად იგრძნობ თავს. ძალიან უნდა ამაღელვოს რაიმეშ, რომ ასე გავიხადო საქმე. სტრიკლენდი გესლიანი და პირში მთქმელი კაცი იყო და პოზიორობას არავის აპატიებდა. ერთ საღამოს კლიშის ქუჩაზე მომიხდა გავლა და იმ კაფეს ჩავუარე, სადაც სტრიკლენდი დადიოდა. მე უკვე სხვა კაფე მქონდა ამოჩემებული და იქ სულ არ ვაპირებდი წესვლას, მაგრამ უცებ პირისპირ შევეჩეხე სტრიკლენდსა და ბლანშ სტროვს. ორივენი სტრიკლენდის საყვარელი კუთხისაკენ აპირებდნენ წასვლას, მაგრამ რომ დამინახეს, შეჩერდნენ.

— სად ჯანდაბაში დაიკარგე ამდენ ხანს, ადამიანო? — მკითხა სტრიკლენდმა. — მე მეგონა სადმე გაეშგზავრე.

ასე ჯიქურ, ალბათ, იმიტომ მეცა, რომ მიხვდა, ჩემთან დალაპარაკებას არ აპირებსო. თუმცა, დიდი ცერემონიები არასოდეს არ იცოდა.

— არა, — ვუპასუხე მე, — არსად არ ვყოფილვარ.

— აქ რატომ აღარ დადიოდი?

— სხვა კაფეებშიაც შეიძლება დროის მოკვლა.

ბლანშმა ხელი ჩამომართვა. რატომღაც ველოდი, რომ იგი შეცვლილი იქნებოდა, მაგრამ ვერაფერი შევატყვე. ისევ ის ლამაზი ნაცრისფერი კაბა ეცვა, ძალიან რომ უხდებოდა, წუბლიც ისევ ისეთი უღრუბლო ჰქონდა და თვალებიც ისე ნაზად მომჩერებოდა, თითქოს კვლავ თავის ოთახში ზის და ხელსაქმით ერთობაო.

— მოდი, ერთი ხელი ჭადრაკი ვითამაშოთ, — შემომთავაზა სტრიკლენდმა. უარის თქმა ვერ მოვახერხე და შუბლშეკრული გავყევი უკან. სტრიკლენდი თავის მაგიდას მიუჯდა და დაფა და ფიგურები მოითხოვა. ჩემი მასპინძლები ისე იქცეოდნენ, ვითომ არაფერი მომხდარიყო და მეც იძულებული გავხდი, ავყოლოდი. მისის სტროვი მდუმარედ დასჩერებოდა დაფას და სახეზე ვერ შეატყობდი, რაზე ფიქრობდა. იგი წინათაც ასეთი მახსოვდა. ჯერ

ბაგეებზე შეეხედე — იქნებ მიეხვდე, რას განიცდის-მეთქი, მერე თვალებში ჩავაშტერდი, წუხილის ან სინანულის კვალის ნახვებნად და ბოლოს შუბლზე გადავიტანე მზერა, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ბლანშ სტროვს სახეზე თითქოს ნილაბი ჰქონდა აფარებული, რომელიც ამ ქალის სულიერებასაც უმალავდა გარეშე თვალს და მწუხარებასაც; ხელები ერთმანეთზე გადაეკრა და მშვიდად დაეწყო მუხლებზე. მაგრამ მე საკუთარი თვალით მქონდა ნახული, თუ როგორი მძაფრი ვნებების ტყვეობაში იმყოფებოდა ეს ქალი. ის შეღებრალებელი დარტყმა კი, რომელიც თავის ესოდენ ერთგულსა და მოსიყვარულე ქმარს მიაყენა, ამტკიცებდა, რომ ბლანშს ზოგჯერ შეეძლო მეტისმეტად სასტიკად და უმოწყალოდ მოქცეოდა ახლობელ ადამიანს.

მან უყოყმანოდ დატოვა მყუდრო თავშესაფარი, მზრუნველი ქმარი, დალხინებული ცხოვრება და წარმავალი ბედნიერების მორევში გადაეშვა. საოცარი იყო, რომ ბლანში წინდაუხედავად მოიქცა; საოცარი იყო, რომ სრულიად არ შეუშინდა გაჭირვებულ ცხოვრებას. ის ხომ დიასახლისად მეგონა დაბადებული, ამ ქალის ერთადერთი საზრუნავი ხომ, თითქოს, ოჯახის კეთილდღეობა იყო. როგორც ჩანს, ამ, ერთი შეხედვით, მორიდებულსა და დამჯერე ქალს, რთული და ცვალებადი ბუნება ჰქონდა.

ამ შეხვედრამ ძალიან ამაღელვა და ვერაფრით ვერ მოვახერხე, მთელი ყურადღება ჭადრაკზე გადამეტანა. სტრიკლენდს ყოველთვის გულით ვეთამაშებოდი ხოლმე, რადგან თვითონ იმ მოჭადრაკეთა რიგს ეკუთვნოდა, რომელთაც ეზიზღებათ დამარცხებული მეტოქე. იგი აშკარად გამოხატავდა სიხარულსა და აღტაცებას და ამით კიდევ უფრო უყლავდა გულს ისედაც შეწუხებულ მოწინააღმდეგეს. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ სტრიკლენდს საკუთარი მარცხი სულ არ მიჰქონდა გულთან. გაუსაძლისი გამარჯვებული თვინიერ დამარცხებულად იქცეოდა ხოლმე, იმას, ვინც ამბობს, რომ ადამიანის ხასიათი ყველაზე კარგად თამაშში მჟღავნდებაო, შეუძლია საკმაოდ მახვილგონიერი დასკვნა გამოიტანოს ამ ფაქტიდან. თამაშს რომ მოვრჩით, მიმტანი ვიხმე, სასმელის ფული გადაეიხადე და წამოვედი. ჩვენმა შეხვედრამ მეტად უფერულად ჩაიარა. ერთი სიტყვაც არ თქმულა ისეთი, რომ ჩავჭიდებოდი და მეგზურად გამეხადა. უამრავი რამ ვიფიქრე, მაგრამ მყარი საფუძველი არცერთი ვარაუდისათვის არ გამაჩნდა. ძალიან მინდოდა მცოდნოდა, როგორ ცხოვრობდნენ ბლანში და სტრიკლენდი. რას არ მივცემდი, რომ მცირე ხნით უჩინარ სულად ვქცეულიყავი, სახელოსნოში შემეღწია და ჩემი ყურით მომესმინა იმათი საუბარი. ახლა კი ხელთ არაფერი მქონდა, რომ საძირკველად დამედო და ზედ საკუთარი ფანტაზიით წარმოდგენილი შენობის კედლები ამომეყვანა.

თავი ოცდამეცამეტე

ორი-სამი დღის შემდეგ სტროვმა საყვედურით მითხრა:

— გავიგე, ბლანში შეგხვედრია.

— დასწყევლა ღმერთმა, ვინ გითხრა?!

— ვინც დაგინახა, რატომ დამიმალე?

ხოსეარსან მო

— შენ გავიწყდება, რომ ქალები მეტად ცნობისმოყვარენი არიან. განა შეძლებდა თავის შეკავებას?

— შეძლებდა, ჩემს ხელს რომ იცნობდა.

თავი სწრაფად მივატრიალე დირკისაკენ. მან თვალები დხუჭა. ეს პასუხი უსაზღვროდ დამამცირებლად მეჩვენა. დირკი [illegible] იყო, ისე არაფრად მიეჩნევარ, ჩემს ხელს რომ იცნობს, წერილებიც [illegible] ვასანისო.

— ნუთუ გჯერა, რომ ოდესმე უკან დაგიბრუნდება?

— მინდა იცოდეს, რომ, თუ რაიმე დიდი გასაჭირი დაადგება, შეუძლია ჩემი დახმარების იმედი იქონიოს. აი ეს მინდა შეატყობინო.

ფურცელი მოვძებნე და ვუთხარი:

აბა ზუსტად მითხარი რა მივწერო.

სტროვმა მიკარნახა:

„ძვირფასო მისის სტროვ!

დირკმა მთხოვა შეგატყობინოთ, რომ ყოველთვის მზად არის თქვენდა სამსახურად და შეუნიერად ჩასთვლის თავს, თუკი ამის წესაძლებლობა მიეცემა. ნას კვლავ კარგი სურს თქვენთვის, სულ არ აჭცევს ყურადღებას იმას, რაც მოხდა და კვლავ ძველებურად უყვარხართ. დირკი ყოველთვის შეგიძლიათ ნახოთ ამ მისამართით...“

თავი ოცდამეთოთხმეტე

თუმცა სტროვზე ნაკლებად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ სტრიკლენდისა და ბლანშის რომანს კეთილი ბოლო არ ეწერებოდა, მაგრამ ასეთ უბედურ დასასრულს მაინც არ მოველოდი. უკვე ხაფხული იყო, ცხელი, დახუთული ზაფხული და სიცხით დათესებული და გახერეიულებული ადამიანი დამეც ვერ ისვენებდა. ქუჩებს თითქოს მთელი დღის ხვატი დაეგროვებინათ და ქვეითად მოსიარულენი ძლივს მიათრევდნენ ფეხებს ქვაფენილზე. სტრიკლენდი კარგა ხანი იყო, რაც აღარ შეპარია. ნახეა კი არა, ერთი ისეთი საქმე გამომიჩნდა, რომ სულ გადამავიწყდა ამ კაცის არსებობა. დირკმა თავი მომაბეზრა გაუთავებელი ტირილითა და გოდებით და ვცდილობდი, იშვიათად შევხვედროდი. საერთოდ აღარ მინდოდა, რომ ამ ბინძურ ამბავზე მეფიქრა.

ერთ დილას ვიჯექი და ვმუშაობდი. ტანთ პიჟამა მეცვა. ფიქრებმა ბრეტანის მწვანე სანაპიროზე გამიტაცეს და თითქოს ზღვიდან მონაბერი გრილი სიოც კი მომელამუნა შუბლზე. მაგიდაზე საყავე მედგა, ამ საყავით მოახლეს ყოველ დილით მოჰქონდა რძიანი ყავა. იქვე ნამცხვრის ნატეხები ეყარა. იმ დღეს რაღაც ულმადოდ ვიყავი. საბაზანოდან წყლის ხმაური მომესმა. დილას ვიბანავე და ახლა მოახლე აბაზანას ცლიდა. მერე ზარმა დარეკა. ქალმა კარი გაიღო და მე სტროვის ხმა შემომესმა. კითხულობდა, მასპინძელი შინ არის თუ არაო. არ ავმდგარვარ, ისე გაეძახე, შემოდი-მეთქი. სტროვი გიჟივით შემოვარდა ოთახში, პირდაპირ მე მომაშურა და, რომ მომიახლოვდა, ამოიხრიალა:

— თავი მოიკლა!

— რას ამბობ, ვინ მოიკლა?! — მივეძახე მე.

სტროვი ტუჩებს ამოძრავებდა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოდიოდა. მერე ისე უთავბოლოდ ალაპარაკდა, ვიფი გეგონებოდათ. [illegible] დამწყო ცემა და უცებ, არ ვიცი რატომ, საოცრად გაბრაზდა.

— ცოტა გონება მოიკრიბე, ალაბიანო, თუ [illegible] ბიბლიოთეკა
რას ლობავ?

სტროვს კვლავ ჩაუწყდა ხმა და შეეცადა ექსტაზით გეგეგბინებინა საოცმელი. არ ვიცი, რა დამემართა — უცებ ხელები მხრებში ჩავიყარე და ჯანღლარი დავუწყე. ახლა რომ ვიხსენებ ამას, რა თქმა უნდა, ვწუხვარ, ასე რომ გამაბრაზა-ეთქი, მაგრამ, ეტყობა, უძილო ღამეებმა ულვრო მეტად გადაბალა და გამანერვიულა, ვიდრე მეგონა.

— ღამაცვი, — ამოიხრიალა ბოლოს სტროვმა.

ჭიქა სენტ-გალმერით ავავსე და მივაწოდე. მაგრამ დალევა ვერ მოახერხა. გამოვართვი და პირთან მივუტანე. ერთი ყლუპი ძლივს ჩაუწვა ყელში. ნაწილი პერანგზე ჩამოელვარა.

— ვინ მოიკლა თავი?

თვითონაც არ ვიცი რატომ დავუსვი ეს კითხვა. ნე ხომ თავიდანვე მივხვდი. ვისაც გულისხმობდა. სტროვმა თავს ძალა დაატანა და ხმა ამოიღო:

— წუხელ იჩხლბეს. სტრიკლენდმა მიატოვა.

— მოკვდა?

— არა. საავადმყოფოში წაიყვანეს.

— მაშინ რაღას ამბობდი?! — გავუბრაზდი სტროვს. — რატომ დაიჩემე, თავი მოიკლაო?!

— ნუ ბრაზდები. ეგრე თუ მონდომება, სიტყვას ვერ ამოვიღებ.

ხელები მაგრად მოვუჭირე ერთმანეთს და შეეცადე დავმშვიდებულიყავი. მერე თავს ძალა ვავატანე და გავიღიმე კიდეც.

— მაპატიე. შეიცვენე, ნუ იჩქარებ, დალაგებით მიამბე ყველაფერი.

სტროვის მრგვალ, ლურჯ თვალებში ელდა და ზარი ჩაბუდებულიყო. სათვალის სქელი მინები უფრო ცხადად ეჩენდა, თუ რა შეძრწუნებული იყო.

— ამ დილას კონსიერჟმა წერილი აუტანა, მაგრამ ზარის რეკვაზე არავინ გამოეპასუხა. ოთახიდან კვნესა ისმოდა. კარი ღია აღმოჩნდა და ქალი ოთახში შევიდა. ბლანში ლოგინზე იწვა ლონეშიხდილი. მაგიდაზე მჟაუნის სიმჟავიანი ბოთლი იდგა.

სტროვმა სახეზე ხელები აიფარა და ღრეჩოლით დაიწყო რწევა წინ და უკან.

— გრძნობაზე იყო?

— კი, რომ იცოდე, როგორ იტანჯებოდა. არა, ამას ვერ გადაიტან, ვერა!

სტროვმა თანდათან აუწია ხმას და ბოლო სიტყვები ყვირილით წარმოთქვა.

— ნუ ღრიალებ! შენ კი არა, იმან უნდა გადაიტანოს.

— რა მკაცრი და ულმობელი ხარ.

— მერე, მერე?

— მერე ექიმს გამოუძახეს, მე შემატყობინეს და პოლიციაშიც დარეკეს.

კონსიერჟისათვის ოცი ფრანკი მქონდა მიცემული, რომ თუ რაიმე მოხდებოდა, შეეტყობინებინა.

სტროვმა სული ამოითქვა და ვიგრძენი, რომ ძალზე [illegible] ლაბარაკის გაგრძელება.

— რომ მივედი, არ დამელაბარაკა. მომველოდებს [illegible]-სო. მე ვეფიცებოდი, ყველაფერი გაბატიე-მეთქი, მაგრამ არ მიუგდია. [illegible] ზე დაიწყო თავის ხეთქება და ექიმმა მითხრა, შენი აქ დარჩენა არ შეიძლებაო. ისიც გაუთავებლად იმეორებდა, გაიგდეთო.

ავდექი და სახელოსნოში გავედი, როცა სასწრაფო მოვიდა და ბლანში საკაცეზე დააწვინეს, მე სამზარეულოში დამშალეს, ასე რომ, აღარ დავუნახივარ.

სტროვმა მითხოვა, ახლავე წამომყევი საავადმყოფოში. სახამ ვიცვამდი, მითხრა, ცალკე პალატა ეუშოვე, იქნებ მყუდროდ იყოსო. გზაში განმიმარტა, რატომ მივყავდი: თუ კვლავ არ ისურვა ჩემი ნახვა, შენ უნდა შეხვიდეო. სტროვი მეხვეწებოდა: უთხარი, კვლავ ძველებურად უყვარხარ, არაფერს წამოგძახებს, მარტო შენი დახმარების ნება მიეცი-თქო. საწლაურს არ თხოულობდა: რომ გამომჯობინდება, ნუ დამიბრუნდება, როგორც უნდა, ისე მოიქცესო.

საავადმყოფოს პირქუში შენობის ერთი დანახვაც საკმარისი იყო გუნების გასაფუჭებლად. კარგა ხნის ძებნის, გაუთავებელი კიბეების აელისა და გრძელ, ჩაბნელებულ დერეფნებში ბორიალის შემდეგ კითხვა-კითხვით მივაკვლიეთ ბლანშის ექიმს. გავიგეთ, რომ ჩვენი ავადმყოფი ძალზე ცუდად იყო და დღეს მისი ნახვა არ შეიძლებოდა.

თეთრხალათიანი, ტანმორჩილი, წვეროსანი ექიმი უხეში კაცი გამოდგა. ასეთი შემთხვევები აღარ აღელვებდა და ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება მკაცრად უნდა მოპყრობოდა ავადმყოფის აბეზარ ნათესავებს და ახლობლებს. ბლანშის ამბავი მაინც მთლად ბანალური ჩანდა. ისტერიკიანი ქალი საყვარელს წაეჩხუბა და თავი მოიწამლა. ასეთი რამ ძალიან ხშირად ხდებოდა. პირველად ეგონა, რომ დირკი იყო ამ უბედურების მიზეზი და მეტად ტლანქად მოექცა. როცა ვუთხარი, ეს იმ ქალის ქმარია და მზად არის ყველაფერი შეუნდოს-მეთქი, ექიმმა გულისყურითა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო მზერა, ამ მზერაში თითქოს დაცინვაც გამოსჭვიოდა.

დირკი წართლაც ყველა დროის მოტყუებული ქმრების პირწავარდნილი ასლი იყო. ექიმმა მხრები აიჩეჩა.

— ამ მოკლე ხანში არავითარი საფრთხე არ ემუქრება, — გვიპასუხა მან, — ოღონდ ეგ არის, რომ არ ვიცით, რამდენი დალია. შეიძლება ძალიან ოლადაც გადარჩეს. საყვარული ხშირად აყენებს ქალებს ამ გზაზე, მაგრამ ესენი ცდილობენ. საქმე ბოლომდე არ მიიყვანონ. ეს ჩვეულებრივი ხერხია, რომლითაც უნდათ, აიბრალულის ან შიშის გრძნობა აღუძრან საყვარელს.

ექიმის ლაპარაკში ზიზღი იგრძნობოდა. ცხადი იყო, რომ მას ბლანშ სტროვი სტატისტიკურ ერთეულად მიაჩნდა. იგი იმ ქალთა სიას უნდა მიმატებოდა, რომლებიც მიმდინარე წელს თავის მოკვლას ცდილობდნენ ქალაქ პარიზში. ექიმს საქმე ჰქონდა და ჩვენთვის აღარ ეცალა. წასვლისას გვითხრა, ხვალ ამა და ამ საათზე მოდით და თუ ავადმყოფი უკეთესად იქნა, ქმარს უფლებას მივცემ ინახულოსო.

ᲗᲐᲕᲘ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔ

ვერ ავიწერთ, როგორ დავალამეთ ის დღე. სტროვს ნაბიჯი ფეხზე არ შეეძლო. მე გუერდიდან არა ვცილდებოდი და ყოველნაირად ვცდილობდი გამერთო. ლექრმიც წავიყვანე. იქნებ გული გალაიყოლიოს-ეგონა, მაგრამ შევატყვე, რომ აჯრათებს კი ეყურებდა, მაგრამ ფიქრებით გამუდმებით თავის ცოლთან იყო. საჭმელი ძალით ვაჭამე და დავაწვინე. მაგრამ ვერ დაიძინა. ვუთხარი, რამდენიმე დღე ჩემთან იცხოვრე-მეთქი და სიამოვნებით დამთანხმდა. წიგნები ბევრი წასაკითხად, მაგრამ ორიოდე გვერდს გადახედავდა, გვერდზე გადადებდა და საწყლად შიაშტერდებოდა ჭერს. სალამის ბიკეტის თამაში დავიწყეთ. სტროვი ვითომ ძალიან გაიტაცა თამაშმა — უნდოდა ვესიამოვნებინე. ბოლოს დასაძინებელი წამალი დავალევინე და დაიძინა, მაგრამ ძილშიაც ბორგავდა.

მეორე დღეს საავადმყოფოში წავედით. ნიმველელმა ქალმა გვითხრა, ბლანშმა ცოტაი მოიკეთოთ და პალატაში შებრუნდა, რათა ეკითხა, ქნაარი მოვიდა და შემოვუშვა თუ არათ. ოთახიდან ბლანშისა და მომკლელი ქალის ლაპარაკის ხმა გვესმოდა. ბერე ქალი გამოვიდა და გვითხრა, ავადმყოფს არავის ნახვა არ უნდათ. ჩვენ კვლავ შევიაგზავნეთ ოთახში და დავიბარეთ, დირკის ნახვა არ უნდა, მაგრამ იქნებ მე მიმიღოს-მეთქი, მაგრამ ამაზეც გაგვაწბილა.

დირკს ტუჩები აუკანკალდა.

— ძალა ვერ დავატანე, ძალიან სუსტადაა, — წოგეიბოლიშა ნიმველელმა, — ერთი-ორი დღის წინდევ. მგონი, ცხვა ჭკუაზე დადგება.

— იქნებ სხვა ვინმეს ნახვა უნდა?—ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ჰკითხა დირკმა.

— მითხრა, ყველამ დამანებოს თავი, მომასვენონო.

დირკს ისე უცნაურად უხტოდა ხელები, თითქოს არც კი ეოფილიყვნენ მისი სხეულის ნაწილები.

— იქნებ უთხრათ, რომ, თუ ვინმეს ნახვა უნდა, ნიგუყვან. მე მხოლოდ მისი ბედნიერება ვინდა.

მომკლელმა ქალმა თავისი მშვიდი, კეთილი თვალები ნიანათა, თვალები, რომელთაც ათასნაირი ამქვეყნიური ურვა და ვარამი ენახათ, მაგრამ კვლავ სპეტაკნი და უშფოთველნი დარჩენილიყვნენ, რამეთუ მათ წინაშე ხიადავ იდგა ბერი, უცოდველი ქვეყნის სახება.

— ვეტყვი, როგორც კი ცოტაი დამშვიდდება.

მაგრამ დირკს გულჩვილობა მოეძალა და შეეგედრა, ახლავე მიმეგზავნეთ:

— ეს ნამდვილად უწველის. გენუდარებით, შედით და ჰკითხეთ.

მომკლელს წყენრალა და ღიმილით შებრუნდა ოთახში. ჯერ ბნიდაბალი ლაპარაკი მოესმა, ბერე უცნობმა ხმამ სამჯერ გაიმეორა:

— არა, არა, არა!

მომკლელი გამოვიდა და თავის გაქნევით გვანიშნა, უარი შემოთვალაო.

— განა ის იყო, რომ ლაპარაკობდა? — ეკითხე მე, — ისეთი უცნაური ხმა ჰქონდა, რომ...

— ეტყობა, მეცვამ სახმო სიმები დაუწვა.

დირკმა ამოიკვნესა. მე ვთხოვე, ჩადი და შემოსასვლელში დამიცადე-შეთქი. მინდოდა, მარტო მელაპარაკა მომვლელთან. დირკმა ისევ კი მკითხა ბიზენი, მიბრუნდა და პირუჩუმრა დაადგა კიბეს. ეტყობა, ფიქრად დაკარგა ძალა და ნებისყოფა და დამჯერე ბავშვს დაემსგავსა.

— ხომ არ უთქვამს თქვენთვის, რატომ ჩაიდინა ეს საქმე? — ვკითხე მომვლელს.

— არა, სულ არ იღებს ხმას. პირიალმა წევს და დუმს. ზოგჯერ რამდენიმე საათი ისე გაივლის, რომ არც კი შეინძრევა, ოღონდ განუწყვეტლივ ტირის. ბალიში სულ სველი აქვს. ისეა დასუსტებული, რომ ცვილისახოცსაც ვერ ხმარობს და ცრემლები პირდაპირ ღვარად ჩამოსდის ლოყებზე. — ფული შემეკუმშა სიბრალულისაგან. იმ წამს რომ მენახა სტრიკლენდი, ჩემი ხელით მოგკლავდი. აკანკალებული ბნით დავუმშვიდობე მომვლელ ქალს და წამოვედი.

დირკი კიბეზე მიცდიდა, ისე იყო დაბნეული, სანამ მკლავში ხელი არ მოვკიდე, ვერ შემამჩნია. ორივენი მდუმარედ დავადექით გზას. ვცდილობდი, მივმხვდარიყავი, რატომ გადადგა ასეთი საშინელი ნაბიჯი იმ საცოდავმა ქალმა. ვეშვობდი, რომ სტრიკლენდმა თავად იცოდა ეს ამბავი, რადგან პოლიცია აუცილებლად მიაკითხავდა მასთან ჩვენების ჩამოსართმევად. მე არ ვიცოდი მისი ადგილსამყოფელი. ალბათ, ისევ თავის გატიალებულ სხვენს დაებრუნებოდა, სადაც ადრე კიდევ ცხოვრობდა და კიდევ მუშაობდა. ნეტავი რატომ არ მოისურვა ბლანშმა მისი ნახვა? იქნებ ინიტომ, რომ იცოდა, მაინც არ მივიდოდა. ნეტავი რა ისეთი ულმობელი გამოცდა ნოუწყო ბედმა, რომ ასე ხელალებით შეაქცია ზურგი ცხოვრებას?

თავი ოცდამეთექვსმეტე

შემდეგი კვირა გოლგოთად იქცა. სტროვი დღეში ორჯერ მიდიოდა საავადმყოფოში ამბის გასაგებად (ბლანშს კვლავ გადაჭრილ ყარს ამბობდა მის ნახვაზე) და პირველ დღეებში გახარებული და დაიმედებული ბრუნდებოდა შინ, რადგან თითქოსდა საფეხს სასიკეთო პირი ეჩანდა, მაგრამ შემდეგ ეჭვმის შიში ახდა — ბლანშის ავადმყოფობამ დასძალა და ახლა უკვე ალარ იყო მისი გადარჩენის იმედი. მომვლელ ქალს ძალიან ეცოდებოდა საწყალი დირკი, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ეუბნებოდა. საწყალი ბლანშა გაუნძრევლად იწვა, შეკითხვაზე პასუხს არ იძლეოდა და ისე დაძაბული მისჩერებოდა სივრცეს, თითქოს იქ უკვე ხედავს თავის სიკვდილის ანგელოზსო. აღსასრული კი მართლაც ახლოს იყო — ორ დღეს არ ვადააცილებდა, და როცა ერთხელ სტროვი გვიან წესტუშრა, მივხვდი, რომ ბლანშის სიკვდილის ამბავი მოიტანა. იგი მთლად ძალაგამოცლილი იყო. ამ ეხამრავალმა კაცმა ერთი სიტყვის თქმაც ვეღარ შეძლო, და მოწყვეტით დაეშვა ტახტზე. ვიცოდი, რომ რაც არ უნდა მეთქვა, ვერ ვანუგეშებდი და ამიტომ ხმა არ ამოვიღე.

კითხვაც შევწყვიტე — შემეშინდა, უგულო არ ვეგონო-მეთქი, ფანჯარასთან დავჯექი და ჩიბუხის წევა დავიწყე.

სტროვი კარგა ხანს ლუმდა, მერე ცოტათი მოსულიერდა და მითხრა:

— შენ დიდი სიკეთე მიყავი, სხვებიც ძალიან კარგად მომექცნენ.

— ეგ რა სალაპარაკოა, — შევწუხდი მე.

— საავადმყოფოში მითხრეს, შეგიძლიათ აქ მოიცადოთო. აქეთ კართან დავიდგი და დავჯექი. გონი რომ დაკარგა, ოთახში შესვლის ნება მომცეს. ტუჩებსა და ნიკაპზე სიმწვანე გადასხმოდა. საშინელება იყო! სულ დაფუფქული ჰქონდა ლაქაში ყელი! სახეზე სიმწვანე გადაფენოდა და მომველელს რომ არ ეთქვა, ცოცხალი მეგონებოდა.

დირკი ისე იყო ძალგამოცლილი, რომ ტირილიც ალარ შეეძლო. იგი პირაღმა, გაუნძრეველად იწვა დივანზე. ცოტა ხანში ჩაეძინა კიდეც. ასე ღრმად პირველად დაეძინა ამ კვირაში. ბუნება, მეტწილად ეგზომ შეუბრალებელი, დროდადრო მოწყალებას გადმოგვიგდებს ხოლმე. მძინარეს რაღაც გადავაფარე, რომ არ გაცივებულიყო და სინათლე ჩავაქრე. დილით რომ გამომელვიძა, სტროვს ისევ ეძინა; კვლავ გულღია იწვა და ცხვირზე კეთილ თავისი ოქროსჩარჩოიანი სათვალე ეკეთა.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

ათასნაირი აუტანელი ფორმალობის შემდეგ, როგორც იქნა, მოგვცეს ბლანშის დასაფლავების უფლება. ცხედარს მხოლოდ მე და დირკი მივყვებოდით. ბალდახინი ნელა მიდიოდა და გზა ძლივს დაილია. სამაგიეროდ, უკან სულ ჭენებით დაგვბრუნდით. ბალდახინის წამყვანი ისე დაუზოგავად ურტყამდა მათრახს ცხენებს, რომ ეიფიქრე, ალბათ, მალე უნდა აქაურობას გაშორდეს და ეს საშინელი სიკვდილი დაივიწყოს-მეთქი. ბალდახინი რიგევით მიჰქროდა წინ და ჩვენი მეეტლეც ცდილობდა არ ჩამორჩენოდა. მეც ძალიან მსურდა, ყველაფერი დამევიწყებოდა, უკვე დიმღალი ტრაგედიამ, რომელშიც, კაცმა რომ თქვას, სულ არ უნდა ჩავრეულიყავი, ახლა მინდოდა ბოლოიანად ამომეშალა გონებიდან ეს უბედურება და ვფიქრობ, ამისთვის, რომ სტროვი გამერთო, სხვა თემაზე დავიწყე ლაპარაკი.

— განა კარგი არ იქნება, რომ ცოტა ხნით პარიზიდან წახვიდე? აქ რაღა გინდა?

დირკმა არ მიპასუხა, მაგრამ მე შეუბრალებლად განვაგრძე:

— რას აპირებ ამ მოკლე ხანში?

— არაფერს.

— შენ კვლავ უნდა ჩაება ცხოვრების ფერხულში. ვითომ რა იქნება, იტალიაში რომ დაბრუნდე და მუშაობა დაიწყო?

პასუხი ვერც ამაზე მივიღე, მაგრამ უხერხულობიდან ეეტლემ გამოგიყვანა. მან სადაგები მოზიდა, ჩვენკენ გადმოიხარა და რაღაც გვითხრა. სიტყვები ვერ გავიგონე, ამიტომ ფანჯარაში თავი გავყავი და ვკითხე, რა გინდა-მეთქი. მეეტლე გვეკითხებოდა, საით წაგიყვანოთო. ვთხოვე, ცოტა დაეცადა და სტროვს მივუბრუნდი:

— მოდი, ჩემთან წავიდეთ სასადილოდ. ვეტყვი, პიგალის მოედანზე ჩამოგვსვას.

— არა, მე სახელოსნოში წავალ.

— თუ გინდა, წამოგყვები, — ნორიდებით შევეკითხე მე.

— არა, მარტო მირჩევნია.

— როგორც გინდა.

ერეკენიძის ბიბლიოთეკა

შეეტლეს მისაბარეთი მივეცი და სახელოსნამდე ისე მივედით, ხმა არ ამოგვიღია. იმ უბედური ღლის შემდეგ, როცა ბლანში საავადმყოფოში წაიყვანეს, დირკს ფეხი აღარ მიუდგამს თავის ბინაში. მე გამეხარდა კიდეც, რომ დირკმა შინ არ შემიყოლა; კარამდე მივაცილე და გამოვბრუნდი.

პარიზის ქუჩებმა ბალე შეგიცვალა ხასიათი. საუცხოო, შუადღე იყო. ლიმჩამდგარი თვალებით ვუმზერდი ქუჩაში მოფუსფუსე ხალხს და ჩემდა უნებურად გული სიამოვნებით მიჩქროლავდა. სტროეი და მისი უბედურება სულ გადამავიწყდა. მე ლხენა და მხიარულება მინდოდა.

თავი ოცდამეთვრამეტე

მთელი კვირა ისე გავიდა, რომ დირკი აღარ მინახავს. ერთ საღამოს, ასე შვიდ საათზე, შეშფოთებულ და სასადილოდ წაგიყვანა. ტანთ მძიმე ძაძები ეცვა და ქუდზე და ცხვირსახოცზეც კი შავი ირეში ჰქონდა მოყოლებული. ასე ჩაცმულს რომ შეხედავდა კაცი, იტყოდა, ნამდვილად ყველა ახლობელი დაეხოცა კატასტროფაში და გარე ბიძაშვილიც კი აღარ დარჩა ცოცხალი. მაგრამ დირკი კვლავ ბუერთივით მრგვალი იყო და მსუქანი ლოყები კვლავ წითლად ციოლოდებდა. ბუნება მეტად მტრულად ეჭცეოდა ამ კაცს — დარდისგან ლაბის ჭკუიდან შეშლილიყო, მაგრამ ისევ ტაკიმასხარას გარეგნობა ჰქონდა.

დირკს პარიზიდან წასვლა გადაეწყვიტა, ოღონდ იტალიაში კი არა, ჰოლანდიაში.

— ხვალ დილას მივემგზავრები. დღეს, ალბათ, უკანასკნელად ვბედებით ერთმანეთს.

შეგიცხადე, რას ამბობ-მეთქი, მაგრამ უნდილად გაიღიმა და მითხრა:

— შინ ხეთი წელია არა ვყოფილვარ. აღარ მეგონა, თუ კვლავ იქით გამიწევდა გული. მეგონა ისე შორს წამოვედი, უკან იქაურობის მოსანახულებლადაც არ დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ მშობლიური კუთხე ჩემი ერთადერთი ნავსაყუდელია.

სტროეი დატანჯული და არაქათგამოცლილი იყო. დროდადრო თავის საყვარელ ლედას იგონებდა. ამდენმა დამცირებამ და მასხარად აგდებამ, ეტყობოდა, საბოლოოდ გატეხა წელში, ბლანშის ღალატმა კი თავდაცვის ერთადერთი იარაღიც გამოაცალა ხელიდან: ამ ბოლო დარტყმის შემდეგ უკვე აღარ შეეძლო თვითონაც ეცინა, როცა ვინმე დაცინვას დაუწყებდა. ახლა ყველას და ყველაფერს განდგომოდა, მისთვის ყველა უცხო იყო ამქვეყნად.

დირკმა ამიწერა აგურის კოხტა სახლი, სადაც ბავშვობა გაატარა და

სადაც ყველაფერს ეტყობოდა დედამისის მზრუნველი ხელი. საუზარეულო სარკესავით ბრწყინავდა; ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი, ნამცეცი მტვერიც კი არ იდო არსად. დედამისი ალბათ ამ ოჯახში ერთადერთი ქალი უნდა ყოფილიყო. მე თვალწინ წარმომიდგა მოხუცი, ლოყებგაშლილი ქალი, რომელიც დილიდან საღამომდე მუხლჩაუკრეფავად ფუსფუსებდა სახლში ყველაფერს ეკრიალა.

დირკის მამაც, მაღალი, ხმელ-ხმელი, ჩუმი მოხუცი, დღედაღამ მრომობდა და ხელები სულ დაბებერავებული ჰქონდა. საღამოობით ხმამაღლა კითხულობდა გაზეთს. მისი ცოლი და ქალიშვილი კი (ახლა იგი გათხოვილი იყო: სათევზაო ბარკასის კაპიტანს გაჰყოლოდა ცოლად) დროს არა ჰკარგავდნენ: თან უსმენდნენ და თან კერავდნენ.

ეს პატარა ბალაქი თითქოს გარეშე გასდგომოდა ცხოვრების მდინარებას. აქ არაფერი ნდებოდა უჩვეულო და აბალელვებელი. ასე მისდევდა წელი წელს, ბოლოს კი იმქვეყნად წასვლის ჟამი რომ დადგებოდა, საკვდილი ნახატრი მეგობარივით მოდიოდა და მაშვრალსა და ნატანჯ ადამიანს ყოველგვარი საზრუნავისაგან ათავისუფლებდა.

— ჩემი ბიჭი დურგალია და უნდოდა მეც მის კვალს გავყოლოდი. ჩვენი მამა-პაპანიც დურგლები ყოფილან. იქნებ მართლაც სჯობს, რომ წინაპართა მიერ გაკვალულ გზას გავყვე და არც მარჯვნივ გაიხედო და არც მარცხნივ. ბავშვობაში გადაწყვეტილი მქონდა, რომ გავიზრდები, კარის მეზობლის, მეუნაგირის ქალიშვილი უნდა შევირთო-მეთქი. იმ გოგონას ლურჯი თვალები და სელისფერი კიკინები ჰქონდა. რომ შემერთო, სახლი მუდამ დაწკრიალებული მექნებოდა და ვაჟიშვილიც მეყოლებოდა, რომელსაც ჩემს ხელობას ვასწავლიდი.

სტროვმა ამოიოხრა და დაღუმდა. ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ რაგვარ შეეძლო მოეწყო თავისი ცხოვრება, იქ რომ დარჩენილიყო. იგრძნო, რომ ცხოვრება, რომელსაც ასე დაუფიქრებლად ჰკრა ხელი, ტკბილი და უზრუნველი ექნებოდა და ძალიან დანანდებოდა.

— საწყალი ბორიტი და ულმობელია. არავინ იცის, რატომ მოვედით ამქვეყნად ან საით გვიდევს გზა. ამიტომ ბელს უნდა მივენდოთ, შშვიდ ცხოვრების ყადრი უნდა ვიცოდეთ. ისე უჩიბრად და უხმაუროდ უნდა ვიარეთ, რომ ბედმა ვერც კი შეგვხიშნოს. სიყვარულიც უბირ, გაუნათლებელ ხალხში უნდა ვეძებოთ. ნათი უცოდინარობა ბევრად სჯობს ჩვენს სწავლულობას. ამიტომ უკეთესია, თუ პირზე კლიტე დავიდებთ, კუთხეში მივიყუჟებით და სწორედ იმ უბრალო ხალხს მივბაძავთ სიმშვიდესა და თვინიერებაში. ეი ამას ჰქვია ჭკვიანურად ცხოვრება.

მივხვდი, რომ დირკს თავისი დალეწილი სული ალაბარაკებდა ასე. მე სულ არ სურდა, რომ იგი ნებაყოფლობით აპირებდა გვერდზე გასდგომოდა ცხოვრებას, მაგრამ ალარ შევეკამათე და ისღა ვკითხე, მხატვრობა რამ გადაგაწყვეტინა-მეთქი. სტროვმა ჯერ მხრები აიჩეჩა, მერე მიპასუხა:

— ბავშვობაში ხატვის ნიჭი აღმომაჩნდა. სკოლაში მაჯილდოებდნენ. საწყალ დედაჩემს ძალიან უხაროდა ჩემი წარმატება და ერთხელ წყლის ფერადებიც კი მიყიდა. დედა წამდაჯდა პასტორთან, ექიმთან და მოსამართლესთან დაარბენინებდა ჩემს ნახატებს. იმათ ამსტერდამში გამგზავნეს, სამ-

ხატერო სასწავლებელში. მე გამოცდები ჩავაბარე და სასწავლებელში მოვხვდი. საწყალი ქალი ცას სწვდებოდა სიხარულით და თუმცა ძალიან ეშინოდა შვილთან განშორება, ცდილობდა ჩემთვის არაფერი მოეკლებინა. დედაჩემს ძალიან ეამაყებოდა, რომ შვილი მხატვარი ეყოლებოდა.

ჩემი მწობლები ყველაფერზე ყაირათს ეწეოდნენ და ბევრ-ბევრ-ბევრ-

თვია სული. ბლანშის ნახვა ყოველთვის ნეტარება იყო მისთვის და ერთი საათიც რომ დაეტოვებინა, ისე მიიჩქაროდა შინ, თითქოს ერთ-ერთ ოგის უნახავი პაოლოდეს. უეცრად მოესვენა, რომ ბლანშე კვლავ [illegible] იყო, რომ ის ყველაფერი სიზმარში ძოხდა, საზარელ სიზმარში. აი, ახლა გასაღებს გადაატრიალებს, ოთახში შევა და დაინახავს, რომ ბლანშ [illegible] დაყრდნობია მაგიდას, ზუსტად ისე, როგორც შარდენის ნახატზეა, იმ ნახატზე, რომელიც დიკს ყოველთვის მომჯადოებელ ნაწარმოებად მიაჩნდა. მან სწრაფად ამოიღო ჯიბიდან გასაღები, კარი გააღო და ოთახში შევიდა.

ბინა დალაგებული დაბნდა. სტროვს ყოველთვის მოსწონდა, რომ ასეთი ფაქიზი ცოლი ჰყავდა. თვითონ ბავშვობიდან იყო მიჩვეული წესრიგსა და სისუფთაველა და როცა შენიშნავდა, რომ ბლანშე მამინალურად დებდა რომელიმე ნივთს თავის ადგილზე, გული სიხარულით უჩქროლავდა ხოლმე.

საძინებელი ოთახი ისე იყო მილაგებული, თითქოს ბლანშე სულ ერთი წუთის წინ გავიდოთ: ტუალეტის მაგიდაზე საკარცხელი იდო და აქეთ-იქიდან ჯაგრისები ჰქონდა შემოწყობილი. ვილაცას გაესწორებინა ლოგინი, რომელშიც ბლანშმა უკანასკნელი ღამე გაატარა, ბალიშზე დადებულ კონვერტში გულმოდგინედ დაკეცილი ღამის პერანგი მოჩანდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ბლანშე აღარასოდეს არ შემოვიდოდა ამ ოთახში.

დიკს პირი გაუშრა და საბაზარეულოში გავიდა წყლის დასალევად. აქაც სრული წესრიგი სუფევდა: თაროზე ის თეფშები ეწყო, რომლებითაც ბლანშმა და სტრიკლენდმა ისადილეს ჩხუბის წინ. თეფშები გარეცხილი იყო. დანა-ჩანგალი მაგიდის უჯრაში ელაგა, ყველის ნაჭრებს რაღაც ეფარა ზევიდან, პურის ყუა კი თუნუქის საპურეში იდო. ბლანშე ყოველდღე დადიოდა საყიდლებზე და მხოლოდ ერთი დღის საჭიროებე მოჰქონდა, ასე რომ, მეორე დღეს აღარაფერი გადაჰყვებოდათ ხოლმე. სტროვს პოლიციის მიერ შედგენილი ოქმი ჰქონდა წაკითხული და იცოდა, რომ სტრიკლენდს ფსიქიკა თუ არა, მაშინვე წასულა სახლიდან. როცა წარმოიდგინა, რომ ბლანშმა ყველაფერი ისე დარეცხა და მიალაგ-მოალაგა, თითქოს ამ საშინელი ნაბიჯის გადადგმას არ აპირებდა, სტროვი აკანკალდა. ამაკარა იყო, რომ ქალს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავის მოკვლა.

ამ ქალს ნამდვილად შეეზარავი ნებისყოფა ჰქონდა. დიკს მწყავე ტკივილმა გაუარა გულში და მუხლებში ისე გამოელია ღონე, რომ კინაღამ დაეცა. ძლივს მიაწია ლოგინამდე, პირდაღმა დაეგმხო და ქვითინი ამოუშვა.

— ბლანშ, ბლანშ!

იგი საშინლად იტანჯებოდა, როცა წარმოიდგენდა, თუ რა გადაიტანა მისმა ცოლმა. ახლაც თითქოს თვალნათლივ ხედავდა თავის პაწია საბაზარეულოში მოფუსფუსე ბლანშს: აი, მან ჯერ თეფშები და ჭიქები დარეცხა, შემდეგ კოვზები, ჩანგლები, დანები დააპრიალა და ყველაფერს თავისი ალაგი მიუჩინა. მერე წყლის ნიკარი გახვნა, ჭურჭლის სარეცხი ნაჭერი გაწურა და გასაშრობად ჩამოკიდა (ეს დაგლეჯილი რუხი ნაჭერი ახლაც იქ ეკიდა). იქაურობა მიათვალ-ჩათვალიერა, რაიმე ხომ არ დამრჩა მოსაწესრიგებელი, ხალათის აკარწახებული სახელოები ჩამოიშალა, წინსაფარი მოიხსნა (წინსაფარი კარს უკან ეკიდა კაუჭზე), მტვრიანი ბოთლი აიღო ხელში და საძინებელ ოთახში გავიდა.

სტროვმა ამ წაბეებას ველარ გაუძლო, ლოგინიდან წამოდგა და სახელოსნოში გავარდა. სახელოსნოში ბნელოდა, რადგან დიდ ფანჯარას ფარდები ფარავდა. მან სწრაფად გადასწია ბალინი, თვალი მოატარა იქაურობაზე და გაახსენდა, რომ ოდესღაც აქ ძალიან ბედნიერი იყო, გაახსენდა და ქვითინი ამოუშვა. აქაც ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. სტროვისათვის სულერთი იყო, როგორ იცხოვრებდა და ამიტომ არიდებდა. აქ ყველაფერს ისეთი ფერი ედო, რომ მაშინვე იტყოდით, ხელოვანის ბინაში ვარო. ყოველ შემთხვევაში, სტროვს მიაჩნდა, რომ მხატვარს სწორედ ასე მოწყობილ ბინაში უნდა ეცხოვრა. კედლებზე ძველებური ფარჩა იყო გაკრული, როიალს ლანაბი, მაგრამ უკვე ფერგადასული აბრეშუმის ქოვილი ეფარა. ერთ კუთხეში ვენერა მილოსელის ასლი იყო, მეორეში — ვენერა ძველიჩის. იტალიურ ვიტრინებზე ქაშანურის ნაკეთობანი ელაგა. აქა-იქ ბარელიეფები ნოჩანდა. ერთ-ერთ კედელზე ეკიდა მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული ველასკესის „ინოკენტ მეათის“ ასლი. იგი თვითონ სტროვს გადმოეღო რომში ყოფნისას. ასეთივე ძვირფას ჩარჩოებში იყო ჩასმული სტროვის საკუთარი ნახატები, რომლებიც ისე განელავებინა სახელოსნოში, რომ რაც შეიძლება დიდი ზემოქმედება მოეხდინა მნახველზე. მასპინძელს თავი გემოენებიან კაცად მიაჩნდა და ძალიან უყვარდა თავისი სახელოსნოს რომანტიკული ატმოსფერო. ახლაც, თუმცა ყოველი ნივთის დანახვაზე გული ტკივილით ეკუმშებოდა, მაინც მოუცვალა ადგილი ლუი XV სტილის შაგიდას, რომელიც თავისი ბინის საუკეთესო ნივთად მიაჩნდა. ანაბადად თვალში პირით კედლისაკენ შებრუნებული ტილო მოხვდა. თვითონ ასეთი დიდი ზომის ტილოებზე არა ხატავდა და გაოცდა, ეს აქ სად გაჩნდაო. მან ტილო შემოაბრუნა და დახედა. ტილოზე შიშველი ქალი იყო დახატული. სტროვი მიხვდა, რომ ეს ქალი სტრიკლენდის დახატული იყო და გაბრაზებულმა მოისროლა. ნახატი კედელს ბეჭვთქა და პირდაღმა დაეცა იატაკზე. დირკმა იფიქრა, ეისი დახატულიც არ უნდა იყოს, მტვრიან იატაკზე ამის დატოვება ცოდო იქნებაო და დასწვდა, რომ ისევ კედელზე მიეყუდებინა. მაგრამ ცნობისმოყვარეობამ ლასძლია და გადაწყვიტა შეეხედა; ნახატი მოლბერტზე დადო და უკან დაიწია, რომ უკეთ დაენახა.

სტროვს კინაღამ დამბლა დაეცა: სავარძელზე გულაღმა წამოწოლილ ქალს ცალი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე კი თავისუფლად გაეშალა სხეულის გასწვრივ. ცალი ფეხი მოღუნული ჰქონდა, მეორე გაბარული. ეს კლასიკური პოზა გახლდათ. სტროვს თვალები აუბრელდა — მან იცნო ბლანში. გულზე შემონთებულმა მწუხარებამ, ეჭვისა და რისხვის ალმა საზარელი ღონეები დააწყებინა.

სტროვი აქეთ-იქით აწყდებოდა ოთახში, მუშტებით ემუქრებოდა უხილავ მტერს და ყურისწამღებად ღრიალებდა. იგი მთლად გადაირია. ამდენის ატანა ალარ შეეძლო. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ოთახს გაცოფებული თვალები მოავლო — რაიმე მეჩრელ საგანს ეძებდა, რომ ნაკუწ-ნაკუწად ექცია ეს ნახატი, მაგრამ ვერაფერი მოახელა. მერე თავისი სახატავი ყუთი გადააქოთა და ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა, რასაც ეძებდა, ხანჯალიანი ჩაბღუჯა ხელში საღებავების საფხეკი და გაბარჯვებული ყიჟინით გაექანა მოლბერტისაკენ.

როდესაც სტროვი ამას მიამბობდა, ისე ადელდა, რომ ნაგიდიდან პურის დანა აიტაცა და აქეთ-იქით დაუწყო ქნევა. მერე დასარტყმელად დააღირა სივრცეს, მაგრამ უცებ ხელი გაშალა და დანა ჟღრიალით [illegible] იატაკზე. სტროვმა საწყლად გამიღიმა და დადუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე!

— არ ვიცი, რამ შემაჩერა. ის იყო უნდა გამეფატრა, ის იყო ხელი ავწიე დასარტყმელად, რომ უცებ თვალებიდან ბინდი გადამცილდა და კარგად დავინახე იგი.

— რა დაინახე?

— ნახატი. იგი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში იყო. მე არ ძალმიძდა მისი ხელყოფა. რომ გავიხსენე, რას ვაპირებდი, შიშმა ამიტანა. სტროვი კვლავ დადუმდა და მომაშტერდა. პირი ღია დარჩა, ლურჯი თვალები ისე ჰქონდა დაჭყეტილი, ლამის ბუდიდან ამოვარდნოდა.

— ეს დიდებული, განსაცვიფრებელი ქმნილება იყო. მე მოწიწებით გავშეშდი მის წინ. კიდევ კარგი, გონს მოვედი, თორემ საშინელ მკრეხელობას ჩავიდენდი. ცოტათა უკან დავიხიე, რომ უკეთ დამენახა ეს ნახატი. უცებ ფეხი საღებავების საფხეკს გავკარი და წავეკრი.

სტროვის მღელვარება შეც გადმომედო. მისმა მონათხრობმა ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. უეცრად მომეჩვენა, რომ სულ სხვა საყაროში ვარ, საყაროში, სადაც ყველაფერი შეცვლილი და გადაფასებულია. ვიდექი ამ უცნაურ ნივთებსა და მოვლენათა შორის, დაბნეული და გაოგნებული, უცხო ქვეყნიდან მოსული მოგზაურის მსგავსად, რომელსაც აქაური ვერაფერი ვერ გაუგია. სტროვი ცდილობდა, აეწერა ის ნახატი, მაგრამ სიტყვას სიტყვაზე ვერ აბამდა და მე ძლივს ვბედებოდი ნათქვამის აზრს. სტრიკლენდს თურმე დაეწყებია ხუნდები, რომლებიც აქამდე ბოჭავდნენ მას და განა თავიანი თავი ეპოვა, როგორც ასეთ შეთხვევაში იტყვიან ხოლმე, არამედ ახალი, უჩვეულოდ მძლავრი სული აღმოეჩინა საკუთარ სულში. ამას არც მარტო ხასიათის მოურიდებელი, თამამი სიმარტივე მოწმობდა, რაც ესოდენ თვალნათლივ გვიჩვენებდა მხატვრის თავისებურ ბუნებას, არც თვითონ სულიერი, რომელიც ისე ავსორკულად იყო გამოსახული, რომ ადამიანის ხელით შექმნილს არ ჰგავდა და არც ის, რომ ქალი ისე რელიეფურად იყო გამოხატული ტილოზე, თითქოს ცოცხალიაო. არა, სტრიკლენდის ნახატს სულ სხვა ღირსება ჰქონდა: იგი ზეშთაგონებული, ნაღვლიანი და ახალი იყო და ადამიანის აზრი გაფანტული გზებით მიჰყავდა იმ დაბინდულ სივრცეში, სადაც მხოლოდ მარად მოცამცამე ვარსკვლავები ანთებენ სინათლეს და სადაც გაშიშვლებული სულები წიმნეულად ცდილობენ ახალ-ახალ საიდუმლოებათა ამოცნობას.

რიტორიკამ გამიტაცა, თუმცა, ჩემი ბრალი არ არის: სტროვის გაკვლენაში მოვეცეცი (განა ცნობილი არ არის, რომ ადელვებული ადამიანი, ჩვეულებრივ, რომანის გმირივით ლაპარაკობს?) სტროვს უნდოდა როგორმე გადმოეცა თავისი განცდები, მაგრამ ნიადაგ სახმარი სიტყვებით ვერ ახერხებდა და იმ მისტიკოსს ემსგავსებოდა, რომელიც რაღაც ენით აუწერელის ახსნასა და განმარტებას ლაშობს. ერთი რამ კი ამკარა გახდა ჩემთვის: ადამიანები ძალზე ხშირად ლაპარაკობენ მშვენიერებაზე, მაგრამ ამ სიტყვის ნამდვილი

მნიშვნელობა არ იცვამ. ისინი ისე დაუდევრად ექცევიან ამ ტერმინს, რომ მთლად უკარგავენ ფასსა და ძალას. ამ სახელს ათას ჩვეულებრივ საგანსა და მოვლენას აწებებენ. კაბას, ძალლს, მოძღვრებას, ნაგრამ ნაძღვილ მწვალიერებას ისე ჩაუფლიან გვერდით, რომ ვერც შეხიშნავენ ხოლმე, ადამიანები ცდილობენ ყალბი ბათოსის სამოსელში გახვიონ თავიანთი უბადრუკობა და ამიტომ არის, რომ ახლის შეგრძნებაა ენარი უჩლუნგდებათ. ისინი ძალას ატანენ თავს, არ ეფერთხილდებიან თავიანთ სულიერ ენერგიას და მოკლე ხანში ფლანგავენ კიდეც. ნაგრამ სტროვმა, ამ უბადლო ტალიმანსხარამ, ნაგრამ გულწრფელი და ბატიოსანი სულის მქონე ადამიანმა, შესანიშნავად იცოდა, თუ როგორ ეცნო ხალასი და ურიოლში მშვენიერება. სტროვი ისე ეთაყვანებოდა მშვენიერებას, როგორც წარმართი თავის კერპს და ამიტომ იყო, რომ შიშის კანკალმა აიტანა ნახატის დანახვაზე.

— როცა სტრიკლენდი ნახე, რა ეთქვა?

— ვთხოვე, ბოლანდიაში წამომყევი-მეთქი.

გაოცებისაგან შევკრთი და მერე ზეტერიკით მივაჩერდი სტროვს.

— ბლანში ხომ ორიეს გვიყვარდა. ერთ ოთახს მივუჩენდი დედაჩემის სახლში. მე ნგონი, უბრალო ხალხთან ცხოვრება დააშფოთებდა. იმათგან ბევრ სასარგებლო ჩვევას გაიაზრებდა.

— რა გაპასუხა?

— ჩაიცინა, ალბათ, იფიქრა, რა სულელია და მიპასუხა, სამასხარაოლ არა მცალია (მე მერჩივნა სტრიკლენდს უფრო გასაგები გამოთქმით განემარტა ყარის მიზეზი).

— მერე ბლანში სერიათი მაჩუქა, — დაამატა სტროვმა.

გავოცდი, რატომ აჩუქა-მეთქი, მაგრამ არაფერი ვთქვი. ცოტა ხანს ორივენი ვდუმდით, ბერე ვკითხე, შენს ნივთებს რა უყავი-მეთქი.

— ებრაელი დავიბარე და ერთიანად მიეყიდე ყველაფერი. თან მხოლოდ ჩემი ნახატები მიმაქვს. ამის მეტი აღარაფერი გამაჩნია აქვეყნად თუ ტანსაცმელსა და ორიოდე წიგნს არ ჩავაგდებთ სათვალავში.

— კარგია, რომ შენ მიდიხარ.

ვგრძნობდი, სტროვს ახლოდან წარსულის დავიწყება თუ უშველიდა. დრო მოუშუშებდა ამ მტკივნეულ იარას, დრო დაავიწყებდა გადატანილ ტანჯვა-წამებას და სტროვი კვლავ შეძლებდა, ბურგზე წამოეკიდა ცხოვრების ტვირთი. იგი ჯერ ახალგაზრდა იყო და რამდენიმე წლის შემდეგ სიტკბონარევი ნაღველით გაიხსენებდა გადატანილ უბედურებას. ადრე თუ გვიან ვინმე პატიოსან ჰოლანდიელ ქალს შეირთავდა და, დარწმუნებული ვარ, ბედნიერიც იქნებოდა მის ხელში. სიკვდილამდე, ალბათ, უამრავი უხვიარო ნახატის შეთითხნას მოასწრებს-ნეთქი, გავიფიქრე და ლიმილი ველარ შევიკავე.

მეორე დღეს სტროვი მატარებლის სადგურში გავაცილე.

თავი მეოთხმეტე

ერთ თვეში თითქმის დამავიწყდა ყველაფერი, რაღგან უამრავი საქმე გამოჩნდა და თანაც არავინ შემხვედრია, ვინც ამ სამწუხარო ამბავთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, ერთ დღეს, როცა რაღაც საქმეზე მივიჩქარობდი,

ჩარლზ სტრიკლენდს წამოვეწია. ბისმა დანახვამ ის უბედურება გამახსენა, რომელსაც დიდი სიანოვნებით ვიეიწყებდი, და უცებ საშინლად შემზიზღდა ეს ადამიანი. თავი დავუქნიე, რადგან სალმის დაჭერა ბაუმგარტა ექნებოდა, და სწრაფად ჩავუარე გვერდი, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ბაარზე ხელის შეხება ვიგრძენი.

— ძალიან გეჩქარება? — გულითადად მკითხა სტრიკლენდმა. საერთოდ ასე იცოდა: თუკი შეატყობდა ვინმეს, თავს მარიდებსო, იმწამსვე დაუტკბებოდა. მე ისე ცივად მივესალმე, რომ არ შეიძლებოდა არ მიმხვდარიყო, თუ რა გრძნობით ვიყავი მისადმი განწყობილი.

— დიახ, — ნოკლედ მოვუჭერი მე.

— ცოტახნე გამოგყვები.

— რატომ?

— შენთან ყოფნა მსიამოვნებს.

ხმა აღარ ამოვიღე და სტრიკლენდიც ამემგზავრა. მეოთხეული მილი ჩუმად ვიარეთ. მე უკვე მონბეზრდა ასე სიარული და როცა საკანცელარიო ნივთების მაღაზია დავინახე, გავეხარდა, ქაღალდის ყიდვას მოვიმიზეზებ და ამ კაცს თავიდან მოვიშორებ-მეთქი. სტრიკლენდს მივუბრუნდი და ვუთხარი:

— მე აქ უნდა შევიდე, ნახვამდის.

— დაგელოდები.

მხრები ავიჩეჩე და მაღაზიაში შევედი, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ფრანგული ქაღალდი არ ვარგოდა და ვიფიქრე, რადგან სტრიკლენდი მაინც ვერ მოვიშორე თავიდან, ამ ქაღალდს რაღას ვაქნევ-მეთქი. რაღაც ისეთი ვიკითხე, რაც ნამდვილად ეიცოდი, არ ექნებოდათ და მაშინვე გამოვედი მაღაზიიდან.

— იმოვე, რაც გინდოდა? — მკითხა სტრიკლენდმა.

— ვერა.

ერთხანს ისე ვიარეთ, რომ არც ერთს არ ამოგვიღია ხმა. გზაჯვარედინს რომ მივადექით, შევჩერდი და ვკითხე, რა გზით მიდიხარ-მეთქი.

— შენი გზით, — ღიმილით მომიგო სტრიკლენდმა.

— მე შინ მივდივარ.

— მეც ამოვალ. ერთ ჭიქა ბუზს მოვწევ.

— ცოტა მოგვცადა, იქნებ მე თვითონ მიმეპატიჟე.

— მოგიცდიდი, მიპატიჟების იმედი რომ მქონდეს.

— აი, იმ კედელს ხედავ? — ვკითხე მე და თითითაც მივანიშნე.

— ვხედავ.

— მაშინ იმასაც უნდა ხედავდე, რომ სულ არ მსიამოვნებს შენთან ყოფნა.

— მაგას თითქმის შეც გატყობდი.

ველარ მოვითმინე და ჩავიფრუტუნე. ჩემი ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ ვინც მაცინებს, იმას ვერ შევიძულებ. ბოლოს მაინც შევიკავე თავი და მივახალე.

— ამაზრზენი ადამიანი ხარ. შენისთანა ბილწი ცხოველი ჩემს დღეში არ მინახავს. აბა რა გინდა იმასთან, ვისაც ასე ეზიზღები, ვინც თვალია დასანახავად ვერ გიტანს?

— ვითომ რატომ გგონია, ჩემო კარგო, რომ ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს შენს აზრებსა და შეხედულებებს? რაც გინდა, ის იფიქრე ჩემზე.

— დალახვროს ღმერთმა, — გაეცოფდი მე, რადგან ვიგრძენი, რომ მაინცდამაინც საქებურად არ ვიქცეოდი, — ნაცნობობაც არ მიხდია შენთან.

— გეშინია, არ გაგაფუჭო, არა? — მკითხა სტრიკლენდმა [illegible] სახეში არ შემოუხედავს, მიხვედი, რომ გეზიდ შემოიმქეც[illegible] ეხავად ილიმებოდა.

— გეტყობა, ფულზე ძალიან ტესატად ხარ, ასე რომ მელაპარაკები, — აგდებულად ვუთხარი მე.

— მთლად ჩერჩეტი უნდა ვიყო, რომ შენი იმედი მქონდეს. განა იმის ღირსი ვარ, რომ ფული მასესხო?

— გათავებულია შენი საქმე, აქამდე მლიქვნელობა მაინც არ იცოდი!

— შენ საბოლოოდ არასოდეს არ შემიძულებ, რადგან დროდადრო ჩემს დანახვაზე მახვილი ფრაზის თქმის საშუალება გეძლევა ხოლმე. ტუჩები მაგრად მოეკუმე, რომ არ გაბეღვილა. სტრიკლენდმა ნაოთალი მითხრა: ჩემი მეორე ნაკლი ისაა, რომ ნიყვარს ისეთ კაცთან საუბარი, რომელიც სიტყვას არ შეგარჩენს, იმას კი სულ არ ვაქცევ ყურადღებას, ეს კაცი გათახსირებულია თუ პატიოსანი. უკვე ვგრძნობდი, რომ სტრიკლენდი ძველებურად აღარ მეჯავრებოდა, მაგრამ ეცდილობდი არ შემემჩნევინებინა. ვხედავდი, რომ ასე ძალე არ უნდა შეშფოთებულიყავი, მაგრამ იმასაც ვატყობდი, თუ როგორი ყალბი ვიყავი, როცა სტრიკლენდს ეკიცხავდი, და თუ მე თვითონ ვატყობდი ამას ჩემს თავს, იმას, მით უმეტეს, არ გამოეპარებოდა. ახლა, ალბათ, გულებაში დამცინოდა კიდეც. ამიტომ, ვამჯობინე, მხრები ამეჩეჩა და დუმილი მომეხმო შემწედ და მფარველად.

თავი ორმოცდამეერთე

მალე ჩემს სახლს მივადექით. კიბეს აეუყვევი და, თუმცა სტრიკლენდი არ დამპატიჟებია, ფეხდაფეხ ამომყვა და ჩემთან ერთად შემოვიდა ოთახში. აქ პირველად იყო, მაგრამ ბინას, რომლის მოსაწყობად და გასალამაზებლად ამდენი ვიშრომე, არც კი მოაქცევია თვალი. მაგიდაზე თამბაქო იდგა ყუთით. მან ჩიბუხი ამოიღო ჯიბიდან, დატენა და გვერდულად ჩამოჯდა ჩემს ერთადერთ სკამზე.

— მაინც არაფერში მერიდები და ბარემ რომელიმე სავარძელში ჩამჯდარიყავი, — გაბრაზებულმა ვუთხარი სტრიკლენდს.

— ასე რატომ იწუხებ თავს ჩემთვის?

— შენთვის კი არა, ჩემთვის. მე თვითონ ვერ ვისვენებ, როცა ვინმე უხერხულად ზის.

სტრიკლენდმა პასუხად მხოლოდ ჩაიცინა და ჩიბუხი გააბოლა. შემდეგ ფიქრებში ჩაეფლო და ბგონი სულ დავიწყდი. გულში ვამბობდი, ნეტავი რა უნდა, რატომ ამომყვა-მეთქი.

მწერალს რაღაც ინსტინქტი აიძულებს შეუნელებელი ინტერესით დააკვირდეს უცნაურ და მანკიერ ადამიანებს და, თუმცა თვითონვე აწუხებს ეს

ინსტინქტი, მხოლოდ შაშინ ახერხებს თავის დახსნას მისი ტყვეობიდან, როცა მრავალი წლის მწერლური პრაქტიკა მოუბლუნგებს მგრძნობელობას. მწერალი ოღნავ შეშფოთებულია ბოროტების ხილვით, მაგრამ თან კმაყოფილებასაც გრძნობს, იმ ხელოვანის კმაყოფილებას, რომელმაც რაღაც საინტერესო შენიშნა. ამავე დროს, გულწრფელობა აიძულებს, გაუტეხავად თქვას, რომ ამა თუ იმ პანკიერების დაგმობისა და გაკიცხვაზე [illegible] წარმოშობის მიზეზები აღმოჩენა აინტერესებს. არამზადის ლოგიკური და დასრულებული ტიპი, მიუხედავად იმისა, რომ იგი კანონისა და წესრიგის შემბღალავია, უფრო ხიბლავს მის შემქმნელს.

ჩვენი აზრით, შექსპირი გაცილებით დიდი სიამოვნებით ქმნიდა იაგოს, ვიდრე დეზდემონას, რომელიც მთვარის სხივებისაგან ნოქსოვილი გამოუვიდა. შესაძლებელია, არამზადებისა და გაიძვერების შექმნით მწერალი ხარკს უხდის საკუთარ ბუნებაში ღრმად ფესვგადგმულ ინსტინქტს, რომელიც ცივილიზაციის კანონებისა და ჩვეულებების წყალობით ქვეცნობიერის აღუძალ სამალავებშია მიყუჟული. მწერალი ბორცს ასხამს თავისი გონებით შექმნილ გმირებს და ამით სიცოცხლეს ანიჭებს თავისი არსების ამა თუ იმ თვისებას — სხვანირი საშუალება ამ თვისებათა განვითარებისა მას არ ნოეპოვება. და როცა ამას ნოახერხებს, ისეთ შვებასა და სიხარულს იგრძნობს, თითქოს მძიმე კვრთებისაგან განთავისუფლდაო.

მწერალი უფრო საცოდნელად არის მოწოდებული, ვიდრე გასასამართლებლად. მწერლის ვალი უპირატესად ის არის, რომ აღწეროს და არა ის, რომ შეაფასოს და გაიცხოს ესა თუ ის მოელენა.

სტრიკლენდი თან მაფრთხობდა და თან მაინტერესებდა. მე საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი — მინდოდა, როგორმე გამეგო, თუ რატომ მიაყენა ასეთი მწუხარება თავის კეთილისმყოფელებს. გადავწყვიტე, მიკიბულ-მოკიბული არ დამეწყო და პირდაპირ მიმეტანა იერიში.

— სტროვმა მითხრა, რომ მისი ცოლის სურათი საუკეთესოა შენს ნამუშევრებში.

სტრიკლენდმა ჩიბუხი გამოიღო პირიდან, ოდნავ გაიღიმა და ჩაილაპარაკა:

— ჰო, კარგად შევიქციე თავი იმის ხატვისას.

— რატომ აჩუქე სტროვს?

— დავხატე და ნორჩა, რაღად მინდოდა.

— იცი, რომ სტროვმა კინაღამ მოსპო ის სურათი?

— ჰო, მთლად კარგი არ გამოვიდოდა.

იგი ერთხანს ჩუმად იყო, მერე პირიდან ჩიბუხი გამოიღო და ხითხითით მითხრა:

— იცი, რომ ის კაცუნა მოვიდა ჩემთან?

— ვანა გულზე არ მოგხვდა მისი ნათქვამი?

— არა. ძალიან სულელურად და სენტიმენტალურად მეჩვენა.

— ხომ არ დაგაეიწყდა, რომ ცხოვრება დაუნგრიე?

სტრიკლენდი ჩაფიქრდა, წვერი ნოიქექა და ბოლოს ჩაილაპარაკა.

— ძალიან ცუდი მხატვარია.

— სამაგიეროდ, კარგი ადამიანია.

— და ააუცხოო მზარეული, — დამცინავი ღიმილით დაამატა სტრიკლენდმა. ასეთმა გულწვალობამ გამაცეცხლა და, გადავწყვიტე, სულ ერთი მოვრიდებოდი:

— მითხარი, ოდნავ სინდისის ქენჯნა მაინც თუ იგრძენ[illegible] ბლანშ სტროვის სიკვდილის ამბავი გაიგე?

— ვითომ რატომ უნდა შეგრცხვა?

— ვეტყვი რატომაც. შენ ვვდებოდი და დირკ სტროვმა თავის ოჯახში გადაგიყვანა, დედასავით მოგიარა, არც დრო დაიშურა, არც ფული და სიკვდილს გამოგტაცა კლანჭებიდან.

სტრიკლენდმა მხრები აიჩეჩა:

— იმ სულელ კაცუნას უხარია, როცა ვინმეს რამეს უკეთებს. იგი ამით ცოცხლობს.

— კარგი, ვთქვათ, ვალდებული არ იყავი, მაღლობა გადაგეხადა, მაგრამ განა არ შეგეძლო, შენი გზით წასულიყავი: შენ კი ცოლი წაართვი. დაგუნებებინა თავი. შენს გამოჩენამდე ხომ ბედნიერები იყვნენ?!

— ვითომ რატომ გგონია, რომ ბედნიერები იყვნენ?

— განა არ ეტყობოდათ?

— ძალიან დაკვირვებული ყმაწვილი ბრძანებულხარ. ქმარმა იმისთანა სიკეთე უყო და როგორ ფიქრობ, ბლანშმ ოდესმე აპატიებდა?

— რას ამბობ? არაფერი მესმის.

— არ იცი, რატომ შეირთო?

მე თავი გავიქნიე.

— ბლანშმ აღმზრდელად იყო რომელიღაც რომელი თავადის ოჯახში და ამ თავადის შვილმა შეაცდინა. ქალს ეგონა, შემირთავსო, მაგრამ იმათ შაშველ-ტიტველი გამოაგდეს გარეთ. ქალი ფეხმძიმედ იყო და გადაწყვიტა თავი მოეკლა. ამ დროს სტროვმა ნახა და ცოლად შეირთო.

— სხვა ამას არ იზამდა. ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი მოყვასი და გულჩვილი ადამიანი.

ყოველთვის მაკვირდა, ეს სხვადასხვანაირი ადამიანები როგორ დაწყვილდნენ-მეთქი, მაგრამ ასეთი ახსნა არასოდეს მომსვლია თავში. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ სტროვს ასე ძალიან უყვარდა ცოლი. ისე ეჩვენოდა, რომ მაინვე იტყოდი, აქ ვნებაზე უფრო დიდი და ძლიერი გრძნობაა ჩარეულიო. გამახსენდა, ავრეთვე, რომ ყოველთვის ვფიქრობდი, სტროვის ცოლი რაღაცა საიდუმლოს მალავს-მეთქი. ახლა უკვე ვიცოდი ეს საიდუმლო, მაგრამ მივხვდი, რომ ბლანშს მარტო იმიტომ არ იყო დაფიქრებული, ჩემი შერცხვენა არავინ გაიგოსო. წინა ალმშვიდე იმ მყუდროებას ჰაგავდა, ქარიშხალგადაცლილ კუნძულზე რომ ჩამოყარდება ხოლმე. მხიარულებაც ისეთი იცოდა, ვეგონებოდა, ხვალინდელი დღის გათენების იმედი არა აქვს და დღესვე უნდა მოასწროს ყველაფერი.

სტრიკლენდის ცინიკურმა შენიშვნამ ამ ფიქრებიდან გამომაფხიზლა.

— ქალი ადვილად მიუტევებს მამაკაცს დახმარებას, მაგრამ მახვერპლის გაღებას კი ვერავის აპატიებს.

— შენ კი არასოდეს არ უნდა გეშახოდეს ქალის სიძულვილისა, არა?

— შენ ოღონდ ლამაზი ფრაზა თქვა და ყველა პრინციპს მიიტან სამსხვერპლოზე, — ღიმილით შენიშნა სტრიკლენდმა.

— ბავშვს რა მოუვიდა?

— მკვდარი დაიბადა, ქორწინებიდან სამი თუ ოთხი თვის შემდეგ.

ბოლოს იმ კითხვას მივადექი, რომლის პასუხი ყველაზე უფრო მაინტერესებდა:

— შეგიძლია ამიხსნა, რატომ მოგეწონა ბლანშ სტროვი?

სტრიკლენდმა კარგა ხანს არ მიპასუხა. უკვე მეორედ ვაპირებდი კითხვას, რომ თქვა:

— აბა რა ვიცი? თვალის დასაბახავად ვერ მიტანდა. რა საჭაცილო იყო...

— მერე?

— დალახვრა ეშმაკმა, მინდოდა და იმიტომ, — გაბრაზდა უცებ სტრიკლენდი, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი და ღიმილით დაამატა:

— პირველად ლაშის გაგიჟდა.

— უთხარი რამე?

— არ იყო საჭირო. ისედაც იცოდა. წე ერთი სიტყვაც არ მითქვამს. ჯერ ფრთხებოდა, ბოლოს დავიმორჩილე.

ეს ყველაფერი ისე მითხრა, რომ მიკვირდა, თუ რა დაუოკებელი ვნების ცეცხლში იყო ჩავარდნილი, როცა ბლანშას დამორჩილებას ცდილობდა.

ეს საშინელება იყო. სტრიკლენდი ძველი ცხოვრების ნანძილზე ცდილობდა განდგომოდა ცხოვრებას, ნაგრამ დროდადრო ხორცი იმარჯვებდა და დაუნდობლად უხდიდა სანაგვეროს სულს. მაშინაც სატირი მოულოდნელად დაეუფლა მთელ მის არსებას და სტრიკლენდმა გეღარ დაიხსნა თავი ამ პირველყოფილი ძალისაგან. იგი ისე გაუჯდა სულსა და გულში, რომ იქ არც კეთილგონიერებისათვის დარჩა ადგილი და არც მადლიერებისათვის.

— კარგი, მაგრამ ქმარს რატომ დააშორე?

— მე არ დამიშორებია, — მოიქუფრა სტრიკლენდი. — როცა თქვა, შენთან მოვდიგარო, მეც ისევე გაოცებული დავრჩი, როგორც სტროვი. მერე ეუთხარი, როცა მომბეზრდები, უნდა მომშორდე-წადი და დამთანხმდა. — სტრიკლენდი ცოტა ხანს დუმდა, მერე თქვა: — ბლანშს დიდებული ტანი ჰქონდა, მე კი შიშველი სეფული მინდოდა დამეხატა. როცა დავხატე, ყოველგვარი ინტერესი დავკარგე მისდამი.

— იმიტომ ხომ მთელი სულით და გულით ეყვარდი.

სტრიკლენდი წამოხტა და ბოლოის ცემას მოჰყვა ჩემს ოთახში.

— მე სიყვარული არა მჭირდება. სამაგიეროდ არა მცალია. სიყვარული უძლურების საქმეა. მე მამაკაცი ვარ და ხანდახან ქალი მინდა. როცა ვნებას დავიკმაყოფილებ, საქმეს ენდა მივუბრუნდე. მე არ შემიძლია დავიოკო ეს ნდომა, მაგრამ ძალიან კი მეჯავრება. იგი ბოჭავს ჩემს სულს. საკოებით ველოდები იმ ჟამის დადგომას, როცა ქალი აღარ მენდომება და შემეძლება მხოლოდ ჩემს საქმეზე ვიფიქრო. ქალებს სიყვარულის ზეტი არაფერი შეუძლიათ და ამიტომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ამ გრძნობას. ისინი ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ცხოვრებაში სიყვარულია უპირველესი და უმთავრესი. სინამდვილეში სიყვარული თითქმის არაფერია. მე მხოლოდ ერთი მწამს, მხოლოდ ხორციელი სიყვარული. ეს საღი, ბუნებრივი გრძნობაა, სიყ-

ვარული კი ჭარია და სნება. ქალები მხოლოდ ჩვენი ქინის დასაცხრომლად არიან გაჩენილნი და ვერ ვიტან, როცა თავი ჩვენს ტოლსწორად და მეგობრად მოაქვთ.

სტრიკლენდს ამდენი არასოდეს ულაპარაკია ჩემთან და არც ასე გაცხარებულა ოდესმე, მაგრამ ვერც აქ და ვერც სხვაგან ვერ [illegible] ამისი სიტყვების ზუსტად გადმოცემა. ლექსიკა შეზღუდული ჰქონდა, ფიქრადდებას ვერ ალაგებდა და, იძულებული ვიყავი, მისი სახის გამომეტყველებით, ჟესტებით, წამოძახილებით მივმსგდარიყავი, თუ რისი თქმა უნდოდა.

— შენ მაშინ უნდა გეცხოვრა, როცა ქალები მხევლები იყვნენ, მამაკაცები კი ბატონები. — ვუთხარი სტრიკლენდს.

— მე მხოლოდ და მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი მამაკაცი ვარ, — ისე დაბეჯითებით თქვა სტრიკლენდმა, რომ სიცილი ვერ შევიკავე. იგი კელავ გალიაში დაწყვდეული მხეცივით დარბოდა წინ და უკან და ცდილობდა როგორმე გასაგებად გადმოეცა თავისი აზრები.

— ქალი, თუ უყვარხარ, მანამ არ ნოისვენებს, სანამ შენს სულს არ დაეუფლება. იგი სუსტია და ამიტომ დაუცხრომლად ესწრაფვის სრულ ბატონობას. ნაკლებს არაფრით არ დაეაბულდება. ქალს მოკლე ჭკუა აქვს და მხოლოდ იმას აფასებს, რასაც ხელით ეხება და თვალით ხედავს. აბსტრაქტული მისთვის გაუგებარია და ამიტომაც არის, რომ ძალიან ეჯავრება. იგი ცხოვრებისეულ წვრილმანებსაა გადაგებული და ყოველგვარი იდეალი საკუთარ მტრად მიაჩნია. მამაკაცის სული სამყაროს უზენაესი სფეროებისაკენ მიილტვის, ქალი კი ცდილობს თავის შემოსაკალ-გასაელის დავთარში მოამწყვდიოს იგი. ჩემი ცოლი ხომ გახსოვთ? ბლანშიც ასეთი გამოდგა. ცოტა ხნის შემდეგ მიჰყვა და სულ სათითაოდ მოსინჯა ჩენზე ყველა ქალური ხრიკი. გასაოცარი ნოთმინებით ცდილობდა, რომ მეხეში გავები და შევებოქე, ცდილობდა, თავის დონეზე დაეყვანე. ჩემი არაფერი აინტერესებდა და მხოლოდ ერთი მიზნისაკენ მიისწრაფოდა. ეს მიზანი კი ჩემი ხელში ჩაგდება იყო. ბლანში მზად იყო ყველა ჩემი სურვილი შეესრულებინა, გარდა ერთისა: თავი დაენებებინა, მოვესვენებინე.

ერთხანს ვდუმდი, მერე ეკითხე:

— როგორ ფიქრობ, რა უნდა ექნა იმის მერე, რაც შენ მიატოვე?

— სტროვს უნდა დაბრუნებოდა, — გაბრაზებით მომიგდო სტრიკლენდმა, — სიამოვნებით დაიბრუნებდა.

— ძალიან შეუბრალებელი ყოფილხარ, შენთან ამისთანა რამეზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა.

სტრიკლენდი მომიახლოვდა, ცოტა ხანს ზიზღშერეული გაოცებით დამცქეროდა და მერე მკითხა:

— ნუთუ ფეხებზე არა გკიდია ბლანშ სტროვი ცოცხალი იქნება თუ მკვდარი?

მე დავფიქრდი, რადგან მინდოდა გულწრფელად მეპასუხა:

— ალბათ, გულცივი კაცი ვარ, რადგან ჩემთვის მართლაც სულერთია ბლანში ცოცხალია თუ მკვდარი. ცხოვრება ბევრ სიკეთეს უქადდა მას და, საშინელებაა, რომ ბოლოს ასე სასტიკი აღსასრული ხვდა წილად. მე კი მრცხვენია, რომ მისი ბედი მართლაც სულ არ მაწუხებს.

— დებულებები კარგი გაქვს, მაგრამ სიმამაცე არა გყოფნის, რომ დაიცვა. სიცოცხლეს არავითარი ფასი არა აქვს. ბლანშ სტროვმა იმიტომ კი არ მოიკლა თავი, რომ მე მივატოვე, არამედ იმიტომ, რომ ჩერჩეტი და ხუმტურიანი ქალი იყო. ახლა კი კმარა, უკვე საკმაოზე მეტი დიალაპარაკეთ ბლანშზე. ამდენად არც ღირდა. წამოგყევი და ჩემს ნახატებს [illegible] — ეს ისე შემომთავაზა, როგორც ბავშვს შესთავაზებენ ხოტბა [illegible] დასაშოშმინებლად. მე მართლაც ვბრაზობდი, მაგრამ უფრო საკუთარ თავზე, ვიდრე სტრიკლენდზე. თვალიდან არ მიმდიოდა ის მყუდრო სახელოსნო მონმარტრზე, ვერაფრით ვერც დამევიწყებინა ბედნიერი ცოლ-ქმარი, იმათი გულთბილობა, უბრალოება და სტუმართმოყვარეობა. როგორ მოსპო და გააცამტვერა ყოველივე შეუბრალებელმა განგებამ! მაგრამ ყველაზე მეტ ბოროტებად და სისასტიკედ ის მიმაჩნდა, რომ ამქვეყნად ამით არაფერი არ შეცვლილა. ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა და ამ უბედურებას არავის გულში არ დაუტოვებია კვალი. დარწმუნებული ვიყავი, რომ დროიც წალე დაიწყებდა ყველაფერს. იგი მეტად მგრძნობიარე კაცი იყო, მაგრამ დიდხანს ვერ ჩაიტოვებდა გულში გლოვასა და მწუხარებას. ბლანში კი ვითომ არც კი არსებულა ამქვეყნად ოდესმე. არადა, ვინ იცის, რას არ სწვდებოდა მისი ფიქრი, რას არ მოელოდა ამ ცხოვრებიდან! ახლა კი ყველაფერს ამოების უფსკრულმა უყო პირი.

სტრიკლენდს თავისი ეუდი ეპოვა და მომჩერებოდა. ფეხზე რომ აღარ წამოვდექი, მკითხა, არ მოდიხარო.

— რატომ არ მომეშვები? — ვკითხე მე, — ხომ იცი, რომ მეჯავრები?

სტრიკლენდმა უბოროტოდ ჩაიხითხითა და მიპასუხა:

— იმიტომ ბრაზობ და მატევ, რომ იცი, ფეხებზეც არა მკიდია. თუ რასა ფიქრობ ჩემზე.

ეიგრძენი, რომ ღაწვებზე წყენის ალი შემომეწთო. მერე მივხვდი, რომ მაინც ვერაფრით ვერ გავაგებინებდი, თუ რა შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის ეს საოცარი ეგოიზმი. ძალიან მინდოდა, ვამეხვრიტა გულგრილობისა და უშფოთველობის ჯავშანი, რომელშიც სტრიკლენდი ჩაჭედილიყო, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ მის ნათქვამში ჭეშმარიტებაც ერია: მართლაც, ჩვენ მხოლოდ იმათ ვაფასებთ, ვინც ჩვენს აზრს ანგარიშს უწევს. ხოლო ვისაც არაფრად მიაჩნია, თუ როგორი შეხედულებისა ვართ მასზე, თვალის დასანახავად ვიძულებთ, რადგან ამით საშინლად გველახება პატივმოყვარეობა. მაგრამ მე არ შევიმჩნიე, რომ გულზე მოვიხვდა მისი ნათქვამი და უფრო საკუთარ თავს ვკითხე, ვიდრე სტრიკლენდს:

— ხუთუ ადამიანს უფლება აქვს სრულებით უგულვებელყოს მოძმე თვისი. ჩვენ ხომ ერთმანეთის დახმარებით გაგვაქვს ეს ცხოვრება. კაცი, რომელიც მხოლოდ თავისთვის ნოიანდომებს ცხოვრებას, კაცი, რომელიც არავის დახმარებას არ მოისურვებს, წინასწარ განწირულია დასაღუპავად. იდრე იქნება თუ გვიან, დაავადდები, დაიღლები, მოხუცდები და იძულებული გახდები ისევ შენს ტოლთან მიხოხდე. განა სინდისი არ შეგაწუხებს, როცა შენი არსება სიმშვიდეს და თანაგრძნობას მოითხოვს? არა, ნამდვილად შეუძლებელს ესწრაფვი. ოდესმე შენში ადამიანი გაიღვიძებს და თანამოძმეთა ბანაკისაკენ მიმავალი გზების ძებნას დაგაწყებინებს.

— წამოდი და ნახე ჩემი ნახატები.

— სიკვდილზე გიფიქრია ოდესმე?

— რატომ უნდა მეფიქრა? ღირს კი საფიქრელად?

მე ჯიქურ მივაჩერდი სტრიკლენდს. იგი არ განძრეულა, ოღონდ თვალებში დამცინავი ღიმილი უკიაფებდა. ანაზდად ყოველივე [illegible] და მე მგზნებარე, წამებული სული დავინახე, რომელსაც [illegible] და დიადი მიზნისაკენ მიიწრაფოდა. წამით რაღაც ენით აუწერელისაკენ ლტოლვის მოწამე გავხდი, მივჩერებოდი ამ ძონძებში გახვეულ დიდცხვირა, თვალბრიალა, ჟღალწვერა, თმააჩეჩილ ადამიანს და ვხედავდი მხოლოდ უსხეულო სულს.

— კარგი, წავიდეთ და დავათვალიეროთ შენი ნახატები, — დაეთანხმე ბოლოს მე.

თავი ორმოცდამეორე

არ ვიცი, რატომ მოინდომა სტრიკლენდმა, რომ აუცილებლად დამეთვალიერებინა მისი ნახატები, მაგრამ ძალიან კი მესიამოვნა ეს ამბავი. „საქმემან შენმან წარმოგაჩინოს შენო", იტყვიან და, მართლაც, ადამიანი ხალხში ყოფნისას ცდილობს სხვაგვარად მოგაჩვენოს თავი, ისეთად, როგორიც, მისი აზრით, უფრო მოეწონება საზოგადოებას. მის ნამდვილ სახეს მხოლოდ იმ წვრილმანი საქმეებით შეიცნობთ, რომლებიც შეუგნებლად ჩაიდინა; და კიდევ — სახის გამომეტყველების უნებლიე შეცვლით. ხანდახან ადამიანები ისე სრულყოფილად ატარებენ არჩეულ ნიღაბს, რომ დროთა განმავლობაში ეს ნიღაბი მათ ნამდვილ სახედ იქცევა. მაგრამ, წიგნსა თუ ნახატში ცხადად გამოაჭვივის შემოქმედის ნამდვილი სახე. ზოგი პრეტენზიულობით ცდილობს შინაგანი სიცარიელის დაფარვას, მაგრამ პირიქით ვამოუდის. ციცხვი ციცხვია, გინდა მოხატე და გინდა ოქროთი მოჭედე. უნიჭობას ვერაფრით ვერ დამალავ. დაკვირვებული კაცი უბრალო ჩანახატითაც მიხვდება მხატვრის სულის საიდუმლოს.

მართალი გითხრათ, ცოტათი ველელავდი, როცა სტრიკლენდის სადარბაზოში შევედი და გაუთაიებელ კიბეებს აცუკვევი. მეჩვენებოდა, რომ რაღაცა საოცარი თავგადასავალი უნდა გადამხდენოდა თავს. ოთახში რომ შევედით, ყურადღებით მოვავლე თვალი იქაურობას. ოთახი ახლა უფრო პატარა და მიუსაფარი მეჩვენა, „ნეტავი რას იტყვიან იქაურობაზე ჩემი შეგობრები, რომლებიც უზარმაზარ სახელოსნოებში მუშაობენ და მაინც წუწუნებენ, პირობები არა გვაქვსო", — გავიფიქრე მე.

— აი იქა სჯობს დადგომა, — მითხრა სტრიკლენდმა და ხელით მანიშნა ადგილი, საიდანაც, მისი აზრით, უფრო კარგად გამოჩნდებოდა ნახატები.

— ალბათ, გირჩევნია, ჩუმად ვიყო, არა? — ვკითხე მე.

— ჰო, ხმას თუ ჩაიწყვეტ, უკეთესი იქნება.

მან ნახატი ბოლბერტზე დადო და ორიოდე წუთს მაყურებინა. მერე გადმოიღო და მეორე დადო. სულ, ჩემი ვარაუდით, ოცდაათამდე ტილო მიჩვენა — ექვსი წლის ნამუშევარი. სტრიკლენდს ჯერ არც ერთი ნახატი არ გაე-

ყიდა. ტილოები სხვადასხვა ზომისა იყო. პატარები — ნატურმორტები, დიდები — პეიზაჟები და ხუთი თუ ექვსი პორტრეტი.

— მორჩა, — გამოაცხადა ბოლოს სტრიკლენდმა.

ბედნიერი ვიქნებოდი, უფლება რომ მქონოდა მეთქვა, შევხედე, თუ არა, მაშინვე აღტაცებული დავრჩი ამ ნახატების მშვენიერებით, ფერადოვნებით და ორიგინალობით-მეთქი. ახლა, როცა მრავალი მათგანი ხელმეორედ ვნახე და დანარჩენები რეპროდუქციებით გავიხსენე, ძალიან მიკვირს, რომ მაშინ, როცა ის ნახატები დავათვალიერე, მეტად იმედგაცრუებული დავრჩი. სულ ვერ ვიგრძენი ის თრთოლვა, ის აღტაცება, რომელსაც ნამდვილი ხელოვნება განგვაცდევინებს ხოლმე. სტრიკლენდის ნახატებმა მხოლოდ შემაცბუნა და დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, რომ აზრად არ მომივიდა, ერთი ცალი მაინც შემეძინა. აი ასეთი შესანიშნავი შეშთხვევა გავუშვი ხელიდან. ახლა კი ამ ნახატების უმეტესობა მუზეუმებშია მოთავსებული, ხოლო მცირე ნაწილი მდიდარ მეცენატთა საკუთრების წარმოადგენს. ეცდილობ, რაიმე გამართლება მოვუნახო ჩემს საქციელს. მე მაინც მგონია, რომ კარგი გემოვნება მაქვს, მაგრამ ახალსა და ორიგინალურს უცებ ვერ ვუღებ ალღოს. მხატვრობისა ბევრი არაფერი მესმის და ამიტომ სხვების მიერ გატკეპნილ გზას მივყვები. იმ დროს იმპრესიონისტები მომწონდა და გულით მინდოდა, სისლეისა და დეგას თითო ნაწარმოები მაინც ჩამეგდო ხელში. მანეს პირდაპირ ვალმერთებდი. მისი „ოლიმპია“ ჩვენი საუკუნის საუკეთესო ქმნილება მეგონა, ხოლო „საუზმე მდელოზე“ უჩვეულო სიამოვნებასა და ტკბობას მანიჭებდა. ეს ორი ნახატი ხელოვნების მწვერვალად მიმაჩნდა.

არ დავიწყებ სტრიკლენდის ნახატების აღწერას. ეს, ჯერ ერთი, მოსაწყენი იქნება და, გარდა ამისა, მის ნახატებს ყველა იცნობს, ვინც კი მხატვრობითაა დაინტერესებული. ახლა, როდესაც თვალნათლივ ვხედავთ, თუ რა უზარმაზარი გავლენა მოახდინა სტრიკლენდის შემოქმედებამ თანამედროვე მხატვრობაზე, როდესაც რუკაზე უკვე გადატანილია სტრიკლენდის მიერ აღმოჩენილი ქვეყანა, ყველა, ვინც კი პირველად ნახულობს ამ ნახატებს, წინასწარ მომზადებულია მათ შესაცნობად. მე კი იმ დღემდე არც ამგვარი ნახატები მენახა და არც რაიმე გამეგონა მათზე. უპირველეს ყოვლისა, ხატვის უხეშმა ტექნიკამ შეშაცბუნა. მე მიჩვეული ვიყავი ძველი ოსტატების ქმნილებებს, ყველაზე უკეთეს თანამედროვე მხატვრად ენგრი მიმაჩნდა და ამიტომ სტრიკლენდის ნახატები არ მომეწონა. იმას კი სულ ვერ მივხვდი, რომ სტრიკლენდი განზრახ მიისწრაფოდა სიმარტივისაკენ. მახსოვს, რა გაოცებული დავრჩი, როცა ის ნატურმორტი მაჩვენა, რომელზეც კიდეებდაბრეცილ თეფშზე დალაგებული გვერდელა ფორთოხლებია დახატული. პორტრეტებიც ცუდი შესახედავი იყო, რადგან სტრიკლენდი სახეებს გადიდებულად ხატავდა (ასე დახატული პორტრეტები აქამდე არ მენახა) და კარიკატურებად მივიჩნიე. პეიზაჟებმა კიდევ უფრო მეტად დამაბნია. ორი თუ სამი მათგანი ფონტენებლოს ტყეს გამოსახავდა, დანარჩენი — პარიზის ქუჩებს. შევხედე თუ არა, გავიფიქრე, მთვრალი მეეტლის დახატულსა ჰგავს-მეთქი. ერთი სიტყვით, მთლად დავკარგე თავგზა. ფერები მეტისმეტად ჭყეტელა მეჩვენა და, საერთოდ, ყველაფერი სულელური, გაუგებარი ფარმოიდგა. ახლა, როცა წარსულს ვიხსენებ, გაოცებული ვრჩები სტროვის ალღოთი. იგი იმთავითვე

მიხვდა, რომ ეს იყო გადატრიალება ხელოვნებაში: მაშინვე იცნო გენიოსი, რომლის წინაშე შემდგომში ყველამ მოწიწებით მოიხარა ქედი.

თუმცა მაშინ დავიბენი და გავოგნდი, ვერ ვიტყვი, რომ ნახატებმა დიდი მთაბეჭდილება არ მოახდინა ჩემზე. მხატვრობაში ხომ სულ ერთბაშად უმეცარი ვიყავი, მაგრამ მაინც შევატყვე, რომ ამ ქმნილებათა ავტორს ზარმაცარი და დაუოკებელი ძალა ჰქონდა. ამ ძალამ სულ ერთიანად შემძრა და აბეთონრიალა. ვიგრძენი, რომ ეს ნახატები რაღაცას მეუბნებოდა, რაღაც ისეთს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის, მაგრამ, სახელდობრ, რას, ვერაფრით ვერ მიხვდი. ეხვდები, რომ ეს უშნო და ულაზათო ნახატები რაღაც მეტად მნიშვნელოვან საიდუმლოს მიმალავდა, რაღაც დიდსა და შეუსრულებელს მპირდებოდა და უცხაურად მაღელვებდა. ისინი რაღაც ისეთს მანიშნებდნენ, რისი გამოხატვაც სიტყვებით შეუძლებელია. ეტყობა, სტრიკლენდმა მატერიალური სხეულების სელიერი საწყისი აღმოაჩინა, მაგრამ ეს საწყისი ისეთი ბუნდოვანი და უსახო იყო, რომ მხოლოდ გაურკვეველი სიმბოლოებით მოახერხა მისი გადმოცემა. საყაროს ქალაქში მან თითქოს ახალი ფორმა იპოვა და ახლა მოუხერხებლად, წვალებითა და ტანჯვით ცდილობდა მის გამოხატვას. მე მაწინ თვალნათლივ დავინახე მისი ტანჯული სული, რომელსაც უნდოდა ამ გზით მოეპოვებინა შვება და სიმშვიდე.

— მე მგონი, სათანადო ფორმა ვერ გიპოვია შენი სათქმელის გამოსახატავად. — ეუთხარი სტრიკლენდს.

— რას ბოდავ?

— მე ვფიქრობ, რომ რაღაცის თქმა გინდა. რა არის ეს „რაღაცა“, ვერა ვხვდები, მაგრამ ვგრძნობ, რომ იმის გადმოცემა მხატვრობით ძალიან ძნელია.

მივხვდი, რომ ვცდებოდი, როცა ვფიქრობდი, ნახატები დამეხმარება სტრიკლენდის უცნაური ბუნების შეცნობაში-მეთქი. პირიქით, იმათი დათვალიერების შემდეგ კიდევ უფრო განცვიფრებული დავრჩი. ახლა სულ აღარაფერი მესმოდა.

ერთადერთი, რაც აშკარა გახდა ჩემთვის, ის იყო, რომ სტრიკლენდი გაოგნებით ცდილობდა, განთავისუფლებულიყო რაღაც ძალისაგან, რომელსაც მთელი მისი არსება შეებოჭა (თუმცა, ვინ იცის? შეიძლება, ესეც მომეჩვენა). ოღონდ, ის კი არ ვიცოდი, რა ერქვა ამ ძალას და როგორ უნდა განთავისუფლებულიყო მისგან. ყოველი ჩვენთაგანი მარტოდმარტოა ამქვეყნად: ირგვლივ ყრუ გალავანი აქვს შემოვლებული და სხვას მხოლოდ ნიშნებით აგებინებს სათქმელს, მაგრამ ეს ნიშნები ყველას ერთნაირად არ ესმის, ისე რომ, მათ ბუნდოვნად, გაურკვევლად მიაქვთ თავიანთი აზრი მეორე ადამიანამდე. მთელი სიცოცხლის მანძილზე მონდომებით ვცდილობთ გავუნაწილოთ გულის საუნჯე მოძმეს, მაგრამ მათ არ ძალუძთ ამ საუნჯის მიღება და ამიტომ ყოველთვის მარტო ვრჩებით საკუთარ თავთან; გვერდზე მიპყვები ამხანაგს, მაგრამ ეუცხო ხარ; საუბრობთ, მაგრამ ერთმანეთისა არა გესმით რა. ჩვენ თითქოს ყარიბები ვართ და თითქმის ვერ ვახერხებთ ამ უცხო ქვეყნის ენაზე საუბარს; ეამრავი ლამაზი და ბრძნული აზრი გვიტრიალებს თავში, მაგრამ ვერ გამოვთქვამთ და იძულებული ვართ „მოკლე სასაუბრო წიგნიდან“ ამოკითხული წინადადებებით დავკმაყოფილდეთ, ტვინი ლამის აგვიდუღოს ამდენმა ერთი-

მეორეზე უკეთესმა აზრმა, მაგრამ თქმით მხოლოდ დაახლოებით ასეთი ფრაზის თქმა შეგვიძლია: „მებალის დეიდას დარჩა თავისი ქოლგა ოთახში“.

ერთი სიტყვით, საბოლოოდ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ სტრიკლენდი გაშმაგებით ცდილობდა თავისი გულისნადების გადმოცემას და, მივხვდი, რომ სწორედ ამ წარმოუდგენელ, არაადამიანურ [illegible] გულმოდგინებაში უნდა მეძებნა ამ საოცრების განმარტება. [illegible] ფერსა და ფორმას სტრიკლენდი სრულიად თავისებურ მნიშვნელობას ანიჭებდა. მას დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, გადმოეცა ის, რასაც გრძნობდა და საამისოდ ყველა ღონეს ხმარობდა. იგი უყოყმანოდ ამარტივებდა ან ამახინჯებდა ფორმას, ცვლიდა ფერებს, თუკი ამით უფრო ადვილად გადმოსცემდა თავის ბუნდოვან ჩანაფიქრს. ფაქტებს მისთვის არავითარი ღირებულება არ ჰქონდა, რადგან ყამრავ უმნიშვნელო შემთხვევითობათა გროვიდან მხოლოდ იმას არჩევდა, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნდა. სტრიკლენდს თითქოს სამყაროს სული შეეცნო და იძულებული იყო, აუცილებლად გამოესახა იგი. ეს ნაბეტები აოცებდა ადამიანს, მაგრამ, ამავე დროს, აღელვებდა და სულსა და გულს უფორიაქებდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ უეცრად, ჩემდა უნებურად ძალიან შემებრალა სტრიკლენდი.

— ახლა მგონი ვხვდები, თუ რატომ დახეებდი ენებას, რომელიც ბლანშ სტროვმა აღძრა შენს გულში.

— რატომ?

— მხნეობამ გიღალატა. ავად რომ გახდი, სულიც დაგისუსტდა. მე ვიცი, რა სევდა და კაეშანი გიღრღნის სულსა და გულს, რა გაიძულებს მარტოდმარტო დაადგე ამ უცნობი ქვეყნისაკენ მიმავალ ფათერაკებით აღსავსე გზას, სადაც, შენი აზრით, განთავისუფლდები ამ ტანჯვისაგან. შენ ის მწვრილხარ, რომელიც მთელი სიცოცხლე დაეძებს თავის კერპს, კერპს, რომელიც შეიძლება სულაც არ არსებობდეს. მე არ ვიცი, რომელ ღვთაებას გინდა შეეწივთო. გაბა შენ თვითონ კი იცი? იქნებ სიმართლეა და თავისუფლებას მიელტვი, იქნებ ფიქრობ, რომ სიყვარულში ჰპოვებ შვებას? ქალის მკლავებში ეძებდი მყუდრო სავანეს დაღლილი სულისათვის და როცა ვერა ნახე, მაშინვე შეიძულე შენი მიჯნური. სულ არ შეიცოდე იგი, რადგან საკუთარ თავსაც არ ინდობ ხოლმე. შეგვწინდა, ძალიან წეგეშინდა და ინიტომ მოკალი შენი სატრფო. შენ ხომ სულ ახლახან, ძლივს გადაურჩი საშინელ საფრთხეს.

სტრიკლენდმა ცივად გაიღიმა, წვერი მოიჩეჩა და მითხრა:

— ძალიან სენტიმენტალური ხარ, მეგობარო.

ერთი კვირის შემდეგ შემთხვევით შევიტყვე, რომ სტრიკლენდი მარსელი გამგზავრებულიყო. ამის მერე იგი აღარ მინახავს.

თავი ოცდამესამე

ახლა, უკან რომ ვიხედები, ვგრძნობ, რომ ის, რაც ჩარლზ სტრიკლენდზე დავწერე, მკითხველის მოწონებას ვერ დაიმსახურებს. მე ის ამბები და შემთხვევები მოგახსენეთ, რისა მოწმეც თვითონ გახლდით, მაგრამ მაინც ყველა-

ფერი გაურკვეველია, რადგან ის მიზეზები არ ვიცოდი, რომლებმაც ეს შემთხვევები გამოიწვია. მათგან ყველაზე უცნაური — სტრიკლენდის გადაწყვეტილება: მხატვარი უნდა გავხდეო ყველას ახირებად და ჭირვეულობად მოეჩვენა; მაგრამ ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად ჰქონდა, რაღაც, ჩემთვის უცნობი საფუძველი. თვითონ მას არასოდეს არ უთქვამს, თუ რატომ დაიწყო ხატვა.

მე მხოლოდ ფაქტებს აღვნუსხავ. რომანი რომ დამეწერა ამ საინტერესო ადამიანზე, ათასნაირ ახსნას გამოვიგონებდი ამ ახირების ასახსნელად. დავწერდი, რომ სტრიკლენდს ბავშვობიდანვე იტაცებდა მხატვრობა, მაგრამ მამამ სხვა გზა აურჩია, ან ცხოვრებამ აიძულა, ლუკმაპურის შოვნისათვის შეეწირა თავისი ოცნება. აღვწერდი, თუ როგორ უცხოობდა ცხოვრების უღელს, როგორ გააფთრებით ცდილობდა გადაეგდო იგი და ხელოვნებისათვის შეეწირა თავი. ასე რომ მოვქცეულიყავი, დარწმუნებული ვარ, მკითხველი ჩემს გმირს დიდ ადამიანად, კაცობრიობის კეთილდღეობისათვის წამებულ თანამედროვე პრომეთეოსად წარმოიდგენდა და აუცილებლად შეიყვარებდა. ასეთი გმირი ყოველთვის აღელვებს მკითხველს.

ასევე შეშეძლო, სტრიკლენდის გასამართლებელი მიზეზები მისსავე ოჯახურ ცხოვრებაში მეძებნა. აქ მრავალნაირი ვარიანტის პოვნა შეიძლებოდა. ფარული ნიჭი შეიძლება გამოვლენილიყო სტრიკლენდის ცოლის მეგობარ მხატვრებთან და მწერლებთან ურთიერთობის შედეგად. ვითომ ოჯახური გარემო არ აკმაყოფილებდა და ამიტომ საკუთარ ფიქრებსა და მისწრაფებებში ჩაიძირა; ანდა, ისიც შემეძლო მეთქვა, რომ ერთმა სამეჯნურო თავგადასავალმა გაუღვიძა გულში მბეჟუტავი ნაკვერჩხალი. ამ შემთხვევაში სინამდვილისათვის გვერდი უნდა ამეხვია და მისის სტრიკლენდი სულ სხვანაირი დამეხატა. მაშინ იგი წვრილმანი, თავმომაბეზრებელი ან თავისნათქვამა ქალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ქმრის სულიერი ნოხოვნილებები. სტრიკლენდი ვითომ ძალიან იტანჯებოდა ოჯახში და ერთადერთი ხსნა გაქცევა იყო. მე შემეძლო მეთქვა, რომ სტრიკლენდი ყველაფერს უთმობდა თავის აუტანელ ცოლს, ეცოდებოდა იგი და ამიტომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ გალაიგდო ქედიდან ოჯახის მძიმე უღელი. ბავშვებს. რაღა თქმა უნდა, სულ არ ვახსენებდი.

ძალიან მიმზიდველი და ამაღელვებელი იქნებოდა, თუკი სტრიკლენდს ვინმე მოხუც მხატვარს გავაცნობდი, რომელსაც გაჭირვებამ ან ფულის მოხვეჭის სურვილმა ხელი აიღებინა ახალგაზრდულ ოცნებებზე. ამ მოხუცმა, ვითომ, სტრიკლენდს შეატყო დიდი ნიჭი და ჩააცივდა, თუ გინდა ჩემსავით არ დაიღუპო, ყველაფერს მოეშვი და ხელოვნების მკაცრსა და ულმობელ ღმერთს შესწირე თავიო. ეს ადგილი ცოტათი ირონიული უნდა გამოსულიყო: მდიდარი და პატივცემული მოხუცი ცდილობს სხვა დააყენოს იმ გზაზე, რომელზედაც თვითონ ვერ შეძლო ფეხის შედგმა, თუნცა კი შესანიშნავად იცოდა, რომ სწორედ ამისათვის იყო მოწოდებული.

სინამდვილეში ყველაფერი უფრო ჩვეულებრივად მოხდა. სტრიკლენდი სკოლის დამთავრებისთანავე წავიდა სამუშაოდ ბირჟის მაკლერის კანტორაში. ამასთან, თავს სულ არ გრძნობდა დაჩაგრულად და შეურაცხყოფილად. ცოლის თხოვამდე ისევე ატარებდა დროს, როგორც მისი ამხანაგები. ხანდახან

ბირჟაზე თამაშობდა, ზოგჯერ თითო-ოროლა სოვერენს აგებდა დერბიში და ოქსფორდისა და კემბრიჯის დოლებზე. თავისუფალ დროს, მგონი, კრიკეტსაც სწავლობდა; ბუხრის თავზე მისის ლენგრისა და მერი ანდერსონის სურათები ელაგა, „პენჩსა“ და „სპორტინგ ტაიმსს“ კითხულობდა და პემბსტელში დადიოდა საცეკვაოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ცხოვრების პარიზულ პერიოდზე ბევრი არაფერი ვიცოდი, მაგრამ ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. წლები, რომლებიც ფუნჯის დამორჩილებას შეალია, საკმაოდ ერთფეროვანი იყო, ის კი სულ არ არის საინტერესო, თუ რა გზით მოულოობლა ლუკმაპურს, ამ წლების აღწერა რომ მომენდომებინა, უფრო მეტი სტრიკლენდზე კი არა, სხვებზე უნდა მელაპარაკა. თანაც, დარწმუნებული ვარ, რომ ამ პერიოდს არ შეუცვლია სტრიკლენდის ხასიათი. იგი მრავალი ისეთი სცენის მოწმე იყო, რომლებიც შესანიშნავ მასალად გამოდგებოდა პარიზული, სათავგადასავლო რომანისათვის, მაგრამ, როგორც მასთან საუბრისას გამოვარკვიე, თვითონ სულ არ მიუქცევია მათთვის ყურადღება. სტრიკლენდისათვის პარიზი თითქოს არც არსებობდა; ალბათ, იმიტომ, რომ საკმაოდ ხნიერი ჩავიდა იქ და იქაურმა ჯაღომ სულ ალარ იმოქმედა მასზე. უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი პრაქტიკული, ან უფრო მეტიც — საქმიანი კაცი გახლდათ. მისი ცხოვრება იმ დროს მეტად რომანტიკული იყო, მაგრამ სტრიკლენდი სულ ვერა გრძნობდა ამას. ეტყობა, საკუთარი ცხოვრების რომანტიკა რომ იგრძნო, ცოტათი მსახიობი უნდა იყო, ცოტა გვერდზე უნდა გადგე და სხვისი თვალით, ყურადღებით დააკვირდე წვნს მოქმედებას. მაგრამ სტრიკლენდი მხოლოდ ერთ საქმეზე იყო გადამკვდარი და სხვას არაფერს აქცევდა ყურადღებას. სამწუხაროდ, მე არ შემიძლია დაწვრილებით აღვწერო ის ნარ-ეკლით მოფენილი გზა, რომელმაც სტრიკლენდი ხელოვნების მწვერვალზე აიყვანა. მე რომ ამეწერა, თუ რა ვაჟკაცურად იტანდა დამარცხებას, როგორ შეუპოვრად ებრძოდა სასოწარკვეთილებას, რა სიკერპითა და მოთმინებით უძლებდა მხატვრის დაუძინებელი მტრის — ეჭვის მოძალებას, ჩემი რომანის გმირი, ახლა რომ ასე საძულველად გამოიყურება, ნამდვილად მეტად სასიამოვნო პიროვნებად მოეჩვენებოდა მკითხველს. მაგრამ ხელმოსაჭიდი არაფერი მქონდა. სტრიკლენდი არც მე მინახავს მუშაობის დროს და არც სხვას. იგი ბრძოლის დროს არავის ეჩვენებოდა. მარტოდმარტო ერეკინებოდა თავის სახელოსნოში უფლის მიერ გამოგზავნილ ანგელოზს და არც ტკივილს აგებინებდა ვინმეს და არც სიამეს.

ახლა, როცა სტრიკლენდისა და ბლანშ სტროვის ურთიერთობაზე უნდა ვილაპარაკო, ვხედავ, რომ მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფაქტები მაქვს ხელთ. თხრობა რომ დალაგებული და გასაგები გამომსვლოდა, უნდა გამომერკვია, თუ რატომ დასრულდა ესოდენ ტრაგიკულად მათი რომანი, მაგრამ მე სულ არაფერი ვიცი იმ დროიდან მოყოლებული, რაც ისინი ერთად დასახლდნენ. ეს საქმე თვე ბუერუსითაა მოცული ჩემთვის. არ ვიცი, როგორ ცხოვრობდნენ, რაზე საუბრობდნენ. დღე-ღამეში ოცდათხი საათია, ხოლო გრძნობათა მწვერვალის დაპყრობა სულ რამდენჯერმე შეიძლება და ისიც მცირე ხნით. მე მხოლოდ დაახლოებით შემეძლო წარმომედგინა, თუ რაში იყენებდნენ ისინი დანარჩენ დროს. სანამ სინათლე

იყო და ბლანშს პოზირების ძალ-ღონე შესწევდა, სტრიკლენდი ხატავდა. ქალი, ალბათ, საშინლად ბრაზობდა, რომ სტრიკლენდი მხოლოდ თავის საქმეზე ფიქრობდა, რომ ამ დროს ბლანში ქალი კი არ იყოს მისთვის, არამედ მხოლოდ მოდელი. ამას გარდა, კიდევ მრავალი საათი რჩებოდა, როცა ისინი ერთად იყვნენ ოთახში, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. ეს სიჩუმე, ალბათ, ძალიან აფრთხობდა ქალს. სტრიკლენდი ამბობდა, ბლანშმა იმიტომ დატოვა დირკ სტროვი, რომ გაბრაზებული იყო—იმ გაჭირვებაში რატომ დამეხმარაო. ეს რომ ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ, უმალვე უამრავი საზარელი ვარაუდი და მოსაზრება აგვეკვიატება. მაგრამ, იმედია, სტრიკლენდი ცდებოდა. საშინელება იქნებოდა, მართალი რომ იყოს. თუმცა, აბა ვის შეუსწავლია ადამიანის სულის იდუმალი კუნჭულები? რა თქმა უნდა, იმას არა, ვინც წესიერ გრძნობებს ეძებდა იქ. როდესაც ბლანშმა შენიშნა, რომ სტრიკლენდი მხოლოდ ვნების წუთებში აქცევდა ყურადღებას, საშინლად გამწარდა, ხოლო, როცა მიხვდა, რომ სტრიკლენდი ამ წუთებშიაც მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობდა, ყველა ღონე იხმარა, რათა როგორმე მოენადირებინა მისი გული. იგი ცდილობდა მზრუნველობითა და ყურადღებით მიეზიდა სტრიკლენდი და ვერ ამჩნევდა, რომ ამ კაცს არაფრად უღირდა კომფორტი და ადამიანური ცხოვრება. ცდილობდა, საუკეთესო კერძები დაემზადებინა, მაგრამ სტრიკლენდისათვის სულ ერთი იყო, რით ამოივსებდა სტომაქს. ცდილობდა, არ დაეტოვებინა მარტო, მუდამ მზრუნველობითა და ყურადღებით ჰყავდა გარემოცული და როცა მისდამი ლტოლვა დაუცხრებოდა, ცდილობდა, კვლავ გაეღვივებინა იგი, რადგან მხოლოდ მაშინ ეგონა, მისი სულისა და ხორცის სრული ბატონ-პატრონი ვარო. ბლანში ცდილობდა უფრო და უფრო მსხვილი ჯაჭვით დაება სტრიკლენდი, მაგრამ თან იმასაც ატყობდა, რომ ამით მხოლოდ უძლიერებდა განთავისუფლების ინსტინქტს. ქალმა იცოდა, რომ ამ გზით სიარული დაღუპვას უქადდა, მაგრამ გონების ხმას უგულვებელჰყოფდა და მხოლოდ გულის კარნახს ემორჩილებოდა. იგი, ალბათ, ძალზე უბედური იყო, მაგრამ მინდობოდა თავის სიყვარულს, თვითონ აგებდა ოცნების კოშკებს და მერე ნამდვილი ეგონა ისინი. ქალი პირდაპირ აღშფოთებდა სატრფოს და დარწმუნებული იყო, იმასაც ასე გაგიჟებით ვუყვარვარო.

მაგრამ მარტო ფაქტების უქონლობა არ მიშლის ხელს, რომ კარგად ავსახო სტრიკლენდი. მე მხოლოდ იმიტომ ვილაპარაკე ამდენი სტრიკლენდის ურთიერთობაზე ქალებთან, რომ საამისო მასალა უხვად მქონდა. მაგრამ ცხოვრებაში ქალები სულაც არ იყო მთავარი სტრიკლენდისათვის. საოცარია, რომ ეს ურთიერთობანი, რომელთაც სტრიკლენდი თითქმის არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ქალებისათვის ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდებოდა. სტრიკლენდის ნამდვილი ცხოვრება ოცნებებისა და მუხლჩაუკრეფავი შრომისაგან შედგებოდა.

ახლა მივადექით საკითხს: სწორად აღწერენ თუ არა სიყვარულს მხატვრულ ნაწარმოებებში. საქმე ისაა, რომ მამაკაცისათვის, მეტწილად, სიყვარული არ არის მთავარი ცხოვრებაში. ცხოვრებაში უფრო სხვა საქმეებია მთავარი, სიყვარულს მხოლოდ ეპიზოდური როლი აქვს განკუთვნილი. რომანებში კი პირიქით წარმოგვიდგენენ ხოლმე მწერლები, რაც სრულებით არ

შეესაბამება სინამდვილეს. ძალიან ბევრი მამაკაცი აყენებს სიყვარულს ყველაფერზე მაღლა და იაბიც, ჩვეულებრივ, გულმოუსვლელი ადამიანები არიან ხოლმე. ქალები ხომ სიყვარულს ყველაფერზე მაღლა აყენებენ, მაგრამ ასეთი მამაკაცები იმითაც ეჯავრებათ. ქალები თუნცა ცოუნებას ვერარ უძლებენ, ვნებას ვერ უძალიანდებიან, მაგრამ იმასაც გრძნობენ, [illegible] ასეთი მამაკაცები უნიათო და საცოლად არსებებს წარმოადგენენ. [illegible], როცა მამაკაცი, თითქოსდა, თავდავიწყებითაა შეყვარებული, მაგრამ მისი გონება მაშინაც კი ათასნაირ საქმეს აკეთებს. ერთნი იმ საქმეზეა ფიქრობენ, რომელიც ცხოვრების საზრდოს აძლევს, მეორენი სპორტით ან ხელოვნებით არიან გატაცებულნი, უმეტესობა რამდენიმე საქმესაა შეჭიდებული, მაგრამ ამ საქმეებს სათითაოდ აწესრიგებენ და ბრაზობენ, როცა რაიმე მიზეზით იძულებულნი ხდებიან ერთი საქმე მოუთავებელი დატოვონ და სხვაზე გადაინაცვლონ. ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება ის არის, რომ ქალი სულ სიყვარულზე ფიქრობს, მამაკაცი კი — ძალიან დროდადრო.

სქესობრივ ნდომას სტრიკლენდის ცხოვრებაში მეტად მცირე ადგილი ეჭირა. იგი უმნიშვნელო, შემაწუხებელ საქმიანობად მიაჩნდა. სტრიკლენდის სული სულ სხვა მიზნისაკენ ბიილტვოდა. მაგრამ დროდადრო შმაგი, დაუოკებელი ვნების კლანჭებში ექცეოდა, ნდომა მძლავრად ეუფლებოდა მის არსებას და ავსორცობის მორევში ახრჩობდა. მას სძულდა ეს ინსტინქტი, რომელიც მთლიანად იმონებდა. ჩემი აზრით, მას სძულდა თავისი მრუშობის მონაწილეც. როცა კვლავ საკუთარი სულისა და სხეულის ბატონ-პატრონი ხდებოდა, ზიზღით კანკალებდა იმ ქალის დანახვაზე, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ აქეთ დაატკბო. მისი ფიქრები უშფოთველად დაფარფატებდა თავს მეწვიდე ზეცას და ქალი ისე ეზიზღებოდა, როგორც, ალბათ, ყვავილიდან ყვავილზე ნოფარფატე ფრთებნოხატულ პეპელას შეეზიზღება ტმასგაცსი ბუზი, რომლის წიაღშიც სულ ახლახან ნებივრობდა. ჩემი აზრით, ხელოვნება სქესობრივი ინსტინქტის მანიფესტაციაა. ადამიანს ერთი და იგივე გრძნობა ებადება ლაბაში ქალის, მთვარის სხივებით განათებული ნეაპოლის ყურისა თუ ტიციანის „დაკრძალვის" დანახვისას. შესაძლებელია, სტრიკლენდს ეზიზღებოდა სქესობრივი ინსტინქტის ნორმალური გამოვლინება, რადგან იგი იმ სიამოვნებასთან შედარებით, რასაც შენოქმედების პროცესში იღებდა, ნეტად ტლანქი და ვულგარული ეჩვენებოდა. ეს თვითონვე უცნაურად შეჩვენება, რომ ჩემ ნიგრ აღწერილი გულმკვა, თავკერძა, უხეში და ვნებიანი ადამიანი ნამდვილი იდეალისტი გამოდგა, მაგრამ ფაქტები სად ვალეკვეა.

იგი ხელოსანზე ცუდად ცხოვრობდა და ნასზე მეტს მუშაობდა. არაფრად მიაჩნდა კომფორტი და ფუფუნება. ფულს არ აფასებდა. სახელსა და დიდებას არ ეაწრაფოდა. მაგრამ ნუ ავჩქარდებით და ხოტბას ნუ შევასხამთ იმისათვის, რომ ათასნაირ ცდუნებას უმკლავდებოდა და არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა საზოგადოების წინაშე. სინამდვილეში იგი არავითარ ცდუნებას არ განიცდიდა. არასოდეს არ მოაგლია აზრად, რომ ცხოვრებაში რაინდს დათმობა იყო საჭირო. პარიზში ისე განმარტოებულად ცხოვრობდა, თითქოს თებეს უდაბნოში ყოფილიყო ბერად შემდგარი. ხალხისა არაფერი უნდოდა, ოღონდ თავი დაენებებინათ. სტრიკლენდი ერთი მიზნისაკენ მიისწრაფოდა და

მზად იყო არა მარტო თვითონ შესწირვოდა მსხვერპლად ამ მიზანს (ამის უნარი ბევრსა აქვს), არამედ სხვებიც შეეწირა. იგი მეოცნებე იყო.

ჩემი აზრით, სტრიკლენდი ოდითგანვე, მაგრამ, ამავე დროს, დიდი პიროვნება გახლდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი ორმოცდამეოთხე

გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ესმის მხატვარს ხელოვნება. ამიტომ, აუცილებლად მიმაჩნია მოგახსენოთ, როგორ აფასებდა სტრიკლენდი გამოჩენილ მხატვართა შემოქმედებას. თუმცა, წინასწარ უნდა აღვნიშნო, რომ ამაზე ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. სტრიკლენდს ჯერ სულ არ უყვარდა ლაპარაკი და თუ რაიმეს იტყოდა, ისე უთავბოლოდ, რომ ძალიან ძნელი იყო იმის დადგენა, დალაგებული ლაპარაკი სულ არ ეხერხებოდა. დაცინვა კი ძალიან მწარე იცოდა; ამას მკითხველიც მიხვდება, თუ ნე შეეძელი დაახლოებით მაინც დამეცვა მისი საუბრის სტილი. ხუმრობით — ხუმრობდა, მაგრამ ნეტისმეტად ტლანქად. ხანდახან თანამოსაუბრეს იმით აცინებდა, რომ დაუფარავად ამბობდა სიმართლეს. ასეთი იუმორი უჩვეულოა და სწორედ ამიტომ მოქმედებს ასე ძლიერად. სიმართლეს რომ ხშირად ვეუბნებოდეთ ერთმანეთს, ასე ალარ გაგვაცინებდა.

სტრიკლენდი, ჩემი აზრით, დიდი ინტელექტის პატრონი არ იყო და არც მხატვრობაზე საუბრის დროს გამოთქვამდა რაიმე ორიგინალურ თვალსაზრისს. არ მახსოვს, ოდესმე იმ მხატვრებზე ელაპარაკოს, რომელთა ნახატები რაღაცით წაიგავდა მის საკუთარ ნახატებს: სეზანზე, მაგალითად, ან ვან-გოგზე. ის კი არა, მგონი, არც ენახა იმათი ნამუშევრები, საერთოდ, დიდ ყურადღებას აქცევდა იმპრესიონისტებს. მათი ტექნიკა მოსწონდა, წინააღმდეგ, საერთოდ, მიმართულება კი ბანალურად მიაჩნდა. ერთხელ, როცა სტროვმა ალარ დაამთავრა მონეს ქება-დიდება, სტრიკლენდმა ჭკვიანურ, მე უინტერესალტერი მირჩევნია. მე მგონია ეს სტროვის გასაბრაზებლად თქვა და მიაღწია კიდეც მიზანს.

ვწუხვარ, რომ არ შეგიძლია ვაგაცნოთ სტრიკლენდის რაიმე ორიგინალური შეხედულება ძველ მხატვრებზე. საბოლოოდ, არ შეგიძლია გავიხსენო სტრიკლენდის თუნდაც ერთი ლირსშესანიშნავი, ან აზრაჩვეულებრივი თვალსაზრისი რომელიმე ძველ მხატვარზე. ამ ადამიანში იმდენი უცნაურობა იყო თავმოყრილი, რომ სულ არ იყო საკვირველი, ორიოდე ახირებული აზრი გამოეთქვა უფროს კოლეგებზე. გულით მინდოდა, რაიმე ფანტასტიკური თეორია ჰქონოდა თავისი წინაპრების შეწოქმედების შესახებ, მაგრამ, საბოლოოდ, მისი შეხედულებები არაფრით განსხვავდებოდა საერთოდ მიღებული შეხედულებებისაგან. ჩვენი აზრით, ელ გრეკოს სულ არ იცნობდა. ველასკესით აღტაცებული იყო, შარდენი უყვარდა, ხოლო რენბრანდტს ალმერთებდა. მან ისეთი ტლანქი და უხამსი სიტყვებით გადმომცა შთაბეჭდილება, რომელსაც რენბრანდტი ახდენდა მასზე, რომ აქ ვერც კი გავიმეორებ. მაგრამ ყველაფერზე საოცრად ის შეგვენებოდა, რომ სტრიკლენდი ძალიან აინტერესებდა უფროსი ბრეიგელის შემოქმედება. იმ დროს თითქმის არაფერი ეიცოდი ამ

მხატვარზე, სტრიკლენდმა კი ვერ გამაგებინა, თუ რატომ მოსწონდა იგი. მე სწორედ იმიტომ დამამახსოვრდა მისი ნათქვამი, რომ ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა:

„ის ძალიან კარგია. სანაძლეოს დავდებ, ჯოჯოხეთურად წვალობდა".

მოგვიანებით, ვენაში რომ ვიყავი, პიტერ ბრეიგელის [illegible] ნახატი ვნახე და მივხვდი, თუ რატომ მეიქცია ამ მხატვარმა [illegible] ყურადღება. ეტყობა ისიც, სტრიკლენდის მსგავსად, სხვანაირად ხედავდა ქვეყანას. ეაშინ რაღაც-რაღაცა ჩავინიშნე უების წიგნაკში — მინდოდა რამე დამეწერა პიტერ ბრეიგელზე, მაგრამ მერე ის წიგნაკი დამეკარგა და გონებაში მხოლოდ მაშინდელი შთაბეჭდილებები შემომრჩა. მახსოვს, მის ნახატებზე ადამიანები გროტესკულები იყვნენ და იგრძნობოდა, რომ მხატვარიც გაბრაზებული იყო ამით. ცხოვრება სასაცილოსა და საშეზარის ნარევია და მართლაც ღირსია, რომ ადამიანმა სასაცილოდ აიგდოს იგი. მაგრამ მხატვარს არ ეცინებოდა. პირიქით, წუხდა, ნაღვლობდა ამაზე. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ბრეიგელმა ვერ შეარჩია საშუალება თავისი ნააზრევის გადმოსაცემად. იქნებ სწორედ ამიტომ იზიდავდა იგი სტრიკლენდს. ეტყობა, ორივენი ცდილობდნენ მხატვრობით გადმოეცათ იდეები, რომელთა გადმოსაცემად უფრო ლიტერატურა გამოდგებოდა.

სტრიკლენდი იმ დროს ორმოცდაშვიდი წლისა იქნებოდა.

თავი ორმოცდამეხუთე

მე უკვე მოგახსენეთ, ტაიტიზე მოგზაურობა რომ არ გადამეწყვიტა, ალბათ, ეს წიგნი არ დაიწერებოდა-მეთქი. საქმე ისაა, რომ ჯარგა ხნის ხეტიალის შემდეგ სტრიკლენდი ტაიტიზე ჩავიდა და აქ შექმნა ის სურათები, რომლებმაც ასე გაუთქვა სახელი. მე მგონი, ვერც ერთი მხატვარი ვერ ახერხებს, მთლიანად გამოსახოს ტილოზე ის ფიქრები და ოცნებები, რომელთა ტყვეობაში იმყოფება. სტრიკლენდი საშინლად დაღალა ტექნიკასთან ბრძოლამ და, შესაძლებელია, სწორედ ამიტომ იყო, რომ სხვებზე ცუდად მოახერხა იმ ზმანებათა გადმოცემა, რომელთაც მუდამ სედავდა გონების თვალით. ტაიტიზე კი ყველაფერმა ხელი შეუწყო. აქ ბევრი ისეთი რამ ნახა, რამაც გააცხოველა მისი ზეშთაგონება. ამიტომ მისი ბოლო ნახატები ასე თუ ისე გვახვედრებენ, თუ რის ესწრაფოდა მათი ავტორი. ისინი როგორღაც უცხაურად და ახლებურად მოქმედებენ ჩვენზე. თითქოსდა მისმა სულმა, რომელიც აქამდე უსხეულოდ დაქროდა სივრცეში და თავშესაფარს დაეძებდა, ახლა საბოლოოდ შეისხა ხორცი. გაცვეთილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სტრიკლენდმა იქ თავისი თავი იპოვა.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ შორეულ კუნძულზე ჩამოსელისთანავე გამიახლდებოდა ინტერესი სტრიკლენდისადმი, მაგრამ სხვა სამუშაოში ჩავეფალი და იმის გარდა არაფერი მახსოვდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მომივიდა თავში, რომ მისი ცხოვრება ამ კუნძულთან იყო დაკავშირებული. ასეთი გულმავიწყობა არც იყო გასაკვირი. ბოლოს და ბოლოს, იგი ცხრა წლის წინათ გარდაიცვალა, ხოლო მე კი უკანასკნელად თხუთმეტი წლის წინ

ვნახე. გარდა ამისა, ტაიტიმ უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც დამავიწყა და თითქმის მთელი კვირა გაბრუებული მამყოფა. მახსოვს, ჩასვლის მეორე დღეს ალიონზე გავიღვიძე და სასტუმროს აივანზე გამოვედი. აივანზე ერთად ვნახე და საბაზარეულოსაკენ გავემართე, მაგრამ საბაზარეულო დაკეტილი დამიხვდა. კართან, სკამზე, ტაიტელ ბიჭს ეძინა. რაღა გაეწყობოდა, საუზმის იმედი გადავიწყვიტე და ზღვის ნაპირისაკენ წავედი.

ჩინელი ვაჭრები უკვე ფუსფუსებდნენ თავიანთ პატარა დუქნებში; ცას ჯერ კიდევ დილის ბინდი ჰქონდა გადაკრული; ყურეს სამარისებური მდუმარება დაუფლებოდა; ათ მილზე კუნძული მურეა მოჩანდა, მაღალი და იდუმალი, როგორც წმინდა გრაალის კოშკი.

მე საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. ველინგტონის დატოვების შემდეგ ყველა დღე უჩვეულო და განსაკუთრებული იყო. ველინგტონი სუფთა, ლამაზი ინგლისური ქალაქია, თავი ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე ვეგონება. ზღვაში რომ გავედით, ქარიშხალი ატყდა და სამი დღე მძვინვარებდა. ცაზე ტყვიისფერი ღრუბლები მისდევდნენ ერთმანეთს. მერე ქარი ჩადგა და ზღვამ ლურჯი ფერი გადაიკრა. წყნარი ოკეანე სხვა ზღვებზე და ოკეანეებზე უფრო უდაბურია. იგი მართლა რომ უკიდეგანოა და სულ ჩვეულებრივი მოგზაურობის დროსაც ფათერაკს ელოდები. თვითონ ჰაერში ტრიალებს უჩვეულო და მოულოდნელი თავგადასავლის სუნი. მაგრამ, როცა ტაიტი გამოჩნდება, იდამიანს ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს ოცნებათა ქვეყნის ოქროს კარიბჭე გაიღოო. მეზობლად მურეაა, ქვისგან შენიერთული საოცრება, ამაყად ამართული უსაზღვრო ოკეანეში, იდუმალი და ნიუწვდომელი. ეს კბილდეებიანი კუნძული წყნარ ოკეანეში ჩამდგარ ურჩხულს წააგავს და გეჩვენება, რომ პოლინეზიელი რაინდები უცნაურ რიტუალებს ასრულებენ იქ რაღაც უკეთური საიდუმლოს დასაცავად. რაც უფრო უახლოვდები კუნძულს და მკაფიოდ არჩევ ფრიალო კლდეებს, მით უფრო ლამაზად გეჩვენება იგი. კუნძული მტკიცედ იცავს თავის საიდუმლოებას და გვერდით რომ ჩაუელი, თითქოს იკუნტება და მთლიანად ეხვევა ქვის პირქუშ წამოსასხამში. ისიც არ უნდა გაგიკვირდეს, რომ ბრაგებში გასასველელის ძებნისას მურეა ანაზღად გაუჩინარდეს და წინ მხოლოდ დაუბოლოებელი ლურჯი ოკეანე გადაგეშალოს.

ტაიტი მაღალი, მწვანე კუნძულია. ალაგ-ალაგ უფრო მუქი მწვანე ზოლები გასდევს კალთებზე. ზოლები მყუდრო ხეობებია. ამ ხეობათა ბნელ წიაღში ბუნების შეუცნობელი სული ბინადრობს: რაკრაკითა და ქვიდან ქვაზე ხტომით მიედინებიან ყინულივით ცივი ნაკადულები და გრძნობ, რომ აქ ცხოვრება დასაბამიდან გაქვავებულ ჩრდილოვან ბილიკს მისდევს. გრძნობ და შენს გულში შიში და ნაღველი იბუდებს, მაგრამ მალევე გადაგავლის ორივე და ქვლავ თავდავიწყებით გადაეშვები აღტაცებისა და სიხარულის ზღვაში. ეს ის ნაღველია, მასხარას რომ გაუელვებს თვალებში, როცა ხალხი მხიარულად ხარხარებს მის სასულელეზე. მასხარას ტუჩები უცინის, უფრო ლაზათიანად ხუმრობს, მაგრამ უფრო და უფრო სტანჯავს სიმარტოვე და მიუსაფრობა.

ტაიტი გულიმის. ტაიტი გულით გეპატიჟება. იგი საყვარელ ქალსა ჰგავს, უშურველად რომ გიძღვნის ალერსსა და სითბოს.

ტაიტიზე ყველაფერს მაინც პაპიეტეს ნავსადგური სჯობს. ღუზაზე მდგომ

შხუნებს სისუფთავისაგან კრიალი გაუდით, ნაპირზე თეთრი, კოხტა ქალაქია გაშენებული, ალისფერი ტროპიკული ყვავილები ცეცხლივით ანთია ლურჯ-ცის ფონზე და ვნებიან კიბილად ბოსლებია იქაურობას. ისეთი ელვანები და თავშეუკავებელნი არიან, რომ მათ დანახვაზე ლამის სუნთქვა შეგეკრას. გემის მოსვლისას ნაპირზე მხიარული, ლაღი ბრბო გამოეფინება, [illegible], აკვირცხლი, სიცოცხლით სავსე ბრბო. ნაპირს ყავისფერი [illegible] ფარავს: ათასი ფერი ირევა ლურჯად მოელვარე ცის ქვეშ. ერთი ამბით ხსნიან და ამოწმებენ ბარგს, ფუსფუსებენ, ჟრიამულობენ, ყველა გიღიმის. ცხელი, ამდენმა ფერმა ლამის დაგაბრმავოს!

თავი ორმოცდამეექვსე

ტაიტიზე სულ ახალი ჩასული ვიყავი, როცა კაპიტანი ნიკოლსი გავიცანი. იგი თვითონვე მოვიდა ჩემთან ერთ დილას, როცა საუზმეს გეახლებოდით სასტუმროს აივანზე, გამეცინა და მითხრა: გავიგე, ჩარლზ სტრიკლენდია ცხოვრებით ყოფილხართ დაინტერესებული და სწორედ ამაზე მინდა გემუსაიფოთო. ტაიტიც ისეთივე ჭორიანია, როგორც ინგლისური სოფელი. მე ერთიორჯერ მოვიკითხე სტრიკლენდის ნახატები და ეს ამბავი ელვის სიჩქარეთი გავრცელდა მთელ კუნძულზე.

— ხომ არ გისაუბრიათ? — ვკითხე ჩემმა ახალ ნაცნობს.

— როგორ არა. დილას ყავა გეახელით, მაგრამ ორიოდე ყლუპ ვოსკიზე კი ნამდვილად არ ვიტყოდი უარს...

ჩიხელი ბიჭი ვიხმე, ოთხ ვისკი შემოეკვეთა.

— ვითომ ადრე ხომ არ არის დალევა? — მკითხა კაპიტანმა.

— მაგაზე საკუთარ დროს მოელაპარაკეთ, — მივუგე მე.

— ისე, საერთოდ, დალევას წინააღმდეგი ვარ, — ღიმილით შენიშნა კაპიტანმა, როცა ჭიქა თითქმის სანახევროდ აავსო კანადური ვისკით. ღიმილის დროს ჩაყვითლებული და ჩაჩტვრეული კბილები უჩანდა. კაპიტანი საშუალო ტანის, კაფანდარა კაცი გახლდათ. მოკლედ შეკრეჭილი ჭალარა თმა და ასევითვე ფერის ხეშეში ულვაშები ჰქონდა. ეტყობოდა, ორი დღე მაინც იქნებოდა, რაც პირი არ გაეპარსა. ზზით დამწვარი, ყავისფერი სახე ღრმა ნაოჭებით დალარეოდა. წვრილ ლურჯ თვალებში საოცარი ცბიერება ეხატებოდა. ეს თვალები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ ჩემს უმცირეს მოძრაობასაც კი და წაშინვე მივხვდი, რომ ნათი პატრონი გვარიანი გაიძვერა იყო, თუმცა ახლა თავგამოდებით ცდილობდა გულღია და სანდო კაცად მოეჩვენებინა ჩემთვის თავი. ტანზე ბინძური მოთეთრო კოსტიუმი ეცვა, ხელებს კი ძალიან მოუხდებოდა ერთი კარგი დაბანა.

— სტრიკლენდს კარგად ვიცნობდი, — დაიწყო მან, როცა საკარძლის საზურგეს მიეყრდნო და ჩემ მიერ შეთავაზებული სიგარა გააბოლა, — ამ კუნძულზე ჩემი წყალობით ნოხვდა.

— პირველად სად გაიცანით?

— მარსელში.

— იქ რას საქმიანობდით?

კაპიტანნა პირფერულად გამიღიმა და მიპასუხა:

— სწორე გითხრათ, სულ უსაქმოდ გახლდით.

ჩემი ახალი მეგობრის გარეგნობა მეტყველებდა, რომ არც ახლა ეყო უკეთეს დღეში.



გადავწყვიტე: გავემტკიცებინა ეს სასარგებლო ნაცნობობა. [illegible] მაწანწალები ყოველთვის ანაზღაურებენ იმ მცირე ხარჯებს, [illegible] ურთიერთობის დროს ვწევთ. ისინი ადვილად გიმეგობრდებიან, ყოველთვის მზად არიან სამსახურისთვის: არასოდეს არ იბღვირებიან და საკმარისია სასმელი წესთავაზო, რომ მაშინვე გაგიღოს გულის კარები. სულ არ გიძნელდებათ იმათთან დაახლოება, ხოლო თუკი იმათ ენამზეობას ყურს არ მოარიდებთ, ბოლოანად ნოვენლობიან და მადლიერიც კი დაგრჩებიან. საუბარი ძალიან უყვართ, თანაც ამ საუბრის დროს ყოველნაირად ცდილობენ თავი გაანებლებულად მოგაჩვენონ. ისინი, ნეტწილად, წესახიანი მთხრობელები არიან, რადგან ცხოვრების გამოცდილებაც დიდი აქვთ და არც ფანტაზია აკლიათ. პატიოსნებითა და პირიანობით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ კანონს საკმაოდ სცემენ პატივს, მით უმეტეს, თუ ამ კანონს ძალა უმაგრებს ზურგს. იმათთან პოკერის თამაში სახიფათოა, მაგრამ ძალიან მარჯვედ იქცევიან და ეს კიდევ უფრო ნეტ ეშხს აძლევს ამ საუცხოო თამაშს.

ტაიტიზე ყოფნისას კარგად გავიცანი კაპიტანი ნიკოლსი და არც მიზარალია. მე მიმაჩნია, რომ ჩემი ნაყიდი სიგარები, ვისკი (კოკტეილზე მან, როგორც ალკოჰოლიანი სასმელების მტრებსა სჩვევიათ, თავიდანვე გადაჭრილი უარი განაცხადა) და ის რამდენიმე დოლარი, რომელიც ასეთი გამომეტყველებით გამოსართვა, თითქოს აქეთ მცემდა პატივს, არც კია სახსენებელი ამ სამსახურთან, რომელიც კაპიტანმა ნიკოლსმა გამიწია: იგი მართობდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ტაიტიზე დავყავი. არა, მე ნამდვილად დავალებული ვარ მისგან და უფლება არა მაქვს, რომ ორიოდე სტრიქონით მოვიშორო თავიდან.

არ ვიცი, რატომ შეშინებია კაპიტანი ნიკოლსი ინგლისს. ამ საკითხს მუდამ დუმილით უვლიდა გვერდს და მეც არ ჩავძიებივარ, რადგან ვიცოდი, რომ მისი ყაიდის ხალხში ჯიქური კითხვა მაინცდამაინც დიდ თავაზიანობად არ ითვლება. ისე, ნარეთაულებით კი მიმახვედრა, რომ თვითონ სულ არ იყო დამნაშავე თავის უბედურებაში და რომ, საერთოდ, უსამართლობის მსხვერპლად მიაჩნდა თავი. მივხვდი, რომ ლაპარაკი თაღლითობასა თუ ძალადობაზე იყო და დიდი ამბით ვუკრავდი ყველს, როცა მეტროპოლიის მოხელეთა ჯოჯოხეთურ უსულგულობაზე წამოიწყებდა ლაპარაკს. სამაგიეროდ, ძალიან სასიამოვნო იყო ისია გაგება, რომ საშშობლოში გადატანილ უბედურებათა მიუხედავად, მგზნებარე პატრიოტად დარჩენილიყო. კაპიტანი ნიკოლსი ხშირად მეუბნებოდა: „ინგლისს, სერ, არც ერთი ქვეყანა არ შეედრება მსოფლიოშო“ და ყოველ წუთს მაგრძნობინებდა, ყველა ამ ამერიკელზე, დაგოზე, ჰოლანდიელსა და კანადელზე უკეთესი ვარო. მაგრამ კაპიტანი ნიკოლსი ბედნიერ კაცად მაინც არ ჩაითვლებოდა, რადგან კუჭის სიმჟავე დაქვეითებული ჰქონდა და პეპსინის აბებს წუწნიდა ხოლმე. გარდა ამისა, ღილაობით მადა არა ჰქონდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს უმადობა სულ არ უფუჭებდა გუნებას. მას უფრო დიდი მიზეზი ჰქონდა საიმისოდ, რომ ნაწყენი ყოფილიყო

ამ ცხოვრებაზე. ეს მიზეზი კი ის გახლდათ, რომ რვა წლის წინათ დაუფიქრებლად შეერთო ცოლი. ქვეყნად არიან ადამიანები, რომელთაც მოწყალე ზეცამ მარტოხელობა გადაუწყვიტა, მაგრამ საკუთარი სიჯიუტისა თუ რალაც წინაანგარიშგაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო არღვევენ ზეგოდეთ ბრძანებას და ცოლს ირთავენ. ქვეყნად ამისთანა კაცზე საცოლეა [illegible] და კაპიტანი ნიკოლსი ერთ-ერთი ამათგანი გახლდათ.

ბიბლიოთეკა

მე გავიცანი მისი ცოლი. იგი ოცდაათ წელს იქნებოდა მიღწეული, თუმცა, ისეთი ქალი იყო, რომელთა ასაკს ადვილად ვერ დაადგენ: ოცი წლისაც ასეთი იქნებოდა და, ალბათ, არც ორმოცი წლისა შეიცვლებოდა დიდად. მე მეჩვენებოდა, რომ ეს ქალი, როგორლაც, სულ გადაგლეჯილ-გადატეხილი იყო. სადა სახე და თხელი ტუჩები მუდამ დაძაბული ჰქონდა, კანი მაგრად გადასჭიმვოდა სხეულზე, ღიმილი ნაძალადევი იცოდა, თმა ალოკილს მიუგავდა და ტანზეც შემოტეხილი კაბა ეცვა. ვერაფრით ვერ მივმხვდარიყავი, თუ რატომ შეირთო იგი კაპიტანმა ნიკოლსმა და თუ შეირთო, რატომ არ გაშორდა. თუმცა, ალბათ, ერთადერთ შეეცადა და სწორედ იმიტომ იყო ასეთი სევდიანი, რომ დღემდე ვერ მიეღწია მიზანს. დარწმუნებული ვარ, ქვეყნის დასალიერში მიდიოდა და ეკვესკნელში იმალებოდა, მაგრამ ეს ბედიცით ადევნებული და სინდისიერი დაუნდობელი ქალი ყველგან პოულობდა. იგი ისევე ვერ მოიშორებდა ამ ქალს, როგორც ბედეგი ვერ მოიშორებს მიზეზს.

თალლითი, ხელოვნისა და აგრეთვე ჯენტლმენის მსგავსად, არც ერთ კლასს არ ეკუთვნის. მას ვერც მაწანწალის თავხედობა გააკვირვებს და ვერც კარის მტკიცე ეთიკეტი. მაგრამ მისის ნიკოლსი იმ ცნობილ კლასს ეკუთვნოდა, რომელსაც საშუალოზე დაბლა მდგომს უწოდებენ. მამა პოლიციმენი ჰყავდა და, რამდენადაც მიეხვდი, საკმაოდ მარჯვე და გერგილიანი.

არ ვიცი, რითი მიიზიდა მისმა შვილმა კაპიტანი ნიკოლსი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ აქ სიყვარული არაფერ შუაში იყო. მე არასოდეს გამიგონია ამ ქალის ხმა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ოჯახში კარგა გრძელი ენა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში კაპიტანს ცეცხლივით ეშინოდა მისი. ხანდახან, სასტუმროს აივანზე რომ ვისხედით ხოლმე, კაპიტანი ნიკოლსი ქუჩაში თავის ცოლს მოჰკრავდა თვალს. ქალი აივანს ისე აუვლ-ჩაუვლიდა, რომ არც კი ამოგვხედავდა. იგი ვითომ ვერც კი გვამჩნევდა, მაგრამ კაპიტანს საშინელი მოუსვენრობა შეიპყრობდა. რამდენჯერმე დაიხედავდა საათზე და ბოლოს ოხვრით ამოილაპარაკებდა, რა გაეწყობა, უკვე ჩემი წასვლის დროც მოსულაო. ამას იტყოდა და, თოკით რომ დაგვება, აღარ დადგებოდა. ვისკიც კი აღარ ჭრიდა. არადა, ამ კაცს არც გრიგალი აშინებდა, არც ტაიფუნი და მარტო ერთი რევოლვერით მთელ დუქან უიარაღო ზანგს შეებრძოლებოდა. ხანდახან მისის ნიკოლსი თავის ქალიშვილს, შვიდი წლის, უფერულ, კუშტ ბავშვს გამოგზავნიდა ხოლმე სასტუმროში.

— დედამ — მოდიო, — დაიწიკვინებდა ბავშვი.

— ახლავე, ჩემო კარგო, — ეტყოდა ხოლმე კაპიტანი ნიკოლსი, მაშინვე ფეხზე წამოვარდებოდა და ბავშვს მიჰყვებოდა. ჩემი აზრით, ეს შესანიშნავი მაგალითია იმის დასამტკიცებლად, რომ სული ყოველთვის სძლევს მატერიას. ცოტათი გადავუხვიე სათქმელს, მაგრამ რაც მოგახსენეთ, მე მგონი, ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს.

თავი ორმოცდამეშვიდე

მე შევეცადე, ერთმანეთთან დამეკავშირებინა კაპიტანი ნიკოლსის მიერ სხვადასხვა დროს მონაყოლი ამბები და ახლა, მგონი, შეიძლება, რომ თანმიმდევრულად გადმოგცეთ ისინი. კაპიტანმა ნიკოლსმა დანიელ ერთმანეთი იმ წლის ზამთარში გაიცნეს, როცა მე უკანასკნელად შეეხვედი სტრიკლენდს პარიზში. არ ვიცი, როგორ ცხოვრობდა იგი იმ რამდენიმე თვეს, რაც ჩვენი ბოლო შეხვედრიდან ნიკოლსთან შეხვედრამდე გავიდა, მაგრამ, ეტყობა, ძალიან გაუჭირდა, რადგან კაპიტანმა ნიკოლსმა იგი ღამის გასათევ სახლში გაიცნო. მარსელში იმ დროს გაფიცვა იყო და მთლად უსახსროდ დარჩენილმა სტრიკლენდმა იმ მცირეოდენი თანხის გაკეთებაც ვერ შეძლო, რომელიც სულის მოსაბრუნებლად ჰყოფნიდა ხოლმე. მარსელის ღამის გასათევი სახლი უზარმაზარ ქვის შენობაშია მოთავსებული. აქ ღარიბებსა და უმუშევრებს ერთი კვირის განმავლობაში აძლევენ ღამის გათევის უფლებას, თუკი ბერებს საბუთებს წარუდგენენ იმის დასამტკიცებლად, რომ მუშები არიან. კაპიტანმა ნიკოლსმა მაშინვე შეამჩნია კარის გაღების მომლოდინე ბრბოში უჩვეულო შესახედაობის ბრგე მამაკაცი. ხალხი უხმოდ იცდიდა. ზოგი ბოლთას სცემდა, ზოგი კედელს მიყრდნობოდა, ზოგი კი ქვაფენილის კიდეზე ჩამომჯდარიყო და ფეხები არხში ჩაეკიდა. ნელე ისინი კანტორაში შეუშვეს. ბერმა სტრიკლენდის საბუთებს რომ გადახედა, ინგლისურად ჰკითხა რაღაც, მაგრამ კაპიტანს იმ დღეს საშუალება არ მიეცა, გამოლაპარაკებოდა, რადგან ყველანი ერთ დიდ დარბაზში შეყარეს, სადაც მაშინვე ვიღაც ბერი შემოვიდა უზარმაზარი ბიბლიით ხელში. კითედრას მიაშურა და ქადაგება დაიწყო. საწყალი უმუშევრები იძულებულნი იყვნენ ღამის გათევის საზღაურად ეს მოსაბეზრებელი ქადაგებანი მოესმინათ. სტრიკლენდი და კაპიტანი ნიკოლსი სხვადასხვა ოთახში გაანაწილეს. დილის სუთ საათზე ვიღაც ახოვანმა ბერმა ჩამოიარა და ყველა წამოყარა ლოგინიდან. კაპიტანმა საწოლი გაასწორა, პირი დაიბანა და სტრიკლენდი შეათვალიერა, მაგრამ იგი უკვე გაუჩინარებულიყო. კაპიტანმა ერთ საათს ქუჩაში იხეტიალა იმ მწარე სიცივეში, მერე ვიქტორ ყელიუს მოედნისაკენ გეემართა, სადაც ჩვეულებრივ იკრიბებიან ხოლმე უმუშევარი მეზღვაურები. აქ კვლავ დაინახა სტრიკლენდი. იგი ძეგლს მიყრდნობოდა და თვლემდა. კაპიტანმა მუჯლუგუნით გამოაფხიზლა და უთხრა:

— წამო, ძმობილო, ვისაუზმოთ!

— მომწყდი თავიდან!

მე ვიცანი ჩემი მეგობრის ლაკონური სტილი და კაპიტან ნიკოლსს უფრო მეტი ნდობით მივაპყარ ყური.

— გაიჭედე? — ჰკითხა კაპიტანმა.

— გადაშენდი აქედან, — დაუღრინა სტრიკლენდმა.

— წამომყევი, რაიმე საჭმელს გიშოვნი.

სტრიკლენდი ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ მერე გადაწყვიტა და ზლაზვნით გაჰყვა. ორივენი იმ სასადილოში შევიდნენ, სადაც უფასოდ იძლეოდნენ პურის ნატეხს, ოღონდ იმ პირობით, რომ იქვე შეეჭამათ. აქედან „ერთი ჩამჩა

წვნიანისაკენ" გაემართნენ. აქ დამშეულებს შეეძლოთ ღღეში ორჯერ — თერთმეტსა და ოთხ საათზე, ერთი თეფში თხელი, მლაშე წვნიანი ძაღლთათვის.

ეს ორი სასადილო საკმაო ზანზილით არის დაშორებული ერთმანეთს და ძალიან ადვილია გაგიოდეს, რომ ორივე მოიაროთ. ასე ისაუზმეს ბერლინ სტრიკლენდმა და კაპიტანმა და ამით საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ მეგობრობას.

ეს თავისებური მეგობრობა სულ ოთხიოდე თვეს გაგრძელდა. ეს ოთხი თვე ორივემ მარსელში გაატარა. დიდი თავგადასავალი არც ერთს არ გადახდენია თავს, თუ თავგადასავლად რაიმე უჩვეულო და მოულოდნელი შემთხვევას მივიჩნევთ. ორივენი ღღედაღამ იქის ფიქრსა და ცდაში იყვნენ, რომ ღამის გასათევი და მუცლის ყურების დასაცხრომი ფული ეშოვათ. ნეტა შეძლოს, რომ თქვენც დაგანახვოთ ის ფერადი, ცოცხალი სურათები, რომლებიც მე თვალნათლივ დავინახე. როცა კაპიტანი ნიკოლსი მარსელში გატარებულ ღღეებზე მელაპარაკებოდა. ყველაფერი რომ ამეწერა, რაც ამ ორმა ადამიანმა გადაიტანა ამ ზღვისპირა ქალაქის „უბეკერზე", შესანიშნავი წიგნი გამოვიდოდა, ხოლო იმ ხალხის ნალაპარაკევიდან, რომელიც მათ ირგვლივ ტრიალებდა, ენათმეცნიერი ჟარგონის სქელტანიან ლექსიკონს შეადგენდა. მაგრამ მე იძულებული ვარ, ნახევლად რამდენიმე ეპიზოდით დავკმაყოფილდე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ისინი მეტად დაძაბულ, უხეშ, ბირველყოფილ და ძიუპვენარ ცხოვრებას ეწეოდნენ და ჩემი ნაცნობი ხმაურიანი მარსელი თავისი კოსმოპოლიტიბელური ოტელებითა და მდიდრებით გადავსებული რესტორნებით, უცებ სულ სხვანაირი — უსიცოცხლო და ბანალური გახდა. შევნატრი იმ ხალხს, რომელთაც საკუთარი თვალით უნახავთ კაპიტან ნიკოლსის მიერ აღწერილი სურათები.

როცა ღამის გასათევი სახლის კარი მიუხურეს, სტრიკლენდი და კაპიტანი ნიკოლსი „ულბიკი ბილიკ" სტუმართმოყვარეობას ნიენდნენ. ეს ბილი ნეზღვაურია სასადილოს პატრონი იყო, ერთი ვირგლა, მუშტმაგარი მულატი. იგი საკვებსა და თავშესაფარს აძლევდა „მეჩეჩეზე დარჩენილ" მეზღვაურებს და საბოლოოდ სამუშაოზეღაც აწყობდა ხოლმე მათ. სტრიკლენდმა და კაპიტანმა ნიკოლსმა მთელი თვე იცხოვრეს მასთან, იატაკზე ეძინათ შვედ, ბრაზილიელ, ზანგ მეზღვაურებთან ერთად (მეზღვაურთათვის ორი ცარიელი ოთახი იყო გამოყოფილი) და ყოველღამე ვიქტორ ჟელიეს მოედანზე იყვნენ დარეკილი. ამ მოედანზე გემის კაპიტნები მოდიოდნენ ეკიპაჟის შესაკრებად. უხიაკ ბილს ცოლად ამერიკელი ქალი ჰყავდა, ერთი ფაშფაშა, ბინძური დედაკაცი, რომლის აზეთი დაკნინებისა და გადაგვარების მიზეზი არავინ იცოდა. ეს დედაკაცი რიგრიგობით იმვეყლიებდა თავის მდგმურებს საოჯახო საქმეებში. კაპიტან ნიკოლსის აზრით, სტრიკლენდი მარჯვედ დაუძვრა ამ მოვალეობას — იმის ნაცვლად, რომ იატაკი მოეხეხა, უხიაკ ბილის პორტრეტი დახატა. სასადილოს პატრონმა ტილო, საღებავები და ფუნჯები უყიდა და ერთი გირვანქა კონტრაბანდული თამბაქოც აჩუქა. ჩემი ვარაუდით, ეს სურათი, ალბათ, ახლაც ამშვენებს სანაპიროს მახლობლად ნდგომი ნახევრად დანგრეული სახლის სასტუმრო ოთახს და ახლა, სულ ცოტა, ათას ხუთასი გირვანქა სტერლინგი ღირს.

სტრიკლენდს უნდოდა ავსტრალიის ან ახალი ზელანდიისაკენ მიმავალ გემზე მოწყობილიყო სამუშაოდ და ტაიტიზე ან სამოაზე ჩამომხდარიყო. არ

ვიცი, რატომ გადაწყვიტა სამხრეთის ზღვებისაკენ წასვლა, ისე კი მახსოვს, რომ მუდამ ოცნებობდა ეცხოვრა რომელიმე წწყვანე, მზიან კუნძულზე, რომელსაც ირგვლივ ლურჯი ზღვა ექნებოდა შემორტყმული, უფრო ლურჯი, ვიდრე ჩრდილო განედებშია. მე მგონი, სწორედ ამიტომ [illegible] კაპიტან ხაკოლსა, რომ იგი კარგად იცნობდა ამ მხარეს. ალბათ, [illegible] კაპიტანმა დაარწმუნა, რომ ყველაზე კარგად ტაიტიზე მოეწყობოდა.

— ტაიტი ხომ ფრანგებისაა და ისინი ისე ჯოჯოხეთურად წერილმანები არ არიან, — ამიხსნა კაპიტანმა ნიკოლსმა.

ნიკოლი, თუ რისი თქმა უნდოდა კაპიტანს.

სტრიკლენდს მეზღვაურის საბუთები არა ჰქონდა, მაგრამ უხიაკ ბილს ამისთანა დაბრკოლება არაფრად ნიაჩნდა, მით უმეტეს, როცა საბოლოოდ საქმეს გამოელოდა (იგი პირველი თვის სელფასს ითხოვდა იმ მეზღვაურს, რომელსაც სამუშაოზე წოიწყობდა). ბედად იმ დროს ერთი ინგლისელი ცეცხლფარეში გარდაიცვალა და ბილმა იმისი საბუთები მისცა სტრიკლენდს. ნაგრამ ორივენი, სტრიკლენდიც და კაპიტანი ნიკოლსიც ალმოსავლეთისაკენ მიიღტვოდნენ, საქმეთა კი მხოლოდ იმ გემებზე იყო, რომლებიც დასავლეთში ეშვა წასულიყვნენ.

ორჯერ გაჩნდა ადგილი ანგლიის წვერთებულ მტაცებებში, ხოლო მესამედ—სიუკასტლში მიმავალ გემზე (ეს უკანასკნელი ქვანახშირს ეზიდებოდა) და სტრიკლენდმა სამივეჯერ უარი თქვა. უხიაკ ბილი ჯიუტებს ვერ იტანდა, მით უმეტეს, როცა ეს ჯიუტობა ზარალსაც აყენებდა და ორივენი კინწისკვრით გამოყარა თავიანთ სახლიდან. სტრიკლენდი და კაპიტანი ნიკოლსი კვლავ ულუკმაპურობდ დარჩნენ.

უხიაკ ბილის ნაცნობი სიუხვითა და მაწყალობით არ გამოირჩეოდა. მშიერი კაცი იქ სტუმარს ვერ ამოიყლეპდა, მაგრამ სტრიკლენდი და კაპიტანი მაინც კარგა ხანს სინანულით იხსენებდნენ ინგლიურობას. ახლა კარგად გაიგეს, რას ერქვა ნამდვილი შიმშილი. „ღამის გასათევი სახლი" და „ერთი ჩამჩა წვნიანი" მათთვის დაკეტილი აღმოჩნდა და მხოლოდ „პურის ნაჭრის" მოწყალების ანაბარა დარჩნენ. ძალით სადაც მოხვდებოდათ, იქ ეძინათ — ხან ჩიხში ჩაყენებულ სანაგვე ვაგონში, ხან საწყობებს უკან მიტოვებულ ფიცრებში, მაგრამ სასტიკი ყინვა იდგა და ერთ-ორ საათს რომ მოატყუებდნენ თვალს, ისევ ქალაქში უნდა გამოვარდნილიყვნენ და სირბილი დაეწყოთ გასათბობად. ყველაზე უფრო კი თამბაქოს უქონლობა აწუხებდათ. კაპიტანი ნიკოლსი ხომ სულ ვერ ითმენდა მოუწევლობას, ლუდის ბარებში დადიოდა საწოვარზე და მართლაც ბოულობდა შეგვიანებული მოეიფეების მიერ გადაყრილ ნამწვავებს.

— ათასაბინძური ნაგვით ვტენიდი ჩიბუხს, — ჩაილაპარაკა კაპიტანმა ნიკოლსმა და ცოტა ხანს ფიქრიანად აკანტურა თავი. მერე ორი სიგარა ამოიღო ჩემი სათუთუნედან, ერთი პირში გაიჩარა, ბეორეს კი ჯიბეში უკრა თავი.

დროდადრო საფოსტო გემს გადმოტვირთავდნენ და ცოტაოდენ ფულს შოულობდნენ. ეს მაშინ ხდებოდა, როცა კაპიტანი ნიკოლსი გემის ბოცმანის გაცნობას მოახერხებდა. ხანდახან ინგლისელი გემებზე შეიპარებოდნენ და მსუყედ ისადილებდნენ. ეს ცოტა სახიფათო იყო, რადგან გემის ოფიცერს რომ მოხვედროდნენ თვალში, ისეთ პანღურს მიიღებდნენ, რომ სულ კოტრიალ-კოტრიალით გადაბრძანდებოდნენ ნაპირზე.

— თუ მუცელი ამოყორილი გაქვს, პანლური ვერაფერს დაგაკლებს, — შენიშნა კაპიტანმა ნიკოლსმა, — ჩემდა თავად, მაინცდამაინც არა მწყინდა. ოფიცრებს თვალი უნდა ეჭიროთ, რომ გემზე წესრიგი იყოს.

მე ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ პანლურამოკრული კაპიტანი, ვიწრო ტრაპზე რომ მიგორავდა და თან, როგორც ჭეშმარიტ ინგლისელს შეეფერება, აღტაცებული იყო ნმობლიური სავაჭრო ფლოტის მტკიცე დისციპლინით. იმვიადად თვვზეულის ბახარხეც შოულობდნენ სამუშაოს. ერთხელ ფორთოხლით სავსე უთვალავი ყუთი გადმოტვირთეს პლატფორმებიდან და თითოთითო ფრანკი გააკეთეს. ერთ დღეს კი ქუდბედა დაეცათ: ერთმა მოიჯარადრემ მადაგასკარიდან კეთილი იმედის კონკის შემოვლით მოსული გემის შეღებვა ითავა და ორივე აიყვანა მუშებად. რამდენიმე დღის განმავლობაში თოკებით იყვნენ ჩამოკიდებულნი და გემის დაჟანგულ კორპუსს ღებავდნენ. სტრიკლენდი ამ დროს, ალბათ, თავისებურად, მწარედ ხუმრობდა. მე ვკითხე კაპიტანს, გაჭირვებაში როგორ იქცეოდა-მეთქი.

— არ მახსოვს, რომ დაეწუწუნოს, — მიპასუხა მან. — ხანდახან კი მოიქუფრებოდა, მაგრამ, როცა დილიდან ნაწილი არ გვქონდა პირში ჩაშვებული და „ჩინურ ხუხულაში“ ღამის გასათევი ფულიც არ მოგვეძებოდა ჯიბეში, ისე მხიარულად იყო, თითქოს არაფერი აქვს საფიქრალით.

ამან სულ არ გამაოცა. სტრიკლენდი გაჭირვებაში არასოდეს არა ჰკარგავდა მხნეობას. ძნელია იმის თქმა, თუ რა იყო ამის მიზეზი — თანდაყოლილი სიმშვიდე თუ სიჯიუტე და შეუპოვრობა.

„ჩინურ ხუხულას“ ბუტერის ქუჩაზე მდებარე საცოდავ სასტუმროს ეძახდნენ ნავსადგურში მოყიალე უმუშევრები. ამ სასტუმროს პატრონი, ცალთვალა ჩინელი, საწოლს ექვს სუდ აქირავებდა, ხოლო ვისაც ამდენი არა ჰქონდა, სამ სუს იხდიდა და იატაკზე ათევდა ღამეს. აქ რამდენიმე თავიანთნაირი გაუბედურებული კაცი გაიცნეს. როცა ჯიბე ცარიელი ჰქონდათ და გარეთ სუსხიანი ღამე იდგა, ეს ახალი ნაცნობები ასესხებდნენ ხოლმე დიდი წვალებით ნაშოვნ ფულს. ეს საცოდავები სულ არ იყვნენ ძუნწები და უყოყმანოდ უნაწილებდნენ ერთმანეთს უკანასკნელ სუებს. ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ, გულწრფელად ემეგობრათ ერთმანეთთან. ყოველი მათგანი თავს ერთი სახელმწიფოს, კოკაინის უკიდეგანო სამეფოს თავისუფალ მოქალაქედ თვლიდა.

— სამაგიეროდ, საშინელი გაბრაზება იცოდა, — დაარღვია სიჩუმე კაპიტანმა ნიკოლსმა, — ერთ დღეს მოედანზე უხიაკ ბილს შევეჩეხეთ. ბილმა უთხრა, ჩემი მოცემული საბუთები მომიტანეო.

„შენ თვითონ წამოიღე, თუ ასე ძალიან გჭირდება“, — უთხრა სტრიკლენდმა.

— ეს ბილი ჯანიანი ვინმე იყო, თანაც ჩარლის გამოხედვა არ მოეწონა და გულიანი გინება დაუწყო. იმის-გინების მოსმენა კი ერთ რამედ ღირდა. ჩარლიმ ცოტა ხანს ითმინა, მერე წინ წაიწია და შეუღრინა: „აბა, აქედან მოწყდი, შე, ბინძურო ღორო“. იმას კი არა აქვს შნიშვნელობა რა უთხრა, არამედ იმას, თუ როგორ უთხრა. უხიაკ ბილს ხმა-კრინტი ალარ დაუძრავს, ზაფრანასავით გაყვითლდა და ისე მოკურცხლა, თითქოს პაემანზე აგვიანდებაო.

კაპიტან ნიკოლსის სიტყვით, სტრიკლენდმა სულ სხვანაირად მიმართა

უხიაკ ბილს, მაგრამ რამდენადაც ეს წიგნი ოჯახში საკითხავადაა განკუთვნილი, ვამჯობინე სიმართლისათვის მეღალატა და ის გამოთქმა მეხმარა, რომელსაც ოჯახში ხშირად ხმარობენ ხოლმე.

მაგრამ უხიაკი ბილი ისეთი კაცი არ იყო, რომ ასეთი დამცირება აეტანა უბრალო მეზღვაურისაგან. მისი ძალაუფლება პრესტიჟზე, ფულ, დამოკიდებულ- ლი და მალე ბილის სახლში გაჩერებულმა მეზღვაურებმა ამბავი ნიუტანეს სტრიკლენდს. ბილი მოკვლით გემუქრებაო.

ერთ საღამოს სტრიკლენდი და კაპიტანი ნიკოლსი ბუტერის ქუჩაზე მდე- ბარე რომელიღაც ბარში ისხდნენ. ამ ვიწრო ქუჩაზე სულ ერთსართულიანი სახლებია, თანაც ეს სახლები ყველა თითოოთახიანია. ისინი ბაზარში ჩამწკ- რივებულ ფარდულებსაც ჰგვანან და ცირკის ცხოველების გალიებსაც. ყოვე- ლი სახლის კარებში ქალი დგას. ზოგი ზარმაცად მიყრდნობია კარის ჩარჩოს, რალაც სიმღერას ღიღინებს და ჩახლეჩილი ხმით ეპატიჟება გამვლელს, ზოგი უწადინოდ კითხულობს წიგნს. აქ ყველა ეროვნების ქალს ნახავთ—ფრანგს, იტალიელს, ესპანელს, იაპონელს, ზანგს... სქელს, გაბხდარს; სახეზე სქლად უსვიათ ნელსაცხებელი, წარბები დახატული აქვთ, ტუჩები შეღებილი, მაგრამ ხანი და სიმრუშის კვალი მაინც ეტყობათ. ზოგს შავი ქვედატანი და ხორცის- ფერი წინდები აცვია, ზოგს ყვითლად შეღებილი თმა დაუხვეია და მუსლი- ნის მოკლე კაბაში გამოწყობილა პატარა გოგოსავით. ღია კარიდან მოჩანს წითელი შორენკეცის იატაკი, ხის განიერი საწოლი და ფიჭვის მაგიდაზე დად- გმული თასი და დოქი. ამ ქუჩაზე ათასნაირი ხალხი დაეხეტება — ინდოელი მეზღვაურები, ქერა შვედები და ნორვეგიელები შეედური ორჩხომელებიდან, იაპონური სამხედრო გემების ეკიპაჟი, ინგლისელი მეზღვაურები, ესპანელე- ბი, კობტად გამოწყობილი ფრანგები სახაზო გემებიდან, ზანგები ამერიკული სავაჭრო ფლოტიდან.

დღისით ბუტერის ქუჩა ბინძური და შეუხედავია, მაგრამ ღამით ქოხმა- ხებიდან გამოსული სინათლის შუქზე რალაც ავისმომასწავებელ სილამაზეს იძენს. სიბილწითა და გარყვნილებით გაჟღენთილი ჰაერი გულს გიმძიმებს; გრძნობ, რომ აქაურობას რალაც იდუმალება დაუფლებია, რომელიც კვალ- დაკვალ დაგდევს და მოსვენებას არ გაძლევს. გრძნობ რალაც პირველყოფილ ძალას, ხელს რომ გკრავს და თანაც გხიბლავს და გიზიდავს. აქ გამქრალი და ჩიმალულია ცივილიზაციის ყოველგვარი მონაპოვარი და ადამიანი კუშტი და ულიმღამო სინამდვილის პირისპირაა დარჩენილი. ფეხს შედგამ თუ არა ამ ქუჩაზე, იმწამსვე ხვდები, რომ აქ ატმოსფერო უკიდურესად დაძაბული და ტრაგიკულია.

ბარში, სადაც სტრიკლენდი და კაპიტანი ნიკოლსი ისხდნენ, მექანიკური პიანინო ხმამაღლა უკრავდა საცეკვაო მუსიკას. ოთახი ხალხით იყო სავსე. ერთგან ეჭვსიოდე მეზღვაური მისჯდომოდა სუფრას და ულმერთოდ სვამდ- ნენ, მეორეგან ჯარისკაცები ქეიფობდნენ...

შუა ოთახში, ერთ ბეწო ადგილზე, რამდენიმე წყვილი ცეკვავდა. წვეროსანი მზით გარუჯული მეზღვაურები თავიანთი დაკოჭრებული ხელებით მაგ- რად იხუტებდნენ ნახევრად შიშველ ქალებს. დროდადრო მოცეკვავეებს მეზღვაურთა წყვილი ემატებოდა. დარბაზში გამაყრუებელი ხმაური იდგა — სიმღერა, ყვირილი, ხარხარი... და როცა ვინმე მუხლებზე მჯდომ გოგოს ჩაბ-

ლუჯავდა და ლოშნას დაუწყებდა, ინგლისელი ნეზღვაურები კატასავით იწყებ-ღნენ კნავილს. ოთახი უხეში ფეხსაცმელებით ავარდნილ მტვრის ბოღლა და თამბაღოს ბოლს დაებნელებინა და თანაც საშინლად ცხელოდა. დახლიდარი ქალი ძუძუს აჭმევდა ბავშვს. ოფიციანტი, დაბალ-დაბალი, ბერბერტყელი, მუწუკებიანი ახალგაზრდა, მარჯვედ დაარბენინებდა ლუდის ყანწებით ავსილ ლანგარს.

მალე ბარში უხიაკი ბილი შემოვიდა და თან ორი კეცბა ზანგი მოიყოლა. შებედაფდი თუ არა, შეატყობდი, რომ გალეშილი იყო და ახლა ჩხუბის საბაბს ეძებდა. იგი იმ მაგიდას დაეჯახა, რომელსაც ჯარისკაცები შემოსხდომოდნენ, და ერთი ლუდიანი კათხა გადააყირავა. დაიწყო მიწევ-მოწევა, მაგრამ ბარის პატრონი დახლიდან გამოვიდა და უხიაკ ბილს უბრძანა, ახლავე მოშორდი აქაურობასო. ბრგე კაცი იყო და აყალმაყალის ატეხვას არავის უთმენდა. უხიაკი ბილი შეყოყმანდა, რადგან კარგად იცოდა, რომ პოლიცია ბარის პატრონს დაუჭერდა მხარს. მერე წასვლა აჭკობინა, შეიგინა და კარისაკენ გაემართა. უცებ სტრიკლენდს ნოჰარი თვალი, შეეჭრა და შიგ სახეში შეაფურთხა. სტრიკლენდმა ლუდის კათხა ესროლა. ცეკვა შეწყდა. წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ როცა უხიაკი ბილი სტრიკლენდს ეკვეთა, ნთელი დარბაზი ჩხუბის ყიჟინა აიტაცა და ისეთი ამბავი ატყდა. მეორედ მოსულა გეგონებოდა. ბაგიდები ყირავდებოდა, ჭიქები იმსხვრეოდა. ისმოდა ყოჯოხეთური ღრიალი, კივილი, ქვნესა. ქალები დაიფანტნენ — ზოგი ქუჩაში გავარდა, ზოგმა დახლს შეაფარა თავი. გამვლელები ჯგუფ-ჯგუფად შემორბოდნენ ბარში და ჩხუბში ებმებოდნენ. ისმოდა ყველა ენაზე წარმოთქმული გინება და წყევლა-კრულვა. დროდადრო ვინმეს განწირული კივილი ამობღენებოდა. დარბაზის შუაგულში ზედიზორა იდგა. უცებ, სად იყო, სად არა, პოლიცია გაჩნდა და, ვისაც კი შეეძლო, მოუსვა. დარბაზში ხალხი წეთხელდა და გამოჩნდა იატაკზე უგრძნობლად დაგდებული უხიაკი ბილი. მის თავი ჰქონდა გაჩეხილი. კაპიტანმა ნიკოლსმა ძალით გაათრია ქუჩაში ხელში დაჭრილი, ტანსაცმელშემოფლეთილი სტრიკლენდი. თვითონ კაპიტნისათვის ცხვირი გეტეხათ და მთელი სახე სიალით ჰქონდა ნოსკრილი. — მე ვგონი, აჯობებს, რომ აქედან მანამ ნოუსა, სანამ უხიაკი ბილი საავადმყოფოდან გამოვა, — ურჩია მან სტრიკლენდს. როცა „ჩინურ ხუბულაში" მივიდნენ და სისხლი მოიბანეს.

— ეს კი ნამდვილად მამლების ჩხუბს წააგავდა,— შენიშნა ბოლოს სტრიკლენდმა და, დარწმუნებული ვარ, დამცინავად ვაიღიმა.

კაპიტანმა ნიკოლსმა კარგად იცოდა, თუ რა გულღრძო კაცი იყო უხიაკი ბილი და ძალიან შეშფოთდა. სტრიკლენდმა ორჯერ დაჭაბნა მტერი და მუდამ კი ისეთი კაცი არ იყო, ვინმეს ჯავრი შეეჭამა. ახლა პირდაპირ ალარ ეცემოდა სტრიკლენდს და არც ძველებურად ეჩქარებოდა, მაგრამ ადრე იქნებოდა თუ გვიან, მიპარვით ჩასცემდა ბეჭებში დანას. ერთი-ორი დღის შემდეგ კი ვინმე ამოათრევდა ნავსადგურის მღვრიე წყლიდან უსახელო ბაწანწალას გვამს.

ნიკოლსი ნეორე დღესვე წავიდა უხიაკი ბილის ტრაქტირში და იქაურობა დაუნოსა. ბილი ისევ საავადმყოფოში იწვა, მაგრამ ცოლმა ამბავი მოიტანა, ჩემმა ქმარმა ფიცი დადო, გამოვალ თუ არა, სტრიკლენდი უნდა მოვკლაო.

გავიდა ერთი კვირა.

— მე ყოველთვის ვამბობდი, თუ დარტყმაა, ისე უნდა დარტყა. ყარგა ხანს ველარ უნდა დადგეს ფეხზე-მეთქი, — თავის კანტურით თქვა კაპიტანმა ნიკოლსმა, — იმის დრო ნაინც გექნება, რომ მიიხედ-მოიხედ [illegible] გზას დაადგე.

ბიბლიოთეკა

მერე სტრიკლენდს ბედმა გაუღიმა: ავსტრალიაში მიმავალ ერთ გემზე ცეცხლფარეში დასჭირდათ. ველი ცეცხლფარეში ლოთობით გაგიქეიფულიყო და გიბრალტარში გადამხტარიყო.

„— ახლავე გავარდი ნავსადგურში და კონტრაქტზე ხელი მოაწერე, — უთხრა კაპიტანმა ნიკოლსმა სტრიკლენდს, — საბუთები, მადლობა ღმერთს, გაქვს".

სტრიკლენდი მაშინვე წავიდა და კაპიტან ნიკოლსს ამის მერე აღარ უნახავს თავისი მეგობარი. გემი სულ ექვს საათს იდგა ნავსადგურში. შეღამებისას, როცა კაპიტანმა ნიკოლსმა თხელი კვამლი შენიშნა ცაზე, გემი უკვე მედგრად მიაპობდა ცივ ტალღებს და აღმოსავლეთისაკენ მიიჩქაროდა.

მე შეველაადე, რაც შეიძლება ზუსტად გადმოგეცა კაპიტნის ნაამბობი, რადგან საინტერესოდ მომეჩვენა კონტრასტი ამ წფოთიან ეპიზოდებსა და იმ ჩუნად დღეებს შორის, როცა სტრიკლენდი ეშლი გარდენზე ცხოვრობდა და ბარეის მაკლერად მუშაობდა. ნაგრამ ისიც ვიცი, რომ კაპიტანი ნიკოლსი დიდი ცრუპენტელა ვინმე იყო და სულ ადვილად შეიძლებოდა მის ნაამბობში ერთი სიტყვაც არა ყოფილიყო მართალი. სულ არ გამიკვირდებოდა ვინმეს რომ ეთქვა, კაპიტანი ნიკოლსი სულ არ იცნობდა სტრიკლენდს და ისიც, რაც მარსელზე გიამბო, ჟურნალებიდან ჰქონდა ამოკითხულიო.

თავი ორმოცდამერვე

ამით ვაპირებდი ამ წიგნის დამთავრებას. სულ პირველად მინდოდა, სტრიკლენდის მიერ ტაიტიზე გატარებული წლები და მისი საზარელი სიკვდილი წიგნის თავში მომეკცია, მერე კი ჯკან დავბრუნებულიყავი. ასე იმიტომ ვაპირებდი წიგნის აგებას, რომ მინდოდა სტრიკლენდს მაშინ დაშორებოდა ჩემი მკითხველი, როდესაც იგი უცნობი, დიდი ხნის ნანატრი კუნძულისაკენ მიეშურებოდა აგზნებული და ათასნაირი ოცნებითა და წარმოდგენით თავგზადაბნეული. მე მომწონდა ეს ადამიანი, რომელმაც 17 წლის ასაკში დაიწყო ახალი სამყაროს ძიება, ასაკში, როცა სხვები მყუდრო, უშფოთველ ცხოვრებას რჩეობენ. მე ახლაც ვხედავ მას ტყვიისფერ, ნისლიან ზღვაზე. გემი მისტრალით აგორებულ ტალღებს მიაპობს, ია კი გემბანზე დგას და საფრანგეთის ნაპირს გაჰყურებს, ნაპირს, რომლის ნახვაც აღარ უწერია. სტრიკლენდს გაუტეხელი და მხნე სული ჰქონდა და, მე მეგონა, სწორედ ეს ანიჭებდა ამ კაცს რაღაც თავისებურ მიმზიდველობას. მინდოდა, წიგნის ბოლო ოპტიმისტური ყოფილიყო, აშკარად მეჩვენებინა, რომ ადამიანის სული გაუტეხელი და დაუმორჩილებელია, მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი, არ გამომივიდა და, იძულებული გავხდი, ხელი ამედო ამ განზრახვაზე. ბოლოს გადავწყვიტე, თა-

ვიდან დამეწყო და თანმიმდევრობით მომეთხრო ყველაფერი, რაც კი სტრიკლენდზე ვიცოდი.

მაგრამ მე მხოლოდ სტრიკლენდის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები ვიცოდი და იმ მეცნიერის დღეში აღმოვჩნდი, რომელმაც [illegible] ძალით არა მარტო უნდა აღადგინოს გადაშენებული ცხოველის [illegible] მისი ჩვევებიც ამოიცნოს. სტრიკლენდს რაიმე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია ტაიტელებზე. იგი ჩვეულებრივ ჯიბეგაფხეკილ მაწანწალად მიიჩნიეს, რომელიც სხვა მაწანწალებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ უნიჭო, სულელურ სურათებს ხატავდა. სანამ არ მოკვდა და სანამ კუნძულს უამრავი პარიზელი და ბერლინელი აგენტი არ მოაწყდა, იქნებ სადმე წისი ნახატები აღმოვაჩინოთ და შევიძინოთო, ტაიტელებმა ეჭვითაც არ იცოდნენ, რომ იმათ შორის ასეთი სახელოვანი ადამიანი ცხოვრობდა. მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ ჩალის ფასად შეეძლოთ შეეძინათ უძვირფასესი ტილოები და ლამის გაგიჟდნენ, ასეთი ბედნიერი შემთხვევა როგორ გავუშვეთ ხელიდანო. ტაიტიზე ერთი ებრაელი ვაჭარი კოენი ცხოვრობდა, რომელსაც შენთხვევით ჩავარდნოდა ხელთ სტრიკლენდის ნახატი. კოენი მოხუცი, დალეული ფრანგი ებრაელი იყო, კეთილი თვალები ჰქონდა და გულღია ღიმილი იცოდა. ვაჭარიც იყო და ზღვაოსანიც — პაუმოტიდან მარკიზის კუნძულებზე დაცურავდა საკუთარი კატარღით. იქ ათასნაირი საქონელი მიჰქონდა და კოპრას, სადაფსა და მარგალიტს იძენდა. მე გავიგე, რომ კოენი იაფად აპირებდა მოხრდილი, შავი მარგალიტის გაყიდვას და ვესტუმრე. როცა გავიგე, რომ იმ მარგალიტზე ხელი არ მიმიწვდებოდა, სტრიკლენდზე დავუწყე საუბარი. გამოირკვა, რომ კოენი კარგად იცნობდა სტრიკლენდს.

— იცით, მხატვარი რომ იყო, იმიტომ დავუახლოვდი. მხატვრები ხომ იშვიათად მოდიან აქ. ძალიან კი მეცოდებოდა, რომ ასე ცუდად იცოდა თავისი ხელობა. პირველად მე მივიღე სამუშაოზე. პენინსულაზე პლანტაცია მქონდა და თეთრკანიანი ზედამხედველი მჭირდებოდა. აქაური ხალხი არაფერს გაგიკეთებს, თუ თეთრი ზედამხედველი არ დააყენე თავზე. ვუთხარი: „სახატავადაც კარგაძალი დრო დაგრჩება და ცოტა ფულსაც გააკეთებ-მეთქი". ვიცოდი, ნაშიმშილევი რომ იყო და კარგი ხელფასი დავუნიშნე.

— არა მგონია, ძალიან გამოგდგომოდათ მაგ საქმეში, — ღიმილით ეუთხარი კოენს.

— ეგ თავიდანვე ვიცოდი და ვუთმენდი. მხატვრები ყოველთვის მიყვარდა. ეს, საერთოდ, გვარად მოგვდგამს. სტრიკლენდი, სამწუხაროდ, ცოტა ხანს დარჩა ჩვენთან. როგორც კი საღებავებისა და ტილოს ფული გააკეთა, დაგვტოვა. იგი აღტაცებული იყო აქაურობით და ერთ ადგილას არ უდგებოდა გული. დროდადრო კვლავ მოვკრავდი ხოლმე თვალს—ორ-სამ თვეში ერთხელ ჩამოდიოდა პაპიეტეში, მცირე ხანს რჩებოდა და, როგორც კი ცოტაოდენ ფულს იშოვიდა, მაშინვე გაუჩინარდებოდა. ერთხელ მეც მესტუმრა და ორასი ფრანკი მთხოვა სესხად. საწყალი, ისე გამოიყურებოდა, თითქოს მთელი კვირა ლუკმა არ უჭამიაო და უარი ვეღარ ვუთხარი. რაღა თქმა უნდა, იმ ფულზე იმთავითვე გადავწყვიტე იმედი. ჰოდა, ერთი წლის შემდეგ ისევ ჩამოვიდა, მინახულა და ერთი ნახატი მომიტანა. ვალი ერთი სიტყვითაც არ უხსენებია. მარტო ეს მითხრა: „აი, შენი პლანტაცია, შენთვის დავხატეო". მე

ნახატს დავხედე და ცოტა ხანს ხმა ვერ ამოვიღე — ვერ მოვიფიქრე, რა მეთქვა. მერე მადლობა გადავუხადე და როცა წავიდა, ნახატი ცოლს ვაჩვენე.

— როგორი ნახატი იყო?—ეკითხე კოენს.

— ნუ მკითხავთ. ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო. ასეთი პირველად ვნახე ჩემს სიცოცხლეში. რა უნდა ვუყოთ-მეთქი. — [illegible] მაგრამ ვერაფერი მირჩია. „ამას კედელზე ვერ დავკიდებთ, ხალხი სასაცილოდ აგვიგდებსო“ — მითხრა და ნახატი სხვენში შეინახა. იქ ათასი ხარახურა გვიყრია, რადგან ჩემს ცოლს არაფრის გადაგდება არ შეუძლია; ასეთი ზნე აქვს. შემდეგ, ვერ წარმოიდგენთ, რა მოხდა: სწორედ იმის წინ ძმამ მომწერა პარიზიდან, რაიმე ხომ არ იცი ვინმე ინგლისელ მხატვარზე, რომელიც თქვენთან, ტაიტიზე ცხოვრობდა, ახლა გამოიარკვა, რომ აგი გენიოსი ყოფილა და მის ნახატებს ძალიან დიდი ფასი დაედო. მიკითხ-მოიკითხე, იქნებ რომელიმე ჩაიგდო ხელში და გამოძიგზავნე, ფული გაეკეთდებაო. შეც ავდექი და ცოლს ვუთხარი: „ის ნახატი რა იქნა, სტრიკლენდმა რომ გვაჩუქა? ვინ იცის, ისევ სხვენში აგდია-მეთქი“. „რა თქმა უნდა, იქ აგდიაო, — მიპასუხა, შენ ხომ იცი, რომ არასოდეს არაფერს ვაგდებ, ასეთი ხასიათი მაქვსო“. მაშინვე ავედით სხვენში ორივენი და ოცდაათი წლის მანძილზე დაგროვილი ხარახურის გროვიდან სტრიკლენდის ნაჩუქარი ნახატი ამოვქექეთ. ამ ნახატს ერთხელ კიდევ დავხედე და ცოლს ვუთხარი: „აბა ვინ იფიქრებდა, რომ ჩემი პლანტაციის ზედამხედველი, კაცი, რომელსაც ჩემი ორასი ფრანკი დარჩა გადასახდელი, გენიოსი გამოდგებოდა?“ „არჩევ რამეს ამ ნახატზე-მეთქი?“ — „არაო, — მიპასუხა ცოლმა, — ჩვენს პლანტაციას სულ არა ჰგავს. ისეც, საერთოდ, ჩემს დღეში არ მინახავს ლურჯფოთლებიანი ქოქოსის პალმები, მაგრამ პარიზში უამრავი შეშლილია და, ვინ იცის, იქნებ შენმა ძმამ მართლა მოახერხოს და ის ორასი ფრანკი მაინც ამოიგოს, შენ რომ ასესხე ამის დამხატავსო“. ერთი სიტყვით, შევფუთეთ და ჩემს ძმას გავუგზავნეთ. კარგა ხნის შემდეგ ბარათი მივიღე პარიზიდან და იცით, რასა გვწერდა? „მივიღე თქვენი გამოგზავნილი ნახატი და რომ დავხედე, მეგონა, მამასხარავებდი. ჩემი აზრით, ეს ნახატი აქ გადმოგზავნის ფასადაც არ გაიყიდებოდა. კარგა ხანს ვერც კი გავბედე მეჩვენებინა იმ ჯენტლმენისათვის, რომელმაც წერილი გამომაგზავნინა შენთან. მერე ვაჩვენე და წარმოიდგინე ჩემი გაოცება, როცა მითხრა, ეს ნამდვილი შედევრიაო და ოცდაათი ათასი ფრანკი შემომთავაზა. მგონი, მეტსაც მომცემდა, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, ისე გავოცდი და დავიბენი, რომ მაშინვე დავთანხმდი“.

ბოლოს კი მუსიე კოენმა ისეთი რამ თქვა, რომ გული ამიჩუყდა:

— რა იქნებოდა, აქამდე ეცოცხლა იმ საცოდავს. ნეტავი რას იტყოდა, ოცდაცხრა ათას რვაას ფრანკს რომ ჩავუთვლიდი თავის ნახატში?

თავი ორმოცდამეცხრე

მე სასტუმრო „დე ლა ფლერში“ ვცხოვრობდი. სასტუმროს პატრონმა, მისის ჯონსონმა, ლამის ტირილით მიამბო, თუ როგორ გაუშვა ბედი ხელიდან: სტრიკლენდის გარდაცვალების შემდეგ მისი ნივთების ნაწილი პაპიეტეს

ბაზარზე გაიყიდა საჯარო ეაჭრობით. მისის ჯონსონმა იცოდა, რომ იმ ნივთებში ამერიკული ლუმელი ერია, აუქციონზე წავიდა და ლუმელი რაღაცაზე ფრანკად იყიდა.

— იქ ათი-თორმეტი ნახატიც იყო, — მიამბო მან, — მაგრამ ჩარჩო არც ერთს არა ჰქონდა და არავინ ყიდულობდა. ბოლოს ზოგი ერთი ათ-ათ ფრანკად გაიყიდა. მაგრამ უმეტესობა ხუთ-ექვს ფრანკზე მეტად არ გასულა. წარმოიდგინეთ, ყველა რომ მეყიდა, ახლა მდიდარი ქალი ვიქნებოდი.

მაგრამ ტიარე ჯონსონი არასოდეს არ იქნებოდა მდიდარი, რადგან ფულის ყადრი არ იცოდა. მას დედა ტიტელი ჰყავდა, მამა კი ინგლისელი. მამამისი კაპიტანი ყოფილა და როცა ზღვაოსნობისათვის თავი დაუნებებია, ტიტიზე დასახლებულა. ტიარე რომ გავიცანი, ორმოცდაათ წელს იქნებოდა მიტანებული. მაგრამ ისე იყო გასილგებული, ფეტისა მეგონა. ამ მაღალ, სქელ ქალს ნამდვილად საპატიო მანდილოსნად მიიჩნევდით, სახეზე ეტყობოდა სიკეთე და კაცთმოყვარეობა რომ არა ჰქონოდა გადაფენილი. მკლავები ბარკლებს მიუგავდა, ძუძუები — ვეება კომბოსტოებს. ფართო, ხორცსავსე სახეზე რომ შეხედავდით, რატომღაც თავში გაგიელვებდათ, ამ სახის ასე შიშველად დატოვება უხამსობაა. უზარმაზარ ლაბაბს კიდევ ლაბები მოსდევდა, იმას კიდევ სხვა ლაბები (მე ვერც კი დავითვალე ყველა) და ბოლო სადღაც მკერდთან ერწყმოდა ვეება ტანს.

ტიარე სანიადაგოდ ვარდისფერ ფერფერა ხალათს იცვამდა და თავიდან ფერთო ჩალის ბეწდს არ იშორებდა, მაგრამ როცა ხანდახან გრძელ, შავ, ხუჭუჭა თმას ჩამოიშლიდა (ეს არც ისე იშვიათად ხდებოდა, რადგან ტიარეს ძალიან მოსწონდა თავი თავისი თმით), თვალები კვლავ აბალგაზრდული ცცცხლით უელვარებდა. სიცილი ისეთი იცოდა, რომ ყველას აიყოლიებდა ხოლმე. ეს სიცილი მკერდში ეწყებოდა, თანდათან ზეციო ამოდიოდა, უფრო და უფრო ხმამაღალი ხდებოდა და მანამდე არ წყდებოდა, სანამ ქალს მთელი უზარმაზარი ტანი არ აუთახთახებდებოდა. ტიარეს სამი რამ უყვარდა ამქვეყნიერ: ხუმრობა, ღვინო და ლამაზი კაცი.

არა, ნამდვილად ყველა არ იყო ამ ქალის ნაცნობობის ღირსი! ტიარე კუნძულის საუკეთესო მზარეული გახლდათ და თავადაც გემრიელი ჭამა უყვარდა. დილიდან საღამომდე სამზარეულოში იჯდა პატარა სკამზე, ათასნაირ დავალებას აძლევდა ჩინელ მზარეულსა და მის ხელქვეით გოგოებს, მხიარულად ლაყბობდა ყველასთან და თავის ჩიერ გამოგონილ ცხარე კერძებს აჭამნიკებდა. როცა უნდოდა ვინმე მეგობრისთვის განსაკუთრებული პატივი ეცა, საკუთარი ხელით უმზადებდა საჭმელს. ეს ქალი სტუმართმოყვარეობის განსახიერება იყო და სანამ სასტუმრო „დე ლა ფლერშია" საკვების მარაგი მოიპოვებოდა, კუნძულზე არავის მოელოდა უსადილოდ დარჩენის საფრთხე. ტიარე არასოდეს არ აგდებდა სასტუმროიდან იმ კლიენტებს, რომლებსაც ლამის გათენისა და ჭამა-სმის საფასურის გადახდის თავი არა ჰქონდათ. იგი არასოდეს არა ჰკარგავდა იმედს, რომ ოდესმე ამ კლიენტებს საქმე გამოუსწორდებოდათ და მაშინ მაინც გაიანგარიშებდა დანახარჯს. ერთი ხელმოცარული კაცი რამდენიმე თვეს შეიფარა სასტუმროში — აჭმევდა, აცმევდა, ლოგინს აძლევდა და როცა ჩინელმა მრეცხავმა ნისიაზე უარი უთხრა ამ კაცს, ნაბადი თეთრეული თავისაში შეუერია და ისე გაგზავნა საბრეცხაოში. არ შეიძლება მოვითმინო,

რომ ეს საწყალი ჭუჭყიანი ბერანგით დადიოდესო, ამბობდა ტიარე. კიდევ მეტი: რადგან ეს მდგმური მამაკაცი იყო და მამაკაცი თამბაქოს უნდა ეწეოდეს, ყოველდღე თითო ფრანკს აძლევდა სიგარეტების საყიდლად. [illegible] დაივიწყოთ, რომ ამ კაცსაც ისევე თავაზიანად ემცეოდა, როგორც იმათ, რომლებიც ყოველი კვირის ბოლოს ისტუმრებდნენ დანახარჯს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაკმა და უზომო სიმსუქნემ ხელი ააღებინა აშიკობაზე, მაგრამ ახლა გაფაციცებით ადევნებდა თვალს ახალგაზრდების სამიჯნურო საქმეებს. საყვარული ყველასათვის აუცილებელ და ბუნებრივ საქმიანობად მიაჩნდა და ყოველ წუთს მზად იყო რჩევა და მითითება მიეცა შეყვარებულთათვის. ამ დროს იგი საკუთარ მდიდარ გამოცდილებას ემყარებოდა:

— თხუთმეტისა არც კი ვიყავი, როცა მამამ გამიგო, რომ სატრფო მყავდა. იგი „ტროპიკული ფრინველის“ კაპიტნის ფესვმე თანაშეშწე, ლამაზი ბიჭი იყო. — ტიარემ ამოიოხრა (ამბობენ, ქალი პირველ სატრფოს ყოველთვის სიყვარულით იგონებსო, მაგრამ, მე მგონი, ყოველთვის არ ახსოვს, თუ ვინ იყო პირველი). — მამაჩემი გონიერი კაცი იყო...

— მერე როგორ მოიქცა? — ვკითხე მე.

— ჯერ ცემით მიმასიკვდილა, მერე კი კაპიტან ჯონსონს მიმათხოვა. მე არ გავძალიანებივარ. ჩემი ქმარი, რა თქმა უნდა, ჩემზე კარგა უფროსი იყო, მაგრამ სილამაზით ჩემს პირველ სატრფოს არ ჩაწოლეარდებოდა.

ტიარეს... (ეს სახელი მამამისმა დაარქვა. ტიარე თეთრი, სურნელოვანი ყვავილია, ტაიტიზე ხარობს და ერთხელ თუ დაყნოსე, ქვეყნის დასალიერში რომ წახვიდე, ბოლოს წაინც ტაიტის დაუბრუნდები). ტიარეს კარგად ახსოვდა სტრიკლენდი.

— ხანდახან შემოგვიგლიდა ხოლმე. პაპიეტეს ქუჩებში კი ხშირად მინახავს. ძალიან მეცოდებოდა, რომ ასეთი გამხდარი იყო და სულ ფული უქირდა. როცა მეტყოდნენ, ქალაქშიაო, ბიჭს გავუგზავნიდი და სადილად ვპატიჟებდი. ერთი-ორჯერ სამუშაოც ვუშოვნე, მაგრამ ვერ შეირჩინა — გულს ვერაფერს უდებდა. ცოტა ხანს იმუშავებდა, მერე ისევ ხეტიალის ჟინი წამოუვლიდა და გაუჩინარდებოდა.

სტრიკლენდი მარსელიდან წამოსვლის მეექვსე თვეს მოვიდა ტაიტიზე. გზის ფულიც იმით იშოვა, რომ მეზღვაურად იმუშავა გემზე. ეს გემი ოკლენდსა და სან-ფრანცისკოს შორის დაცურავდა. ტაიტიზე საღებავების ყუთი, მოლბერტი და ათიოდე ტილო ჩამოიტანა. ჯიბეში რამდენიმე სტერლინგიც ედო, რადგან სიდნეიში რაღაც სამუშაო ეშოვა. ოთახი ქალაქის განაპირას, ვიღაც ტაიტელის სახლში იქირავა. ჩაწოვიდა თუ არა, აქაურად იგრძნო თავი. ერთხელ ტიარემ მისი ნაამბობი გაიხსენა:

„გემბანის რეცხვით ვიყავი გართული, რომ ერთმა მეზღვაურმა მითხრა: ესეც ასე, მოვედითო. მე თავი ავწიე, ყუნძულის ნაპირი დავინახე და მაშინვე მივხვდი, რომ ეს სწორედ ის მხარე იყო, რომელსაც მთელი სიცოცხლე მიველტვოდი. მერე, რომ მოვუახლოვდით, თითქოს მეცნო კიდეც აქაურობა. ახლაც, აქაურობას რომ გათვალიერებ, ყველაფერი ახლობელი მეჩვენება. ლამის ვირწმუნო, რომ ოდესღაც მიცხოვრია ამ ყუნძულზე“.

— ასე ხშირად მოსდით ხოლმე, — შენიშნა ტიარემ, — მე ბევრი ვიცი ისეთი, ორიოდე საათით რომ გადმოსულა ნაპირზე, სანამ გემს დატვირთავენ,

გავისეირნებო, უფიქრია და სამუდამოდ კი დარჩენილა აქ. ისეთებიც მინახავს, ერთი წლით რომ ჩამოსულან სამუშაოდ, ყავლი მოუთავებიათ და წყეველითა და ფიცით წასულან — აქ აღარასოდეს დავბრუნდებითო, მაგრამ ექვსი თვის მერე უკან დაბრუნებულან და წუწუნით შემოუჩივლიათ: ამ კუნძულის გარდა არსად არ შეიძლება გაძლებაო.

ერეკლე ნუცუბიძე

თავი ორმოცდამეათე

ჩემი აზრით, ზოგი ადამიანი იქ არ იბადება, სადაც უნდა დაიბადოს. ბედმა ზოგი სად დაასახლა და ზოგი სად, მაგრამ ისინი ნიადაგ უცნობი სამშობლოს ნატვრაში არიან. ასეთი ადამიანები თავს უცხოელებად გრძნობენ საკუთარ სამშობლოში და ბავშვობიდანვე ნაცნობი დაბურული ხეივნები და ხალხით სავსე ქუჩები ისეთ საღგურებად ეჩვენებათ, სადაც ცოტა ხანით უნდა შეჩერდე და მერე შენი გზა გააგრძელო. ისინი მთელ ცხოვრებას სამშობლოში ატარებენ ნათესაურებია და ახლობლებს შორის, მაგრამ მაინც უცხოეთში გრძნობენ თავს და სულ ასაფრენად არიან გამზადებული. ალბათ, აწორეულ ეს გრძნობა აიძულებს ასეთ ხალხს გუდა-ნაბადი აიკრას და ზღვასა და ჩალეთს მოედოს რაღაც ნუდმიეისა და მყარის საძებნელად, ისეთი მხარის საპოვნელად, რომელიც მიიზიდავს, გულში ჩაიკრავს და ალარსად ალარ გაუშვებს. ეტყობა, ადამიანის ბუნებაში ფესვგადგმული ატავიზმი ნიერეკება მათ იმ ადგილისაკენ, რომელიც ოდესღაც, იმ დროს, როცა ეს ქვეყანა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, დატოვეს მისმა წინაპრებმა. ხანდახან ადამიანი სწორედ იმ მიწაზე დაადგამს ფეხს, რომელიც ქვეშეცნეულად თავის სამშობლოდ მიაჩნია. სწორედ ეს არის ის ქვეყანა, რომლისაკენაც ასე ძალუმად ეზიდება რაღაც დაუოკებელი სურვილი და იაიც ისე ეგუება აქამდე უცნობ გარემოს, ისე ეთვისება უცხო ხალხს, თითქოს დაბადებიდან აქ ეცხოვროს და საბოლოოდ პოულობს სიმშვიდესა და მოსვენებას.

მე ტიარეს ვუამბე ერთი ჩემი ნაცნობის თავგადასავალი. ეს კაცი წმინდა თომას სახელობის საავადმყოფოში მუშაობდა, წარმოშობით ებრაელი იყო. სახელად აბრაამი ერქვა. იგი ქერა, კუნთმაგარი ახალგაზრდა გახლდათ; წყნარი, მოკრძალებული და უალრესად ნიჭიერი. ინსტიტუტში სტიპენდია ჰქონდა დანიშნული და, გარდა ამისა, ხუთი წლის განმავლობაში ყველა ჯილდოსა და სიგელს ისაკუთრებდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თერაპევტისა და ქირურგის წოდება მიანიჭეს. მისი ცოდნა და უნარი ყველამ აღიარა. ბოლოს შტატში ჩარიცხეს და, რა თქმა უნდა, უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, იმაში, რომ სამსახურში წინ წაიწევდა და ძალზე დახელოვნდებოდა. ამიერიდან მას პატივი და სიმდიდრე აღარ უნდა მოჰკლებოდა. ამ ექიმმა, სანამ ახალი მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა, შვებულებაში წასვლა დააპირა და, რადგან ფული არა ჰქონდა, ლიბანისაკენ მიმავალ გემზე მოეწყო ქირურგად. ამ გემზე ექიმი არასოდეს აუყვანიათ, მაგრამ საავადმყოფოს ერთ-ერთი უფროსი ქირურგი კომპანიის დირექტორს იცნობდა და იმან მოუჭახრაკა საქმე.

რამდენიმე კვირის შემდეგ საავადმყოფოში აბრაამის ბარათი მოვიდა. იგი იწერებოდა, აღარ დავბრუნდები და ჩემი შტატი სხვას მიეცითო. ამან დიდი

გაოცება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. როცა კაცი მოულოდნელად იცვლის ცხოვრებია წესს, ამხანაგები ბაშინვე ცუდსა და სამარცხვინოზე აიღებენ გემსა და გუმანს. შემდეგ აბრაამის შემცველელიც გამოინახა და იგი ალეგ მალე მიიყვანეს. თვითონაც არვის მიაწვდინა ხმა და, ერთი სიტყვით, დაიკარგა კაცი.

ათეთოდე წლის შემდეგ ალექსანდრიაში ჩავედი საექსკურსიოდ. ბევრი ... ...

— ნუთუ არაბოდეს არ გინახია? — ვკითხე მე.

— არასოდეს. არც კი გამივლია გულში. ინდება ვიღებ, რომ ლუკმაპური არ მაკლია და მეტიც არ მინდა. ნეტავი კი ასე გაგრძელდეს [illegible]ამდე. ერთი სიტყვით, შეუანიშნავად ვცხოვრობ.

ალექსანდრია მეორე დღესვე დავტოვე და აბრაამი მახსენდებოდა, სანამ ერთ ძველ მეგობარს, ალეკ კარმაიკლს არ შევხვდი. ისიც ექიმი იყო, ინგლისში ფრიად ცნობილი და დაფასებული ექიმი. იმ დღეს ქუჩაში დავინახე და მაშინვე მივედი, რომ ბარონეტობა მიმელოცა. ეს ტიტული ომის დროს ჩატარებული მუშაობისათვის მიანიჭეს. შეგთანხმდით, ის საღამო ერთად გაგვეტარებინა. რაღგან ორივეს გვიწდოდა ძველი ამბების გახსენება. მან შინ მიმიპატიჟა და როცა დავთანხმდი, მითხრა, სხვას არავის მოვიწვევ და ერთი გულიანად ვიმუსაიფოთო. ჩემს ამხანაგს დიდი გეშოვნებით მოწყობილი, ძველებური საალი ჰქონდა ანა დედოფლის ქუჩაზე.

სასადილო ოთახის კედელზე ბელოტოს მომხიბლავი ნახატი ეკიდა. შემდეგ ზოფანაა ორი ტილო შევნიშნე და, ცოტა არ იყოს, შემშურდა კიდეც. როცა მისმა მეუღლეს, ოქროსფერ ფარჩაში გამოწყობილმა, მაღალმა, სანდომიანმა ქალმა, მარტონი დაგვტოვა, ლიმილით გავახსენე ჩვენი სტუდენტობა და ვკითხე, განა წარმოიდგენდი, თუ ასე მოეწყობოდი-მეთქი? მაშინ საცოდავ იტალიურ რესტორანში საღილობა ეუფუნებად მიგვაჩნდა, ახლა კი ალეკ კარმაიკლი ხუთ-ექვს საავადმყოფოში მუშაობდა და წლიურად, ალბათ, ათი ათას გირვანქას იღებდა. ეს ბარონეტობა მხოლოდ პირველი იყო იმ საპატიო ტიტულთაგან, რომლებითაც ნამდვილად უხვად დაჯილდოებდნენ მომავალში.

— ჰო, კარგად მოვეწყვე, — თქვა მან. — მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ ყოველივე ამას ერთ შემთხვევას უნდა ვუმადლოდე.

— რა შემთხვევას?

— რას და... აბრაამი გახსოვს? აი ვის ჰქონდა დიდი მომავალი! სტუდენტობისას ყველაფერში ბჯობნიდა, ყველა სიგელსა და ფულად ჯილდოს მაცლიდა ხოლმე ცხვირწინ. მე მუდამ მეორე ვიყავი. ასე რომ გაგრძელებულიყო, ახლა ჩემს ადგილზე იქნებოდა. ძალზე ნიჭიერი, უნარიანი და განსწავლული იყო ქირურგიაში; შეიძლება ითქვას, ბადალი არა ჰყავდა. როცა წმინდა თომას საავადმყოფოში აიყვანეს, მე უკვე იმედი გადავიწყვიტე, რომ ჩემთვისაც გამოჩნდებოდა რამე. შემეძლო მხოლოდ კერძო პრაქტიკა დამეწყო და შენ ხომ იცი, ამით რას მიიღწევს ადამიანი? სულ ერთ გზაზე უნდა იარო სიკვდილამდე, ვერც აქეთ გადაუხვევ, ვერც იქით. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, აბრაამი გზიდან ჩამონეცალა და მისი ადგილი მე მომცეს. ამან საფუძველი ჩაუყარა ჩემს მომავალ წარმატებებს.

— საკვლებით მართალი ხარ.

— ერთი სიტყვით, ბედმა გამიღიმა. აბრაამს კი, მე მგონი, ცოტა უჭროდა. საწყალი, მთლად დაგლახებულა. თურმე, ალექსანდრიაში მუშაობს, სანიტარულ ზედამხედველად თუ რაღაც ამის მსგავს თანამდებობაზე და იმდენს ძლივს იღებს, რომ შიმშილით არ მოკვდეს. ცოლად ერთი ართვალი ბერძნის დედაკაცი შეურთავს და ახლა ნახევარი დუჟინი რახიტიანი ბავშვის მამა გახლავს. არა, მარტო ცოდნა არა კმარა. მთავარია ნებისყოფა. აბრაამს კი ნებისყოფა არა ჰქონია.

ნებისყოფა? მე კი მგონია, რომ სწორედ დიდი ნებისყოფა უნდა გქონდეს, რომ სულ ნახევარი საათის ფიქრის შემდეგ დათმო ბრწყინვალე კარიერა და ახალი ცხოვრება დაიწყო. კიდევ უფრო დიდი ნებისყოფაა საჭირო, რომ არასოდეს არ ინანო, ასე რატომ მოვიქეცი. მე ასე ვფიქრობ[illegible] ბრაფეერი ვთქვი და ალეკ კარმაიკლმა დინჯად განაგრძო:

— რასაკვირველია, ჩემი მხრივ, ფარისეველობა იქნებოდა იმის თქმა, აბრაამის ასეთმა საქციელმა გული დამწყვიტა-მეთქი, მე ხომ ამის წყალობით მივალწიე ამდენს, — ჩემმა მეგობარმა ნება-ნება გააბოლა ძვირფასი სიგარა და დასძინა: — მაგრამ, მე რომ გარეშე ადამიანი ვყოფილიყავი, გული დამწყდებოდა, ასეთი ნიჭი რა უქმად დაიკარგა-მეთქი.

განა შეიძლება ასე დაიმახინჯო ცხოვრება?!

არა მგონია, რომ აბრაამიც ამ აზრისა ყოფილიყო თავის საქციელზე. განა დამახინჯებაა ყველაზე სანატრელი სურვილის შესრულება, ისე ცხოვრება, როგორც შენს გულს გაეხარდება?

ვითომ ამისთანა დიდი ბედნიერებაა, იყო გამოჩენილი ქირურგი, გქონდეს ათი ათასი გირვანქა შემოსავალი წელიწადში და გყავდეს ლამაზი ცოლი? ჩემი აზრით, ეს იმახეა დამოკიდებული, თუ რას მიელტვი ამ ცხოვრებაში. რას მოითხოვ საკუთარი თავისაგან და რა პრეტენზიებს უყენებ საზოგადოებას. მაგრამ მე კვლავ კბილი დავაჭირე ენას, რადგან ბარონეტა ჩემისთანა პატარა კაცისაგან შეკამათება არ ეკადრებოდა.

თავი ორმოცდამეთერთმეტე

როცა ამ ამბის თხრობა დავამთავრე, ტიარემ თავდაჭერილობა შეიქო და მერე ერთბანს ჩუმად განვაგრძეთ მუხუდოს რჩევა. მერე მისმა გამოცდილმა თვალმა რაღაც უწესობა შენიშნა და ჩინელ მზარეულს ლანძღვა-გინების ნიაღვარი დაატყდა თავს. ჩინელი ვალში არ დარჩა და კარგა გემრიელი ჩხუბი გაიმართა. ისინი აღგილობრივ ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელზეც მე ისევ ათითდე სიტყვა ვიცოდი და ასე მეგონა, საცაა ცა ჩამოინგრევა-მეთქი, მაგრამ, მოულოდნელად, ორივე დაშოშმინდა. მერე ტიარემ სიგარეტი მიაწოდა მზარეულს და თვითონაც გააბოლა.

— იცი, რომ ცოლი მე შევურჩიე? — მკითხა უცებ ტიარემ და სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— მზარეულს?

— არა, სტრიკლენდს.

— კი მაგრამ, ცოლი რომ ჰყავდა?

— თვითონაც ეგ მითხრა, მაგრამ მე ვუპასუხე, ის ინგლისში გყავს და ინგლისი კი სადღაც ქვეყნის ბოლოს არის-მეთქი.

— მართალია, — დავეთანხმე მე.

— იგი ორ-სამ თვეში ერთხელ ჩამოდიოდა პაპიეტეში, როცა საღებავები და თამბაქო შემოაკლდებოდა და უპატრონო ძაღლივით დაეხეტებოდა ქუჩებ-

ში. მე ძალიან მეცოდებოდა. მაშინ ერთი გოგო მყავდა აქ, ოთახებს მილაგებდა, სახელად ატა ერქვა, რაღაც შორეული ნათესაობა გვქონდა. დედითაც ობოლი იყო, მამითაც და ამიტომ ჩემს ჭერქვეშ მივეცი ბინა. სტრიკლენდი დროდადრო შემოგვიცვლიდა ხოლმე, რომ მაძღრად ესადილა ან ჭიქა ეთამაშა ვინმესთან. შევნიშნე, რომ ატა თვალს ატანდა სტრიკლენდს და ვკითხე, ხომ არ მოგწონს-მეთქი. მიპასუხა, მომწონს რომელია, ძალიანაც მომწონსო. ხომ იცი, როგორები არიან აქაური გოგოები. ოღონდ თეთრი კაცი დაინახონ და...

— ატა აქაური მკვიდრი იყო?

— ჰო. წვეთი სისხლი არ ერია სხვა ერის. ჰოდა, როცა გოგოს ველაპარაკე, სტრიკლენდს მოვუხმე და ვუთხარი: „სტრიკლენდ, უკვე დროა, რომ დადინჯდე. შენი ხნის კაცი ალარ უნდა დასდევდეს სანაპიროზე მოყიალე გოგოებს, ინათგან კარგს არაფერი არ უნდა მოელოდე. ფული შენ არა გაქვს და ვერც ერთ სამუშაოზე ორ თვეზე მეტხანს ვერა ძლებ. ახლა უკვე ალარავინ მოგცემს სამუშაოს. გითქვამს, რომ ტყეში შეგიძლია იცხოვრო ხან ერთი, ხან მეორე ქალის ხარჯზე. ვიცი, რომ აქაურები ჭკუას კარგავენ თეთრკანიანებზე, მაგრამ თვითონ თეთრკანიანს არ ეკადრება ასეთი საქციელი. ახლა მისმინე, რას გეტყვი..."

ტიარე ერთმანეთში ურევდა ფრანგულ და ინგლისურ სიტყვებს, რადგან ორივე ენა წყალივით იცოდა. ოდნავ გაგრძელებული, თითქოსდა სიმღერით წარმოთქმული სიტყვები სალბუნად ედებოდა სმენას. ალბათ, ასე ილაპარაკებდა რომელიმე მომღერალი ჩიტი, ინგლისური რომ სცოდნოდა.

„რას იტყვი, ატა რომ დაგთანხმდეს ცოლობაზე? კარგი გოგოა და სულ ჩვიდმეტი წლის არის. სხვა გოგოებს კი არა ჰგავს, ოღონდ კაცი იშოვნონ და არას დაგიდევენ. კაპიტანსა და პირველ თანაშემწეზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ არც ერთი აქაური კაცი არ მიჰკარებია. ატამ თავისი ყადრი იცის. „ოაჰუს" ხაზინადარმა მითხრა, ამას წინათ რომ იყო აქ, ატაზე კარგი გოგო მთელ კუნძულზე არ მეგულებაო. ახლა გოგოსაც წოუვიდა დაოჯახების დრო და კაპიტნები და პირველი თანაშემწეებიც სულ ერთ ქალს ხომ არ შეაჩერდებიან. მე თვითონაც არ მიყვარს, როცა რომელიმე გოგო დიდხანს ჩამომიჯდება აქ. ატას მიწის პატარა ნაკვეთი აქვს ტარავაოსთან, იქვე, სანამ კონცხთან მიხვიდოდე; ახლა კოპრას ისეთი ფასი აქვს, რომ მშვენიერად იცხოვრებთ. იქ პატარა ქოხიც უდგას, ასე რომ, დროც გექნება, საშუალებაც და რამდენიც გინდა ხატე. აბა, რას იტყვი ამაზე?..."

ტიარე გაჩუმდა, სული მოითქვა და გააგრძელა:

— სწორედ მაშინ იყო, თავის ინგლისელ ცოლზე რომ მითხრა. მე კი მიეუგე: „ცოლი ყველასა ჰყავს საღმე, ჩემო საწყალო სტრიკლენდ, და სწორედ ამიტომ არია, რომ აქეთ გამორბიან. ატა შეგნებული გოგოა და არ მოგთხოვს, მერთან წაიყვანთ ქორწინების გასაფორმებლადო. ივი პროტესტანტია და პროტესტანტები ამ საქმეს ისე არ უყურებენ, როგორც კათოლიკეები". მერე სტრიკლენდმა მკითხა, თვითონ ატა რას იტყვისო. მე ვუპასუხე, როგორც ვატყობ, მოსწონხარ, უარზე არ იქნება, თუ გინდა, დავუძახებ-მეთქი. სტრიკლენდმა ერთი თავისებურად, ხმელად ჩაახველა და მე მაშინვე გავძახე ატას, აქ მოდი-მეთქი. ატამ, იმ ახტაჯანამ უკვე იცოდა, რაზე ვლაპარაკობდით. ცა-

ლი თვალი იმისკენ მქონდა და ვხედავდი, რომ თან ჩემს ხელათან ეუთოებდა, თან ყურდაცქვეტილი გვისმენდა. ატა მოგვიახლოვდა. იგი იცინოდა, მაგრამ შევატყვე, რომ ცოტათი დარცხვენილი იყო. სტრიკლენდი მიეჩერდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლამაზი იყო? — ვკითხე ტიარეს.

— ურიგო არ იყო. შენ ნანახი გექნება ატას სურათები, სტრიკლენდი სულ იმას ხატავდა, ხან „პარეოთი", ხანაც სულ შიშველს. მაშ! საკმაოდ სანდომიანი გახლდათ. თანაც საჭმლის ნოშზადებაც იცოდა. მე თვითონ ვასწავლე. შევატყვე, რომ სტრიკლენდი შეყოყმანდა და ეუთხარი: „მე კარგ ხელფასს ვაძლევდი, ის კი თითქმის არაფერს ხარჯავდა. ხანდახან ნაცნობი კაპიტნები და პირველი თანაშეწყვეებიც აძლევდნენ ცოტა-ცოტას. ასე რომ, რამდენიმე ასეული ფრანკი ექნება გადანახული". სტრიკლენდმა ხშირი, მწითური წვერი მოიჩეჩა და ღიმილით ჰკითხა:

— აბა, რას იტყვი, ატა? გინდივარ ქმრად თუ არა?

ატამ პასუხის ნაცვლად ჩაიხითხითა.

„ხომ გეუბნებოდი, ჩემო კარგო, გოგოს გული შეუვარდა შენზე-მეთქი", ვუთხარი სტრიკლენდს.

„იცოდე, გცემ ბოლმე", — უთხრა სტრიკლენდმა ატას და თვალებში მიაჩერდა.

„უმაგისოდ როგორ უნდა მიეხვდე, რომ გიყვარვარ", — მიუგო გოგომ.

ტიარემ თხრობა შეწყვიტა, ჩაფიქრდა და მერე მითხრა:

— ჩემი პირველი ქმარი, კაპიტანი ჯონსონი, გამუდმებით მიკაპუნებდა. იგი ნამდვილი მამაკაცი იყო, კარგი შესახედავი, ექვსი ფუტისა და სამი დუიმის სიმაღლის. როცა დათვრებოდა, არაფრის ზომა აღარ იცოდა. მეორე დღეს სულ დალილავებული დაგდიოდი ხოლმე. ო, როგორ ეტირებოდი, როცა გარდაიცვალა! მეგონა, მეც თან გავყვებოდი. მაგრამ მისი ნამდვილი ფასი მაშინ გავიგე, როცა ჯორჯ რეინის გავყევი ცოლად. არა, კაცი რომ კარგად გაიცნო, აუცილებლად უნდა იცხოვრო მასთან. ასე არასოდეს მოვტყუებულვარ კაცის შეფასებაში. რეინიც ლამაზი და მაღალი იყო. კაპიტან ჯონსონს არც კი ჩამოუვარდებოდა სიმაღლეში და ღონიერიც ჩანდა, მაგრამ რად გინდა? წვეთ საამელს არ უშვებდა პირში და არასოდეს ხელი არ დაუკარებია ჩემთვის. არა, რეინი მისანონერი უნდა ყოფილიყო! მე არც ერთი გემი არ გამიშვია აქედან, რომ ოფიცრებთან სიყვარულობანა არ გამეგა, ჯორჯ რეინი კი თითქოს ბრმა იყო, ვერაფერს ამჩნევდა. ბოლოს შემძულდა და გავეყარე. აბა, ამისთანა ქმარი ვის რაში უნდოდა. არა, მაინც რა საწინლად ექცევა ქალს ზოგი მამაკაცი!

მე მხურვალედ დავუჭირე მხარი ტიარეს, შევნიშნე, მამაკაცები დასაბამიდან გაიძვერები და მატყუარები არიან-მეთქი და ვთხოვე გაეგრძელებინა სტრიკლენდის ამბავი.

„საჭირო არაფერია, — ვუთხარი სტრიკლენდს, — მოიცადე. მოიფიქრე, აწონ-დაწონე ყველაფერი. ატას მშვენიერი ოთახი აქვს ფლიგელში. შედი, ერთი თვე მაინც იცხოვრეთ ერთად და ნახე, შეეთვისები თუ არა. ჭამით, შეგიძლია, აქა ჭამო. ერთი თვის მერე, თუ ცოლად შერთვას გადაწყვეტ, შეგიძლია, მაშინვე გადახვიდე ატას მამულში და შენს ნებაზე მოეწყო".

— ჰოდა, სტრიკლენდი დამეთანხმა. ატა ისევ ჩემთან მუშაობდა, სტრიკლენდს, როგორც დავპირდი, ვაჭმევდი და ვასმევდი. ატას ორ-სამი ისეთი კერძის მომზადება ვასწავლე, რომლებიც განსაკუთრებით უყვარდა სტრიკლენდს. იგი იმ ხანებში ცოტას ხატავდა; მეტწილად მთელ [illegible] ატარებდა და მდინარეში ბანაობდა. ხახლახან სანაპიროზე გაეცალა [illegible], ხან კი ჩამავალი მზის სხივებში გახვეულ მურეას აშტეერდებოდა. დროდადრო თევზაობასაც მოიგონებდა, უფრო ხშირად კი ნაესადგურში გადიოდა და აქაურებთან საუბარში კლავდა დროს. არა, მშვენიერი, წყნარი ქალი იყო ნერე, ყოველდამე ატასთან ერთად ბიდიოდა ფლიგელში. მე ვატყობდი, რომ გული ისევ წასასვლელად მიუწევდა და თვის ბოლოს ვკითხე, რა გადაწყვიტე-მეთქი. მითხრა, თუ ატას უნდა, მზადა ვარ ახლავე წავიდეთო. ასე რომ, ნოემბიდა ქორწილია გადახდა. ყველაფერი ჩემი ხელით გავაკეთე, მუხლდამა სუპი მოვუხარშე, პორტუგალიურად შეზავებული ხამანწკები და ქოქოსის კაკლის სალათა მკონდა. შენ ჩემი გაკეთებული სალათა არ გიჭამია, არა? ერთი უნდა გაგასინჯო, სანამ წახვალ. ნერე ნაკინი მივართვი. შამპანურიც ბლომად გვქონდა და სხვა სასმელებიც. რაკი ვიკისრე, გადავწყვიტე, ყველაფერი კარგად ყოფილიყო. მერე სასტუმრო ოთახში გავედით და ცეკვა დავიწყეთ. მაშინ ასე გასიებული არ ვიყავი, ცეკვა კი ყოველთვის მიყვარდა".

სასტუმრო ოთახი ამ ოტელში პატარა და მყუდრო იყო. აქ ძველებური პიანინო იდგა, ხავერდგადაკრული წითელი ხის ავეჯი კედლებთან იყო მიწყობილი, მრგვალ მაგიდებზე ფოტოალბომები ელაგა, კედელზე კი ტიარეა და მისი პირველი ქმრია, კაპიტან ჯონსონის დიდი სურათი ეკიდა (ტიარე თუმცა მართლა ძალიან ჩაგოდრეებული იყო, ერთხელ ბრიუსელური ფარდაგები ავკიცეთ, გოგოები და ტიარეს მეგობარი მამაკაცები მოვიპატიჟეთ, ხმაურიანი გრამაფონი დავატრიალეთ და კარგა დიდხანს ვიცეკვეთ. აიუნიდან ყვავილების თაებრუდამხვევი სურნელება შემოდიოდა, ნოწრეხდილი ციდან ჯერის თანავარსკვლავედი დაგვაქერიოდა...).

ტიარეს თვალები მოუწყლიანდა, როცა იმღამინდელი მხიარულება გაიხსენა: „სამამდე არ დავწოლილვართ. ძე ნგონი, ფხიზელი არავინ დარჩენილა. ახალშეუღლებულებს ფეთხარი, სადამდეც გზა მიდის, ჩემი ორთვალათი წადით-მეთქი. მერე კიდევ დიდი მანძილი ჰქონდათ ფეხით სასიარული. ატას მამული შორს, ხეობაში იყო. ისინი ვანთიადისას წავიდნენ. მე რომ ბიჭი გავაყოლე, მეორე დღემდე ვერ დაბრუნდა.

მაშ! აი ასე იქორწილა სტრიკლენდმა".

თავი ორმოცდამეთორმეტე

ჩემი აზრით, მომდევნო სამი წელი სტრიკლენდის ცხოვრების უბედნიერესი ხანა იყო. ატას სახლი ცხრა კილომეტრზე იყო იმ გზიდან, რომელიც ირგვლივ უვლიდა კუნძულს. მახვეულ-მოხვეულ ბილიკს კაცსუკი ტროპიკული ხეების ჩრდილი ადგა. ხის პატარა, შეუღებავი ბუნგალო სულ ორი ოთახისაგან შედგებოდა. გვერდზე მიდგმულ ფარდულში საჭმელს ამზადებდნენ. საწოლების მაგივრობას ჭილოფები სწევდა. აივანზე საქანაო სავარძელი ედ-

გათ. ეს იყო მთელი იმათი ავეჯი. სახლს ირგვლივ ბანანის ხეები ერტყა. მათი უსწორმასწორო ფოთლები მე ყოველთვის ლტოლვილი დედოფლის კაბის შემოგლეჯილ კალთებს მაგონებდა. იქვე მსხლის ხე იდგა და, რა თქმა უნდა, მრავლად მოჩანდა ქოქოსის პალმები, რომლებიც ამ კუნძულის მცხოვრებთა შენოსავლის მთავარი წყაროა. ატას მამას კროტონის ბუჩქებე ... ხავისი მამულის ირგვლივ. ბუჩქებს კარგად ეხარათ და ახლა დღეობაზე ასთებული, მხიარული ჭიაკოკონებივით აცისკროვნებდნენ იქაურობას. სახლის წინ მანგოს ხე ხაროობდა, ნაკაფის პირას ორი ხე ჩახვეოდა ერთმანეთს და თავიანთ ცეცხლისფერ ყვავილებს ახარბებდნენ ოქროსფერ ქოქოსის პალმებს.

აი აქ ცხოვრობდა სტრიკლენდი და იმით კმაყოფილდებოდა, რასაც მიწა აძლევდა. პაპიეტს იშვიათად ესტუმრებოდა ხოლმე. მამულს შორიახლო პატარა მდინარე ჩაუდიოდა და სტრიკლენდი ხშირად ბანაობდა ამ მდინარეში. ხანდახან მდინარეს თევზების ქარავანი ამოჰყვებოდა ზღვიდან. მაშინ ნაპირებს ბარჯებით შეიარაღებული ტაიტელები მოეფინებოდნენ და ერთი ყივილ-ხივილით დაერეოდნენ ვეება დამფრთხალ თევზებს, რომლებიც ცდილობდნენ კვლავ ზღვისთვის წელეფარებინათ თავი. ხანდახან სტრიკლენდი ბრიგებზე მიდიოდა სათევზაოდ და ომარს ან მთელ კალათა ნომცოლ ჭრელ-ჭრელ თევზებს მოიტანდა ხოლმე. ამ თევზებს ატა ქოქოსის ზეთში წვავდა. ატა დიდი ხმელეთის ასთაკვებიდანაც ძალიან გემრიელ კერძს ამზადებდა. ეს ასთაკვები კი იმდენი იყო, რომ ყოველ წუთის გეგებოდა ფეხებში.

ზევით, მთის ფერდობებზე, გარეული ფორთოხლები ხაროობდა. ატა ორსამ ქალს გაიყოლებდა სოფლიდან და უკან მწვანე, სურნელოვანი, ტკბილი ნაყოფით დატვირთული ბრუნდებოდა. როცა ქოქოსის კაკალი მოიწეოდა, ატა ნათესავებს მოიშველიებდა (ატას, როგორც ყველა ტაიტელს, უამრავი ნათესავი ჰყავდა) და პალმებს ჩამობერტყავდა. მერე გაარჩევდნენ და მზეზე დაყრიდნენ გასაშრობად. როცა გაშრებოდა, კოპრას ამოაჭრიდებდნენ და ტომრებში ყრიდნენ. მერე ქალები იმ ტომრებს მოიკიდებდნენ და ქვეყანა, სოფელში მიჰქონდათ ვაჭართან. ვაჭარი კოპრაში ბრინჯს, საპონს, ხორცის კონსერვებს და ცოტაოდენ ფულს აძლევდა. ხანდახან მეზობელ სოფელში ღრეობას აწყობდნენ. ნაშინ ღორებს კლავდნენ და იწდენ ხორცსა ჭამდნენ, რომ ლამის გამსკდარიყვნენ. ღრეობის მერე ცეკვავდნენ და საკულტო სიმღერებს გალობდნენ.

ატას საბელი სოფლიდან შორს იყო, ტაიტელები კი ზარმაცი ხალხია — ეტლით ან სხვა რაიმე ტრანსპორტით სეირნობასა და ჭორაობაზე უარს არ ამბობენ, მაგრამ ფეხით სიარული არ უყვართ. ამიტომ სტრიკლენდი და ატა მთელი თვეობით მარტონი იყვნენ. სტრიკლენდი მთელ დღეს ხატავდა და კითხულობდა, ხოლო როცა ბინდი ჩამოწვებოდა, ორივენი აივანზე დასხდებოდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ და ღამეს უცქერდნენ. მერე ატას ბავშვი შეეძინა და მოხუცი ქალი, რომელმაც ატა მოაწმობიარა, იმათთან დარჩა საცხოვრებლად. მალე მოხუცს წვილიშვილი ეტუნერა და იქანაც იქ მოისურვა დარჩენა. ბოლოს ვილაც ჭაბუკიც მოეელინათ. არავინ იცოდა, საიდან ნოვიდა და ვინაა რა ასლობელი იყო. არც თვითონ შეუწუხებია თავი დიდი განმარტებებით და ბოდიშებით — მოვიდა და აღარ წავიდა. ასე ერთად ცხოვრობდა ყველა ატასა და სტრიკლენდის ოჯახში.

თავი ორმოცდამეცამეტე

Tiens, voilà le capitaine Brunot[1], — მითხრა ერთხელ ტიარემ, როცა ვცდილობდი დამელაგებინა და ერთ ყალიბში მომექცია ყოველივე, რაც ამ ჭალისაგან შევიტყვე სტრიკლენდის შესახებ, — იგი კარგად [illegible] სტრიკლენდს. შინაც სტუმრებია.

კაპიტანი ბრუნო შუაბნის სახეგარუჯული ფრანგი გამოდგა. მას მოზრდილი, შავი, ოდნავ ჭალარაშერეული წვერი და დიდი ბრიალა თვალები ჰქონდა. ტანთ ქათქათა ტილოს კოსტიუმი ეცვა. ეს კაცი ჯერ კიდევ საუზმის დროს შევამჩნიე. ჩინელმა მინტანმა ა-ლიმ მითხრა, დღეს ჩამოჰყვა პაუმოტიდან ჩამოსულ გემსო. ტიარემ მიმიყვანა მასთან და კაპიტანმა საგიზიტო ბარათი გამომიწოდა, დიდი ბარათი, რომელზეც ეწერა: René Brunot, ქვეეით კი — Capitaine au Long Cours[2]. ჩვენ პატარა აივანზე ვისხედით, საბზარეულოს მახლობლად. ტიარე კაბას უკერავდა თავის ერთ-ერთ მოსამსახურე გოგოს. კაპიტანი ბრუნო ჩვენს მაგიდას მოუჯდა.

— დიახ, სტრიკლენდს კარგად ვიცნობდი, — დაიწყო მან, — ჭადრაკის ტრფიალი გარ და ისიც ყოველთვის დიდი სიამოვნებით თამაშობდა ხოლმე. ტაიტიზე წელიწადში საჯერ-ოთხჯერ ჩამოვდიოდი და ამ სასტუმროში ვჩერდებოდი. როცა იგი პაპიეტეში იყო, აუცილებლად მოვიდოდა ჩემთან ჭადრაკის სათამაშოდ. ცოლი რომ შეირთო, — კაპიტანმა გაიღიმა და ძხრები აიჩეჩა, — enfin[3], იმ ტიარეს მიცემულ გოგოსთან რომ დაიწყო ცხოვრება, მითხოვა, მინახულეო. მე ქორწილში ვეწვიე — მან ტიარეს შეხედა და ორივეს გაეცინა, — ამის შემდეგ პაპიეტეში იშვიათად ჩამოდიოდა. ისე მოხდა, რომ ერთი წლის შემდეგ იმათ მხარეში მომიხდა ყოფნა, აღარ მახსოვს, რა საქმეზე, და როცა ის საქმე მოვათავე, ვიფიქრე, ურიგო არ იქნება, საწყალი სტრიკლენდი რომ მოვინახულო-ნეთქი. ერთ-ორ ტაიტელს გამოვკითხე მისი ამბავი და გამოვარკვიე, რომ ჩემგან სულ ხუთიოდე კილომეტრზე ცხოვრობდა. აედექი და ვესტუმრე.

ამ პატარა თავგადასავალმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მე ატოლზე ვცხოვრობ, დაბალ კუნძულზე, რომელსაც ირგვლივ უამრავი ყურე და უბე აქვს შემორტყმული და იქაური სილამაზე ცისა და ზღვის სილამაზეა. იქ მხოლოდ წყლის ფერთა თამაში და კოპწია ქოქოსის პალმების დანახვა გიხარებს თვალს, მაგრამ ის მხარე, სადაც სტრიკლენდი ცხოვრობდა, ედემის ბაღს წააგავდა სიტურფით. ო, ნეტავი თქვენი თვალით განახვათ ეს თვალწარმტაცი მხარე, ეს პაწია, ქვეყნის თვალს მოფარებული, მომაჯადოებელი კუთხე; მისი ლურჯი ცა, მისი გაუვალი ტევრები! იქ ფერების ზეიმია, ჰაერში ათასგვარი სურნელება ტრიალებს; მაცოცხლებელი სიგრილე ლოყაზე გელამუნება... არა, განა სამოთხის აღწერა ძალუძს მოკვდავ ადამიანს? ჰოდა, ამ სამოთხეში ცხოვრობდა სტრიკლენდი, არც თვითონ ფიქრობდა ქვეყანაზე და ქვეყანასაც დავიწყებოდა იგი. ვიცი, რომ ევროპელს ასეთი ბეჩავი ცხოვ-

[1] აი კაპიტანი ბრუნოც (ფრანგ.).

[2] შორეული ნაოსნობის კაპიტანი (ფრანგ.).

[3] ერთი სიტყვით (ფრანგ.).

რება დიდად არ მოეწონება. სახლი ნახევრად დანგრეული და ფესუფთაო იყო. როცა მივუახლოვდი, დავინახე, რომ აივანზე სამი ტაიტელი იწვა. ხომ იცით, როგორ უყვართ აქაურებს თავის შეყრა. ერთი ჭაბუკი გულდაღმა იწვა და სიგარეტს აბოლებდა. მთელი მისი სამოსი პარეო გახლდათ. პარეო წითელი ან ლურჯი ჩითის გრძელი ნაჭერია, ოღონდ შიგ აუცილებლად [illegible] ერიც უნდა ერიოს. ამ ნაჭერს წელზე ირტყამენ და თითქმის [illegible] ევთ. თხუთმეტოდე წლის გოგონა ქუდსა წნავდა პანდანუსის ფოთლებით. იქვე ლედაბერი ჩაცუცქულიყო და ჩიბუხს აბოლებდა. მერე ატაც შევნიშნე. იგი ძუძუს აწოვებდა ჩვილს. იქვე, მის ფერხთით, მეორე, მთლად დედიშობილა ბავშვი თამაშობდა. ატამ დამინახა და სტრიკლენდს შესძახა ოთახში. სტრიკლენდი კარს მოადგა. იმასაც მარტო პარეო უფარაედა სიშიშვლეს. უჩვეულო შესახედავი იყო ეს მწითურწვერიანი, თმაგაბურძგნილი, მკერდგანიერი და ტანბალნიანი კაცი. ფეხები დაბებერავებული და დახეთქილი ჰქონდა და მივხვდი, რომ მუდამ ფეხშიშველა დადიოდა. სტრიკლენდი ნამდვილ ტაიტელად ქცეულიყო.

ნას ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა და მაშინვე უთხრა ატას. სადილად ქათამი დაგვიკალეო. შემდეგ ოთახში შემიყვანა და თავისი ბოლო, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ნახატი მიჩვენა. ოთახის ერთ კუთხეში საწოლი მოჩანდა, შუაში კი მოლბერტი იდგა და ზედ ნახატი იყო დამაგრებული. მე მეცოდებოდა სტრიკლენდი და ადრე რამდენიმე ნახატი ვიყიდე მისგან. ზოგი მათგანი ჩემთვის დაეიტოვე, ზოგი კი შეგობრებს გავუგზავნე საფრანგეთში.

თუმცა ეს ნახატები მხოლოდ იმიტომ ვიყიდე, რომ სტრიკლენდისათვის გაჭირვება შეგემსუბუქებინა, დრო რომ გავიდა, თანდათან შემიყვარდა, თანდათან რაღაც უცნაური სილამაზე აღმოვაჩინე იმათში. თავიდან ყველას სულელი ვეგონე, მაგრამ საქმე ისე შემობრუნდა, რომ ყველაზე ჭკვიანი გამოვდექი. მე ვიყავი სტრიკლენდის პირველი თაყვანისმცემელი ამ მხარეში.

ბრუნომ დაკინვით გადახედა ტიარეს. ქალი მაშინვე ავიშვიშდა და ხელახლა გვიამბო ამერიკული ღუმელის ყიდვის ამბავი.

— ის ნახატები ისევა გაქვთ? — ვკითხე ფრანგს.

— დიახ. სანამ ჩემი ქალიშვილი გასათხოვარი არ გახდება, არ გავყიდი. სამზითვოდ ვუნახავ, — მიპასუხა ბრუნომ და კვლავ სტრიკლენდთან სტუმრობის ამბავს მიუბრუნდა:

— არასოდეს დამავიწყდება ის საღამო. სულ ერთი საათით ნიველდი, მაგრამ სტრიკლენდი ჩამაცივდა, ამაღამ ჩვენთან დარჩი. მე შევეყოუმანდი, რადგან, სიმართლე გითხრათ, ეს ჭილოფები არ მომეწონა, რომლებზეც უნდა დაეწერა, მაგრამ უარი ვეღარ ვუთხარი. სახლს რომ ეიშენებდი პაუმოტში, რამდენიმე კვირას მეძინა ამაზე უარეს საწოლზე და თანაც თავზე ჭერი არ მეხურა. მწერებისა კი არ მეშინოდა, კანი ისე მქონდა გასქელებული, რომ ვერაფერს დაშაკლებდნენ.

სანამ ატა სადილს მოამზადებდა, მდინარეზე ჩავედით საბანაოდ. სადილის შემდეგ აივანზე დავსხედით, თამბაქო გავაბოლეთ და მასლაათი დავიწყეთ. ტაიტელმა ჭაბუკმა კონცერტინო დაუკრა. ამ ჰანგებს ათი წლის წინ უკრავდნენ მუზიკ-ჰოლებში. ისინი უცნაურად ჟღერდნენ აქ, ტროპიკულ ღამეში, ციელიზაციისაგან ათასობით მილის დაშორებით. სტრიკლენდს ვკითხე, ნუთუ არ გიმძიმს ცხოვრება ამ ხალხში-მეთქი. არაო, მიპასუხა, პირიქით, მიყვარს,

როცა ნატურა ახლოსა მაქვსო. მალე ტაიტელებს მთქნარება აუტყდათ და დასაძინებლად წავიდნენ. მე და სტრიკლენდი მარტონი დავრჩით აივანზე. ჩუმი, ჩუმი ღამე იდგა. ჩემს კუნძულზე ასეთი მყუდრო ღამეები არ იცის. სანაპიროზე მილიარდობით არაება დაფუსფუსებს, ზოგი ნიკარაგანი, ზოგი შიშველი. ქვიშაში კიბორჩხალები დაღოღავენ, ყურეში, ხანდ[illegible] აქ. წყლიდან ამომხტარი თევზის ტყლაშუნი გაისმის, დროდადრო [illegible] ზვიგენი დაედევნება თევზებს. თევზები მძლავრად ურტყამენ კუდს წყალს და ცდილობენ სადმე ბრაგებში შეაფარონ თავი. გამუდმებით ისმის ნაპირს მოხეთქებული ტალღების ყრუ ხმაური. იქ, ტყეში, კი ჩქამიც არ ისმოდა არსაიდან. ჰაერში ღამის თეთრი ყვავილების თავბრუდამხვევი სურნელება ტრიალებდა. ისეთი მშვენიერი, ისეთი მომაჯადოებელი ღამე იყო, რომ სული სხეულის ტყვეობიდან განთავისუფლებას ლამობდა. გრძნობდი, რომ სული სადაცაა დატოვებდა სხეულს და უსაზღვრო სივრცეში გაინავარდებდა, მაგრამ აქ სიკვდილიც მეგობრად მიგაჩნდა.

— ეჰ, ნეტა ისევ თხუთმეტი წლისა მქნა! — ამოიოხრა ტიარემ, მერე კი სწრაფად წამოავლო ხელი რომელიღაც წიგნს და მთელი ძალ-ღონით ესროლა კატას, რომელიც თურმე სამზარეულო მაგიდაზე დადგმულ კიბოთი სავსე თეფშს ეპარებოდა. კატამ მაშინვე მოცოცხა და ტიარემ ლანძღვა-გინების ნაკადი მიაყოლა უკან.

— ვკითხე, ატასთან ბედნიერი ხარ თუ არა-მეთქი, — განაგრძო თხრობა კაპიტანმა, — სტრიკლენდმა მიპასუხა, ატა სულ არ მაბეზრებს თავს, საჭმელს მიმზადებს, ბავშვებს უვლის და, რასაც ვეუბნები, მისრულებს. ქალისაგან კი მეტს არაფერს მოვითხოვო. მერე ვკითხე, ნუთუ ევროპა არ გენატრებაო? ნუთუ არასოდეს არ გებადება ელექტრობით გაჩახჩახებული პარიზისა და ლონდონის ქუჩებში გაელის სურვილი? ნუთუ არ გინდა შეგობრების, ამხანაგების, შენი ტოლების წრეში ყოფნა? que sais-je[1] — თეატრში წასვლა, გაზეთების წაკითხვა? არ გინდა, კვლავ გაიგონო ომნიბუსის რახრახი ქვაფენილზე-მეთქი. სტრიკლენდი კარგა ხანა დუმდა, ბოლოს მომიგო, სიკვდილამდე აქ დავრჩებით. მე ვკითხე, ნუთუ მარტობა არა გწყინდებაო-მეთქი. სტრიკლენდმა ჩაახველა და მიპასუხა: Mon pauvre ami, გეტყობა, მხატვრობა სულ არ იცნობო.

კაპიტანმა ბრუნომ ამოდ გაიღიმა. შავ, კეთილ თვალებში უცნაურმა გამომეტყველებამ გაუელვა:

— სტრიკლენდი არ იყო მართალი. მეც ვიცი, რა არის ოცნება, მეც მეწვევა ხოლმე ნამანები. გარკვეული თვალსაზრისით, მეც მხატვარი მქვია.

ერთხანს ჩუმად ვისხედით. მერე ტიარემ სიგარეტის ყუთი ამოიღო თავისი უძირო ჯიბიდან და შემოგვთავაზა. სამივემ გავაბოლეთ.

სიჩუმე ბოლოს ტიარემ დაარღვია:

— რადგან monsieur დაინტერესებულია სტრიკლენდის ამბით, რატომ არ უნდა წაეიყვანოთ ეკიმ კუტრასთან? იგი უამბობს სტრიკლენდის ავადმყოფობისა და სიკვდილის ამბავს.

— Volontiers[2], — თქვა კაპიტანმა და შემომხედა.

---

[1] რა ვიცი, რამდენი რამ (ფრანგ.).

[2] სიამოვნებით (ფრანგ.).

მე მადლობა გადავუხადე. კაპიტანმა ბრუნომ საათს დახედა და თქვა:

— ახლა შვიდია დაწყებული. ექიმი უკვე შინ იქნება. თუ გვინდა, წავიდეთ.

უსიტყვოდ წამოვდექი ფეხზე და მალე ორივენი ექიმის სახლისაკენ მივდიოდით. იგი ქალაქგარეთ ცხოვრობდა, მაგრამ ჩვენი საცხოვრებელი ქალაქის ბოლოს იდგა; ასე რომ, დიდი ხნის სავალი არა გვქონდა. გახიერ გზაა პილპილის ხეების ჩრდილი ადგა, გზის ორივე მხარეს ქოქოსის პალმებისა და ვანილის პლანტაციები იყო გაშენებული. პალმის ფოთლებში „პირატები"[1] ჟღურტულებდნენ. მალე პატარა მდინარეზე გადებულ ქვის ხიდს მივაღწიეთ და ცოტა ხანს შევჩერდით, რათა მდინარეში მოჩყუმპალავე ტაიტელი ბავშვებისათვის გვეყურებინა. ისინი კისკისითა და ჟივილ-ბივილით დაბადებდნენ ერთმანეთს, სველი ყავისფერი სხეულები მზის სხივებს ირეკლავდნენ.

თავი ორმოცდამეთოთხმეტე

გზაში სულ იმაზე ვფიქრობდი, რაც სტრიკლენდზე მოვისმინე ამ ბოლო დროს. ეტყობა, სტრიკლენდს აქ, ამ შორეულ კუნძულზე, ისეთი ზიზღითა და სიძულვილით არ ეპყრობოდნენ, როგორც ევროპაში. პირიქით, იცოდებდნენ და ყოველგვარ ახირებას ეთმენდნენ. აქაურებისათვის, როგორც ტაიტელების, ასევე ევროპელთათვის, იგი უცნაური და ახირებული იყო, მაგრამ ტაიტელები ამისთანა ადამიანს პირველად არა ხედავდნენ და ამიტომ არც უბრაზდებოდნენ — ჭვეყანაა სავსეა უცნაური ადამიანებით, რომლებიც უცნაურად იქცევიან.

ტაიტელებს ვერ მოატყუებ. იმათ იციან ადამიანის ცნობა. ინგლისსა და საფრანგეთში სტრიკლენდმა ვერა ნახა თავისი ადგილი, ტაიტიზე კი ყველანაირი ადამიანი თავისუფლად გრძნობდა თავს. არა მგონია, რომ სტრიკლენდი აქ უფრო კეთილი, მოყვარე და თავაზიანი იყო, მაგრამ ეს კი უდავოა, რომ უფრო ხელსაყრელი პირობები შეექმნა. მთელი სიცოცხლე ტაიტიზე რომ გეტარებინა, ალბათ, არაფრით არ იქნებოდა სხვებზე უარესი. აქ მას თანაგრძნობით მოეკიდნენ, ამას კი თავისი თანამგზავრებისაგან არ მოელოდა და არც ეაწრაფოდა.

მე კაპიტან ბრუნოს ვუთხარი, თუ რატომ არ ნიკვირდა, რომ სტრიკლენდი ასე წარეწყო აქაურობას. მან ცოტა ხანს იყუჩა და შემდეგ მითხრა:

— მეც კარგად ვეცქეოდი, მაგალითად, ნაგრამ ეს სულ არ არის გასაკვირველი. ჩვენ, ორივე, ერთსა და იმავე მიზნისაკენ მივისწრაფოდით, თუმცა მაშინ ეს მიზანი კარგად არც კი ვვქონდა წარმოდგენილი.

— ღვთის გულისათვის, მითხარით, რა საერთო გქონდათ ასეთ განსხვავებულ ადამიანებს? — დიმილით ვკითხე კაპიტანს.

— მწყენიერება.

— ეგ მეტად ფართო ცნებაა.

— ხომ იცით, რომ ადამიანი სიყვარულის ტყვე ხდება. სხვა არაფერი

[1] ჩიტის ჯიშია.

ახსოვს ამქვეყნად. იგი ისევე აღარ ეკუთვნის თავის თავს, როგორც ხომალდზე მიჯაჭვული მონა. ის გატაცება კი, რომელსაც მთლიანად შეეპყრო სტრიკლენდის არსება, სიყვარულზე ძლიერი იყო.

— რა საოცარია, რომ თქვენც მაგას ამბობთ. მე ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მოვიდა აზრად, რომ სტრიკლენდი რაღაც ეცნაურ, ძალას ჰყავდა შეპყრობილი, — შევნიშნე მე.

— დიახ, და სწორედ ის აიძულებდა შეექმნა მშვენიერება. არ აძლევდა მოსვენებას, ერთ ადგილას არ აჩერებდა და ბოლოს მუდმივ მსხეპად აქცია. მას ერთთავად სტანჯავდა ღვთაებრივი ნოსტალგია, ერთთავად აწამებდა მის არსებაში დაბუდებული დემონი. არსებობენ ჭეშმარიტებაზე შეყვარებული ადამიანები, ისინი მზად არიან თვით სამყაროს საფუძვლებიც კი შეარყიონ, ოღონდ სანუკვარ მიზანს მიაღწიონ. სტრიკლენდიც ასეთი იყო. ოღონდ ჭეშმარიტებას კი არა, მშვენიერებას ესწრაფოდა. მე ძალიან მებრალებოდა იგი.

— რა საოცარია! ვრთმა ადამიანმაც, რომელსაც სტრიკლენდმა დიდი ტკივილი მიაყენა, მითხრა, სტრიკლენდი ძალიან მეცოდებაო. ნუთუ თქვენ შეძელით სტრიკლენდის ამოცნობა? მე ეს ყოველთვის შეუძლებელი მეგონა. როგორ მიხვედით ამ დასკვნამდე?

კაპიტანი ბრუნო ღიმილით მოტრიალდა ჩემკენ და მითხრა:

— განა წელან არ გეუბნებოდით, შეც მხატვრად უნდა ჩამთვალონ-მეთქი? მეც იგივე ცეცხლი მწვავდა, ოღონდ სტრიკლენდი მხატვრობის საშუალებით გამოხატავდა სათქმელს, ჩემი ფუნჯი და ყალამი კი თვით ცხოვრება იყო.

ამას კაპიტანმა ბრუნომ თავისი ცხოვრების ამბავი მოაყოლა. მისი ნაამბობი თავიდან ბოლომდე უნდა გავიმეორო აქ, რადგან, თუმცა ერთი შეხედვით სულ სხვანაირია, როგორღაც მაინც ავსებს ჩემს წარმოდგენას სტრიკლენდზე. ესეც არ იყოს, თვითონ ამბავიც მოსაწონია.

კაპიტანი ბრუნო ბრეტონელი იყო. იგი საფრანგეთის ფლოტში მსახურობდა. ცოლი რომ შეირთო, სამსახურს თავი დაანება და კანაპეს მახლობლად დასახლდა. უნდოდა, დარჩენილი დღეები მშვიდად გაეტარებინა თავის პატარა მამულში, მაგრამ მოულოდნელად მისი ადვოკატი გაკოტრდა და კაპიტანი ბრუნო ცარიელზე დარჩა. არც მან და არც მისმა ცოლმა აღარ მოინდომეს მათხოვრებივით ეცხოვრათ იმ მხარეში, სადაც ადრე ქონებაც ჰქონდათ და დაფასებაც. მეზღვაურობის დროს კაპიტანს შემოვლილი ჰქონდა სამხრეთის ზღვები და ახლა გადაწყვიტა იქ წასულიყო ბედის საძიებლად. პირველად რამდენიმე თვე პაპეეტეში დაპყო, რათა ცოტა მიეხედ-მოეხედა და იქაურობას შესჩვეოდა. მერე ერთი ფრანგი მეგობრისაგან ნასესხები ფულით პატარა კუნძული იყიდა პაუმოტში.

კუნძული ეიწრო ზოლად ერტყმოდა ირგვლივ ღრმა ყურეს, იგი უკაცრიელი იყო და ზედ მხოლოდ ბუჩქები და ველური გუავა ხაროობდა. აი ამ კუნძულზე დასახლდა კაპიტანი ბრუნო თავისი ყოჩაღი ცოლით, რამდენიმე ადგილობრივი მუშა იქირავა და სახლის აგებას და ბუჩქნარის გაკაფვას შეუდგა. მან გადაწყვიტა, ნაკაფზე ქოქოსის პალმების პლანტაცია გაეშენებინა. ეს იყო თორმეტი წლის წინათ, ახლა კი უნაყოფო კუნძული ბაღნარად იყო ქცეული.

— თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, ძალზე მომქანცველი სამუშაო იყო, — მითხრა კაპიტანმა,—ორივენი თავდაუზოგავად ვმუშაობდით. ალაინზე ვდგებოდი

და მუხლჩაუკრეფელად ვტრიალებდი: ვკაფავდი, ვრგავდი, სახლს ვაშენებდი. როცა გვიან, ღამით ლოგინში ჩავწვებოდი, იმწამსვე მკვდარივით მეძინებოდა. ცოლი აულ მხარში მედგა და ერთგულად ეწეოდა ცხოვრების ტვირთს. მერე შვილები შეგვეძინა — ჯერ ბიჭი, მერე გოგო. მე და ჩემი ცოლი ვასწავლით ყველაფერს. ინგლისურსა და მუსიკას ცოლი ასწავლის (პიანინოზე ნაკვეთი-დან ჩამოგვივიდა), მათემატიკასა და ლათინურს მე, ისტორიას — [illegible] ერთად ვკითხულობთ და ყველანი ერთად ვისმენთ. ბავშვებმა კარგად იციან ბალქნიანი ნავის მართვა და ნიჩბოსნობა, ცურვით კი აქაურებივით ცურავენ. შესანიშნავად იცნობენ, აგრეთვე, ამ მხარეს. ჩემმა ნარგავებმა კარგად იხარა, თანაც ყურეში სადაფი აღმოჩნდა. ახლა ტაიტიზე ინიტომ ჩამოვედი, რომ შხუნა ვიყიდო. სადაფის ამოღება უნდა დავიწყო ზღვიდან და, მე მგონი, არც ვიბარალებ. მერედა ვინ იცის, იქნებ მარგალიტიც გამოერიოს შიგადაშიგ! ერთი სიტყვით, არარაობიდან რაღაცა შეექმენი, ასე რომ, შშვენიერების შემოქმედი ვარ. ეჰ, აბა როგორ გაგაგებინოთ, თუ რას განვიცდი, როცა იმ ბალალ, მოხდენილ ხეებს ვუყურებ. ისინი ხომ ჩემი დარგულია!

— ნება მომეცით, იგივე კითხვა მოგცეთ, რომელიც თქვენ სტრიკლენდს მიეცით ოდესაღაც, — ვუთხარი კაპიტან ბრუნოს, — ნუთუ არასოდეს არა დარდობთ საფრანგეთზე, ნუთუ არ გენატრებათ თქვენი ძველი სახლი, ბრეტანში რომ დატოვეთ.

— შოგვიანებით, ქალიშვილი რომ გვთხოვდება, ვაჟი ცოლს მოიყვანს და აქაურ საქმეებს გაუძღვება, მე და ჩემი მეუღლე საფრანგეთში დავბრუნდებით და აიცოცხლის ბოლო დღეებს იმ სახლში გავატარებთ, სადაც დავიბადე.

— თანაც ბედნიერად გატარებულ ცხოვრებას მოიგონებთ, არა? — დავსძინე მე.

— Evidemment [1], ჩემს კუნძულზე გასართობი არაფერი გვაქვს. ქვეყნის დასალიერში ვართ — ოთხი დღე მარტო ტაიტამდე მოსვლას უნდა, მაგრამ მაინც ბედნიერები ვართ. ამქვეყნად განა ბევრია ისეთი, რომელმაც თავისი შრომის ნაყოფი მოიმკო? ჩვენ სადა და სპეტაკ ცხოვრებას ვეწევით, პატივმოყვარენი არა ვართ და მხოლოდ იმით ვამაყობთ, რაც საკუთარი ხელით შეგვექმნია. არც ღვარძლს ვაჭმევინებთ გულს და არც შურს. ეჰ, mon cher monsieur [2], მე ხშირად მომისმენია შრომის ხოტბა. ჩვეულებრივ, ეს ცარიელი, უშინაარსო სიტყვების გროვაა, მაგრამ ჩვენთვის მას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. არა, მე მართლა ბედნიერი კაცი ვარ!

— ჩემი ღრმა რწმენით, დაიმსახურეთ კიდეც ეგ ბედნიერება, — ღიმილით ვუთხარი მე.

— შესაძლებელია, მართალი ბრძანდებით, მაგრამ ის კი ნამდვილად არ ვიცი, ასეთი ცოლის ღირსი როგორ გავხდი. იგი ჩემი მეგობარი, უღლის გამწევი, შესანიშნავი დიასახლისი და მოსიყვარულე დედაა.

ცოტა ხანს ჩუმად ვიყავი და კაპიტნის ნაამბობზე ვფიქრობდი. მერე ვუთხარი:

— აშკარაა, რომ ასეთი დაბრკოლებების გადალახვასა და ასეთი წარმა-

---

[1] რა თქმა უნდა (ფრანგ.).

[2] აქ: ჩემო კარგო (ფრანგ.).

ტებების მიღწევას მტკიცე ნებისყოფა და დიდი გაბედულება უნდა, რაც, ალბათ, არც ერთს არ გაკლიათ.

— შესაძლებელია, მაგრამ კიდევ ერთი რამ იყო, უფრო ლამაზიც, ვერაფერს ვერ მივაღწევდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა?

კაპიტანი ბრუნო წამოდგა, ხელი წინ გაიშვირა და ხმამაღლა, საზეიმოდ წარმოთქვა.

— რწმენა უფლისა! უამისოდ ყველანი დავიღუპებით!

ცოტა ხნის შემდეგ ექიმის სახლიც გამოჩნდა.

თავი ორმოცდამეთხუთმეტე

ექიმი კუტრა ხანში შესული, მაღალი, სქელი ფრანგი გამოდგა. ტანი იხვის ვეება კვერცხს მიუგავდა. დროდადრო კმაყოფილებით დაატკაცუნებდა ხოლმე თავის გამჭრიახ, ლურჯ, კეთილ თვალებს საკუთარ უზარმაზარ ლიპს. სახე წითლად ულაყლაყებდა, თმა მთლად გაჭაღარავებული ჰქონდა. დაეჭიანე თუ არა, მაშინვე სიმპათიით განვეწყე მის მიმართ. იპეთი ოთახი, სადაც ნასპინძლობა მიგვიღო, ყველა ფრანგული პროვინციელი ქალაქის სახლში შეიძლებოდა გენახათ. ორიოდე პოლიანეზიური ნივთი, რომელიც ოთახის დასამშვენებლად იყო განკუთვნილი, გემეტებოდათ კიდეც თვალში.

ექიმმა თავის ვეება ხელებში მოიტაცია ჩემი ხელი და გულითადი მზერა მომაპყრო, თუმცა ისიც ვიგრძენი, რომ ამ მზერით სულში მიპირებდა ჩაძრომას და ჩემი ზრახვების გამოცნობას.

როცა კაპიტან ბრუნოს ჩამოართვა ხელი, ზრდილობიანად გამოჰკითხა მეუღლისა და ბავშვების ამბავი. სალამ-ქალამი რომ მოათავეს, ერთხანს წაიჭორავეს, მერე იმაზე ისაუბრეს, თუ როგორი პირი ეჩანდა წელს კობრისა და ვანილს და, ბოლოს, როგორც იყო, კაპიტანმა ჩემი სტუმრობის მიზეზზე ჩამოაგდო სიტყვა.

მე ჩემი სიტყვებით გადმოგცემთ ექიმის მონაყოლს, იმასავით ცოცხლად და ხატოვანად თხრობის უნარი არ შემწევს. ექიმს დაბალი, მჟღერი ხმა ჰქონდა, სწორედ ისეთი, იმის მძლავრ სხეულს რომ შეეფერებოდა და არც მსახიობობის ნიჭი აკლდა. ჩემი აზრით, ბევრ სპექტაკლზე ვერც კი მიიღებდა ასეთ სიამოვნებას.

ერთხელ ექიმ კუტრას ტარიეთში მოუხდა წასვლა რომელიღაც ტომის ბელადი ქალის სამკურნალოდ. ექიმმა თვალნათლივ დაგვიხატა, თუ როგორ იწვა ლოგინში ეს მაღქანი დედაბერი, როგორ ექაჩებოდა სიგარეტებს და რა მოკრძალებით დაეუსფუსებდნენ მის ირგვლივ ფერადკანიანი დიდებულები. ავადმყოფის გაცინვის შემდეგ ექიმი მეორე ოთახში მიიწვიეს და სადილით გეუმასპინძლდნენ. უმი თევზი, ზემწვარი ბინანები, წიწილები და რა ვიცი, რა და რა ადგილობრივი ნუგბარი საჭმელი არ მიართვეს. სადილობის დროს შენიშნა, რომ ოთახიდან ვიღაც თვალცრემლიანი გოგო გააგდეს. მაშინ დიდი ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის, მაგრამ როცა ორთვალაში ჯდებოდა შინ დასაბრუნებლად, ისევ დაინახა ის გოგო. იგი შორიახლო იდგა შე-

წუხებული და თვალებიდან ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი. ექიმმა ვილაცას ჰკითხა, რატომ ტირის, რა გასჭირვებიაო. იმან უპასუხა, ეგ ქალი ბოლიდან ჩამოვიდა, რომ თეთრი კაცის გასასინჯად წაეყვანეთ, მაგრამ ოქვენამდე არ მოუწევია, უბრძანეს, ნუ შეაწუხებო. მან გოგოს მოუსმო და ჰკითხა, რა გინდოდაო. გოგომ უპასუხა, ატას გამომაგზავნა, აი იმან, სახელოებიანი ლა ფლერში" რომ მუშაობდა, და დამავალა მეთქვა, რომ ნწითური ავად არის. გოგომ გაზეთის ნახევში გახვეული რაღაცა ჩაუდო ხელში. ექიმმა გაშალა და ნახა, რომ ალფრანკიანი იყო.

„ვინ არის მწითური", ჰკითხა ექიმმა ერთ-ერთ ტაიტელს. იმან უპასუხა, ეგ ის ინგლისელი მხატვარია, რომელიც ატასთან ერთად ცხოვრობს ზევით, ხეობაში, აქედან შვიდი კილომეტრის მანძილზეო. იგი მიხვდა, რომ სტრიკლენდზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ საქმე ის იყო, რომ იმ ხეობაში მხოლოდ საცალფეხო ბილიკით შეიძლებოდა ასვლა, ექიმს კი სიცოცხლე უჭირდა და სწორედ ამიტომ არ მიუშვეს გოგო მასთან.

— გულადილად რომ გითხრათ, კარგა ხანს ვიყოყმანე, აბა რა სასიამოვნო იყო თოთხმეტი კილომეტრის გავლა მთის ბილიკებზე. თანაც იმ ღამეს ნაწვიმარად ველარ მოვასწრებდი შინ, პაპიეტეში დაბრუნებას. ყოველივე ამას ისიც ემატებოდა, რომ სტრიკლენდი არ მომწონდა. ვის მოეწონებოდა ასეთი უქნარა და ულაზოო კაცი, რომელიც, იმაზე მაგვარად, რომ ჩვენ-ავით, საკუთარი შრომით, ეცხოვრა, ტაიტელი ქალის ხარჯზე ქაბდა პურს? Mon Dieu [1], რა ვიცოდი, რომ ერთ შშვენიერ დღეა გენიოსად გამოაცხადებდნენ?! გოგოს გკითხე, ხუთუ ასე ცუდად არის, რომ აქამდე ჩამოსვლა არ შეუძლია, ასეთი რა სჭირს-ბუთქი. გოგომ არაფერი მიპასუხა და როცა გავბრაზდი და მივაკინდი, თავი დახარა და ტირილი დაიწყო. მე მხრები ავიჩეჩე. რაც არ უნდა იყოს, მინდოდა თუ არ მინდოდა, მოკალე ვიყავი, წავსულიყავი და ყელში ბოლმაწოწოლილმა ვუბრძანე, წინ გაიძეხი და გზა ნიჩვენე-მეთქი.

ექიმს არც მაშინ გაბოუკეთდა გუნება, როცა ოფლში გაღვარულმა და მწყურვალმა, როგორც იქნა, მიაღწია ატას სახლს. ატა გარეთ იდგა და ელოდა. რომ დაინახა, ჩაეგება.

— სანამ ავადმყოფთან მიმიყვანდეთ, რაიმე დამალევინეთ, — ამოიკვნესა ექიმმა, — Pour l'amour de Dieu [2], ქოქოსის კაკალი მომეცით.

ატამ რაღაც გაიძახა ბიჭს. იგი სირბილით მოიჭრა, ხეზე აცოცდა, მწიფე კაკალი ჩამოაგდო. ატამ კაკალი გახვრიტა და ექიმს მიართვა. ექიმი ხარბად დაეწაფა მაცოცხლებელ სითხეს, მერე პაპიროსი გაიბზადა და უკეთეს ხასიათზე დადგა.

— სად არის მწითური? — იკითხა მან ბოლოს.

— ოთახშია და ხატავს. მე არ მითქვამს, რომ მოხვიდოდით. შედით და გასინჯეთ.

— კი მაგრამ, რას უჩივის? თუ ხატვა შეუძლია, ქვეყვით, ტარავეაოშიც შეეძლო ჩამოსულიყო და ამ დაწყეველილ გზაზე არ ვეთრიე! მე მგონი, მაგაზე ნაკლებ არ მილირს დრო.

---

[1] ღმერთო ჩემო (ფრანგ.).

[2] ღვთის გულისათვის (ფრანგ.).

ატას ხმა არ ამოუღია, ისე გაუძღვა ექიმს სახლისაკენ. ბიჭიც უკან დაედევნა.

გოგო, რომელმაც აქ მოიყვანა, უკვე აივანზე იჯდა. იქვე, ვედლის ძირში, ვილაც მოხუცი ქალი წამოწოლილიყო და სიგარეტებს ახვევდა. ატამ კარზე ანიშნა. დამხვდურების უცნაური ქცევით გაბრაზებულმა ექიმმა ვერ შეაღო და სტრიკლენდი დაინახა. იგი პალიტრას წმენდდა. იქვე, მოლბერტზე, ნახატი იდო. ზურგით მდგომ სტრიკლენდს მხოლოდ პარეო ჰქონდა შემოკრული თეძოებზე. ფეხსაცმლის ბაკუნი რომ გაიგონა, კარისაკენ მიბრუნდა და ექიმს უგემური მზერა შეაგება. იგი გოცებული დარჩა უცხო კაცის დანახვით და, ეტყობოდა, გაბრაზდა კიდეც. ექიმს რაღაც გაეჩხირა ყელში. ფეხებიც თითქოს იატაკს მიეწება, ნაბიჯი ვეღარ გადადგა წინ. მხოლოდ თვალები დააჭყიტა და მეხდაცემულივით მიაშტერდა სტრიკლენდს. ყველა ყველა და, ამას კი არ მოელოდა.

— ძალიან უბოდიშოდ შემობრძანდით, — დაუღრინა სტრიკლენდმა, — რით შემიძლია გემსახუროთ?

ექიმი უკვე გონს მოსულიყო, მაგრამ ხმის ამოღებას მაინც ვერ ახერხებდა. სიბრაზე გაქრობოდა და გრძნობდა, რომ — „et bien, oui, je ne le nie pas“ [1] — გული სიბრალულით ეკუმშებოდა.

— მე ექიმი კუტრა ვარ, — მოახერხა ბოლოს, — ქვევით ვიყავი, ტარავაოში, ბელადი ქალის გასასინჯად და ატამ შემომითვალა, ქმარი ავად მყავსო.

— რა ტუტუცია. ცოტა ტკივილები მქონდა ამას წინათ და შემამცივნა კიდეც, მაგრამ რა სალაპარაკოა, გაივლის. აი, ვინმე წავა პაპიეტეში და ქინაქინას დაეაბარებ.

— აბა სარკეში ჩაიხედეთ.

სტრიკლენდმა შეხედა, გაიღიმა, კედელზე ჩამოკიდებულ პატარა სარკესთან მივიდა, ჩაიხედა და ექიმს ჰკითხა:

— ჩავიხედე. მერე რა?

— ვერ ატყობთ რა უცნაურად გაქვთ სახე შეცვლილი? ნახეთ, როგორი გაუხეშებული გაქვთ ნაკვთები და როგორ გამოიყურებით... არ ვიცი, როგორ აგიხსნათ. წიგნებში ამას „ლომის ნიღაბს“ უწოდებენ. Mon pauvre ami, ნუთუ პირდაპირ უნდა გითხრათ, თუ რა სამინელი სენი გჭირთ?

— მე?

— დიახ, სარკიდან ნამდვილი კეთროვანი გიმზერთ.

— თქვენ ალბათ ხუმრობთ?

— ნეტავი აგრე იყოს.

— ესე იგი, კეთრი მაქვს?

— საუბედუროდ, ამაში წამითაც არ მეპარება ეჭვი.

ექიმ კუტრას ბევრი ადამიანისათვის უწინასწარმეტყველებია გარდაუვალი სიკვდილი და მაინც ამ დროს ყოველთვის შიში და ძრწოლა იპყრობდა. ყოველთვის ცხადლივ გრძნობდა, თუ როგორ უცებ შესძულდებოდა ხოლმე სასიკვდილოდ განწირულს ამ სამინელი ამბის მთქმელი, მით უმეტეს, რომ

[1] მერე რა, დასამალი რა მაქვს? — (ფრანგ.).

თვითონ ჯანმრთელი და ლოყებლაჟლაჟა კაცი იყო და, ალბათ, კარგა ხანს იცოცხლებდა. სტრიკლენდს კი ხმა არ ამოუღია. ამ საშინელი ავადმყოფობისაგან დამახინჯებულ სახეზე მღელვარების ნიშანწყალიც კი არ გამოსულა.

— იმათ იციან? — იკითხა ბოლოს მან და აივნისაკენ გაიხედა, საიდაც უჩვეულოსა და უცნაურ სიჩუმეს დაესადგურებინა.

— აქაურებმა კარგად იციან ამ სენის ნიშნები. თქვენ — ექიმმა ბოლოს თქმა, — უპასუხა ექიმმა.

სტრიკლენდი კართან მივიდა და გარეთ გაიხედა. ეტყობა, საზარელი სანახავი იყო, რადგან აივანზე ჯერ კვილი ატყდა, მერე კი მოთქმა და ტირილი. სტრიკლენდს ხმა არ ამოუღია, ცოტა ხანს უყურა მოტირალთ, მერე ოთახში შებრუნდა და ექიმს ჰკითხა:

— თქვენი აზრით, რამდენ ხანს ვიცოცხლებ?

— ეგ ვინ იცის? ზოგჯერ ოც წელსაც ძლებენ ხოლმე. ვისაც ბედი აქვს, მალე ეღება ბოლო.

სტრიკლენდი მოლბერტთან მივიდა და კარგა ხანს უმზირა ზედ დადებულ ნახატს. მერე ექიმს მიუბრუნდა და უთხრა:

— თქვენ დიდი გზა გამოიარეთ. წესია, რომ მნიშვნელოვანი ამბის მომტანი რაიმეთი დააჯილდოვონ. წაიღეთ ეს ნახატი. ახლა არაფრად მიგაჩნიათ, მაგრამ დადგება დრო და დიახაც დააფასებთ.

ექიმი უარზე იყო, მე არავითარი გასამჯელო არ მინდაო (ის ასი ფრანკიც დაებრუნებინა ატასათვის), მაგრამ სტრიკლენდი ისე ჩააცივდა, რომ არაფერი გაუვიდა. მერე ორივენი აივანზე გავიდნენ. იქ ისევ გლოვა და ზარი იდგა.

— გაჩუმდი, ქალო, ცრემლები მოიწმინდე, — უთხრა სტრიკლენდმა ატას, — ქვეყანა არ იქცევა. მე მალე დაგტოვებ.

— ხომ არ წაგიყვანენ აქედან? — წესტირა ატამ.

იმ ხანებში კუნძულებზე კეთროვანებს ძალით არ ათავსებდნენ ლეპროზორიუმებში. თუ სურდათ, შეეძლოთ თავისუფლად ევლოთ.

— მე მთებში უნდა წავიდე, — უთხრა სტრიკლენდმა. ატა ფეხზე წამოდგა და თვალებში მიაჩერდა ქმარს:

— თუ სხვებს უნდათ, წავიდნენ, მე კი შენთან უნდა ვიყო. შენ ჩემი კაცი ხარ, მე შენი ქალი. შენ თუ დამტოვებ, ვფიცავ უფალს, აი ამ ხეზე ჩამოვიხრჩობ თავს.

ატას ხმაში ძალა და შეუვალობა იგრძნობოდა. ეს მორჩილი და თვინიერი ტაიტელი გოგო მხნე და გაბედულ ქალად ქცეულიყო.

— შენ რატომ უნდა დარჩე აქ? შეგიძლია პაპიეტეში დაბრუნდე. იქ მალე იპოვნი სხვა თეთრ კაცს. ეს მოხუცი შენს ბავშვებს მოუვლის. ტიარე სიხარულით მიგიღებს უკან.

— შენ ჩემი კაცი ხარ, მე შენი ქალი. საღაც შენ წახვალ, მეც იქ უნდა წამოვიდე.

წამით სტრიკლენდს მხნეობამ უღალატა; თვალები ცრემლით აევსო, მერე ნელ-ნელა ჩამოედინა ლაწვებზე, მაგრამ მალევე შეიკავა თავი, დამცინავად გაიღიმა და ექიმს მიუბრუნდა:

— ქალები უცნაური არსებანი არიან. შეგიძლია ძალლივით აწვალო, იმ-

დენი სცემო, რომ ხელები დაგიბუჟდეს და მაინც ეყვარები, — სტრიკლენდმა მხრები აიჩეჩა, — ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე სულელური გამოგონება, ჩემი აზრით, ის დებულებაა, რომელიც ამტკიცებს, ადამიანს სული აქვთო.

— რას ეუბნები ექიმს? — ეჭვიანად ჰკითხა ატამ, — ... დამტოვო?

— თუ ასე გინდა, დავრჩები, საწყალო გოგონავ.

ატამ დაიჩოქა, ხელები მუხლებზე მოხვია და კოცნა დაუწყო.

სტრიკლენდმა ექიმს შეხედა, ოდნავ გაიღიმა და უთხრა:

— ბოლოს მაინც ჩაგიგდებენ ხელთ და თავის ნებაზე გატარებენ. ყველანი ასეთები არიან, თეთრებიც და ყავისფერებიც.

ექიმმა იგრძნო, რომ დამამშვიდებელი სიტყვები უსარგებლო იქნებოდა და ულმოდ შეტრიალდა წასასვლელად. სტრიკლენდმა ტანეს, აი იმ ყმაწვილს, კაკალზე რომ აფოფსდა, უთხრა, ექიმი სოფლამდე ჩააცილეო.

ექიმი კუტრა ცოტა ხანს დუმდა. მერე მობიბრუნდა და მითხრა:

— მე არ მიყვარდა სტრიკლენდი. აკი წელიწადიც გითხარით, ვერ ვიტანდი-მეთქი, მაგრამ მაშინ, ტარავაოში რომ ვბრუნდებოდი, აღტაცებული კიდევ მისი მხნეობით. განა ყველას შეუძლია ასე ვაჟკაცურად გადაიტანოს ასეთი ზარი და ელდა?!

ტანე უკან რომ ბრუნდებოდა, ვუთხარი, წამლებს გამოვაგზავნი, ცოტა შვებას მიაცემს-მეთქი, მაგრამ იმედი კი არა მქონდა, რომ სტრიკლენდი ამ წამლებს დალევდა და თუნდაც დაელია, მაინც არაფერი ეშველებოდა.

ატას ბიჭის პირით შეეუთვალე, როცა გიჟდებოდეა, შემომითვალე და ამოვალ-მეთქი. ცხოვრება მკაცრია. „ბუნება ხანდახან საშინელ სატანჯველს უმზადებს თავის შვილებს", — ვფიქრობდი გულდამძიმებული, როცა ჩემს მყუდრო სახლს ვუახლოვდებოდი.

კარგა ხანს არც ერთს არ ამოგვიღია ხმა. ბოლოს ისევ ექიმმა დაარღვია დუმილი:

— მაგრამ ატას აღარ დავუბარებიეარ და აღარც მე დამჭირვებია წასვლა იმ მხარეში, ასე რომ, სტრიკლენდის ამბავი არ ვიცოდი. ატა ერთი ორჯერ ჩამოვიდა პაპიეტში საღებავების საყიდლად, მაგრამ მე არ მინახავს.

ტარავაოში მეორედ მხოლოდ ორი წლის შემდეგ მომიხდა წასვლა. იმავე ის დედაბერი უნდა გამეხინჯა, ტონის ბელადი. იქ ყოფნისას ვიკითხე, სტრიკლენდის ამბავი ხომ არაფერი იცით-მეთქი. იმ დროს უკვე ყველამ იცოდა, კეთრი რომ სჭირდა. სახლიდან ჯერ ტანე წასულიყო, მერე დედაბერი და მისი შვილიშვილი. ახლა იმ სახლში მარტო სტრიკლენდი და ატა ცხოვრობდნენ თავიანთი შვილებით. პლანტაციას სათოფეზე არაფერ ეკარებოდა, რადგან აქაურებს ძალიან ეშინიათ ამ სენის. წინათ კეთროვანებს ხოცავდნენ კიდეც. როგორც კი ტყე-ღრეში მოხეტიალე სოფლელი ბიჭები წითელწვერა თეთრ კაცს მოჰკრავდნენ თვალს, მაშინვე კისრისტეხით გაეცლებოდნენ აქაურობას. ზოგჯერ, ღამით, ატა ჩამოვიდოდა სოფელში, მედუქნეს ვაღვიძებდა და აუცილებელ წვრილმანებს გამოართმევდა. მან კარგად იცოდა, რომ სოფლელებს უნდა მორიდებოდა, თორემ კარგ დღეს არ დააყრიდნენ. ერთხელ ქალებმა დაინახეს, რომ ატა თეთრეულს რეცხავდა ნაკადულში და ქვები დაუშინეს. ამის მერე

მედუქნეს დაავალეს, უთხარი, ნაკადულს აღარ მიეკაროს, თორემ კაცები ავლენ და სახლს დაუწვავენო.

— მხეცები, — წამოვიძახე მე.

— Mais non, mon cher monsieur[1], ხალხი ყოველთვის ასეთია. შიში ამხეცებს ადამიანს... მე გადავწყვიტე, მენახა სტრიკლენდი, და, რაკი ბელადის გასინჯვას მოვრჩი, ვთხოვე, ვინმე ბიჭი გაეყოლებინათ სტრიკლენდის სახლამდე. მაგრამ ჩემი მეგზურობა ვერავინ გაბედა და იძულებული გავხდი, მარტო წავსულიყავი.

როცა ექიმმა პლანტაციას მიაღწია, იგრძნო, რომ რაღაცამ დაუმძიმა გული. სიარულისაგან ხვითქი გადასდიოდა სახეზე, მაგრამ მაინც კანკალებდა. ჰაერში საფრთხე იგრძნობოდა და ექიმმა ყოყმანი დაიწყო, უკან ხომ არ დაებრუნდეო. თითქოს რაღაც უხილავი ძალა უღობავდა გზას, უხილავი ხელი უკან ეჭაჩებოდა. მიწაზე ქოქოსის კაკლები ეყარა და ლპებოდა — ამკრეფი არავინ იყო. ირგვლივ ყველაფერს დატყობოდა უპატრონობა. ტყე და ბუჩქნარი თავის ნებაზე იყო მიშვებული და მალე, ალბათ, ბუნება კვლავ დაიბრუნებდა მიწის იმ პატარა ნაჭერს, რომელიც ადრე დიდი ჯაფისა და წვალების ფასად გამოგლიჯეს ადამიანებმა ხელიდან. ექიმს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ტანჯვის სამფლობელოს კარიბჭესთან იდგა. სახლს რომ მიადგა, სამარისებური სიჩუმე შემოეგება წინ და იფიქრა, ალბათ, აქ ძეხორციელის ჭაჭანება აღარ არისო. უცებ ატას მოჰკრა თვალი. იგი სამზარეულოში — სახლზე მიდგმულ ფარდულში — ჩაცუცქულიყო და რაღაცას ხარშავდა ქვაბში. იქვე ბავშვი იგანგლებოდა ტალახში. ქალს არც კი გაუღიმია ექიმის დანახვაზე.

— მე სტრიკლენდის გასასინჯად მოვედი.

— წავალ და ვეტყვი.

ატა სახლისაკენ გაემართა, პატარა კიბე აიარა, ივანი გადაჭრა და ოთახში შევიდა. ექიმი უკან მიჰყვებოდა, მაგრამ კართან ქალმა ანიშნა, მომიცადეო და ისიც დაემორჩილა. კარი რომ გაიღო, ოთახიდან გულისამრევი, მოტკბო სუნი გამოვარდა. სწორედ ამ ამაზრზენი სუნის გამო გაურბის ყველა კეთროვანის სიახლოვეს. ექიმმა ჯერ ატას შეკითხვა გაიგონა, მერე სტრიკლენდის პასუხი, მაგრამ ხმა ეუცხოვა, — ჩახლეჩილი ჰქონდა და სიტყვებიც ვერ გაარჩია.

ექიმმა წარბები აჭიმა, იგი მიხვდა, რომ სენი უკვე სახმო სიმებს მისდგომოდა. მერე ატა გამოვიდა და უთხრა, სტრიკლენდს თქვენი ნახვა არ უნდა, აქედან უნდა წახვიდეთო.

ექიმი მიეძალა, მაგრამ ატამ არაფრით არ მისცა შესვლის ნება. ბოლოს ექიმმა ხელი ჩაიქნია და უკან გაბრუნდა. ქალი ფეხდაფეხ მიჰყვა; ეტყობოდა, იმასაც ერთი სული ჰქონდა, სანამ ამ უცხო კაცს მოიშორებდა თავიდან.

— ნუთუ ვერაფრით დაგეხმარები? — ჰკითხა ბოლოს ექიმმა ქალს.

— თუ შეგიძლიათ, საღებავები გამოუგზავნეთ. მეტს არაფერს არ ითხოვს.

— კიდევ შეუძლია ხატვა?

— ახლა კედლებზე ხატავს.

— როგორი გატანჯული ცხოვრება დაგირჩა, შვილო!

— ის ჩემი კაცია, — თქვა ატამ, გაიღიმა და იქაურობას ზეციური სიყვა-

[1] სრულიადაც არა, ჩემო ძვირფასო (ფრანგ.).

რულის შუქი მოპფინა. ექიმი კუტრა ისეთი აღტაცებითა და მოკრძალებით გა-
ნიმსჭვალა ამ ქალის მიმართ, რომ კარგა ხანს ხმა ვეღარ ამოიღო.

— შენი მეორე ბაგშვი სად არის? — ჰკითხა ბან ბოლის, — ბაშინ რომ
ვიყავი, ორი გყავდა.

— ჰო, ორი მყავდა. მოკვდა. მანგოს ხის ქვეშ დაეცა

ატა ცოტახანეც გაჰყვა და მერე უთხრა, უკან უნდა დაბრუნდეს. ექიმი
მიხვდა, რომ ქალი სოფლელებთან შეხვედრას უფრთხოდა. დაბშვიდობებისას
კვლავ დაუბარა, თუ დაგჭირდე, ხმა მომაწვდინე და მაშინვე წამოვალო.

თავი ორმოცდამეთექვსმეტე

ამის მერე კიდევ ორი წელი გავიდა, შეუძლებელია, სამიც, რადგან ტაი-
ტიზე დრო შეუმჩნეველად გადის და ანგარიში ძნელდება. ერთ ღღეს ექიმს
ამბავი მიუვიდა, სტრიკლენდი კვდებაო. ატა პაპიეტეში მიმავალ საფოსტო
ორთვალას გადასდგომოდა წინ და ფოსტალიონს შეეედრებოდა, ექიმთან გაი-
ყოლეო. ექიმი შინ არ აღმოჩნდა და ეს ამბავი მხოლოდ საღამოს გაი-
გო. ღამე იმ მთებში წასვლა არ შეიძლებოდა და ამიტომ გათენებისას დაადგა
გზას. ტარავაომდე ეტლით მივიდა, დანარჩენი შვიდი კილომეტრის გავლა კი,
ამჯერად უკანასკნელად, ფეხით მოუხდა. ბილიკი თითქმის დაფარული იყო
ბალახითა და ბუჩქებით. ეტყობოდა, წლების განმავლობაში ადარაევის დაედგა
ფეხი ზედ. ექიმმა ძლივს გაიგნო გზა ამ ტყე-ღრეში. ხან ამოძშრალი ნაკადუ-
ლის კალაპოტს მიჰყვებოდა, ხან ეკლიან ბუჩქნარში მიიკვლევდა გზას, ხან კი
იძულებული იყო კლდე-კლდე ებღოტიალა, რათა ხეებიდან ჩამოშვებული
კრიზანის ბუდეებისათვის აერიღებინა თავი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე
სუფევდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა პატარა, შეუღებავი სახლი და
ექიმმა შვებით ამოისუნთქა. სახლი საშინლად დაძველებულიყო, კარ-მიდამო მო-
უვლელი ჩანდა. აქაც აუტანელ მდუმარებას დაედო ბინა. ექიმი სახლს მიუ-
ახლოვდა. პატარა ბიჭი, რომელიც თავისთვის თამაშობდა ბზის გულზე, შეში-
ნებული გაიქცა სადღაც. აქ ყველა უცნობი სამტროდ მოდიოდა. ექიმი გრძნობ-
და, რომ ბავშვი რომელიღაც ხეს მოფარებოდა და თვალმოუცილებლად უმ-
ზერდა უცხოს. აივნის კარი მოღიაღებული იყო. ძახილზე არავინ გამოიხედა. ექი-
მი აივანზე ავიდა და ოთახის კარზე დააკაკუნა, მაგრამ არც ამჯერად გამოპასუ-
ხებია ვინმე. მაშინ სახელური გადაატრიალა და ოთახში შეაბიჯა. მაგრამ ისეთი
სიმყრალე ეცა სახეში, რომ კინაღამ იქვე ჩაიკეცა. მან სახეზე ცხვირსახოცი
აიფარა და თავს ძალა დაატანა, რომ გარეთ არ გამოვარდნილიყო.

ოთახი ნახევრად ბნელი იყო და კაშკაშა მზით განათებული ეზოდან შე-
მოსულმა ექიმმა პირველად თითქმის ვერაფერი ვერ დაინახა. როცა თვალი
შეეჩვია იქაურობას, ექიმი შეცბა. იგი უცებ ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა,
ეგონა, სადღაც ზღაბრულ სამყაროში ვარო. ბუნდოვნად არჩევდა უსიერ,
პირველქმნილ ტყეს, რომელშიც დედიშობილა ადამიანები დადიოდნენ.

მერე მიხვდა, რომ ყოველივე ეს კედლებზე ეხატა.

— Mon Dieu [1], ნეტავი მზემ ხომ არ დამკრა, — ჩაიდუდუნა თავისთვის
ექიმმა.

---

[1] ღმერთო ჩემო (ფრანგ.).

უეცრად ოთახში რაღაც შეინძრა და ექიმმა ატა დაინახა. იგი იატაკზე ეგდო და ქვითინებდა.

— ატა, — დაუძახა მან, — ატა!

ქალმა არ უპასუხა. ექიმმა კვლავ იგრძნო ის ამაზრზენი სუნი და, გული რომ არ არეოდა, სიგარას მოუკიდა. ახლა უკვე შეაჩვია, თვალი სინათლეს და როცა კარგად დაათვალიერა მოხატული კედლები, მისი არსება საოცარმა მღელვარებამ მოიცვა. მხატვრობისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ აქ რაღაც ისეთი იყო, რამაც სული და გული აუფორიაქა. კედლები, იატაკიდან ჭერამდე, დაფარული იყო უცნაური, კომპოზიციური თვალსაზრისით მეტი-მეტად რთული ფერწერით. იგი ისე საოცრად მიმზიდველი და იდუმალი გახლდათ, რომ ექიმს სუნთქვა შეეკრა. რომ გეკითხათ, ვერ აგიხსნიდათ, თუ რა იყო ის უცნაური გრძნობა, რამაც ასე ერთიანად შეძრა მისი არსება. იგი თითქოს სამყაროს შექმნას ხედავდა საკუთარი თვალით და გული ლამის გახეთქოდა კრძალვისა და აღტაცებისაგან. ეს რაღაც დიადი, გრძნობების ამწელელი, აღმტკანებელი და, ამავე დროს, შემაშფოთებელი რამ იყო. ექიმი ცოტათი შეშინდა კიდეც. ეს ხომ იმ ადამიანის ნამუშევარი იყო, რომელმაც ბუნების სამალავებში შეაღწია და იქ დაუნჯებული საიდუმლოებანი შეიცნო, საიდუმლოებანი, რომლებიც მშვენიერიც იყო და შიშის მომგვრელიც.

ამ ნახატების შემქმნელს ის საიდუმლო ამოეცნო, რაც სამარადისოდ დაფარული უნდა ყოფილიყო კაცობრიობისათვის. აქ რაღაც პირველყოფილი და ძრწოლის მომგვრელი იყო, რაღაც არაადამიანური, ჯადოქრული, მშვენიერი და ამავე დროს უხამსი და მოურიდალი.

— ღმერთო ჩემო! ეს ხომ გეხიოსია, — აღმოხდა ექიმს უნებლიეთ. მერე კუთხეში მიყრილი ჭილოფები შენიშნა, მიუახლოვდა და სტრიქონების საშინლად დაბახიხჯებული შემზარავი გვამი დაინახა. ექიმმა ნებისყოფა მოიკრიფა და დაიხარა, რომ ახლოდან შეეხედა მიცვალებულისათვის, მაგრამ უეცრად შეკრთა და სწრაფად გაიმართა წელში. მან იგრძნო, რომ ვიღაც ედგა უკან და შიშით კინაღამ გული არ გაუსკდა. მერე უკან მოიხედა და ატა დაინახა. იგი უხმოდ წამომდგარიყო იატაკიდან, ზურგს უკან დადგომოდა და სტრიქონების ნეშტს დაჰყურებდა.

— ღმერთო დიდებულო, ნერვებმა მთლად მიღალატეს, — ჩაილაპარაკა ექიმმა, — ისე შემაშინეთ, რომ ცოტაც და გული გამისკდებოდა.

ექიმმა კვლავ დახედა ამ გასაცოდავებულ ცხედარს და გაოცებულმა წამოიძახა:

— კი მაგრამ, ნუთუ ბრმა იყო?

— ჰო, ბოლო ერთი წელი ვეღარაფერს ხედავდა.

თავი ორმოცდამეჩვიდმეტე

ამ დროს ოთახში ვიზიტიდან დაბრუნებული ქალბატონი კუტრა შემოვიდა და საუბარი შეგვაწყვეტინა. ეს მაღალი, სქელი ქალი, ვიწრო კორსეტში ძლივძლივობით რომ ეტეოდა, აფრაგაშლილი ხომალდივით შემოცურდა ოთახში. ქალბატონ კუტრას არწივისებური ცხვირი და სამი ღაბები ჰქონდა;

სიარული გამართული იცოდა. ცდილობდა, არ მოდუნებულიყო და აქაც, ტროპიკულ მხარეშიც, ისე დაუღლელი იყო, ისეთი მჩქეფარე ენერგიით იღებდა მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში, რომ ბევრ ზომიერი ჰავის ქვეყანაში მცხოვრებ ქალს შეშურდებოდა. ლაპარაკი, როგორც ჩანს, ძალიან უყვარდა და ახლაც, შემოვიდა თუ არა, ახალი ამბებისა [illegible] ბოლოებს გროვა დაგვიხვავა წინ. ჩვენი წინანდელი საუბრის თემა უკვე შორეული და არარეალური გვეჩვენა.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმმა მაინც მოახერხა ეთქვა ჩემთვის:

— სტრიკლენდის ნაჩუქარი ნახატი ახლაც კაბინეტში მიკიდია. გინდათ, გიჩვენოთ?

— ძალიან!

წამოვდექით და აივანზე გავედით. აივანი ოთხივე მხრიდან უვლიდა სახლს. ცოტა ხანს ვიდექით და ხარბად გაზრდილი, ალისფერი ყვავილების ყურებით ვტკბებოდით.

— კარგა ხანს ვერ დავივიწყე ის საოცარი მხატვრობა, სტრიკლენდის სახლის კედლებზე რომ ვნახე, — ჩაილაპარაკა ექიმმა.

იმ წუთში მეც ამაზე ვფიქრობდი: ალბათ, სტრიკლენდმა ბოლოს და ბოლოს მოახერხა, რომ მთელი სული ჩაექსოვა ამ ნახატებში. იგი სიმყუდროვეში მუშაობდა, თანაც იცოდა, რომ ეს ბოლო ცდა იყო და ყველაფერი უნდა ეთქვა, რაც კი იცოდა ცხოვრებაზე, ყველაფერი, რაც კი შეიცნო ამდენი ხნის ძიების შემდეგ. იქნებ, ბოლოს მიაღწია კიდეც მშვიდობის ნავსაყუდელს, იქნებ შეძლო იმ დემონის გაგდება, ამდენ ხანს რომ ულრღნიდა სულს.

მთელი მისი ტანჯული ცხოვრება ამ საქმეშოს შესასრულებლად ემზადებოდა და, როცა დაამთავრა, ალბათ, შვება მიეცემოდა მის წამებულ სულს. ამის მერე სიკვდილს უშიშრად შეეგებებოდა, რადგან ნატვრა შესრულებული ჰქონდა.

— რა იყო გამოხატული კედლებზე? — ვკითხე ექიმს.

— ვერც კი გადმოგცემთ. რაღაც უცნაური, ზღაპრული რამ გახლდათ. მხატვარი თითქოს ქვეყნის შექმნას დასწრებოდა. თითქოს ედემის ბაღში გაევლო და ადამი და ევა ენახა. que sais-je[1]? ეს იყო ადამიანის სილამაზის საგალობელი, ქალისა და მამაკაცის სხეულის ხოტბა და დიდება, ბუნების, დიადი, გულგრილი, მომხიბვლელი და ბოროტი ბუნების ქებათა ქება. უმზერდი და შიში გიპყრობდა, რომ სამყარო ეგზომ უკიდეგანოა და დრო ეგზომ უსასრულო. ხეები თითქოს ჩვეულებრივი იყო, ყოველდღე რომ ვხედავთ ისეთი — ქოქოსის პალმები, ლეღვისა და ავოკადოს ხეები, ფლამბოიანები, მაგრამ იმის შემდეგ სულ სხვანაირად მეჩვენება. თითქოს ყოველ მათგანს სული ედგა, თითქოს რაღაც საიდუმლო იცოდნენ, რომელიც, აი, სადაცაა უნდა ამოხსნა, მაგრამ ბოლო წამში ისევ ბურუსით იფარება და ისევ ამოუცნობი ხდება. ფერებიც თითქოსდა ნაცნობი, ჩვეულებრივი იყო და ამავე დროს უცნაური, განსხვავებული, განსაკუთრებული მნიშვნელობისა და შინაარსის მქონე. ახლა ის შიშველი ქალები და კაცები? ისინი მიწიერები იყვნენ, აქაური თიხისაგან შექმნილნი და რაღაც ღვთიურიც ემჩნეოდათ. ეს ადამიანები არ ფარავდნენ

[1] რა ვიცი (ფრანგ.).

თავიანთ პირველყოფილ ინსტინქტს და ამის დანახვაზე აგაკანკალებდა, რადგან ამ ადამიანებში საკუთარ თავს ამოიცნობდი.

ექიმმა კუტრამ მხრები აიწურა და მორიდებული ღიმილით თქვა:

— ალბათ, სასაცილოდ ამიგდებთ. მე მატერიალისტი [illegible] ამისა-ქე კაცი, ნამდვილ ფოლსტაფს ვგავარ და ლირიულობა [illegible]. რა თქმა უნდა, სასაცილო ვარ. მაგრამ ადრე არავითარ მხატვრობას არ მოუხდენია ჩემზე ასეთი დიდი შთაბეჭდილება. Tenez [1], ასეთივე გრძნობა მქონდა როცა სიქსტეს კაპელა ვნახე რომში. მახსოვს, უდიდესი პატივისცემა და მოწიწება ვიგრძენი იმ მომხატველის მიმართ. ეს გენიალური, გრანდიოზული, ყველაფრის მომცველი სანახაობა იყო. ჩემი თავი ქრთილივით მცირე და არაფრის მაქნისი მეგონა. როცა იმ ტაძრის თაღის სანახავად მიდიხარ, წინასწარ იცი, რომ იგი უდიდესი მხატვრის, მიქელანჯელოს, მოხატულია, მაგრამ იქ, ტარავაოს მთებში დაკარგულ პატარა ქოხში, ასე შორს ცივილიზაციისაგან, ასეთ საოცრებას არ მოველოდი. მიქელანჯელო ჯანმრთელი და ნორმალურია, მისი ქმნილებები მშვიდი და ამაღლებულია, სტრიკლენდის ნახატები კი, მიუხედავად იმისა, რომ წმენიერი იყო, რაღაცით გაწუხებდათ. არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ რომ ვუყურებდი, სული და გული ამიწრიალდა. ისეთი გრძნობა მქონდა, როგორც იმ ადამიანს, მოხურული კარის წინ რომ ზის და ნამდვილად იცის, რომ ოთახი ცარიელია, მაგრამ მაინც შეშინებული ფიქრობს, შიგ იქნებ ვინმე იყოსო. იგი თავის თავს უბრაზდება, ყველაფერს ნერვებს აბრალებს და მაინც... მაინც... ცოტაც და უკვე დაუძლეველი შიშის კლანჭებში ექცევა, უკვე ვერაფრით ვეღარ იკავებს ცახცახს. დიახ, უნდა გითხრათ, რომ მაინცდამაინც არა მწყენია, როცა გავიგე, რომ ეს უცნაური შედევრი განადგურდა.

— განადგურდა?! — შევძახე მე.

— Mais oui [2]. ნუთუ არ იცოდით?

— საიდან უნდა მცოდნოდა? თუ სიმართლე გინდათ, არც კი ვიცოდი მაგ ნახატების არსებობა, მაგრამ ახლა რომ ლაპარაკობდით, გავიფიქრე, ალბათ ვინმეს კერძო კოლექციაში მოხვდა-მეთქი. სტრიკლენდის ნამუშევრების სრული კატალოგი ხომ დღემდე არ არის შედგენილი.

— როცა დაბრმავდა, საათობით იჯდა იმ ორ პაწია ოთახში, უსინაოლო ოვალებით უმზერდა თავის ნახატებს და, შესაძლებელია, ამ ერთ წელიწადში მეტი დაინახა, ვიდრე მთელი ცხოვრების მანძილზე. ატამ მითხრა, არასოდეს არა წუწუნებდა თავის ბედზე, არასოდეს სულით არ დაცემულა, ბოლომდე მშვიდი და უშფოთველი დარჩაო. სიკვდილის წინ სიტყვა ჩამოურთმევია ცოლისთვის, როცა დამმარხავ... მგონი არ მითქვამს, რომ საკუთარი ხელით გავუჭერი საფლავი, რადგან იმ მიდამოს არც ერთი ტაიტელი არ გაეკარებოდა ახლოს. საფლავი გავუჭერი და ჩვენ ორმა დავასაფლავეთ — მე და ატამ; სამი პარეო გადავაკერეთ ერთმანეთს, შიგ გავახვიეთ და მანგოს ხის ქვეშ დავასაფლავეთ. ჰოდა, სიტყვა ჩამოურთმევია, როცა დამმარხავ, სახლს ცეცხლი წა-

---

[1] აქ: აი, მაგალითად (ფრანგ.).

[2] დიახ.

უკიდე და სანამ მთლიანად არ დაიწვება, ფეხი არ მოიცვალო აქედანო. ერთი ფიცარიც არ უნდა დატოვო დაუწვავი. მე ფიქრებმა წამიღო და კარგა ხანს ხმა არ ამომიღია. მერე შევნიშნე, სტრიკლენდი ბოლომდე ისევ ეალთი დარჩენილა-მეთქი.

— მართლა? მე კი მოვალედ ჩავთვალე თავი, რომ [illegible] ნებინა ატასთვის სახლის დაწვა.

— ის ნახატები რომ გაშფოთებდათ, მაინც?

— მაინც! მე ხომ ვიცოდი, რომ შედევრები იყო. განა შეეძლო ომის უფლება, რომ საუდამოდ დამეკარგა ისინი კაცობრიობისათვის? მაგრამ ატას მოსმენაც არ უნდოდა ჩემი. მან სიტყვა მისცა ქმარს! მე წამოვედი, მაგ იქ ხომ არ დავრჩებოდი ამ ბარბაროსობის საყურებლად! მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ ატამ ბარაფინი მოასხა იატაკსა და პანდანუსის ჭილოფებს და ცეცხლს მისცა. ცოტა ხნის შემდეგ იქ მხოლოდ მბეჟუტავი ნაკვერჩხლები მოჩანდა. ხელოვნების შედევრი გაქრა!

— ჩემი აზრით, სტრიკლენდმა იცოდა, რომ შედევრი შექმნა. მან მიაღწია იმას, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ესწრაფოდა, შექმნა სამყარო და დაინახა, რომ იგი ბოშვენიერი იყო. შემდეგ, იმის გამო, რომ მეტად ამაყი გახლდათ და არავისი და არაფრის რიდი და პატივისცემა არ ჰქონდა, თვითონვე გაანადგურა იგი. ახლა კი, მე მგონი, დროა, გიჩვენოთ სტრიკლენდის ნახატი, — თქვა ექიმმა და წინ გაგვიძღვა.

— ატას და მის ბავშვს რა დაემართათ?

— მარკიზის კუნძულებზე წავიდნენ. ატას იქ ნათესავები ჰყავს. მითხრეს, ბიჭი იქ კამერონის ფირმის სანდალზე მუშაობსო. გარეგნულად ძალიან ჰგვანებია მამამისს.

კაბინეტის კართან ექიმი შეჩერდა და ღიმილით გვითხრა:

— ეს ნატურმორტია. ხილია ხედ დახატული. მაინცდამაინც წესიერისა არ არის ექიმის კაბინეტისათვის, მაგრამ ცოლმა სასტუმრო ოთახში არ გაჩერა, ძალიან უხამსიაო.

— ნატურმორტია უხამსიო, ხილიო?! — გავიოცე მე.

ამ დროს კაბინეტშიც შევედით და ის ნახატი მაშინვე თვალში მომხვდა. კარგა ხანს ვიდექი მის წინ და თვალმოუშორებლად ვუმზერდი.

აქ იყო მანგოს და ბანანის ხის ნაყოფის, ფორთოხლების და კიდევ რაღაც უცნობი ხილის გროვა. ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარი ნატურმორტი გახლდათ. პოსტ-იმპრესიონისტების გამოფენაზე რომ ყოფილიყო, გამოუცდელი დამთვალიერებელი ამ სკოლის ტიპიურ, მაგრამ საშუალო ღირსების ნამუშევრად მიიჩნევდა, მაგრამ მერე, ალბათ, გაახსენდებოდა და ძალიან გაოცებულიც დარჩებოდა, რამ გამახსენაო.

მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ამ ნახატს მთლიანად ვერასოდეს დაივიწყებდა.

ნატურმორტის ფერები ისე უცნაური იყო, რომ უჩვეულო შეშფოთებასა და აღელვებას იწვევდა მნახველში. ქუფრი, გაუმჭვირვალე ლურჯი ტონები ლაჟვარდის თაპაზე ამოჭრილი ნატიფი ჩუქურთმები გეგონებოდათ. ამ ტონთა მოცახცახე ბრწყინვა და გაელვება ცხოვრების იდუმალ სუნთქვას გაგონებდათ.

სისხლისფერი ტონები ისე ამაზრზენი იყო, როგორც უმი, ლპობადი ხორცი, მაგრამ რაღაც დაუოკებელ ვნებას უღვიძებდა მნახველს და ბუნდოვნად ახსენებდა ჰელიოგაბალის დროინდელ რომის იმპერიას; მოწითალო, კვახე კენკრისფერი ტონები ინგლისურ მობაღდღეა გაგონებდათ, თოვლს, მწიაღულებას, ბავშვების ჟივილ-ხივილს. მერე ეს ტონები თანდათან დერეფრალდებოდა, ერთძანეთს ერწყმოდა და მტრედის მკერდზე ამოსული ღიღლივით ნახი ხდებოდა. აქ იყო მუქი ყვითელი, რომელიც არაბუნებრივი ვნებით ერთვოდა გაზაფხულივით სურნელოვანსა და შთის რაკრაკა ნაკადულივით გამჭვირვალე მწვანეს. ეს ხილი ნამდვილად დიდი წვალებითა და ტკივილით იყო შექმნილი. იგი ჰესპერიდების პოლიანეზიურ წალკოტში ყვაოდა. რაღაც უცნაური სიცოცხლე იგრძნობოდა ამ ხილში, იგი თითქოს ქვეყნის დასაბამისას იყო შექმნილი, როცა საგნებს ჯერ კიდევ არა ჰქონდა ჩამოყალიბებული სახე, არა ჰქონდა თავისი მუდმივი ფორმა. იგი უჩვეულოდ მდიდრული, ბრწყინვალე, თვალწარმტაცი იყო, გამაბრუებელ ტროპიკულ სურნელს აფრქვევდა და ვნებამორეული ფშვინავდა. ეს ჯადოსნური ხილი გახლდათ და საკმარისი იყო გეგემა, რომ ვინ იცის, ადამიანის სულის რა საიდუმლოს არ ამოხსნიდი, რა ზღაპრულ სასახლეებს არ მოიგლიდი ოცნებით. ეს ხილი საშინელ საფრთხესაც ფარავდა თავის წიაღში, და, რომ გეგემა, უცებ შეიძლებოდა ან ცხოველად გადაქცეულიყავი ან ღმერთად. ყოველივე, რაც ჯანსაღი და ბუნებრივი იყო, ყველა, ვინც სიკეთისა და უბრალო ადამიანური სიხარულისაკენ მიიღტვოდა, ახლოს არ უნდა გაკარებოდა ამ ხილს, მაგრამ იგი საოცარი, დაუძლეველი ძალით იზიდავდა ყველას და, ეითარცა ნაყოფი ჩისა კეთილისა და ბოროტისა, შეუცნობადი შესაძლებლობებით იყო სავსე.

ბოლოს, როგორც იყო, მოვაცილე თვალი ნახატს. ახლა დანამდვილებით ვიცოდი, რომ სტრიკლენდმა სამარეში ჩაიყოლა თავისი საიდუმლო.

— Voyons, René, mon ami[1], — გაისმა მადამ კუტრას ხმამაღალი, მხნე ხმა, — რას აკეთებთ მანდ ამდენ ხანს? აქ აპერიტივი გელოდებათ. ჰკითხე მუსიეს, ერთ ბატარა ჭიქა ქინაქინის ნაყენს ხომ არ მიირთმევს.

— Volontiers, ქალბატონო, — გავძახე მე და აივანზე გავედი.

ხიბლი გაქრა!

თავი ორმოცდამეთვრამეტე

ტაიტის დატოვების დროც მოვიდა. ამ თავაზიანი კუნძულის ადათი მოითხოვდა, რომ ყველას, ვისაც კი ეხვდებოდი ამ კუნძულზე, საჩუქარი უნდა მოეძღვნა ჩემთვის. ზოგმა ქოქოსის პალმის ფოთლებისაგან მოწნული კალათა მომიტანა, ზოგმა პანდანუსის ჭილოფი, ზოგმა მარაო, ტიარემ სამი ბატარა ბარგალიტი მაჩუქა და სამი ქილა საკუთარი ფუმფულა ხელებით მოხარშული გუავას ჟელე მისაგზლა.

როცა ტაიტიზე ოცდათხი საათით გაჩერებულმა, ველინგტონიდან სანფრანცისკოში მიმავალმა საფოსტო გემმა საყვირით მოუხმო გემბანზე მგზავ-

[1] გამიგონე, რენე, ჩემო მეგობარო (ფრანგ.).

რებს, ტიარემ ვეებერთელა მკერდზე მიმიხუტა (უცებ აღელვებულ ზღვაში მეგონა თავი) და თავისი წითელი ტუჩები ჩემსაც დააკონა. როცა ხელი შემიშვა, შევნიშნე, რომ თვალებში ცრემლის მძივები უციმციმებდა.

როდესაც ფრთხილად შემოვუარეთ ბრაგებს და, როგორც იქნა, ღია ზღვაში გავედით, ვიგრძენი, რომ გულზე სევდა შემომწოლოდა. ... მოჰქონდა აყვავებული კუნძულის სურნელება. ტაიტი ქვეყნის დასასრულია და ვიცოდი, რომ მეორედ ველარ მოვახერხებდი მის ნახვას. ჩემი ცხოვრების წიგნის კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა. ვგრძნობდი, რომ ერთი ნაბიჯით მივუახლოვდი გარდუვალ აღსასრულს.

ერთი თვის შემდეგ ლონდონში ვიყავი.

გადაუდებელი საქმეები რომ მოვათავე, სტრიკლენდის ცოლს ბარათი გავუგზავნე; ვიფიქრე, ქმრის ცხოვრების ბოლო წლების ამბავს ვუამბობ, ნამდვილად დააინტერესებს-მეთქი. იგი მთელი ომის განძილზე არ მენახა და მისამართის მოძებნა ტელეფონის წიგნში მომიხდა. მისის სტრიკლენდმა შემატყობინა, როდის შეეძლო ჩემი მიღება და მეც დანიშნულ დღეს ვესტუმრე ახალ, კოხტად მორთულ, პატარა ბინაში, კემბდენ-ჰილზე.

მისის სტრიკლენდი უკვე სამოცს იქნებოდა მიტანებული, მაგრამ წლებს თავისი დაღი არ დაემჩნია და, დიდი-დიდი, ორმოცდაათს თუ მისცემდით. თხელ-თხელი, არცთუ ძალიან დანაოჭებული სახე მოგატყუებდა: იფიქრებდი, ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იქნებოდაო.

ჭაღარაშეპარული თმა ლამაზად ჰქონდა დავარცხნილი, ტანთ მოდაზე შეკერილი თალხი კაბა ეცვა. მე გამახსენდა ვილაცის ნათქვამი: ჯერ სიძე, მაკენდრიუ გარდაეცვალა, ორი წლის შემდეგ კი დაც დაკარგა და მთელი ქონება მისის სტრიკლენდს დარჩაო. ამ სახლისა და გამოპრანჭული მოახლის შემხედვარე, მივხვდი, რომ ნაანდერძევი თანხა სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ქვრივ ქალს საკმაოდ დალხინებულად ეცხოვრა.

მისალებ ოთახში შესვლისას დავინახე, რომ მისის სტრიკლენდს ვილაც სტუმარი ჰყავდა. როდესაც მისი ვინაობა გავიგე, მივხვდი, რომ ჩემმა მასპინძელმა საგანგებოდ დამიბარა ამ დროისათვის.

სტუმარი მისტერ ვან-ბუშ ტეილორი იყო, ამერიკელი კრიტიკოსი. მისის სტრიკლენდმა მას ჩემი თავი გააცნო და თან მომხიბვლელი ღიმილით მიმართა ბოდიში:

— ხომ იცით, ჩვენ, ინგლისელები, რა საშინელი უვიცები ვართ? უნდა მაპატიოთ, რომ თქვენი დახასიათება მიხდება, — შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა: — მისტერ ვან-ბუშ ტეილორი გამოჩენილი ამერიკელი კრიტიკოსია. მისი წიგნების წაუკითხაობა სამარცხვინო ლაქად ამჩნევია ადამიანის განათლებას. თუ თქვენც არა გაქვთ წაკითხული, ეცადეთ, საჩქაროდ შეივსოთ ეს დიდი დანაკლისი. ახლა იგი რაღაცის დაწერას აპირებს ჩემს ძვირფას ჩარლზზე და აქ იმიტომ ჩამოვიდა, რომ დახმარება მთხოვოს.

მისტერ ვან-ბუშ ტეილორი კაფანდარა კაცი იყო. დიდი, მელოტი თავი სინათლეზე უპრიალებდა. ნაოჭებით დაღარული, ყვითელი სახე თავთან შედარებით ძალიან პატარა მოუჩანდა. ლაბარაკში ამერიკულად უქცევდა. უაღრესად ზრდილობიანი და ისეთი ცივი და თავშეკავებული მეჩვენა, რომ გაო-

ცებულმა გავიფიქრე, ნეტა რატომ დაინტერესდა ჩარლზ სტრიკლენდით-მეთქი.

მისის სტრიკლენდმა ლაპარაკში ისე ნაზად მოიხსენია ქმარი, რომ სიცილი ძლივს შევიკავე. სანამ ისინი საუბრობდნენ, მე ოთახს ვათვალიერებდი. თურმე მისის სტრიკლენდი ახლაც ფეხდაფეხ მისდევდა მოდას. ჩანდა მორისის შპალერი, ზოლიანი კრეტონი და ველარც ის ერეხდელი გრავიურები დავინახე, ეშლიგარდენზე მდებარე სასტუმრო ოთახის კედლებს რომ ამშვენებდა. ოთახი ზღაპრული ფერებით ბრწყინავდა და გულში ვთქვი, ნეტავი თუ იცის, რომ ამ ფერებს დღევანდელი მოდა სამხრეთის კუნძულზე მცხოვრები საცოდავი მხატვრის ფანტაზიას უნდა უმადლოდეს-მეთქი. ამ კითხვაზე მალე მივიღე პასუხი:

— რა შესანიშნავი ბალიშებია იმ დივანზე, — შენიშნა მისტერ ვან-ბუშ ტეილორმა.

— მოგწონთ? — გაიღიმა მისის სტრიკლენდმა, — ნამდვილი ბაქსტია[1]. კედლებზე სტრიკლენდის საუკეთესო ქმნილებათა ფერადი რეპროდუქციები ეკიდა. ისინი რომელიღაც მოხერხებულ ბერლინელ გამომცემელს დაებეჭდა.

— იმ ნახატებს ათვალიერებთ? — მკითხა მისის სტრიკლენდმა, — დედნებზე, რაღა თქმა უნდა, ხელი არ მიმიწვდება, მაგრამ ამათაც არა უშავთ. გამომცემელმა თავისით გამომიგზავნა. მაინც დიდი ნუგეშია ჩემთვის.

— ალბათ, ძალიან სასიამოვნოა ამ მშვენიერი ნახატების გვერდით ცხოვრება, არა? — ჰკითხა მისტერ ვან-ბუშ ტეილორმა.

— რასაკვირველია, ისინი ხომ ძალიან დეკორატიულია!

— ჩემი ღრმა რწმენით, დიდი ხელოვნება ყოველთვის დეკორატიულია, — შენიშნა მისტერ ვან-ბუშ ტეილორმა.

შემდეგ ორივენი ერთ ნახატს მიაჩერდნენ: შიშველი ქალი ძუძუს აწოვებდა ბავშვს, გვერდით გოგონას ჩაემუხლა და ბავშვს ყვავილს აწვდიდა, მაგრამ ბავშვი ყვავილს ვერც კი ხედავდა. სამივეს ვიღაც სახედანაოჭებული, გამხმარი დედაბერი დასცქეროდა თავზე. ეს „წმინდა ოჯახის“ სტრიკლენდისეული ვერსია იყო. მე მგონი, თავისი ოჯახის წევრები ჰყავდა გამოხატული. მეძუძური ქალი, ალბათ, ატა იყო, ბავშვი — თავისი პირმშო. ნეტავი თუ იცის მისის სტრიკლენდმა ეს ამბები?

საუბარი გრძელდებოდა. მე გაოცებული ვიყავი მისტერ ვან-ბუშ ტეილორის ტაქტითა და მისის სტრიკლენდის სიმარჯვით. პირველი ერთბილად უვლიდა გვერდს ისეთ საკითხებს, რომელთაც შეიძლებოდა უხერხულ მდგომარეობაში ჩაეგდო დიასახლისი, მეორე კი ისე აგრძნობინებდა სტუმარს, ქმართან მუდამ ტკბილად ვცხოვრობდიო, რომ არც ერთხელ არ იშველიებდა ტყუილს. ბოლოს მისტერ ვან-ბუშ ტეილორი ფეხზე წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. მან ხელი ჩამოართვა მასპინძელს, ათასნაირი თავაზიანი, მაგრამ გაცვეთილი ფრაზით გადაუხადა მადლობა და დაგვტოვა.

— იმედია, ძალიან არ შეგაწყინეთ თავი, — მომიბოდიშა მისის სტრიკლენდმა, როგორც კი სტუმარმა კარი გაიხურა. რა თქმა უნდა, ეს მოსაწყენი

[1] ბაქსტი — რუსი მხატვარ-დეკორატორის ლეონ როზენბერგის (1866—1924) ფსევდონიმია.

საქმიანობაა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვალდებული ვარ გავუზიარო ხალხს ყველაფერი, რაც კი ჩარლზის შესახებ ვიცი. როცა გენიოსის ცოლი ვარ, გარკვეული ვალდებულებანი გაკისრია.

მან თავისი მშვენიერი თვალები მომაპყრო და ვიგრძენი, რომ ისინი ძველებურად გულწრფელი დარჩენილიყვნენ. წუთით ისიც [illegible] ხომ არ დამცინის-მეთქი.

— თქვენი საქმე, რა თქმა უნდა, სხვას გადაულოცეთ, არა? — ვკითხე მე.

— ჰო, რასაკვირველია, — დაუდევრად მოგვიგო მან, — მაშინ უფრო გასართობად მოვეკიდე იმ საქმეს. მერე ბავშვებმა საშველი აღარ მომცეს და გამაყიდვინეს. არ უნდოდათ, რომ ზედმეტად დავტვირთულიყავი. მისის სტრიკლენდს დავიწყებოდა, რომ ოდესღაც იძულებული გახდა, თავი დაემცირებინა და საკუთარი შრომით მოეპოვებინა ლუკმაპური. მას აღარ უკარნახებდა, რომ საზოგადოებაში გამოსულმა ქალმა აუცილებლად სხვის ხარჯზე უნდა იცხოვროს.

— ჩემი ბავშვები ახლა აქ არიან, — განაგრძო მან, — ვიფიქრე, ისინიც სიამოვნებით მოისმენენ თავიანთი მამის ამბავს-მეთქი. რობერტი გახსოვთ? აღარ გახსოვთ? უნდა მოგახსენოთ, რომ უკვე „ჯვარზეა“ წარდგენილი. მისის სტრიკლენდი კართან მივიდა და შვილებს მოუხმო. ოთახში ძალიან, სასიამოვნო შესახედაობის ოდნავ ტანსრული კაცი შემოვიდა. ტანთ სამხედრო ფორმა ემოსა, ოღონდ საყელო პასტორისა ჰქონდა მიკერებული. რობერტს ბავშვობისდროინდელი ალალი გამოხედვა შერჩენოდა. უკან და მოსდევდა. დედამისი რომ პირველად ვნახე, სწორედ ამ ხნისა იყო. გარეგნულადაც დედის ასლი იყო. რომ შეხედავდი, იტყოდი, ბავშვობაში ძალიან ლამაზი იქნებოდაო, თუმცა, რამდენადაც მახსოვდა, სულ არ იყო სხვებისაგან გამოსარჩევი ბავშვი.

— მე მგონი, რომ შეგხვედროდნენ, ვერც კი იცნობდით, — თავმომწონედ მითხრა მისის სტრიკლენდმა, — ჩემი ქალიშვილი ახლა მისის როლანდსონია. მისი ქმარი არტილერიის მაიორი გახლავთ.

— ნამდვილი ჯარისკაცია, — მხიარულად შენიშნა მისის როლანდსონმა, სწორედ ამიტომ დარჩა აქამდე მაიორად.

გამახსენდა, პირველად რომ ვნახე, მაშინვე ვიფიქრე, სამხედროს გაჰყვება-მეთქი. ეს გარდუვალი იყო, ახლა ნამდვილი სამხედროს ცოლის მანერები ჰქონდა. თავაზიანი და მორიდებული კი იყო, მაგრამ ყოველ წუთს გაგრძნობინებდათ, სხვებზე უკეთესი ვარო. რობერტს უფრო მხიარული და ძალდაუტანებელი ქცევა ჰქონდა.

— იღბლად, სწორედ მაშინ მოვხვდი ლონდონში, როცა თქვენც ჩამობრძანდით, — მითხრა რობერტმა, — მე მხოლოდ სამი დღის შვებულება მომცეს.

— გული ისევ უკან, ჯარში მიუწევს, — თქვა მისის სტრიკლენდმა.

— არ დავმალავ, რომ ძალიან შევეთვისე ფრონტს. იქ ბევრი მეგობარი გავიჩინე. ნამდვილი ცხოვრება, თუ სიმართლე გინდათ, იქ არის. ომი, რაღა თქმა უნდა, საშინელებაა და ბევრი სხვა რამეც არ არის მოსაწონი, მაგრამ ადამიანის საუკეთესო თვისებები სწორედ გაჭირვებაში გამომჟღავნდება ხოლმე.

მე ყველაფერი ვუამბე, რაც კი ჩარლზ სტრიკლენდის შესახებ გავიგე

ტაიტიზე. ატასა და მისი შვილის ხსენება საჩოთიროდ მივიჩნიე, სხვა ყველაფერი კი, რაც შეიძლებოდა, წვრილად მოვუყევი. თხრობა მისი/ საზარელი საკვდილის აღწერით დავამთავრე. ცოტა ხანს ყველანი ჩუმად ვიყავით/ მერე რობერტ სტრიკლენდმა ასანთი გაკრა, სიგარეტს მოუკიდა და შთამბეჭდავად განაცხადა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— უფლის წისქვილი ნელა, მაგრამ წმინდად ფქვავს.

მისის სტრიკლენდმა და მისის როლანდსონმა მოწიწებით დახარეს თვალები, — რადგან იფიქრეს, რობერტმა ეს ციტატი საღმრთო წერილიდან მოიტანაო. მე მგონი, თვითონ რობერტსაც ასე ეგონა. არ ვიცი რატომ, უეცრად სტრიკლენდის მეორე ვაჟი გამახსენდა. როგორც მითხრეს, ძალიან მხიარული, გულღია ბიჭი ყოფილა. მე თითქოს თვალნათლივ დავინახე იგი, გემბანზე მომუშავე, მოკლე შარვალში გამოწყობილი. ღამით, როცა ზურგის ქარი უბერავს, სანდალი ესუბუქად მისრიალებს ზღვაზე, როცა კაპიტანი და სხვა უფროსები შეზლონგში ისვენებენ და ჩიბუხს აბოლებენ, მეზღვაურები ზედა გემბანზე იკრიბებიან, კონცერტინოს აწრიპინებენ და ცეკვა-თამაშს გაახურებენ. აი, ისიც აქ არის და სხვებთან ერთად უვლის სამხრეთულ, მკვირცხლ ცეკვას. ზევიდან ვარსკვლავებით მოჭედილი ლურჯი ცა დაჰყურებს, ირგვლივ კი უკიდეგანო წყნარი ოკეანეა.

ენაზე ბიბლიის ციტატა მიტრიალებდა, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან სამღვდელონი მკრეხელობად თვლიან, როცა ერისკაცი მათ ნაკრძალში შედგამს ფეხს. ბიძაჩემი ჰენრი, რომელიც ოცდაშვიდ წელს მუშაობდა ვიკარად უიტსტებლში, ამისთანა შემთხვევაში იტყოდა: ეშმაკი ყოველთვის მოახერხებს, საღვთო წერილის სიტყვები თავის სასარგებლოდ შეატრიალოსო. ბიძაჩემს ახსოვდა ის დრო, როცა შილინგად მთელ დუქან მშვენიერ ხამანწკას იძლეოდნენ და ერთ ცალსაც ზედმეტად მოაყოლებდნენ ხოლმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თადეუშ რუჟევიჩი

თარგმანი
ვახტანგ ჯავახაძისა

ნანნავი

ჩამოიყვანეს ყველა ქალი ეშელონიდან,
ყველა გაკრიჭეს
და ოთხმა მუშამ
ცაცხვის ცოცხებით
მოაქუჩა
იმათი თმები.

ვეებერთელა გამჭვირვალე ვიტრინებს იქით
აწყვია გაზით გაგუდულთა თმები,
რომელშიც
არეულია
ძვლის საკაცხლები.

ამ თმებს მზე აღარ ეალერსება.
ქარი არ არხევს,
არ ასველებს წვიმის წვეთები,
არ ეხებიან ტუჩები და ხელისგულები.

ვეებერთელა ვიტრინებს იქით
აწყვია
გაზით გაგუდულთა რუხი თმები და:
რუხი ნაწნავი — თაგვის კუდი — ბანტით,
რომელსაც
სკოლაში
ხშირად აწვალებდნენ
ცელქი ბიჭები.

ოსვენციმის მუზეუმი,
1948.

ოკუპაციისდროინდელი ძეგლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენს ძეგლებს
სახე აქვთ ორგვარი, —
ორმოებს ჰგვანან.

ჩვენს ძეგლებს
ფორმა აქვთ
ცრემლების.

ჩვენს ძეგლებს
მიწაში აგებდა
თხუნელა.

ჩვენს ძეგლებს
ფორმა აქვთ კვამლისა —
ილტვიან პირდაპირ ცისკენ.

თვალებით ვაცილებ

მიდიან სახლის ზემოთ ღრუბლები,
იმ სახლის ზემოთ, რომელშიც ვცხოვრობ.

შავები ნელა მიგორავენ,
მიბუზღუნებენ,
თეთრები უსმოდ და უკვალოდ
იფანტებიან.

ორივე ხელით
სიცოცხლის ხეს ვებღაუჭები,
თავს ძლივს ვიკავებ,
და თვალებით ვაცილებ ღრუბლებს,
და კიდევ უფრო მეტად მიყვარს
ადამიანთა
მძიმე ლანჩებით გაცვეთილი ეს დედამიწა.

გამოუვიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წლის გახდა იანეკი,
ოთხზე დაფორთხავს.
რამდენიმე დღეც გავიდა და —
აშკარად ვხედავ —
ორივე ფეხზე
დადგა პატარა.

„მაშ, — გავიფიქრე, —
ჩვენს ხანდაზმულ კაცობრიობას
ეს ძველი ფანდი ამჯერადაც გამოუვიდა“.

ქარი

არ დაამთავრა
ხურომ ჩემი სახლის შენება —
ხვრელი დატოვა;
ჩემი ბინა
ბინას არა ჰგავს:
გარეშე ხალხი
თავისუფლად
შემოდის შიგნით.

კიდევ კარგი, რომ ხურომ ხვრელი დატოვა,
თორემ
განდეგილივით მარტოდმარტო
უნდა შეცხოვრა.

ახლა კი სახლში
წინ და უკან დაგვხეტები,
ხვრელზე კარია მიფარებული
და აკაკუნებს კარზე მუდამ
გარეშე ხალხი.

აფსუს!

ამ კარში ვერ შემოვლენ
აყვავებული
ვაშლის ხეები,
ვერც ფუტკრები,
ვერც ვარსკვლავები,
ვერც ოქროს თევზით ავსებული ნაკადულები.

მაგრამ მე ამ კარს
მაინც ალარ ამოვაშენებ:
იქნებ ნაბდვილი ადამიანი
შემოვიდეს და
მითხრას — ვინა ვარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა კარგია

კარგია. ტყეში შემიძლია
დავკრიფო ყოლო,
მე კი მეგონა,
არც ტყე იყო და არცა ყოლო.

კარგია. წავალ, წამოვწვები
ფოთლების ჩრდილში,
მე კი მეგონა,
თითქოს ხეებს არ ჰქონდათ ჩრდილი.

კარგია. ახლა შენთანა ვარ
და გული მიძგერს,
მე კი მეგონა,
ადამიანს არ ჰქონდა გული.

იქნებ ეს სახლი არც კი იყო

იქნებ ეს სახლი არც კი იყო,
ის წყნარი სახლი,
სადაც ნივთები ჩუმად სტირიან.

დღეს ყველაფერი გარკვეულია:

ეს მოსაცდელი დარბაზი იყო,
ჩვეულებრივი მოსაცდელი დარბაზი ვაგზლის,
რომელსაც სტოვებს თავის დროზე
ყოველი მგზავრი;
რჩება ავეჯი,
ჭურჭელი და
სხვადასხვა ნივთი,
რომლებიც შემდეგ სხვებს დასჭირდებათ.

ნაბლის ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომაზე ძნელი არი
სახლიდან გასვლა,
რადგან არ იცი,
უკან როდის შემობრუნდები.

თვალდახელშუა იზრდება წაბლი,
რომელიც მამამ სახლის წინ დარგო.

პატარა არის დედაჩემი,
ისე პატარა, შეიძლება ხელით ატაროო.

ქილები დგანან თაროებზე
მურაბიანი,
მათ ისე,
როგორც ლამაზ ღვთაებებს,
მარადიული სიჭაბუკის
სიტკბო შემორჩათ.

პატარა ჯარისკაცუნები შკაფის კუთხეში
კვლავაც კალისა დარჩებიან
ქვეყნიერების აღსასრულამდის.

ხოლო უფალი, ყოვლისშემძლე,
ვინც გაურია სიტკბოს სიმწარე,
შესაბრალისად იცქირება
კედლიდან.
იგი
დახატულია საკმაოდ ცუდად.

ბავშვობა არის
გაცვეთილი
ოქროს მონეტა.

კედელი

ამ კედელს
ერთად ვაშენებდით ყოველდღიურად,
ყოველდღიურად თითო-თითო სიტყვას ვაწყობდით,
ვიდრე დუმილი არ ჩამოვარდა, —
და დღეს არ ძალგვიძს,
ეს კედელი რომ გავანგრიოთ.

ჩვენივ ხელებით
უმოწყალოდ გამომწყვდეულებს —
წყურვილი გვკლავს და
გვესმის —
გვერდით ვიღაც წრიალებს,
ოხვრაც მოგვესმის,
ჩვენ ხმამაღლა მოვითხოვთ შველას...

აივსო ჩვენი სხეულები
ცრემლის წვეთებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ვწერდი

მე ვწერდი
ერთ წუთს თუ ერთ საათს,
ვწერდი და ვწერდი.
ღამე იყო თუ
დილა იყო,
ვწერდი და ვწერდი.
ვკანკალებდი თუ
მშვიდად ვიჯექ,
ვწერდი და ვწერდი.
ვწერდი და
უცებ შევამჩნიე:
არა მქონია —
არც კალმისტარი,
არც მელანი
და არც ქაღალდი.

მთარგმნელისაგან

ამ ლექსების ავტორი თანამედროვე პოლონელი პოეტია. იგი ამჟამად ორმოცდაცხრა წლის არის. პირველი ლექსები 1939 წელს დაბეჭდა. როდესაც პოლონეთში ფაშისტები შემოვიდნენ, პარტიზანებთან წავიდა. იქ, იატაკქვეშ, 1944 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული, ანტიფაშისტური წიგნი. ხაშშობლოს განთავისუფლების შემდეგ სწავლობდა კრაკოვში, ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე. ცხოვრობს ქალაქ გლივიცაში, კრაკოვის მახლობლად. გარდა მრავალი პოეტური კრებულისა, გამოცემული აქვს პროზაული ნაწერების სამი ტომი. წერს და დგამს პიესებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაინერ მარია რილკე

გერმანულიდან თარგმნა
მაჯუშტი კოტეტიშვილმა

ლეონარდ ელეგიები

პირველი ელეგია

რომც ალწამსდოდა შეძახილი, ვინ შემისმენდა
მე ანგელოზთა საუფლოდან? და თუნდაც ერთ-ერთს
იმათგანს გულზეც რომ ჩავეკარ, სულს ალმომხდიდა
მისი ძლიერი ყოფიერება.
რამეთუ არის მშვენიერი მხოლოდ საწყისი
საზარელისა, რომელსაც ჩვენ ჯერ კიდევ მაინც
როგორღაც ვუძლებთ და შეკვნერით ალფრთოვანებით,
რადგან ჩვენს მუსრვას ის გულგრილად უგულებელყოფს.
ყოველნაირი ანგელოზი შემაზარზენია.
და ასე ვცდილობ, რომ როგორმე, თავდაკავებით
ყელს ჩავიბრუნო ყრუ ქვითინის ხმა მიმბმობელი.
მაინც ვინ არის ის, რომელიც ხველას გაჭირდება?
არც ანგელოზნი, არცა კაცნი. და სიზრიანნი
ნადირნი უკვე იშვით გრძნობენ, ქვეშეცნეულად,
რომ ჩვენ ამ ვითომც ამოხსნილი სამყაროს არსში
არცთუ იმდენად გარკვეულნი ვყოფილვართ თურმე.
ჩვენ გვრჩება იქნებ მარტოოდენ ხე რომელიმე,
საღამოს ფერდობზე მარტოდ მდგარი, რომ დღენიადაგ
იმას ვუმზიროთ; გუშინდელი ქუჩადა გვრჩება
და ნებიერი ერთგულება ჩვეულებისა,
რომელსაც ჩვენთან ემყუდროვა და ამიტომაც
ჩვენთანვე დარჩა, დამკვიდრდა და არ განგვერიდა.

ო, ღამეც, ღამე, ოდეს ქარი, ქვეყნით აღსავსე,
გვიფიტავს სახეს, ვისაც არ უნდ შემორჩეს იგი,
სასურველი და თანაც ნაზად სასოწარმკვეთი,
მარტოდ დარჩენილ გულს მძიმედ რომ წარმოუდგეს
ის განა უფრო იოლია მოყვარულთათვის?
ო, ისინი ხომ თავიანთ ხვედრს ერთიმეორით
იფარვენ მხოლოდ.

ჯერ არ უწყი? სიცარიელე
მაგ მკლავებიდან გადაუგდე იმავ სივრცეებს,
ჩვენ რომ ვისუნთქავთ. ფრინველები ალბათ შინაგან
ფრენის ალღოთი გრძნობენ ხოლმე გაწეულ ჰაერს.

დიახ, შენ სურდი გაზაფხულებს, ბევრი ვარსკვლავი
თვლიდა კიდევაც, რომ შეგეძლო შენ მათი განცდა.
წარსულში ტალღა აღიმართა, ანდა, როდესაც
შენ ჩაუარე ლია სარკმელს, იქ ვიოლინო
თავდავიწყებით ხმოვანებდა. ეს ყოველივე
იყო მარტოდენ დავალება. მაგრამ შენ განა
დასძლიე იგი? დაბნეული არ მდგარხარ ჯერაც
შოლოდინისგან, თითქოს სატრფოს ეუწყებინოს
ეს ყოველივე? (სად დაგალავ, როს დიდებული
სხეულთა აზრები გამუდმებით გიბრუნდებიან
და ძალზე ხშირად ღამეებსაც ათევენ შენთან).
როდესაც სევდა მოგვეძალების, მაშინ უმღერე
შეყვარებულებს, საბელგანთქმულ გრძნობას იმათსას
ჯერ კიდევ ბევრი რამ უკლია უკვდავებამდე.
თითქოს გშურს კიდეც მძიმე ხვედრი მიტოვებულთა,
რომელნიც უფრო მოგწონს, ვიდრე წყურვილმოკლულნი.
მუდამ თავიდან წამოიწყე მიუწვდომელი
ქება; იცოდე თავს ინახავს ყოველთვის გმირი,
სიკვდილიც მისთვის იყო მხოლოდ საბაბი მისი
არსებობისა, დაბადება უკანასკნელი.
ხოლო მოყვარულთ ქანცმიხდილი ბუნება ისევ
უკან იბრუნებს, თითქოს ძალი არც კი შესწევდეს
მათი კვლავ ქმნისა. შენ გაუბარა სტამპას[1] შესახებ
თუ გიფიქრია საკმარისად, რომ იმ ყმაწვილ ქალს,
მეჯნურისაგან მიტოვებულს, ამ მოყვარულთა
დიად ნიმუშზე რა განცდები დაუფლებია:
განა მეც გავხდე ისეთივე, როგორც ისინი?
ნუთუ ეს ძველნი განსაცდელნი არ უნდა იქცნენ
უფრო უმეტეს ნაყოფიერად?
არ დადგა ჟამი, რომ გვიყვარდეს და ამავე დროს

[1] გასპარა სტამპა (1523—1554) — იტალიელი პოეტი ქალი.

განვთავისუფლდეთ სატრფოსაგან, თრთოლვით დავძლიოთ
ეს, სწორედ ისე, ვით მშვილდის ლარს ტოვებს ისარი,
რათა ნახტომად შემართული თავს აღემატოს.
რადგან დარჩენა არსად ყოფნაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო, ხმები, ხმები. გულო ჩემო, ისმინე ისე,
როგორც ნეტარი წმინდანები ისმენდნენ მხოლოდ:
ნათ ხმა ძლიერი ეწეოდა მიწიდან ზემოთ,
მაგრამ ისინი, საოცარნი, მაინც ისევე
მუხლმოყრით იდგნენ ჯიუტად და ა ს ე ისმენდნენ.
არა, შენ ღ ვ თ ი ს ხმას ვერ გაუძლებ, მაგრამ უსმინე
მას, რაც მიმოჰქრის განუწყვეტლივ, იმ ამბავს, რაც
მდუმარებიდან წარმოიშვის მარადიულად.
შენს სმენას ახლა უკვე აღწევს იმ ახალგაზრდა
მიცვალებულთა იდუმალი, ნელი შრიალი.
სადაც არ უნდა შესულიყავ, ნეაპოლის თუ
რომის ტაძრებში, განა შენთან მათს ბედისწერას
გულდამშვიდებით არასოდეს უსაუბრია?
ან შენს წინაშე დიდებულად ამაღლდა უცებ
წარწერა, ისე, ვით ახლახან ამოიზიდა
სანტა მარია ფორმოზაში დაფა დიადი.
რას მოითხოვენ? ჩუნად უნდა ჩამოვაცილო
უსამართლობის ხილვადობა, რაც დროდადრო
მათს სულთა წმინდა მოძრაობას ოდნავ აბრკოლებს.

უცხაურია, მართლაც, უკვე ამიერიდან
აღარ დასახლდეს დედამიწა, ოდნავ ნასწავლი
ჩვეულებები არასოდეს აღარ აღსრულდეს,
ვარდებს და საგნებს, საგანგებოდ მაიმედებელთ,
აღარ მიეცეს მნიშვნელობა კაცთა მომავლის.
და აღარ იყო უკვე იგი, რაც იყავი
უკიდურესად მოკრძალებულ, სათუთ ხელთ შორის.
და საკუთარი სახელიც კი მიაგდო სადმე,
ვით სათამაშო გატეხილი. საოცარია,
რომ ყველაფერი, შებოჭილი რაც იყო ადრე,
უცებ იხილო, ვით ლივლიევებს ლაღად სივრცეში.
სიკვდილში ყოფნა სამძიმოა და ამოგებით
არის აღსავსე იმდენად, რომ თანდათანობით
გრძნობ მცირეოდენ მარადისობას.
მაგრამ ცოცხალნი განაგრძობენ ერთსა და იმავ
შეცდომას, როცა ასხვავებენ ასე ძლიერად.
ანგელოსთ ჩშირად (ამბობენ, რომ) არც კი სცოდნიათ,
მიცვალებულთა შორის იყვნენ თუ ცოცხალთ შორის.
მარადიული შდინარება ორსავ სფეროში

თან მიიდენის განუწყვეტლივ ყოველგვარ ასაკს
და ახშობს იმათ ორთავეში სამარადისოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბოლოს უკვე არც ვჭირდებით ადრე გარდასულთ
მიწიერებამ გადაჩვევა იცის თანდათან,
ვით დედის ძუძუმ. მაგრამ ჩვენ კი, რომელთაც ასე
გვჭირდება სწორედ დიდებულნი საიდუმლონი,
რომელთათვისაც ძლიერ ხშირად მწუხარებიდან
თავად ნეტარი აღმავლობა წარმოიშვება:
ჩვენ განა ძალგვიძს უიმათოდ გაძლება ქვეყნად?
განა ფუჭია ის ლეგენდა, რომელიც გვამცნობს,
ლინოსზე[1] მოთქმა-გოდებისას თუ ვით განმსჭვალა
გაშეშებული გაოგნება უპირველესმა
საცდელმა ჰანგმა; რომ მარტოდენ იმ შეძრწუნებით
შემკრთალ სივრცეში, საიდანაც სამარადისოდ
გავიდა თითქმის ღვთაებრივი ჭაბუკი უცებ,
სიცარიელე იმ რხევაში გადაიზარდა,
რომელიც ახლაც გვანუგეშებს, გვხიბლავს და გვშველის.

მეოთხე ელეგია

ბოი, ხვებო სიცოცხლისა, როდის იზამთრებთ?
ჩვენ არ გვჩვევია გაგება და ერთსულოვნება,
ვით შორ მანძილზე ვადამტრეს ფრინველი.
ნაგვიანევნი და სრბოლაში ჩამორჩენილნი
მოულოდნელად ვეტმასნებით დანაბერ ქარებს
და შემდეგ გულგრილ ჭაობში ვცვივით.
ჩვენ ყვავილობას და ჭკნობასაც ვგრძნობთ ერთდროულად.
ხოლო სადღაც კი კვლავ დადიან დიდი ლომები,
რომელთაც, ვიდრე ძალმოსილნი არიან თვითონ,
სიძაბუნისა არ-რა იციან.

ჩვენ კი, როდესაც ერთს ვგულისხმობთ, მთელი არსებით,
იქვე ვგრძნობთ ხოლმე, რომ სხვა რაღაც იხარჯვის უკვე.
ჩვენთვის მტრობაა ყველაფერზე უახლოესი.
განა ყოველთვის არ მიდიან შეყვარებულნი
კიდეებამდე, ერთმანეთში, დანაპირებნი
შორეულ სივრცეს, დადევნებას და სათვისტომოს.

---

[1] ლინოსი — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ღვთაებრივი მუსიკოსი და მომღერალი, გარდაცვლილი სიჭაბუკეში.

და აქ მზადდება წამიერი მონახაზისთვის
საპირისპირო ფონი, თითქოს ძალდატანებით,
რომ უკვე შეეძლოთ მისი ხილვა; ჩვენთვის ეს ხან
უფრო მკაფიოდ და თვალნათლივ საჩინო ხდება.
ჩვენთვის არ არის საცნაური გრძნობის კონტურები
მარტოდენ იგი, რაც მას აძლევს გარეგან ფორმას.

შეძრწუნებული ვინ არ მჯდარა თავისი გულის
ფარდის წინაშე? იხსნებოდა იგი თანდათან:
დამშვიდობება იყო მისი დეკორაცია.
ამის გაგება იოლია. ნაცნობი ბაღი,
ნიავით ოდნავ შერხეული: მხოლოდ შემდეგღა
გამოჩნდა თავად მოცეკვავე. ოღონდ ის არა.
საკმარისია! რადგან იგი თუნდაც რომ ლაღად
გვეჩვენოს კიდეც, ის ხომ მხოლოდ გადაცმულია,
გადაიქცევა კვლავ ბურჟუერად და, ჩვეულებრივ,
სამზარეულოს გავლით შევა თავის ბინაში.

მე ამ ნახევრად ლატენილი ნიღბების გროვას
ისევ თოჯინას ვამჯობინებ. იგი საკვსეა.
მე მსურს, ვითმინო ეს ფიტული, მისი ძაფები
და მისი სახე, ქმნილი ხხოლოდ გარეგნობისგან.
აქ ვიმყოფები. ამის წინაშე.
თუნდაც ჩააკრონ ჭაღები და მითხრან, რომ უკვე
ალარ იქნება საანახავი ალარაფერი,
თუნდაც სცენიდან რომ დაჰბეროს სიცარიელემ
რაღაც ნაცრისფერ, განჭოლ ნიავად,
და ჩემს მდუმარე წინაპართაგან
თუნდაც რომ გვერდით ალარ მეჯდეს უკვე არავინ,
არც ერთი ქალი, და პატარა ბიჭიც კი არა
ყავისფერი და ელამი თვალით:
საიც დავრჩები, რადგან ყოველთვის
ეოიძებნება სანახაობა.

არ ვარ მართალი? შენ, რომელსაც ჩემს გარეშემო
ასეთი სიმწრით გიგემნია შენი ცხოვრება
და იქვე ჩემიც გაგისინჯავს, მამავ, ჩემიევ
იძულებული არსებობის თავდაპირველი
მლვრიე ნაყენი. და როდესაც მე ვიზრდებოდი,
შენ გამუდმებით უსინჯავდი ვემოს ჩემს ყოფნას
და სხვის მომავლის წახემსებით ასე გართული
ყოველთვის სცდიდი ჩემს საზრიან ზეამოხედვას, —
შენ, მამავ ჩემო, შენ, რომელიც სიკვდილის დღიდან
კანკალებ ჩემში, ჩემს იმედში და გულგრილობას,
მიცვალებულთა გულგრილობის მთელ სამეფოებს
თმობ ჩემი ბედის ნამცეცისათვის,

არ ვარ მართალი? თქვენც მოგმართავთ და გეკითხებით:
არ ვარ მართალი? თქვენ, რომელთაც ასე გიყვარდით
ჩემი თქვენდამი სიყვარულის რაღაც ოდნავი
საწყისისათვის, რასაც მუდამ თავს ვარიდებდი,
რადგანაც სივრცე — თქვენს სახეში, მე რომ მიყვარდა
გალაღებოდა სამყაროულ დიად სივრცეში,
სადაც თქვენ უკვე აღარ ჩანდით... როდესაც ასე
ვარ განწყობილი, თოჯინების სცენის წინაშე
ვიცადო, არა, მზერად ვიქცე მთელი არსებით,
ისე, რომ ჩემი განჭვრეტის და მზერის მზომელად
იქ მსახიობად ანგელოსი უნდა გამოჩნდეს, —
ამ ფიტულების მპყრობელი და ზეამომწევი.
ო, ანგელოსი და თოჯინა: აი, ეს არის
ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტი სანახაობა.
და მხოლოდ მაშინ მოხერხდება იმისი შერწყმა,
რასაც ჩვენ მუდამ ვიცალკევებთ, არსებობისას.
მხოლოდ მაშინლა წარმოიშვის და წრედ შეიკვრის
მთლიანად ჩვენი წელიწადის დროთა დინება.
მაშინ ჩვენს მიღმა ანგელოსი ათამაშდება.
მოდი, მომაკვდავთ დააკვირდი, ნუთუ მათ ჯერაც
არ უფიქრიათ, თუ რაოდენ საბაბს შეიცავს
ეს ყოველივე, რის შექმნასაც ჩვენ აქ ვახერხებთ.
ყოველი არსი მარტოოდენ თვითონ არ არის.
ო, სიყმაწვილის საათებო, როდესაც იქით,
ფიგურებს უკან უფრო მეტი რამ იყო, ვიდრე
მხოლოდ წარსული, და არ იდგა ჩვენს წინ მყოფადი.
ჩვენ ვიზრდებოდით, მართალია, ზოგჯერ ამ გაზრდას
ვჩქარობდით კიდეც, ნაწილობრივ მათ საამებლად,
ვისაც სიმწიფის გარდა ქვეყნად არ-რა გააჩნდა.
სიმარტოვეში ქმაყოფილნი ვიყავით მაინც
იმ სიხანგრძლივით და ვიდექით ასე მარტონი
სამყაროსა და სათამაშოს შუალედს შორის,
იმავ ადგილზე, რაც თავიდანვე
დაფუძნებული იყო წმიდა ქმედებისათვის.

ვის შეუძლია, რომ მაჩვენოს, როგორ ლგას ბავშვი?
ვინ ჩაუყენებს მას წორეულ თანაეარსებულებს
შორის და ხელში ვინ ჩაუდებს სიმორის საზომს?
ვინ გააკეთებს ბავშვის სიკვდილს შავი ძალისგან,
რომელიც ნ�ებაა? ვინ ჩატოვებს მას მომრგვალებულ
პირის წიაღში ისე, როგორც ლამაზ ვაშლის გულს?
მკვლელთა გაგება იოლია. მაგრამ ეს: სიკვდილს,
მთელ სიკვდილს, უკვე სიცოცხლემდე ასე სათუთად
რომ შეიკავდე და არ იყო მაინც ბოროტი,
ეს ეს არის აღუწერელი.

მეექვსე ელეგია

ჩემო ლეონისავ, მე ჯერ კიდევ როდის შევნიშნე,
რომ ყვავილობის დაუდევრად, შენ აღრე გაშლილ
ნაყოფში რაროგ უანგაროდ მიდენი შენსავ ერრეენულ
წმიდათაწმიდა საიდუმლოს. და დაგრეხილი ბიბლიოთეკა
ტოტები შენი შადრევანთა მილების მსგავსად
ზემოთ და ქვემოთ მიდენიან წვენს თავის წიაღ,
რომელიც, თითქმის გაუღვიძრად, მძინარებიდან
გადადის თავის სრულქმნის უტკბეს ნეტარებაში.
შეხედე: როგორც ლმერთი — გედში.
... ჩვენ კი ვყოვნდებით,
გვეამაყება ყვავილობა და ამიტომაც
ჩვენი სიმწიფის ნაგვიანევ და საბოლოო
ნაყოფის წიაღს ვაღწევთ უკვე ნაღალატევნი.
ბევრს არ სჩვევია სრულქმნილების ძალის ამგვარი
ჭარბი მოქცევა, რომ მიმდგარი იყოს და უკვე
თავისი გულის სისავსეში ენთოს კიდევაც,
ოდეს მის სიყრმის ნორჩ ბაგეებს და ქუთუთოებს
ნასალამური ჰაერივით ნაზი და ლბილი
შეეხებოდეს ყვავილობის ჩუმი ცთუნება:
ეს ეგებ გმირებს ემართებათ, ანდა მათ, ვისაც
იქ ნაადრევად უწევთ ყოფნა, ვისაც მეგაღე —
საკვდილი ძარღვებს ისე არ ეხრიან.
ისინი ჰქრიან: წინ ეესწრებენ საკუთარ ლიმილს,
როგორც კარნაკის ჩალრმაევებულ, ლბილ სერთებზე
გამარჯვებული ხელმწიფის ეტლს ბედაურები.
მაინც საოცრად ემსგავსება გმირი გარდაცვლილ
ჭაბუკებს. ხანი მას არ ერჩის. მისი შემართვა
ყოფნაა. იგი გამუდმებით მიექანება
და მიეახლვის საკუთარი, მარადიული
ფათერაკების სახეშეცვლილ თანავარსკვლავედს.
ვერ მიაგნებდა იქ მას ბევრი. მაგრამ ჩვენს მიმართ
მრუმედ მდუმარი ბედისწერა, უცებ ზეგარდმო —
შთაგონებული, იმართვის და თავის მშფოთვარე
ქვეყნის გრიგალში მისი ქება სიმღერით შეაქვს.
მე არავისი მესმის ისე, როგორც ი მ ი ს ი.
ჰაერის ტალღით მმსჭვალავს მისი მიმქრალი ხმები.

შემდეგ, როგორი სიხალისით ავირიდებდი
ამ სევდას, ოღონდ ვყოფილიყავ, ო, ვყოფილიყავ
კვლავაც ყმაწვილი, შემძლებოდა ისევ ყრმად ქცევა,
მოთავალ ნიდაყვთ დაყრდნობილი ვიჯდებოდი და
წავიკითხავდი ისევ სამსონზე,

თუ როგორ მოხდა, რომ დედამ მისმა
ჯერ არაფერი, ხოლო შემდგომ შვა ყოველივე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო, დედავ, განა ის შენშივე არ იყო გმირი?
განა მან მანდვე, შენს წიაღში არ წამოიწყო
თავის ძლიერი არჩევანი? მანდ შენს საშოში
მირიადები იბადებენ და მათგან ყოველს
სურდა, რომ თვითონ გამხდარიყო ის, მაგრამ ნახე:
ის თვითონ სწვდა და განირიდა — ჰქმნა არჩევანი
და შეძლო კიდეც. და როდესაც სვეტებს არყევდა,
ამის მიზეზი ის იყო, რომ დასაბამითვე
შენი სხეულის სამყაროდან მოვიდა იგი
ამ უფრო ვიწრო სამყაროში, სადაც მან კვლავაც
ჰქმნა არჩევანი და შეიძლო. გმირთა დედანო,
აბობოქრებულ ნიაღვრთა სათავეებო,
თქვენ ბართ უფსკრულნი, რომლებშიაც გულის კიდიდან
მოთქმით ჩაცვივდნენ ქალწულები, ძის სამსხვერპლონი.

რადგან გმირს, შქროლავს სიყვარულის სადგომთა მიღმა,
გულის ყოველი ფეთქვა მისი მგულისხმებელი,
აღტაცებაზე უფრო მაღლა და ხურგნაქცევი
ღიმილთა ბოლოს იგი უკვე იდგა — სხვაგვარად.

მეცხრე ელეგია

რატომ, თუ ასეც შეიძლება, ყოფიერების
ფაქის გალევა, მსგავსად დაფნისა,
ყველა დანარჩენ მწვანეულზე სულ ოდნავ მუქის,
თითოეული ფოთლის კიდეს გარს რომ ეკვლება
წვრილი ტალღების წყება (როგორც ქარის ღიმილი) —.
ან რატომ არის ადამიანის
იძულებითი არსებობა — და, ბედისაგან
განრიდებისას, იმავ ბედზე სევდა და ეროვა...

არა იმიტომ, რომ არსებობს ბედნიერება,
ეს ნაადრევი
და მცირე უპირატესობა დაკარგვისწინა.
ცნობისწადილის გამოც არა, არც იმისათვის,
რათა დაამდეს გულის ჩვევა, რომ ყოფილიყო
იგიც დაფნაში.....

არამედ მიტომ, რომ აქ ყოფნა უკვე ბევრია,
და იმიტომ, რომ ყოველივეს, რაც აქ არსებობს,

თითქოს გეჭირდებით, ამ წარმავალთ, ასე საოცრად
რომ გვეხებიან, ჩვენ, იმათზე უწარმავალესთ.
ერთხელ ყოველი, მხოლოდ ერთხელ.
ერთხელ და უკვე
აღარასოდეს. და ჩვენც ერთხელ. და აღარ. მაგრამ
ეს ერთხელ ყოფნა, თუნდაც მხოლოდ და
ერთხელ
მიწიერ ყოფნა თითქოს არის უცილობელი.
და აი, ერთურთს ვამჭიდროვებთ და ყველა ვცდილობთ
ეს აღვასრულოთ. გვინდა ამის შენარჩუნება
მარტივ ხელთ შორის, უტყვ გულსა და საესე მზერაში.
გვსურს ამად ვიქცეთ. ვის დავუთმობთ,
ვის მივცემთ ამას?
უმჯობესია, ყოველივე შეინარჩუნოთ
სამარადისოდ... ოჰ, სულ სხვაგვარ მიმართებაში,
რაღას წაიღებ იმა ქვეყნად? ვერც ჭვრეტის უნარს,
რაიც ამ ქვეყნად ძლივსძლივობით შეგვისწავლია
და ვერც ერთ ამბავს აქ გარდამხდარს,
ვერც ერთს იმათგან.
მაშასადამე, ბარტოლომეენ მწვავე ტკივილებს,
მაშასადამე, ღრმა სიმძიმილს, უპირატესად.
მაშასადამე, სიყვარულის ძალზე ხანიერ
გამოცდილებას. ესე იგი, ყველაფერს, მხოლოდ
სამარადისოდ გამოუთქმელს. მაგრამ შემდეგ კი,
ვარსკვლავთა შორის, რა აზრი აქვთ: ისინი ისევ
გამოუთქმელნი უკეთესნი არიან ბევრად.
ეწირის მთიდან ბარად ხომ არასდროს ჩამოაქვს მიწის
ერთი ბეწვიც კი, ყველასათვის გამოუთქმელი,
არამედ მხოლოდ ნაძიები სიტყვა, უზადო,
როგორც ყვითელი და ცისფერი ყვავილი მთისა.
ეგებ აქ მისთვის ვიმყოფებით, რომ გვეთქვა: სახლი,
ხიდი, კარიბჭე, წყარო, დოქი, ხე მსხმოიარე,
სარკმელი, — ანდა უმეტესი: სვეტი და კოშკი...
მაგრამ თქმა მესმელ, იმნაირად,
როგორც თვით საგნებს
თავისში ყოფნა არასოდეს პქონიათ აზრად.
ეს შეფარული ცბიერება არ არის განა
მდუმარ მიწისა, მოყვარულთ რომ აჭდობს ერთმანეთს,
რომ მათს გრძნობაში ყოველივე აღიფრთოვანოს?
ზღურბლი: რას ნიშნავს განა ორი მოყვარულისთვის
ის, რომ ისინი ცოტათი ცვლიან
თავიანთ კარის ძველებულ ზღურბლს, ისინიც, მრავალ
წინამავალთა კვალობაზე და მომავალთა
მოსვლამდე....., ოდნავ.

გამოსათქმელთა დრო აქ არის,
აქ არის მათი
სამკვიდრებელი. შენც გამოთქვი და აღიარე.
განცდილ საგანთა სრბოლა ბევრად უსწრაფესია,
ვიდრე ოდესმე, რადგან იმათ რაც ენაცვლება,
გამოდევნისას, უსახური მოქმედებაა.
მოქმედებაა თვინიერად მხლეჩვარე ქერქთქვეშ,
როგორც კი იგი მათს წიაღში წამოიზრდება
და უკვე სხვამხრივ შემოიფარგლვის.

ეროვებს შორის ფეთქს ჩვენი გული,
ვით ყბილთა შუა მოქცეული ენა, რომელიც
მაინც განაგრძობს ქება-დიდებას.

აქე-ადიდე ანგელოსის წინაშე მთელი
ქვეყნიერება, ოღონდ არა გამოუთქმელი.
შენ მის წინაშე ვერასოდეს დაიტრაბახებ
მშვენიერად განცდილს; სამყაროში, სადაც ის შენზე
მგრძნობიერად გრძნობს ყოველივეს, ხარ ახალბედა.
ამიტომ სჯობს, რომ მას აჩვენო რაიმე სადა,
რაც თაობიდან თაობამდე ყალიბდებოდა,
და როგორ ცოცხლობს ჩვენნაყული მზვერის წიაღში
და ხელთა შორის. მას საგანთა შესახებ ამცნე.
იგი დარჩება უფრო მეტად ვაოცებული,
ვიდრე შენ, ოდეს რომაელი მეგბაგირის თუ
ნილოსისპირა მეთუნეთა წინაშე იდექ.
აჩვენე, რარიგ ბედნიერი შეიძლება, რომ
იყოს საგანი, რარიგ წმიდა და რარიგ ჩვენი,
და მოქვითინე მწუხარებაც რა ნათელ სახეს
იღებს და თვითონ საგანივით გვმსახურებს, ანდა
საგანში კვდება და უკვე იქით
ეთოლინოდან ნეტარებად ამოიღვრება.
აი, ამ საგნებს, თავიანთი სიკვდილით მცხოვრებთ,
კარგად ესმით, რომ შენ მათ აქებ; და გადასარჩენს
თვით წარმავალნი ჩვენ გვანდობენ უწარმავალესთ.
სურთ, რომ ისინი ჩვენს უხილავ გულში ვაქციოთ,
ო, უსაზღვროლოდ ჩვენად! იმის მიუხედავად,
თუ საბოლოოდ ვინც არ უნდა ვიყოთ ჩვენ თვითონ.

მიწაო, განა ეს არ არის შენი სურვილი:
რომ უჩინარი ალორძინდე შენ ჩვენს წიაღში?
არ ვაქვს ოცნებად, რომ ოდესმე უჩინრად იქცე?
—მიწაე, უჩინრად! სხვა რა არის შენი მუდმივი
ღაღინებული დავალება, თუ არ სახეცვლა?

მიწათ, ჩემო საყვარელო, მსურხარ. ო, მენდე
და დამიჯერე, რომ შენს მიერ ჩემს მოსახიბლად
არ გჭირდებოდა მეტად შენი გაზაფხულები,
რადგანაც ერთი გაზაფხულიც, თუნდ ეროვნული
გაზაფხულიც კი, სისხლისათვის ძალზე მეტია.
ბე, უსახელო, შორიდანვე ვიხსნები შენ-
ნართალი იყავ შენ ყოველთვის და იდუმალი
სიკვდილი არის შენი აზრი წმიდათაწმიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყურე, ვცოცხლობ. მაგრამ რისგან? არა მკირდება
არც ბავშვობა და არც მერმისი... რაღაც ზედმეტი
ყოველერება ჩამესახვის გულის წიაღში.

მთარგმნელისაგან

XX ს. გერმანული ლირიკის ორფეოსი რაინერ მარია რილკე (1875 — 1926) ერთ-ერთი მეგობრისადმი მიწერილ წერილში ამბობდა: „თუ მსხვერპლის იდეა იმაში გამოიხატება, რომ უმაღლესი ფათერაკის წამი ემთხვევა მისგან განთავისუფლების წამს, მაშინ არაფერი ყოფილა მსხვერპლთან ისე ახლოს, როგორც ეს საშინელი სწრაფვა ხელოვნებისადმი". ამ სიტყვების ჭეშმარიტებას თვით რილკეს საოცარი შემოქმედება ადასტურებს.

1912 წ. ადრიატიკის სანაპიროზე აღმართულ დუინოს ციხე-კოშკში განმარტოებული რილკე იწყებს თავის უმთავრეს „მსხვერპლშეწირვას" — „დუინური ელეგიების" წერას. ეს ციკლი სულ ათი ელეგიისაგან შედგება. რილკე მათ ათი წლის მანძილზე წერდა. ელეგიებში რილკეს უაღრესად თვითმყოფადი პოეტური გუმანი სულიერი სამყაროს ისეთ ხიდრშეებს ჩასწვდა, რომლებიც შანამდე არასოდეს ქცეულან ხელოვნების საგანგებო კვლევის საგნად. ელეგიებში თავმოყრილი და საბოლოოდ გადაჭრილია ყველა ის საკითხი, რომლებიც რილკეს მთელი შემოქმედების მანძილზე აწუხებდა. რაც ადრე შიშის ზარს შგვრიდა, ის ყოველივე ელეგიებში თანდათანობით დაიწმინდა და ყველაფერი უაღრესად ახლობელი გახდა, თვით სიკვდილიც კი, რომელიც რილკესათვის ყოფიერების უკუღმა მხარეა, უხილავი და ჯერჯერობით შეუცნობელი. აქ უკვე წაშლილია ზღვარი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. სივრცეში იჭრება რილკესეული ანგელოსის პოეტური ხატი, რომელიც რეალურ სამყაროში გამოვლენილი ირრეალური საწყისის სიმბოლოს წარმოადგენს. რილკეს აქვს საოცარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უნარი უზოგადეს საკითხებზე მსჯელობისასაც კი შეიტანოს ლექსში უაღრესად თბილი, ინტიმური ტონი. რილკეს ეს თავისებურება კარგად აქვს შენიშნული ბ. პასტერნაკს. იგი თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „ჩვენში რილკეს სრულიად არ იცნობენ. რუსულად მისი თარგმნის არამრავალრიცხოვანი ცდები მარცხით დამთავრდა. მთარგმნელები არ არიან დამნაშავენი. ისინი მიეჩვივნენ აზრის გადმოტანას და არა ტონისას. აქ კი მთავარი ტონია". ამგვარ სირთულეთა მიუხედავად, ქართველ მკითხველს მქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა რილკეს რამდენიმე შესანიშნავი ლექსის თარგმანს, შესრულებულს გ. გაჩეჩილაძისა და ზ. კაკაბაძის მიერ. წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ნიმუშები არის პირველი ცდა რილკეს „დუინური ელეგიების" ქართულ ენაზე თარგმნისა.

ულრმესი მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ გერმანული პოეზიის შესანიშნავი მცოდნე სერგო ოქროპირიძე, რომელმაც თავს იდო ელეგიების ტექსტის ენობრივ სირთულეთა გარკვევის მთელი სიმძიმე და რომელთან თანამშრომლობაც ძთარგმნელისათვის დიდ შემოქმედებით სიამოვნებას წარმოადგენდა.

მაქს ფრიში
ერთეულები
ბიბლიოთეკა

შვეიცარიელი მწერალი და დრამატურგი მაქს ფრიში საბჭოთა მკითხველმა ამ რამდენიმე წლის წინ გაიცნო, როცა „ინოსტრანნაია ლიტერატურამ" გამოაქვეყნა მისი პიესა „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებლები". 1955 წელს ამ პიესამ ჰესენის რადიოს პრემია დაიმსახურა, ხოლო რომან „შტილერისათვის" მწერალს ვილპელმ რაბეს საბელობის პრემია მიეკუთვნა.

უკანასკნელ წლებში მაქს ფრიშმა შექმნა რამდენიმე რომანი, მათ შორის „Homo faber" და „მოდით, ნერვეს ნე განტესპაიისი", რომლებმაც მას საბოლოოდ დაუმკვიდრეს ევროპიელი უფრესად საინტერესო და თავისებური მწერლის სახელი.

Homo Faber

ჩანაწერები

გერმანულიდან თარგმნა
დალი კოპაია-ფანჯიკიძისა

პირველი გაჩერება

ნიუ-იორკიდან სამი საათის დაგვიანებით გამოვფრინდით. ამ ხაზზე ჩვეულებრივ „სუპერ-კონსტელეიშნი" დაფრინავს. მე მაშინვე დასაძინებლად მოვემზადე. ღამე იყო. ასაფრენ ბილიკზე კიდევ ორმოცი წუთი დაგვაყოვნეს. პროექტორების შუქზე მოჩანდა ფიფქი თოვლი. „ლა გარდიას" აეროდრომზე თოვლის კორიახტელი იდგა. ნერვები ამეშალა და ძილი გამიტყდა, მაგრამ ეს იმ გაზეთის ბრალი როდი იყო, სტიუარდესამ რომ ჩამოგვირიგა. „First Pictures of world' s Greatest Air Crash in Nevarada"[1] ეს ცნობა ჯერ კიდევ სადილობამდე წავიკითხე. ნერვებს მხოლოდ გაჩერებული თვითმფრინავის მო-

[1] ნევადაში მოხდარი უდიდესი საჰაერო კატასტროფის პირველი ფოტოსურათები (ინგლ.).

ტორების ვიბრაცია და ის ახალგაზრდა გერმანელი მიშლიდა. ჩემს გვერდით რომ იჯდა. გერმანელმა მაშინვე მიიბყრო ჩემი ყურადღება. რატომ, არ ვიცი. თვალში მომხვდა — როგორ გაიხადა პალტო, როგორ დაჯდა. [illegible] გაისწორა მარჯვლზე ნაკეცები. იგი მაშინაც კი მეჩხირებოდა თვალში, როდესაც ორთვერს არ აკეთებდა. უბრალოდ, იჯდა საფარიელში და სტარტს ელოდებოდა [illegible] ყოველი ჩვენგანი. ქერა, ვარდისფერსახიანი ახალგაზრდა მაშინვე გამეცინა [illegible] კიდევ მანამ, სანამ ქამრებს შეეკრავდით. მისი გვარი ვერ გავიგე — ერთმანეთის მიყოლებით აღმუელდნენ მთელი ძალით ამუშავებული მოტორები.

საშინლად დავიღალე.

ორეს სამი საათი ენა არ გაუჩერებია, თუმცა შშეენიერად იცოდა, რომ ცოლის შერთვას პრინციპულად არ ვაპირებდი.

მარტი დარჩენა გამხარდა.

როგორც იქნა, დადგა გაფრენის წამი.

სტარტზე ასეთ ქარბუქს არ მოველოდი. ისე ყვავრიელად ბარდნიდა, რომ, თვითმფრინავი შიწას მოსცილდა თუ არა, სასიგნალო ყვითელი ფარნები მაშინვე ნისლში ჩაიკარგა, მათი ციმციმი შუქიც გაუჩინარდა, სულ მალე მანჩეტების სახათლეებიც თვალს მიეფარა.

მხოლოდ ჩვენი თვითმფრინავის ფრთაზე ეხედავდი მოციმციმე მწვანე სინათლეს. ფრთა ძლიერად ირყეოდა, როცა ჩაყვინთავდა. წუთით ის მწვანე შუქიც იკარგებოდა უკუნეთში, და გეგონებოდა, დაებრმავებინო.

„მოწევა ნებადართულია".

ჩემი მეზობელი დიუსელდორფელი აღმოჩნდა. ახალგაზრდა ადარიც კი ეთქმოდა, ოცდაათს იქნებოდა გადაცილებული, თუმცა ჩემზე ახალგაზრდა გახლდათ. მაშინვე ვითხრა, გვატემალაში მიეფრინავო, რამდენიდაც გაიგე, იქ საქმეები ჰქონია მოსაგვარებელი.

ქარი საკმაოდ ძლიერად უბერავდა. მეზობელმა სიგარეტი შეგზომთაეახა. მე ჩემი ვამჯობინე, თუმცა მოწევა სულაც არ მინდოდა. მადლობა გადავუხადე და ისევ გაზეთს მივუბრუნდი. ოტილოლენა სურვილიც არ ექონდა, ვინმესთან საუბარი გამეგა. შეიძლება უზრდელად ვიქცეოდი, მაგრამ ძძინე კვირა მქონდა გამოელილი. ყოველდღე სხლომები, სხლომები... მარტო ყოფნა და სიმშვიდე შენატრებოდა. ხალხი ღლის ადამიანს. პორტფელიდან ჩემი ქალალდები ამოვიღე, რომ ცოტა წამეგუშავებინა. სამწუხაროდ, სწორედ იმ წუთში ჩამოატარეს ცხელი ბულიონი და ჩემი გერმანელის გაჩერება (როცა მას დამტვრეულ ინგლისურზე გერმანულად ვუპასუხე, მაშინვე მიხვდა, რომ შვეიცარიელი ვიყავი) უკვე შეუძლებელი იყო. ლაპარაკობდა ამინდზე, ამასთან ლაკავშირებით კი—რადარებზე, თუმცა რადარების ბევრი არაფერი გაეგებოდა. მერე, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩვეულებად იქცა ყველგან, პირდაპირ ევროპულ თანამეგობრობაზე ჩამოაგდო სიტყვა. მე ცოტას ვლაპარაკობდი, ბულიონს ესვამდი და ფანჯარაში ვიყურებოდი, თუმცა გარეთ არაფერი ჩანდა. მხოლოდ მწვანე სასიგნალო ნათურა ციმციმებდა სველ ფრთაზე, ხანდახან ნაპერწკლების წვიმა წამოვიდოდა — ეს მოტორიდან არეკლილი წითელი სხივები იყო. ჩვენ ჯერ კიდევ მაღლა მივიწევდით.

მერე დავიძინე.

ქარი ჩადგა.

არ ვიცი, ეს კაცი რატომ მიშლიდა ნერვებს. საიდანღაც ნაცნაურებოდა. მისი ტიპიური გერმანული სახე. თვალები დავხუჭე და შეეცადა, გაეხსენებინა, საიდან მეცნობოდა ეგი, მაგრამ ამაოდ. მაშინ ვცადე, როგორც დასაძინებელ ადგილზე [illegible] ჩემი მეზობლის ვარდისფერი სახე. ეს კი მოვახერხე [illegible] მეძინა, — მე ხომ საშინლად გალაღებული ვიყავი, — მაგრამ [illegible], მაშინვე ვიგრძენი, რომ ეგი ისევ ნერვებს მიშლიდა.

ის უკვე საუზმობდა.

მე თავი მოვიშორინარე.

ჩვენ (ანას მარჯვენა თვალით ვხედავდი) საღამოს მისისიპის თავზე ვიყავით. შშვიდად მივფრინავდით დიდ სიმაღლეზე, ღრუბლის მზეზე ელავდა ჩვენი პროპელერები, ჩვეულებრივი დისკოები, რომლებსაც ხედავ და მათ მიღმაც იხედები; ალევე ელავდნენ სიცარიელეში უძრავად დაკიდული ფრთები. თვითმფრინავი ოდნავადაც არ ირყეოდა. მივფრინავდით. ასე ერთი ახალი მაინც მოფრენია ჩემს ცხოვრებაში. მოტორები ზეუჟერხებლად ნყშოიბდა.

— ღილა შშვიდობისა! — თქვა მან.

ნე სალმითვე ვუპასუხე.

— კარგად გეძინათ? — მკითხა მან.

ოუმცა ჩვეულებრივ ნისლი იყო ჩამოწოლილი, მაინც ვიცანი ფარითად განტოტვილი მისისიპი. მზით განათებული პრინჯოსფერი ჭავლიც გავარჩიე. სასხამი ღილა იდგა. ამ ტრასას კარგად ვიცნობდი და თვალი ისევ დავხუჭე, მინდოდა ცოტა კიდევ დამეძინა.

ის თვის ro-ro-ro[1]-ს კითხულობდა. თვალის ღახუჭვამ ვერაფერ შეშალა. უკვე გამოფხიზლებული ვიყავი და ჩემი მეზობლის სახე არ შშორდებოდა, როგორც იტყვიან, თვალდახუჭულიც ვხედავდი. საუზმე მოვითხოვე... შტატებში ის პირველადაა (ასეც ვფიქრობდი), მაგრამ ევროპაში უკვე შეუქმნია კატეგორიული ასრი (საერთოდ, ამერიკელები უკულტურო ხალხად მიაჩნია), თუმცა იძულებული გამხდარა რაღაც-რაღაცები მაინც ელიარებინა, თუნდაც ის, რომ ამერიკელების უმრავლესობა გერმანელებისადმი მეგობრულადაა განწყობილი.

არ შეეკამათებივარ.

რომელ ჭკუათამყოფელ გერმანელს უნდა შეიარაღება, სხვები რომ არ აიძულებდნენო.

მე ვაშლს ვთლიდი.

ადამიანთა გაბატონებულ და დაბლა მდგომ რასებად დაყოფა, როგორც ამას „პატივცემული" ჰიტლერი სჩადიოდა, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ ასეულები მაინც აზიელები არიანო..

მე ვაშლს ვჭამდი.

ჩემოდნიდან ელექტროსამართებელი ამოვიღე. ვითომ პირის გაპარსვა მინდოდა, უფრო კი იმისთვის, რომ ერთ თხუთმეტ წუთს მაინც დავრჩენილიყავი მარტო. გერმანელებს ვერ ვიტან, თუმცა ჩემი მეგობარი ოთხიმი გერმანელი იყო... ტუალეტში ვიფიქრე, ხომ არ აჯობებს, სხვაგან გადავჯდე-მეთქი. უბრალოდ, სულაც არ მეპრიანებოდა, უფრო ახლოს გამეცნო ეს ვაებატონი, მით

[1] გამომცემლობა „როვოლტის" იაფფასიანი რომანების სერიის სახელწოდება, რომელიც ჰამბურგში გამოდის.

ეხატება ს. ლიდელი

უმეტეს, რომ მეხიკო-სიტიმდე, სადაც ჩემი მეზობელი სხვა თვითმფრინავზე უნდა გადამჯდარიყო, ოთხ საათზე მეტი უნდა გვეფრინა. გადამწყვეტმა, სადმე სხვაგან დავმჯდარიყავი, თავისუფალი ადგილები კიდევ მოიძებნებოდა თვითმფრინავში. სალონში გაპარსული რომ დავბრუნდი, თავს [illegible] უფლად და მხნედ ვგრძნობდი. ვერ ვიტან, როცა გაუპარსავი ვარ. [illegible], თავ[illegible]ნება მივეცი, იატაკიდან თქვენი ქალალდები ამეკრიფა, რომ ვინმეს ზედ ფეხი არ დაედგა, და ქალალდები მომაწოდა. ზრდილობის გამსახიერება გახლდათ, ქალალდები პორტფელში ჩავტენე და ეტყობა, მეტისმეტად გულთბილად გადავუხადე მადლობა, რომ მან ჩემი გულისხმიერება დაუყოვნებლივ შემდგომი შეკითხვისათვის გამოიყენა.

იუნესკოში ხომ არ ვმუშაობ?

მე ვგრძნობდი კუჭს. ამ ბოლო დროს ხშირად მემართებოდა ასე: კი არ მტკიოდა, უბრალოდ ვგრძნობდი, რომ მაქვს კუჭი. რა სულელური შეგრძნებაა... შეიძლება ამიტომაც ვიყავი აღრენილი. ჩემს ადგილზე დავჯექი და ახალ ნაცნობს აუტანელი რომ არ მოეჩვენებოდი, მოვუყევი, რა დარგში ვმოღვაწეობდი. „სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა" — ამ თემაზე შემიძლია ისე ვილაპარაკო, რომ თავი სულ სხვა ფიქრებით მქონდეს სავსე. არ ვიცი, მაშინ რაზე ვფიქრობდი. ეტყობა, „იუნესკომ", როგორც ჩვეულებრივ ყველაფერმა ინტერნაციონალურმა, მასზე გარკვეული მთაბეჭდილება მოახდინა. მის თვალში უკვე შეეიცარიელი აღარ ვიყავი; — ისე მისმენდა, როგორც ავტორიტეტულ პიროვნებას, დიდი ინტერესით, მოწიწებითაც კი. მაგრამ ნერვებს მაინც მიშლიდა.

თვითმფრინავი რომ დაჯდა, გამეხარდა.

თვითმფრინავიდან გამოვედით, საბაჟოს წინ ერთმანეთს დავშორდით და მაშინვე მივხვდი, ადრე რაზე ვფიქრობდი: მისი სახე (ვარდისფერი, აფუებული სახე, როგორიც ალასოდეს არ ყოფილა ითხრის სახე) მაინც საოცრად მაგონებდა ითხიმს.

ჩემი ალმოჩენა მალე გადამავიწყდა.

ეს იყო ჰიუსტონში, ტეხასის შტატში.

საბაჟოში ჩვეულებრივ ბევრი ფაკირკიტეს ჩემს კინოაპარატს. სხვათა შორის, ნახევარი საათიც ისე შემოვიარე, ეს აპარატი არ მომიცილებია. ერთი ქალი კონიაკის დასალევად ბარში შევედი, ჩემი დიუსელდორფელიც იქ დამხვდა. დახლის წინ მაღალ სკამზე შემომჯდარიყო და ეტყობოდა — მეორე სკამი ჩემთვის დაეკავებინა. მაშინვე გარეთ გამოვედი და ტუალეტში ჩავედი. უსაქმობისაგან ხელების ბანა დავიწყე.

გაჩერება — ოცი წუთი.

სარკეში, სანამ ხელებს ვიბანდ და მერე ვიმშრალებ, მოჩანს ჩემი სახე, სანთელივით გაყვითლებული, გაცრეცილი, ზედ ამობურცული მოიისფრო ძარღვები მაჩნია. გვამივით ამაზრზენი სახე მაქვს. იქნებ ეს ნეონის შუქის ბრალია? როგორც კი ხელები შევიმშრალე, ისეთივე მოყვითალო-მოიისფრო ხელები, მაშინვე რადიორეპროდუქტორის ხმა გავიგონე. რადიოქსელი მთელ აეროპორტს ემსახურება, სარდაფსაც კი.

—Your attention, please, your attention, please[1].

[1] ყურადღება, ყურადღება (ინგლ.).

რა დამემართა, არ ვიცი. ხელები ყველგან გამოთელიანდა, თუმცა ტუალეტში გრილოდა. გარეთ კი ცხელოდა ქვეყანა. მხოლოდ ერთი რამ ვიცი: ხალხი ვინმეს მოველოდი, ჩემს ახლოს ბუხლებზე წამოჩოჩილი სკელი ზანგი დედაკაცი დავინახე. დასალაგებელი აქამდე არ შემინიშნავს. ახლა იგი სულ ახლოს იდგა. გარეგანი ეხვეოდა შავ ულაბარბაზარ პირს, ვარდისფერ ხუნებს, ფესვიანი რეპეროდუქტორის ხმა: ჯერ კიდევ მუხლებზე ვიდევი.

—The plane is ready for departure[1].

ორჯერ:

—The plane is ready for departure.

ეს სიტყვები ათასჯერ მაქვს მოსმენილი.

—All passengers for Mexico-Guatemala-Panama,—შიგადაშიგ ერთვის მოტორების ღმუილი,—Kindly requested,—მოტორების ღმუილი,—gate number five, thank you,—მოტორების ღმუილი.

ფეხზე წამოვდექი.

ზანგის დედაკაცი ისევ მუხლებზე იდგა.

დავიფიქე, ჩემს სიცოცხლეში ალბათ მოვწევ-მეთქი და ეცადე სახე ონკანისათვის შემეშვირა, მაგრამ ბაკანი ხელს მიშლიდა. ცივმა ოფლმა დამასხა და თავბრუ დამეხვა, ეს იყო და ეს.

—Your attention, please...

თავი მაშინვე ფეხთ ვიგრძენი .

— Passenger Faber, passenger Faber![3]

მე მეხმობდნენ.

— Please to the information—desk![4]

ეს სიტყვები კარგად გავიგონე. სახე ბაკანში ჩავმალე, იქედი ტყონდა, უეცრად გაფრინდებოდნენ, წყალი ჩემს ოფლთან შედარებით თბილ გრილი იყო. ახროვნების უნარი დაკარგე. ფეხებ ზანგის ქალმა ისე გულიანად გადაიხარხარა, რომ მცირდი პუდინგივით აფეთქთა. მისი უშველებელი პირი, ხუმუქა თმა, ულაბარბაზარ ფეთრწინებიანი შავი თვალები აფრიკა გადიდებულ სურათს მაგონებდა. შემდეგ ისევ გაისმა:

— Passenger Faber, passenger Faber!

სანამ ზანგის ქალი მარუალს მიუწენდდა, სახე ცხვირსახოცით შეეიმშრალე, დროის გასაყენებლად თმაც გადავივარცხნე. რეპროდუქტორი აცხადებდა და აცხადებდა: ჩამოსვლა... გასვლა... შემდეგ ისევ:

— Passenger Faber, passenger Faber!

ქალმა ფული არ გამომართვა. ჩემთვის ისიც ქმარა, რომ უფალმა შეისმინა ჩემი ვედრება და ცოცხალი ხართო. მე ფული წინ დავუდე, ნაგრამ მან კიბეებამდე მოგდია, (როგორც ზანგს, ამას იქით უფლება არ ჰქონდა ნაბიჯი გადაედგა) და ფული ხელში ჩამიკუჭა.

---

1 თვითმფრინავი მზად არის ასაფრენად (ინგლ.).

2 მეხიკოში, გვატემალაში და პანამაში ნიმავალ მგზავრებს ვთხოვთ განთავდნენ მეხუთე გასასვლელში, გაბადლობთ. (ინგლ.).

3 მისტერ ფეიბერ, მისტერ ფეიბერ!

4 გთხოვთ გამოცხადდეთ ცნობათა ბიუროში (ინგლ.).

ბარი ცარიელი იყო.

მაღალ სკამზე ავეფოფინდი. სიგარეტს მოვუკიდე. შევცქეროდი — ბარმენი ცივ ჭიქაში როგორ ყრიდა ჩვეულებრივ ზეთისხილს. შემდეგ ალაგელი ჩაუმატა. ჩვეულებრივი ვესტი: ცეცხლით საწყური უჭირავს და ვერცხლისფერ ფიალას უმვერს, რომ ყინულმა ჭიქაში არ მოადინოს ტყაპანი.

მე ფული წინ დავუდე. გარეთ „სუპერ-კონსტელაციაზეა" ჩაიქროლა და სტარტის ასაღებად ასაფრენ ბილიკზე გავიდა. უჩემოდ! ბარტინის ვწრუპავდი, როცა კვლავ ახმაურდა რეპროდუქტორი:

— Your attention, please!

ერთ წუთს არაფერი ისმოდა. სწორედ ამ დროს ალმუვლდა ასაფრენად გამზადებული „სუპერ-კონსტელაციაზის" მოტორები. თვითმფრინავმა, ჩვეულებრივ, გრუხუნით გადაგვიფრინა თავზე და კვლავ გაისმა:

— Passenger Faber, passenger Faber!

ვინ მიხედებოდა, რომ ეს მე ვიყავი. გულში ვთქვი, მეტჩანს ველარ დაიცდიან-მეთქი და ჩვენი მანქანის დასახახად მაღლა ავედი. ის თითქოს სტარტისათვის წასვლა იყო, ბენზინის ავზი უკვე მოეცილებინათ, მაგრამ პროპელერები ჯერ კიდევ უძრაველ ეკიდა. შვებით ამოვისუნთქე, როცა ტრიალ მინდორზე თვითმფრინავში ჩასასხდომად მიმავალი ჩვენი მგზავრები დავინახე. ჩემი დიუსელდორფელი თითქმის ყველაზე წინ მიდიოდა. ვუცქიდი, როდის აუშვებდნენ პროპელერები. რეპროდუქტორი იქაც ეჭანებდა:

— Please to the information-desk! ამჯერად სხვას უხმობენ.

— Miss Sherbon, Mr. and Mrs. Rosenthal[1].

ეუცქიდი და ეუცქიდი, ნაგრამ ოთხი პროპელერი კვლავ უძრაველად ეკიდა ჰაერში. გაუთავებელი ლოდინი მომბეზრდა და ისევ ქვევით ჩავედი. ის იყო, საპირფარეშოში ჩავიკეტე და მოვესმა კიდეც:

—Passenger Faber, passenger Faber!

ქალის ხმა იყო. კვლავ ოფლმა დამასხა, იძულებული გავხდი ჩავმჯდარიყავი, რომ ფონი არ დამეკარგა. ფეხები ალბათ მომიჩანდა.

— This is our last call[2].

ორჯერ:

— This is our last call.

კაცმა რომ თქვის, არც კი ვიცოდი, რატომ ვიმალებოდი. შეშრცხვა. საერთოდ არ მჩვევია დაგვიანება. ჩემს სამალავში მანამდე ვიყავი, სანამ არ დავწყნარდი, რომ რეპროდუქტორი სულ ცოტა ათი წუთით მაინც მომეშვა. გაფრენა ალბათ მინდოდა. ეს იყო და ეს. ჩაბაზულ კარს უკან მანამდე ვიცდიდი, სანამ ასაფრენად გამზადებული მანქანის გრუხუნი არ გავიგონე. „სუპერ-კონსტელაციაზეა" იყო, კარგად ვცნობ მის ხმას! შემდეგ ლოყები მოვისრისე, რომ ჩემი გაფითრებული სახე თვალში არავის სცემოდა და საპირფარეშოდან არხეინად გამოვედი. ჩემთვის ვუსტვენდი კიდეც. ჰოლში შევჩერდი. რომელიღაც გაზეთი ვიყიდე. აქ, ბიუსტოხში, ტენისში რა მესაქმებოდა, ისიც არ ვიცოდი. საოცარია. მგონი, უჩემოდ მოგვარდა საქმე. ყური რეპროდუქტორისაკენ მე-

[1] ნისს შერბაინ, ნისტერ და მისის როზენტალ!

[2] უკანასკნელად გთხოვთ (ინგლ.).

ჭირა. თავის გასართობად საფოსტო განყოფილებაში შევედი. გადავწყვიტე დეპეშები გამეგზავნა: ერთი ჩემი ბარგის თაობაზე, რომელიც უჩემოდ მიფრინავდა მეხიკოში. მეორე დეპეშით კი კარაკასში უნდა შეეტყობინა, რომ ჩვენი ტურბინების მონტაჟი იცდაოთხი საათით გადაედოთ. შემდეგ ერთი დეპეშა — ნიუ-იორკში... ის იყო, ბუნთულიან კალამს ჯიბეში ვიდებდი, სტიუარდესამ მკლავში ჩამავლო ხელი.

—There you are![1]

ენა ჩამივარდა.

—We're late, Mister Faber, We're late![2]

დეპეშები ხელში შემრჩა. სტიუარდესას თვითმფრინავისაკენ მივყვებოდი და თან თავის გასამართლებლად რაღაცას მივედ-მოვედებოდი. სამსჯავროზე მიმავალი ტუსალივით თავჩაღუნული მიეამბეჯნებდი და მიწას, უფრო სწორად, ტრაპს თვალს არ ვაცილებდი. სალონში ფეხი შევდგი თუ არა, კიბე მოხსნეს და თვითმფრინავს მოაცილეს კიდეც.

— I'm sorry!—ვთქვი მე.—I'm sorry.[3]

მგზავრებს ქამრები უკვე შეეკრათ. ყველამ ესიტყვოდ მოაბრუნა ჩემსკენ თავი. ჩემმა დიუსელდორფელმა, რომელიც ალარც კი მახსოვდა, ფანჯარასთან დაბითმი ადგილი. შეწუხებული ჩანდა: რა დაგემართათო. მე ვუპასუხე, საათი გამიჩერდა-მეთქი და საათი შოემართე.

სტარტი ჩვეულებრივად ავიდეთ.

ჩემმა მეზობელმა საინტერესო საუბარი წამოიწყო. კუჭი ალარ მაწუხებდა და დიუსელდორფელიც უფრო სიმპათიური მეჩვენებოდა. მან ალიარა გერმანული სიგარა მსოფლიოს საუკეთესო სიგარებს ჯერ კიდევ ჩამორჩებაო, კარგ სიგარას კარგი თამბაქო სჭირდებაო.

მერე რუკა გაშალა.

ეს ადგილი გვატემალაში, სადაც მისი ფირმა პლანტაციის გაშენებას აპირებდა, ეტყობოდა, სადღაც დასავლეთში უნდა ყოფილიყო. ფლორესიდან იქამდე მხოლოდ ცხენით თუ მიაღწევდა კაცი, პალენკედან კი (მექსიკის სამფლობელო) ჯიპითაც თავისუფლად შეიძლებოდა მისვლა. ის ჯუნგლებში „ნეშიც" გაალწევსო, ამტკიცებდა იგი.

თვითონ იმ მხარეში პირველად მიდიოდა.

მოსახლეობა: ინდიელები.

ეს საინტერესო იყო ჩემთვის. მეც ხომ სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის დარგში ვმოღვაწეობ. ჩვენ ორივეს ერთი აზრი გვქონდა, — ასეთ ქვეყნებში ჯერ გზები უნდა გაიყვანონ, ერთი პატარა აეროდრომის აშენებაც შეიძლება. მთავარია, არსებობდეს მიმოსვლის საშუალებანი. პუერტო ბარიოსში ტრანსპორტის დატვირთვა სარისკო საქმე იყო, მაგრამ არცთუ აზრს მოკლებული. იქნებ მართლა ჩაჰყროდა გერმანული სიგარის მომავალს საფუძველი.

მან რუკა დაკეცა...

---

[1] აი, თურმე საიდ ყოფილხართ (ინგლ.).

[2] ვიგვიანებთ, მისტერ ფერბერ, ვიგვიანებთ (ინგლ.).

[3] ბოდიშს ვიხდი (ინგლ.).

მე წარმატება ვუსურვე.

მის რუკაზე (1 : 500.000) მაინც ვერაფერს გაარჩევდით, ზედ ტყეები, უსახელო ქვეყანა ეხატა. სახელმწიფო საზღვრის ბწკვანე ზოლებს შუა მოქცეული ლურჯი ხაზები მდინარეებს აღნიშნავდა, ერთადერთი წარწერა კი (წითელი წარწერა, რომელიც მხოლოდ ლუპით იკითხებოდა) მაიას ნახევარკუნძულზე ეუთოთებდა.

მე წარმატება ვუსურვე.

მისი ძმა თურმე რამდენიმე თვეა იქ ცხოვრობს. იქაური ჰავა ნამდვილად კარგ დღეს არ დააყრიდა. წარმომიდგენია, რა სიცხე ეცოდინება იმ დაცემულ ადგილას; ტროპიკულ სიცხეს წვიმა და სინესტე რომ დაერთვის თან, მაშინ ხომ საშინელება იქნება. იქ მზე მუდამ შვეულად აჭერს.

ამით მოთავდა ეს საუბარი.

სიგარეტს ვეწეოდი და თან ფანჯარაში ვიცქირებოდი: ჩვენს ქვეშ მექსიკის ლურჯი ყურე იყო გადაშლილი, მომწვანო ზღვას პაწაწინა ღრუბლების ჩრდილები ეფინა. ფერთა ჩვეულებრივი თამაშია. ბევრჯერ გადამიღია. თვალი დავხუჭე, რომ აივისთან უძველად გატარებული წუთები ცოტათი მაინც ამენაზღაურებინა. მშვიდად მივფრინავდით. ჩემი მეზობელიც მშვიდად იყო.

ის რომანს კითხულობდა.

რომანები ჩალის ფასად არ მიღირს, საზმრებზეც ამ აზრის გახლავართ. მგონი, აივი მესიზმრა. ყოველ შემთხვევაში, გულზე ლოდივით მაწვა რაღაც. მესიზმრა, ვითომ ლას-ვეგას კაზინოში ვარ (სინამდვილეში იქ არასოდეს არ ვყოფილვარ), ირგვლივ ენიასი დგას, რეპროდუქტორები ჩემს სახელს გაჰკივიან, ერთბანეთში ირევა ლურჯი, წითელი, ყვითელი ავტომატები, სადაც ფულის მოგება შეიძლება, დავბორიალებ ტიტლიკანა ადამიანების ბრბოში და განქორწინებას ველოდები (სინამდვილეში ცოლი არასოდეს არ მყოლია), საიდანღაც ციუტიპის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ო.-ც გაჩნდა, ჩემი პატივცემული მასწავლებელი. პროფესორი მთლად გასენტიმენტალებულა, ღაპალუპით ჩამოსდის ცრემლები, თუმცა მათემატიკოსია და თან ელექტროდინამიკის პროფესორიც გახლავთ. უცნაური გრძნობაა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ მე დიუსელდორფელზე ვიყავი ჯვარდაწერილი! მინდოდა პროტესტი გამეცხადებინა, მაგრამ პირზე ხელს თუ არ მივიფარებდი, ისე ხმას ვერ ვიღებდი, პირში კენჭებივით მეწყო ჩამოცვენილი კბილები...

თვალი გავახილე თუ არა, მივხვდი, რაც მომხდარიყო.

ჩვენს ქვეშ გაშლილი ზღვაა.

მარცხენა მოტორი ჩამქრალა. პროპელერი გაშეშებული ჯვარივით ჰკიდია მოწმენდილ ცაზე. ეს არის და ეს.

ჩვენს ქვეშ, როგორც ვთქვი, მექსიკის ყურეა.

სტიუარდესას, ოცი წლის ქალიშვილს, რომელიც გარეგნულად მთლად ბავშვივით გამოიყურებოდა, ჩემთვის მხარში ჩაევლო ხელი და მაღვიძებდა. უსიტყვოდ მივხედე ყველაფერს. ქალიშვილმა ბწკვანე მაშველი ჟილეტი მომაწოდა. ჩემი მეზობელი ჟილეტზე უკვე ზონრებს იკრავდა. ისე გულმოდგინედ ირჯებოდა, ვითომ სასწავლო განგაში ყოფილიყოს.

ჩვენ სულ ცოტა, ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე მივფრინავდით.

რა თქმა უნდა, არც ერთი კბილი არ ჩამოშვარღნია, არც ის ხელოვნური კბილი, ზედა ყბაზე, მარჯვნივ რომ მაქვს. გულზე მომეშვა, ის კი არა, ნასიამოვნებიც კი დავრჩი.

წინიდან ისმის პილოტის ხმა:

— There is no danger at all...[1]

ეს მხოლოდ სიფრთხილისათვის. თორემ ჩვენს მანქანას ორი მოტორითაც მშვენივრად შეუძლია იფრინოს, ჩვენ ვიმყოფებით 8,5 მილზე მექსიკის ნაპირებიდან, კურსი ტამპიკოსაკენ გვაქვს აღებული, ყველა მგზავრს გულითადად ვთხოვთ, მშვიდად იყოს. ჯერჯერობით ნუ მოსწეევენ.

— Thank you![2]

მწვანე ჟილეტებში გამოჭიმული მგზავრები ისე გასუსული ისხდნენ, თითქოს ეკლესიაში ორიანო. მე ენით ვამოწმებდი, კბილები მართლა ხომ არ მერყევა-მეთქი, სხვა ყველაფერი ფეხებზე მეკიდა.

დრო: 10.25.

ჩრდილოეთის შტატებში ქარბუქს რომ არ დავებრკოლებინეთ, ახლა მეხიკო-სიტიში ვიქნებოდით-მეთქი, ვუთხარი ჩემს დიუსელდორფელს, მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე მეთქვა. ვერ ვიტან ასეთ საზეიმო განწყობილებას.

ვკითხე, რომელი საათია-მეთქი.

პასუხი არ მიმიღია.

დანარჩენი სამი მოტორი წესიერად მუშაობდა. ისევ მაღლა მივფრინავდით. შემდეგ ნისლში რალაც ლაგუნის მსგავსი სანაპირო გამოიკვეთა, სანაპიროს უკან ჭაობი მოჩანდა. იქაურობა ტამპიკოს სულაც არ ჰგავდა.

ტამპიკოში ნამყოფი ვიყავი. იქ თევზით ისე მოვიწამლე, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება!

— ტამპიკო მსოფლიოში ულამაზესი ქალაქია, — ვთქვი მე, — აი, ნახავთ, მთელი ნავსადგური ნავთის და თევზის სუნითაა აყროლებული.

ის მაშველ ჟილეტზე თითებს ათამაშებდა.

— ნამდვილად გირჩევთ, არავითარ შემთხვევაში თევზს პირი არ დააკაროთ.

მან გაღიმება სცადა.

— იქაურობს, რა თქმა უნდა. იმუნიტეტი აქვთ გამომუშავებული, — განვაგრძე მე, — მაგრამ ჩვენებურ კაცს...

მან თავი ყასიდად დამიქნია. ყურს არ მიგდებდა.

ამებებზე და ტამპიკოს სასტუმროებზე, მგონი, მთელი ლექცია წავუკითხე. როგორც კი შევნიშნე, რომ ჩემი დიუსელდორფელი ყურს არ მიგდებდა, სახელო მოვქაჩე, საერთოდ არ მჩვევია ასეთი რამ, პირიქით, მეჯავრება კიდეც. სახელოში ერთმანეთს ხელს რომ ავლებენ, მაგრამ ეიცოდი, სხვანაირად ის ყურს არ მათხოვებდა. მოვუყევი, ტამპიკოში როგორ მოვიწამლე. ეს ექვსი წლის წინანდელი ამბავი იყო, ესე იგი, 1951 წლის ამბავი. ამასობაში ჩვენმა თვითმფრინავმა მოულოდნელად ხმელეთისაკენ აიღო გეზი. აბა, ტამპიკოში

---

[1] სახიფათო არაფერია (ინგლ.).

[2] გმადლობთ (ინგლ.).

ალარ მივფრინავთ! ენა დამება. დავაპირე, სტიუარდესასთვის მეკითხა, რა მოხდა-მეთქი.

მოწევა კვლავ ნებადართულია!

იქნებ ტამპიკოს აეროდრომი ჩვენი „სუპერ-კონსტელაციისა“ მეტისმეტად პატარაა. (მაშინ ჯერ DC — 4-ით მივფრინავდი) ან ... მეხიკო — სიტიმდე მიეღწიათ. ეს ჩემთვის საკვებით გაუგებარი იყო, მით უმეტეს, რომ ჯერ სიერა-მადრე-ორიენტალი წინ გვქონდა. ჩვენს სტიუარდესას, — (მე მასაც იდაყვში ჩავავლე ხელი, თუმცა, როგორც ვთქვი, ასეთი რამ არ მჩვევია), — არ ეცალა, მას პილოტის კაბინაში დაუძახეს.

ჩვენ მართლა მაღლა მივიწევდით.

შეეცადე ავიზე მეფიქრა.

ისევ მაღლა მივიწევდით.

ჩვენს ცვლემოთ კვლავ ჭაობები მოჩანს, თავთხელი და უღიმღამო, მათ შორის აქა-იქ ცვარწნარი ხმელეთია შემოჭრილი. ჭაობს ზოგან მწვანე ფერი დაჰკრავს, ზოგან კი მოწითალო, ჰომადის ფერი. საგონებელში ჩავვარდი. კაცმა რომ თქვას, ამ ადგილებს ჭაობი არც ეთქმის, უფრო ლაგუნებს ჰგავს. სადაც მზის სხივი ეცემა, სირმასავით ბრწყინავს, უფრო სწორად, კალაფირივით, ყოველ შემთხვევაში ფოლადისფრად მაინც. შემდეგ კვლავ ცისფრად ელავს (აიეის თვალებივით), ზოგან ყვითელი ღრმულები გამოერევა, იისფერი მელნის ლაქებივით ჩაბუქებული ადგილები ალბათ წყალმცენარეებია, ერთგან რაღაც შესართავი მოჩანს, ამერიკული რძიანი ყავის ფერი. გულისამრევია! რამდენიმე მილზე მჭოლოდ ლაგუნებია გადაჭიმული. დიუსელდორფელსაც ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს მაღლა მივიწევდეთ.

მგზავრები ისევ ალაპარაკდნენ.

ერთი ხეირიანი რუკა, როგორიც შვეიცარულ თვითმფრინავებში ყოველთვის ხელთა გაქვს ხოლმე, აქ არ მოიძებნებოდა და ყველაზე მეტად ეს იდიოტური ინფორმაცია წიშლიდა ნერვებს: „კურსი ტამპიკოსაკენ გვაქვს აღებული“. მანქანა კი, როგორც ვთქვით, ხმელეთის შეაგულისაკენ მიდის. სამი ძოტორით მაღლა მიიწევს. სამ მოელვარე დისკოს ვაკვირდებოდი. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ დისკოები ტოკავდნენ, მაგრამ ეტყობა, თვალი მატყუებდა. ასაღელვებელი თითქოს არაფერი ჩანდა, მხოლოდ სასაცილო იყო, მთელი სისწრაფით მიმავალ თვითმფრინავს როგორ ეკიდა პროპელერის გაშეშებული ჯვარი.

ჩვენი სტიუარდესა მეცოდებოდა.

რეკლამაზე დახატული მომღიმარი ქალივით რიგებშუა უნდა ეელო და მგზავრებისათვის ეკითხა, საკურთო ქილეტები სომ არ გეხამუშებათო. ვინმე თუ გაეხუმრებდა, სტიუარდესას მაშინვე უჭრებოდა სახეზე ღიმილი.

ვითომ მთებში შეიძლება ცურვა? — ვიკითხე მე.

ბრძანება ბრძანებაა.

ამ ქალიშვილს, (იგი შვილად მეჩვენებოდა) მკლავში ჩავავლე ხელი, თითით დავემუქრე და ვუთხარი (რა თქმა უნდა, ხუმრობით!), თქვენ არ იყავით, თვითმფრინავში ძალით რომ ჩამსვით-მეთქი.

მან მიპასუხა:

— There is no danger, Sir, no danger at all. We're going to land in Mexico—City in about one hour and twenty minutes[1].

ამასვე ეუბნებოდა დანარჩენებსაც.

ქალიშვილს ხელი გავუშვი და საშუალება მივეცი, კვლავ ფიქრით ჩამოევლო რიგებშუა და თავისი მოვალეობა შეესრულებინა, ეცადა, რვეულები ყველას შეკრული ჰქონდა თუ არა. სულ ცოტა ხანში სტიუარდესას უბრძანეს ლენჩი ჩამოეტარებინა, თუმცა ჯერ ლენჩის დრო არ იყო...

საბედნიეროდ, მშვენიერი ამინდი იდგა: თითქმის ულრუბლო ცაში მივფრინავდით, მხოლოდ ქარი უბერავდა, როგორც ჩვეულებრივ მთაში იცის ხოლმე. ტემპერატურა ნორმალური იყო. თვითმფრინავი ირყეოდა, წონასწორობას ჰკარგავდა, კვლავ სწორდებოდა და მაღლა ადიოდა, შერე ისევ ყვინთავდა და ფრთები ერყეოდა. რამდენიმე წუთს სავსებით მშვიდად მივფრინავდით, შემდეგ, ერთი ბიძგი და ფრთები ისევ აყირავდებოდა, ისევ ვყანყალებდით, სანამ მანქანა გასწორდებოდა და მაღლა ავიდოდა. თითქოს ასეა საბოლოოდ კარგად იყო საქმე. შემდეგ თვითმფრინავი კვლავ ჩაყვინთავდა, როგორც ჩვეულებრივ ქარის დროს იცის ხოლმე.

შორს მოჩანს ლურჯი მთები.

სიერა-მადრე-ორიენტალი.

ჩვენს ქვემოთ წითელი უდაბნოა.

მე და ჩემს დიუსელდორფელს ის იყო ლენჩი მოგვართვეს, (ჩვეულებრივი საუზმე: ხილის წვენი და მწვანე სალათიანი, თოვლივით ქათქათა სენდვიჩი), რომ მეორე მოტორიც გაჩერდა. რა თქმა უნდა, ატყდა პანიკა, დიდი პანიკა. თუმცა ყველას ლენჩი ედო მუხლებზე. ვიღაცამ იკივლა.

ამის შემდეგ ყველაფერი სწრაფად მოხდა...

ეტყობოდა, დანარჩენი მოტორების მწყობრიდან გამოსელისაც შეეშინდათ და დაშვება გადაწყვიტეს. ასე იყო თუ ისე, ჩვენ ვეშვებოდით. რეპროდუქტორი ხრიალებდა. არ ისმოდა, რა მითითებებს გვაძლევდნენ.

ჩემი პირველი საზრუნავი: რა ვუყო ლენჩს?

ჩვენ ვეშვებოდით, თუმცა ორი მოტორი, როგორც ვთქვით, ფრენისათვის საკმარისი უნდა ყოფილიყო. მასები ჰაერში უძრავად ეკიდა, როგორც ჩვეულებრივ ჰკიდია ხოლმე დაშვების დროს.

მე ჩემი ლენჩი პირდაპირ იატაკზე დავდგი, გასასვლელში. ამ დროს ხუთასი მეტრის სიმაღლეზე თუ ვიქნებოდით მიწიდან.

ქარი აღარ ქროდა.

— No smoking![2]

მშვენივრად ვიცოდი, ჩვენი მანქანა იძულებითი დაჯდომის დროს თავისუფლად შეიძლებოდა ან აფეთქებულიყო, ან დამსხვრეულიყო და ჩემი სიმშვიდე მაკვირვებდა.

არავიზე არ ვფიქრობდი.

---

[1] საშიში არაფერია, სერ, დაახლოებით საათსა და ოც წუთში მეხიკო-სიტიში დავფრინდებით (ინგლ.).

[2] მოწევა აკრძალულია (ინგლ.).

როგორც ვთქვი, ყველაფერი სწრაფად მოხდა. ჩვენს ქვემოთ ქვიშა იყო, ბორცვებიანი, ხელისგულივით მოშიშვლებული უდაბნო. შორიდან კლდოვანი კედონებოდათ.

კაცმა რომ თქვას, იყო მხოლოდ დაძაბული მოლოდინი.

ისე ვეშვებოდით, თითქოს ქვევით დასაფრენი ბილიკი გვქონდა. სახით სარკმელს მივეკარი — დასაფრენ ბილიკს ხომ უკანასკნელ წამში ხედავ მხოლოდ, თუ ფარები უკვე ჩამოშვებულია. მიკვირდა, რატომ არ უშვებდნენ ფარებს. თვითმფრინავი აშკარად ერიდებოდა ყოველგვარ ვირაჟს, რომ არ გადატრიალებულიყო. დაბლობის თავზე მივფრინავდით, ჩვენი ჩრდილი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, თითქოს ის ჩვენზე უფრო სწრაფად მიჰქროდა, რუხი ქაღალდის ნაკუწივით მიფარფატებდა მოწითალო ქვიშაზე.

შემდეგ კლდეები გამოჩნდა.

ისევ ზევით ავიწიეთ.

შემდეგ, საბედნიეროდ, კვლავ აგავებით მოფენილი ქვიშნარი გამოჩნდა. ორივე მოტორი მთელი ძალით მუშაობდა. რამდენიმე წუთს ასე მივფრინავდით სახლის სიმაღლეზე. შასები ისევ შეკეცეს. მაშ მუცელზე ვწდებით! ჩვენ მივფრინავდით საკმაოდ შშვიდად და უშაოდ, ასე დიდ სიმაღლეზე ფრენენ ხოლმე. მაგრამ, როგორც ვთქვი, სახლის სიმაღლეზე ვიცოდი, რომ არავითარი დასაფრენი ბილიკი არ იქნებოდა და მაინც სახით ვეკვროდი მინას.

შასები ხელახლა გამოსწიეს ისე, რომ დასაფრენი ბილიკი არ გამოჩენილა. უცებ, თითქოს კუჭში მუშტი ჩამარტყეს, ღრჭიალი გაეიგონე, დაშვების შეგრძნება ისეთი იყო, როგორც ლიფტში იცის ხოლმე. ბოლო წუთებში ნერვებმა მიღალატა. ორივე მხარეს მხოლოდ აგავები მიჰქროდნენ ელვის სისწრაფით. ორივე ხელი სახეზე ავიფარე და თვითმფრინავის ღაჯდომა ისე ვიგრძენი, თითქოს მიბიძგეს და ფსისრულობაში გადამისროლეს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ბედნიერ ვარსკვლავზე ვყოფილვართ დაბადებულები. არავის არ გაუღია სათადარიგო კარი. არავინ არ განძრეულა. ყველანი ქამრებზე ვეკიდეთ.

— Go on, — თქვა პილოტმა, — go on! [1]

არავინ არ განძრეულა.

ჩვენღა საბედნიეროდ, ხანძარს გადავრჩით. ახლა მგზავრებისთვის უნდა ეთქვათ, ქამრები შეიხსენითო. კარი ღია იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, კიბე არ მოუგორებიათ. გარედან ისეთი ცხელი ჰაერი შემოიჭრა, თითქოს ღუმელის კარი გააღესო.

უვნებლად გადავრჩი.

როგორც იქნა, გაჩნდა თოკის კიბე!

არავის არ გაუცია განკარგულება, ფრთის ჩრდილქვეშ ისე მოიყარა ყველამ თავი. მდუმარედ იდგნენ, თითქოს უდაბნოში ლაბარაკი სასტიკად აკრძალული ყოფილიყოს. ჩვენი „სუპერ-კონსტელეიშნი" ოდნავ წინ გადახრილი იდგა, თვითმფრინავი არ დაზიანებულა, მხოლოდ შასის წინა ბორბლები ჩაეფლო ქვიშაში, ბორბლები გატეხილიც კი არ იყო. ოთხი პროპელერი ბრწყინავდა ხასხასა

[1] გამოდით (ინგლ.)

ლურჯი ცის ფონზე. როგორც ვთქვი, ადგილიდან არავინ იძვროდა. ეტყობოდა, პილოტისაგან რიღაცას ელოდნენ.

— Well, — თქვა მან, — there we are![1]

მან გაიცინა.

ირგვლივ ეგავეგბისა და ქვიშის მეტი არაფერი ჩანდა. ქვიშა-ქვიშა, მოყვითალო ქვიშა, რომელსაც ცხელი ოხშივარი ასდიოდა. ჰაერი გაჟღენთილ მინასავით იყო გავარვარებული, შორს, უფრო შორს, ვიდრე აქამდე გვეგონა, მოწითალო მთები მოჩანდა.

დრო: 11.05.

საათი მოვმართე.

ეკიპაჟმა საბურავების მზისგან დასაცავად შალის საბნები გამოიტანა, ჩვენ კი, მწვანე მაშველ ჟილეტებში გამოჭიმულები, უსაქმოდ ვიდექით. არ ვიცი რატომ, მაგრამ მაშველი ჟილეტის გახდას არავინ ფიქრობდა.

არც წინასწარმეტყველების მჯერა და არც ბედისწერისა; ინჟინერი გახლავართ და ალბათობის თეორიის ფორმულებს არ შემიძლია ანგარიში არ გავუწიო. რას ნიშნავს ბედისწერა? ვიღაცრეგ: ტამაულიპასში იძულებით რომ არ დავმჯდარიყავით (2. IV), ყველაფერი სხვანაირად მოხდებოდა. მე არც ამ ადალგაზრდა ჰენკეს გავიცნობდი, ალბათ არც ჰანას სახელს გავიგონებდი კიდევ ოდესმე, ალბათ დღესაც არ მეცოდინებოდა, რომ მანა ვარ. ალბათ არ იცის, რა მოხდებოდა, ტამაულიპასში იძულებით რომ არ დავმჯდარიყავით. შეიძლება, ხაბეტი დღესაც ცოცხალი ყოფილიყო. არ გედავებით: ეს შემთხვევითობაზე მეტია, რომ ყველაფერი ასე წაეწყო ერთმანეთზე, ეს იყო შემთხვევითობათა მთელი ჯაჭვი. მაგრამ რა მოსატანია აქ ბედისწერა?

დაუჯერებელი რამ ფაქტად რომ მივიჩნიო, ამისათვის მისტიკა არ მეშორება. ჩემთვის მათემატიკაც კმარა.

მათემატიკის ენით რომ ვილაპარაკოთ: შესაძლებელი (ექვსნიშნა კამათელი 6.000.000.000-ჯერ რომ ავაგდოთ, დაახლოებით 1.000.000.000-ჯერ ერთი და იგივე რიცხვზე დაჯდება) და შეუძლებელი (იგივე ექვსნიშნა კამათელი ექვსჯერ აგდებისას ერთი და იგივე რიცხვზე რომ დაჯდეს) ერთმანეთისაგან თავისი არსით კი არ განსხვავდება, არამედ სიხშირით, სადაც სიხშირეც შესაძლებლად წინასწარ არის მიჩნეული. მაგრამ როცა ერთხელ შეუძლებელი რამ ხდება, უცნაური და არაჩვეულებრივი აქ არაფერია, როგორც ეს უმეცარ ადამიანებს უნდათ რომ იყოს. როცა ვლაპარაკობთ შესაძლებელზე, მაშინ ხომ თავისთავად ეგულისხმობთ შეუძლებელსაც, როგორც შესაძლებლის ზღვარს. და როცა ეს შეუძლებელი მოგვეელინება, არავითარი საფუძველი არა გვაქვს შევძრწუნდეთ ან გაველოცდეთ, ან მისტიფიკაციად მივიჩნიოთ ის, რაც მოხდა.

იხილე:

ერნსტ მელის „ალბათობა და კანონი", შემდეგ: ჰანს რაიხენბახის „ალბა-

---

[1] აი, ჩამოველით (ინგლ.).

თობის თეორია“, შემდეგ: უაიტჰედის და რასელის „მათემატიკის პრინციპები“, შემდეგ: მიზესის „ალბათობა, სტატისტიკა და სინამდვილე“.

□ □

მექსიკის უდაბნოში, ტამაულიპასში ოთხი დღე და სამი ღამე, სულ ცამეტ საათი გავატარეთ. ამ 85 საათზე ბევრი არაფერია მოსაყოლი. გრანდიოზული ამბავი (როგორც შეიძლება ვინმეს ეგონოს) ეს არ ყოფილა. ამას მიუმატეთ სიცხე: ბუნებრივია, მაშინვე დისნეის ფილმი მომაგონდა. აი, გრანდიოზული თუ გნებავთ, ის იყო. კინოაპარატი წოვიმარჯვე, მაგრამ სენსაციური ირგვლივ ვერაფერი აღმოვაჩინე. ბანდახან საიდანმე ხელიკი თუ გამოსრიალდებოდა და შემაშინებდა, ან უდაბნოა რომელიღაც ჯიშის ობობა თუ გამოღოღდებოდა, ეს იყო და ეს.

ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენოდა.

პირველი, რაც ტამაულიპასის უდაბნოში გავაკეთე, ის იყო, რომ დიუსელდორფელს გავეცანი და, რადგან ჩემმა კინოაპარატმა დააინტერესა, ლინზები დავათვალიერებინე.

სხვები კითხულობდნენ.

საბედნიეროდ, მალე აღმოვაჩინე, რომ ჩემი დიუსელდორფელიც თამაშობდა ჭადრაკს. ვინაიდან ჩემი ჯიბის ჭადრაკი მუდამ თან დამაქვს ხოლმე, აღარაფერი გვიჭირდა. მან მაშინვე გამონახა კოკა-კოლას ორი ცარიელი ყუთი. სხვების ლაპარაკი რომ არ გაგვეგონა, განაპირას, თვითმფრინავის კუდის ჩრდილში დავსხედით ფეშერანგოდ, შორტებისა და ფეხსაცმელების ამარა (ქვიშა ფეხს გვწვავდა).

დღე თვალსა და ხელს შუა გაგვიფრინდა.

უკვე ბინდდებოდა, როცა ცაზე რომელიღაც სამხედრო თვითმფრინავი გამოჩნდა, ჩვენს თავზე რამდენიმე წრე დაარტყა და ჩრდილოეთით, მონტერეის მიმართულებით ისე გაუჩინარდა, რომ არაფერი ჩანოუგდია. (ესეც ფირზე აღვბეჭდე).

ვახშამი: ყველიანი სენდვიჩი და ნახევარი ბანანი.

დიდად გაფასებ ჭადრაკს. საათობით შეგიძლია ხმა არ ამოიღო. არც სხვისი ლაპარაკის მოსმენაა აუცილებელი. უყურებ დაფას და უზრდელობად სულაც არ ითვლება, თუ შენი პარტნიორის ახლო გაცნობის სურვილს არ გამოამჟღავნებ და ნთელი სერიოზულობით თამაშში იქნები ჩაფლული.

— თქვენი სელაა! — თქვა მან.

სრულიად შემთხვევით გამომჟღავნდა, რომ ჩემი მეგობარი იოახიმი, რომლის ამბავი ოცი წელი მაინც იქნებოდა, არ გამეგო, თურმე მისი უბრალო ნაცნობი კი არა, ღვიძლი ძმა ყოფილა.

ჰორიზონტზე წავად გაწოლილ აგავებს შორის მთვარე ამოცურდა (ეს მომენტიც ფირზე აღვბეჭდე) და ირგვლივ ისეთი ნათელი დადგა, რომ ჭადრაკის თამაში ისევ შეიძლებოდა. მაგრამ უცებ ძლიერ აცივდა. სიგარეტის მოსაწევად თვითმფრინავს მოვცილდით. ფეხი ქვიშაში გვეფლობოდა და აი, მაშინ ვალიარე. — ბუნება სრულებით არ მაღელვებს, უდაბნოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია-მეთქი.

— თქვენ ხუმრობთ! — მითხრა მან.

იგი ყოველივე ამას არაჩვეულებრივ განცდად თვლიდა.

— წავიდეთ, დავიძინოთ! — ვუთხარი მე.

Hotel „Super-Constellation". Holiday in desert with all Accommodations![1]

ცივა-მეთქი, ვთქვი.

ხშირად მაკითხავს საკუთარი თავისათვის, რას ეძახის ბალში განცდას? მე ინჟინერი გახლავართ და მიჩვეული ვარ, — ისე აღვიქვა საგნები, როგორიც სინამდვილეში არის. ყველაფერს მშვენივრად ვხედავ, რასაც ისინი ხედავენ, ბრმა კი არა ვარ! ვხედავ ტამაულიპასის უდაბნოს თავზე ამოსულ მთვარეს; შესაძლოა უფრო კაშკაშას, ვიდრე ოდესმე მინახავს, მაგრამ ეს ხომ განზომილებიანი სხეულია, რომელიც ჩვენი პლანეტის ირგვლივ ბრუნავს, აქ ხომ გრავიტაცია მოქმედებს, გასაკვირი არაფერია. გეთანხმებით, რომ საინტერესოა, მაგრამ რა შუაშია აქ განცდა? ვხედავ დაკბილულ ქარაფებს, რომლებიც შავად მოჩანან მთვარის შუქზე. შესაძლოა ისინი მართლაც გვანან წარღვნამდელ ცხოველთა დაკბილულ ხერგებს, მაგრამ მე ხომ ვიცი: ეს მხოლოდ ლოდებია, ალბათ ვულკანური წარმოშობისა, ეს კი უნდა ნახო და დააბუსტო, მართლა ასეა თუ არა. რისი უნდა მეშინოდეს? წარღვნამდელი ცხოველები გადაშენდნენ. ხელახლა რატომ უნდა გამოვიგონო ისინი? ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერც გაქვავებულ ანგელოზებს ვხედავ და ვერც დემონებს, ვხედავ იმას, რაც არის: ვხედავ ეროზიის ჩვეულებრივ ფორმებს, ვხედავ ქვიშაზე გაწოლილ საკუთარ ჩრდილს, მაგრამ მოჩვენებებს კი არა. რა საჭიროა ქალური მგრძნობიარობა? მე ვერც წარღვნას ვხედავ, ვხედავ მხოლოდ მთვარით განათებულ ქვიშას. ქარს ქვიშა დაუტალღავს. მერე რა? ეს ფანტასტიკურად კი არ მეჩვენება, პირიქით, სავსებით გასაგებია. მე არ ვიცი, როგორი სახე აქვთ ავ სულებს. შეიძლება ისინი მართლა გვანან ღამეულ უდაბნოში გაწოლილ შავ აგავებს, მაგრამ რასაც მე ვხედავ, მხოლოდ აგავებია. უდაბნოს მცენარეები, რომლებიც თავის სიცოცხლეში ერთხელ ჰყვავიან და კვდებიან. მერე, ისიც ვიცი, რომ მე (თუნდაც ამ წუთში ასე ჩანდეს) პირველი და უკანასკნელი ადამიანი არა ვარ დედამიწაზე და მხოლოდ იმის წარმოდგენა, თითქოს დედამიწაზე უკანასკნელი ადამიანი მე ვიყო, ვერ შემაძრწუნებს იმიტომ, რომ სინამდვილეში ასე არ არის. რა საჭიროა ეს ისტერიულობა? მთები მთებია, თუნდაც ისინი, სხვანაირი განათების წყალობით, სულ სხვა რაღაცას დაემსგავსონ. მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ეს სიერა-მადრე-ორიენტალია და ჩვენც მიცვალებულთა სამფლობელოში კი არ ვიმყოფებით, არამედ მექსიკაში, ტამაულიპასის უდაბნოში ვდგავართ და უახლოეს მაგისტრალს ერთი სამოცი მილი მაინც გვაშორებს, რა თქმა უნდა, ეს არასასიამოვნოა, მაგრამ რა შუაშია აქ განცდა? ჩემთვის თვითმფრინავი არის თვითმფრინავი, მის დანახვაზე რომელიმე გადაშენებული ფრინველი კი არ მაგონდება, არამედ მოტორდაზიანებული „სუპერ-კონსტელეიშნი" და მეტი არაფერი და დაე მთვარემაც ისე გაანათოს იგი, როგორც ნებავს. რატომ უნდა განვიცადო ის, რაც არ არის? ვერც იმას დავიძალებ ჩემს თავს, მარადისობას ვუსმინო. მე მხოლოდ ის მესმის, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე როგორ ხრაშუნობს ქვიშა. ამ წუთში სიცივისაგან ვძაგძაგებ, მაგრამ ვიცი: შვიდ-რვა საათში

[1] სასტუმრო „სუპერ-კონსტელეიშნი". არდადეგები უდაბნოში — კომფორტითურთ (ინგლ.).

ბზე ისევ ამოვა. სამყაროს აღსასრულია? როგორ?! მხოლოდ იმისათვის, რომ ბელლეარეზა განვიცადო. სისულელეებს ვერ გაძოვიგონებ. მეც ცხვდავ ქვიშიან ჰორიზონტს. ჩვენგან ოცოდე ნილით დაშორებული ჰორიზონტი თეთრად კიაფობს მწვანე ლამეში, ოღონდ ის ვერ გამიგია, როგორ შეეძლება იქ, ტამპიკოს მხარეს, დაიწყოს იმქვეყნიური სამყარო? ტამპიკოს მშვენიერი მეცხვრეობ და მხოლოდ ფანტაზია ვერ შემაძრწუნებს, დიახ, შიში მეოცნებედ ვერ მაქცევს.

— წამოდით! — ვუთხარი ჰერბერტს.

ჰერბერტი იდგა და კვლავ რალაცას განიცდიდა.

— ჰო, მართლა, — ეკითხე მე, — თქვენი ხომ არაფერია ოთახში ჰენკე, იდესღაც ციურიხში რომ სწავლობდა?

ეს კითხვა უკვე დამებადა. ჩვენ ჯიბეში ხელებჩაწყობილი ვიდექით და ის იყო, თვითმფრინავში ვაპირებდით ასვლას.

— ოთახში? — თქვა მან, — ოთახში ჩემი ძმაა.

— მართლა? — ვთქვი მე.

— დიახ, ნამდვილად. ხომ გითხარით, გვატემალაში ძმასთან მივდივარ-მეთქი.

გაგვეცინა.

— რა პატარაა ეს ქვეყანა!

ლამეს თვითმფრინავის სალონში ვათევდით. პალტოებსა და შალის საბნებში გაბეღვლებს სიცივისაგან გვაძაგძაგებდა. ეკიპაჟი ჩაის აღულებდა, სანამ წყალი ჰქონდა.

— როგორ არის ოთახში? იცი წელია მისი ამბავი არა მსმენია. — ვკითხე მე.

— გმადლობთ, — თქვა მან. — გმადლობთ.

— მაწინ დიდი ნეგობრები ვიყავით. — ვთქვი მე.

რაც შემდეგ შევიტყვე, ჩვეულებრივი ამბავი იყო: ქორწინება, ბავშვი (ეს ადრევე ვერ გავიგონე, თორემ მეორედ აღარ ვეკითხავდი), შემდეგ ომი, ტყვეობა, დიუსელდორფში დაბრუნება და ასე შემდეგ. გამიკვირდა: რა სწრაფად მიდის დრო, რა სწრაფად ვბერდებით!

— მისი დარდი არ ვვასვენებს, — თქვა მან.

— როგორ?

— ოთახში ერთადერთი თეთრკანიანია იქ... ორი თვეა მისგან არავითარი ცნობა არ მოგვიდია.

ოთახიანი ამბავს მიყვებოდა.

თვითმფრინავში თითქმის ყველას ეძინა. მხოლოდ ჩურჩული შეიძლებოდა. სალონში შუქი დიდი ხანია ჩაექროთ. დენი რომ დაეზოგათ, მგზავრებს თბოვენენ, საკვარძლების თავზე დამონტაჟებული პატარა ნათურებიც გამოეთიშათ. ბნელოდა. გარეთ ქვიშა თეთრად კიაფობდა. ნთვარის შუქზე ლაპლაპებდა თვითმფრინავის ფრთები.

— რა თქვით, აჯანყებაა? — ვიკითხე მე.

დაეამშვიდე.

— აჯანყება? არა, ალბათ, წერილები გზაში დაიკარგა.

ვილაცამ გვითხოვა. გავჩუმებულიყავით.

ორმოცდაორი მგზავრი ზის უდაბნოში გაჩერებულ თვითმფრინავში. თვით-

მფრინავს მოტორები შალის საბნებით აქვს შეფუთული (ქვიშამ რომ არ დააზიანოს). ბორბლებსაც შალის საბნები ახვევია. მგზავრები ზუსტად ისევე თავმოქცეული სხედან სავარძლებში, როგორც ფრენის დროს, ბევრს ძილია სძინავს; ორგვლივ საშარისებური სიჩუმეა. სარკმლიდან ლაპლაპა პროპელერები მოჩანს, მთვარის თეთრი შუქი ფრთებს ეცემა. ყველაფერი უძრავია. [illegible] საქცევი სანახაობაა.

ბიბლიოთეკა

ვილაცა ბოდავდა.

დილას რომ გავიღვიძე და სარკმლიდან სულ ახლოს ქვიშა დავინახე, ერთი წამით შევშინდი, მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ — შესაშინებელი არაფერი ყოფ.

ჰერბერტი კვლავ თავის „ro-ro-ro"-ს კითხულობდა.

ჩვენი ჯიბის კალენდარი ამოვიღე:

3. IV. მონტაჟი კარაკასში!

საუზმედ ხილის წვენი და ორი ნაჭერი ბისკვიტი მოგვეცეს, თან დაგვაიმედეს, პროდუქტები და სასმელები გზაშია, შესაშფოთებელი არაფერიაო. სჯობდა კი, არაფერი ეთქვათ. აბლა ძალაუნებურად, მთელი დღე ცისკენ უნდა გავჭვეროდა თვალი.

ისევ აუტანელი სიცხე!

სალონში კიდევ უფრო ცხელოდა.

ქარი სისინებდა, ხანდახან უდაბნოს თაგვების წრიპინის ხმაც მოდიოდა, თუმცა თაგვები არსად ჩანდნენ, ისმოდა ხვლიკების შარიშური, უფრო კი — ქარის განუწყვეტელი ზუზუნი, ქარი, როგორც ვთქვი, ქვიშას კი არ ატრიალებდა, წყნარად მიაცურებდა და ჩვენს კვალს შლიდა. ნაკვალევი ისე პირწმინდად სწორდებოდა, თითქოს აქ ორმოცდათრ მგზავრსა და ხუთკაციან ეკიპაჟს კი არა, ძეხორციელს არ დაედგას ფეხი.

პირის გაპარსვა მინდოდა.

გადასაღები არაფერი იყო.

ვერ ვიტან, როცა გაუპარსავი ვარ. ხალხისა კი არ მერიდება, უბრალოდ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მცენარე ვარ-მეთქი და უნებურად სულ ნიკაპზე მიკიდია ხელი. ჩემი ელექტროსაპარსებელი ამოვიღე და ყველაფერი ვცადე, ესე იგი, ვცადე შეუძლებელი, რადგან ელექტროდენის ვარეშე ამ აპარატით ვერაფერს გახდები. ეს რომ ვიცოდი, სწორედ ამიტომ შემლებოდა ნერვები. უდაბნოში არც დენია, არც ტელეფონი, არც შტეფსელი — არაფერი!

ერთხელ, შუადღისას, მოტორების ხმა გავიგონეთ.

ჩემსა და ჰერბერტს გარდა, ყველანი მცხუნვარე მზის გულზე იდგნენ და მოყვითალო ქვიშაზე გადმოსხმილი ირისფერ ცას, რუხ ნარშავებს და მოწითალო მთებს შესცქეროდნენ. ციდან ხმადაბალი ზუზუნი ისმოდა. ეს იყო ჩვეულებრივი „DC-7", იგი თოვლივით თეთრად ქათქათებდა მზეზე. დიდ სიმაღლეზე მიფრინავდა და კურსი მეხიკო-სიტისაკენ ეჭირა, სწორედ იქითკენ, სადაც წესით გუშინ ამ დროს უნდა დაეფრენილიყავით.

გუნება მოგვეწამლა.

კიდევ კარგი, ჭადრაკი მაინც გვქონდა.

ბევრმა მგზავრმა მოგვბეზა — ფეხსაცმელებისა და ტრუსების ამარა დაიწყო სიარული. ქალებს ჩვენზე მეტი გასაჭირი ადგათ: ზოგს ქვედაკაბა აეკეცა,

ზოგს წელზეევით ცისფერი, თეთრი ან ვარდისფერი ლიფი ეცვა მხოლოდ, კოფთა კი თავზე ჩალმასავით ჰქონდა დაგრაგნილი.

ბევრი თავის ტკივილს უჩივდა.

ვილაცას პირს ასაქშეებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ჰერბერტი კვლავ თეთრმფრინავის კუდის ჩრდილში ვიმყოფებოდით, მაგრამ კუდიც და ფრთებიც გაფარფატებული ქვიშის სიმსუბუქეს ითვალისწინებდა და ჩრდილშიაც ისეთი ალხი ტრიალებდა, თითქოს პროჟექტორის ქვეშ ვმჯდარიყავით. ჭადრაკის თამაშის დროს, ჩვეულებრივ, ძალიან ცოტას ვლაპარაკობდით. ერთხელ ვკითხე:

— იოახიმს ზერე

ზუტით ტვირთი გადმოეგდო. სამი ტომარა და ორი ყუთი ჩვენს ირგვლივ ს

ერთმანეთს შვილი ველარც მეწყობოდით — ყოველ წერილმანზე ჩხუბი მოგვდიოდა. იმაზეც კი ვჩხუბობდით, „სტუდებეკერი“ სჯობდა თუ „ნეიშელ“ ეს გამასვენდა თუ არა, ჩემმა მანქანამ თითქოს თავისით განაგრძო ბენზინი. ის კი არა, ახლა საათზე ვიხედებოდი, რომ ვერტმფრენს არ გაესწრო.

ვერტმფრენის მოტორი აანუშაგეს...

ვერტმფრენი

ბიბლიოთეკა

მე კი არა, აიეიმ ისურვა „სტუდებეკერი“ მანქანა, პირველ ყოველისა, ფერის მიხედვით შეარჩია. მისი აზრით, მანქანა წითელი იყო, ჩემი აზრით — ყოლოსფერი. ისე, რომ ტექნიკურ მონაცემებზე ფიქრით თავი არ აუტკივებია. აივი მანეკენი იყო. მგონი, კაბებს მანქანის ფერის მიხედვით ირჩევდა, მანქანის ფერს კი პომადის ფერის მიხედვით, თუ პირიქით, არ ვიცი. მახსოვს, ერთთავად მსაჯველურობდა, გემოვნების ნატამალი არ გაგაჩნიაო. და არც ცოლად მირთავთან, როგორც ვთქვი, არ არის ურიგო გოგო. მისი „სტუდებეკერის“ გაყიდვას რომ ვაპირებდი, საშინლად მოსდიოდა გული, თან თურმე არც უკვირდა ჩემი საქციელი. მე ხომ სულ არ მაწუხებდა მისი გარდერობის დარდი, რომელსაც ასე შეგნოდა ყოლოსფერი „სტუდებეკერი“. აბა სხვას რას უნდა მოელოდეს ჩემგან, მე ხომ ერთი ეგოისტი, რეგვენი და ბარბაროსი კაცი ვარ გემოვნების საკითხში, ქალთან ურთიერთობაში კი ნამდვილი ურჩხული. მისი საყვედურები ადრე ზეპირად ვიცოდი და მობეზრებული მქონდა. ცოლის შერთვას რომ არ ვაპირებდი, ეს მისთვის ათასჯერ მითქვამს. თუ არ მითქვამს, მიგრძნობინებია მაინც. ბილეთს აკი ვამოვუცხადე კიდეც ავროდრომზე, როცა ამ „სუპერ-კონსტელეიშნს“ ველოდებოდით. აივიმ ცრემლებიც კი წამოჰყარა. მაშასადამე, მშვენიერად გაიგონა, რაც ვუთხარი, ნაგრამ ალბათ ვერჩივნა — ეს აზრი შავით თეთრზე დაწერილად გაიგონა. ამ დღეს რომ დავმწვარიყავით, უჩემოდ მშვენივრად გაძლებდი-მეთქი, მივწერე. (საბედნიეროდ, სტიქონებს შუა დიდი ინტერვალი გავაკეთე). მე შვილი, ახლა კი უნდა გაეგო, რომ ერთმანეთს ალარ შეეხვდებოდით.

ვერტმფრენი მზად იყო ასაფრენად...

წერილის გადაკითხვის საშუალება ალარ მქონდა: კონვეერტში ჩავდე, დავბეჭდე და ყუთში ჩავაგდე. შემდეგ ვუყურე, როგორ აფრინდა ვერტმფრენი.

ნელ-ნელა ყველას წვერი მოეზარდა.

ელექტროდენი მომეხატრა...

ნელ-ნელა მოინაბეზრდა ეს ამბავი. კაცმა რომ თქვას, სასაკანდალო ამბავი იყო, რომ ორმოცდაორი მგზავრი და ეკიპაჟის ხუთი წევრი აქამდე ვერ გავნთავისუფლებულიყავით ულაბნოს ტყვეობიდან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უმრავლესობას საქმეზე მიგვეჩქარებოდა.

ერთხელ ჰერბერტს მაინც ეკითხე:

— ცოცხალი თუა ის?

— ვინ ის?

— ჰანა, მისი ცოლი.

— ჰოო, — ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა — ნას ჩემი გამბიტი ჰქონდა მოსაგერიებელი — და ნერვების აშშლელი სტილნა გაიცა. ხმადაბლა ულტენდა, ყოველგვარი მგლოდიის გარეშე, თითქოს ხრიხნსაცოხიდან ჰაერი სასინით გამოდისო.

იძულებული გავხდი ხელახლა მეკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად ცხოვრობს ახლა?

— არ ვიცი, — თქვა მან.

— ცოცხალი ხომ არის?

— მე მგონი, კი.

— დანამდვილებით არ იცი?

— დანამდვილებით არა, ბაგრამ, მგონი, ცოცხალი უნდა იყოს, — ან ხელახლა გაიშეთრა ექვსავით, — მგონი ცოცხალი უნდა იყოს...

ჭაღრაკის პარტია ნისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო.

— იქნებ უკვე გვიან არის, — თქვა მან შემდეგ, — იქნებ უკვე გვიან არის.

ის ჭადრაკს გულისყურობდა.

— ეპიგრაფიაში წასული მოახერხა?

— დიახ, — თქვა მან, — მოახერხა.

— როდის?

— ალას ცხრაას ოცდათერამეტში, ბოლო წუთს.

— სად?

— პარიზში, — თქვა მან, — მერე, ალბათ, სხვაგან გადაინაცვლებდა, რადგან ორი წლის შემდეგ ჩვენ ხომ პარიზში ვიყავით. იფსუს, რა დრო იყო. საწყალ კავკასიაში მოხვდებოდი?!

Sous les toits de Paris![1]

შეკითხვებს აზრი აღარ ჰქონდა.

— ახლა ფიგურა თუ არ გავცვალე, წასულია ჩემი საქმე, — ძალიან მან.

თამაშს თანდათან ეშმა დაეკარგა.

როგორც შემდეგ შეიტყვე, თურმე შეერთებული შტატების საჰაერო ფლოტის რიგა ვერტმფრენი ნენსიკის საზღვარზე ოფიციალურ ნებართვას ელოდა, რომ ჩვენს წასაყვანად გამოფრენილიყო.

ეს ჩემი „ჰერიუს-ბების" ფუშენდელი.

ჰერბერტი კითხულობდა.

ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენოდა.

□ □

რაც შეეხება ჰანას:

ჰანას შერთვა არასგზით არ შემეძლო, მაშინ — 1933-დან 1935 წლამდე — ცეცხლიანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასისტენტად ვმუშაობდი, დისერტაციის ვამზადებდი. (ეგრეთ წოდებულ მაქსველის დემონის საკითხზე) და თვეში სამას ფრანკს ვიღებდი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეკონომიური პიროვნების ვინაც ზედმეტი იყო ცოლის შერთვაზე ლაპარაკი. ჰანას საყვედურ არასლროს არ დასცდენია, ცოლად რომ არ შეეირთე. მე კი არ დამიხევია უკან. — სინამდვილეში თვითონ ჰანამ არ მოინდომა მაშინ ცოლად გამომყოლოდა.

---

1 პარიზის ჭერქვეშ (ფრანგ.).

□ □

ერეკენელი

ბენზოლსაბერი

ნეიგო-სიტის ახალ აეროდრომზე მთამავიდა ანბანად და ... ...

გადავწყვიტე, ჰერბერტი კამპეჩეში დამეტოვებინა და მეორე დღეს უკან გავფრენილიყავი. მეგობრობასაც თავისი საზღვარი აქვს.

კუჭს ისევ ვგრძნობდი.

დედიშობილა ვიწექი...

მთელი ღამე შმორის სუნი მცემდა.

ჰერბერტიც დედიშობილა იწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამპეჩე მაინც ქალაქია. არის ელექტროდენი, ისე რომ გაპარსვა შეიძლება, არის ტელეფონიც, მაგრამ მავთულები აურებითაა დახუნძლული. ისინი ელიან, სადმე ძაღლს როდის გასძვრება შიშველით სული, ან სადმე ვირი როდის გაფშაკავს ფეხებს, ან ცხენს როდის მოკლავს ვიხეე. მაშინ აურები ფრთებს ააფართხუნებენ და ძირს ჩამოფარფატდებიან. ჩვენ სწორედ მაშინ მივვდით ბაზარში, როცა აურები ნახევრადგახრწნილ წიგნეულს მისეოდნენ და სთქავდნენ ქვაფენილზე ნოშავო-მოიისეერო ფრინველებს მთელი გუნდი ირეოდა, კლანჭებში სისხლიანი ხაწლავები ეჭირათ, მანქანებსაც კი არ უფრთხოდნენ, ლეშს სადმე სხვაგან გადაიტანდნენ და იქ ძიძგნილნენ. არც კი წამოფრინდებოდნენ, მხოლოდ ქშუტუნით დახტუნავდნენ მიწაზე.

ჰერბერტმა ანანასი იყიდა.

როგორც ვთქვი, გადაწყვეტილი ქონდა, მეხიკო-სიტიში დავბრუნებულიყავი. მეტის გაძლება ალარ შემეძლო. ასე რატომ არ ბოვიქეცი, არ ვიცი.

უცებ მოშუადღეედა.

ჩვენ მიწაყრილზე დავდექით, იქამდე შმორის სუნი ნაკლებად აღწევდა. მაგრამ მზის გულზე კი ალმოვჩნდით. ანანასს წელში წახრილები ვეშამდით, რაც-გან წვენი წურწურით გასდიოდა. შემდეგ ქვეით ჩავუდით და გაწებილ თითებზე წყალი გადავიცლეთ. წყალი თბილი იყო და წებოვანი, მაგრამ ტკბილი კი არა, მლაშე. თითებზე წყალმცენარეების, მზეთის, ნიკარებისა და შმორის უცხაური სუნი შეგვრჩა. მაშინვე ცხვირსახოცით გავიწმინდეთ ხელები. უცებ მოტორის ხმა შემოგვესმა! დამბლადაცემულივით ვიდექი. ჩემი „DC-4" მეხიკო-სიტისკენ მიფრინავდა. თვითმფრინავმა ზედ თავზე გადაგვიფრინა, კუდი გაშლილი ზღვისაკენ აიღო და გავარვარებულ ცაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისე ჩაიკარგა, თითქოს ლურჯ მყავაში ჩაიშალაო.

ხმა არ ამომიღია.

არ ვიცი, ის დღე როგორ გავიდა, მაგრამ გავიდა კი.

ჩვენი მატარებელი (კამპეჩე — პალენკე — კოატზოკოალკოს) იმაზე უცნაესი გამოდგა, ვიდრე მოველოდით: დიზელს კონდიცირებულბაერიანი ოთხი ვაგონი ება. სიცხეც გადაგვეიწყდა და სიცხესთან ერთად — მთელი ამ მოგზაურობის უაზრობაც.

ნეტავ თუ მიცნობს ოთახიმი?

მატარებელი ხანდახან შუა გზაში ჩერდებოდა, რისი ბრალი იყო, ვერ გხვდებოდით, არსაიდან არ ჩანდა სინათლე, მხოლოდ შორეული გრუხუნით თუ მიხვდებოდი, რომ ჯუნგლებში ვიყავით. ხან ჭალაში მიდგებოდით, ხანდახან შავი ხეების ხლართებს ციაგი ანათებდა. ორთქლმავალი უკუნეთში გაჰკიოდა და გაჰკიოდა. სარკმლის გამოღებაც კი არ შეიძლებოდა, რომ გაგვეგო, მატარებელი რატომ ჩერდებოდა... უცებ ისევ დაიძვრებოდა და ასე... საათში ოცდაათი კი-

ლომეტრის მეტს ვერ გავდიოდით, თუმცა გზა ლარივით იყო გაჭიმული. იმითაც კმაყოფილი ვიყავით, რომ წინ მივიწევდით.

ერთხელ ჰერბერტს ვკითხე:

— მაინც რატომ დასცილდნენ ერომანეთს?

— არ ვიცი, — თქვა მან, — მგონი ქალი კომუნისტი გაუნდა...

— ამისთვის?

მან დაამთქნარა.

— არ ვიცი, — თქვა მან, — ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. არასოდეს არ მაკითხავს, რატომ დასცილდნენ.

მატარებელი ისევ გაჩერდა. ვაგონის კარებთან მივედი და გარეთ გავიხედე. ირგვლივ ბუღი ტრიალებდა. სიცხე აღარც კი მახსოვდა. ნესტიანი, უკუნი ლამე იდგა. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

კიბეზე დავდექი. სიჩუმე. ცივი. ლარივით გაჭიმულ ლიანდაგზე კამეჩი გაჩიდულა, ეს არის და ეს.

ორთქლმავლის პროექტორების შუქით დაბრმავებული კამეჩი ადგილზე გაქვავებულიყო. კვლავ ოფლმა დამასხა. ისმოდა ორთქლმავლის განუწყვეტელი კივილი. ირგვლივ გაუვალი ტყის მეტი არაფერი ჩანდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კამეჩმა (თუ ის მართლა კამეჩი იყო) პროექტორების შუქს თავი დაალწია. ძეძვნარში ქშენა და ტოტების ლაწალუწი გაისმა, შემდეგ ტყლამუნი გავიგონე. ეტყობოდა, ნადირმა წყალში მოადინა ტყაბანი.

მატარებელი დაიძრა.

— შვილები თუ ჰყავთ? — ვკითხე ჰერბერტს.

— ერთი ქალიშვილი...

დასაძინებლად მოვემზადეთ, პიჯაკები თავქვეშ ამოვიდეთ და ფეხები მობირდაბირე ცარიელ სკამებზე შევაწყვეთ.

— იცნობდი ჰანას?

— ჰო, — ვთქვი მე, — რატომ მეკითხები?

ჰერბერტს მალე ჩაეძინა.

ირიღრაღა. ირგვლივ კვლავ უსიერი ტყე შოჩანდა. ჯუნგლის ჰორიზონტზე ცეცხლი ამოწვერილიყო. თვითონ ყანჩები ჯუნგ-ვუნდად მიფარფატებდნენ ზოზინით წიმავალი მატარებლის წინ. ტევრს დასასრული არ უჩანდა, აქა-იქ გაიელვებდა ხეებს უკან მიმალული ინდიელთა ქოხები, ხანდახან ეულად მდგარ პალმას ვხედავდით, უფრო ფითლოვანი ხეები, აკაციები და რაღაც უცხო ჯიშის ხეები გვხვდებოდა. ბუჩქნარი და რაღაც წარღვნისდროინდელი გვიმრა სჭარბობდა. ჰაერში ყვითელი ჩიტები ირეოდა, წუწუ თითქოს გამურული შუშიდან იცქირებოდა. პაპანაქება იდგა. სკალტს თვალითაც კი ხედავდა ქაცი.

სიზმრებს ვხედავდი (ოღონდ ჰანა არ მესიზმრებოდა!).

როცა ხელახლა გავჩერდით, უკვე პალუნკეში ვიყავით.

პატარა სადგურში ჩვენს მეტი არც არავინ ამოსულა და არც არავინ ჩასულა. ლიანდაგის ახლოს სასიგნალო ფარი იდგა, მეტი არაფერი, მეორე წყვილი ლიანდაგიც კი არ იყო (თუ არ ვცდები). ჩვენ ერთი სამჯერ მაინც ვიკითხეთ, ეს ხომ პალუნკეთ.

მაშინვე ოფლად გავიღვარეთ.

მატარებელი წავიდა. ჩვენ ჩვენი ბარგი-ბარხანიანად ბაქანზე დავრჩით. აქ

იყო ალბათ სამყაროს დასასრული, ყოველ შემთხვევაში, ცივილიზებული სამყაროს დასასრული მაინც და, რაღა თქმა უნდა, იმ ჯიპის კვალიც ასრულად ჩახდა, რომელსაც დიუსელდორფელი ბატონი პლანტაციებამდე უნდა ეტარებინა.

— There we are![1]

გამეცინა.

ერთენელი ბიბლიოთეკა

კარგა ხნის წეტიალის შემდეგ პატარა ქუჩა აღმოვაჩინეთ. უკვე არაქათი აღარ გვქონდა, როცა ბუჩქნარიდან ბავშვები გამოძვრნენ, ნათ მალე ვირის პატრონი მოპყვა. ხმელხმელმა ინდიელმა ჩვენი ბარგი სახედარს აკიდა. ხელში მხოლოდ ყვითელი პორტფელი დავიტოვე.

ხუთი დღე პალენკეში ვეკიდეთ.

ვეკიდეთ ჰამაკებში, გვერდით ლუდი გვედგა, ლუდს ვყლუპავდით და ოფლში ვიწურებოდით, თითქოს ჩვენი სიცოცხლის მიზანს მხოლოდ ოფლის ღოდენა შეადგენდა. აზროვნების უნარი დაკარგული გვქონდა. არხეინად ვეკიდეთ ჰამაკებში, „იუკატეკა“ მშვენიერი ლუდი გამოდგა, გაცილებით სჯობდა ჩვენებურს, ესვამდით, რომ მერე ოფლად დავღვრილიყავით და არც ვიცოდით, საერთოდ რაღა გვინდოდა თუ არა.

ჩვენ გვინდოდა ჯიპი!

ჯიპს თუ ყოველ წუთში არ ვახსენებდით, გვავიწყდებოდა. საერთოდ, ცოტას ვლაპარაკობდით. არაფრის თავი არ გვქონდა.

ჯიპი გვინდა, მაგრამ საიდან გავაჩინოთ?

ლაპარაკი მხოლოდ წყალს გვაწყურებდა.

ჩვენი სასტუმროს პატრონს „ლენდროვერი“ ჰყავდა. ეტყობოდა, ერთადერთი ტრანსპორტი ეს იყო მთელს პალენკეში. ისიც მის პატრონს სჭირდებოდა სადგურიდან სტუმრების გადმოსაყვანად. სტუმრები ინდიური ნანგრევებით დაინტერესებული პირები იყვნენ, პირამიდების მოყვარულები. ჩვენს დროს ასეთი სტუმარი იქ მხოლოდ ერთი იყო, ახალგაზრდა ამერიკელი, წარმოშობით ფრანგი, რომელმაც უზომოდ ბევრი ლაპარაკი იცოდა; კიდევ ჩვენი ბედი, რომ დღისით შინ არ ჩერდებოდა და მთელ დღეებს ნანგრევებზე ატარებდა, თორემ მის ლაქლაქს ია გაუძლებდა. პირი აბრით, ნანგრევები ჩვენც ეეშველად უნდა გვენახა.

მეტი საქმე არ მქონდა!

ყოველი ნაბიჯის გადადგმას ათლის ნიღვარი მოსდევდა. დაკარგული სითხე მაწინდე ლუდით უნდა შეგვევსო. კიდევ არა უშავდა, თუ ჰამაკში ფეხზეშველა ვიწექით გაუნძრევლად და სიგარეტს ვაბოლებდით — ამათია იყო ჩვენთვის ერთადერთი შესაძლებელი მდგომარეობა. ყურმოკრულ ამბავსაც კი არ ავუღელვებივართ, საზღვარს იქით პლანტაცია რამდენიმე თვეა მიტოვებულიაო. მე და ჰერბერტმა ერთმანეთს გადავხედეთ და ისევ ლუდს მივეებრუნდით.

ჩვენი ერთადერთი შანსი იყო „ლენდროვერი“.

შანქანა რამდენიმე დღეა სასტუმროს წინ უქმად იდგა. მაგრამ, როგორც ვთქვით, პატრონს ის სჭირდებოდა.

მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ თუ აგრილდებოდა ოდნავ, (მზე, კაცმა რომ თქვას, აქ კი არ ჩადის, ბოლში უფერულდება და ქრება) და მაშინ გერმა-

---

[1] აი, ჩამოვედით კიდეც! (ინგლ.).

ნული სიგარის მოძავალზე ენის მოფხანა მაინც შეეძლო კაცს. მე სიცალიელ არ ყოფნიდა ეს ამბავი, ეს ბევრი ხეტიალიც და საერთოდ ყველაფერი ოდგილობრივი მოსახლეობის ჯანყია? ამის ერთი წუთითაც ეყო დავიჯერებდი. სამისოდ ინდიელები მეტისმეტად უწყინარნი, მშვიდობიანები და ბავშვურად გულუბრყვილოებიც კი არიან. აქეთ-იქეთ თეთრი ჩალის ქუდები და [illegible] მიწაზე ჩაცუცქულები სხედან, სხედან სოკოებივით გაუნძრეველად, ყანაზედ, ეტინათლიდაც კმაყოფილად გრძნობენ თავს, მზისა და მთვარის შუქი მათთვის საკმარისია. ქალები ბუნების ხალხია, პირქუშნი, მაგრამ უწყინარი.

ჰერბერტმა მკითხა, რას ფიქრობო.

არაფერს!

მაშ რა ვქნათ?

რა ვქნათ და, ვიბანაოთ!

დილიდან საღამომდე შხაპის ქვეშ ვიდგეთ. მძულს ოფლი, თავი ავადმყოფი მგონია. (ჩემს სიცოცხლეში წითელას გარდა, ავადმყოფობა არ გადამიტანია). მგონი ჰერბერტს სწყინდა, არაფერს რომ არ ეფიქრობდი. მაგრამ ასეთ სიცხეში აზრიანობის ფანარს ჰკარგავ, ან ჰერბერტივით ყველაფერზე უნდა იფიქრო და ყველაფერი დაიჯერო.

— მოდი, კინოში წავიდეთ! — ვთქვი მე.

ჰერბერტმა საერთოდ ლაიჯერა, რომ პალენკეში, სადაც ინდიელების ბევრი არიან ცხოვრობდა, კინო იქნებოდა და ჩემს სიცილზე გული მოუვიდა.

წვიმა არ გვეღირება და არა.

მთელი ღამე ელავდა. ჩვენ ყოველ საღამოს ერთი და იგივე თემა გვქონდა სალაპარაკოდ: პალენკეს აქვს ელსადგური, იგი ელექტროდენს აწვდის ლაბას. მაგრამ 21.00 საათზე დენა ითიშაენ და ულებ ჯუნგლის წყვდიადში ეფლობი, ბედავ მხოლოდ კვარცის ნათურის შუქვით მოლურჯო ციაგს და ციცინათელებს. მერე ლორწოვანი მთვარე ამოდის, ჰაერში ასეთი ბუნი დგას, რომ ვარსკვლავები აღარ ჩანს...

ითახიმი ალბათ ამ უსაშველო სიცხის გამო აღარ გვწერს წერილებს. ის ან ჩვენსავით მთელი დღე ჰამაკში ჰკიდია, ან ცოცხალი აღარ არის. მაშინ საეიქრალიც აღარაფერი დაგვრჩენია. მხოლოდ უნდა ვიცადოთ, სანამ ჯიპს ვიშოვდეთ, წერე გადავიდეთ საზღვარზე და ჩვენი თვალით ვნახოთ, იქ რა ამბები ტრიალებს.

— ჯიპი! საიდან უნდა ვიშოვოთ ჯიპი? — დამიყვირებდა ჰერბერტი და ფერინეას ამოუშვებდა.

ჩვეულებრივ, როგორც კი ელსადგურს გამოითიშავდნენ, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე. მთვარის შუქზე ცხენი ბალახობდა, იმავე შემორაგულში უსმაუროდ დაიტოლა ქურციკი, ცოტა იქით შაეი ნეზვი ლოლუნებდა. სადღაც ინდაური ქოთქოთობდა, ცოტა იქით ინდაურის ხმისაგან დამფრთხალი ბატები ყიყინებდნენ. საიდანღაც გენგაშის ხმა მოდიოდა. მერე კვლავ სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ცაზე ელვა იქლაკნებოდა და მთელი ღამე მხოლოდ ამ ცხენი აბრიალებდა ბალახს.

მე ითახიმზე ვფიქრობდი.

მაინც, რას?

არა, უბრალოდ ვფიქრობდი, სხვა არაფერი.

ჩვენი ნანგრევების მოტრფიალე გაუთავებლად ლაყბობდა, თუ ყურს დაუგდებდი, საინტერესო ამბებს ჰყვებოდა. ჰყვებოდა ტოლტეკების, აზტეკების, აცტეკების ამბებს, ისინი თურმე უზარმაზარ ტაძრებს აგებდნენ და ბრონზალზე კი წარმოდგენა არ ჰქონდათ. ჩვენი ბოსტონელი მუსიკოსი, ყველა ბელოვანივ მსგავსად, ხანდახან ნერვებს მიშლიდა. მათ ხომ მხოლოდ [illegible] ჩვენ-ხე მაღლა მდგომ და უფრო დახვეწილ არსებებად თავი, რომ თვითონ წარმოდგენა არა აქვთ, რა არის ელექტრობა.

ბოლოს და ბოლოს მეც ვიძინებდი.

ყოველ დილით უცნაური ხმა მაღვიძებდა, ნახევრად ინდუსტრიული, ნახევრად მუსიკალური, არც ხმამაღალი, მაგრამ მაინც უსიამო, მეტალისებური, მონოტონური. ეტყობოდა, ამ ხმას რაღაც მექანიზმი გამოსცემდა, მაგრამ რა, ვერ შევმჩნევდარიყავი. ცოტა გვიან, როცა სასაუზმოდ სოფელში მივდიოდით, ხმაური წყდებოდა. ჩვენ ერთადერთი pinte-ს [1] ერთადერთი სტუმრები ვიყავით. შუადამ ერთი და იგივე კერძს ვუკვეთავდით: Huevos á la mexicana-ს [2], ცხარე. მაგრამ ეტყობოდა მარგებელ საჭმელს, tortilla-ს [3] და ლუდს. ინდიელ მედუქნე ქალს, შავნაწნავებიან მატრონას, ჩვენ მკვლევარები ვეგონეთ. ყორნის ფერთასავით შავ თმაზე მოლურჯო-მოთეთრო ელვარება დაჰკრავდა. ღიმილის დროს სპილოს ძვალივით თეთრი კბილები უჩანდა და თმასავით შავი წყნარი თვალები ჰქონდა.

— ჰკითხე ერთი, ჩემს ძმას თუ იცნობს და უკანასკნელად როდის ნახა. — მითხრა ჰერბერტმა.

ბევრი ვერაფერი გამოვიძიეთ.

— ახსოვს რაღაც მანქანა, — ვთქვი მე. — ეს არის და ეს.

არც თუთიყუშმა იცოდა არაფერი.

— Gracias, hihi! [4]

თუთიყუშს ესპანურად დაველაპარაკე.

— Hihi, gracias, hihi!

ერთ დღეს, ეს იყო მესამე თუ მეოთხე დღეს, ჩვეულებრივ ვსაუზმობდით და თავს მაიას ტომის ბავშვები ვეგონეთ. ისინი, სხვათა შორის, არ მათხოვრობენენ, იდგნენ ჩვენი მაგიდის იქვეოლ და ყანდახან გადაიხარხარებდნენ ხოლმე. ჰერბერტს თავში შეუჯდა აზრი, ამ სიქათმისოდენა სოფელში კარგად რომ ვიხეტ-მოიხეტოს კაცმა, რომელიმე ქობის უკან, კიბეს და ბანანის ბაღლებში ან სიმინდის ყანაში ჯიბს ალმოიჩენსო. ჰერბერტი მივატოვე. ეს აზრი სიგიჟედ მეჩვენებოდა, როგორც სხვა ყველაფერი, მაგრამ ჩემთვის სულ ერთი იყო, არხეინად ვეკიდე ბამაკში, ჰერბერტი კი მთელი დღე არ გამოჩენილა.

გადაღებაც მეზარებოდა.

ლუდი თავისთავად მშვენიერი იყო, მაგრამ გამოგეელია. პალენკეში რომიც იშოვებოდა, საძაგელი რომი და კოკა-კოლა. კოკა-კოლა დასანახავადაც კი მეჯავრება...

---

[1] დუქანი (ესპ.).

[2] მექსიკურად წოლზადებული ტაფამწვარი (ესპ.).

[3] ლავაში (ესპ.).

[4] გმადლობთ (ესპ.).

ესეიმდი რომს და შეძინა.

ასე იყო თუ ისე, დრო გადიოდა, არაფერზე არ ვფიქრობდი...

ჰერბერტი საღამო ხანს დაბრუნდა. დაღლილობისაგან ფეხი ადგა ვდოთურმე რაღაც ნაკადულს წასწყდომოდა და ებანავა. შემდეგ უნახავს ორი კაცი. ხელში მოღუნული ხმლები ეჭირათ და სიმინდის ყანაში [illegible] იფიცებოდა ჰერბერტი. ესენი ყოფილან ზუსტად სხვა სოფლელებივით [illegible] შარვლიანი, ჩალის ქუდიანი ინდიელები, მხოლოდ ხელში მოღუნული ხმლები სჭერიათ თურმე.

რა თქმა უნდა, ჯიბე ვერსად უნახავს.

მგონი, ჰერბერტს ვულში შიში შეეპარა.

სანამ ელექტროდენს გამოთიშავდნენ, პირი გავიპარსე. ჰერბერტმა ხელახლა გაიხსენა კავკასია და ომში გადამხდარი შემაძრწუნებელი ამბები. შემდეგ რაჰან ლუდი ალარ გვქონდა, კინოში წავედით — ჩვენმა ნანგრევების მოტოციალემ წაგვიყვანა. პალენკეში მართლა ყოფილიყო კინო, თუნუქით გადახურული შემორაგული ადგილი. კინოჟურნალში ვნახეთ ჰერალდ ლოიდი და კედლებზე ცოცვა ოციანი წლების ყაიდაზე. ფილმში კი მექსიკური საზოგადოების მაღალ წრეებში გათამაშებული სასიყვარულო ამბავი, განქორწინება კადილიაკითა და ბრაუნინგითურთ, მარმარილო და საბალო ტუალეტები. ჩვენ სიცილით ვიფეჭებოდით, ოთხი თუ ხუთი უზარმაზარ ჩალისქუდიანი ინდიელი კი გაუნძრეველად მიშტერებოდა დანაოჭებულ ეკრანს და ალბათ დიდად კმაყოფილნიც იყვნენ, ანდა ვინ იცის, იქნებ არც იყვნენ კმაყოფილნი. მაგათსაც რას გაიგებ, მონოლოგებივით გახუპვრეტელი სახეები აქვთ.

ჩვენი ახალი ამხანაგი, როგორც ვთქვი, ბოსტონელი მუსიკოსი, წარმოშობით ფრანგი, ოუკატანით აღტაცებული იყო და უკვირდა, ნანგრევები როგორ არ გაინტერესებთო. აბა, აქ რაღა გინდათო.

ჩვენ მხოლოდ მხრები ავიჩეჩეთ და ერთმანეთს გადავხედეთ. არც ერთს არ [illegible] გაგვეხილა, რომ ჯიპს ეელოდებოდით.

არ ვიცი, ჩვენს ნაცნობს ვინ ვეგონეთ.

რომი იმით სჯობია ლუდს, რომ თფლს არ გიდენს, სამაგიეროდ, მეორე ფილას თავი გტკივა. სწორედ ამ დროს იწყება ის გაურკვეველი ხმაური. ნახევრად პიანინოს ხმას რომ ჰგავს, ნახევრად ავტომატისას და თან ფიდიანიც რომ ახლავს, ისმის ყოველთვის ექვსსა და შვიდ საათს შორის. რამდენჯერაც დავაპირე, გამეგო, რა გამოსცემდა ამ ხმებს, იმდენჯერ დამავიწყდა. აქ ყველაფერი ავიწყდება კაცს.

ერთხელ ბანაობა მოვინდომეთ, მაგრამ ჰერბერტმა თავისი ლეგენდარული ნაკადული ვეღარ იპოვა. გზა აგვეცნა, მოულოდნელად ნანგრევებთან აღმოვჩნდით და ჩვენს ხელოვანს წავადექით თავს. ამ ლოდებში, რომლებიც ალბათ ტაძრის წარმოადგენდა, ჯოჯოხეთური ალები ტრიალებდა. ჩვენი ხელოვანი მოელი არსებით საქმეში იყო ჩაფლული. უხოლოდ იმის დარდი ჰქონდა, თფლი ქალალდზე არ დასწვეთებოდა. თავი ძლივს წესამჩნევად დაგვიქნია. ჩვენ მას ხელს ვუშლიდით. იგი ქვის ბარიელიეფებზე კალკას ჭიმავდა და შენდეგ ზემოდან დიდხანს უსვამდა შავ ცარცს, რომ ასლი გადაეღო. სიგიჟეა და მეტი არაფერი! ჯიუტად გვიმტკიცებდა, ამ იეროგლიფებსა და ღმერთების სიფათებს სურათი რომ გადაეღო, მაშინვე დაიღუპებიანო. ჩვენ მას გავეცალეთ.

მე ხელოვნების ისტორიის სპეციალისტი არ გახლავართ...

მოწყენილობისა და უაქმურობისაგან პირამიდებზე ვფიქრობდით, (ციბეები ძალიან ციცაბოდ ეშვებოდა, სიგანე და სიმაღლე სწორედ ეყოფა შეცფარდებინათ, ისე რომ კაცს სუნთქვა გეკვროდა). სიცხისაგან თავბრუდახვეული სადღაც ეგრეთ წოდებული სასახლის ჩრდილში მივეყარეთ და გეიშხლართე და სული მოვითქვი.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბაერი ნოტიო იყო, მზე ლორწოვანი.

მე, ჩვეულებრივად, ხელს თუ ჯიბეს ვერ ვიშოვიდით, უკან გაბრუნებას ვაპირებდი... დღეს გაცილებით სულის შემხუთველი სიცხე იყო, ირკვლივ შმორისა და სიდამშლის სუნი იდგა, ლურჯკუდიან ჩიტებს ყივყივი გაჰყოლოდათ, ვიღაცას ტაძარი ფესვალაგად გამოეყენებინა და ბუზები იმიტომ ირეოდნენ. თვალის მოტყუება ვცადე, საგრეთ ისეთი ყივყივი და გნიასი იდგა, როგორც ზოოპარკში იცის, როცა ვერ ერკვევი, რა ჟესტვენს, რა ჭიკჭიკებს ან რა ჭიკჭიკებს. თანამედროვე მუსიკისებური კაკოფონია გეგონებოდათ. ალბათ მაიმუნები თუ ჭიკჭიკებდნენ, ან ჩიტების და რაღაც კატის ჯიშის ცხოველის ხმა თუ ისმოდა. კაცმა არ იცის, რა ღვთის წყრომა იყო, კაცმა არ იცის.

ᲛᲔᲠᲒᲘ ᲘᲡᲔᲒ ᲛᲘᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ. (ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲕᲔᲬᲔᲕᲘ!).

ოდესღაც, მეთერთმეტე თუ მეცამეტე საუკუნეში, აქ მთელი ქალაქი ყოფილა ეანგებულიო, თქვა ბერბერტმა. მაიას ქალაქი.

ფეხებზე ირა მკიდია!

ჩემს კითხვაზე, გერმანული სიგარეტს მომაგალი კიდევ თუ გჩერა-მეთქი. ბერბერტს პასუხი ალბერ გაუცია: მან ხელინვა ამოუშვია, სულ ერთი წუთის წინ კი მაიას რელიგიაზე, ხელოვნებაზე და სხვა მისთანებზე მელაპარაკებოდა.

ᲘᲡᲬᲠᲘᲜᲘᲡ.

ფესვალაგმელები გავიხადე. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბეელები დასრიალებდნენ, ბაერი არ მყოფნიდა, სიცხისაგან გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ჩვენი მეკალკე ხელოვანის მიკვირდა, ან ბაბანაკენა სიცხეში თავს რაზე იკლავდა. მთელ თავის ტანსაცმელში და შეებულებია სწერავდა, არაფერს არ დაეძებდა, ოღონდ კაციშვილს რომ ვერ ამოუკითხავს, ისეთი ეროგლიფები წაეღო შინ.

ადამიანები დიდი ახირებულები არიან.

თუნდაც მაიას ტაძარი ავიღოთ: ბორბალი არ იცოდნენ რა იყო და პირამიდებს კი აშენებდნენ, ულრან ტყეში. სადაც ყველაფერს ხავსი ეკიდება და სინესტისაგან იშლება, უზარმაზარ ტაძრებს, აგებდნენ. ერთი მითხარით, რისთვის?

თუმცა სხვისი კი არა, ჩემი თავისაც არაფერი გამეგებოდა: ერთი კვირის წინ კარაკასში უნდა გაყოფილიყავი, დღეს — ნიუ-იორკში. მე კი მხოლოდ იმისთვის ვეცდებოდი აქ, რომ ჩემი სიყვარის მეგობრისათვის, რომელსაც ჩემი საბრალო შვილთა ცილად, გამარჯობა მეთქვა.

ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

ᲕᲣᲪᲘᲓᲘᲓᲘ „ᲚᲔᲜᲘᲜᲓᲠᲝᲕᲔᲠᲡ“; ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲠᲝᲓᲘᲐᲚᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲐᲛᲝᲛᲐᲯᲔᲣᲚᲐ ᲐᲥ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲚᲙᲔᲑᲘᲐᲜᲚᲔ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲓᲐ... ᲒᲐᲓᲐᲔᲬᲧᲕᲘᲢᲔ, ᲑᲔᲠᲑᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲛᲔᲦᲕᲘᲫᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲥᲕᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲕᲔ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲣᲙᲐᲜ ᲕᲐᲕᲔᲛᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ-ᲛᲔᲗᲥᲘ.

ᲘᲠᲒᲔᲚᲘᲕ ᲩᲘᲢᲔᲑᲘ ᲧᲘᲕᲧᲘᲕᲘᲡᲑᲘᲜ.

ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲩᲡᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲮᲛᲐ.

ერეკენეული ბიბლიოთეკა

გამჭვრეტელი წუშის მსგავს ცას როგორც კი თვალს მოსწყვეტ, ფაქი ზღვაში ვეგონები. ჩვენი პირამიდა თითქოს ქუნიფულია ან ხომალდი, ირგვლივ კი ზღვაა. სინამდვილეში უსიერი ტყე გაკრავს მხოლოდ, უნაპირო, ოქროს-მწვანე ტევრი ოკეანესავით არის გადაშლილი.

ნაშუადღევს ამაზე დაუმატეთ ლილისფერი საცხე მთვარე. ჰერბერტი ისევ ხვრინავდა.

გაგიკვირდება, როგორ ამოათრიეს ეს ლოდები აქ. თუ ბორბალი არ იცოდნენ, მაშინ არც პოლისპასტი ეცოდინებოდათ და არც სხვა რამე. თუ ორნამენტს არ ჩაიკვლეთ საოცალაგში, — ორნამენტი კი ხე ისედაც არ მომწონს, რადგან სასადავის მომსრე გარ, — ეს ნანგრევები მეტისმეტად პრიმიტიული მეჩვენება, ჩვენს ნანგრევების მოტრფიალეს კი, პირიქით, სწორედ ამიტომ უყვარს მაიას ტომის ხალხი, რომ მათ ტექნიკაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ და საშეგიერთოდ ლმერთები ჰყავდათ. მას ალტაცებას ჰგვრის მაიას ტომის ახირებული ჩვეულება: ისინი ყოველი ორმოცდათორმეტი წელიწადის შემდეგ ახალ წელთაღრიცხვას იწყებდნენ. დაამსხვრევდნენ ჭურჭელს, დაქრობდნენ კერას, ტაძრიდან ცეცხლს გამოიტანდნენ და იმ არე-მარედან დედაბუდიანად აიყრებოდნენ. შემდეგ ხელახლა აკეთებდნენ ჯამ-ჭურჭელს და ყველაფერს თავიდან იწყებდნენ. ქალაქებს ხელუხლებლად სტოვებდნენ და მხოლოდ რწმენის გამო მიდიოდნენ სხვაგან, რომ ორმოცდაათ ან ას ძილზე სადმე ასეთივე ჯუნგლებში ახალი ტაძარი და ქალაქი აეგოთ. მართალია, ეს არაპრაქტიკულია, მაგრამ განა გონიერული, უფრო მეტიც, გენიალური და ღრმააზროვანი არ არის? — სერიოზულად ამბობდა მარსელი.

ხანდახან ჰანაზე ფიქრს ვერ ვიცილებდი თავიდან.

ჰერბერტი გაეღვიძა. დაფუთებული წამოვარდა, რა მოხდაო. როცა დაინახა, მშვიდობა იყო, ხვრინვა გააგრძელა.

ირსაიდან არ ისმის მოტორის ხმა!

ვცდილობ წარმოვიდგინო, რა გვეშველებოდა, მოტორები რომ არ გექონდეს, როგორც ეს მაიას დროს იქო. რაღაცაზე ყომ უნდა გეფიქრა კაცს. ახლა გულუბრყვილოდ მომეჩვენა წელანდელი ჩემი გათლება, ეს ლოდები აქ როგორ მოათრიეს-მეთქი. დააყენებდნენ საბიჯელებს და ადამიანის ძალის იდეოტურად გამეტების ხარჯზე ამოათრევდნენ ამ ლოდებს. სწორედ ამაშია მათი პრიმიტიულობა. მაგრამ აბა ახლა მათი ასტრონომია ნახეთ? მათი კალენდარი, ნანგრევების მოტრფიალის სიტყვით, წელიწადში ითვლიდა 365, 2420 დღეს 365, 2422 დღის ნაცვლად. თავიანთი დიდი მათემატიკის მიუხედავად (მათემატიკა კი ჰქონდათ, ეს უნდა აღიაროს კაცმა). ეერავითარი ტექნიკა ვერ შექმნეს და ამიტომაც იყვნენ დასაღუპად განწირულნი.

როგორც იქნა, მოვიდა ჩვენი „ლენდროვერი“!

საოცრება მაშინ მოხდა, ჩვენს ნანგრევების მოტრფიალეს რომ ვუთხარით, გვატემალაში წასვლის ვაპირებ-თქო. ალტაცებისაგან ალარ იცოდა, რა ექნა. მაშინვე ამოაძვრინა თავისი პატარა კალენდარი და ნახა, რამდენი დღე ჰქონდა კიდევ შვებულებიდან დარჩენილი. გვატემალა ხომ სავსეა მაიას ქალაქებით! მერე თითქმის ყველა გაუთხრელი და გამოუკვლეველია. თუ ნდა თან წამიყვანო, თავს მოვიკლავ და „ლენდროვერს“ ვინიათხოვრებო.

სასტუმროს პატრონი მას მანქანას არ დაუშვერდა, ჩვენ კი მანქანას არავინ

მოგვაშორებდა. ჩვენმა ახალმა მეგობარმა მანქანა ითხოვა და მიიღო კიდეც (ღღეში ას პესოდ).

კვირა დღე იყო. გასამგზავრებლად ვემზადებოდით. ლაბირინთორწოვანი სთვარე ანათებდა. საშინლად ცხელოდა. ის უცნაური ხმაური, ყოველ დილით რომ მაღვიძებდა, ძველებური მარიმბას ხმა აღმოჩნდა, [illegible], ბრახუნი, უმელოდიო ბაგაბუგი, ნამდვილი ეპილეპსიური მუსიკა. [illegible] ბრაზესთან დაკავშირებული რაღაც დღესასწაული ახლოვდებოდა და ყოველ დილით ხუთი ანდიელი თავგამეტებით ვარჯიშობდა, რომ მარიმბას მუსიკისათვის ცეკვა შეეწყოთ. ქსილოფონის მსგავს ხის ინსტრუმენტს გამეტებით ურტყამდნენ ჯოხებს. მე მოტორი დავშალე, რომ ჯუნგლებში არ ეღალატა. ცეკვის საყურებლად არ ვეცალა — „ლენდროვერის" ქვეშ ვიწექი. მოედნის გარშემო ქალები ისხდნენ მწკრივად, ემრავლესობას ყავისფერ მკერდზე ჩვილი ჰყავდა მიკრული. მოცეკვეები თეთლად ილვრებოდნენ და ქოქოსის რიეს ეწაფებოდნენ. ხალხი მთელი ღამე მოდიოდა, გეგონებოდათ, ტომები დედაბუდიანად აყრილანო. ქალიშვილებს ყოველდღიური ტანსაცმლის ნაცვლად ანერკული კაბები ეცვათ, რაც ჩვენმა ხელოვანმა მარსელმა ღიდხანს ვერ მოინელა. მე სხვა დარდი მაწუხებდა: არც იარაღი გაგვაჩნდა, არც კომპასი და არც არაფერი. ფოლკლორის რა მცოდნია! „ლენდროვერში" მარგი მე ჩაიკუნტე, ვილაცას ხომ უნდა ჩაელაგებინა. სიამოვნებით ვიდე თავს ეს საქმე, ოღონდ კი ადგილიდან დავძრულიყავით.

□ □

ჰანა იძულებული იყო გერმანია დაეტოვებინა. მაშინ ის პროფესორ ვილფლიანთან ხელოვნების ისტორიას სწავლობდა, რაც ჩემთვის საგანგებით უცნობი ჩილი გახლდათ, მაგრამ სხვა მხრივ მე და ჰანა ცოლქმრობაზე ფიქრის გარეშეც შშვენიერად შევეწყვეთ ერთმანეთს. ორივენი, როგორც ვთქვი, ძალიან ახალგაზრდები ვიყავით. ჩემს შშობლებს ჰანა ძალიან მოსწონდათ, მხოლოდ სწუხდნენ, ნახევრად ებრაელთან ქორწინებას ჩემთვის კარიერა არ გაეფუჭებინა. მათი ზრუნვა საბრალოდ, უფრო სწორად, მაცოფებდა. სწორედ ისეთი დარი რომ იყო, მით უფრო ეალდებულად ვთვლიდი თავს, ჰანა შემერთო. საამაისი, მიუნჰენელი პროფესორი, ციხეში იჯდა. ეს იყო ეგრეთ წოდებული საშინელი ზღაპრების ხანა და მე არ ვაპირებდი ჰანა ბედის ანაბარად მიმეტოვებინა. გარდა იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთი მართლა გვიყვარდა, მე არც ლაჩარი გახლდით. კარგად მახსოვს ის დღე, რაღაცასთან რომ ვიჯექით და გერმანულ რასობრივ კანონზე გადმოცემას ვუსმენდით. სიხამდეილეში მაშინ ჰანამ არ მოიბდინა, ცოლად გამომყოლოდა. მე უკან არ დამიხევია. საშინ ტუნში ვმსაბურობდი ოფიცრად. ჰანამ შეწარეყობინა, ორ კვირაში შვეიცარია უნდა დავტოვოთ. მაშინვე ციურიხში ჩაეფენი და ჰანას უცხოელთა პოლიციაში მივყევი. ჩემი სამხედრო თორმა იქ არაფერს მიშველიდა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, პოლიციის შეფთან შესვლა კი ნოვახერხეთ. დღესაც თვალწინ მიდგას, როგორ დაპყურებდა შეფი საბუთს, ჰანამ რომ წარმოგიხა, და ბრძანა, მოეტანათ ჰანას პირადი საქმე. ჰანა იჯდა. მე ფეხზე ვიდგები. შეუნა გულგრილად მკითხა, ეს ქალიშვილი თქვენი საცოლე ხომ არ არისო. შევვარცხვი.

ჩვენ უნდა შეეგვნოთ: შვეიცარია ჰატარა ქვეყანაა, ყველა ლტოლვილს ად-

გილი არ ეყოფა, თავშესაფარი გნებავთ, დიახ, გასაგებია. მაგრამ ჰანას ხომ საკმარისი დრო ჰქონდა, თავი სადმე სხვაგან შეეფარებინა.

შემდეგ, როგორც იქნა, მო

ბობდა. შეეკითხე: — ექიმთან თუ იყავი-მეთქი? ესეც საქმიანი და გონიერული კითხვა იყო. — ექიმთან არ ვყოფილვარ, ისედაც ვიცი. მე ვუთხარი. — მოვიკიდოთ ორი კვირა-მეთქი. ჰანამ გაიცინა, იმიტომ რომ საკვლევი ფარშმუნებული იყო. ისლა დამრჩენოდა მეფიქრა, რომ მან ეს ამბავი დიდი ხანია იცოდა, ძაგრამ მე მიმალავდა. ნელოლოდ ამიტომ ვგრძნობდი თავს [illegible] ხელი ხელზე დავადე. რაც მართალია, მართალია, იმ წუთში [illegible] ენა ჩამივარდა. ყავას ვსვამდი და სიგარეტს ვაბოლებდი. ჰანას გული დასწყდა! ამ ამბის გაგონებაზე სიხარულისაგან როკვა არ დამიწყია, ესეც მართალია, მაგრამ მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, გასამტყუნარი არ ვიყავი. მე ვკითხე: — გყავს კი ექიმი, ვისთანაც შეგიძლია მიხვიდე-მეთქი? რა თქმა უნდა, მე ნელოლოდ გასინჯვას ვეულისხმობდი. ჰანამ თავი დაქნია. ეგ დიდი საქმე არ არის, ძაგას მოვევლებაო. მე ვკითხე, რას-მეთქი. მერე ჰანა მიმტკიცებდა, თითქოს გულზე მონშვებოდეს, მას რომ ბავშვის შერჩენა არ უნდოდა, უფრო მეტიც, თურმე ალტაცებაც ვერ დამიმალავს და მხოლოდ ამიტომ მოშიხვევია მისთვის მხარზე ხელი. ჰანამ თვითონ აღარ მოისურვა ამ თემაზე ლაპარაკი და მეც „ემერ-ვაისის" ამბავი მოვუყევი. „ემერ-ვაისის" შემოთავაზებული წინადადებიდან საერთოდ ინკინრის პერსპექტივებს გადავწყდი. ეს საუბარი არავითარ შემთხვევაში ბავშვის გაჩენის წინააღმდეგ არ იყო მიმართული. ჰანას ისიც კი ვუთხარი, ბაღდადში ხელოვანი რამდენი მექნებოდა. მერე სიტყვა-სიტყვით ასე განვუცხადე: — თუ ბავშვის გაჩენა გინდა, მაშინ აუცილებლად უნდა დაქორწინდეთ-მეთქი. შემდეგ მან სასაუბედურო, „უნდა დაქორწინდეთ" რა საოქმელია. მაშინ პირდაპირ დავუსვი კითხვა: — გინდა თუ არა ცოლად გამომყვე, ჰო თუ არა-მეთქი? მან თავი გააქნია. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. მე და ოთახიმი საღამოს ჭადრაკის დაფასთან ვისხედით და დიდხანს ვმსჯელობდით ამ საკითხზე. ოთახიმმა ჯერ მედიცინის თვალსაზრისით გამითვითცნობიერა, რაც მოგეხსენებათ, პრობლემას არ წარმოადგენს, შემდეგ იურიდიული თვალსაზრისითაც, რაც ასევე არ წარმოადგენს პრობლემას, თუ საჭირო სამედიცინო დასკვნას გაახერხებ. შემდეგ მან ჩიბუხი გატენა და ჭადრაკს მიუბრუნდა, რადგან ოთახიმი პრინციპულად წინააღმდეგი იყო რჩევის მოცემისა. დახმარება კი ალმითქვა (იგი სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებდა), იმ შემთხვევაში, თუ მისი ხელი დაგჭირდებოდა. დიდი მადლობელი დავრჩი ოთახიმისა, ოღონდ დარცხვენილი კი ვიყავი, მაგრამ მიხაროდა, ეს ამბავი რომ არ ვაუბერია. მხოლოდ ეს თქვა, შენი სვლაა.

ჰანას ვუთხარი, თავსატეხი აქ არაფერია-მეთქი. თვითონ ჰანამ გადაწყვიტა, ჩვენი ურთიერთობისათვის ბოლო მოეღო. ჩემოდნები ჩაალაგა და გიჟივით ამოიჩემა, მიუჩენში უნდა დავბრუნდეო. შეეცადე გონს მოვეყვანა. ის ერთაღერთ სიტყვას გაიძახოდა: მორჩა! მე ხომ ვთქვი, „შენი ბავშვი", იმის მაგიერ, რომ „ჩვენი ბავშვი" მეთქვა — ამას ჰანა ვერ მიპატიებდა.

□ □

პალენკედან პლანტაციამდე საჰაერო გზით დიდი-დიდი სამოცდაათი მილი თუ იქნება, ხმელეთით, ვთქვათ, ასი მილი. ეს მანძილი რა ბედენაა, გზის მსგავსი რამ თუა საღმე, მაგრამ სად იყო გზა! ერთაღერთი შარაგზა, რომელიც პლანტა-

ციხეებენ მიდიოდა, ნანგრევებთან თავდებოდა, უბრალოდ იკარგებოდა ხავსსა და ნამბნარში.

ჩვენ მაინც წინ მივიწევდით.

37 წელი პირველ დღეს.

საჭესთან ერთმანეთს ვენაცვლებოდით.

19 მილი მეორე დღეს.

ცას შევყურებდით და გზას ისე მივაკვლევდით, რა თქმა უნდა, ზიგზაგებით მივდიოდით, უსიერი ტყე სადაც გაგიჭირებდა, იქით ვუხვევდით. ჯუნგლი სანამდვილეში ისეთი გაუვალი როდია, რომელიც შორიდან ჩანს, ყველგან გეხვდებოდა შდელოები, ფერაც კი, მაგრამ უმწყემსებოდ. საბედნიეროდ, დიდი ბალბები არ შეგვხვედრია.

ტყეს ციავი ახალებდა.

წყალი არ გველირსა და არა.

ბენზინის ბალონის რახუნი ნერვებს მიმლიდა. წანწანაა ხშირად ვაჩერებდი და ბალონს ვაძაგრებდი, მაგრამ ნახევარ საათს კორძებზე და კუნძებზე ვიველიდით თუ არა, ბალონი ისევ აიშვებდა და რახუნს იწყებდა.

მარსელი უსტვენდა.

ის უკან იჯდა და წანწანა გვარიანად ანჯღრევდა. მაგრამ მაინც ბიჭივით ესიამოვნებოდა. ისეთ კარგ გუნებაზე იყო, თითქოს სკოლიდან ექსკურსიაზე მივდიოდეთ— ვიუთიებლად მღერიდა ფრანგული საბავშვო სიმღერებს.

„Il était un petit navire...“ [1]

ჰერბერტი ჩუმად დუმდა.

ითხოვს თითქმის არ ვახსენებდით...

ჰერბერტს დასანახავად ესახებოდა აურები, აურები, სანან ცოცხალი ხარ, ირიგერს გერმიან, მხოლოდ ესაა, რომ მუდამ ლეშის სუნით არიან აყრილებული. ეს საზიზღარი ფრინველები ყოფრო გუნდ-გუნდად შეგხვდებათ, თუ საკბილო იშოვეს, მანქანა რაც არ უნდა აყვარო, ვერ დააფრთხობ, მხოლოდ ფრთებს აფფაფუნებენ, ლაჩრულნი მთრის ირგვლივ ხტუნავენ, მაგრამ თავს არ ანებებენ...

ერთხელ, გაცოფებულმა ჰერბერტმა მოულოდნელად, მთელი სისწრაფით გააქანა წანწანა და პირდაპირ აურების შავ მასაში შეიჭრა. ირგვლივ ისე მოცელა ყველაფერი, რომ ჰაერში შავი ფრთების კორიანტელი დაიყენა.

საშეკუერიოდ, მთელი ეს სიბინძურე ბორბლებს მიეკრა.

მოტორი, ბინძური სუნი მანამდე ვერ მოვიცილეთ, სანამ თავს არ მოვერიეთ და მანქანა არ გავასუფთავეთ. ხორცისა და სისხლის მასა საბურავების ღარებს ისე ჩასწებებოდა, რომ ხელით მოგვიხდა თითოეული ღარის ამოსუფთავება. კაცს გული აგერეოდა. კიდევ ჩვენი ბედი, თან რომ გვქონდა, რომელი გვაძლებინებდა, თორემ, შე მგონი, მესამე დღეს მაინც უკან გამოვბრუნდებოდით — შიშის გამო კი არა, გონიერების კარხახით.

წარმოდგენა არ გვქონდა, საიდან ვიმყოფებოდით.

ვიყავით სადღაც მეთვრამეტე განედზე.

მარსელი მღეროდა: „Il était un petit navire“, ან გაუთავებლად ლაყბობ-

---

[1] იყო ერთი პაწაწინა გემი (ფრანგ.).

და კორტესზე და მონტეზუმაზე (ამას კიდევ არა უჭირდა რა, ისტორიული ფაქტები მაინც იყო), თეთრი რასის დალუპვაზე (ისეთი სიცხე და ნესტი იდგა ორომ შეპასუხება არ ღირდა), დასავლეთში ტექნიკის კატასტროფულ გაბატონებაზე (კორტესი ინტერესად გამოუყავდა, რადგან მას დენთი ჰქონდა), ინდიელთა სულზე და რა ვიცი კიდევ რაზე. მთელი ლექცია წამიკითხა, ძველი ფერთები აუცილებლად დაბრუნდებიანო (წყალსადის ბომბის ჩამოგდებაც), პენიცილინის წყალობით სიკვდილი გადაწენდებაო (სიტყვა-სიტყვით ასე თქვა), ჩვენი დედამიწის ცივილიზებული ქვეყნებიდან სული გადაიკარგებაო, მელაპარაკა Maquis[1]-ში დაბუდებულ სულზე. ჰერბერტს ამ სიტყვის ხსენებაზე გაცინდა. Maquis-ის მნიშვნელობა იცოდა და მკითხა, მარსელი რას აბობსო. ბეუთხარი: ხელოვნის ლაყბობის ანბავი არ იცი-მეთქი? მარსელს არც ამერიკის თანაბაზე შედგენილ საკუთარ თეორიაში შევკამათებიეართ, ამერიკას მომავალი არ გააჩნიაო, The American way of Life![2] ისინი ცდილობენ ცხოვრების კოსმეტიზირებას, მაგრამ ცხოვრების კოსმეტიზაცია ბევრიც რომ მოინდომო, შეუძლებელიაო.

შევეცადე თავი მომეტყუებინა.

ახლოდან მაშინ ავფეთქდი, როცა მარსელი ჩემს საქმიანობას, აქედან გამომდინარე—„ოუნესკოს“ საქმიანობას შეებო: ტექნიკის წარმომადგენლები თეთრი მისიონერების უკანასკნელი ნაირსახეობანი არიან, ინდუსტრიალიზაცია მოსავალია რასის უკანასკნელი სახარებაა. მათთვის ცხოვრების დონე — ცხოვრების ხარის მაგივრობას სწევსო.

მე ეკითხე, შენ კომუნისტი ხომ არა ხარ-მეთქი.

თავი მოიკლა, არაო.

მესამე დღეს, როცა ისევ შაბნარში შევრგეთ თავი, მეტს ველარ გავუძელი. ზე უკან დაბრუნების მომხრე ვიყავი.

იმიტომ, რომ ასე ალალბედზე სიარული, სანამ საწვავი არ გამოგველევა, ადიოტობაა-მეთქი, — ვამბობდი მე.

ჰერბერტმა თავისი რუკა აიღო.

ყოველ წუმპეში აღუყოფლებულ სალაშანდრებს რომ გზედავდი, ნერვები მეშლებოდა. საგრძნობლად, ყველაზე ვამრავლების ინსტინქტი იგრძნობოდა, იროგვლივ ნაყოფიერებისა და გახარების სუნი ტრიალებდა.

ყოველ ნაპიჯზე ჩანასახს წააწყდებოდი.

მე უკვე ზეპირად ვიცოდი ეს რუკა, 1 : 500.000. მასზე გამადიდებელი შუშითაც კი ეერიფერს გაიარჩევდი: თეთრ ქალალდზე პატარა ლურჯი მდინარე, ლაბირინთ გაჭიმული სასაზღვრო ზოლი და განედის ხახი ჩანდა. მეტი არაფერი! ზე უკან დაბრუნების მომხრე ვიყავი. კი არ მეშინოდა (წიმში რას მიქვია!), გზის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. მხოლოდ ჰერბერტის ყალთაბანდით მივიწევდით წინ. ცოტა ხნის შემდეგ მდინარეს მივადექით, უფრო სწორად მდინარის კალაპოტს. ეს უეცბელად რიო-ფასუმანსინტა უნდა ყოფილიყო, მექსიკისა და გვატემალის საზღვარი, ალაგ-ალაგ აძოწილი, ალაგ-ალაგ წყლით სავსე. მდინარე ისე მდორედ ბიუდინებოდა, გეგონებოდათ, არც იძვრისო, მაგრამ გალმა მაინც ვერ გადადოდით. სადმე ფონი რომ არ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა! ჩვენ ბანაობა

[1] ტყეში (ფრანგ.).

[2] ამერიკული ცხოვრების წესი.

მოვინდომეთ, ნაგრამ ჰერბერტმა საშველი არ მოგვცა, მანქანა მანამდე ატარა ალმა-დალმა, სანამ ფონს არ მიადგა, სადაც (როგორც შემდეგ გაგვიგია) ია-ხიში გადასულიყო.

მე და მარსელმა ვიბანავეთ. ზურგზე ვცურავდით, პირი ... გვქონდა, რომ წყალი არ ჩაგვეყლაპა. წყალი ცივი და თბილ... ... ...

კვალი ზოგან ისე იყო წაშლილი, რომ ურჩის ნაკვალევი გეგონებოდა, სხვაგან კი, აყალო მიწაზე, მართლა ნათლად მოჩანდა საბურავების კვალი.

გზას მივაგენით.

ეს რომ არა, როგორც ვთქვი, გზას ალბათ გავაგრძელებდი და ახლა (თავიდან ვერ ვიმეორებია ეს აზრი) ყველაფერი სხვანაირად ... ეგონებოდა.

ახლა უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო.

(საამწყისოროდ!)

მეოთხე დღეს, დილით, ორი ინდიელი დავინახეთ. მათ ზუსტად ისეთი ნორკალული ხმლები ეჭირათ ხელში, როგორიც ჰერბერტმა დაუნახა რამდენიმე დღის წინ პალენკელ ინდიელებს, კაცის მკვლელები რომ ეგონა. ეს ნორკალული ხმლები ნაჭვლები აღმოჩნდა და მეტი არაფერი.

შემდეგ პირველი პლანტაცია დავინახეთ. იმის იმედი, რომ დილამეებამდე შევეძლო ოთახამდე მივეღწია, კიდევ უფრო გვიშლიდა ნერვებს. ალბი ტრიალებდა. ირგვლივ თამბაქოს კვლები იყო, კვლებს შორის თხრილები გაეყვანათ, ყველაფერს ადამიანის ხელი ეტყობოდა, მაგრამ არსად ძეხორციელი არ ჩანდა.

კვალი ისევ დაკარგა...

ისევ შევუდექით საბურავების კვალის ძებნას' ამასობაში წვიმაგვალამდა კიდეც. „ლენდროვერზე" შევდექით, პირში თითები ჩავიწყვეთ და, რაც ძალი და ლონე გვქონდა, დავსტვინეთ.

ვინ იცის, იქნებ სულ ასლოს ვიყავით მიზანთან. ვსტვენდით და სიგნალს ... ალბათ ... ბუსტიანით გაბერილი ბუსტიანით საბიზღარი ბზე, თირკმელს თუ რალაც ამდაგვარს რომ მიაგავდა, ოკვე ჩაესვენა თამბაქოს ფოთლებში.

მეოთხეც ასეთივე იყო.

ისევ გაყვლდა, ახლა ჩვენც დაგვეკარგა სიბნელეში ერთმანეთი. მიწის ნაკვეთში დავინაწილეთ და თითო-თითოდ დავიწყეთ საბურავების კვალის ძებნა. თუ ვინმე ყველს წააწყდებოდა, უნდა დაესტვინა.

ჭერჭეროობით მხოლოდ ჩიტების სტვენა ისმოდა.

ძებნა მთვარის შუქზეც გახანგრძლივეთ, სანამ ჰერბერტი აურების გუნდს არ წააწყდა. აურები ვირის ლეშს მისდევნენ. ჰერბერტი ყვიროდა, იწყევლებოდა და შავ ფრინველებს გაშეტებით უშენდა ქვებს. საზიზღარი სანახაობა იყო. აურებს ვირისთვის თვალები ამოეკორტნათ. მხოლოდ ორი წითელი ირმი იყო დარჩენილი, ესეც ამოეგლიჯათ და ახლა ცდილობდნენ ლეშისთვის უკანა ხვრელიდან გამოეძიძგნათ ნაწლავები.

ეს იყო ჩვენი მეოთხე ღამე.

სასმელი გაგვითავდა.

ქანცი გამიწყდა, გაიარ-გარეულ მიწაზე ჩავცუცქალი და თავი ხელებში ჩავრგე, მთვარის მოლურჯო შუქზე ოფლი ლვარად ჩამომდიოდა. ირგვლივ ციცინათელები ირეოდნენ.

ჰერბერტი ბოლთას ცემდა.

მხოლოდ მარსელს ეძინა.

უცებ ნაბიჯების ხმა შეწყდა. ჰერბერტს გავხედე: ჩვიდარ ვირს თავზე დასდგომოდა. მაგრამ აცსლტლხებულ ფრინველებს ქვებს ალარ ესროდა, იდგა და მათ ლრეობას შესცქეროდა.

აურები ლეშს მთელი დამე ძიძგნიდნენ...

როგორც იქნა, მთვარეც ჩაესვენა თამბაქოს ფოთლებში, ახლა ბოლოს ნისლიც ადარ ჰგავდა რძეს. ჩამქრალია, მაგრამ დიდხანს არ მძინია.

მზე ისევ ამოვიდა!

ეირი გამოშიგნული ვგდია. გამაძღარი აურები გაუნძრევლად ისხდნენ მახლობელ ხეებზე. ყველს ვერაფერს ახლა მივაგენით, მაგრამ მაინც დავადექით გზას. ჰერბერტმა, როგორც ამ პლანტაციების მფლობელი ფირმის „ჰენკე და ბოშის" წარმომადგენელმა, ჩვენი გაძღოლა ითავა და საჭეს მიუჯდა. მანქანა წინანდებურად უსიტყვოდ მიმყავდა პირდაპირ თამბაქოს ყვლებში და უკან გათელილი თამბაქოს რტოებს ტოვებდა. იდიოტობა იყო, მაგრამ მეტი რა გზა გვქონდა — ჩვენს სიგნალსა და სტვენას არავინ გამოხმაურებია.

მზე ჩადიოდა.

ბოლოს შევმოგვენდა ფირმა „ჰენკე და ბოშის" მოსამსახურე ინდიელთა ჯგუფი. მათ გვითხრეს, ჩვენი სენიორი მკვდარიაო. მე მათი ნათქვამი ვთარგმნე, რადგან ჰერბერტმა ესპანური არ იცოდა. რათ, მკვდარიაო? ინდიელებმა მხრები აიჩეჩეს. ჩვენი სენიორი მოკვდაო, ამბობდნენ ისინი. ერთმა გზა გვიჩვენა. იგი ჩვენს „ლენდროვერს" ინდიური გრძელ-გრძელი ნაბიჯებით მოსდევდა.

დანარჩენებმა მუშაობა განაგრძეს.

მაშ არავითარი ჯანყი არ ყოფილა!

თუნუქით გადახურულ ამერიკულ ბარაკს მივადექით. ერთადერთი კარი მიგნიდან იყო ჩარაზული. ბარაკიდან რადიოს სმა ისმოდა. ჩვენ ეკვროდით და ვაბრაბუნებდით, რომ ითახიმს კარი გაეღო.

— Nuestro Senor ha muerto...[1]

„ლენდროვერიდან" ბერკეტი გამოვიღე და ჰერბერტმა კარი შეამტვრია. იგი ველარ ვიცანი. საბელნიეროდ, მას წინასწარ ჩაეკეტა ფანჯრები. ირგვლივ აურები ისხდნენ ხეებზე. სახურავზე, მაგრამ ფანჯრებში შელწევა არ შეეძლოთ. ის ფანჯრიდან მოჩანდა, ინდიელები კი ყოველდღე სამუშაოდ გადიოდნენ და ვერ მოეფიქრებინათ, რომ კარი შეემტვრიათ და ჩამოხრჩობილი ჩამოეხსნათ; მავთულზე ჩამოეხრჩო თავი. მიკვირდა, რადგან, რომელიც ჩვენ იმწამსვე გამოვეთიშეთ, დენს საიდან ილებდა, მაგრამ იმ წუთში ამის გასარკვევად არ გვეცალა.

ჩვენ მას სურათი გადავუღეთ და დავკრძალეთ.

ინდიელები (როგორც მერე ფირმის მმართველობისათვის წარდგენილ მოხსენებაში აღვნიშნე) ჰერბერტის ყველა მითითებას უსიტყვოდ ასრულებდნენ (თუმცა მან მაშინ ესპანური არ იცოდა) და მაშინვე სცნეს კიდეც თავიანთ ბატონად.

კიდევ ერთი დღენახევარი ჰერბერტის დარწმუნებას შევალიე. არავითარი ჯანყი აქ არ ყოფილა. შენმა ძმამ უბრალოდ ამ ჰავას ველარ გაუძლო-მეთქი. ეს ჩემთვის საკვლევი გასაგები იყო. არ ვიცი ჰერბერტს რა შეუჯდა ტვინში, დაიყინა, მე გავუძლებ ამ კლიმატსო. ჩვენ უკან უნდა დაგბრუნებულიყავით. ჰერბერტი გვეცოდებოდა. მაგრამ ჩვენი აქ დარჩენა არაფრით არ შეიძლებოდა, და არც ჰქონდა არავითარი აზრი. მარსელს ბოსტონში თავისი სამსახური ელო-

[1] ჩვენი სენიორი მოკვდა (ესპ.).

და. მეც მეხიკოში უნდა ჩავსულიყავი და იქიდან გზა გამეგრძელებინა. ესეც არ იყოს, ჩვენი სასტუმროს პატრონისათვის „ლენდროვერი“ ერთ კვირაში მაინც უნდა მიგვეყვანა უკან. მე ჩემი ტურბინები მეელოდა. ალ ვიცი, ჰერბერტი რას ფიქრობდა, როგორც ვთქვი, ერთი სიტყვა არ იცოდა ესპანური, ჩვენი მხრივ ვერაფერი ამხანაგობა იყო, უფრო მეტიც, უპასუხისმგებლობასაც კი ვიჩენდით, მას რომ აქ ვტოვებდით, ერთადერთ თეთრკანიანს ინდიელების შორის. ბევრი ვენვეწეთ, ჩვენთან ერთად წამოსულიყო, მაგრამ ამაოდ. ჰერბერტს ძმისაგან დარჩა „ნეშ-55“. მანქანა დავათვალიერე, რომელიც ინდიელის ქოხში იდგა, წვიმისგან მხოლოდ ფოთლების სახურავი იფარავდა. მანქანა, ეტყობოდა, დიდი ხანია არავის ეხმარა, დაკაწრული და დაბინძურებული იყო, მაგრამ ტარება მაინც შეიძლებოდა. მე თვითონ შევამოწმე. მოტორიც მუშაობდა, თუმცა დაბინძურებული კი იყო. მოტორი გავსინჯე, საწვავიც აღმოჩნდა, თავისთავად გასაგებია, სხვანაირად ჰერბერტს მარტო არ დავტოვებდით. მარსელი თავის სიმფონიურ ორკესტრს უნდა დაჰბრუნებოდა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ჩვენი სამსახური გვქონდა, სულ ერთია, ჰერბერტი ხედებოდა ამას თუ არა. მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა, საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს.

მე და მარსელი უკვე ლენდროვერში ვიჯექით, წასვლას ვაყოვნებდით. კიდევ გვქონდა იმედი, რომ ჰერბერტი გონს მოეგებოდა. მაგრამ მან თავი გააქნია და ალამშვიდობების ნიშნად ძლივს დაგვიქნია ხელი. ცაზე საავღრო ღრუბლები იკრიბებოდა. უნდა ავჩქარებულიყავით, თორემ მალე ჩვენი საკუთარი კვალიც წაიშლებოდა.

დღესაც გამოცანად რჩება ჩემთვის, როგორ დაქორწინდნენ ჰანა და ოთახში და როგორ მოსდა, რომ მე, ბავშვის მამას, მისი დაბადების ამბავი არ შემატყობინეს.

ეს ის დრო იყო, როცა ებრაელთა პასპორტები გააუქმეს. მე დავიფიცე, ჰანა ბედის ანაბარა არასგზით არ მიტოვებინა. ოთახიმი თანახმა იყო, ჩვენთვის მეჯვარეობა გაეწია. ჩემს ბიუროვერ ამშობლებსაც ხელს აძლევდა, ქორწილის გადახდას დიდი ზარ-ზეიმით რომ არ ვაპირებდი. მხოლოდ ჰანა ყოყმანობდა, ეს ამბავი შუნთეის რამდენად მიუსაბამოდ იქნებაო? საბუთები შესაბამის დაწესებულებაში მივიტანე, ჩვენი ქორწინება ბაბეთმიც გამოცხადდა. შემდეგ ურთმანეთს კიდეც რომ დავშორდეთ, ჰანა მაინც შვეიცარიის მოქალაქედ დარჩება და პასპორტი ექნება-მეთქი, ვფიქრობდი გულში. საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა, ბალდაღში სამსახურს უკვე უნდა შევდგომოდი. ეს იყო შაბათ დილას. როგორც იქნა, დავამთავრეთ ჩემს ამშობლებთან გამართული უცნაური საუზმე. მათ მაინც გული სწყდებოდათ, ზარების ხმას რომ ვერ გაიგონებდნენ. და ქალაქის საბჭოში წავედით ხელის მოსაწერად. შაბათობით იქ ტევა არ არის ხოლმე. დიდხანს მოგვიწია ლოდინი. ჩვენს გარდა ყველას საქორწინო ტანსაცმელი ეცვა. თავიდან ფეხებამდე თეთრებში ჩაცმული ნეფე-პატარძლები ოფიციანტებს ჰგავდნენ. ჰანა გარეთ გავიდა, მაგრამ ცუდი არაფერი მიაზრია. ჩვენი რიგი რომ დადგა, ჰანა აღარსად ჩანდა. ეეძებეთ და გარეთ, კიბეზე ვიპოვეთ. საქორწინო ოთახში ვერაფრით ვერ შეგვიყვანეთ: არ შემიძლიაო, გაიძახოდა.

ია არ ვუთხარი, როგორ არ ვეხვეწე, საქმეს მხოლოდ პრაქტიკული თვალით შეხედე-მეთქი, მაგრამ ამაოდ. ის თავს აქნევდა და ტიროდა. მე თუმცა მხოლოდ იმიტომ ვირთავ მას, რომ ჩემი ანტისემიტობა დავამტკიცო. ეს ასე ლაიქინა. ოთხ ვერაფერს გავხდი. ციურიხში გატარებული ის უკანასკნელი კვირა დღესაც მწარედ მაგონდება. ჰანამ არ მოიწადინა ცოლად გამოყოლილიყო ჩემ სხვა არჩევანი არ შეწონდა — ხელშეკრულების თანახმად, ბაღდადში უნდა წავსულიყავი. ჰანამ სადგურზე გამაცილა. ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ჰანამ აღმითქვა, შენი გამგზავრებისთანავე იოახიმთან წავალო. იოახიმი შეპირებული იყო, მისთვის სამედიცინო დახმარება გაეწია. ასეთი პირობით დავშორდით ერთმანეთს: გადაწყდა, ჩვენი ბავშვი არ გაჩენილიყო.

მას მერე ჰანაზე აღარაფერი მსმენია.

ეს იყო 1936 წელს.

მაშინ ჰანას ვკითხე, იოახიმი როგორ მოგეწონა-მეთქი, სიმპათიური კაციაო. ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ჰანა და იოახიმი დაქორწინდებოდნენ.

□ □

ვენესუელაში ორი დღე გავჩერდი, რადგან ტურბინები ჯერ კიდევ გაუხსნელად ეწყო ნავსადგურში და მონტაჟზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

20.IV. გამოვფრინდი კარაკასიდან.

21.IV. ჩამოვედი ნიუ-იორკში, აიდლუაილდის აეროდრომზე.

აივიმ გამომიცხადა, გაეგო, როდის ჩამოვდიოდი და ახლა ხელიდან ვეღარ დავუძვრებოდი. ჩემი წერილი თუ მიიღე-მეთქი, მან მაკოცა, პასუხი არ გაუცია. ისიც იცოდა, რომ ერთ კვირაში მივლინებით პარიზში მივფრინავდი. ვისკის სუნი ასდიოდა.

მე ვლუმდი.

აივი ჩვენი „სტუდებეკერით" შინისაკენ მიმიქროლებდა. სიტყვა არ თქმულა უდაბნოდან მოწერილ წერილზე!

აივიმ ყვავილები დამახვედრა, თუმცა კარგად იცის, ყვავილები დიდად არაფრად მეპიტნავება, ასთიკვებიც უყიდია და სოტერხიც, რომ უდაბნოში ჩემი გადარჩენა გვეზეიმა. სანამ ფოსტას ვათვალიერებდი, აივიმ კოცნით ამავსო.

ახსნა-განმარტებებს ვერ ეიტან.

ალარ მეგონა, აივას თუ კიდევ ვნახავდი და მით უმეტეს ამ ბინაში, ის რომ „ჩვენს ბინას" ეძახდა.

შეიძლება ბანაობა მართლაც მეტისმეტად გამიგრძელდა, არ უარვყოფ.

ჩხუბი მაშინ დაიწყო, როცა აივიმ ხალიანი პირსახოცი შემომიტანა. მე იგი გარეთ გავაგდე, სამწუხაროდ, ძალა ვიხმარე, რადგან მას უყვარს ძალადობა, მაშინ საბაბი აქვს, დამკბინოს ხოლმე...

ჩემს ბედზე ტელეფონმა დარეკა!

დიკმა გადარჩენა მომილოცა, ჭადრაკის პარტიაზეც შევთანხმდით და აივიმაც დაიწყო ჩემი ლანძღვა: შენ ერთი რეგვენი, ერთი ეგოისტი კაცი ხარ. ნამდვილი ურჩხული, არაფერთარი გრძნობა შენ არ გაგაჩნიათ...

რა თქმა უნდა, გავიცინე.

აივი გამეტებით მირტყამდა მუშტებს, თან ქვითინებდა, მაგრამ მე ვცდილობდი, ხელი არ შემებრუნებინა. ვიცოდი, იმასაც ეს უნდოდა.

იქნებ აივის მართლა ვუყვარდი.

(ქალების ბოლომდე არასდროს არ მჯეროდა).

თხუთმეტი წუთის შემდეგ დიკს დავურეკე და ვუთხარი-ამწუხაროდ, მოსვლა არ შემიძლია-მეთქი. დიკს ჭადრაკის ფიგურებიანი ფიცარი ჰქონდა. მე საკმაოდ უგულგილოდ მოვუხადე ბოდიში, ხომ ვერ ვეტყოდი, რატომ ვერ მივდიოდი, ის კი ვუთხარი, ნამდვილად შენთან ჭადრაკის თამაში მერჩივნა-მეთქი.

აივიმ ისევ ამოუშვა ქვითინი.

18.00 საათი იყო. ზებირად ვიცოდი, თუ ქუჩაში არ გამოვიდოდით, ეს საღამო როგორ ჩაივლიდა. აივის ჯერ ფრანგული რესტორანი შევთავაზე, მერე ჩინური, მერე შვედური. ამაოდ! მიმტკიცებდა, არა მშია-ბეთქი. ეგ თუ მშია-ბეთქი?! მაცივარში ასთაკვები და ის მიირთვით, ესეც არ იყოს, სპორტული კაბა მაცვია და ამ კაბით ელეგანტურ რესტორანში არ შეისვლებაო. ჰო, მართლა, როგორ მომწონს მისი კაბა? ასთაკვები ჯერ ხელში მეჭირა და სანაგვეში გადაყრას ვუპირებდი, აბა, ამ ასთაკვების გულისათვის ხომ არ ჩავიშხამებდი საღამოს!

აივი მაშინვე შემშვიდა, ქალივანად ვიქნებით.

ასთაკვები ისევ მაცივარში შევაწყვე. აივი ჩინურ რესტორანში წასვლაზე დამთანხმდა, იძულებული გავხდი მელიარებინა, რომ ახლა აივის აუცილებლად სჭირდებოდა make-up [1].

ვიცდიდი.

ჩემი ბინა ცენტრალ პარკ ვეი-ზე იყო. ორი ოთახი ბალჩიანი ბანითეთრ შშვენიერია, მაგრამ ძალიან ძვირია, თუ კაცი შეყვარებული არა ხარ.

აივიმ მკითხა, პარიზში როდის მიფრინავო.

დუმილით ვუპასუხე.

ბანზე ვიდექი და ჩემს გადალებულ კინოფირებს ლაბორატორიაში ჩასაბარებლად ვამზადებდი. კასეტებს ჩვეულებრივ ვნომრავდი... ითახიმის სიკვდილი... ამაზე ლაპარაკის სურვილიც არ მქონდა, აივი ხომ მას არ იცნობდა, ითახიმი კი ჩემი ერთადერთი ხანდაღილი სეგობარი იყო.

რატომ არ ვიღებ ზმას?

ავიღოთ, მაგალითად, დიკი: ისიც თამაშობს ჭადრაკს, ჩემი აზრით, დიდად განათლებული კაცია, ყოველ შემთხვევაში, ჩემზე განათლებული, გონებამახვილიც, დიკი ძალიან მომწონს (მხოლოდ ჭადრაკში არ ვუდებ ტოლს), ან იქნებ მშურს კიდეც მისი, მაგრამ ეს არის ისეთი კაცი, სიკვდილსაც რომ გადაგარჩინოს, შენთვის ეფრო მახლობელი მაინც არ გახდება.

აივი ისევ თმას ივარცხნიდა.

მე უდაბნოში იძულებითი დაშვების ამბავი მოვუყევი...

აივი წაწწამეს ილებავდა.

მართლ ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ წერილის შემდეგ კიდევ ერთად ვიყავით, მაკოფებდა. მაგრამ აივი ვითომ აინუნშიაც არ იყო!

---

[1] კოსმეტიკა (ინგლ.).

უცებ ვიგრძენი, როგორ მომბეზრდა ყველაფერი.

ივი ფრჩხილებს ილებავდა და ღიღინებდა.

უცებ მესმის ჩემი ხმა, ტელეფონით ელაპარაკობ: ვკითხულობ ევროპაში მიმავალ გემზე ადგილს, მარშრუტი სულ ერთია, რაც უფრო ჩქარა ექნება, მით უკეთესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ, გემით მიდიხარ? — ეკითხა ივის.

ძალიან საეჭვო იყო, ამ დროს ევროპაში მიმავალ გემზე ადგილი მეშოვნა. არ ვიცი, როგორ მომივიდა თავში აზრად ალარ გავფრენილიყავი (ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ივი ისე ღიღინებდა, ვითომც აქ არაფერიათ). თვითონვე მიკვირდა, ბედმა გამიღიმა: სწორედ ერთი ადგილი განთავისუფლებულიყო. ივიმ კარგად გაიგონა, როგორ შევუკვეთე ბილეთი და წამოხტა, უნდოდა ჩემთვის ლაპარაკი შეეწყვეტინებინა, მაგრამ მე ყურმილის დადება მოვასწარი.

— It's okay! [1] — ვთქვი მე.

ივის ენა ჩაუვარდა, მე ეტკბებოდი. სიგარეტს მოვუკიდე. ივიმ ისიც გაიგონა, გემი რომელ საათზე გადიოდა.

— Eleven o'clock tomorrow morning [2], — გაიმეორე მოხელის ნაქვამი.

— You're ready? [3] — ვკითხე ივის და ჩვეულებისამებრ პალტო მივაგებე. ივიმ თვალი თვალში გამიყარა, შემდეგ უცებ ისროლა პალტო და სიბრაზისაგან გონდაკარგულმა ფეხები ლაბარტყუნა... ივის გეგმა ჰქონია დაწყობილი, ერთი კვირა მაბრეტენში გაეტარებინა. ახლა გაწოტყდა, ჩემი უეცარი გადაწყვეტილება მის გეგმებს რომ ფუშავდა.

პალტო ავიღე.

მე ნონ მივწერე, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, ბიეწერე შავით თეთრზე. მან უბრალოდ არ დაიჯერა. საერთოდ, თვინიერი კაცი ვეგონე, ერთ კვირას გავატარებთ ერთად და ყველაფერი ძველებურად იქნებაო. ამაზე მეცინებოდა.

შეიძლება სულმდაბალი ვარ.

ისიც ასეთია.

ივი დაეჭვდა, გაფრენის ხომ არ გეშინიაო. ეს თავისთავად გულისამაჩუყებელი იყო. გაფრენის სულაც არ მეშინოდა, მაგრამ თავი მოვაჩვენე. მართალი ხარ-მეთქი. ვცდილობდი მისთვის განწირულება გამეიოლებინა. არ მინდოდა, სულმდაბალი ვყოფილიყავი. ჩემი გადაწყვეტილება მისთვის უფრო გასაგები რომ გამეხადა, ხელმეორედ ავუწერე უდაბნოში დაშვების ამბავი. ცოტაც და...

— Oh, honey, — მითხრა მან, — stop it! [4]

მოტორში ერთი დეფექტიც ქმარა, თუმცა მოტორს ის ერთი დეფექტიც არ უნდა ჰქონდეს, ერთი პატარა უწესივრობა და... არაფერს ალარ მიშველის ის ამბავი, 1.000 გაფრენიდან 999-ჯერ უვნებლად რომ დავშვებულვარ დედამიწაზე. ჩემთვის, როცა ზღვაში ჩავვარდები, ალარც ის იქნება დიდი შეღავათი, იმ დღეს 999 თვითმფრინავი რომ მშვიდობიანად დაჯდება აეროდრომზე.

---

[1] ყველაფერი რიგზეა (ინგლ.).

[2] ხვალ, დილის თერთმეტ საათზე (ინგლ.).

[3] მზადა ხარ? (ინგლ.).

[4] კარგი, ანერფასო, გეყოფა! (ინგლ.).

აივი ჩაფიქრდა.

— განა გეში არ შეიძლება დაილუპოს?

მე მანამდე ვიანგარიშე, სანამ აივი არ დავაჯერე. ის ყველაზე კი ჩამოჯდა და გამომიტყდა, მე ასე ვერასოდეს ვერ ვიანგარიშებდიო. აი, ახლა კი მივხვდი, რატომ არ აპირებ გაფრენასო.

ერეკენული
ბიბლიოთეკა

მან პატიება მთხოვა.

100.000 მილი მაინც მექნება ჩემს სიცოცხლეში ნაფრენი ისე, რომ ნეკი არ დამშავებია. გაფრენის მეშინოდა-თქო, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია! მე მხოლოდ თავს ვიკატუნებდი, სანამ აივიმ თვითონ არ მთხოვა, თვითმფრინავში ნულარასოდეს ნუ ჩაჯდებიო.

იძულებული გავხდი დამეფიცა, აღარ ჩავჯდები-მეთქი.

არასოდეს!

აივიზე მეცინებოდა: ჩემს ხელისგულზე მკითხაობა მოინდომა. ისე დაიჯერა, რომ გაფრენის მეშინოდა და ჩემს სიცოცხლეს ისე დაჰკანკალებდა, მართალი გითხრათ, შემეცოდა. ჩემს ხელისგულზე სიცოცხლის მოკლე ხაზი რომ დაინახა, მგონი მართლა დაფარდიანდა (თან მე უკვე ორმოცდაათის ვარ). აივი ატირდა, მე მარჯვენა ხელი თმაზე გადავუსვი, ის ხომ ჩემს მარცხენაზე მკითხაობდა.

დიდი შეცდომა მომივიდა. მისი ცხელი კეფა ვიგრძენი.

აივი ოცდაექვსი წლისაა.

შევბრუნდი, ეკიმთან წავალ-მეთქი. ვგრძნობდი, როგორ დამდიოდა მარცხენა ხელზე მისი ცხელი ცრემლები. მეც მშვენივრად ვხედავდი, რომ კარგად ვერ გამოვიყურებოდი, მაგრამ რა მექნა. აივის თავისი ტემპერამენტის წყალობით სჯეროდა, რასაც ამბობდა. მე მკითხაობისა არაფერი მჯერა, მაგრამ თავისთავად გასაგებია, მის დასაწყნარებლად საკმაო ხანი დამჭირდებოდა. თითქოს მე უკვე ჩამოვვარდი, ისე დალეწილი და დანახშირებული ვარ, რომ ჩემი ცხობა შეუძლებელია. რი თქმა უნდა. მეცინებოდა, მაგრამ ისე ვიფერებოდი და ეკოცხილი, როგორც ახალგაზრდა ქერივს ეფერებიან და აწყნარებენ ხოლმე.

და მოხდა ის, რაც არ მინდოდა.

ერთი საათის შემდეგ ერთად ვიჯექით, ასთაკვებს ვეჭამდით და სოტერნს ვაყოლებდით. აივის ჩემი ნაჩუქარი დილის ხალათი ეცვა. ეს იგი მძულდა.

მძულდა ჩემი თავიც.

აივი თითქოს ჩემს დასაკინად ღიღინებდა.

მე ხომ მივწერე, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი და წერილი (ჩემი თვალით ვნახე) ჩანთაში ვდო.

ახლა ის საბაგიეროს მიხდიდა.

მშრალი, მაგრამ ასთაკვები გულს მირეკავდა. საბაგიეროდ, აივი ატაცებული იყო. გულს ბირეკავდა მისი ალერსი, მისი ხელი ჩემს მუხლზე, მისი ხელი ჩემს ხელზე, მისი მკლავი ჩემს მხარზე, მისი მხარი ჩემს ნკერდზე, მისი კოცნა. როცა ღვინოს დაეუსსამდი, ეელარ გავუძელი და პირში მივახალე. მძულხარ-მეთქი.

აივიმ არ დაიჯერა.

ფანჯარასთან ვიდექი და მძულდა მთელი ის დრო, რაც აქ, მანჰეტენში გავატარე. ყველაზე უფრო კი ჩემი პინა მძულდა. სიამოვნებით წავუკიდებდი

�ცხლის! ფანჯარას მოეშორდი. აივი ჯერ ისევ ჩაუცმელი იყო, ორი გრეიფრუტი შემოიტანა და მკითხა, ყავას ხომ არ დალევო.

მე ვთხოვე, ჩაეცვა.

სამზარეულოსკენ მიმავალმა გვერდით რომ ჩამიარა, თითქოს მასხარა ეყოფილიყავი, ცხვირზე წკიპურტი გამკრა. კინოში ხომ არ გვიდა, წასვლაო, გადმომძახა სამზარეულოს წიშნიდან, თითქოს მზად იყო, ისე წინდებისა და დილის ხალათის ამარა გამომყოლოდა.

ახლა ის კატა-თაგვობანას მეთამაშებოდა.

თავს მოვერიე და სიტყვა არ მითქვამს. მოვკრიფე მისი ფეხსაცმელები, საცვლები, მთელი მისი აქლა-დიდება (ამ ვარდისფერი ჭინჭების დანახვაც არ შეწყვეტია) და მეორე ოთახში გავუყარე, რომ ბოლოს და ბოლოს თავისი ტუალეტი მოემთავრებინა.

დიახ, კინოში მინდოდა წასვლა!

ყავა მესიამოვნა.

ახლა კი საბოლოოდ გადავწყვიტე, ამ ბინაზე უარი მეთქვა და აივის ისეც განვუცხადე.

აივი არ შემორიდავებია.

უცებ მომინდა, პირი გამეპარსა, იმიტომ კი არა, რომ წვერი მაწუხებდა. უბრალოდ არ მინდოდა, აივისათვის მეცადა. მაგრამ ჩემი ელექტროსაპარსებელი გაფუჭებული აღმოჩნდა. შტეპსელიდან შტეპსელზე გადავდიოდი, შენც არ მომიკვდე, აპარატი ხმას არ იღებდა.

აივის სიტყვით, მე ისედაც ჩინებულად გამოვიყურებოდი.

მაგრამ მე ხომ მართლა არ ვიყავი გასაპარსი.

აივი უკვე ჩაცმული იდგა.

რა თქმა უნდა, არა მიჭირდა რა, ესეც არ იყოს, საბაზანოში მეორე, უფრო ძველი აპარატიც მქონდა, მაგრამ, როგორც ვთქვი, მართლა წვერი კი არ მაწუხებდა. დავჯექი და ელექტროსამართებელი დავშალე. ერთ დღეს შეიძლება ყველა აპარატმა გიღალატოს, მაგრამ ჩემი აბბავი რომ ვიცი, ვერ მოვასვენებ, სანამ არ გავიგებ, რა სჭირს აპარატს.

— ვალტერ, — თქვა მან, — I'm waiting [1].

ვითომ ჯერ მე არ მეცადოს მისთვის.

— Technology! [2] — ჩაილაპარაკა მან, ისე შეულგნებლად კი არა, ქალებმა რომ იციან ხოლმე, არამედ დამცინავად, მისი დაცინვა არაფრად ჩაეგდო. ელექტროსამართებელი მთლიანად დავშალე. მინდოდა გამეგო, რა სჭირდა.

. . . . . .

კვლავ წმინდა წყლის შემთხვევითობამ გადაწყვიტა ჩემი ბედი — ამ პატარა ელექტროსამართებელში გაჩხერილმა ნეილონის ძაფმა. ასე იყო თუ ისე, ნამდვილად შემთხვევით მოვვისწრო ტელეფონის ზარმა. დარეკეს საზღვაო სამსახურიდან. ალბათ, ნახევარი საათის წინათაც ისინი იქნებოდნენ, მაშინ არ შე-

[1] მე ველოდები (ინგლ.).

[2] ტექნიკა! (ინგლ.).

მეძლო ყურმილის აღება. მირეკავდნენ აუცილებელ საქმეზე: თუ ახლავე, საჩქაროდ, 22 საათამდე ჩემი პასპორტით ნაესადგურში ან გამოცხადებოდი. გემზე ადგილს ველარ დამიჯავშნიდნენ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, ბაბარატი რომ არ დამეშალა, ეს ცნობა სახლში ველარ მომისწრებდა. ეს კი ნიშნავდა, რომ ჯერ ვერ გავეგზავრებოდი, ყოველ შემთხვევაში, ჯერ მაინც არ ვიგზავრებდი, რომელზეც ბაბეტი იქნებოდა და ჩვენ ვერასოდეს ვერ შეხვდებოდით ერთმანეთს, ჩემი ქალიშვილი და მე.

. . . . . .

ერთი საათის შემდეგ ჰუმონის პირას ბარში ვიჯექი, ბილეთი ჯიბეში მედო, გემი უკვე დათვალიერებული ნქონდა. ფაბარმაბარი ხომალდი გაჩახჩახებული იყო, დავათვალიერე ანძა და ამწეები ონკანები, პროექტორების შუქში გახვეული წითელი საკვამლე მილები. სიცოცხლე ყნაწვილივით მიხაროდა, ასეთ ხასიათზე დიდი ხანია ადარ ვყოფილვარ. ეს ჩემი პირველი მოგზაურობა იყო გემით! ლუდი დავლიე და ერთი ულუფა სარდელი შევჭამე. კაცებში ვიდექი, სარდელს ბლომად წავუსვი მდოგვი. მარტო რომ დავრჩი, მაშინ ვიგრძენი, როგორ მშიოდა. ქუდი კეფაზე მოვიგდე, ტუჩებზე დარჩენილი ქაფი ენით მოვიტლიკე, ცალი თვალით ტელევიზორში კრიკეტს ეუყურებდი. დოკერებში ვიდექი. უმრავლესობა ზანგები იყვნენ; სიგარეტი გავაბოლე და გულში ვთქვი, ამაზე მეტს ყმაწვილი კაციც ვერაფერს ინატრებს-მეთქი.

აიყო სახლში მიცდიდა.

სამწუხაროდ, ბარგის ჩასალაგებლად ჯერ ჯერ ადრე ადგებულიყავი. მაგრამ ჯერ არ მეჩქარებოდა. კიდევ ერთი სარდელი შევჭამე.

ვფიქრობდი ითარიმზე.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ცხოვრებას თავიდან ვიწყებდი, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ზღვით პირველად მიხდებოდა მოგზაურობა. ყოველ შემთხვევაში, გემით მგზავრობა მართლა ძალიან მიხაროდა.

შუალამემდე იქ ვიჯექი.

იმედი მქონდა, აივი ადარ დაშელოდებოდა, მოთმინება დაეკარგებოდა და გაჯავრებული წავიდოდა. ვგრძნობდი, ტუტუცურად ვიქცეოდი, მაგრამ სხვანაირად აივის ხელიდან ვერ დავიუძვრებოდი. ფული გადავიხადე და მისი სიკერპის ამბავი რომ ვიცოდი, შინ ფეხით წავედი, იქნებ აივისაგან თავის დახსნის შანსი კიდევ ნაჩქარი საათით გამეზარდა. აივიზე ბევრი არაფერი ვიცოდი. იგი კათოლიკე იყო, პროფესიით მანეკენი. ყოველგვარ ხუმრობას იტანდა, მხოლოდ პაპზე ნუ გაიხუმრებდი. ალბათ ლესბოსური მიდრეკილებებიც ჰქონდა, ან იქნებ ცივიც კი იყო, იქნებ მხოლოდ ჩემი ცდუნების სურვილი ამოძრავებდა, რადგან ფიქრობდა, რომ მე ეგოისტი და ნაბდვილი ურჩხული ვიყავი. უჭკუო არ ეთქმოდა, მაგრამ ცოტა გაფუჭებული კი იყო, თან გულკეთილიც, სანამ ვნება არ აეშლებოდა.

შინ რომ მივედი, აივი ისევ ჩაცმული დამიხვდა, იჯდა და ისე იღიმებოდა, თითქოს ორი საათის მეტი არ მეცდევინებინოს, ერთი საყვედური არ დასცდენია.

— Everything okay?[1] — მკითხა მან.

ბოთლში კიდევ იყო ღვინო.

— Everything okay! — მივუგე მე.

საფერფლეზე ნამწვავების გორა იდგა, ივის სახე ოდნავ ნამტირალევი ჰქონდა. ჭიქები თანაბრად შევავსე და პატიება ვთხოვე, რაც ადრე მეყო ენაზე გადავუსვათ-მეთქი. როცა გადავიღლები, აუტანელი ვარ, და მუტაციად კი გადაღლილი ვარ ხოლმე.

ჩვენი სოტერნი ნელთბილი იყო...

ხახუვრიდ საკვსე ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ. ივინ (ის ფეხზე იდგა) ბედნიერი მგზავრობა და საერთოდ ბედნიერი ცხოვრება მისურვა. არ უკოცნია. ჭიქები ზეზეულად შევსვით, როგორც დიპლომატები მიღებაზე იქიან ხოლმე. საერთოდ, ჩემი აზრით, დრო ცუდად არ გვატარებია. ივიც ამ აზრის იყო. ქვირაღლეები ქალაქგარეთ, სალამოები აქ, ჩვენს ბალჩაში, ნამდვილად არ იყო ერთგვ.

— ხაზი გადავუსვათ ყველაფერს! — თქვა ივიმაც.

ივი შშვენიერი იყო, თანაც ნამდვილი ჭკვის ელვარება გახლდათ. ბიუტერი ტანი ჰქონდა, ჩაცმული კი ზედმიწევნით ქალური, თეძოებში ვიწრო იყო, როგორც მანეკენს შეეფერება.

ასე ვიდექით და ვეთამაშებოდით ერთმანეთს.

მე ალკა დავიწყე...

მას ერთხელაც არ უკოცნია.

ალკოვენში მივიწყვდეს. მხოლოდ წინდიდა უკანასკნელად მეკოცა, სხვა განზრახვა არა მქონია. მაგრამ მისი სხეული მაინც ვიგრძენი. სახე გვერდზე მიიბრუნა. მე ჯიბრზე ვკოცნიდი, ის კი სიგარეტს ამოლებდა და არც აპირებდა, სიგარეტი ხელიდან გაეგდო. ვკოცნიდი ყურებზე, მოღერებულ ყელზე, საფეთქლებზე, ნოტიწარო თმებზე.

ესიცოცხლო ნანეკენივით იდგა.

სიგარეტს კი არ ეწეოდა, ნთქავდა, უნდოდა ფილტრამდე დაეყვანა, თითქოს თავის სიცოცხლეში უკანასკნელ სიგარეტს ეწეოდა, მეორე ხელში ცარიელი ჭიქა ეჭირა.

არ ვიცი, ისევ როგორ განმეორდა ყველაფერი...

მე მგონი, ივის უნდოდა, საკუთარი თავი შემძულებოდა და მხოლოდ იმიტომ მალიზიანებდა, რომ დაეტანჯებინე. ეს იყო ერთადერთი სიხარული, რის მინიჭებაც მე მისთვის შემეძლო.

ხანდახან ნისი შეშინოდა კიდეც.

ჩვენ ძველივ ისე ვიჯექით, როგორც რამდენიმე საათის უკან.

ივის ძილი მოეკიდა.

დიკს რაის დავურეკე — სხეანაირად თავის შეეცა არ შემეძლო — შუალამე გადასული იყო. დიკს თვითონაც სტუმრები ჰყავდა, ვთხოვე ყველანი აქ მოეყვანა და მასულიყო. მისი ამფსონების ყაყანი ტელეფონშიც ისმოდა. ვებეგეწ. მაგრამ დიკი შეუბრალებელი აღმოჩნდა. როცა ყურმილზე ივი დაეკიდა, მიშინდა იკალრა ჩემთვის საათი გაეწია და ივისთან მარტო არ დავეტოვებინე.

---

[1] ყველაფერი რიგზეა? (ინგლ.).

საშინლად ვიყავი დაღლილი.

აივი მესამეჯერ ივარცხნიდა თმას.

ბოლოს საქანელაში ჩამეძინა და ისინიც მოვიდნენ. შვიდი თუ ცხრა კაციდან სამი ისე იყო გალეშილი, ლიფტიდან ხელით გამოსათრევი გამხდარა. ერთმა ვაი-უშველებელი ატეხა, როცა გაიგო, სახლში ერთი ქალია. ეხეკოვა თუ ეცოტავა, ვერ გავიგე. გალეშილმა მთვრალმა სულ ლანძღვა-გინებით ჩაიარა თექვსმეტი სართული.

დიკმა ჩემზე თქვა:

— This is a friend of mine![1]

მე მგონი, ის თავის ძმაკაცებსაც ველარ არჩევდა ერთმანეთისაგან. ვილაცა გაბარულია, ამბობდა. მე ავუხსენი, ერთი უკან გაბრუნდა-მეთქი. დიკი ზრუნავდა, არც ერთი ამხანაგი არ დაჰკარგვოდა და ძმაკაცებს თითებზე ითვლიდა. ბოლოს როგორც იქნა დაასკვნა, ერთი კაცი აკლიათ.

— He's lost, — თქვა მან. — anyhow[2].

რა თქმა უნდა, ვცდილობდი, ყველაფერი ხუმრობად მიმეღო, ისიც, ინდური ვაზა რომ ნამსხვრევებად იქცა, მერე ჩემი მაინც ყოფილიყო.

აივიმ მითხრა, იუმორის გრძნობა გაკლიათ.

ერთი საათი ისე გავიდა, წარმოდგენა არ მქონდა, ეს ხალხი ვინ იყო. ერთმა, ცნობილი მსახიობი ვარო. ეს რომ დაემტკიცებინა, იმუქრებოდა, მეთექვსმეტე სართულის აივნის მოაჯირზე ყირას გავჭიმავო. როგორც იქნა, დავაკავეთ, მაგრამ ამ დროს ვისკით სავსე ბოთლი ძირს ვადაგვივარდა. არავითარი მსახიობი ის არ იყო, ამას მხოლოდ ჩემს გასაოცაშებლად ამბობდნენ, არ ვიცი კი, ჩემი მოტყუება რაში სჭირდებოდათ. საბედნიეროდ, ბოთლი არავის არ დასცემია თავზე. მაშინვე ძვეეით ჩავედი. უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ძირს ხელი დამხვდებოდა შეგროვილი, სანიტრები, სისხლი, პოლიცია და დაპატიმრება არ აცდებოდა. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი! ეკან რომ შემოვბრუნდი, ყველამ სიცილი დამიყარა. არავითარი ვისკიანი ბოთლი არ ვადავარდნილაო.

რომელი იყო სიმართლე, არ ვიცი.

ტუალეტს მივადექი, კარი ჩარაზული დამხვდა. ლომი გამოვიტანე და კარი შევგლიჯე. ერთი სტუმარი იატაკზე იჯდა. სიგარეტს აბოლებდა და მეკითხებოდა, რა გქვიაო.

ასე გაიარა მთელმა ღამემ.

— თქვენს სულში შეიძლება მოკვდეს კაცი, — ვთქვი მე, — შეიძლება კაცი ისე მოკვდეს, რომ ვერც კი შენიშნოთ, მეგობრობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. კაცი შეიძლება მოკვდეს თქვენს ხელში! — ვყვიროდი მე, — ან რად ელაპარაკებით ერთმანეთს, რისთვის? — საკუთარი ყვირილი მესმოდა. — რა საჭიროა ეს კამპანია, თუ კაცს ისე გასძვრება სული, რომ ვერც შეამჩნევთ.

მე მთვრალი ვიყავი.

ასე დაგვათენდა თავზე. როდის ან როგორ წავიდნენ ისინი, არ ვიცი. მხოლოდ დიკი იწვა ჩემს ოთახში.

9.30 გემზე უნდა ვყოფილიყავი.

---

[1] ეს ჩემი მეგობარი გახლავთ (ინგლ.).

[2] დაიკარგა და დაიკარგოს (ინგლ.).

თავი მტკიოდა. ბარგს ვალაგებდი და მიხაროდა, რომ აივი მეხმარებოდა. მაგვიანდებოდა. მაგრამ მაინც ვთხოვე, შენებური გემრიელი ყავა მომიხარშე-მეთქი. აივი ალერსიანად მექცეოდა და გემზე გამაცილა. რა ექმა უნდა, იტირა კიდეც. აივის ჩემს გარდა — ქმარზე არ ვლაპარაკობ — [illegible] და თუ არა, არ ეიცი. [illegible] ბლებს არასდროს არ ახსენებდა. მხოლოდ [illegible] ილო სიტყვები მაგონდება: „I'm, just a dead-end-kid“ [1]. ის ბრონქსიდან იყო, მეტი მართლა არაფერი ვიცოდი აივიზე. ჯერ მოცეკვავე მეგონა, მერე კოკოტი, არც ერთი აღმოჩნდა მართალი და არც მეორე. მგონი, აივი მართლა მუშაობდა მანეკენად.

გემბანზე ვიდექით.

აივის თავისი შლაპა-კოლიბრი ეხურა.

შემპირდა, ყველაფერს მოვუვლი, ბინასაც და „სტუდებეკერსაც“. გასაღები მივეცი და მადლობა გადაეუხადე. გემი უკვე სიგნალს იძლეოდა და რეპროდუქტორითაც რამდენჯერმე გააფრთხილეს გამცილებლები, გემიდან ჩამოსულიყვნენ. სირენები ისე გასწიოდნენ, რომ ყურებში თითი დავიცვი. აივი ყველაზე ბოლოს გადაეიდა ნაპირზე.

ხელი დავუქნიე.

თავს ძალა დავატანე და დავმშვიდდი. გამიხარდა, როცა მძიმე ბაგირები ახსნეს. ულრუბლო ამინდი იდგა. მიხაროდა, რომ ყველაფერი ჩინებულად მოეწყო.

აივიმაც დაქნია ხელი.

„არა, სულაც არ არის ცუდი გოგო“. — გავიფიქრე მე, თუმცა აივი ახლაც გამოცანად რჩებოდა ჩემთვის.

ამწევი ონკანის საყრდენზე ვიდექი, შავმა საბუქსირო კანჭოებმა გაშლილი ზღვისაკენ გვაქნევინეს პირი. სირენებმა ერთხელ კიდევ იწივლეს, მე (ჩემი ახალი ტელეობიექტივით) აივი გადავიღე. იგი ხელს მანამდე მიქნევდა, სანამ შეუიარაღებელი თვალით კიდევ შეიძლებოდა ადამიანის სახის გარჩევა. ნავსადგურიდან გამოსვლა გადავიღე, მანჰეტენიც და ჩვენს გემს ადევნებული თოლიებიც.

□ □

ოთახიმი (ხშირად ვფიქრობ ასე) მიწაში კი არ უნდა დაგვემარხა, უნდა დაგვეწვა. მაგრამ ახლა ამ ამბავს აღარაფერი ეშველებოდა. მარსელი სავსებით მართალია: ცეცხლი სუფთაა, მიწა, ერთი ავღარი და, ტალახად იქცევა (ეს უკან დაბრუნებისას გამოვცადეთ), ჩანასახებით სავსე, ვაზელინივით სლიპინა ტალახად.

გარიჟრაჟზე ისე ჩანს წუმპეები, საშოდან გადმოდენილი ბინძური სისხლი გვგონია. შიგ სალამანდრები ამხმარტალებენ კუდებს, სპერმატოზოიდებივით დასხმარტალებენ. ამაზრზენი სანახაობაა!

(მე მინდა დამწვან!)

უკან რომ ვბრუნდებოდით, გზაში თითქმის არ დავბრკოლებულვართ. მხოლოდ ღამით თუ შევჩერდებოდით, როცა მთვარე ჩავიდოდა და უკუნეთში

[1] მე ერთი გზააბნეული ბავშვი ვარ (ინგლ.).

გზას ვეღარ ვიგნებდით. წვიმდა. მთელი ღამე წვიმის შხაპუნი ისმოდა. ფარები ახეთებული დავტოვეთ, თუმცა ერთ ადგილზე ვიდექით. ისეთი ბნელი ისმოდა, წარღვნა გვეგონებოდათ, მიწას ჩვენი ფარების შუქზე [illegible] ადიოდა. ცოდან კოკისპირულად ასხამდა თბილი, ბლანტი წვიმა. ქარი ჩადგა. ფარების შუქზე უძრავად მდგარი ხეები და ჰაერში აშვერილი ფესვები, [illegible] ეთესვები შუქზე ნაწლავებივით ელავდნენ. მიხვროდა, რომ მარტო არ ვიყავი, თუმცა არავითარი საშიშროება არ მომელოდა; დელგმა მოლიოდა. ერთი წუთით არ მოგვიხუჭავს თვალი. როგორც ფინურ აბანოში იცით, ისე ვიყავით დაყუნტული, ტანზე არ გვეცვა, სველ ტანსაცმელს ვერ ვეგუებოდით. ეს ხომ მხოლოდ წყალია და სხვა არაფერი — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — გულისაკრავი რატომ უნდა იყოს-მეთქი. გათენებისას წვიმა ისე მოულოდნელად შეწყდა, თითქოს შხაპი გალაკეტესო: მაგრამ ხის ტოტებიდან წყალი მაინც მოწვეთავდა. ირიქრაქა! ოდნავაც არ აგრილებულა. ცხელი, ოხშივარიანი დილა გათენდა, მზე ჩვეულებრივზე უფრო წეზოვანი იყო, ფოთლები ლაპლაპებდა, ოფლის, წვიმისა და მაზუთისაგან ახალშობილებივით ვიყავით გალუმპული. საჭესთან მე ვიჯექი. არ ვიცი, როგორ მოვახერხეთ ჩვენი „ლენდროვერით" მდინარეში გასვლა, მაგრამ გავედით კი. ახლა ვერაფრით ვერ წარმოვიდგინა, ამ აბუყბუყებულ თბილ წყალში ოდესმე თუ დავცურავდით. მანქანა წუმპეებში მიდიოდა და ორივე მხარეზე ტალახიან წყალს აშხეფებდა. გარიჟრაჟზე ეს წუმპეები ამაზრზენად მოჩანდა. ერთხელ მარსელმა თქვა:

— Tu sais que la mort est une femme?

მარსელს შევხედე.

— Et que la terre est une femme!' — დასძინა მან.

უკანასკნელი სიტყვები ამ წყლიან ისეთი ზედგამოჭრილი იყო, რომ ჩემდა უნებურად ხმამაღლა გამეცინა, როგორც უწმაწურ ხუმრობაზე გაიცინებს ხოლმე კაცი.

□ □

ნავსადგურიდან ახალი გამოსული ვიყავით, როცა „ცხენის კუდიანი" ქალიშვილი პირველად დავინახე. მგზავრებს სასადილო დარბაზში მოგვიყარეს თავი, რომ მაგიდები გაენაწილებინათ. ჩემთვის, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა ჰქონდა: ვისთან დავჯდებოდი, მაგრამ მაინც ნაძაკაცებთან მოხვედრა მერჩია, სულ ერთი იყო, რა ენაზე მოლაპარაკენი იქნებოდნენ. მაგიდების განაწილების საშველი არ დაადგა. სტიუარდს, წმინდა წყლის ფრანგ ბიუროკრატს, თავისი გეგმა ჰქონდა. ვინც ფრანგულად არ ლაპარაკობდა, იმას ზედაც არ უყურებდა, სხვებთან კი ენას გაუჩერებლად ატარტალებდა. წამდაუწყმ მესმოდა: Charmant[2]. მგზავრების კარგა გრძელი რიგი გაიჭიმა. ჩემს წინ შაე. კაებოურ შარვალში გამოწყობილი, თითქმის ჩვენსიმაღლე ქალიშვილი იდგა, ინგლისელი იყო თუ სკანდინავიელი, ვერ გავარჩიე — სახე ვერ დავუნახე, ვხედავდი მხოლოდ ქერა, თუმცა ქერა კი არა, მოწითალო „ცხენის კუდს", რომელიც თავის

[1] იცი, რომ სიკვდილი ქალია? და დედამიწაც რომ ქალია? (ფრანგ.).

[2] ჩინებულია (ფრანგ.).

ყოველ განძრევაზე აქეთ-იქით ეხეთქებოდა. ბუნებრივია, ნაცნობ სახეებს ვეძებდა. ჭიამ შეიძლებოდა, ვინმეს გადავყროდი. მე მართლა მამაკაცებთან ჯდომა შერცხა. ქალიშვილი მთოლიდ იმიტომ წეკვამრნე, რომ მისი „ცხენის ადგილ“ ერთ ხანევარ საათს მაინც ზეო ცხვირწინ მიტრიალებდა. სახეს, როგორც ვთქვი, ვერ ვხედავდი. მხოლოდ დროის მოსაკლავად ვცდილობდი. ... სადე მქონდა, ისევე, როგორც კოსეორდის ამოხსნისას ... ეჭვლაზრლობა თითქმის არ ჩანდა. მას (ზუსტად მახსოვს) შავი პულოვერი ეცვა, ფეხზე — ესპადრილები, ყელზე უბრალო ხის მძივები ეკიდა, ყველაფერი საკმაოდ იაფფასიანი, ასე ვთქვათ, ეგზისტენციალური. სიგარეტს ეწეოდა, იღლიაში სქელი წიგნი ჰქონდა ამოჩრილი. კოებოური მარელის უკანა ჯიბიდან ეწვინე სავარცხელს მოუჩანდა თავი. ისე დიდხანს ვუცქიდი ჩემს რიგს, რომ იძულებული ვიყავი დავკვირვებოდი. ეტყობოდა, ძალიან აბალგაზრდა უნდა ყოფილიყო: ამას ნის კისერზე ამოსული ენაწლიც ამხელდა, მისი მიხრა-მოხრაც და პატარა ყურებიც. ზედ რომ სიწითლე მოეფენებოდა, როცა სტიუარდი ვაიხუნრებდა ხოლმე. ხელმოცარეზე არ ეტეხოდა, მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა. მისთვისაც ასევე სულ ერთი იყო, პირველ ცვლაში მოხვდებოდა თუ მეორეში.

ის პირველში მოხვდა, მე — მეორეში.

ამასობაში ამერიკის უკანასკნელი ნაპირი ლოხვ-აილენდიც გაუჩინარდა. ირგვლივ წყლის მეტი აღარაფერი ჩანდა. ჩემმა კინოაპარატი კაიუტაში ჩავიტანე და პირველად დავინახე ჩემი თანამგზავრი — აბალგაზრდა. ჯიბეებით ჩასხრული კაცი, ასრაელელი ფერმერი ლაბარე ლევინი. ჩემს თანამგზავრს ქვეო საწოლი დავუთმე. კაიუტაში რომ შევედი, იგი თავისი ბილეთის თანახმად ზედა საწოლზე იჯდა, მაგრამ, მგონი, ორიგესთვის სჯობდა ეს ზორბახი კაცი ქვეა საწოლზე დამჯდარიყო და თავისი ათასგვარი წვრილმანი იქ გადიეტანა.

პირი გავიპარეა — დიდით ვაპარსავ ვერ მოვასწარი. ის ელექტროსამართებელი ჩავრთე, გუშინ რომ დავშალე. შშვენიერად მუშაობდა. ბატონი ლევინი თურმე ვალიფორნიაში სოფლის მეურნეობას სწავლობდა. მე პირს ვიპარსავდი და ლოტას ელაპარაკობდი.

შემდეგ კვლავ გემბანზე გამოვედი...

ირგვლივ წყლის გარდა არაფერი ჩანდა. ვიდექი და იმის მაგიერად, რომ შეზლონგზე მიზიდნა, თავისუფლებით ვტკბებოდი.

ყველა წესი ჯერ არ ვიცოდი.

უკან თოლიები მოგვყვებოდნენ...

გემზე ბევი დღე როგორ ეხდა გამეტარებინა, წარმოდგენა არ მქონდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გემბანზე ბოლთას ვცემდი, ხან ქარის მიმართულებით მიეფარფატებდი, ხან წელში წაკეცილი ისევ ქარის საწინააღმდეგოდ ვიკლავდი გზას. შარვალი მიფრიალებდა... მიყვარდა, სხვა მგზავრებს შეზლონგები საიდან ჰქონდათ. ყველა შეზლონგზე სახელი იყო მიკრული. სტიუარდს რომ ვიკითხე, მეტი შეზლონგი აღარ იყო.

ზაბეტი პინგ-პონგით ერთობოდა.

ჩინებულად თამაშობდა. ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, აქეთ-იქით დაბტოლა ბურთი, სიამოვნებით ვუყურებდი. მე თვითონ დიდი ხანი იყო აღარ მეთამაშა.

მან ვერ მიცნო.

მე თავი დავუკარი.

ვიღაც ახალგაზრდა კაცს ეთამაშებოდა. შეიძლება მეგობარი იყო მისი, ან იქნებ საქმროც. მას ტანსაცმელი გამოეცვალა და ახლა ხაკისფერი ზარისებური ქვედაკაბა ეცვა. კაბა, ჩემი აზრით, შარვალზე მეტად უხდებოდა, თუ, რა თქმა უნდა, დავუშვებთ, რომ ეს ნამდვილად იგივე ქალიშვილი იყო.

ეროუნელი

ბიბლიოთეკა

ყოველ შემთხვევაში, ის ახლა არსად ჩანდა.

ბარი შემთხვევით ალმოვაჩინე. შიგ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ბიბლიოთეკაში მხოლოდ რომანები ჰქონდათ. ერთგან ბანქოს მაგიდებსაც მოვკარი თვალი, მაგრამ იქაც მოწყენილობა სუფევდა. გარეთ ქარი ჰქროდა, თუმცა იქ ნაკლებად შოგწყინდებოდა, გემის მოძრაობას მაინც ხედავდი.

სიმართლე თუ გნებავთ, მხოლოდ მზე მოძრაობდა. იშვიათად ჰორიზონტზე სატვირთო გემი თუ გამოჩნდებოდა.

ბაის ოთხ საათზე ვსვამდით.

ხანდახან ისევ პინგ-პონგის მაგიდასთან მივდიოდი. სახეზე რომ შევხედავდი, სახტად დარჩენილი ჩემს თავს ვეკითხებოდი, ნუთუ ეს იგივე ქალიშვილია, ჩემს წინ რომ იდგა-მეთქი. სასეირნო გემბანის ფართო ფანჯარასთან ვიდექი და ვითომ ხელის გაყუჩებდი. ზურგიდან რომ ვაკვირდებოდი და მის მოწითალო „ცხენის კუდს" ვხედავდი, ნამდვილად ის იყო. მაგრამ წინიდან უცნაური მეჩვენებოდა. თვალები სოციისფრო-სინაცრისფრო ჰქონდა, როგორც ხშირად აქვთ ხოლმე წითურთმიანებს. მან პორტია წაიგო, ქაკეტი გაიხადა და ხალათის სახელოები დიკაბიწა. ერთხელ ისე დამეჯახა, კინალამ გადამატრიალა. ბოდიშიც არ მოუხდია. ქალიშვილი ბუზადაც არ მაგდებდა.

ხანდახან ფანჯარას მოვშორდებოდი და გავიელვიდი.

გემბანზე აცივდა. იქაურობა შხეფებისაგან დასველდა და სტიუარდმა შეზლონგები აკეცა. ტალღების ხმაური ახლა უფრო მკაფიოდ ისმოდა. ტალღების ხმაურს თან ერთვოდა პინგ-პონგის ბურთის ხმა: ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ.

მზე ჩავიდა. ამაცივდა. პალტოს ამოსატანად ჩემი კაიუტისაკენ გავემართე. გზაზე ისევ სასეირნო გემბანზე ბომბუნია გავლა. მე მას ბურთი მივაწოდე. ჩემი ფიქრით, თავი არაფრით არ მიმიძალებია. მაღლობა ინგლისურად გადამიხადა (ისე გერმანულად ლაპარაკობდა). ამ დროს გონგის ხმაც გაისმა და იგი სასადილოსაკენ გაემართა.

პირველი საღამო გადავიტანე.

ჯკან პალტოჩაცმული დავბრუნდი. ხელში კინოაპარატი მეჭირა. მზის ჩასვლა მინდოდა გადამეღო. იქით გავიხედე და დავინახე, რომ პინგ-პონგის ორივე ჩოგანი მწვანე მაგიდაზე ეწყო.

. . . . . .

აბა, რა შეიცვლება, მე რომ ვამტკიცო, ეჭვი არაფერზე ამიღია, არც შემეძლო რაიმე მცოდნოდა-მეთქი! მე დაველუპე ჩემი შვილი და ამ ამბავს ველარაფერს ვუშველი.

რაღა საჭიროა მოყოლა? მე არ შემყვარებია „ცხენის კუდიანი" ქალიშვილი, მე ის მხოლოდ თვალში მომხვდა, მეტი არაფერი, აბა საიდან შეიძლებოდა ეჭვი დამშადებოდა, რომ ჩემი ქალიშვილი იყო. მე ხომ ისიც არ ვიცოდი, რომ შვილი მყავდა. რა მოსატანია აქ ბედისწერა? შეყვარებული არ ვყოფილვარ,

პირიქით, თავიდან იგი უფრო უცხო მეჩვენებოდა, ვიდრე სხვა რომელიმე ქალიშვილი. ჩემი ქალიშვილი და მე ერთმანეთსაც სრულიად შემთხვევით გამოველაპარაკეთ. ასევე თავისუფლად შეიძლებოდა ერთმანეთისათვის გვეთქვა ავგვევლო. რა შუაშია აქ ბედისწერა! ხომ შეიძლებოდა, სულ სხვა [illegible] ულიყო საქმე.

ბიბლიოთეკა

. . . . . .

იმავე საღამოს, როცა ნაზის ჩასვლა გადავიღე, პინგ-პონგის პარტია ეითამაშეთ, ჩვენი პირველი და უკანასკნელი პარტია. გამოლაპარაკების საშუალება თითქმის არ მოგვცემია. აღარც კი მეგონა, თუ ადამიანი შეიძლებოდა მასავით ახალგაზრდა ყოფილიყო. მე კინოაპარატის აგებულება ავუხსენი, მაგრამ მას ჩემი არაფერი აინტერესებდა. თამაში გაცილებით უკეთესად გამოგვიდა, ვიდრე მოველოდი. მე ხომ ათ წელიწადზე მეტი იქნებოდა, არ მეთამაშა. ის მხოლოდ ჩემზე უფრო სხარტად ურტყამდა ბურთს, ჭრიდა. აღრე მეც ვიცოდი მოჭრილი დარტყმები, მაგრამ თამაშს გადაჩვეული ვიყავი და ძველებურად ვეღარ ვნაეჭიბდი. ის კი, სადაც ხელი მიუწვდებოდა, მოჭრილ ბურთებს მაძლევდა. მაგრამ დარტყმა ყოველთვის არ გამოუდიოდა. მე თავს ვიცავდი. პინგ-პონგში მთავარია, საკუთარი ძალის რწმენა გქონდეს, მეტი არაფერი. არც ისე ბებერი ვახლდით, როგორც ამ ქალიშვილს ეგონა. ალბათ, მოელოდა, ჰოპ! ჰოპ! — და პარტიას მოვუგებო. არც ისე იყო საქმე. ნელ-ნელა ავუღე ალღო, მისი დარტყმული ბურთები როგორ უნდა მომეგერიებინა. ნამდვილად თავი შევაწყინე, მისი პარტნიორი, ულვაშებგადაწკეპილი ყმაწვილი, ბუნებრივია, ჩემზე გაცილებით კარგად თამაშობდა. სახეზე ნალე წამოვწითლდი. მე უფრო ხშირად მიხდებოდა დაკუზვა, მაგრამ არც იმას დასდგომია კარგი დღე. ყაკეტი გაიხადა და სახელოებიც ფაიკაპიწა, ჩემი გაცამტვერება უნდოდა, დროდადრო თავის „ცხენის კუდს“ მოუთმენლად უკან გადაიგდებდა ხოლმე. მისი ულვაშებგადაწკეპილი მეგობარი თავზე წაუოგვადგა. ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ღიმილით დაგვიწყო ყურება. იმწამსვე დავდევი ჩოგანი. მან მადლობა გადამიხადა. არაკი შემოუთავაზებია, პარტია ბოლომდე მიეიყვანოთო. მეც მადლობა გადავუხადე და ჩემს პიჯაკს დავწვდი. კაბის კალთაზე ხომ არ გამოვებმებოდი.

მე ხან ვის ვესაუბრებოდი და ხან ვის, მეტწილად მისტერ ლევინს, ზაბეტი არასდროს არ გამომირჩევია. ჩენს მაგიდასთან მსხდომ შინაბერებსაც ვესაუბრებოდი. ეს კლიელენდელი სტენოგრაფისტი ქალები თავს ვალდებულად რაცხდნენ, ევროპა ნანახი ჰქონოდათ. ხშირად ველაპარაკებოდი ერთ ჩიკაგოელ ბაპტისტს, მაგრამ მჩიაროულ ყმაწვილს.

უსაქმოდ ყოფნას მიჩვეული არა ვარ.

საღამოობით, ძილის წინ, ჰაერის ჩასაყლაპად ყველა გემბანს მარტოდმარტო დავიელიდი ხოლმე. თუ მას სიბნელეში თავის პინგ-პონგის პარტნიორთან ხელიხელგაყოფილს გადავეყრებოდი, თვალს ისე ამარიდებდა, თითქოს მე არავითარ შეშფოთებაში არ უნდა მცოდნოდა, რომ შეყვარებული იყო.

მართლაც, რა ჩემი საქმე იყო ეს!

მე, როგორც ვთქვი, ჰაერის ჩასაყლაპად გამოვდიოდი.

მას ეგონა, რომ ეეჭვიანობდი.

დილით მოაჯირთან ვიდექი მარტო. ის მოვიდა და შემეკითხა, თქვენი მეგობარი სად არის. სულაც არ მაინტერესებდა, ჩემს მეგობარს ვის ეძახდა. ისრაელელ ფერმერს თუ ჩიკაგოელ ბაპტისტს. მას ეგონა, რომ [illegible] მოწყენილი ვიყავი და ჩემი გართობა მოინდომა. მანამდე არ მოიცალა. [illegible] ბიოგრაფიაზე, რადარებზე, დედამიწის ფორმაზე, ელექტრობაზე, ენტ[illegible] მისთვის უცნობ ამბებზე არ ამალაპარაკა. ის სულაც არ [illegible] ბევრი ვერ გაიგებს ეგრეთ წოდებულ მაქსველის დემონს, როგორც ამ პატარა გოგომ გაიგო, ზაბეტს რომ ვეძახდი,—რადგან ჩემი აზრით, ელიზაბეტი აუტანელი სახელია. მე ის მოვწონდი, მაგრამ არავითარ მენთხვევაში არ გავარმიყებივარ. მასწავლებელივით ვლაპარაკობდი და მისი ღიმილის მეშინოდა. ზაბეტს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იყო კიბერნეტიკა და ბავშვურ მოსაზრებებს გამოთქვამდა რობოტებზე. ჩვეულებრივ ასე ხდება ხოლმე, როცა ამ საკითხზე უცოდინარ ადამიანთან ლაპარაკობ. მანქანების მიმართ ადამიანების უნდობლობას ვერ ვიტან. ეს უნდობლობა ისეთივე გონებაშეზღუდულობის მაჩვენებელია, როგორც გაცვეთილი არგუმენტი: ადამიანი მანქანა არ არის... მე მას ავუხსენი, რას წარმოადგენს თანამედროვე კიბერნეტიკა. კიბერნეტიკა ინფორმაციას ემყარება. ჩვენი მოქმედებები პასუხია ეგრეთ წოდებულ ინფორმაციაზე, მამასადამე, იმპულსებზე. თუმცა ეს ავტომატური პასუხებია, რომელიც მეტწილად ჩვენს ნებას არ ემორჩილება, რეფლექსებია, რომელსაც მანქანა ადამიანზე უკეთ თუ არა, უარესად არ ვაორთმევს თავს.

ზაბეტმა შუბლი შეიკრა (როგორც უკბილო ხუმრობის მოსმენისას იცოდა ხოლმე) და ისე გაიცინა. მე დავუსახელე ნორბერტ ვინერის წიგნი: „Cybernetics or Control and Communication in the Animal and the Machine, M. I. T. 1948"[1].

რა თქმა უნდა, ილუსტრირებულ ჟურნალებში ლამაზულ რობოტებზე რომ ვლაპარაკობდი, არამედ სწრაფ გამომთვლელ მანქანებს ვგულისხმობდი, ელექტრულ ტვინსაც რომ უწოდებენ ხოლმე. მას ვაკუუმის ელექტრონები მართავს და ადამიანის ტვინს სჯობნის კიდეც. ერთ წუთში ასეთი მანქანა 2.000.000 შეკრება-გამოკლებას აწარმოებს, ასევე სწრაფად ასრულებს უმცირეს სიდიდეთა გამოთვლებს, ლოგარითმები მას უფრო სწრაფად გამოჰყავს, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია ამოცანის შედეგი წავიკითხოთ, ისეთი ამოცანის ამოხსნას კი, რომელსაც აქამდე ერთი მათემატიკოსის სიცოცხლე სჭირდებოდა, მანქანა რამდენიმე საათს ანდომებს და უფრო სიზუსტეც წყვეტა, რადგან მანქანას არაფერი არ ავიწყდება, მას გაცილებით მეტი ინფორმაცია შეუძლია დაიმახსოვროს, ვიდრე ადამიანის ტვინს. რაც წთავარია, მანქანა არაფერზე არ გაწიცლის, მას არც ეშინია და არც არაფრის იმედი აქვს, გრძნობები მხოლოდ ხელიაწყვეტილია. მანქანას არც რაიმე სურვილი ამოძრავებს, ის წმინდა ლოგიკის კანონებით მუშაობს, ამიტომ ვამბობ: „რობოტი ჩვენზე უფრო ზუსტია შეცდომებში, ვინ იმოქმედებდეს მეტ იცის, რადგან მომავლის გამოთვლა შეუძლია. ის არც ფილოსოფოსობს და არც ოცნებობს, მხოლოდ საკუთარი შედეგების მიხედვით ნოქმედებს და არ შეიძლება შეცდეს; რობოტს არავითარი წინათგრძნობები არ სჭირდება".

---

[1] კიბერნეტიკა, ანუ მართვა და კავშირი ცხოველებში და მანქანაში (ინგლ.).

ზაბეტმა მითხრა, უცნაური კაცი ხართო.

მე წვინი, მას ცოტათი მოვწონდი, ყოველ შემთხვევაში, როცა გემბანზე შევხვდებოდი, თავს მიქნევდა. იგი თავის შეზლონგზე იწვა ხოლმე, დამინახავდა თუ არა, წიგნს დაავლებდა ხელს, მაგრამ მესალმებოდა კი.

— ჰელო, მისტერ ფეიბერ!

მისტერ ფეიბერს მეძახდა. მე თვითონ ჩემი სახელისა [illegible] წარმოთქმასა ვარ მიჩვეული და მასაც აეე გავაცანი. თავი ისე გერმანულად ვლაპარაკობდით.

თავს არ ვაბეზრებდი.

სხვა რომ არა იყოს რა, საშუშაო მქონდა...

ხლვით ნოგზაურობამ სასაცილო ღლეში ჩამაყენა. ხუთი დღე უმანქანოდ: მე ჩვეულებრივ ან ვმუშაობ, ან საჭესთან ვზივარ ხოლმე. როცა არაფერი არ მოძრაობს, ჩემთვის დასვენებას ფასი არა აქვს. საერთოდ კი, მიუჩვეველი ვარ-ემი ნერვებს მიშლის და მუშაობის უნარსაც მიკარგავს. ხლვაზე ბიდიხარ და ბიდიხარ, დღე და ღამე მუშაობენ მოტორები, გესმის მათი ხმა. გრძნობ მათ, გრძნობ განუწყვეტლივ, ნაგრამ მხოლოდ მზე მოძრაობს, უფრო სწორად, მთვარე, ჩვენი სამყარო იარეა, ზვირთებს მიაბობს, შეიძლება მოძრაობის ილუზიაც კი შეგექმნეს, მაგრამ ჰორიზონტი უცვლელი რჩება, და კაცი მიჯაჭვულივით სეფროს შუაგულში ხარ ძოქცეული, მხოლოდ ტალღები მასრიალებენ, არ ვიცი, საათში რამდენი კვანძის სისწრაფით, საკმაოდ სწრაფადაც კი, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის — მხოლოდ ხანი გემატება.

ზაბეტი ან პინგ-პონგს თამაშობდა ან კითხულობდა.

თითქმის მთელი დღე გემბანზე დავეხეტებოდი, თუმცა წეუძლებელია ისეთ ვინმეს შეხვდე კაცი, ვინც გემზე არ იმყოფება. ათი წლის განმავლობაში არ მიგვლია ფეხით იმდენი, რაც იმ ერთ დღეს ვიარე. ხანდახან ბაპტისტი თავს დაიმალებდა და მე და ის დროის მოსაკლავად ქეგლის ბერთებს ეგორებ-დით, ამდენი დრო ჩემს სიცოცხლეში არ მქონია, მაგრამ გვინის ყოველდღიური გაზეთის წაკითხვასაც კი ვერ ვახერხებდი.

„News of Today.“ [1]

მოძრაობდა მხოლოდ მზე.

„President Eisenhower says...“ [2]

რა ჩემი საქმეა მერე!

მთავარია, ხის ბუროი მიზანში მოახვედრო და გაგროდეს, რომ ვინც ამ გემზე არ არის, თავზე ვერ წანოგადგება, მაგალითად, ივი აქ ვერ მოგწვდება.

მშვენიერი ამინდი იდგა.

ერთ დილას, როცა მე და ბაპტისტი ვსაუზმობდით, ჩვენს მაგიდას ზაბეტი შეგოუჯდა. გულწრფელად გამიხარდა... ზაბეტს თავისი შავი კოვბოური შარვალი ეცვა. დარბაზში ცარიელი მაგიდები იყო. ამას იმიტომ ვამბობ, თუ ქალიშვილს ვეჯავრებოდი, ჩვენთან არ დაჯდებოდა-მეთქი. ნამდვილად გამიხარდა.

ბაპტისტი და ზაბეტი პარიზის ლუვრზე ლაპარაკობენ. ლუვრს მე სრულეზით არ ვიცნობ და ვაშლს ვთლი. ზაბეტი ინგლისურად ჩინებულად ლაპარა-

---

[1] ახალი ამბები (ინგლ.).

[2] პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა (ინგლ.).

კობს. ისევ მიბკრობს გათლების გრძნობა: რა ახალგაზრდაა ზაბეტი! საკუთარ თავს ვეკითხები, ნეთუ მეც ასე ახალგაზრდა ვიყავი ოდესმე?

მისი შეხედულებანი: ადამიანი, რომელიც ლუვრს არ იცნობს, თანაც იმიტომ, რომ არ აინტერესებს ლუვრის ნახვა, ადამიანად არ ჩაითვლება.

ზაბეტს მგონია, დავცინი, სინაძდვილეში კი ბაპტისტი ადამიანის მე

— Mister Faber is an engineer[1], — ამბობს ივი.

ბე მის სულელურ ოხუნჯობას ინჟინრებზე არაფრად ვაგდებ. მხოლოდ ის მაგიჟებს, ქალიშვილს რაღა ეარშიყება, ის ხომ ამ მაგიდას მისი გულისთვის არ შემოსჯდომია.

მაგიჟებს მისი ხორციანი ხელი, ზაბეტს ჯერ მკლავზე რომ ადებს, მერე — მხარზე, მერე ისევ — მკლავზე. რატომ ეკარება? მხოლოდ იმიტომ, რომ ლუვრს იცნობს კარგად?

— Listen, — იმეორებს წამდაუწუმ, — listen...[2]

ზაბეტი:

— Yes, I'm listening...[3]

თან სათქმელიც რომ არაფერი აქვს ამ ბაპტისტს? ლუვრს მხოლოდ იმიტომ ახსენებს, რომ ქალიშვილს ხელი წააგლოს, ფუ, რა ბებრული მანერაა! თან ჩემზე ახიშნებს ღიმილით.

— Go on, — მეუბნება ბაპტისტი, — go on![4].

ჩემი აზრით, ინჟინრის პროფესია, რაც არ უნდა იყოს: მამაკაცური პროფესიაა. შესაძლოა ერთადერთი მამაკაცური პროფესიაც კი. მე ვამბობ, ჩვენ აი, ახლა ვეშზე ვიმყოფებით, ვეში კი ტექნიკის პირმშოა-შეთქი.

— True, — ამბობს ივი, — very true![5].

თან ქალიშვილს ხელს არ აშორებს, აქაოდა რა თავაზიანი და ყურადღებიანი ვარო.

— Go on, — მეუბნება ივი, — go on!

ქალიშვილს უნდა მონეშველოს და საუბარი ჩემთვის უცნობი სკულპტურებიდან რობოტებზე გადააქვს. რობოტებზე ლაპარაკი ახლა სულ არ მეპრიანება. მხოლოდ იმას ვამბობ, რომ სკულპტურები და მისი მსგავსნი (ჩემს თვალში) რობოტების წინაპრები არიან. პირველყოფილი საზოგადოება სიკვდილის გაბათილებას ცდილობდა, როცა ადამიანის სხეულს აკვანდაკვეშდა. ჩვენ კი იმით ვაბათილებთ სიკვდილს, რომ ადამიანის შემცვლელებს ვქმნით ტექნიკა მისტიკის ნაცვლად!

ბედზე მისტერ ლევინი ვამოჩნდა. ვამოიარკვა, რომ ლუვრი არც მისტერ ლევინს ჰქონია ნანახი და მადლობა ღმერთს, სასაუბრო თემა შეიცვალა. მისტერ ლევინს ვუშინ ჩვენი ეშმის სამარეზეთ ვანყოფილება მოუნახულებია. დაიწყო ორმხრივი საუბარი: ბაპტისტი და ზაბეტი ისევ ეან ვოგზე ლაპარაკობენ, ლევინი და მე ლიზელ-მოტორებზე. მართალია, ლიზელ-მოტორები მაინტერე-

[1] მისტერ ფერბერი ინჟინერია. (ინგლ.).
[2] ყური მიგდეთ.... (ინგლ.).
[3] დიახ, ვისმენთ... (ინგლ.)
[4] განაგრძეთ! (ინგლ.).
[5] სწორია, საუბარია სწორია (ინგლ.).

სებს, მაგრამ ცალი თვალი ქალიშვილისაკენ მიჭირავს, იგი ბაპტისტს ყურადღებით უსმენს, თუმცა მის ხელს მაინც იცალებს და ხელსახოცივით /ფენს მაგიდაზე თავის გვერდით.

— Why do you laugh?[1] — მეკითხება ბაპტისტი.

— მეცინება და რა ვქნა.

—Van Gogh is the most intelligent fellow of his time, — მეუბნება იგი, — have you ever read his letters?[2]

ზაბეტი მეუბნება:

— მან მართლა ბევრი რამ იცის.

როგორც კი მისტერ ლეეინი და მე ელექტრობაზე ვიწყებთ ლაპარაკს, მაშინ ჩვენება პატივცემულმა ბაპტისტმა ადარაფერი აღარ იცის, ზის თავისთვის, ვაშლს თლის და ხმას არ იღებს.

ბოლოს და ბოლოს საუბარი გადადის ისრაელზე.

შემდეგ გემბანზე (ისე, რომ მე არ დამიძალებია) ზაბეტმა სურვილი გამოთქვა, ერთხელ მე და თქვენ საბანქანო განყოფილებაში ჩავიდეთო. საუთა შორის ვთქვი, საბანქანო განყოფილება ერთხელ მეც უნდა დავათვალიერო-მეთქი. მისი გამოწვევა ვულში ნამდვილად არა მქონია. ზაბეტს გაუკვირდა, წეზლონგი როგორ არა გაქვთო და მაშინვე თავისი შემომთავაზა, მე მაინც პინგ-პონგი უნდა ვითამაშოთ. მადლობა გადავუხადე და იგი წავიდა.

მას შემდეგ ხშირად ვიჯექი ზაბეტის შეზლონგზე. სტიუარდი როგორც კი დამინახავდა, მაშინვე მოჰქონდა მისი შეზლონგი, გამიშლიდა და, მისტერ პაიპერ, დაბრძანდითო, მეტყოდა. ზაბეტის შეზლონგს ეწერა: Miss E. Piper.

გულში ვამბობდი, ალბათ, ყველა ქალიშვილი რაღაცნაირად ჰანას მაგონებს-მეთქი. იმ დღეებში ჰანაზე ხშირად ვფიქრობდი. რას ვუძახით ჩვენ მსგავსებას? ჰანა შაგგარეგანი იყო, ზაბეტი — ქერა, ფეფრო წითური და მათი შედარება ყურით მოთრეულს ჰგავდა. მე მხოლოდ ესაქმობის გამო ვადარებდი მათ. ზაბეტი ახალგაზრდაა, როგორიც ჰანა იყო მაშინ, ლაპარაკობს ისეთივე ლიტერატურულ გერმანულს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს (ვამბობდი გულში) ვინ იცის, რამდენი კაცი ლაპარაკობს ასეთივე გერმანულს. საათობით ვიწექი მის შეზლონგზე, ფეხები აძაგძაგებულ თეთრ მოაჯირზე მეწყო და ზღვას გავყურებდი. სამწუხაროდ, ტექნიკური ჟურნალები არ მქონდა თან, რომანებს ვერ ვკითხულობ, მირჩევნია იმაზე ვიფიქრო, საიდან წარმოიქმნება ეს ვიბრაცია, რატომ არ შეიძლება მისი თავიდან აცილება, ან გამოვიანგარიშო, რამდენი წლის იქნება ახლა ჰანა. თმა გათეთრებული ექნება თუ არა. თვალები დავხუჭე, მინდოდა დამეძინა. ჰანა რომ გემბანზე იყოს, უეჭველად ვიცნობდი, გავიფიქრე; იქნებ არის კიდეც გემბანზე! ავდექი და შეზლონგებს შორის დავიწყე ხეტიალი. მართლა კი არ მჯეროდა, რომ ჰანა შეიძლებოდა გემბანზე ყოფილიყო, ისე, დროის გასაყვანად დავხეტიალობდი. მაგრამ საღამოც (ვალიარებ) მაინც მეშინოდა, მართლა არ შევხვდე-მეთქი. ხანში შესულ ქალებს დინჯად დავუწყე ჭვრეტა. როცა მუქი მზის სათვალე გიკეთია, ხალხის თვალთვალი ძნელი არაა. დგა-

[1] რა გაცინებს? (ინგლ.).

[2] ვან გოგი თავისი დროის ერთ-ერთი უბრკვიანესი ადამიანია. თქვენ თუ წაგიკითხავთ მისი წერილები? (ინგლ.).

ხარ შენთვის, სიგარეტს აბოლებ და თან ხალხს აკვირდები, საკუთარ მშვიდად და საქმიანად. სულ ერთია, შენი ობიექტი მაინც ვერაფერს მიხვდები. გულილობდი, მათი ბნოვანება დაშვედგინა, ეს კი ითლი საქმე რადი იყო. თქის ვერს ნაკლებ ყურადღებაა ვაქცევდი, უფრო ფეხებს და ფეხის ტერ[illegible] ბოდი, პირველ რიგში კი მაინც ხელებს და ტუჩებს. აქა-იქ თვ[illegible] ტეჩებიც მხვდებოდა ხოლმე. თუმცა ასაკს ხელოვნის კანონით დახატულები ყელი ამხელდა. მე ვვარაუდობდი, რომ პანა ჯერ კიდევ ლამაზი უნდა ყოფილიყო, ესე იგი, ხიდვარულის ლირსი იქნებოდა. საბუნებრივად, მათ თვალებს ვერ ვხედავდი, ყველას მზია სათვალე აქონდა აფარებული. აქ შეგხვდებოდა ყოველგვარი გამოხუნებული ძველმანი, რომელსაც, მე მგონი, არც არასდროს ლირსებია აყვავება. ესენი იყვნენ ამბრეული ქალები, კოსმეტიკის ქმნილებანი. ერთი რამ კი მწამდა, — პანა არასდროს არ იქნებოდა ასეთი.

მე ისევ დავჯექი.

მილებში ქარი ზუზუნებდა...

ფაფუკებული ტალღები...

ჰორიზონტზე სატვირთო გემი...

მომეწყინა და ამიტომ ვბჭობდი პანაზე ასე ბრძნულად. ვიწექი, ფეხები თეთრ მოაჯირზე მქონდა შებოჭილი. მოაჯირი ვიბრაციისაგან განუწყვეტლივ ძაგძაგებდა. რაც მე მახსოვდა, ის ანკეტის შესავსებად თუ იკმარებდა. ეს ხიშნები კი რას გიშველის, კაცი თუ თვალწინ არ გიდგას. პანას სახეს, როგორც ვთქვი, ვერ ვიხსენებდი, თვალდახუჭულიც ვერ ვხედავდი...

ოცი წელი ცოტა არ არის.

პანას მაგიერ (თვალი გავახელე, რადგან ჩემს შეზლონგს ვილაც დაეჯახა) კვლავ ის ახალგაზრდა არსება დავინახე, რომელსაც ფროილაინ ელიზაბეტ ბაიბერი ერქვა.

პინგ-პონგის თამაში დასრულებულიყო.

თავგზას ყველაზე უფრო მისი ერთი ჩვეულება მიბნევდა: საუბრის დროს, თუ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა სურდა, თავის „ცხენის კუდს“ ზურგზე გადაიგდებდა ხოლმე. (პანას არასდროს არ უტარებია „ცხენის კუდი“). როცა გულზე რაიმე მოხვდებოდა, მაშინაც კი მხრებს ისე ამაყად აიჩეჩავდა, ვითომც აქ არაფერიაო, რაც მთავარია: თუ ჩემი სუმრობა არ მოეწონებოდა, შუბლზე, წარბებშუა მოკლე ნაოჭი უჩნდებოდა, მაგრამ მაინც გაიცინებდა ხოლმე. გაოცებული ვრჩებოდი, მაგრამ ამ ამბავს არასოდეს არ დავუფიქრებივარ. ეს მომწონდა კიდეც. ხომ არაუბრალო ყესტები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ მოგწონს, რომ საღლაც ერთ[illegible] ადგილ გინახავს. ყოველთვის საეჭვოდ მიმაჩნდა მსგავსების საკითხი. მე თვითონ გამომიცდია, როგორ შეიძლება შეცდეს კაცი და იმიტომ, რომ[illegible] გვიცინია ნე და ჩემს ძმას, როცა გულუბრყვილო ხალხი ჩვენს შორის განსაცვიფრებელ მსგავსებას აღმოაჩენდა ხოლმე. ჩემი ძმა ხომ ნაშვილები იყო. როცა ვინმე მარცხენა საფეთქლის ნოსაფხანად მარჯვენა ხელს შემოიტანებს თავზე, იმწამსვე მაამაჩუმი მაგონდება, მაგრამ არასდროს თავში არ მომსვლია, ვინმე მის ძმად მიმეღო მხოლოდ იმიტომ, რომ ისიც მამაჩემივით იფხანს საფეთქელს. მე სალი გენსჯის მომხრე ვარ. არც ბაპტისტი ვარ და არც სპირიტი. როგორ ვიფიქრებდი, რომ ვილაც გოგონა, რომელსაც ელიზაბეტ ბაიბერი ჰქვია, პანას ქალიშვილი იქნებოდა. მე რომ მაშინ გენზე (ან მერე) იოტის-

ოდენა ექვი დაეშვიდებოდა (მით უმეტეს, რომ ოთახიდის ამბის შემდეგ ჰანა გოხებიდან არ მცილდებოდა), ხომ ეკითხებოდი: „ვინ არის შენი დედა? რა ჰქვია? სალაურია-მეთქი?“ არ ვიცი, მაშინ რას ვიზამდი. ყოველ შემთხვევაში, ფრისთავად გასაგებია, სულ სხვახალად მოვიქცეოდი, ჩემში ჰეთოლოგიური არაფერია. ქალიშვილს შამაზვილურად ნივიდებდი, მე ხომ გარეკნილად ვარ.

ყველაფერი ისე ბუნებრივი იყო...

ეწყინარი ნაცნობობა...

ეჩოთხელ ზაბეტს ზღვამ აწყინა. წესით ამ დროს გემბანზე უნდა ამოსულიყო, მან კი თავის კაიუტაში ირჩია ყოფნა. დერეფანში გული ეერია. იმ ულვაშებგაწკეპილმა ყმაწვილმა ისე მზრუნველად დააწვინა საწოლზე, თითქოს მისი ქმარი ყოფილიყოს საბედნიეროდ, მეც იქ ვიყავი. შავ კოვბოურ შარვალში გამოწყობილი ფერდაკარგული ზაბეტი საწოლზე იყო გაშოტილი, თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა მიქცეული, სხვანაირად თავის დადებას „ცხენის კუდი“ არ ანებებდა. ყმაწვილს ზაბეტის ხელი ეჭირა. მე მაშინვე გავაღე ილუმინატორი, რომ ჰაერი შემოსულიყო და ზაბეტს წყალი მივაწოდე.

— გმადლობთ, — მითხრა მისმა შეგობარმა, საწოლზე ჩამოჯდა და ზაბეტს ესპადრილები შეუხსნა, თითქოს ვულისრევა ესპადრილების ბრალი ყოფილიყოს!

მე კაიუტაში დავრჩი.

ზაბეტს წითელი ქაღალი აშკარად უჭერდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენ მისი ქამრის შეხსნის უფლება არ გვქონდა.

ულვაშებიანს თავი გავაცანი.

მან ხელი ჩამომართვა და ისევ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ალბათ, მართლა ზაბეტის შეგობარია-მეთქი, გაეიფიქრე. ასე გაშოტილი ზაბეტი ნამდვილი ქალი იყო, ბავშვს ალარ ჰგავდა. ზედა საწოლიდან საბანი ჩამოვიღე და დავახურე, ეტყობოდა, სცივდა.

— გმადლობთ, — მითხრა ვაქმა.

მხოლოდ იმიტომ ვიცდიდი, ეგებ ბოლოს და ბოლოს ისიც მიმხვდარიყო, რომ ჩვენ აქ ალარაფერი გვესაქმებოდა; სჯობდა ქალიშვილი მარტო დაგვეტოვებინა.

— ჩაო! — თქვა მან.

კარგად მივუხვდი, ეხლოდა ჩემგან სადმე გემბანზე თავი დაეძვრინა და კაიუტაში მარტო დაბრუნებულიყო. მე შევთავაზე, პინგ-პონგი ვითამაშოთ-მეთქი... ის, როგორც მეგონა, ისეთი ზტერი არ გამოდგა, მაგრამ სანდომიანობა კი აშკარად აკლდა. ვინღა უშვებს ახლა ულვაშებს? პინგ-პონგი არ გვითამაშია, ოთხივე ბაგიდა დაკავებული აღმოჩნდა. სამაგიეროდ, საუბარში ჩავითრიე. ვლაპარაკობდით ტურბინებზე. რა თქმა უნდა, გერმანულად! ის პროფესიით გრაფიკული მხატვარი იყო, ისედაც საკმაოდ გონებაგახსნილი გახლდათ, როგორც კი შეატყო, რომ ჩემთან მხატვრობაზე, თეატრსა და ამისთანებზე ლაპარაკით ფონს ვერ გავიდოდა, მაშინვე სხვა თემაზე გადაინაცვლა; საკმაოდ საქმიანად, ყოველგვარი მანშეა-გრეხის გარეშე. იგი შეეცარიელი აღმოჩნდა...

არ ვიცი, ზაბეტს მისი რა მოეწონა.

მე, ჩემი მხრივ, არასრულფასოვნების განცდისათვის არავითარი საფუძველი არა მაქვს, გენიოსი არ გახლავართ, მაგრამ საკმაოდ თვალსაჩინო საქმიანობას

ვეწევი, მხოლოდ ესაა, რომ სულ უფრო და უფრო მიჭირს ამდაგვარი ბიჭ-ბუ-ჭების ატანა. მაღიზიანებს მათი ტონი, მათი გენიოსობანა, საბოლოოდ ფანტ-ზიისა და მომავალზე ოცნების იქით რომ არ მიდის. ამის წყალობით ეროქვთ ლიდად თავი და ფეხებზე ჰკიდიათ, ჩვენც თუ გაგვიკეთებია რაღაც ამ ქვეყანაზე. თუ გაბედე და რაიმე ამდაგვარი შეახსენე, მხოლოდ თავაზიანად ეტყვიან:

— აღარ დაგაბრკოლებთ! — ვუთხარი მე.

— მაპატიებთ?

— რა თქმა უნდა!

როცა ზაბეტს ის აბები მივუტანე, მე რომ ძალიან მარგო, მან ქაღალდში არ შემიშვა. სასაცილო იყო: ქარის ღრიჭოდან დავინახე, ზაბეტს ტანზე ეცვა. აბები შევბერეთ და ამიტომ მივაკითხე. აბები ქარებში გამომართვა. ის ქაღალ-დში ჰყავდა თუ არა, არ ვიცი. გავიფრთხილე, წამალი უეჭველად დაელია. მე მხოლოდ ნისი შველა მსურდა, ეტი არაფერი. შეუძლოდ ექოდეს ნორტო ხელის დაქერა და გაბადრულების შიხსნა ხომ არ უშველიდა! მართლა კი არ მაინ-ტერესებდა, ზაბეტისთანა ქალიშვილი (მისი უმუალობა ჩემთვის გამოცანად რჩებოდა) მამაკაცთან ნამყოფი იქნებოდა თუ არა, უბრალოდ ჩემს თავს ისე ვეკითხებოდი.

აი, რა ვიცოდი მაშინ ზაბეტზე:

ელლის უნივერსიტეტში მიუსვენია ერთი სემესტრი, დებულობს Scholar-ship-ს [1], ახლა შინ მიემგზავრება, ათენში, დედასთან, ბატონი პაიპერი კი აღმო-საველეთ გერმანიაში ცხოვრობს თურმე და თავის კომუნისტურ მრწამსს არ ღა-ლატობს. ზაბეტის საზრუნავი ამჟამად: იშოვოს პარიზში იაფფასიანი სასტუმ-რო, შემდეგ კი რომელიმე შემხვედრ მანქანას გაჰყვეს რომში (რაც მე სიგიჟედ მიმაჩნდა), ჯერ არ იცის, რა გამოვა: ბავშვების ექიმი, ხელოვნებათმცოდნე თუ სხვა რაღაც, შეიძლება სტიუარდესაც გამოვიდეს, რომ ბევრი იფრინოს; რადაც არ უნდა დაუჯდეს, ინდოეთი და ჩინეთი უნდა ნახოს.

ზაბეტმა (მე შევეკითხე) ორმოცი წელი მომცა. როცა გაიგო, ორმოცდაათს არაფერი მიკლდა, არც ეს გაუოცებია. თვითონ ოცი წლის იყო. ყველაზე ეტად ის გაუკვირდა, რომ მე ლინდბერგის (1927) პირველი გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე კარგად მახსოვდა. მაშინ ოცი წლის ბიჭი ვიყავი. სანამ დამიჯერებდა, წლები გამოთვალა. ამიერიდან რაც არ უნდა მეთქვა, თუნდაც იმავე ტონით ნა-პოლეონის ამბები მომეყოლა, ჩემს ასაკზე ზაბეტს შეხედულება აღარ შეეცვ-ლებოდა.

შეტწილად მოაჯირთან ვიდექი ხოლმე. არ ივარგებდა, ზაბეტი (მას უფრო ხშირად საბანაო კოსტუმი ეცვა) იატაკზე მჯდარიყო, მე კი ამ დროს შეზლონგზე ვყოფილიყავი გაშიტილი. ბაშინ მართლა ბიძას დავემსგავსებოდი, ანდა პირი-ქით: ზაბეტი შეზლონგზე წოლილიყო და მე მის გვერდით ვყოფილიყავი ჩა-ცუცქული, ესეც სასაცილო გამოვიდოდა.

თავის მიძალებას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებდი. მისტერ ლევინს ჭიდრაკს ვეთამაშებოდი ხოლმე. მას თავში მხოლოდ სოფლის მეურნეობა უტ-რიალებდა, სხვა მგზავრებსაც ოც სვლაში ვაშამათებდი. მწყინდებოდა, მაგრამ მერჩივნა, საკუთარი თავისათვის მომებეზრებინა თავი, ვიდრე ამ გოგონასათ-

[1] სტიპენდიას (სულ.).

ვის. მართლაც ზაბეტთან ძნელია მაშინ თუ მივიდოდი, როცა რაიმე მქონდა სათქმელი.

ავუკრძალე, სტიუარდესად წასულიყო.

ზაბეტი ფეტწილად თავისი სქელი წიგნის კითხვაში იყო გართული. ტოლსტოიზე რომ დაიწყებდა ლაპარაკს, მაშინ ჩემს თავს მართლა ვეჭიანობდი. აი ასეთმა გოგონამ მამაკაცის რა უნდა იცოდეს-მეთქი. მე თვითონ ტოლსტოის არ ვიცნობ. რა თქმა უნდა, ვბრაზობდი, ზაბეტი რომ მეუბნებოდა, აი, ახლა ისევ ტოლსტოიეთ ლაპარაკობთო.

თვითონ ტოლსტოის აღმერთებდა.

ერთხელ, ბარში, არ ვიცი რამ მომიარა, ჩემი მეგობრის ამბავი ვუამბე, თავის მღვიმარეობას ვერ გაუძლო და თავი ჩამოიხრჩო-მეთქი. მოვუყევი, როგორ ვიმოგზაურეთ, საბედნიეროდ, ჩაკეტილ ოთახში, თორემ აურები მასაც ეარის ლეშივით დაეძებნიდნენ.

აზვიადებთო, მითხრა ზაბეტმა.

მესამე თუ მეოთხე ჭიქა პერნო გამოვცალე და სიცილით ავუწერე, როგორ ბეღდია კაცი მაკოულზე, გვამი ორივე ფეხით იატაკს სწვდება, თითქოს ეს-ეს არის, ათვარფალდებაო.

სკამი გადაბრუნდა.

მას წვერი ჰქონდა მოზრდილი.

რა მალაპარაკებდა, არ ვიცი. ზაბეტმა მითხრა, ნამდვილი ციანიკოსი ხართ, როგორ იცინითო. ტყუილს ხომ არ ვიგონებდი, ის მართლა თოჯინასავით იყო გაწეშებული.

ალარ ვიცი რამდენი სიგარეტი მოვწიე.

მას სახე სისხლის ჩაქცევისაგან ჰქონდა გაშავებული.

იგი ქარში დაკიდებული საფრთხობელასავით ტრიალებდა.

გარდა ამისა, სუნიც უდიოდა.

ფრჩხილები იისფერი ჰქონდა, მკლავები რუხი, ხელები გადათეთრებული და ღრუბელივით დაბერილი.

მე ის ველარ ვიცანი.

ენაც მთლად გალურჯებოდა.

აბა, რა იყო აქ მოსაყოლი. მოხდა უბედური შემთხვევა. როგორც ვთქვი, თბილი ნიავი რომ მოხვდებოდა, დაბიჟვინებული გვამი ირწეოდა.

ჩემდა უნებურად ვყვებოდი.

მკლავები გაწეწებული ჰქონდა...

რა ცუდია, რომ გვატენიალაში გადაღებული ფირი ჯერ გამომჟღავნებული არა მაქვს. ამის აღწერა შეუძლებელია. ადამიანი როგორ ჰკიდია, შენი თვალით უნდა ნახო კაცმა.

ზაბეტს ლურჯი სამეჯლისო კაბა ეცვა...

ხანდახან ჩემი მეგობარი ისე დამიდგებოდა თვალწინ, თითქოს არც დაგვიგარეს, ალბათ იმიტომ, რომ ბარშიც რადიო უკრავდა. მასაც ხომ რადიო ჰქონდა ჩართული.

აი, ასე იყო ეს ამბავი.

როცა იგი ვიმოგზაურეთ, როგორც ვთქვი, მისი რადიო ჩართული დაგვხვდა. რადიო ხმადაბლა ლაპარაკობდა და პირველად ვიფიქრეთ, მეორე ოთახში ვინ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მე ხომ არ არის-თქო. მაგრამ მეორე ოთახი იქ საერთოდ არ არსებობდა. ჩემი მეგობარი მარტოდმარტო ცხოვრობდა. მუსიკის ხმა რომ გადმოგვეგო, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ ეს რადიო იქნებოდა და, რა თქმა უნდა, ბატარეა გამოვიყენეთ — მუსიკა არ იყო შესაფერი, საცეკვაო მელოდიებს გადმოსცემდნენ.

ზაბეტი შემეკითხა:

— რატომ ჩაიდინა ეს?

— ბას ჩვენთვის აბაფერი უთქვამს, მხოლოდ, როგორც ვთქვი, ეკიდა ტიკინასავით და ყარდა, როგორც კი ნიავი დაუბერავდა, ირწეოდა...

ალბ, ასე იყო.

რიგა ადგეგი, სკამი ბრახუნით გადაბრუნდა. ყველამ ჩვენსკენ მოაბრუნა თავი: ქალიშვილმა სკამი ისე ააყენა, ვითომც აქ არაფერიაო, კაიუტამდე უნდოდა მიეცილებინე, მაგრამ არ დავანებე.

გემბანზე გავედი.

მარტო ყოფნა მინდოდა...

მთვრალი ვიყავი.

მაშინ რომ ჩემი მეგობრის სახელი და გვარი მეხსენებინა, იოანემ ჰენკე, ყველაფერი გამოირკვეოდა. სახელი არ მიხსენებია, უბრალოდ, მეგობარზე ვლაპარაკობდი, რომელმაც გვატენალაში თავი ჩამოიხრჩო, ვყვებოდი ტრაგიკული შეცთომის ამბავს.

ერთხელ ზაბეტი გადაეღე.

შეაჩერა, რომ ვუღებდი და ენა გამომიყო. მეც ენაგამოყოფილი გადავიღე. ახლა კი გაბრაზდა და გამომლანძღა, ბოლოს და ბოლოს რა გამიჭირეთ საქმეო.

პირდაპირ მკითხა:

— რა გინდათ ჩემგან, რას გადამეკიდეთ?

ეს იყო საღილობამდე.

ზაბეტს ვკითხე, მაჰმადიანი ხომ არა ხარ, რომ შენი გადაღება არ შეიძლება, ან იქნებ ცრუმორწმუნე ხარ-მეთქი. რა თავი მოჰქონდა ამ გოგონას? ნამდვილად მზად ვიყავი, ის ფირი (ნაპირზე მდგარი ალვიანად) ამომეღო, მზეზე გამეჩერებინა და გამეფუჭებინა: ნამდვილად! გუნება მომეწამლა. მისი კილო მთელი დღე ვერ ამოვიგდე თავიდან, ვერც ის სიტყვები დავივიწყე, თქვენ მთელი დღე მითვალთვალებთ, მისტერ ფეიბერ, და ეს არ მსიამოვნებსო. ნეტავ ვინ ვეგონე ამ გოგოს?

ვგრძნობდი, არ ვეჭაშნიკებოდი.

ეს ნამდვილად ასე იყო და გულში არავითარი იმედი არ მიჭიატებდა. ნასადილევსაც მხოლოდ იმიტომ მივეკითხე, რომ შეპირებული ვიყავი, სამანქანო განყოფილებაში ჩავიყვან-მეთქი.

— ახლა ჩავიდეთ? — მკითხა მან.

ამ ერთ თვეს ჩავიკითხავო.

— სიამოვნებით, — ვუპასუხე მე.

ის უკვე ჩამოწერილი მქონდა, თავი შეურაცხყოფილად არც მიგრძვნია. ასე ვიცი: ჩემი თავი მეკე შემზიზღდება, თუ შეეამჩნევ, რომ სხვას ტვირთად ვაწევები, არც ის ბჩეევია, ისეთ ქალებს ვსდიო კუდში, ვისაც გულზე არ ვეჩატები. გულახლილად რომ ვთქვა, საამისო არასოდეს არაფერი მჭირდა.

ამოდენა გემის სამანქანო განყოფილება ერთი კარგი თეატრიკისოდენა მაინც იქნება. იგი ძირითადად დიდი დიზელ-მოტორისაგან შედგება. თან ერთვის ელექტროგენერატორები, საქვაბე ცხელი წყლისათვის და ვენტილაციო დანადგარი. სპეციალისტისათვის აქ უჩვეულო რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ გემის კორპუსის მოწყობილობა მაინც ღირს სანახავად. გემისა, ამუშავებული მანქანების ყურება ხომ დიდი სიამოვნებაა. ზაბეტს ძართვის მთავარი ხაზია მოწყობილობა ავუწერე, ისე რომ წვრილმანებზე არ შევჩერებულვარ. ასევე მოკლედ ავუხსენი, რა არის კილოვატი, ჰიდროელიკა, ამპერი. ერთი სიტყვით, ისეთი ტერმინები, რომლებიც ზაბეტს სკოლაში ნასწავლიც ექნებოდა და დავიწყებულიც, მაგრამ ახლა ყველაფერი ითლად ისსენებდა. მიუხედავად მათი ფანიშნულებისა, ზაბეტს განსაკუთრებით დიდებული მაინც ოთხი საკვამლე მილი და კაბის შაბტა ეჩვენა, რომლის კენწეროში, ხუთი თუ ექვსი სართულის სიმაღლეზე თითქოს ცხაურში ჩასმული ზეცა მოჩანდა. ზაბეტს მემანქანეები ეცრალებოდა, აქ ოფლში იწყურებიან, მთელ საცოცხლეს ოკეანეში ატარებენ და ოკეანეს თვალით ვერა ხედავენო. წის თვალში ყველა მემანქანე სიმპათიური ჩანდა. შევამჩნიე, მემანქანეები როგორ უპრაწავდნენ გოგონის თვალებს (ზაბეტი აშკარად ჩემი ქალიშვილი ეგონათ), როცა ის რკინის კიბეებზე დაცოცავდა.

— Ça va, mademoiselle, Ça va?[1]

ზაბეტი კატასავით დაცოცავდა.

— Pas trop vite, ma petite![2]

მემანქანეები, ჩემი აზრით, უსირცხვილოდ უჭვრეტდნენ ზაბეტს, მაგრამ იგი ვერაფერს ამჩნევდა. ჩვეულებრივ, შავი კოვბოური შარვალი ეცვა. შარვალი ოდესღაც ალბათ თეთრი ძაფით იქნებოდა დალიანდაგებული, უკანა ჯიბიდან მწვანე საკვერცხელს ამოეყო თავი, მოწითალო „ცხენის ყუდი" ზურგზე ეტყლაშუნებოდა, შავ სვიტრში მკაფიოდ მოჩანდა ბეჭები. მოკნილ, სუსტ ზურგზე ხათლად დამჩნეული ღარი, კანჭებამდე აკაპიწებულ შარვალში გამონაკვთული ბიჭური ბარძაყები, ვიწრო თეძოები და წიმველი კოჭები მე ლამაზი მეჩვენებოდა. მხოლოდ ძალიან ლამაზი, მაგრამ ვნებას არ აღმიძრავდა. ჩვენ ერთ-ერთი გენერატორის სათვალთვალო სარკმელთან ვიდექით. ამ გენერატორის აგებულება ზაბეტს ის იყო ავუხსენი. ხელები ჯიბეებში მეწყო, მეშინოდა უნებურად იმ ბაპტისტიკით მკლავზე არ მომეკიდა მისთვის ხელი.

არ მინდოდა ქალიშვილს მიეკარებოდი.

უცებ თავი მიხრწნილ მოხუცად ვიგრძენი... ზაბეტი ფეხით კიბის საფეხურს ეძებდა. მე თეძოებზე შემოვავლე ხელები და ერთი მოქნევით, სხარტად ჩამოვსვი ძირს. თეძოები საოცრად მსუბუქი ჰქონდა, თან ლონიერი, ჩემი „სტუდებეკერის" საჭესავით ითლად ხელ'ქმემოსავლები, გრაციოზული, დაახლოებით იმავე დიამეტრისა. ერთი წამი და იგი უკვე თუნუქის ბაქანზე იდგა, ოღნავაც არ გაწითლებულა, ისე გადამიხადა მადლობა და ხელები ჯრელი ძენძით გაიწმინდა. ვნების აღმძვრელი ჩემთვისაც არ ყოფილა აქ არაფერი და ჩვენ ფართლებიანი ხრეჭენების დიდი ლილვებისაკენ გავემართეთ. მინდოდა მისთვის ეს

[1] ხომ არ ეიჭირთ ქალიშვილო? (ფრანგ.).

[2] ნუ ჩქარობ, ჩემო პატარავ (ფრანგ.).

ლილვებიც მეჩვენებინა. ხახუნის კოეფიციენტის, ვიბრაციისაგან ფოლადის დაღლის და სხვა ამისთანა პრობლემებზე გულში ვფიქრობდი, ორგვლივ ისეთი გუგუნი იდგა, ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ზაბეტს მხოლოდ ის ავუხსენი, ამ წუთში სად ვიმყოფებოდით. სწორედ იქ ვიდექით, სადაც ხრახნის ლილვები გემის კორპუსიდან გარეთ იშრებიან და ფარფლებიან ხრახნს ამოძრავებენ. იძულებული ვიყავი მეყვირა:

— დაახლოებით რვა მეტრის სიღრმეზე თუ იქნება ზღვის ზედაპირიდან! — მინდოდა ყველაფერი ზუსტად ამეხსნა, — დაახლოებით! — ვყვიროდი მე. — შეიძლება მხოლოდ ექვს მეტრზეც!

ამის ახსნა, რომ ამ კონსტრუქციამ უნდა გაუძლოს წყლის საკმაოდ მაღალ წნევას, ზედმეტი აღმოჩნდა. მისი ბავშვური ფანტაზია უკვე ილუმინატორს იქით მოცურავე თევზებს დასთამაშებდა.

— აი, აქ! — ვიყვირე მე, ბელი ხელში მოვკიდე და სამოცდაათ მილიმეტრიან მიკროსკოპს დავადებინე, მინდოდა უკეთ გაეგო, რასაც ვეუბნებოდი.

— ზვიგენები?

სხვა ვერაფერი გავაჩინე.

— რა ზვიგენები? არ ვიცი-მეთქი, ჩავძახე და კვლავ იმ კონსტრუქციაზე მივუთითე. ზაბეტს თვალი გაუშტერდა.

მინდოდა რითიმე გამერთო.

ჩვენი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა, ატლანტის ოკეანის რუკაზე ულაანასკენელი ალამიდა დარჩა. სულ შვიდი სანტიმეტრი გვაშორებდა ევროპის სანაპიროს.

მისტერ ლევინი უკვე ბარგს ალაგებდა.

მოსამსახურეების დასაჩუქრებაზეც დაიწყეს ლაპარაკი.

ბეჭირდა იმაზე ფიქრი, რომ ოცდაოთხ საათში ერთმანეთს უნდა დავშორებოდით. ყოველ მხარეს „მშვიდობით“ უნდა გეძახა. „კარგად იყავით, მისტერ ლევინ, წარმატებას გისურვებთ მეურნეობაში!“ ჩვენს ბაბტისტს: „ბედნიერი დღეები გაგითენებთ ლუვრში!“ „ცხენის კუდიან“ გოგონას, რომელსაც ჯერ გაურკვეველი მომავალი აქვს: „ბედნიერებას გისურვებთ!“

გული მწყდებოდა, რომ ამიერიდან ერთმანეთზე ვერაფერს გავიგონებდით.

ბარში ვიჯექი...

მოგზაურობაში გაცნობილი ხალხი!

სენტიმენტალური გრძნობები მერეოდა, რაც ჩვეულებრივ ჩემთვის უცხო ხილია. გემზე დიდი მეჯლისი გამართეს. ეტყობა, აქ მიღებულია ულაანასკენელ საღამოს მეჯლისის გამართვა. შემთხვევით დაემთხვა იმ დღეს ჩემი ორმოცდაათი წლისთავი. რა თქმა უნდა, არაფერი გამიმხელია.

იმ დღეს პირველად ვთხოვე ქალს ხელი.

მისტერ ლევინთან ვიჯექი, მას მეჯლისები დიდად არაფრად ეპიტნავებოდა. მე ივი (მიზეზი არ გამიმხელია, ისე) ბურგუნდულ ღვინოზე დავპატიჟე. ამაზე უკეთესი ღვინო გემზე არ იმოვებოდა. (კაცი სიცოცხლეში ერთხელ ხდები ორმოცდაათის). ეს იყო „ბონი-1933“, ბუკეტი საუცხოო ჰქონდა, მაგრამ პირში ოდნავ არასასიამოვნო გემოს ტოვებდა. სიმაგრეც აკლდა და სიწმინდეც, მაგრამ მისტერ ლევინისათვის სულ ერთი იყო, კალიფორნიულ ბურგუნდულსაც სიამოვნებით წრუპავდა ხოლმე. ღვინოზე გულს მაკლდა. (ჩემი ორმოცდაათი

წლისთავი, გულახდილად რომ ვთქვა, ცოტა სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი), მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი. ზაბეტი ერთი წუთით გამოჩნდა, Citron — pressé[1] გადაყლურწა და ისევ თავის ულვაშებგაწკეპილ ვარაიეოსს გაჰყვა საცეკვაოდ. შიგადაშიგ გემის ოფიცრებთანაც ცეკვავდა. ოფიცრები საბრალო მუნდირებში იყვნენ გამოპრანჭული. ოპერეტის გმირებივით [illegible] ფეხებამდე ბრწყინავდნენ. ზაბეტს ისევ ლურჯი კაბა ეცვა [illegible] როდი ჰქონდა შეკერილი, მაგრამ მეტისმეტად იაფფასიანი და ბავშვური კი იყო. ვფიქრობდი, დაძინება ხომ არ მერჩია-თქო. კუჭს ვგრძნობდი, თან რადიოლასთან მეტისმეტად ახლოს ვიჯექით. განიასი იდგა, საითაც არ უნდა გაგეხედა, საკარნავალო, ჭრელა-ჭრელა ტანსაცმელი მოჩანდა, სიგარეტისა და სიგარების კვამლში გახვეული ლამპიონები გვიტენიალის გაბურული შუქსავით იყურებოდნენ, მწვანე და წითელი გირლიანდები ერთმანეთში ლიანებივით იხლართებოდა. შავ, პრიალა სმოკინგებში გამოწყობილი ნამაკაცები აურებს ჰგავდნენ. აურებსაც ასე უბზინავთ ბუმბული!

აურებზე ფიქრი თავიდან მოვიცილე.

ზეგ პარიზში ვიქნები, ამ აურსაურში მეტი ფიქრის თავი არ მქონდა, წავალ ექიმთან და ბოლოს და ბოლოს კუჭს გავასინჯვინებ.

სასაცილო სალამო იყო...

მისტერ ლევინი აცუნდრუკდა, ლვინო თავში აუვარდა და ზაბეტთან ცეკვა გაბედა. მასთან იგი გოლიათივით ჩოჩანდა. ქალიშვილი მკერდამდე ძლივს სწვდებოდა, მისტერ ლევინი კი იკუზებოდა, რომ გირლიანდებისათვის თავი არ აერტყა. ზაბეტი ქვემოდან შესცქეროდა და ისე ელაპარაკებოდა. მისტერ ლევინს შავი კოსტუმი არ ეცვა და, გარდა ამისა, ყველა ცეკვას მახურაასავით ცეკვავდა. ის ხომ პოლონეთში იყო დაბადებული, ბავშვობა გეტოში გაეტარებინა და ა. შ. ზაბეტი თითის წვერებზე იდგა, რომ მისთვის მხარზე დაედო ხელი. ასე მოწაფე გოგონები ეკიდებიან ხოლმე ტრამვაიში ხარიხას.

ვიჯექი და ბურგუნდულით სავსე ჭიქას ვარყევდი. გადავწყვიტე, ჩემი დაბადების დღის გამო სენტიმენტალური გრძნობები არ მომრეოდა. ლვინოს ნელნელა ვწრუპავდი. გერმანელები მეტწილად შამპანურს სვამდნენ. ძალაუნებურად ჰერბერტზე ვფიქრობდი, შესაბამისად კი გერმანული სიგარის მომავალზე, ნეტავი ინდიელებთან მარტო დარჩენილი ჰერბერტი რას შვება-მეთქი.

შემდეგ გემბანზე ავედი.

სავსებით ფხიზელი ვიყავი.

როცა ზაბეტმა მომაგნო, მაშინვე ვუთხარი, არ გაცივდე-მეთქი. თხელი სამეჯლისო კაბა ეცვა. მეკითხებოდა, მოწყენილი ხომ არა ხართო. რომ არ ვცეკვავდი, ალბათ იმიტომ. დღევანდელი ცეკვები ნამდვილად მომწონს. ეს ეგზისტენციალური როკვა სახალისო საყურებელია. ყველა თავისთვის ცეკვავს, ყველას საკუთარი ილეთები გამოჰყავს, საკუთარ ფეხებში იბლანდება, ციებიანივით ძაგძაგებს. ყველაფერი ოდნავ ეპილეფსიურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მხიარული კი არის, ტემპერამენტიანიცაა, მაგრამ უნდა გამოვტყდე, მე ასე ვერ ვიცეკვებდი.

რატომ უნდა ვიყო მოწყენილი?

---

[1] ლიმონის წვენი (ფრანგ.).

ინგლისი ჯერ კიდევ არა ჩანს...

ზაბეტს ჩემი პიჯაკი მოვახურე, რომ არ გაცივებულიყო. ქარში მისი „ცხენის კუდი“ აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

პროექტორების შუქზე წითელი საკვამლე მილები მოჩანდა.

ზაბეტი აღტაცებული იყო, ძალიან მოეწონს, ასეთ დამეში, ქარის სტვენისა და ღრუბლში გემბანზე რომ ვართო. ბაგირების ჭრიალი, მოძრავი ტალიფრებდაბერილი მაშველი კაბეტებიცა და მილებიდან ამოსული კვამლიც...

მუსიკის ხმა აქამდე სუსტად აღწევდა.

სიტყვა თანავარსკვლავედებზე ჩამოვარდა. ამ საგანზე ჩვეულებრივ მანამდე გრძელდება ლაპარაკი, სანამ არ გამოგელავნდება, ვინ უფრო სუსტად ეკვევა ციურ სხეულებში, შემდეგ გულში რაღაც ხინჯი გრჩება, რაც საშინლად არ მიყვარს.

ზაბეტს კომეტა დავანახე, რომელიც იმ დღეებში ჩრდილოეთით კაშკაშებდა. კინალამ წამომცდა, დღეს ჩემი დაბადების დღეა და კომეტა იმიტომ ჩანს-ძეთქი. მაგრამ უკბილო ხუმრობა გამომივიდოდა, კომეტა უკვე რამდენიმე დღეა ანათებდა, მერე რა, რომ იმ ღამეს ადრინდელზე უფრო კაშკაშებდა. მთავარი ის იყო, რომ 26. IV-დან მოჩანდა. ასე იყო თუ ისე, ჩემი დაბადების დღე არ მიხსენებია.

— გამოშშვიდობების წინ ორ რამეს ვისურვებდი, — ვთქვი მე, — პირველი: რომ თქვენ სტიუარდესა არ გახდეთ...

— მეორე?

— მეორეც ის, რომ შემხვედრი მანქანით არ წახვიდეთ რომში. სერიოზულად გეუბნებით!.. მირჩევნია მატარებლის ან თვითმფრინავის ფული მე გადაგიხადოთ...

მაშინ რას ვიფიქრებდი, რომში თუ ერთად წავიდოდით, ზაბეტი და მე. რომში რა დამრჩენოდა!

ზაბეტმა მოუთმენლად გაიცინა.

მან სწორად ვერ გამიგო.

ნაშუალამევს, ჩვეულებრივ, ცივი საუზმე შემოგვქონდათ. მე დავიყინე, მშიერეთი და ზაბეტი ქვემოთ ჩავიყვანე. კარგად ვბედავდი, სიცივისაგან როგორ ძაგძაგებდა, ჩემმა პიჯაკმაც ვერ უშველა, ხიკვა უცახცახებდა.

მეჯლისი ჯერ არ დამთავრებულიყო...

ზაბეტს ეგონა, მე მარტოობისაგან ვიყავი დადარდიანებული. ამან ცუდ ხასიათზე დამაყენა.

მარტო მოგზაურობას მიჩვეული ვარ. ნე, როგორც ყველა ჭეშმარიტი მამაკაცი, ჩემი სამუშაოთი ვცოცხლობ. უფრო ბეტიც, სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმოვიდგენია. მარტო რომ ვარ, ბედნიერად ვგრძნობ თავს. ჩემი აზრით, ეს პირდაპირ მისწრებაა მამაკაცისათვის, აბა რა სჯობია, მარტო რომ გავიღვიძებ და სიტყვის თქმა არ მჭირდება. არსებობს სადმე ისეთი ქალი, რომელიც მიხვდება ამას? უბრალო შეკითხვაც კი, როგორ გეძინაო, საშინლად მაღიზიანებს. თვალს ვახელ თუ არა, უკვე სხვა ფიქრები მიტრიალებს თავში. მე მომავალზე ფიქრსა ვარ მიჩვეული, უკან არ ვიხედები. სიხაზე სალამოს შესაწყნარებელია, მაგრამ სინაზე დილით ნერვებს მაშლის ხოლმე. სამი, ოთხი დღე თუ გამიტარებია ერთ ქალთან, გულახდილად ვიტყვი, მეხუთე დღეს უკვე პირფერობას

ვიწყებდი. დიდი გრძნობების გამოჩენას ვერც ერთი ნამაკაცი ვერ იტანს, ამას სჯობია, შენი ხელით რეცხო ჭურჭელი!

ზაბეტს გაეცინა...

აივანზე ქალთან ერთად საუზმის მირთმევა ცუდი არ არის. მაგრამ ასეთ ამბებს სამ კვირაზე მეტს, გულახდილად რომ ვთქვა, ვერ [illegible] ვუძლებდი. შეგებულების დროს კიდევ მესმის, როცა კაცმა [illegible] თოგორ გაიყვანო, მაგრამ სამი კვირის შემდეგ (არა უგვიანეს) უკვე ტურბინები მელანდება ხოლმე. ახლა დილით ქალების უსაქმურობას არ იკითხავთ? მაგალითად, ზოგიერთ ქალს შეუძლია პერანგის ამარამ ვაზაში ყვავილები სხეანაირად გადაალაგოს და თან სიყვარულზე და ცოლ-ქმრობაზე ილაპარაკოს. ამას, ჩემი აზრით, ვინმე ნამაკაცი თუ იტანს, ესე იგი პიროვნობს. აივი მომაგონდა. აივი ნიშნავს „სურათს“ და ჩემთვის, კაცმა რომ თქვას, ასე ჰქვია ყველა ქალს. მე მინდა მარტო ვიყო! ორი ადამიანისათვის განკუთვნილი ბინა, სასტუმროში თუა, კიდევ არა უშავს, იმას რომ გინდა მიატოვებ კაცი, მაგრამ ორი ადამიანისათვის ხანგრძლივად საცხოვრებლად გამიზნული ბინის მარტო დანახვაც კი ნერვებს მიშლის. ასეთ ცხოვრებას უცხო ლეგიონში წასელა მირჩევნია.

ზაბეტმა მითხრა, ციანიკოსი ხართო.

მაგრამ რაც ვთქვი, ეს ნაძღვილად ასეა.

ლაპარაკი ალარ გამიგრძელებია, თუმცა მისტერ ლევინს, მე მგონი, არაფერი ესმოდა. მან თავის ჭიქას ხელი დაავარა, როცა შეესება დაეპირე, ზაბეტმა კი გამიმეორა. ნამდვილი ციანიკოსი ხართო და ვიღაცას საცეკვაოდ ვაპყვა.

ნე ციანიკოსი არა ვარ. მე მხოლოდ ზედმიწევნით საქმიანი კაცი ვარ. ეს კი ქალებს არ უყვართ. ნე არც ფრჩხილი ვარ, როგორც აივი ინტერვიუებს და არც ქორწინების წინააღმდეგი გახლავართ. უმეტეს შემთხვევაში თვითონ ქალები ხვდებოდნენ. საცოლეზედ რომ არ ვფიქრობდი. მე არ შენიძლია, დიდხანს ვიყო მგრძნობიარე. მარტოხელობა არის ერთადერთი გამოსავალი ჩემთვის. სულ არ მინდა, ვინმე გავაუბედურო, თუმცა ქალები ხომ თვითონ ცდილობენ თავი გაიუბედურონ. ვალიარებ: მარტოხელობა ყოველთვის სახალისო როდია, კაცი ყოველთვის ვერა ხარ ქეიფზე. სხვათა შორის, ვაღიარებით ვიცი, ქალებიც იმწამსვე მოეშვებიან ხოლმე, როცა ნამაკაცი უქეიფოდაა. ქალს როგორც კი მოეწყინება, იმწამსვე იწყება საყვედურები. ნამაკაცის მისამართით — გრძნობა არ გაგაჩნიაო. მაშინ, გულახდილად რომ ვთქვა, მირჩევნია, მოწყენითაც მარტო მოვიწყინო. ვალიარებ: ყოველთვის არც ტელევიზორის ყურება შენიძლია (თუმცა, სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, რომ ტელევიზია უახლოეს წლებში კიდევ უფრო გაუმჯობესდება).

ყოველთვის ხასიათზეც ვერა ვარ და სწორედ მაშინ მიეესალმები მარტო ყოფნას. უბედნიერესი წუთები მაშინ დგება ჩემთვის, როცა საზოგადოებას გამოვეემშვიდობები, ჩემს მანქანაში ჩავჯდები, კარს მოვაჯახუნებ, გასაღებს გადავატრიალებ, რადიოს ჩავრთავ, ელექტროკვესით სიგარეტს მოვუკიდებ, მანქანას ავამუშავებ და გაზს ფეხს დავაჭერ. ადამიანები მძულიან, ქალებიც და ნამაკაცებიც. რაც შეეხება გუნებას, როგორც ვთქვი, გუნებას დიდად არაფრად ვაგდებ. კაცი ხან მოეშვები, ხან ისევ გიბრუნდება მხნეობა. ეს დაღლილობის ბრალია: ასე ფოლადსაც ემართება. გრძნობებს მოჭარბება, როგორც მე და-

ვადგინე, დაღლილობის გამოვლენის ფორმებია და სხვა არაფერი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეშართება, — მაშინ კაცი ფარ-ხმალს ყრი! მაშინ არც წერილების წერა გშველის, წერილის წერა მარტოობის გრძნობას ვერ ალავებს, სულ ერთია, მაინც გესმის შენი საკუთარი ფეხის ხმა ცარიელ ბინაში. ამაზე უარესია კიდევ რადიოტელეპროდუქტორის მოსმენა, რომელიც [illegible] საკვებს უკეთებს რეკლამას, ან ნამცხვრის ფხვნილს ასხამს ხოტბას [illegible] ლმერთმა იცის რას არა. შემდეგ უცებ ჩაიკმიდავს ხმას: „მომაყალ შეხვედრამდე!“ ამ დროს კი მხოლოდ ორი საათია. ვსვამ ჯინს, თუმცა ჯინი საერთოდ არ მიყვარს. ქუჩიდან სმაური ისმის, სიგნალის ხმა, მიწისქვეშა მატარებლების გრგვინვა, ხანდახან თვითმფრინავის გუგუნიც, თუმცა სულ ერთი არ არის, რაც ისმის? ამ დროს უბრალოდ ვიძინებ, გაზეთი მუხლებზე მრჩება, სიგარეტი ხალიჩაზე აგდია. ბაბან ეცდილიმ, თავს მოვერევი. რისთვის? საიდანღაც სიმფონიას გადმოსცემენ, რადიოს ვთიშავ. შემდეგ? შემდეგ ვდგავარ შუა ოთახში, ჭიქაში ჩემი საძულველი ჯინი ბისსია და ვსვამ. ვდგავარ, რომ ნაბიჯების ხმა არ გავიგონო, ჩემი საკუთარი ნაბიჯების ხმა. ყველაფერი ეს ტრაგიკული არ არის, მაგრამ ძნელია. კაცი შენს თავს რომ ვერ ეტყვი, „ღამე მშვიდობისაო“. მერე ეს ცოლის შერთვის მიზეზად კმარა?

ზაბეტი მაგიდასთან დაბრუნდა, თავისი Citron pressé დალია და ხელი წაიკრა: მისტერ ლევინს, ამ გოლიათივით კაცს ეძინა, პირზე ლიმილი დასთამაშებდა, თითქოს მთელ ამ აურზაურს, ქალალდის ფრანგებს, ფერად ბუშტებს, წყვილები რომ ტკაცუნით ხეთქავდნენ, ძილშიაც ასევე ხედავდა.

ამდენ ხანს რაზე ფიქრობთო, შემეკითხა ზაბეტი.

არ ვიცოდი, რაზე ვფიქრობდი.

თქვენ რაღაზე ფიქრობთ-მეთქი, — შევეკითხე მე.

ზაბეტმა კარგად იცოდა, რასაც ფიქრობდა.

— თქვენ ცოლი უნდა შეირთოთ, მისტერ ფეიბერ!

შემდეგ კვლავ მისი მეგობარი გამოჩნდა, ზაბეტის იებნაში მთელი გემბანი მოეგლო, უნდოდა ქალიშვილი საცეკვაოდ გაეწვია. მე გადმომხედა...

— სიამოვნებით, სიამოვნებით! — ვუთხარი მე.

და ზაბეტის ხელჩანთა დავიტოვე.

კარგად ვიცოდი, რასაც ვფიქრობდი. ამას სიტყვით ვერ გამოხატავ. ჭიქას ვარყევდი, მინდოდა უკეთ მეყნოსა ლევინის არომატი და აბეზარ ფიქრებს თავიდან ვიცილებდი, მაგრამ უნებურად ცხადად წარმომიდგა თვალწინ, როგორ ერთდებიან ქალი და მამაკაცი. ისეთი განცვიფრებისა და შიშის გრძნობა დამეუფლა, როგორც თვლემის დროს იცის ხოლმე. რაღა მაინცდამაინც ასე? კარგად რომ დაუფიქრდე: რაღა მაინცდამაინც სხეულის ქვედა ნაწილით? ასე რომ ზიხარ, მოცეკვავეებს შეჰყურებ და ყველაფერს ნათლად წარმოიდგენ, ეს ამბავი ადამიანისათვის შეუძლებლად გეჩვენება. რაღა მაინცდამაინც ასე? სასულელეა! თუ შენ თვითონ ვნება არ გამოსრავებს, მარტო ასეთი ფიქრის გამო შეიძლება თავი შეშლილი ან გარყვნილი გეჩვენოს.

ლუდი შევუკვეთე...

იქნებ მარტო მე ვარ ასეთი.

მოცეკვავეებისაკენ თვალს რომ გავაპარებდი, ვხედავდი, როგორ ცდილობ-

დნენ ერთმანეთზე მიდებული ცხვირებით ფოლთოხალი დაეჭირათ და ისე იცეკვათ.

ნეტავ ლაზარე ლევინი როგორია იმ დროს?

ლაზარე ლევინი მადიანად ხვრინავდა, პირი ნახევრად დაეღო. მისი წითელი პირი აქვარიუმის მწვანე შუშაზე დადებული თევზის [illegible] ჰგავდა.

აივი მომაგონდა.

როცა აივის ვეხვევი, სწორედ მაშინ მაგონდება, რომ ვილიამსს უნდა დავურეკო, ხოლო ფირები გასამჟღავნებლად მაქვს ჩასაბარებელი. იმ დროს კი, როცა აივი ბუტბუტებს: I'm happy, oh, dear, so happy, oh, dear, oh, dear![1] შემიძლია თავში საჭადრაკო ამოცანა გადავწყვიტო. ხოლო როცა კეფაზე მის თითებს შევიგრძნობ და ტკბობისაგან მოღრეცილი მის ტუჩებს დავინახავ, კედელზე წინანდებურად ირიბად დაკიდებულ სურათსაც ვხედავ და ლიფტის ხმაც კარგად მესმის. თანაც თავს ვიმტვრევ და ვერ გამიხსენებია, რა რიცხვია დღეს. ამ დროს მესმის მისი შეკითხვა: You're happy?[2] მაშინ თვალებს ვხუჭავ, რომ ჩემს მკლავებში მოქცეულ აივიზე ვიფიქრო და შეცდომით საკუთარ იდაყვს ვკოცნი. შემდეგ თითქოს ყველაფერი მავიწყდება. მავიწყდება, რომ ვილიამსს უნდა დავურეკო; თუმცა სულ ამაზე კი ვფიქრობდი. ფანჯარასთან ვდგავარ და სიგარეტს ვეწევი, აივი იქით ჩაის ამზადებს, და უცებ მაგონდება, დღეს რა რიცხვია. თითქოს არასოდეს არაფერი მომხდარიყოს! შემდეგ მესმის, როგორ შემოდის ოთახში ვილაც, ეს აივია, ხალათი ჩაუცვამს და ორი ფინჯანი მოაქვს. მივდივარ მასთან და ვეუბნები: აივი! — და ვკოცნი, იმიტომ, რომ აივი ცუდი გოგო არ არის, თუმცა ვერ ხვდება, რომ მე მარტო ყოფნა მირჩევნია.

მოულოდნელად გემი გაჩერდა.

მისტერ ლევინს უცებ გამოეღვიძა, თუმცა მე სიტყვა არ დამიძრავს და იკითხა, საუტჰემპტონში ხომ არა ვართო.

გარეთ სინათლეები მოჩანს...

ალბათ, მართლა საუტჰემპტონში ვართ.

მისტერ ლევინი წამოდგა და გემბანზე გავიდა. მე ლუდს ვსვამდი და ვცდილობდი გამეხსენებინა, ჰანასთანაც (მაშინ) ყველაფერი აბსურდი იყო თუ არა, ნუთუ ყოველთვის აბსურდი იყო?

ყველა გემბანზე გაიკრიფა.

ქაღალდის ფრანებით მორთულ დარბაზში ზაბეტი ხელჩანთის წასაღებად შემობრუნდა. გავვოცდი: ულვაშებგაწკეპილ მეგობარს დაემშვიდობა და ჩემ ვერდით ჩამოჯდა. ყმაწვილს სახე მოელრიცა. ახალგაზრდა ჰანას სახე დამიდგა თვალწინ! მან სიგარეტი მთხოვა და ისევ მკითხა, აქდენ ხანს რაზე ფიქრობთო. რაღაც ხომ უნდა მეთქვა: ცეცხლი მივაწოდე, ალმა ახალგაზრდა სახე გაუნათა. მე ვკითხე, ცოლად თუ გამომყვები-მეთქი.

ზაბეტი გაწითლდა.

სერიოზულად ეამბობ ამას?

რატომაც არა?

---

[1] რა ბედნიერი ვარ, საყვარელო, რა ბედნიერი, საყვარელო! (ინგლ.).

[2] შენც ბედნიერი ხარ? (ინგლ.).

გემს ცლიდნენ. ციოდა, მაგრამ გემბანის დატოვება ღირსების შელახვას ნიშნავდა. სამეჯლისო კაბებში მორთული ქალები სიცივისაგან კანკალებდნენ. ნისლი, სინათლეებით გაჩახჩახებული ღამე, სმოკინგებში გამოწყობილი მამაკაცები ცდილობენ თავიანთ მანდილოსნებს ხელი გადახვიონ და ისე გაათბონ. პროექტორები, მამაკაცების ჭრელაჭრელა ქალალდის ქუდებიანი ოჯახები, ნისლი, სასიგნალო სინათლეები ნაპირზე...

ჩვენ გაუნძრევლად ვიდექით.

გულში რომ არ გამივლია, ისეთი რამ წამომცდა, მაგრამ ნათქვამ სიტყვას უკან ხომ არ წავიღებდი. ჩვენი დუმილით ვტკბებოდი. უკვე სავსებით გამოვფხიზლდი, თუმცა ვერ ვერკვეოდი, რაზე ვფიქრობდი. ალბათ, არაფერზე.

ჩემი ბედი მის ხელთ იყო.

ერთი წუთით გამოჩნდა მისტერ ლევინი. ხელი არ შეუშლია, პირიქით, მისი გამოჩენა გავვიბარდა კიდეც, მე მგონი. ზაბეტსაც გაუხარდა. ვიდექით ხელიხელგაყრილი და მისტერ ლევინს ველაპარაკებოდით. მას ბურგუნდული ძილში მოეხელებინა. ვლაპარაკობდით გემის მოსამსახურეების დასაჩუქრებაზე და ამდაგვარებზე. ღუზაჩაშვებული გემი ერთი საათი მაინც იდგა ნაგსადგურში. თენდებოდა. როცა ისევ მარტო დავრჩით სველ გემბანზე, ზაბეტი ისევ შემეკითხა, სერიოზულად ამბობთ, რაც მითხარითო? მე შუბლი დავუკოცნე, შემდეგ—აცახცახებული ქუთუთოები. მთელი ტანით კანკალებდა. ტუჩებში ვაკოცე და შევძრწუნდი: ის ჩემთვის უფრო უცხო იყო, ვიდრე ოდესმე შეხვედრილი რომელიმე გოგონა. მისი ნახევრად გასხნილი ტუჩები... აბა, ეს შეუძლებელი იყო! კოცნით ამოეუმშრალე ცრემლები. სათქმელი არაფერი მქონდა... ეს შეუძლებელი იყო...

შეორე დღეს ჰავრში ჩავედით.

წვიმდა. გემბანზე ვიდექი, როცა მოწითალო „ცხენის კუდიანი“ გოგონა ხიდზე გადმოდა, ორივე ხელში ბარგი ეჭირა და ხელის დაქნევა არ შეეძლო. მგონი დამინახა, ხელი როგორ დავუქნიე. მინდოდა გადამეღო, მაგრამ ბრბოში ზაბეტს ვეღარ ვხედავდი. ხელს მაინც ვიქნევდი. შემდეგ საბაჟოში კიდევ მოვკარი თვალი მის მოწითალო „ცხენის კუდს“. მან თავი დამიქნია და გამიღიმა. ორივე ხელში ბარგი ეჭირა. მუწის ფუძეს ზოგავდა და შეუფერებლად მძიმე ტვირთს მიათრევდა. მიშველება ვერ მოვახერხე, ისე გაუჩინარდა ბრბოში. ჩვენი შვილი! ნაშინ რა ვიცოდი, ვინ იყო, მაგრამ ყელში რაღაც მოსებჯინა, როცა დავინახე, ბრბოში გზას როგორ მიიკვლევდა. მე ის მომწონდა. სხვა არაფერი ვიცოდი. შემეძლო პარიზისაკენ მიმავალ სიგანვებო მატარებელში ყველა ვაგონი დამეღო, მაგრამ არ ღირდა. ჩვენ ხომ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

პარიზში ჩავედი თუ არა, ვილიამსს დავურეკე, მინდოდა ჩემი პატაკი სიტყვიერად მაინც გადამეცა. ვილიამსი მოსესალმა, მაგრამ მითხრა, ახლა სალაპარაკოდ არა მცალიაო. ხომ არაფერი მოხდა-მეთქი, დავეჭვდი.

პარიზი ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის. თითქმის მთელი კვირა კონფერენციებზე გავატარე.

ჩვეულებისამებრ, ვოლტერის სანაპიროზე ვცხოვრობდი, ისევ ჩემს ოთახში, რომელიც სენას და ლუვრს გადაჰყურებდა, ლუვრს, სადაც მე არასდროს ფეხი არ შემიდგამს. ლუვრი ზევდ ჩემი სასტუმროს წინ იყო.

ვილიამსი რაღაც უცნაურად იქცეოდა...

— It's okay, — იმეორებდა წამდაუწუმ, სანამ გვატემალაში ჩემი მოგზაურობის ამბავს ვუყვებოდი. გვატემალაში ჩემს წასვლას, როგორც ტარაკასშიც გავიგე, საქმე არაფრით არ დაუბრკოლებია. ტურბინები მოხტალეისათვის მაინც არ იყო მზად. და რაც მთავარია, პარიზში დანიშნულ კონფერენციას, ამ თვეში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, დროზე ჩამოვუსწარი.

— It's okay, — მითხრა მან მაშინაც, როცა ჩემი სიყრმის მეგობრის შემაძრწუნებელი თვითმკვლელობის ამბავი მოვუყევი. და ბოლოს: — What about some holidays, walter?[1]

ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა.

— What about some holidays? — გამიმეორა მან, — You're looking like...[2]

ამ დროს გაგვთიშეს.

— This is Mr. Faber, this is...[3]

ვილიამსს ის თუ ეწყინა, რომ არ ჩამოვფრინდი, არ ვიცი. მისი გადაკრული სიტყვა, დასვენებაზე რას იტყვით, მხოლოდ ირონიულად შეიძლებოდა ყოფილიყო ნათქვამი. ასე გარუჯული ბოშვიათად ვყოფილვარ, ბოლო გემზე კარგი ჭამა-სმის წყალობით ჩვეულებრივზე მომატებულიც ვიყავი, თან, როგორც ვთქვი, მზეზე გარუჯულიც...

ვილიამსი რაღაც უცნაურად იქცეოდა.

კონფერენციის შემდეგ სრულიად უცნობ რესტორანში შევედი. ვილიამსის გახსენებაზე გუნება მეწამლებოდა. რამდენადაც ვიცნობდი, წვრილმანი კაცი არ იყო. იქნებ ვილიამსს ეგონა, რომ გზაში სასიყვარულო თავგადასავალი გადამხდა? მისი ღიმილი მწყინდა, რადგან საქმეში, როგორც ვთქვი, კეთილსინდისიერების განსახიერება გახლავართ. ჯერ არ ყოფილა, — და ეს ვილიამსმაც მშვენივრად იცოდა, — რომ მე ქალის გულისათვის კონფერენციაზე ნახევარი საათითაც კი დამეგვიანებინოს. ასეთი რამ საერთოდ არ მომსვლია. ყველაზე უფრო მისი უნდობლობა, თუ რაც იყო, მიფუჭებდა გუნებას, მისი It's okay!" მეც ისე ამეკვიატა, რომ წამდაუწუმ ვიმეორებდი და ოფიციანტიც, როგორც იდიოტს ისე მეჭცეოდა.

— „Beaune," monsieur, c'est un vin rouge[4].

— It's okay, — ვუპასუხე მე.

— Du vin rouge, — გამიმეორა მან, — du vin rouge, avec des poissons?[5]

უბრალოდ დამავიწყდა, რა შევუკვეთე. თავში სულ სხვა რამ მიტრიალებდა. სასირცხო და გასაწითლებელი აქ არაფერი იყო, მაგრამ ვცოფდებოდი, ეს ოფიციანტი (თითქოს ვინმე ველურს ემსახურებოდა) როგორ მიკარგავდა გამბედაობას. ბოლოს და ბოლოს, არავითარი საბაბი არა მაქვს, არასრულფასოვ-

---

[1] რას იტყვით, ცოტა რომ დაისვენოთ, ვალტერ? (ინგლ.).

[2] თქვენ ისე გამოიყურებით, თითქოს... (ინგლ.).

[3] მისტერ ფეიბერი ვისმენთ. (ინგლ.).

[4] დიახ, მუსიო, ეს წითელი ღვინო გახლავთ. (ფრანგ.).

[5] წითელი ღვინო, წითელი ღვინო, თევზთან ერთად? (ფრანგ.).

ნების გრძნობა გამიჩნდეს, ჩემს საქმეს კარგად ვუძღვები, თავი დიდად არ მომაქვს, მაგრამ ერთი ოჰაიოელი ბაპტისტის ოდენა საქმეს მეც ვაკეთებ ამ ქვეყანაზე. ის ბაპტისტი ინჟინრებს დასცინის, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ინჟინერი მასზე გაცილებით სასარგებლო საქმეს აკეთებს. მე ისეთ მონტაჟებს ვხელმძღვანელობ, მილიონები რომ ჯდება. რამდენი ელსადგური ამაშენებია, ვინ მოსთვლის. სპარსეთშიც მიმუშავია და აფრიკაშიც, პანამაზე, ვენესუელასა და პერუშიც. ციდან კი არ ჩამოვფრენილვარ, როგორც, ალბათ, ამ ოფიციანტს ჰგონია.

— Voilà, Monsieur! [1]

ნამდვილი სანახაობაა, ოფიციანტი ბოთლს რომ დაგანახვებს, შემდეგ საცობს ოსტატურად ამოაძრობს, ჭაშნიკს დაგისხამს და გეკითხება:

— Il est bon? [2]

არასრულფასოვნების გრძნობას ვერ ვიტან.

— It's okay, — ვთქვი მე და ოფიციანტს თვალი გავუსწორე. ღვინის საცობის გემო დაჭკრავს, მაგრამ კამათის თავი არ მქონდა. — It's okay!

თავში სულ სხვა ფიქრები მიტრიალებდა.

ჯერ კარგად მოსალამოვებული არ იყო და რესტორანში მარტო მე ვიყავი. მხოლოდ ერთი რაშ შალიზიანებდა: ჩემს პირდაპირ მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული სარკე. ავიხედავდი თუ არა, ჩემს თავს წინაპართა სურათივით ჩარჩოში ჩასმულს ვხედავდი: ოქროს ჩარჩოში ჩასმული ვალტერ ფაბერი სალათას მირთმევს. უპეები ოდნავ ჩამუქებული მაქვს, მთლიანად, როგორც ვთქვი, გარუჯული ვარ, წინანდელთან შედარებით მოკეთებულიც კი ვჩანვარ. მოკლედ რომ ვთქვა (ეს უსარკოდაც მშვენივრად ვიცოდი), 50 წელი მამაკაცისათვის საუკეთესო ასაკია, ჭალარა მირევია, მაგრამ მაინც სპორტული ტიპის მამაკაცი მეთქმის, ლამაზი მამაკაცები არც მომწონს. ცხვირი ცოტა გრძელი მაქვს, თუმცა ეს ამბავი მხოლოდ სქესობრივი მომწიფების ხანაში მაწუხებდა, მას შემდეგ ბევრმა ქალმა გამიქარწყლა არასრულფასოვნების გრძნობა. ამ წუთში მხოლოდ დარბაზი მალიზიანებდა: საითაც არ უნდა გაგეხედა, ყველგან სარკეს დაინახავდი, თან უსაშველოდ დიდხანს ვუცდიდი ჩემს შეკვეთილ თევზს. ოფიციანტს ხმამაღლა ვუსაყვედურე, თუმცა დრო ბევრი მქონდა. იმის შეგრძნება, რომ ოფიციანტი არაფრად მაგდებდა, ნერვებს მიშლიდა. ხუთი ოფიციანტი ერთმანეთს ეჩურჩულებოდა. ცარიელ დარბაზში ერთადერთი სტუმარი მე ვიყავი. საითაც არ გაიხედე, ყველგან მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული ვალტერ ფაბერი ანამცეცებდა პურს. ბოლოს და ბოლოს, მოიტანეს თევზი. შესანიშნავი იყო, მაგრამ გემო მაინც ვერ ჩავატანე. არ ვიცი, რა დამემართა.

— You are looking like...

ვილიამსის ამ სულელური შენიშვნის გამო (თან ვიცი, რომ ვილიამსს ვესიმპათიურები) თევზის ჭამის მაგიერ ამ სასაცილო სარკეში ვიხედებოდი. სარკეები ჩემს ანარეკლს რვა ეგზემპლარად მიჩვენებდნენ.

---

[1] ინებეთ, მუსიო! (ფრანგ.).

[2] კარგია? (ფრანგ.).

რა თქმა უნდა, კაცს ხანი გემატება...

რა თქმა უნდა, მალე თავიც გამიმელოტდება...

ექიმებთან სიარულს მიჩვეული არა ვარ. ბრმა ნაწლავის ოპერაციას თუ არ ჩავთვლით, ჩემს სიცოცხლეში ავად არ ვყოფილვარ. ახლაც მხოლოდ იმიტომ ვიხედებოდი სარკეში, რომ ვილიამსმა მითხრა, ხომ არ აჯობებდა, გეგებულება აგეღოო. თანაც მზეზე ისე ვიყავი გარუჯული, როგორც არასდროს. იმ სტიუარდესობას მონატრებულ გოგონას თვალში შეიძლება ერთი დარბაისელი კაცი ვჩანდი, მაგრამ ცხოვრებისაგან დაღლილი მამაკაცი მაინც არ მეთქმოდა. პირიქით, ისიც ალარ გამხსენებია, პარიზში ექიმთან მისვლას რომ ვაპირებდი.

თავს სავსებით ჯანსაღად ვგრძნობდი.

მეორე დღეს (კვირას) ლუვრში წავედი, მაგრამ „ცხენის კუდიანი" გოგონა ვერსად ვნახე, თუმცა იქ მთელი ერთი საათი დავყავი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა აპოლინერი

ლექსები

ფრანგულიდან თარგმნა
გივი ბეგბეჰკორმა

ბამაკრეხვეგა

ყივის მამალი მე ვოცნებობ და ტოტები ქანაობს ხეთა
უსიხარულო მეზღვაურებს ჰგვანან ფოთლები

თრთის და მიფრინავს უთვალავი ცრუ იაროსი
უსინათლონი ვით უმწეო ჭიანჭველები მანიშნებენ და
ფეხებს აქნევენ
ანდა წვიმაში იმზირებიან არეკლილები სველ ფილაქნებზე

მე ახლაც მესმის მათი სიცილი დამძიმებული მტევანი
ყურძნის

ალმასო ენაამოდგმულო ნუ წახვალ ჩემგან
იძინე მშვიდად შენ შინ ხარ შინ ხარ და ჩემთან უნდა
იყო მარადის
შენია შენი ჩემი საწოლი ჩემი ლამპა და გახვრეტილი
ეს მუზარადი

გათლილს სენ-კლოდის გარეუბნებში თვალი მიაპყარ
ძვირფას საფირონს
ზურმუხტოვანი იყო დღეები ზურმუხტოვანი და უნაპირო

ნეტეორების ქალაქო ისევ მე შენ გიგონებ
ყველამ გაიგოს
შენს ღამეებში და შენს ბალებში თეთრის სინათლის
ყვავილებს შლიდი
და მე სინათლის ვკრეფდი თაიგულს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეეშვი სლოკინს ნუ შეაშფოთე ზეცის თავანი
ვერ წარმოიდგენთ რომ მიიღწევს კაცი რაიმეს
რა სულელია ტუტუცი და ამპარტავანი

უწლოვან ბრმათა ინსტიტუტში ბევრჯერ იკითხეს
არ არის თქვენში უსინათლო ფრთები რომ ჰქონდეს

კაცის ბაგეებს ახალი ენის ახალი სიტყვის უნდა
მიგნება
იგი არ უწყის გრამატიკოსმა და კიდევ მისმა სქელმა
წიგნებმა

ო ეს ენები ისე დაბერდნენ რომ ცალი ფეხი სამარეში
უდგიათ უკვე
და ამ ენებზე პოეზიაში თუ აგრძელებენ ახლა საუბარს
ან ჩვეულების ტყვენი არიან ანდა აკლიათ გამბედაობა

დაუძლურებულ ავადმყოფებს ჰგვანან ისინი
ღმერთმანი მალე დაიეიწყებს ხალხი ლაპარაკს
აკმაყოფილებს ჟესტ-მიმიკა კინოაპარატს

მაგრამ ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ
ჩვენ გვინდა ენით რომ გამოვხატოთ
გრძნობა ტანჯვის და ბედნიერების
ჩვენ გვინდა ახლა სულ სხვა ბგერები სულ სხვა ბგერები
სულ სხვა ბგერები

ჩვენ გვინდა მხოლოდ თანხმოვნები ყრუდ რომ სკდებიან
მიბაძეთ ბგერებს ბზრიალას ბგერებს
და აიძულეთ რომ იტაცუნოს ბგერამ გრძელმა და
ცხვირისმიერმა
ან კიდევ ენა ააწკლაპუნეთ
და ის ყრუ ხმები გამოიყენეთ რომელსაც მაშინ მოისმენთ მხოლოდ
როცა მაგიდას უზრდელი უზის
არც მშვენიერი თანხმოვნები ნახველთან ერთად ამონთხეული
არ იქნება ალბათ ურიგო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თქვენს ბაგეებზე ათასნაირად აფეთქებული ბგერების ჭურვი
უბრალო სიტყვას ეგზნებარებას მიანიჭებდა
თქვენი სურვილით შეეჩვიეთ დაბოყინებას
რომელი ბგერა შემოიჭრა და ჩვენს ხსოვნაში
რომელი ბგერა რეკავს ზარივით
არ გვიყვარს ამდა არ შეგვიძლია
რომ გვალელეებდეს მუდამ ახალი
ო ნეგომბარო დადგება ჟამი
მატარებლებიც ვერ გაგახარებს
თვალი ადევნე ამ სასაცილო
მატარებლების მიმოსვლის გრაფიკს
შენს სიცოცხლეზე ვადიქრობლებენ
მათი გაქრობა იქნება სწრაფი

ჩემს წინ იწვის და ორი ქალივით
ეს ორი ლამპა იცინის ახლა
მათი მხურვალე მზერა დამცინის
და მაიძულებს თვალების დახრას
ო ეს სიცილი ილვრება
ყველგან
თუ გინდ თითები აატკაცუნეთ თუ გინდ ხელებით ილაპარაკეთ
და როგორც დოლზე იტყაპუნეთ თუ გინდ ლოყებზე
ო ეს სიტყვები
მურტის ჭალაში ვერსად გაექცნენ სიტყვის ტყვეობას
ვერც ცრემლიანი ეროსი და ვერც ანთეროსი
მე ვარ ქალაქის ცაში

გესმით როგორ ქვითინებს
მიუსაფარი ზღვის ანგელოსი
გათავდა ჩემს ხმას ლანდივით ერთგულს
სურს გადაიქცეს ცხოვრების ლანდად
ზღვაო ცოცხალო ამიერიდან სურს მუხანათი იყოს შენსავით

ზღვას უამრავი მეზღვაური რომ ჰყავს ნათრევი
დღეს ჩაძირული ღმერთებივით თითქოს ნადავლად
ჩემი ყვირილის შთანთქმა სურს და მზის სინათლეში
აიტანს მხოლოდ ფრინველების ჩრდილის გადავლას

შეეცარია სიტყვა მიტომ კანკალებს ღმერთი
მოდი მიშველე სიბრალული წამყვება მისი
ვინც მალმერთებდა ხელს იწვდიდა ჩემსკენ და ჩემთვის
ვისი ხელების ოაზისი მომელის ვისი
იცით რა არის სიხარული ახლის დანახვის

მე ვლაპარაკობ ზღვის ენით ხმაო
პორტის ღამეში ბინადარი ვარ ტავერნისა
არ იქნებოდა ჩემზე კერპი ჰიდრა ლერნისა

ჩემი თითების შეხებას ელის
ქალაქის ქუჩის ყველა ნომერი
ვინ იცის იქნებ ისიც მომელის
ხვალ გაქვავებულს შევავლო ხელი
რომელი გზაა ჩემი რომელი

იცოდე მალე მიატოვებენ
და რკინიგზების აღსასრული დადგება მალე
წინ გაიხედე

გამარჯვება უპირველესად
არის დანახვა შორეულის
ახლოს
მთლიანად
დაე თავიდან მოინათლოს ქვეყნად ყოველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲐᲠᲘᲡ

არის ხომალდი ჩემი ძვირფასი რომ წამართვა და
შორს წაიყვანა
არის მაერში ექვსი „ძეხვი“ * რომლებიც ღამით ცის ვარსკვლავებში
მატლებივით იქანავებენ
არის წყალქვეშა ხომალდი მტრისა რომლისაც ასე
ეშინოდა ჩემს უძვირფასესს
არის ათასი პატარა ნაძვი ჩემს ირგვლივ ჭურვით
დამსხვრეული და დალეწილი
არის ქვეითი ჯარისკაცი მხუთავი გაზით დაბრმავებული
და გაგუდული
არის გოეთე არის ნიცშე იქ ჩვენთან ერთად
კელნის სანგრებში აჩეხილი და აკეპილი
არის წამება და მოლოდინი სანამ მოვა ბოლოს წერილი
არის იმედად ჩემს საფულეში უძვირფასესის
რამდენიმე ფოტოსურათი

---

* „ძეხვი“ — აეროსტატზე მისაბმელი ბალონი

არის საშხელრო ტყვე ორიოდე შეშფოთებულნი
დააბიჯებენ
არის სამხელრო ბატარეა და ქვემეხებთან ჯარისკაცები
ირევიან და ფუსფუსებენ
არის საველე ფოსტალიონი განმარტოებულ ხესთან გზაზე
რომ შორბის მკვირცხლად
არის ჯაშუში ამბობენ თურმე დაეხეტება უჩინარი
ვით ცისკიდური რომელსაც იგი შეერია და შეუერთდა
არის ძვირფასის მალალი მკერდი აღმართული
როგორც შროშანი
არის დამფრთხალი კაპიტანი რომელიც ახლა შიშით ატლანტის
ოკეანიდან ტელეგრაფის ცნობას მოელის
არის წყვდიადი და წყვდიადში ჯარისკაცები საკუბოე
ფიცრებს ხერხავენ
არის მეხიკო სადაც ქალები დამხობილები კივიან და
ეეედრებიან ნაწამებ ქრისტეს მაისის მარცვალს
არის გოლფსტრიმი ასე თბილი და მწყალობელი
არის სულ ახლოს სასაფლაო გავსებული საფლავის ჯვრებით
იქამდე 5 კილომეტრია
არის ის ჯვრები ყველგან ყველგან აქაც და იქაც
არის ალჟირში ველური ლეღვი კაკტუსებზე
გახარებული
არის ძვირფასის მოქნილი და გრძელი ხელები[...]
არის სამელნედ გადაქცეული ჰილზა შინ რომ ვერ გავაგზავნე
რადგან არ დამრთეს ამისი ნება
არის წვიმაში რომ უნდა დალბეს და უნდა დალბეს
ის უნაგირი
არის წყალუხვი მდინარეები რომ ვერასოდეს ვერ წავა
ალმა
არის ჩურჩულით მე რომ მიხმობს ის სიყვარული
ეყო ტყვე ბოში რომელსაც დიდხანს ტყვიამფრქვევი
მოჰქონდა ზურგით
არის ამ ქვეყნად მრავალი კაცი რომ არ ყოფილა
ომში არასდროს
არის ინდუსი გაოცებული რომ შემოჰყურებს
ევროპის სოფლებს
და ნაღვლიანი ფიქრობს იმათზე ვინც შეიძლება
ვერასოდეს ვეღარ იხილოს
რადგან ამ ომში ხელოვნება კაცის გაქრობის
გაუმჯობესდა და შორს წავიდა

მე თუ დავეცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე თუ დავეცი ბრძოლის ველზე გამსკდარი მკერდიდან
და შენ მიტირო ლუ ძვიროვასო იწამო ღმერთი
დრო მაინც ჩაკლავს ჩემი ხსოვნის უმძაფრეს სურვილს
და იქ მე სადაც გამისკდება დაცემულს მკერდი
მსგავსი შიმოზის მშვენიერი ჩაქრება ჭურვი

ხსოვნა სივრცეში აფეთქდება და იკაშკაშებს
წალეკავს სისხლი მგზნებარებით რომ ვამაყობდი
ზღვებს მთებს და ველებს განთიადის მიმქრალ
ვარსკვლავებს
მზე საოცარი აფეთქდება და იკაშკაშებს
ვით ბარატიერს ოქროვანი ხილის ნაყოფი

მე ყველაფერში გაცოცხლება ვიქნები ხსოვნის
მოვალ შენს მკერდზე რომ ვეხილო ბორცვების თოვლი
რომ ჩამოშლილი შრიალებდეს თმა ჩემს თითებში
მე ყველაფერში გაცოცხლება ვიქნები ხსოვნის
და შენ დარჩები ახალგაზრდა და უწმინდესი

ამ ქვეყანაზე სხვა მზის შუქი დაიბინადრებს
და ჩემი სისხლით აფეთქდება სხვა მზე ჭურვივით
წაემატება ზვირთს ზვირთი და ყვავილს სინათლე
ჯერარსმენილი სიყვარული დაიბინადრებს
და შენს სხეულში შეეიჭრები მძაფრი სურვილით

მე თუ დავეცი და ჩაგიქრა ხსოვნის სანთელი
ლუ გაიხსენე რომ ღამეებს ერთად ვათევდით
ამ უგნურების დავიწყება არ გვეკადრება
მითხარ რა ვუყო აჯანყებულ სისხლის შადრევანს
ლ გაიხსენე რომ ღამეებს ერთად ვათევდით

შენ სიგიჟე და სიყვარული ხარ ერთადერთი

მონპარნასი

ერეკლეანელი
ბიბლიოთეკა

სასტუმროს კარი მწვანეა და ხისაა მაგრამ
ალარასოდეს არ ამწვანდება
სად გაგდგი ფესვი ამ სად არის ჩემი ნაყოფი
სასტუმროს კართან დგას ანგელოსი და ზნეობის პროსპექტს
არიგებს
ასე არასდროს არ უბრძოლიათ ჯერ დასაცავად
უმანკოების
იქნებ დამითმოთ სამუდამოდ ერთი ოთახი რომ აქირავებთ
მხოლოდ დროებით

წვერებიანო ანგელოსო სინამდვილეში
ლირიკოსი ხართ გერმანელი თქვენ ხართ პოეტი
რომელსაც სურს რომ გაეცნოს პარიზს და არ უნახავს
ჯერ არაფერი
და იცის ისე დახაზულია რომ არის თითქმის დანაშაული
ფეხი დაადგას იმის ქვაფენილს
იგი ოცნებობს გაატაროს კვირა დღე გარშემი

ჰაერი ისე დახუთულია მხრებზე გაწვება მძიმე
სვეტივით
თქვენ ხართ პოეტი ქერათმიანი ცოტა სულელი
მაგრამ კეთილი
თქვენი თვალები ვით ბუშტები საესე ჰაერით
დაუბმელია და აწყვეტილი
და ალალბედზე მიიწევს ზევით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმანი
მურმან ჯგუბურიასი

ესახელო ჩან-ი-ღუნის მღვიმისადმი მიძღვნილი ლექსები[1]

კედელზე ციმციმებს კოპწია ფირფიტა,
ხმა მესმის თამამად მზირალს:

მეფის კაცს, რომელსაც მღვიმე უსახსოვრეს,
აქ გამოუყვანეს წირვა.

„მე რომ შამრი ვიყო, — ვფიქრობ ნალვლიანი, —
ბელს მოვარჯულებდი მწარეს,

და ჩემი გმირობით სახელს გავუთქვამდი
სამშობლოს — ოთხივე მხარეს.“

მდინარე ბატ-ლანგთან განშორებისას მეგობრისადმი მიძღვნილი ლექსები[2]

შორს, როცა დატკბები ნაზი ყვავილეთით,
ნუ მოსტეხ ულონო ღეროს,

მათი უმყიფესი ტანი შეიცოდე,
ფარჩა შეიცოდე, ჩემო.

---

1 ჩან-ი-ღუნი — ჩინელი მხედართმთავარი, დაეცა ვიეტნამელებთან ბრძოლაში, ვიეტნამელებმა, ჩინეთის სამეფო კართან ნორმალური დამოკიდებულების აღსადგენად და ჩინელების გულის მოსაგებად, დაწარცხებული მხედართმთავრის სახსოვრად მღვიმე აშენეს. პოეტისათვის ჩინელი მხედართმთავარი დაუმსახურებლად ამაღლებული არარაობის სიმბოლოა.

2 ბატ-ლანგი — მდინარე ჩრდილოეთ ვიეტნამში; აქ, XIII საუკუნის დამლევს, სახელგანთქმულმა ვიეტნამელმა მხედართმთავარმა ჩან-ხინგ-დაომ (დარ. 1300 წ.) დაარბია მონღოლთა ურდო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელა აიყვანე წყალი წყეროგილედან,
ლაიცავ სიწმიდე ქველის, —

ძილი არ დაუფრთხო, არ გამოაღვიძო,
სიზმარი — ჩუმი და სველი.

ყვამლსა და მტირალა ლრუბლებს აღარასდროს
აღარ შეშიდარო გული,

მთებმა გაიგონეს ფიცი ხმამაღალი, —
ლაიცავ პირწმინდად თქმული.

დაე, ამ მდინარემ მოგვწყვიტოს ერთმანეთს,
იძახდეს, მოთქვამდეს ბუკი,

იდინონ ლღეებმაც... მე ვიცი, ბატ-დანგთან
ლიღხანს არ დადგები ზურგით.

რა მარტოსული ხარ, ვარდისფერლაწვება,
აქ მარტო წყარო და მთებია,

აქ ბუკის ხმა ზომავს შენეულ სიცოცხლეს,[1]
ლამეულ წკვარამს რომ შებმია.

გვიანი გუშაგი... ჭინჭილა ლვინისგან
აღარც მთვრალი ხარ, არც ფხიზელი,

სულარ ელოდები მთვარის მოვანებას,
აწ მთვარე აღარ აივსება.

ხავსიან ჩრდილებად წვებიან ლანდები,
ლამეა. სანახი ვრცელია.

---

[1] ბუკის ხმა... — ძველ ვიეტნამში, ღამე იყოფოდა ხუთ, ორ-ორ საათიან საყარაულო დროდ, ყოველი ახალი საყარაულო დროს დაწყებისას ისმოდა ბუკის, დოლის ან სარაკუნას ხმა.

ბინდით დაფარულან შვეტი მწვერვალები
და მათი გარჩევა ძნელია.

და მზარავს სიჩქარე შე გაზაფხულების,
და წლების სიჩქარე მზარავი,

ვის უნდა გაუყო ფიქრი შენმიერი,
ირგვლივ ალარ არის არავინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუდას ქეთილსურნელოვან ნაკვალევთა ტაძარი[1]

ვისია ეს მღვიმე? სად მიედინება
უშტი მახვეწარი ნელა?

სილრმეში მიდის ნაპრალი მღვრიე
და იდუმალად იზიდავს ყველას.

მცონარეს ადათი ეძახის მარადის,
ჯოხს მიაკაკუნებს, მიდის,[2]

მცონარეს ვერ ზაფრავს ბუდას ბრწყინვალება,
თვალი დავსებია ბინდით.

მხოლოდ პაწაწინა, ულიჩბო ბაიდა,[3]
მცურავი ტალღების ჯარით,

მიცურავს ბუნების შვენებით შეძრული,
რომ წმინდანს დაუკრას თავი.

ის, რაც კი შექმნილა ყველასთვის ფარულად,
ცაო, ბრბოს რგებია წილად!

ო, შენი ზრახვანი, დიდო შემოქმედო,
სასაცილოა ხშირად.

---

1 ტაძარი — ჩა-დონგის პროვინციაში;

2 ჯოხს მიაკაკუნებს, მიდის — ნთაზე ალმართულ ტაძარში ვაწრთ ბილიკებითა და ტეის კიბეებით ადიოდნენ.

3 ულიჩბო ბაიდა — ტაძრისაკენ მიმავალი გზა ტბაზე გადიოდა; ტბის გადადიოდნენ პაწაწინა ბაიდებითა და ეარცხლი ნავებით; მუნავეს, ჩვეულებრივ, ჰოკით გადაპყავდა ნავი.

კემ-ჩონგის მიდამო

მთები გაწეულან. ჩქაფუნობს მდინარე.
— თქვენ მოგწონთ მთიანი არე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მითხარით, გეთაყვა, ეს ყომ კემ-ჩონგია?
ბრწყინვალე, ბრწყინვალე არის!

ტოკავს და ისრება კენარი ბამბუკი,
სადღაც სარაკუნა რეკავს.

ტალღა ადგაფუნდა. ქარმა აიწყვიტა,
მაგრამ აქ, საიდან, ნეტავ?..

უფრო შორს, უფრორე მცირდება, წვრილდება,
და მთასთან ჩერდება ველი.

ხოლო მთის მწვერვალზე ახვალ და ისევე
ნათლად ჩანს სანახი ერცელი.

მაგრამ თუ შორს გიწვევს ნაპრალი მთისა,
იყავი მშვიდი და წყნარი,

ვინ იცის, რარიგად გიმუხთლებს ბედი,
სიფრთხილეს არ სტკივა თავი.

ლოკოკინა

ციცქნა ლოკოკინად, პაწაწა ხამანწკად
ვიშვი დედისაგან ტოელი,

შმორიან ჯურღმულში ვფუსფუსებ მარადის,
აი, საწუხარი ჩემი.

მე შენ დაგაკვირდი, კეთილო საგულევ,
დღეს ნუ დამიბნელებ მზიანს:

ამხადე ბაკანი, ოღონდ ქვედა სარქველს
ნულარ მიაყენებ ზიანს.

---

[1] კემ-ჩონგის მიდამო — ჩონგის ვიწროები, ლამაზი სანახებით განთქმული ადგილი; მდებარეობს ნინ-ბინისა და თხან-ხოის შესაყარზე.

ღ ი ლ ი

როგორ გაცვეთილხარ, როგორ მოთეულხარ,
ახავაი და, შენი ბრალი!

ვინც მოისურვებდა, შენ გიტყაპუნებდა,
ფხიზელი იყო თუ მთვრალი.

მე მიკვირს, რაოიგად იტანდი დაცინვას,
აი, რა მაკვირვებს სწორედ:

ცისმარე იწყებდი ხმამაღალ სიმღერას,
ღამით აღვიძებდი შორეთს.

ვინ თქვას, რანაირად არ გაგუგუნებდნენ,
იდგნენ, იბრეგოდნენ, ისხდნენ,

ჰაერში გისროდნენ, მიწას განარცხებდნენ,
მღეროდი, როკავდი ისევ.

ნალხნო! მოთელილი კანი შეიცოდეთ,
იწამეთ, არა აქვს ძალა!

ბებერი კანი რომ ჭილოფი არაა —
ბრიყვიც კი მიხვდება, არა?

ამომაქვს წყალი

ხვატი და ხურეალი, ალარ გაწვიმდება,
ფუჭია ლოდინი წვიმის,

ჰაუ, გოგონებო, აილეთ ხაპია,
მე ვიცი წყურგილე ცივი!

ლაბლა ჩამვებული — პაწაწა ხაპია
ყურყუტებს ბალახებს შორის,

და თავისუფალი, კრიალა წყურგილე,
შრიალებს, ვით მწვანე მოლი,

ოდნავ დავიხრები — ავავსებ, ამოვწევ,
ცვივიან წვეთები ჩქამით,

იყავ თვინიერი, სუყველას ეყოფა,
ამო და სურნელი ნამი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა სიხარულია! დავცალეთ, ავავსეთ,
კვლავ ამოვიყვანეთ მაღლა;

ბუნეს ესმის მკაფიო, მკაფიო კისკისი,
ყველას დააკიწყდა დაღლა.

ძველი მეგობარი გავიხსენე[1]

შორეულ შორეთში, უთვლელი მზის ქვეშ,
თქვენგან მოწყვეტილი ვწუხვარ,

ვინ უნდა ვაცრიხო თქვენთან მაწვიერად,
რომ შემოგაბრუნოთ უკან?

წყურვილეს წვეთი დალია მდინარემ,
აწ საუკუნეა წამი!

ასე ოქროსფერი აიწმრები ბოდიან,
და მოანათებენ ლამეს.

უცებ გაგიტაცეს ვარვარა ცხენებმა,
მას მერმე გზაზე ვარ, კენტად.

ან ფერუმარილი, ანდა სამკაული,
უშენოდ, რად მინდა, ნეტავ?

კვლავაც მთვარის კოშკთან ვხვდები გამთენიას,
ბეუტავს თუ კიაფობს ცვარი?

ჯერ იცევ ციმციმებს ობოლი ფარანი,
მოძრაობს გუშაგი ლამის.

---

[1] ძველი მეგობარი გავიხსენე — ეს ლექსი ანტიკეს ხო-სუან-ხიონგისა და ნგუენ-ზეს (1765 — 1820) ახლო მეგობრობის ღლეგზე მოძრულ ლექსია.

ბა-ზოის გადასასვლელი[1]

დალმართი — ალმართი, დალმართი — ალმართი,
აჰანდე, — მაღალი ზეკარი!

აქ რბილი ქვისაგან კლდე რომ გამოჭეფია,
ვინ იყო, ვიცოდე, ნეტარი?

შეწბილულ კედელთან ყველა დაინახავს
ვიწრო გზას იდუმალ მლვიმისა,

ეი, საცნაურიც: აქ ხავსი შრიალებს,
და იმ ხავსს ფერი აქვს წვიმისა.

მღუარ გაზაფხულზე კენარი ფიჭვი
აკაკუებს ფუსფუსა ჭარებს,

ცქაფმა გამთენიამ ტირიფის ფოთლებზე
უსვად გადმობერტყა ცვარი.

აქ მოისწრაფვიან სიკეთის მფარველნი,[2]
ახილონ ბუნება ლამაზი,

ძალს არ იშურებენ, მუხლებს იცვეთავენ,
ქშენით ამოდიან ალმართზე.

მენავეს, ტალღა რომ დაკვინყდა, რომელმაც ნაპირზე გამოიყვანა

ეჰეი, მენავეო! ჩემთვის ნათელია
მზაკვრული განზრახვა შენი,

შენ ნიჩბებს უსვამდი აფოფრილ მდინარეს
და მოფარფატებდი ლხენით.

---

1 ბა-ზოის გადასასვლელი — თხან-ხოასა და ნინ-ბინის შესაყარზე მდებარე სამმაგი ციალტეხილი.

2 სიკეთის მფარველნი — კონფუციანელნი, „მწყალობელი მამები", ოფიციალური იდეოლოგიის მქადაგებელნი და მორალის დამცველნი, ინტელიგენტთა ფენის წარმომადგენელნი.

ხო-სუან-ხიონგი

მაგრამ, ჩვეულებრივ, ნაპირს რომ მოადექ;
გულგრილად გაჰხედე არეს,

ნავის ქვეშ ფსკერუნებს ქვიშა მოჭრიალე, —
შორია მგზავრობა მწარე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტალღა კი, რომელიც შენ გამოაღვიძე,
დგაფუნებს, ფოფინებს, ღელავს,

შენ მას გაექეცი, ის კი შეუწყვეტლივ
ფეხდაფეხ მოგდევდა ნელა.

სურდა მოგხვეოდა. რაღა კაცობაა,
გზა თუ დაგავიწყდა უკვე?

კიდევ არაერთხელ მოგიწევს მგზავრობა,
უკან მოიხედე, განუკევ!

მთარგმნელისაგან

ფანტასტიური ბანოვანი, „ლედოფალი ვიეტნამური პოეზიისა", ხო-სუან-ხიონგი დაბადებულა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, „მფრინავი ურჩხულის" ქალაქ თხან-ლონგში (დღევანდელი ჰანოი). პატარა სუანს (სუანი — პოეტესას ფსევდონიმი — ნიშნავს „გაზაფხულს") ბავშვობა დედაქალაქში გაუტარებია. მისი სახლი — „უძველესი მთვარის სავანე" — წარმოადგენდა ლიტერატურულ სალონს, სადაც თავს იყრიდნენ პოეტები და პოეზიის მოყვარულნი. მისი ლექსებიდან ვგებულობთ, რომ იგი ორჯერ გათხოვილა და უკიდურეს გაჭირვებასა და მწუხარებაში დამდგარა წუთისოფელი...

ხო-სუან-ხიონგს ბევრი უმოგზაურია, შეუსწავლია თავისი ხალხის ადათ-წესები, ხალხური სიბრძნე: „შიძინი", ჩინური კლასიკა და განსაკუთრებით ტანის ეპოქის პოეზია. მისთვის ახლოა სამყაროს რაბლესეული აღქმა. მისი ლექსი თითქმის ყოველთვის ორაზროვანია, მაგრამ ყოველთვის ნათელია და დახვეწილი. აქვს წვიმა და ქარი, მთვარე და ღამეული ბუის ხმა, ალმართ-ალმართ ნელა მიმავალი ყარიბი და მდუმარე მორჩილი, ქისკისა ქალწული და მწუხარე ქალბატონი, დამცინავი ლიმილი და ნაღვლიანი მზერა. აქვს ვიეტნამის ნამდვილი ცხოვრება.

წინამდებარე თარგმანი პირველი ცდაა დიდი ვიეტნამელი პოეტის ქართულად გახმიანებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორჰან ველი

თურქულიდან თარგმნა
ფრიდონ ხალვაშმა

თქვენია

თქვენია, ძმებო, აღამიანებო,
ეს ყველაფერი მხოლოდ თქვენია.
ღამეც თქვენია და დღეც თქვენია,
ღღისით მზის შუქი,
ღამით — მთვარისა,
მთვარიან ფოთლებში ღელვა ქარისა.
ჟრჟოლა ფოთლების,
დარდი ფოთლების.

ღღისით ველ-მინდვრების
ათასერთი ფერი:
ლურჯი, ყვითელი, წითელი ფერი
თქვენია, ძმებო, ეს ყველაფერი.

ხელზე შეხება ნაზი სხეულის,
თბილი სხეულის,
რბილი სხეულის
და ხმელ საწოლზე წოლა თქვენია.

სალამი შორიდან ნასროლი
თქვენია.
თქვენია ზღვიდან ამოვრილი
შავი ანძები
და ძველ ნაოებზე
დახეთქილი საღებავები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეთა სახელები,
თვეთა სახელები,
ფოსტალიონის მოღლილი ფეხები
და თულუხჩის ხელები
თქვენია.

თქვენია, ოფლი რომ ჩამოდის
შუბლზე წურწურით
და ყველა ომში დახარჯული ტყვია
თქვენია.

ცეხე, ბორკილი და სიკვდილით დასჯა
თქვენია,
თქვენია, ძმებო, ყველაფერი,
მხოლოდ თქვენია.

ᲛᲣᲥᲗᲐᲓ

მუქთია ჩვენი ცხოვრება, მუქთი,
ჰაერი მუქთად,
ღრუბელი მუქთად,
მთა-ბარი, წვიმა, ტალახი მუქთად.
ავტომობილის ნახვა ხომ მუქთად.
კინო, თეატრები და ვიტრინები?
ნახეთ, ინებეთ.
თუმცა შავი პური კარგა ძვირი ღირს,
მაგრამ სასმელ წყალს მუქთად ღვრის ხევი.

თავისუფლებას ზოგჯერ თავს ვწირავთ,
მაგრამ მონობა ხომ სულ მუქთია.
მუქთია ჩვენი ცხოვრება, მუქთი.

• •

რა არ ვაკეთეთ,
რა არ გავიმეტეთ
სამშობლოსათვის,
ზოგი ჩვენგანი საშშობლოსათვის
ლაეცა ბოლოს,
ზოგიერთი კი სამშობლოსათვის
ლაპარაკობდა მხოლოდ.

მთარგმნელისაგან

ნაზიმ ჰიქმეთს, სიცოცხლის ბოლო წლებში მოსკოვთან ახლო პერედელკინოს „აგარაკზე" რომ ცხოვრობდა, რამდენიმეჯერ შევხვედრივარ და იგი ყოველთვის დიდი [illegible] მიყვებოდა თურქეთის უკეთეს თანამედროვე პოეტებსა და მხატვრებზე.

ერთხელ, თურქულ პოეზიაზე ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, ნაღვლიანად გააქნია თავი და მითხრა, რომ ბევრ საბჭოთა მკითხველს ჰგონია, თითქოს თურქეთს ერთადერთი რამედ ღირებული პოეტი მარტო ჰიქმეთი ჰყავსო, ეს არაა მართალი. თქვენ კარგად რომ გაიცნოთ ორჰან ველის, მელიქ ჯევდეთის, ოქტაი რიფათის ლექსები, ასეთი აზრი უთუოდ შეგვეცვლებათო.

ისიც მახსოვს, ორჰან ველის ორიოდე პატარა ლექსი ზეპირად რომ თქვა ნაზიმმა.

სწორედ ზემოთ დასახელებულმა სამმა პოეტმა 1940 წელს „ხალვათო ომი" გამოუცხადა ე. წ. სალონურ პოეზიას, რაც დიდხანს ბატონობდა თურქ პოეტთა შემოქმედებაში.

„ლიტერატურა რაღაცას უნდა ეუბნებოდეს ხალხის მასებს" — წერდა ორჰან ველი. თვით ცხოვრება, მისი ყოველდღიურობა, მშრომელი კაცის ფიქრი და გულისტკივილი იქცა პოეტის მთავარ თემად. ახალმა შინაარსმა თავისთავად ახალი ფორმა მოითხოვა.

ორჰან ველიმ შექმნა უკიდურესად დახვეწილი, ლაკონური, მაგრამ ბევრისმთქმელი ლექსები, რომელთა უმრავლესობა დიდად პოპულარული გახდა ხალხში.

ორჰან ველი ოცდათექვსმეტი წლის ასაკში, 1950 წელს გარდაიცვალა. მისი მრავალი კრებული არსებობს თურქეთში. პოეტის ლექსების ნაწილი ითარგმნა რუსულადაც.

გასულ წელს, თურქეთში მოგზაურობისას, მაჩუქეს ორჰან ველის ერთი კრებული, საიდანაც ეს რამდენიმე ლექსი გადმოვიღე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალეე ჰედაიათი

სპარსულიდან თარგმნა
თენგიზ კეშელავამ

მარგალიტის ზარბაზანი

თუ არ გწერათ, ჰკითხეთ უფრო გამოცდილ, ბევრის მნახველ ხალხს, ვისაც ჩვენზე მეტი ტანისამოსი გაუცვეთია. მარგალიტის ზარბაზანს თუ ვერ მოესწრ-ნენ, მამაპაპათაგან მაინც ექნებათ ეს ამბავი გაგონილი.

ვინ არ იცის, რომ ნასერ ედ დინ შაჰის მოწამებრივი სიკვდილის დროს მარ-გალიტის ზარბაზანი არგის მოედანზე იდგა და მის მახლობლად დოლისა და ნა-ღარის ხმისაგან ყურთასმენა იყო წაღებული. წელიწადის ულანასკნელ ოთხშა-ბათს ზარბაზნის გარშემო უამრავი ხალხი იკრიბებოდა: მოხუცი თუ ახალგაზრ-და, შინაბერა ქალები თუ უშვილო ქვრივები, იმედდაკარგული გაუთხოვარი და-დაკაცები თუ უმწიფარი, ახლად წამოჩიტული ქალიშვილები. ისეთი ჭედვა იყო, ნემსი არსად ჩავარდებოდა; ვისაც ბედი გაუღიმებდა, ზარბაზნის ლულას მოექ-ცეოდა თავზე ან მის ქვეშ გაძვრებოდა, ზარბაზანს რამე ქსოვილს შეაბამდა, ან სხეულით შეეხებოდა. მეორე წელს კი საწადელი მიღწეული იყო: გულგა-ტეხილ და საბოწარკვეთილ ქალებს იმედი ეძლეოდათ, დედ-მამის სახლში გაუთხოვრად დარჩენილები თავის გულის სწორს პოულობდნენ, უშვილოები ტყუპებს აჩენდნენ და მათი ტირილით, დედა, პური მოგვეცი, ყურთასმენა იყო წაღებული.

არც ზარბაზნის მცველი ემდუროდა ბედს, მომავალი წლის სარჩოც კი განაღ-დებული ჰქონდა. ზარბაზანს ფხიზლად დარაჯობდა, ასი თვალი და ყური ჰქონდა გამოსხმული, რომ დედაკაცებს ზარბაზანი არ მოეპარათ. ალთქმა ჰქონდა მიცე-მული, ქალებისავე საკეთილდღეოდ დაეცვა ზარბაზანი ქალების ხელყოფისაგან.

ეს ამბავი ოცი, ოცდაათი თუ ასორმოცდაათი წლის წინათ მოხდა, დალოცვი-ლი — სიუხვისა და სიიაფის — დრო იყო: ხუთ შაჰიდ შვიდ კვერცხს, სამ შაჰიდ ერთ სირ ერბოს და ას დინარად ადამიანის სიმაღლე დაბრაწულ პურს იძლეოდ-ნენ.

თეირანის უმდიდრეს უბანში ბინის ქირა თვეში თხუთმეტ ყურანს, სამ შაჰისა და სამ ფულს არ აღემატებოდა. მაშინ ქალებს თავიც ჰქონდათ და გულიც. ატლანტიდის ქარტია, ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და სხვა ამგვარი მყვირალა გამოთქმები ჯერ კიდევ ყველას არ ეკერა პირზე.

ყველაფერს ჰქონდა თავისი აზრი და მნიშვნელობა დროებითობის გრძნობა ღალატობდა ხალხს...

თუმცა მაშინ სხვადასხვა ბანკი არ არსებობდა, მაგრამ, რაღა დაგიმალოთ, სახელმწიფოს ბიუჯეტი საათივით იყო აწყობილი. არც ეს უზარმაზარი, ისტორიისათვის გაუგონარი ნავთობის შემოსავალი ჰქონდა ირანს, რომლითაც დღესაც ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო სარგებლობს.

ჯართსა და მოძველებულ იარაღს არ ვასაღებდით, ჩვენი სახელმწიფო გაკოტრების გზაზე არ იდგა, უცხოეთის სესხისა და ვალის გემო არ ვიცოდით. ჩვენი მიწა-წყლის სადარაჯოზე გენერლები არ იდგნენ, მაგრამ ვერავინ ბედავდა ჩვენი სახელმწიფო საზღვრების ხელყოფას. სამშობლოს სიყვარული ყველას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, თუმცა მაშინ არ იყვნენ „ამ დიდი იდეის“ მქადაგებელნი, რომელნიც ახლა უცხოეთში მოგზაურობენ, თვალთმაქცობითა და ჯამბაზობით ხალხს თვალს უბამენ. მაშინ რადიო ხალხის რწმენაზე ზრუნვით არ იყო გატაცებული და ისტერიულად არ გაჰკიოდა: ხალხო! ღვთის რწმენა დაიკარგაო! — თუმცა ახლა მორწმუნე მოლებისა და სწავლული ახუნდების რიცხვმა საგრძნობლად იკლო. არც საყოველთაო სწავლებაზე ყბედობდნენ ამდენს, თუმცა წერა-კითხვის მცოდნეთა სიმცირეს არ უჩიოდნენ და წიგნის გამოცემის საქმეც უკეთესად იყო დაყენებული. თრიაქის წევის მავნე ზეგავლენაზე ამდენს არ გაჰყვიროდნენ, მაგრამ თრიაქს არც ამდენი ეტანებოდა.

ერთი სიტყვით, წესრიგი სუფევდა. ყველაფერს თავისი ღრო და ადგილი ჰქონდა. ხალხს არც ღირსება ჰქონდა დაკარგული და სიტყვის ფასიც იცოდა.

ახლა კი მარგალიტის ზარბაზანს დაეუბრუნდეთ. აკი ვთქვით, რომ მცველი ფხიზლად დარაჯობდა — დედაკაცებმა ზარბაზანი ხელს არ გააყოლონო. დაიჯერებთ კი, რომ ზარბაზნის ჩადრის ქვეშ დამალვა შეიძლება? ასეთი უაზრობა თავში როგორ მოგვივიდოდა! წამოგვცდა, თორემ... ამ ზარბაზნის ლულის სიგრძე შვიდი ნაბიჯია, დიამეტრი — შვიდი გოჯი. ჭურვის წონა — 77 კილოგრამი, ხოლო ზარბაზნის ლულა ორ ტონაზე მეტს იწონის. ზარბაზანს შვიდი კაცი ემსახურებოდა: ერთი დენთს ყრიდა, მეორე ზუსბით ტენიდა, მესამე ჩვრით ლულას აბრიალებდა, მეოთხე ჭურვს დებდა, მეხუთე ანთებულ პატრუქს მოარბენინებდა, მეექვსე ლაფეტს ჩაფრენოდა, მეშვიდე კი ბრძანებებს იძლეოდა. ყოველი გასროლის შემდეგ ზარბაზანი შვიდი მეტრით უკან იწევდა და მომსახურე პერსონალს სრესდა. ერთი სიტყვით, ვერც ლეგენდარული როსტომი და ვერც გმირი ოუჯ აბნ ონოყი ამ ზარბაზანს ადგილიდან ვერ დაძრავდა. ახლა მის შემადგენლობას არ იკითხავთ? ზარბაზნის ლულა ისეთ რვა უძვირფასეს ელემენტს შეიცავდა, როგორიცაა: რკინა, ტყვია, ბრინჯაო, სპილენძი, თითბერი, თუთია, ანტიმონია და, რაც მთავარია, ქანთარინი. ალბათ, ჩვენი სიძუნწით თუ აიხსნება, რომ არაფერი გვითქვამს თითოეული კომპონენტის ხვედრითი წონის შესახებ, ამავე მიზეზით არაფერი გვითქვამს ამ შენაღნობის ხვედრითი წონის, ძალის, წინააღმდეგობის, დნობის წერტილის და იმის შესახებ, რომ ზარბაზანი ყოველწლიურად თავისი წონის შვიდ პროცენტს კარგავდა, მაგრამ ამასთანავე ბრწყინ-

ვისა და კრიალის შვიდ მეათასედ პროცენტს იძენდა, იმის გამო, რომ ზარბაზნის ლულას ასე უწყალოდ ეხახუნებოდნენ და ეფერებოდნენ. ვერც იქ ბალდუმლოს გაგიმხელთ, რომ ამ ზარბაზნიდან გასროლილი ჭურვი მისგან შვიდ მეტრზე მდგარ შვიდსართულიან აგურის შენობის პირველ და მეორე სართულებს ხელუხლებელს ტოვებდა, მაგრამ ანგრევდა ამ შენობის სარდაფსა და წყალსაცავს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ისინი ზემოხსენებული აგურის შენობის გარეთ მდებარეობდნენ. ზარბაზნის ლულა ბილიმეტრის შვიდი მეათასედი დიამეტრის მქონე მავთულად რომ ექციათ, ჩვენი ვარაუდით, ეს მავთული სრულიად საკმარისი იქნებოდა, რომ დედამიწას შვიდჯერ შემორტყმოდა გარს. ზარბაზნის ლულის ჩამოსხმაზე დახარჯული ლითონისგან 77777 სასტვენი გამოვიდოდა. იმასაც ვეტყვით, რომ თუმცა დღესდღეობით არავინ მიცნობს, მაინც კაცობრიობა ჩემზე აღაბარაკდება.

ევროპელ მეცნიერებს — ეინშტეინს, ლანჟევანს, ჭალბატონ კიურის და ედისონს რომ სულმა არ წასძლიოთ და თავის სამშობლოს არ მიაწეროთ თქვენი მონა-მორჩილის აღმოჩენა, გადაეწყვიტე, თავი შევიკავო, პატენტი არ აეღო და ჯერჯერობით კომპეტენტურ ორგანოებს ჩემი აღმოჩენები და გამოგონებები არ გავაცნო. ის კი არადა, უნდა დავამახინჯო ზუსტი მონაცემები და გამოანგარიშებანი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი დედასამშობლოს სახელმა და დიდებამ იმატოს.

კვლავ მარგალიტის ზარბაზანს დავუბრუნდეთ. მის შესახებ მრავალი გადმოცემა არსებობს. განსვენებული მეცნიერი აბუ ჰაიულა თავის წიგნში „სიბრძნეთა საგანძური“ და ყოვლისმცოდნე აბულ ფუთუჰ სალუს ებნ ჯასუსი თავის ნაშრომში „აზრს მოკლებული ისტორია“ წერენ, რომ მარგალიტის ზარბაზანი შაჰ აბასმა პორტუგალიელებს წაართვა, ხოლო ნაშრომის — „ისტორიის ფალსიფიკაციის“, ავტორს მიაჩნია, რომ ეს ზარბაზანი ნადირშაჰმა კონტრაბანდული გზით ინდოეთიდან ჩამოიტანა. მეჩვიდლის შთამომავალი მირზა იაყანალი ამტკიცებს, რომ მარგალიტის ზარბაზანი ბაბუამისმა ფათალი შაჰის მეფობის წლებში ჩამოასხა. ამ გადმოცემებს ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს. ჭრაქის შუქზე მრავალი ღამე გავატარე, ფიქრი, ცოდნა, გრძნობა, ინტუიცია არ დამიკლია და ახლა ძვირფასი მკითხველის სამსჯავროზე ეს დასკვნები გამოვიტანე. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, ცნობილი პროფესორი მეგერდიჩ ბუ ასირიან ანდალუსელი (ღმერთმა ცოდვები შეუნდოს!) აცხადებს, რომ მარგალიტის ზარბაზანი პორტუგალიელებს ეკუთვნოდათ. ეს დებულება სიმართლესთან საკმაოდ ახლოა, მაგრამ საქმე არც ისე მარტივია, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია.

დაახლოებით ათას ხუთას წელს, ქრისტიანული წელთაღრიცხვით, ცხოვრობდა ანდალუზიის მეფე. მისთვის შეიძლება დაგეწამათ ფრანკოფილობა, ნოვატორობა, დესპოტობა, მაგრამ დიქტატორობას ვერავინ დააბრალებდა. მეფემ თავის წინაპაროა მიწა-წყლიდან ველურების გაძევება გადაწყვიტა. ამასთანავე „უაზრობათა და სისულელეთა კრებულში“ მათ აღრინდელ ელვისებურ თავდასხმებსა და გამარჯვებებზე ბევრი წაიკითხა, ამ ყაჩაღებისა და ავაზაკების გამოხტომები თვითონაც იწვნია, აბიტომაც ნატივ ანდალუზურ ენაზე თავისთვის ჩაილაპარაკა:

— უმანკო სულო! ღმერთმა ნუ ქნას, რომ კვლავ შემოგვიტიონ, ჩვენი საქმე შავად წავა. ხმელთაშუა ზღვის მთელ სანაპიროზე ისინი ბატონობენ, ფერდინანდ

დე ლესეპსის ჯერ სუეცის არხი არ გაუთხრია, რომ მე ამ გზით კონტრაბანდულად შევალწიო.

სწორედ ამ დროს მოუვიდა ანდალუზიის მეფეს ბრწყინვალე ბორ თავში, დაუყოვნებლივ იხმო კაპიტანი ქრისტეფორე კოლუმბი. ქოსა, ცისფერთვალა, საკმაოდ მოუხეშავი კაპიტანი წარმოშობით რომიდან იყო, სადმე შესვლისას ჯიბიდან კაკალს ამოიღებდა, მაღლა შეაგდებდა და იტყოდა:

— ყველა კაკალი მრგვალია, მაგრამ ყველაფერი, რაც მრგვალია, კაკალი არ არის. დედამიწა კი ზარბაზნის ჭურვივით მრგვალია.

ცნობილია, რომ კოლუმბმა ეს გამონათქვამი თავის მასწავლებელ პროფესორ ბეტლიმუსისაგან ისწავლა და ყველასთვის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ დასავლეთიდანაც შეიძლებოდა ინდოეთში ჩასვლა.

რაღა დაგიმალოთ და, იტალიელები ეკრძალავდნენ თავის მეზღვაურებს ნაწილთაშუა ზღვიდან გასვლას, ვაითუ ამერიკა აღმოაჩინონო! ამასთანავე თვითდაჯერებულ სასულიერო პირებს მიაჩნდათ, რომ აზრი დედამიწის სიმრგვალის შესახებ ბიბლიისა და თორის არსს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომაც კოლუმბს შწვალებლობას სწამებდნენ და რელიგიური დღესასწაულის წინ გალილეის მსგავსად მისი დაწვა უნდოდათ. ამიტომაც ჩქარობდა კოლუმბი.

დადგა მაიმუნის თვე[1] და საათი და კოლუმბიც გზას გაუდგა. რაღა თავი შეგაწყინოთ, ორი-სამი თვე იცურა კრეისერმა „კართაგენმა“. მაგრამ არაბეთის ნახევარკუნძულის ხსენებაც კი არ იყო. გემი ნაბახუსევ სპილოსავით ირწეოდა წყალზე, ებრძოდა შემხვედრ ქარებს, რამდენჯერმე გზაც აებნა, სურსათიც თავდებოდა, მოგზაურობას კი დასასრული არ უჩანდა.

მაშინ კაპიტანმა კოლუმბმა ზეცისკენ აღაპყრო ხელები, ლოცვა აღავლინა და უზენაეს გამგებელს აღუთქვა, თუ ცოცხალი გადავრჩი, ბერად აღვიკვეცები და დედამიწის სიმრგვალეზე ქრინტს აღარ დავძრავო. გამწარებულმა კაპიტანმა ხარაკირის გაკეთება გადაწყვიტა, ანდერძი დაწერა, დაბეჭდა, თავისი თანამგზავრებისათვის გამოსათხოვარი სიტყვის სათქმელად ანძაზე ავოდგა, უკანასკნელად მოავლო თვალი უკიდეგანო წყალს და უეცრად შორს მიწა დაინახა, იფიქრა, არაბეთის ნაპირიაო, სწრაფად დახია ანდერძი და საპირფარეშოში ჩაუძახა. კოლუმბმა ფეხების ბაკუნით და ხელების ქნევით მეოთხე მოტორიზებული პოლკის დაწყობა ბრძანა, სამხედრო აღლუმი მოაწყო და წამოიძახა:

> არ დაკარგო მხნეობის, ვაჟკაცობის სადავე,
> მტერმა თავისი ხელით გაითხაროს სამარე!

დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ კაპიტანი კოლუმბი დახვეწილი გემოვნების პატრონი და მშვენიერების დიდი მოტრფიალე იყო. კარგა ხანია დარწმუნდა დანტეს უნიჭობაში, ხოლო შექსპირი უვიც, ნაკლებად ცნობილ პოეტად მიაჩნდა, ამიტომაც ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ზეპირად იცოდა ავღანული სუზანი საბარყანლისა და ობეიდ ზაქანის, პაკისტანელი ამირ ხოსროე დეჰლევის, კაკაკსიელი ნიზანის, თურქი მოულავის და არაბ იბნ სინას ლექსები,

---

[1] ალბერ, ირანში წელთაღრიცხვა „ცბოველებრივ“ ციკლის მიხედვით წარმოებდა.

კოლუმბს უყვარდა მათი ციტირება და არცთუ ისე იშვიათად უადგილო ადგილას იწყებდა ხოლმე მათზე ლაპარაკს.

რაღა თავი შეგაწყინოთ და, როცა კრეისერი ნაპირს მოადგა, კაპიტანმა კოლუმბმა დაინახა, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ბორბლებზე დამაგრებულ უზარმაზარ ლულას შემოხვეოდნენ და რაღაც რიტუალს ასრულებენ. ლულა ფერადი ფრჩხილებით იყვნენ გართულნი: ტაშისკვრას და ხტომას ბოლო არ უჩანდა. ლულაზე ამძვრალი ქალები მხიარულად მღეროდნენ, თმებში გარჭობილი ფრთებით შემკული ადგილობრივი დონჟუანები სიგარეტ „მარი-ხუანას" აბოლებდნენ, ან პირში ბებუთგაჩრილნი ლულის გარშემო რუმბას ცეკვავდნენ. უცებ ხალხი მიიფანტ-მოიფანტა და ზარბაზანთან მხოლოდ შვიდი კაცი — ლულის მომსახურე პერსონალი დარჩა. ერთ-ერთმა მათგანმა ანთებული პატრუქი ლულასთან მიიტანა, გაისმა საშინელი გრგვინვა, ლულიდან ამოვარდა ბოლი, ბორბლებმა უკან დაიწიეს და შვიდი კაცი გაჭყლიტეს. შეშინებული კოლუმბი მუხლებზე დაეცა და ცას შეჰღაღადა: „დიდ არს ალაჰი! ეს რა ამბავია?" როცა მიიხედა, ნახა, რომ კრეისერის ეკიპაჟის 77 წევრს შიშისაგან იმ ქვეყანაში წაელო წერილი, დანარჩენებს კი საშინელი მუცლის გვრემა ასტყდომოდათ, არც თვითონ კოლუმბს დაადგა კარგი დღე, ისე რომ, საცვლის გამოცვლა არც მას აწყენდა.

კაპიტან კოლუმბის აზრით, ეს არაბების ერთ-ერთი სტრატეგიული ოინი იყო, ამიტომაც უსიტყვო კაპიტულაცია გადაწყვიტა. თეთრი დროშით, ჯვრითა და არაბებისათვის თავის დროზე წართმეული კულტურული ფასეულობებით ხელდამშვენებული კოლუმბი ნაპირზე გადავიდა.

კაპიტან კოლუმბს თარჯიმნად არაბულ ენაზე მერცხალივით მოჭიკჭიკე ებრაელი ჰყავდა. მოულოდნელად ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩამოსულები მუსიკითა და ხარ-ხეიმით მიიღო. დამხვდურები გულთბილად მიესალმნენ სტუმრებს საზოგადოება „ურჩხულისა და წითელი მზის" სახელით და გემს ტრომატული სითხე აპკურეს. ჩამოსულებს შიშმა გადაუარა, გული მოიცეს და მასპინძელთან მუნჯური ლაპარაკი გააბეს.

წითელკანიანთა ტომის ბელადმა კოლუმბს თავის მშობლიურ, აცტეკურ ენაზე მიმართა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ძალიან გაგვახარეთ თქვენი მოსვლით. საიდან მოდიხართ და საით მიემართებით?

კოლუმბმა აცტეკების პირველი წიგნის ჩაკითხვა ვერ მოასწრო ბოლომდე და ამიტომაც უხეიროდ ატეტინდა:

— თქვენმა მონა-მორჩილმა მსოფლიოს შემოვლის მიზნით საყვარელი სამშობლო მიატოვა, უდაბნოს მკვიდრი არაბების დასჯა განიზრახა, მაგრამ ახლა, როცა კეთილ მეზობლებთან აღმოჩნდა, უსიტყვო კაპიტულაციაზე მზად არის.

— გეშლება, შვილოსან, — ღიმილით უთხრა წითელკანიანთა ტომის ბელადმა, — „უსიტყვო კაპიტულაცია" რაღა დროზანაა? რამ შეგაშინა, ჭირიმე? პირში მარილი ჩაიყარე, გონს მოდი. რის არაბეთი, რა არაბეთი? ამ მხარეს კოსტა-რიკას უწოდებენ და იგი ახალ ქვეყანას, „იანგი დონიას" მიეკუთვნება. „იანი" თურქულ ენაზე ახალს ნიშნავს. ჩვენ სწორად ვერ გამოვთქვამდით ამ თურქულ სიტყვას და „იანკი"-ს ვამბობდით. ეს მიწა, რომელზედაც თქვენ დგახართ, შემდეგ ყველასათვის ამერიკის სახელით იქნება ცნობილი. თქვენთან

სადავო არაფერი გვაქვს, ჩვენ ღმერთ ფალუსის თაყვანისმცემლები ვართ. ვატიკანის, რომის პაპის და ინკვიზიტორების საწინააღმდეგოდ ვამტკიცებთ, რომ დედამიწა მრგვალია. ათადან-ბაბადან ჩვენი ხალხი ამ შეხედულებას იზიარებს, ამიტომაც მოსახლეობა დღითი დღე მატულობს და ჩვენი ქალებიც ბედნიერად გრძნობენ თავს. ჩვენში მოსახლეობის ზრდამ ფარ[illegible] მიიღო. გამოვიდა კანონიც, რომ წელიწადში ერთხელ, უკანასკნელ [illegible], მოეწყოს დღესასწაული, ამ ზარბაზნის ლულის გარშემო მოგროვდნენ ქალები და ჩატოქვან ხოლმე გულის საწადელი. შემოხვევით თქვენი ჩამოსვლაც ამ დღესასწაულს დაემთხვა. ჩვენი ხალხი ომის, უსიამოვნების, წყლის, კოლონიალიზმის, ექსპლუატაციის და სხვა ამგვარი თვალთმაქცობის მტერია. თუ ამ ცერემონიალის გამო ხართ შიშნაჭამი და ელდანაცემი, ეს რა ჩვენი ბრალია! მაგრამ მაინც ბოდიშს ვიხდით. თქვენი სტუმრობა კიდევ იმიტომ არის უფრო სასიამოვნო, რომ მოულოდნელად მოხვედით. ამასთან დაკავშირებით დღევანდელი ისტორიული ცერემონიალი, რომელშიც ჩვენმა პატრიოტულმა გრძნობებმა და ერის ერთიანობამ თავისი გამოხატულება პოვა, შვიდ დღე და ღამეს გასტანს.

ამ სიტყვის შემდეგ წითელკანიანთა ტომის ბელადმა კოლუმბს გადასცა კალათა, რომელშიც ეწყო: რეკანდი, ანანასები, ბანანები, ბრაზილიური ნუში, სიგარეტები „ფილიპ მორისი", რამდენიმე ბოთლი კოკა-კოლა, ნაირ-ნაირი ნაყინი, სალეჭი ლენინის, „ადამსის" რამდენიმე შეკვრა, ოქროსა და ვერცხლის ზოდები.

ოქროს დანახვაზე კოლუმბს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ მიხვდა, რომ ეშმაკზე დარჩა და გულში ჩაილაპარაკა: „დედას გიტირებთო". კოლუმბმა კაპიტულაციის ნიშანი, თეთრი ცხვირსახოცი, ხელის სწრაფი მოძრაობით ჯიბეში ჩამალა და წითელკანიანთა ტომის ბელადს უცებ მოხარშული წითელი კვერცხი მიართვა.

— ეს თეთრი ქსოვილი ამ საუცხოო ხილად როგორ იქცა, — იკითხა გაოცებულმა ბელადმა.

— ჯერ ერთი, ეს ხილი კი არა, კვერცხია. თუ ამ კვერცხს მაგიდაზე დადგამთ, მაშინ თქვენ წინაშე ქედს მოიხრი და თავისუფლებას გაჩუქებთ.

წითელკანიანთა ბელადის ყველა ცდა — კვერცხი მაგიდაზე დაედგა — ამათ გამოდგა. კოლუმბი სიხარულით ცას ეწია, ბირგაბადრულმა კვერცხი მაგიდას მაგრად დასცხო და დამტვრეულ ბოლოზე კვერცხი ისე უძრავად დადგა, როგორც სკამზე ჩვილი ყრმა წამოსკუპდება ხოლმე. შემდეგ კოლუმბმა სიამაყით ხელი ულვაშებზე გადაისვა და ბელადს უთხრა:

— თქვენ გაუნათლებელი, უმეცარი ხალხი ხართ. კულტურა და თავისუფლება თქვენთვის უცხო ხილია, ამიტომ სანამ სამყარო იარსებებს, უნდა გვიხადოთ ხარაჯა, ჯიზიე და სხვა გადასახადები. თქვენი სისხლისღვრა ნებადართულია, ცოლები კი თქვენისთანა ველურებს არმად შეერგოს! ამ იარაღს, რომლის გამოც 77 კეთილშობილი ანდალუზიელი დაიღუპა, ჩვენ წავიღებთ, თქვენ კი გამოგიგზავნით გამოცდილ ქრისტიან მღვდლებს, რომლებიც ჭეშმარიტების გზას გაუყენებენ იმათ სულებს, ვინც არ იწამებს ჩვენს სამებას და ჩვენს ზეციურ მამებს.

წითელკანიანთა ტომის ბელადი შმაგივით აენთო და კოლუმბს უთხრა:

— თქვენ, დაღუპატიქებელ სტუმრებს, ამ სისულელეების ბოდვა გეპატიებათ, ხოლო ჩვენს ქალებს ნუ ეხუბრებით, მათი დაყოლიება ასე ადვილი არ არის. ღმერთმა ნუ ქნას, რომ წინააღმდეგობა დაკარგონ, ამას ნამდვილად ამბოხება მოჰყვება. ყოველ შემთხვევაში აჯობებს ქალებს დაეტოვოთ ის, რითაც ადრე სარგებლობდნენ, რათა მაღალი სახელმწიფოს მფარველობა ქვეშ ლოცვა-კურთხევაში ატარონ დრო.

ამ თავხედური სიტყვებით გაცოფებული კოლუმბი აყვირდა:

— თქვენს თავგასულობას საზღვარი აღარა აქვს! ხომ არ გაიწყდებათ, რომ დამარცხებულ და დამონებულ ერს ეკუთვნით? მაგრამ თქვენ რომ გგონიათ, მე არც ისეთი უმადური ვარ. — ამ სიტყვებით კაპიტანმა კოლუმბმა წითელკანიანთა ტომის ბელადს მკვდარი ოქროს ბუზებით სავსე პატარა კოლოფი მისცა და ქედმაღლურად დაუმატა:

— ეს წაიღეთ და რადგანაც ველურ ტომებს განეკუთვნებით, შეგიძლიათ ძველებურად იცხოვროთ!

შემდეგ კოლუმბმა დრო იხელთა და ანდალუზიაში გასაგზავნი ანგარიშის წერას შეუდგა

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ჩვენმა მოგზაურობამ მძიმე კლიმატურ პირობებში ჩაიარა. მეშვიდე კვირა რომ იწურებოდა, ჩვენი კორვეტი „კართაგენი“ მოულოდნელად მიადგა გოგისა და მაგოგის ქვეყნის ძლიერად გამაგრებულ ნაპირს, რომელთან შედარებით ისკანდერის მიწაყრილი, ჩინეთის კედელი და ზიგფრიდის ხაზი არაარაობაა. ამ ქვეყნის ნაპირს თიხით ნაშენები კომკებიანი გალავანი ერტყა. მეომრები შეიარაღებული იყვნენ ავტომატური გუთხებით, ცეცხლისმსროლი შუბებით, ყუმბარისა და რაკეტის მტყორცნი ეტლებით, კრაზანის მტყორცნებით, მაშხალებით, სასკდომი ჭურვებით, ხელყუმბარებითა და კომბლებით. რაღა თავი შეგაწყინოთ, სისხლისმღვრელმა ბრძოლამ შვიდი დღე და ღამე გასტანა. ჩვენი ქვეყნის 77 მამაცი შვილი მტერს ეკვეთა რევოლუციური ლოზუნგის—„თუ სამშობლო არ იქნება, რაღაა ჩვენი სიცოცხლე“ — დაძახილზე და სამშობლოს საკეთილდღეოდ ბოლომდე გამოსცალა მოწამებრივი სიკვდილის შერბეთის ფიალა. ჩვენმა ძლევამოსილმა და მამაცმა ჯარებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მტერს და მოწინააღმდეგეების გვამების ძეგლი დაახვავეს. ჩვენ მიერ ციხეებისა და გალავნის დანგრევის შემდეგ მტერმა უსიტყვო კაპიტულაცია შემოგვთავაზა. ჩვენი ნაალაფევიდან გემით გიგზავნით საშინელ ზარბაზანს „კანონს“, რომლის საშუალებითაც ოვალის დახამხამებაში შეიძლება მსოფლიოს ერთი მეოთხედის დაპყრობა, უქმად დრო არ დაკარგოთ!

ჩვენ მიერ დაპყრობილი მხარე, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი ამბობენ, აქამდე უცნობი და შეუსწავლელი იყო. აქაური სიმრავლეები თვალუწვდენელია და უძველეს ახალ სამყაროდ ითვლება. აქ თავსაყრელადაა საკვები, ღვინო, თამბაქო, უმაღლესი ხარისხის სიგარეტები, კოკა-კოლა, საღეჭი რეზინა, ნეილონი, ოქრო, ვერცხლი და სხვა მისთანანი. ჩვენდა საბედნიეროდ, აქ ბრიყვები ბლომად არიან და ჩვენც ადვილად გავფცქვნით მათ. უვიცი ისტორიკოსები და გეოგრაფები მათ წითელკანიანებს უწოდებენ, მაგრამ სერიოზული მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ მათი სახის კანი სითეთ-

რიან ლარის ყველს და ჩიბურ ფაიფურსაც კი გაუწევს მეტოქეობას. თუმცა პირადი სიამოვნებისათვის და ზოგჯერ იმის გამოც, რომ ანგარიშს უწევენ ნაციონალურ ტრადიციებს, ადგილობრივი მკვიდრნი ტანზე წითელ ლოგინს ისვამენ. ამით ისინი გულუბრყვილო მკვლევარებს თვალს უბამენ და თავს წითელკანიანებად, ევროპის მოწინავე რასის წარმომადგენლებად აცხადებენ. ვერც ერთი მათგანი ჩვენი წმინდა მიწისაკენ გახედვასაც კი ვერ გაბედავს. გარდა ამისა, ენამც გაგიკორძდეთ, ერთი წუთით დავუშვათ, რომ არაბებმა დაიპყრონ ანდალუზია და მსოფლიოს მოსახლეობის ერთ მეოთხედს აქ მოუხდეს გადმოსახლება, მაშინაც კი იმოდენა ტერიტორია დარჩება, ხუთჯერ მეტ მოსახლეობას დაიტევს. ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ, გამომიგზავნოთ ცოტა შაკკანიანები, რომ რასების აღრევა მოვახდინო. მესაჭიროება ათიათდე გამოცდილი მეკვდელი, ზედამხედველები, ჯალათები, ტანჯვა-წვალების ოსტატები, ქურდები, ყაჩაღები, ნაძირალები, რომ ადგილობრივ მკვიდრთაგან შევქმნა ბოროტმოქმედთა რასა, რომელიც შემდგომ სრულიად გულწრფელად და სამართლიანად უწოდებს თავის თავს „ჯონის“ [1]. დაშავიწყდა მეთქვა, მე უკვე შევუდექი ამ ქვეყნისათვის ახალდემოკრატიული წესრიგის პროექტის შედგენას, რათა ესენი ჩვენი ყურმოჭრილი ყმები იყვნენ. ჯერჯერობით ბრძანება გაეცი, დაიწყონ მოსახლეობის მასიური ხოცვა-ჟლეტა. ადგილობრივ მკვიდრთ ტყავი უნდა გავაძროთ, ჭაპანწყვეტაში უნდა გეყავდეს. აქ უნდა მოვაწყოთ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც სიკვდილით დასჯა ელექტრონის სკამზე მოხდება და დარაჯებად NSA-ს (იშიფრება ოკეანისმიერი საპირფარეშოების ოფიცრები) ემბლემიანი ჯარისკაცები გვეყოლება. დავწერე ტრაქტატი უსაზღვრო სიძულვილის სისტემის, დადგენისა და სკალპირების მეთოდების შესახებ. ახლა კი ვითხოვ კულტურის სამინისტროს შესაბამისი განყოფილებისა და პოლიციის ღრმად პატივცემული მოყურადეების ნებართვას ამ წიგნის დასტამბვაზე, რომ ახალი მიწების აღმომჩენ ჩემს თანამემამულეებს დროზე მივაწოდოთ ეს მეტად საჭირო იარაღი.

გავკადნიერდები და მოვითხოვ ჩემ მიერ ახალი მიწების აღმოჩენის ღვაწლის აღსანიშნავად ამ უმნიშვნელო მხარეს, რომელიც ადრე „ახალი სამყაროს“ სახელით იყო ცნობილი, დღეიდან „კოლუმბაბადი“ ეწოდოს. დასასრულს, მოგახსენებთ: თქვენმა მონა-მორჩილმა ამ მოგზაურობაში აღმოაჩინა ფიზიკის ახალი კანონები, რომელიც შემდგომ „ქრისტეფორე კოლუმბის კვერცხის“ სახელწოდებით იქნება ცნობილი.

კრეისერ „კართაგენით“ კოლუმბმა წერილთან ერთად ანდალუზიაში გაგზავნა ბორბლებიანი ზარბაზანი, რომელსაც თან ახლდა შვიდი არტილერისტი ადგილობრივ მკვიდრთაგან. შემდეგ კაპიტანმა კოლუმბმა გამოსცა ბრძანება, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობა ეწამებინათ, რასაც მათი მასიური ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. ჰუმანიზმის, თავისუფლების, კულტურის გავრცელების, სოციალური თანასწორობისა და ძველი და ახალი დემოკრატიისათვის ბრძოლის ლოზუნგებით დაიწყო მოსახლეობის ძარცვა. ვინც ცოცხალი გადარჩა, წელში ოთხად მოკაკვული, ღღე და ღამეს ასწორებდა და მათ ნაოფლარს კაპიტანი კოლუმბი

---

1 აქ სიტყვების თამაშია: სპარსული სიტყვა „ჯონი“ ნიშნავს ბოროტმოქმედს.

ითვისებდა. მაცნეები დილიდანვე გაჰყვიროდნენ: „მისაგებელს ის მიიღებს, ვინც მუშაობსო“. პირიქით კი გამოდიოდა: ვინც მუშაობდა, სწორედ ის იყო ხელცარიელი. ასეთ ორომტრიალში, როცა ყველაფერი თავდაყირა იდგა, ხალხმა იფიქრა, ახალი თილისმა, ჯადო-სიტყვა, ცხოვრების ახალი წესი გაგვაცნეს და ავი სულების ძალმომრეობა რაღას დაგვაკლებსო. [illegible] ამუშაო დღე იყო და ხალხის გასართობად აქლემების დოღს აწყობდნენ. [illegible] გაიძვერა ანდალუზიელები სპეციალურ მოედნებზე კეთილშობილი ირიფული ცხოველების — ხარებისა და ცხენების ბრძოლას მართავდნენ, ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ, რასაც მოასპარეზეების სიკვდილი მოსდევდა.

ესენი აქ დავტოვოთ და ვნახოთ, ზარბაზანს რა შეემთხვა. მარგალიტის ზარბაზნის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტი იყო ქანთარინი. ეს ნივთიერება ავხორცობის აღმგზნები საშუალებაა და მიიღება ესპანური ბუზების, ქანთარიდების გამონაწურიდან. ძვირფას მკითხველებს ემახსოვრებათ, რომ სწორედ ამ ბუზებით სავსე კოლოფი ამოიღო კაპიტანმა კოლუმბმა ჯიბიდან, უფრო ზუსტად, პერანგის ამხანაგის ჯიბიდან და წითელკანიანთა ტომის ბელადს მისცა. ამიტომაც გასაოცარია, როგორ გამოიყენეს ადგილობრივმა მეიარაღეებმა ეს ნივთიერება ლულის ჩამოსხმისას, თუკი იგი ამ ქვეყანაში პირველად კაპიტანმა კოლუმბმა ჩამოიტანა?

დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხის ობიექტური შესწავლა ყველა ისტორიკოსის მორალურ ვალდებულებად იქცევა.

სამწუხაროდ, ჩვენი აზრი ამის თაობაზე კომპეტენტური არ არის და გულახდილად რომ ვთქვათ, ეჭვიც კი გვეპარება ასეთი ნივთიერების არსებობაში. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ნივთიერება ისეთი სიგარეტების გამონაწურიდან მიიღება, როგორიცაა: „მარი ხუანა“ და „იუპანბინ“, რომლებიც კოკაინის საპირისპირო აღგზნებას იწვევენ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „იუპანბინი“ შავკანიანმა ამერიკელებმა ამერიკაში აფრიკიდან ჩამოიტანეს. თუმცა ამ საკითხში გარკვევა თვით ძვირფასი მკითხველისათვის მიგვინდვია.

როცა კაპიტანმა კოლუმბმა ზარბაზანი დაინახა, განცვიფრებულმა თავის მშობლიურ იტალიურ ენაზე წამოიძახა: Canonne, რაც ფრანგულად ნიშნავს „კანონეს“, ბერძნულად „კანონს“, რუსულად „ზაკონს“. ერთი სიტყვით, კოლუმბს თავისი ჩიქორთული ენით უნდოდა ეთქვა, რომ ვინც ზარბაზანს ფლობს, კანონიც იმის მხარეზეაო. კოლუმბის ეს გამოთქმა, ოდნავ სახეშეცვლილი, ნაპოლეონმა მითვისა: „კანონი“, სამართლიანობა, ლაყე კვერცხის ტოლფასია. სიტყვა „კანონს“ ზარბაზნის ტუჩები წარმოთქვამენო“. ასე იქცა სიტყვა „კანონი“ ზარბაზნის სახელწოდებად. თალლითებსა და ზღვის მეკობრეებს სპარსეთის ყურეში ფეხიც არ ჰქონდათ დადგმული და მარგალიტი სიზმარშიაც არ ენახათ, ამიტომაც ისინი ამ იარაღს „მარგალიტის ზარბაზანს“ უწოდებდნენ.

სანამ ეკიპაჟის ნაწილი არტილერისტებთან, მღვდელთან, ჯალოქართან და თარჯიმანთან ერთად ზარბაზანს რის ვაი-ვაგლახით ნაბადში ახვევდა და კრეისერს ტვირთავდა, დანარჩენ მეზღვაურებს გემზე მალულად აღგილობრივი როსკიპები აპყავდათ. აფრა აუშვეს, კომპასი გამართეს, საყვირი მისცეს და კრეისერი გზას გაუდგა. როგორც კი ღია ზღვაში გავიდნენ, რა იყო და რა არა, ქალებმა, თითქოს ავი ქარი ეცათო, სულ ალვირი წაიხსნეს: ზარბაზნის ლულა გააშიშვ-

ლეს, ნაბადი მოხადეს, დღე „ქამასუტრას“, „ვისრამიანსა“ და პორნოგრაფიული მოთხრობების კრებულს კითხულობდნენ, ღამე კი ზარბაზნის ლულაზე საქანელა ჰქონდათ გაბმული, ზედ სხდებოდნენ და ასე იკლავდნენ დროს.

ქალების ასეთმა საქციელმა არა მარტო მეზღვაურები, არამედ ღვთისმოსავი მღვდელი და ჯადოქარიც ვიდა

შერცხვა კიდეც ნამოქმედარისა და ამიტომაც ახალი სამყაროს მოსახლეობისათვის საყოველთაო შეწყალების ფირმანი გამოსცა. ბრძანებულებას ერთვოდა კიდევ ერთი მუხლი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სამშობლოს საკეთილდღეოდ დალუპული მსტოვრის, ადმირალ ამროკის, საპატივცემულოდ ახლად აღმოჩენილ ქვეყანას მისი სახელი უნდა ეწოდოსო. ახალი სამყაროს მცხოვრებნი ხმაამოუღებლივ დათანხმდნენ და ამის შემდეგ თავის ქალაქებს ლუზიტანიის ადმირალის სახელს უწოდებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ [illegible] ეძახდნენ, თავისუფლებისა და დემოკრატიის პირველი მერცხალი, კაპიტანი კოლუმბი იყო.

ერთი სიტყვით, დესფარათუსმა გადაწყვიტა ჯერ კოლუმბაბადი გეთავისუფლებინა ანდალუზიელების უღლისაგან, შემდგომ კი თვალთმაქცობითა და საშინელი იარაღის, „კანონის", საშუალებით ალთქმულ ქვეყანას დაპატრონებოდა. კრეისერ „კართაგენს" დაარქვეს „ლუზიტანია", ხოლო მის ახალ კაპიტანს ვასკო დე გამას „ზღვათა მპყრობელის", ე. ი. ადმირალის წოდება უბოძეს და ახალ სამყაროში გაგზავნეს, როგორც საექსპედიციო გემების ხელმძღვანელი და სრულუფლებიანი მინისტრი.

ვასკო დე გამას ევალებოდა „კანონის" მეშვეობით დაემხო კოლუმბი და ახალი სამყაროს ინდოეთის შეერთ ოლქთან ერთად დესფარათუსის სამფლობელოებისათვის შეგოეერთებინა. ვის არ ნახავდით აბ გემებზე: ნაძირალებს, ყალთაბანდებს, შეკობრეებს, კატორღელებს, აფრიკელ ზანგებს, რომლებმაც თავიანთი ცოლ-შვილით და მოხუცებით გააესეს გემბანი. ზურგის ქარმა დაჰქროლა, აფრები აუშვეს და გემები ზღვაში გავიდნენ.

ვნახოთ, რა შეემთხვა ჩვენი მოთხრობის გმირებს. პირველ დღეებში ბედი სწყალობდათ, ზღვა მშვიდი იყო და ნეტარებით გაბრუებული ვასკო დე გამა ლამღამობით სიზმარში ქათმის კვერცხით ხელდამშვენებულ ქრისტეფორე კოლუმბს წალდით თავსა სჭრიდა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ამინდი შეიცვალა. ამოვარდა ქარბორბალა და თან მოიტანა ძლიერი ქარიშხალი, რომელიც მართვადაკარგულ გემებს ნაფოტებივით ატრიალებდა. იმედგადაწყვეტილი, სასომიხდილი ვასკო დე გამა საზარელ, სულის შემხუთველ სიზმრებში იყო: მას ხელში სირაქლემას კვერცხი ეჭირა, ხოლო კოლუმბი კი ცეცხლოვან გურზს ცხვირწინ უტრიალებდა. როცა გამოიდარა, კრეისერ „ლუზიტანიაზე" მონასტერი აირია: თითქოს მეორედ მოსულაო, უნუგეშო ქალები დაორსულდნენ, ცხრა წლის გოგონები დათხოვდნენ, დედაბრები იგრიხებოდნენ, იმანჭებოდნენ. „ვისრამიანს", „ქამაასტრას" და ჰორნოგრაფიული მოთხრობების კრებულს კითხულობდნენ. განსვენებული ამროკის ცოლს, რომელიც ვასკო დე გამას ხასად ჰყავდა, ტყუპი შეეძინა. ამ ორომტრიალით ნერვებაშლილმა, დაფეთებულმა ადმირალმა კრეისერი ახალი სამყაროს ნაცვლად კუნძულ ჰორმოზს მიაყენა.

ვასკო დე გამამ ნაპირზე გადასვლა ვერ გაბედა. აცტეკების ენის მცოდნე ებრაელმა შამანმა ჯიბის თორაზე ილოცა, პერსიმონი დაირქვა და მღვდლის ტანისამოსში გამოწყობილი და ჯვრით ხელდამშვენებული ნავმისაღგომისაკენ გაემართა. იქ მყოფთ მდაბლად ლაუკრა თავი და ჯაბრთელობა უსურვა. ნავმისაღგომის უფროსმა ოაროხშაღმა ეჭვის თვალით შეხედა პერსიმონს და კუნძულ ჰორმოზის გუბერნატორთა გუბერნატორთან ჰორმოზ ჰორმოზანელ-

თან მიიყვანა. როცა „ლუზიტანიის“ ეკიპაჟისა, მეზღვაურებმა და ჯალოქრებმა ნავმისადგომის უფროსის მრგვალი თაეი დაინახეს, ეს კარგ ნიშნად მიიღეს, ღმერთს მადლი შესწირეს და ლოცვას შეუდგნენ. ერთი სიტყვით, კრეისერ „ლუზიტანიის“ ყალთაბანდებს, თაღლითებს, ბეკობრეებს და ავაზაკებს გული მოეცათ და ანძაზეც მათი მუდმივი და [illegible] ფოს ალამი აფრიალდა.

ეასკო დე გამამ იცოდა, რომ ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალება შეუძლებელი იყო, მას არც სასაცილო მდგომარეობაში უნდოდა თავის ჩაგდება, ამიტომაც წინდახედული ადმირალი მოხსენების წერას შეუდგა:

„უმდაბლესად მოგახსენებთ, რომ მაიმუნის დღესა და ბედნიერ საათზე აფრა ავუშვით და ახალი სამყაროსკენ ავიღეთ გეზი, მაგრამ ჰიმალაის მთებიდან ღრუბელი წამოგვეპარა და საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ჯოჯოხეთურ წყვდიადს ჰქონა-ქუხილი და ელვა ერთვოდა. უცებ გამოჩნდა ცეცხლის მფრქველი უზარმაზარი ურჩხული, რომლის სიფართე სამასი ფარსანგი, სიგრძე კი ალაჰმა უწყის რამდენი იყო. მის ღრიალზე ჩვენებს შიშისაგან ენა ჩაუვარდათ წუცელში, მაგრამ მე გავამხნევე.

ეგ ჩვენ არ გვერჩის, ნუ გეშინიათ, ჩვენი საქმე სამართლიანია, უზურპატორი კაპიტანი კოლუმბი უნდა დავამხოთ! — ამის შემდეგ ღმერთი ვახსენე და ურჩხულს ვეკვეთე. ჩემმა მომაკვდინებელმა ცეცხლმა ურჩხულს ვერაფერი დააკლო. მან ხახა დააღო და ჩვენი რამდენიმე გემი წმინდა იონასავით, მის მუცელში აღმოჩნდა. ფათერაკში ჩავარდნილებმა ვილოცეთ, ღმერთის კეთილმოწყალების იმედი გვქონდა, წინასწარმეტყველმა იონამაც ხომ ვეშაპის კუჭში ბევრი განსაცდელი გამოიარა. საკმაო დრო გავიდა, გემებიდან გადმოვედით და ურჩხულის მუცლის დათვალიერებას შევუდექით. განცვიფრებული შევცქეროდით გაშლილ ლამაზ სივრცეებს, უზარმაზარ დერეფნებს, ფართო ვესტიბიულებს, ბრწყინვალე სასახლეებს. უცებ მეჩვეთის მხრიდან მხედარი გამოჩნდა. სალაშქროდ გამოწყობილ ომის მოსურნე ხელშუბიან ეაქკაცს ქამარზე ინდური ხმალი ეკიდა და ფეხმარდ ცხენს ჩვენკენ მოხდენილად მოაგელვებდა. ღმერთო, შემეწიე-მეთქი და მხედრის კიტრივით გაჭრა მოვინდომე. მაგრამ გადავიფიქრე, მშვილდი მოვზიდე, დავუმიზნე და ისარმა შხუილით გაკვეთა მხედარი, ურჩხულს ხერხემალი შეუნგრია და ელენთაც დაუზიანა. დასუსტებულმა ურჩხულმა იფიქრა „ეს რა ფათერაკს გადავეკიდეო“ და ფართხალი დაიწყო. მე ჩემს ლაშქართან ერთად, სწრაფად გემებს მივაშურე. როცა ურჩხულმა იგრძნო, რომ მიღებული საკვები წყენდა, ჩვენ მეხუთე კლიბატის კუნძულის ნაპირებთან გადმოგვანთხია, შემდეგ აცახცახებული თავებით მუცლიდან ბალანი გამოიძრო და გადმომიგდო:

— თუ გაგიჭირდა, ცეცხლში დაწვი და მყისვე შენთან გავჩნდებით. ამის თქმა და ურჩხულის გაუჩინარება ერთი იყო.

კუნძულს ირგვლივ ერტყა კოშკებიანი გალავანი, რომელიც ცემენტით იყო სველები, კვერცხის ნაპუჩვით გლუვ ცეხის ზედაპირზე ჭიანჭველაც ვერ აცოცდებოდა. ღუზა ჩავუშვით და ჩვენს თვალწინ საშინელი სურათი გადაიშალა. ერთი სიტყვით, შვიდი დღე და ღამე გასტანა სისხლისმღვრელმა ბრძოლამ. ვებრძოდით დევებს, ჯადოქრებს, ურჩხულებს, ზღაბრულ ფრინველ სიმურღს, ზღვაოსან სინდბადს, ეშმაკეულებს, ღერიებს, მაგრამ კუნძულის თიღისმაქ

ძალა დაკარგა და ჩვენმა ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა და მზედარეებმა გამარჯვება იზეიმეს — დადგეს კარვები, გაიშალა აბრეშუმის სუფრები, რომლებზეც უხვად ეწყო ხილით, ნუშით, ხალვით დახუნძლული ბროლისა და იასპის ვაზები. ფარაონების, ტომების ბელადების, პოლკოვნიკების, ალაყულების ხელმძღვანელობით ჩაიარეს ალლუმზე ჯარებმა, ქარიგით ჩაიქროლეს ბატალიონებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღტაცებული შეეყურებოდი ამ სანახაობას და ღმერთს მადლობას ვწირავდი. ჩაიარეს დამარცხებულებმა, რომლებმაც თავისი მოუსური მორჩილება მუხლის მოდრეკით გამოხატეს. ამბობდნენ:

— ადამის გაჩენიდან დღემდე ჩვენს კუნძულს დღეების თილისმა ინახავდა. თურინელმა ქეიუმარსმა და ავრიასაბმაც ვერაფერი დააკლეს ამ თილისმას. დამარცხებულებიც ღმერთს მადლობას სწირავდნენ.

რაც შეეხება კუნძულს, ეს ზღაპრული სილამაზის ადგილია, და სიხარულითა და სიამოვნებით ავსებს ადამიანის გულს. საუცხოო სანახები, თვალწარმტაცი ხეივანი სივრცეები, შესანიშნავი მთები; ახლა თვალწარმტაც ხეობებსა და ველებს არ იკითხავთ! ამ კუნძულზე ყველაფერი ყვავის, აქ მუდმივი გაზაფხულის ქვეყანაა, ულამაზესი პროსპექტებითა და ბრწყინვალე სასახლეებით. ერთი სიტყვით, სამოთხის ბაღია. რა გინდა, რომ აქ არ ჰაროობდეს: ლიმონი, ფორთოხალი, ატამი, ტუბეროზა, კამელია, აკაცია, მაწა სუმბულითა და მიხაკებითაა მოფენილი, მერცხლების ჭიკჭიკი, წმინდა და გაბრწყინვალე, ცის სწვდება ლალი, იასპი, ქრიზოლიტი და მარჯანი ხრეშივით ყრია. სასახლეების გუნბათებზე ძარგალიტები და ფიროუზები ბრწყინავენ. მიედინება სამი მდინარე: ღვინის, რძისა და თაფლის. ტკბილმოუბარი ჰურიები და კეკლუცი ქალები მოგზაურებს ჭალიდან წლიან.

> მოგზაურმა ამ ქვეყანაა თუკი მოიკრა თვალი,
> საბუდაროდ აქ დარჩება, მის ალტერნატივი მოყრალი!

კუნძულზე მცხოვრები მამაკაცები, ულრწმუნო გაიურები, უმაზნოდ და უსაქმოდ ქუჩებში დაეხეტებიან და ფუთაფუთლოდ მიედ-მოედებიან, სისულელეებს ბოძავენ. სტრატეგიული თვალსაზრისით ეს კუნძული მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს. იგი გაჯალებია აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ინდოეთის, ირანის, თურანის, ჩინეთის თუ სხვა ქვეყნებისათვის. ასეთია თქვენი მონა-მოხარკილის მოკლე მოხსენება.

ნება მიბოძეთ, შოგეახსენოთ, რომ ასეთ პირობებში ახალი საბუდაროს დალაშქვრა და კოლუმბის შეპყრობა არა მარტო რთულ, არამედ განუხორციელებელ ამოცანას წარმოადგენს. ახლა, როცა ცხოვრება კუნძულზე თავის კალაპოტში ჩადგა, ჩვენი მითითებით „კანონი" ნავსადგურში დადგეს"[1].

---

1 აქ წყდება ტექსტი დღემდე აღმოჩენილი ფრაგმენტისა, რომელიც ამ მოთხრობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბჯი ხანუმი

სპარსულიდან თარგმნა
ვლადიმერ კენკიშვილმა

აბჯი ხანუმი მაჰრუხის უფროსი და იყო. დები არაფრით არ ჰგავდნენ ერთმანეთს. აბჯი ხანუმი — მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი, სქელტუჩება და შავთმიანი — ულამაზო იყო. მაჰრუხს წაბლისფერი თმა და წყლიანი თვალები ჰქონდა. როცა იცინოდა, ლოყებზე პატარა ორმოების მსგავსი ნასვრეტები უჩნდებოდა, რაც უფრო მიმზიდველსა და საამოს ხდიდა მისი სახის გამომეტყველებას. საშუალო ტანისა გახლდათ. თოვლივით თეთრ პირისახეს პატარა, ნატიფი ცხვირი უმშვენებდა.

დები ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ხასიათითაც და ქცევითაც; აბჯი ხანუმი, პატარობიდანვე ჯიუტი და გულჩათხრობილი, ხანდახან თვეობით არ ელაპარაკებოდა დედას. მაჰრუხი მხიარული, ალერსიანი და ყველას მოყვარული იყო. მეზობლის ქალი, ნანაჰასანი მას „საყვარელ ქალბატონს“ ეძახდა. მშობლებსაც განსაკუთრებით უყვარდათ მაჰრუხი. ეს ხომ მათი ნაბოლარა შვილი იყო.

აბჯი ხანუმს დედა ბავშვობიდანვე ყოველ მხრივ ჩაგრავდა, ლანძღავდა და სცემდა. მეზობლების თვალის ასახვევად კი მკერდს იმჯილავდა და, თითქოს ძალიან ეცოდებოდა უფროსი შვილი, ამბობდა ხოლმე: რა ვქნა მე უბედურმა, რა წყალში გადავვარდე, ვინ შეირთავს ასეთ მახინჯს? ვშიშობ, ეს გომბიო გაუთხოვარი დარჩება და ჩემს კალთას ვერ მოსცილდება; არც სიმდიდრე აქვს, არც სილამაზე და არც ნიჭი! ვინ ოხერი დაუკავშირებს მას თავის ბედს?

ასეთი რამ ხშირად სმენია დედისაგან აბჯი ხანუმს. ბევრჯერ დაუნახავს, თუ როგორ „იწვოდა“ დედა მისი უბედობის გამო. ამის შემყურემ საბოლოოდ დაჰკარგა გათხოვების იმედი და, შვება რომ ეგრძნო, მთელ დროს ლოცვაში ატარებდა. არ იქნა და არ გამოუჩნდა საქმრო. ერთხელ, დურგლის შეგირდზე — ქალიბ ჰუსეინზე მოინდომეს მისი გათხოვება, მაგრამ მან უარი თქვა მის ცოლად შერთვაზე. აბჯი ხანუმი ყველას ასე ეუბნებოდა:—საქმრო კი გამომიჩნდა, მაგრამ მე არ ვინდომე გავყოლოდი. ეჰ, ყველა ახლანდელი მამაკაცი ლოთი და გარყვნილია. არასდროს არ გავთხოვდები!

აბჯი ხანუმი ასე სხვის გასაგონად ლაპარაკობდა. გულში კი სულ სხვა ედო: მას უყვარდა ქალიბ ჰუსეინი და სიხარულით გაჰყვებოდა ცოლად.

ხუთი წლის იყო აბჯი ხანუმი, თავისი სიმახინჯის ამბავი რომ გაიგო. ცოტა გვიან კი დარწმუნდა, რომ არავინ არ ითხოვდა. რას იზამდა, ამქვეყნიუ-

რი სიკეთე და სიამოვნება მისთვის მიუწვდომელი იყო... ლოცულობდა. იმედოვნებდა, აქ თუ არა, იმ ქვეყნად მაინც ვპოვებ ბედნიერებასო. ეს იყო მისი ერთადერთი ნუგეში. მართლაცდა, წუწუნი აბა რას მოუტანდა, რა ვუყოთ, რომ ამქვეყნიური სიხარული არავინ გაუზიარა. ყველაფერი სწრაფად ქრება, უჩინარდება. იქ, იმქვეყნად კი ნახავს და განიცდის მუდმივ, [illegible] სიხარულს, უსაზღვრო სიამოვნებასა და ნეტარებას. მაშინ [illegible] ნახავსა და ლამაზს. მათ შორის მაჰრუხსაც, შეშურდება მისი ბედი.

მოჰარემისა და საფარის[1] თვეები აბჯი ხანუმისათვის ზეიმისა და მჩქეფარე ცხოვრების საუკეთესო დრო იყო. არ გამოტოვებდა მლოცველთა არც ერთ შეკრებას, რომ არ დასწრებოდა. რელიგიურ ისტორიებზე დაწყებამდე ერთი საათით ადრე მიდიოდა. ყველა ქადაგს სურდა იგი თავისთან ჰყოლოდა. აბჯი ხანუმი ქვითინითა და თვითგვემით ხალხში ღვთისმოშიშობისა და სათნოების გრძნობას აძლიერებდა. ბევრი ლოცვა და რელიგიური წეს-ჩვეულება შეისწავლა. მეზობლები რჩევა-დარიგებას ეკითხებოდნენ.

უთენია აღვიძებდა იგი შინაურებს. პირველად დასთან მიდიოდა. შეანჯღრევდა, დაუყვირებდა: — გომბით, საცაა შუადღე მოატანს, არ აპირებ აღგომას და ლოცვის დაწყებას? — საბრალო მაჰრუხი დგებოდა და ნაძინარევი ხმით აწყებდა მოსაწყენ ლოცვას.

გარიჟრაჟი, მამლების ყივილი, წყნარი ნიავი, ლოცვების ზღვრჩული აბჯი ხანუმს განსაკუთრებულ რელიგიურ განწყობილებას უქმნიდა, იგი ამით ამაყობდა. ფიქრობდა: „ღმერთი მე თუ არ მიმიღებს სამოთხეში, მაშ სხვას ვის მიიღებსო?“

მორჩებოდა თუ არა შინაურ საქმეებს, აბჯი ხანუმი ხან დედას გამოლანძღავდა, ხან დას, ღანარჩენ დროს კი კრიალოსნით ხელში ლოცულობდა. ერთ დროს შაგი კრიალოსანი, ხშირი ხმარებისაგან გაცვეთილიყო და გაფლითლებულიყო. აბჯი ხანუმი სულ იმაზე ოცნებობდა, ეთხელ მაინც წასულიყო ქერბალაში, წმინდა ადგილების მოსალოცავად.

მაჰრუხი ყურადღებას არ აქცევდა აბჯი ხანუმს. წყნარად მუშაობდა სახლში. თხუთმეტი წლის რომ გახდა, შინამოსამსახურედ დაუდგა ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახს. ოცდაორი წლის აბჯი ხანუმი კი სახლს ვერ სცილდებოდა. წელიწადნახევარი გავიდა, რაც მაჰრუხმა შინამოსამსახურედ დაიწყო მუშაობა. ამ ხნის მანძილზე აბჯი ხანუმმა ერთხელაც კი არ მიაკითხა დას. უფრო მეტიც, მაჰრუხი ორ კვირაში ერთხელ მშობლების სანახავად შინ მოდიოდა და დას მაშინაც არ სურდა მასთან შეხვედრა. მისი მოსვლისას რაღაცას მოიმიზეზებდა, ვილაცას წაეჩხუბებოდა, შემდეგ კი სალოცავად მიდიოდა. როცა ოჯახის ყველა წევრი ერთად შეეკრიბებოდა, დასთან კინკლაობას იწყებდა, ანდა ნამაზის, მარხვის და რელიგიური ამბების შესახებ უკითხავდა და ასწავლიდა. მაჰრუხს მისგან ყურთასმენა ჰქონდა წაღებული. ეუბნებოდა მაგალითად, „რაც ეს ნახევრადშიშველი ქალები გამოჩნდნენ ხალხში, პუსი გაიცრიდა. ვინც სახეს

---

[1] მოჰარემი და საფარი — მუსულმანური მთვარის კალენდრის პირველი ორი თვე; მოჰარემის თვეში ეწყობოდა რელიგიური ცერემონიები, დაკავშირებული ჰუსეინის (ფუძაშვილი შეილიშვილი) კელტთან. საფარი უბედურების თვედ ითვლებოდა და ამიტომ ამ დროს სხვადასხვა ცერემონიები არულდებოდა „უბედურების განდევნის“ სახელწოდებით.

ჩადრით არ იფარავს, საიქიოს ჯოჯოხეთის ცეცხლზე თმებით ჩამოჰკიდებენ. ეორიკანებს კი თავი მთასავით გაეზრდებათ, კისერი თმასავით გაუწვრილდებათო".

მაჰრუხი გრძნობდა, რომ ეზიზღებოდა აბჯი ხანუმს, მაგრამ არ იმჩნევდა.

ერთ საღამოს მაჰრუხი სახლში მივიდა, დედას რაღაც [illegible] წავიდა. აბჯი ხანუმი მეორე ოთახის ზღურბლზე იჯდა და ყალიონს აბოლებდა. სული სძლევდა, უნდოდა გაეგო დედისაგან მაჰრუხის ნათქვამი, მაგრამ არაფერი ჰკითხა. დედამაც არაფერი უთხრა, ზედაც არ შეუხედავს მისთვის.

საღამოს მამა დაბრუნდა სამუშაოდან. ჩვეულებისამებრ, გაიხადა კირით მოსვრილი სამუშაო პიჯაკი, აიღო თამბაქოს ქისა, ჩიბუხი, დაიხურა საშინაო ქუდი და ბანზე ავიდა. აბჯი ხანუმმა მიატოვა ყალიონის წევა, დედასთან ერთად თუნუქის სამოვარი, თიხის ჯამი, სპილენძის ფინჯანი, პერი, ხახვი და მწნილი აიტანა ბანზე. ყველანი ხალიჩაზე დასხდნენ ფეხმორთხმით. დედამ დაიწყო, რომ აბასს, იმავე სახლის შინამოსამსახურეს, სადაც მაჰრუხი იყო, მაჰრუხზე დაქორწინება უნდაო. დღეს დილით, როცა სახლში მარტო ვიყავი, აბასის დედა მოვიდა მაჰრუხის დასანიშნადო. ქორწილი კი მომავალ კვირას უნდათ გადაიხადონ; 25 თუმანს იძლევიან დედის რძის საფასურად, 30 თუმანა — ურვალს, აგრეთვე ერთ სარკეს, ბოლის სასანთლეს, ყურანს, ერთ წყვილ წულებს, ტაბილეულობას, ერთ ტომარა ინას, ჩითის შარვალს...".

მაწა ჩაის სვამდა და შაქარს აკნატუნებდა. შაქრის ნატეხისაგან ლოყა ამობურცოდა. თავი დაიქნია და გულგრილად წარმოთქვა: — კარგია, მომილოცავს! — თითქოს არც გაეხარდა, არც გაეოცა არაფერი, არც თავისი აზრი გამოუთქვამს. გეგონებოდათ, ცოლის ეშინიათ.

საქმის ვითარება რომ გაიგო, აბჯი ხანუმს სისხლი მოაწვა ყელში. ველარ შესძლო ჯდომა და საქორწინო სამზადისზე მშობლების ლაპარაკის მოსმენა. ლოცვები მოიბიზღნა და ქვევით, ოთახში ჩავიდა. ჩაიხედა პატარა სარკეში. თავისი თავი უფრო მოტეხილად და დაბერებულად მოეჩვენა. თითქოს ამ რამდენიმე წუთში ერთბაშად დაბერდა. თვალი გადაავლო ნაოჭებს წარბებს შორის. თმებში სითეთრე შენიშნა. უმტკივნეულოდ ამოგლიჯა თეთრი თმები და ლამპის ალზე დაწვა.

გავიდა რამდენიმე დღე. ყველანი დაფაცურდნენ. ბაზარში იყიდეს ორ გვირისტიანი საქორწინო კაბა, მძივები, ერთი სერა, ჭიქები, ერთი პატარა აბანოს ხალიჩა, ქოთანი სასმელი წყლისათვის, თმების ბადე, ერთი სკივრი ტუალეტის მოწყობილობისათვის, წარბების საღებავი, სპილენძის სამოვარი, მოქარგული ფარდები და სხვა მრავალი ნივთი.

დედა ძლიერ გახარებული იყო. მან ბაზარზე ნაყიდის გარდა, შინ მოძეული ნივთებიდანაც ბევრი რამ გამონახა მაჰრუხის სამზითვოდ. მაჰრუხისათვის ძვირფასი საღოცავი ხალიჩაც არ დაიშურა, რომელსაც აბჯი ხანუმი ბევრჯერ სთხოვდა დედას, მაგრამ ამაოდ.

ამ დღეებში აბჯი ხანუმი უფრო გულჩახვეული და ჩაფიქრებული გახდა. ქვეშ-ქვეშად ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც მათ სახლში ხდებოდა. ორი დღის განმავლობაში თავის ტკივილს იმიზეზებდა და ერთთავად ეძინა. დედა საყვედურობდა: — რანაირი და ხარ? ვიცი, ყველაფერი შურიანობით მოგ-

დის, მაგრამ იცოდე, გულღრძო ვერასოდეს მიზანს ვერ მიაღწევს! არც სიმახინჯე და არც მშვენიერება ჩემს ხელთ არაა! ღმერთი განაგებს ყველაფერს! ძალიან მინდოდა ქალიბ ჰუსეინზე შენი გათხოვება, მაგრამ რა ექნა, არ მოეწონე. ახლა, ამ ჩვენი ბედნიერების დღეებში, ავადმყოფობამ იჩიზეზებ და არ გინდა საქმეს ხელი მოჰკიდო. დილიდან საღამომდე [illegible] ფნდები და მე უბედური, თვალებგაწყალებული ვყერავ, ათას რამეს [illegible], არც კი გეცოდები!

გულღრძო და შურიან აბჯი ხანუმს საბანი წამოეხურა თავზე და დედას დაუდევრად უპასუხებდა: გეყო! ვის სჭირდება ეგ შენი სიტყვები! ვის რად უნდა შენი ამორჩეული საქმრო? ასეთი აბასები და ჰუსეინები ქვეყნად რამდენიც გინდა იმდენია! თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ჩემი საქმეა, სულაც არ მაინტერესებს თქვენი სამზადისი. კიდევ კარგი, ყველამ იცის, რასაც წარმოადგენენ ეს მამაკაცები. კარგი, გულს ნუ მიწყალებ, ყველაფერს ნუ მათქმევინებ. მაპრუხი უკვე ორი თვის ორსულია, გაიგე? კარგად ვხედავ, როგორ ეზრდება მუცელი, მაგრამ თვალს ვარიდებ. არ მინდა ვაგრძნობინო. ეგ ჩემი და აღარ არის!

დედა შეშფოთებული წამოვარდა ადგილიდან.

— ოჰ, შე დასამუნჯებელო! შენ ჩაგიწყდა ეგ ენა! შენი კუბო ლამუდგას. მომიკვდი! უნამუსო, უსირცხვილო! გაეთრიე აქედან. აღარა გნახოს ჩემმა თვალებმა. გინდა, რომ ქალიშვილი შემირცხვინო? შურით გევსება გული, უნამუსო, შურით! მაგრამ, მეხი დაგეცეს, გინდაც გასკდე, შენ არავინ გითხოვს. ახლა დას დააღგი თვალი, ჭორებს უგონებ, არც კი გრცხვენია! თვითონ შენ არ მოგვიყევი, რა სწერია ყურანში მატყუარებზე და ჭორიკანებზე? ღმერთს შენთვის სილამაზე არ მოუცია, ვისი ბრალია? ლოცვებს უნდები მთელი დღეები! გაეთრიე, დამეკარგე აქედან, წყეული ეშმაკი მირჩევნია შენს მარხვა-ლოცვებს. შენ ყველას ატყუებ, არავერი არა გწამს!

ასეთი ამბავი რამდენჯერმე განმეორდა.

მაპრუხი გასუსული იყო. არაფერში არ ერეოდა. დადგა ქორწილის დღე. ქორწილზე მეზობლები მოვიდნენ წარბებშეღებილნი, ზოგიც ფერუმარილისაგან მთლად გათეთრებული, გაშლილი თმებით, ახალ კაბებსა და გრძელ განიერ შარვლებში გამოწყობილნი. ქალებს შორის იყო ნანაჰასანიც. ყელმოღერებული და გალიმებული, დაირას უკრავდა. დაირის დაკვრას სიმღერას აყოლებდა. მღეროდა, რაც იცოდა:

„ბედნიერი იყოს შეგობარი, ღმერთმა ინებოს, იყოს ბედნიერი!
მოვედით, კვლავ მოვედით სასიძოს სახლიდან,
მოვარეს ვგავართ ყველანი, წუშა! ლვალებიანნი!
ბედნიერი იყოს შეგობარი, ღმერთმა ინებოს, იყოს ბედნიერი!
მოვედით, კვლავ მოვედით მატარაძლის სახლიდან,
ჩვენ ყველა ბრძა და კოქლი ვართ, ყველა ხაბტირალეები.
ბედნიერი იყოს შეგობარი, ღმერთმა ინებოს, იყოს ბედნიერი!
ჩვენ მოვედით და თან წავიყვანთ ჰურიასა და ფერიას.
ღმერთმა ინებოს, იყოს ბედნიერი...“

ასე მღეროდა ნანაჰასანი. ფაციფუცი იყო სახლში, ეზოში. ჰაერში ფლავის სუნი გაიბნა. ერთი ქალი მოვარაყებულ ლამბაქს რეცხავდა აუზთან, მეორე —

კატას აგდებდა სამზარეულოდან, მესამე—კვერცხებს თხოულობდა ტაფა-მწვარისათვის.

გააჩაღეს ნათხოვარი სამოვრები. ვიღაცამ თქვა, მაპრუხის ქალბატონიც მოვა ქალიშვილებითო: ორი პატარა მაგიდა გააწყვეს ცალკე, ტკბილეულობითა და ხილით. მაგიდებს ორ-ორი სკამი მოუდგეს. მაპრუხის მამა, სუფრასავით დატვირთული, ბოლთასა სცემდა ეზოში, ფიქრობდა გაწეულ დიდ ხარჯზე. მაგრამ დედა ანგარიშს არაფერს უწევდა. პირიქით, გაჯიუტდა და ხელაღებით მოითხოვა თოჯინების თეატრის მოწვევა სტუმრების გასართობად.

ამ რია-რიაში მხოლოდ აბჯი ხანუმი არ ერია. დღის ორ საათზე საღლაც გაჰქრა სახლიდან —სალოცავად წავიდოდაო, — ფიქრობდნენ.

ჯვრისწერის შემდეგ ლამპები აანთეს. ნელ-ნელა ბექორწილენიც წავიდ-წამოვიდნენ. დარჩნენ მხოლოდ ნეფე-პატარძალი და ნანაპასანი. ნეფე-პატარძალი ხელიხელჩაკიდებულნი, ერთიმეორის გვერდით ისხდნენ დიდ ტახტზე კარები ჩაკეტილი იყო. ამ დროს აბჯი ხანუმი დაბრუნდა. იგი შევიდა იმ ოთახში, რომლის მოპირდაპირე ოთახშიც ნეფე-პატარძალი იყო. უნდოდა ჩადრი მოეხსნა. შესვლისას შენიშნა, რომ მეზობელი ოთახის კარზე ფარდა იყო ჩამოფარებული. ცნობისმოყვარეობამ დასძლია და ფარდა გადასწია, შიგნით შეიხედა. დაინახა მაპრუხი, რომელსაც წარბები ბასმით შეეღება, სახე ასწითლებოდა; ლამპის შუქზე იგი უფრო ლამაზი და მიმზიდველი ჩანდა. ტკბილეულობით სავსე პატარა მაგიდასთან იჯდა. გვერდზე მოჯდომოდა ასე, ოცი წლის ახალგაზრდა საქმრო, რომელსაც ხელი შემოეხვია წელზე და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა. მათ, ეტყობა, შენიშნეს აბჯი ხანუმი და, რომ უფრო ძლიერ გაეღიზიანებინათ, მოურიდებლად განაგრძეს ხვევნა-კოცნა და სიცილი.

ეზოდან მოისმოდა დაირის ხმა და ნანაპასანის სიმღერა:

„იბედნიერე, მევიზარო...!“

აბჯი ხანუმი ზიზღისა და შურის გრძნობამ შეეპყრო. ფარდა ჩამოუშვა და იქვე კუთხეში მილაგებულ ლოგინზე ჩამოჯდა. დაავიწყდა შავი ჩადრის მოხდა. ნიკაპით ხელებს დაეყრდნო, იატაკს დაამტერდა და დაუწყო თვალიერება ბუჩქებსა და ყვავილებს, რომლებიც ძირს გაფენილ ხალიჩაზე იყო ამოქარგული. ფერების თამაშმა თვალები ატკინა; იჯდა გაუნძრეველად. გარშემო ვერავის ვერ ამჩნევდა. თავჩაქინდრული, ფიქრებს წაეღო.

დედა მივიდა ოთახის კარებთან და გადაულაპარაკა:—რატომ ვახშმად არ მოდიხარ, რა დაგემართა, აქ, რას უზიხარ? მოიხადე ეგ შავი ჩადრი. რას სწუხარ? ადექი, წადი, აკოცე შენს დას, მიულოცე გაბედნიერება. ნახე ნეფე-პატარძალი. დღეს სავსე მთვარესა ჰგვანან. ნუთუ არ გიხარია? წადი, უთხარი რამე! ყველანი კითხულობენ, პატარძლის და სად არისო. მე კი, რა ვუპასუხო,— არ ვიცი:

აბჯი ხანუმმა თავი წამოსწია და წაილაპარაკა:

— მე უკვე ვიყახშმე...

შუალამემ მოატანა. ქორწილი გათავდა. ყველას გაახსენდა თავიანთი გაბედნიერების დღე. ამ ფიქრში ტკბილად ჩაეძინათ და სასიამოვნო სიზმრები ნახეს. ანაზდად ხმაური მოისმა: თითქოს წყალში რაღაც აფართხალდა. ნანაპასანმა, რომელსაც წყალსაცავის[1] პირას ეძინა, ხმაურზე უცებ გამოიღვიძა.

მის ყვირილზე სხვებმაც გაიღვიძეს. ეგონათ, აუზში, ალბათ, კატა ან ბავშვი გადავარდაო. ნახევრადშიშვლებმა აანთეს სასწრაფოდ ლამპები და გულისყურით დაათვალიერეს ეზოს ყველა კუნჭული, მაგრამ ვერაფერი ნახეს. როცა დასაძინებლად ბრუნდებოდნენ, ნანაჰასანმა წყალსაცავის კარებთან ქალის ტუფლი შენიშნა. ლამპა უფრო ახლოს მიიტანეს და ნახეს წყალსაცავში მოტივტივე აბჯი ხანუმი. შავი ნაწნავები გველივით მეძორბველოდა ყელზე: შავი კაბა ტანზე მიტმასნოდა, მაგრამ სახე ჰქონდა ნათელი, თითქოს ისეთ ადგილას წავიდა, სადაც არც სიმახინჯეა და არც სილამაზე, არც ჭირწილი და არც ჭელეხი, არც სიცილი და არც ტირილი, არც სიხარული და არც მწუხარება, თითქოს საფოთხეში მოხვედრილიყოს!

სადეყ ჰედაიათი

(1903 — 1951)

თანამედროვე ირანულ ლიტერატურაში სადეყ ჰედაიათს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მეტად მრავალფეროვანია მისი შემოქმედება. იგი იყო ბრწყინვალე ნოველისტი, თვალსაჩინო ფოლკლორისტი და ეთნოგრაფიულ მასალათა შემკრები, დაკვირვებული მკვლევარი, დრამატურგი, მთარგმნელი; მის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური წერილი, სათეატრო რეცენზია და მიმოხილვა.

სადეყ ჰედაიათი მუსიკისა და მხატვრობის შესანიშნავი მცოდნე და მოტრფიალე იყო. მწერალი თავისუფლად ფლობდა მხატვრის ფუნჯს. ზოგჯერ იგი გრაფიკულად თვითონვე აფორმებდა თავის წიგნებს. ირანის კულტურის ისტორიაში სადეყ ჰედაიათი შევიდა, როგორც დიდი პროზაიკოსი, თანამედროვე სპარსული პროზის ფუძემდებელი. მისი შემოქმედების მთავარი ჟანრი ნოველა იყო, რომელიც მწერალმა განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა.

თენგიზ კეშელავა

---

1 ირანში, ეზოში ან სარდაფებში, აშენებენ განსაკუთრებულ წყალსაცავებს (აუზებს), სათბობ საწყურნეო საჭიროებისათვის.

ალფონსო ერნანდეს კატა

თარგმანი

თინათინ ჯავახიშვილისა

ამ კაცის შეშუბებული სახე მეცნაურა. ლოქის ცეცხლისფერ ხაფერდზე ნის გამხდარ ხელს მოეკარი თავალი. თავს ძალას ვატანდი, ამაოდ ვცდილობდი აღმედგინა მეხსიერებაში მისი სახელი. კაცს უკან ეჯდა, საყვარლების მიერ განებივრებული, ვულგარული ქერა ქალი, რომელიც წამდაუწუმ კაბის ამოჭრილ საყელოზე იელებდა ხელს, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ვარდისფრად მოელვარე მარგალიტი კვლავ ყელზე ეკიდა. მარგალიტს მთელი საზოგადოება ცნობისმოყვარეობითა და შურით შესცქეროდა.

კაცმა ქალი თავისკენ მიიხედა და დაელაპარაკა. სწორედ ამ დროს, მეხსიერების სიღრმიდან, უცებ, ნაცნობი ფიგურა წარმომიდგა. ამ კაცის სახემ და მარგალიტის დაუვიწყარმა ელვარებამ კი არა, ამ კაცის ხმამ გამახსენა იგი.

ახლა კი ვიცოდი, ვინ იყო...

საკვირველიც იქნებოდა, რომ არ გამხსენებოდა... თითქოს მდუღარე წყლით სავსე ქვაბიდან ამოვარდნილ ორთქლში წარმომიდგა, უცნაური, ქარაგმულად მოლაპარაკე კაცი. ღმერთმა უწყის, წლობით რატომ ვინახავდი საფულეში მის, უკვე გაყვითლებულ, სადარბაზო ბარათს... დარბაზში მყოფი ხალხი მუქ წერტილებად მეჩვენა. მომაგონდა დიდი ტროპიკული მდინარე მაგდალინა, მისი ნიანგებით სავსე ნაპირები, ნავსადგური გონდა, ცხვირწვრილა გემი. კრეოლების გატანჯული სახე, ინგლისელების მაძღარი სიფათი და

გემბანის ის კუთხე, სადაც ჩვეულებრივ საღამოობით ამ ადამიანს მოსასმენად ვიკრიბებოდით...

მე მაშინ საფრანგეთიდან ვბრუნდებოდი. ბოგოტის საელჩოში მეორე მდივნის ადგილი მქონდა, სადაც ორი წელი გავატარე უქმარ [illegible] ფორმატიური ხელოვნების სამ დიდ საიდუმლოს ჩავწვდი; ვისწავლე [illegible] ადამიანების შენახვა, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი და დუმილი.

ამ კაცმა გემზე, პირველ დღესვე, ყველა მგზავრის ყურადღება მიიპყრო იმ მგზავრებისაც, რომელთაც მასთან შეხვედრამდეც ბევრი ემოგზაურათ. თავიდან ყველას გვეგონა, რომ ტრაბახობდა. მერე დავრწმუნდით, რომ მისი ყოველი სიტყვა მართალი იყო. ხუთი თითივით იცნობდა მთელ სამყაროს. ყველგან იყო ნამყოფი: ინდოეთის ოკეანე, მეწამული ზღვა, ჩრდილო ამერიკის ცივი ტბები, ეგვეს ყურე, მთელი კოლუმბია მოევლო და ქალაქებში: კოსკუესსა და მუსოში გაჩერებულიყო ზურმუხტების საყიდლად. შემდეგ ერთ-ორ კვირას პარიზში ისვენებდა და კვლავ ცეილონზე გასამგზავრებლად ემზადებოდა. სპარსეთის სრუტეში, ერთ მარგალიტების არაბ ვაჭართან, მძიმე სკოლა გაევლო. თავისი თვალით ენახა, როგორ ხტებოდნენ ზღვაში, უხელსაწყოდ, მარგალიტის ტიტველა მაძიებლები, მხოლოდ ნესტოებზე მოსაჭერი და თითების შესახვევი ჩვრებით. მის გარდა იმვიათად თუ ვინმეს შეეძლო, ისე შეენახა მარგალიტი, რომ ელვარება არ დაკარგვოდა. ცოტამ იცოდა მარგალიტის საიდუმლო: ზედა პირის გადაუსვლელით უფრო სუფთა ქანის გამოჩენა თუ შეიძლებოდა. თვალით ზომავდა მარგალიტებს; ფორმის, წონისა და ელვარების მიხედვით ათვასებდა მათ.

გვიამბობდა, თუ როგორ შეიძლებოდა მარგალიტისათვის მეტი ელვარების მიცემა, ბლისტერის ნიჟარის ლითონში ჩასმა და მისი კოლოდიებით შეღებვა. რაც გოუ ჩეუფოსა და ზაი თუოს კუნძულების მცხოვრებლებში ყოფილა მიღებული; თუ როგორ მოიფიქრა ცეილონზე, ვინმე მისტერ სოლომონმა მარგალიტის რენტგენის სხივებით გამუქება. სიცილით ვისმენდით თავშესაქცევ ამბებს ძველი ოქრომჭედლის ანსეკიმა დე ბიოტის წიგნიდან. ეს წიგნი ჩვენს მეგობარს ბუდამ თან დაჰქონდა. პირდაღებულნი ეუგდებოდით ყურს ლეგენდებს განთქმულ მარგალიტებზე. პომპარეს დინასტიის ტაიტის დედოფლის მანიაკზე, მარგალიტის უმშვენიერეს ყელსაბამზე, რომელიც ვამინგტონში მარგალიტების ბალზე ეკეთა ერთ ქალს. ამასთან, ორც კლეოპატრის, პირიგრინის, ფილიპე მეოთხის, ეკატერინე მედიჩის, პაპი ლევი მეათის, ზეფის ხანის საგანძურებსა და იმ მარგალიტს ივიწყებდა, რომელიც ვენეციის რესპუბლიკას მიუტანია საჩუქრად სულეიმან მშვენიერისათვის. ამ მარგალიტის ბადალი არ იპოვებოდა, იტყოდა ხოლმე და თვალწინ ზღაპრული, საოცნებო, ჯადოსნური სამყარო იშლებოდა... „ზღაპრულად ძვირფასი იყო.“ ასეთი ფცველელი შესავალი ჰქონდა ყველა მის მოგზაურობას, ფანტასტიკურ ამბავს.

ოპერის დამთავრებამდე რამდენჯერმე გავიხედე მისი ლოჟისაკენ. ჩემს ნაცნობს ძველებურად, ანალგაზრდულად, ალარ უციმციმებდა თვალები. ოსლოთმეტი წლის უწესო ცხოვრებას თავისი დაღი დაეჩნია: ჩასუქებულიყო და ქონი მორეოდა.

წარმოდგენის შემდეგ ფოიეში გამოვედი, იმ იმედით, რომ მას შევხვდებოდი.

მაშინვე მიცნო და გადამეხვია:

მეგონა დამივიწყებდით-მეთქი ვუთხარი.

— მე? კარგი მეხსიერება მაქვს... ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩემი მეგობარი, მადმუაზელ დიურანი. იქნებ ერთად გეეცნოთ? მადმუაზელ დიურანი გაგაცილოთ, აქრე იძინებს, ჩვენ კი სალმე წავიდეთ, ვილაპარაკოთ... ... იცოდეთ, რა ხშირად გიგონებდით... თქვენ და იმ ბავშვური სანაპიროს ინგლისელ მდევლელს, გახსოვთ? მიხარია, რომ არ დამივიწყეთ!..

მაშინვე დაეთანხმე, პარიზში ნაცნობები არა მყავდა. ყველა დიპლომატისათვის ცნობილი ს

ამბავი ზეცის ფერად ფიროსმანი

ბის მაძებართა შორის, სილატაკეში გავატარე. იალქნიანი გემის კაპიტნის დავთრებს ვაწარმოებდი. არასოდეს მიფიქრია გამდიდრებაზე. სიხარბეს პირველი ნაპერწკალი ერთმა ჰოლანდიელმა ვაჭარმა აღმიძრა გულში. ღამე, კაპიტანს რომ არ გაეგო, ხუმრად გამიხსნა მთვალიტების ნიჟარების გადაყარეს, ზღვის გახრწნილი ნაყარის სუნზე. ქვეყანაზე ამაზე საზიზღარი სუნი [illegible], ყავს დააჩხაველებსო, რომ იტყვიან, ის არის... აქ სულ რამდენი [illegible]... შემდეგ ოქროს ბრწყინვალება დავინახე და... ოქროს რომ კაცი ნახავს, მერე დალუპულია... ძვირფას ქვებს შეიძლება ისე უმზირო, არ იფიქრო მის საფასურზე. მაგრამ ოქროს ყვითელი ბრწყინვა კი ადამიანის სულს ბილწავს. გნებავთ კუმელია? თქვენი სადღეგრძელო იყოს... ერთ ღამეს, მარგალიტებს რომ ვეძებდი, ცოცხალ სხეულს წავაწყდი, ხანჯალზე შევიკვლე ხელი და ყრუ ხმით შევეკითხე:

— რომელი ხარ?

— იეს თვალია ვინლა ხარ?

ვიცანი, ჩვენი ეკიპაჟის ერთი მეზღვაური იყო, გამხდარი და ჩუმი კაცი. ალგზნებული თვალები ჰქონდა. ხშირად ერთ ადგილას იდგა ხოლმე, გაშტერებული, ფაკირივით.

— საქურდლად მოხვედი? — მითხრა საყვედურით.

— შენ თვითონ რაღას აკეთებ-მეთქი, ვუპასუხე გესლიანად.

— მართალია, მეც ვქურდობ. მაგრამ გასამდიდრებლად კი არა: რომ მინდოდეს, ისე, ბევრი ოქროს მფლობელი კი გავბედებოდი!

— აბა, მაშ რატომ ქურდობ?

— ალთქმა მაქვს დადებული. დავიფიცე, რომ ვიპოვნი ის უშველებელი მარგალიტის ცალს, რომელიც მე მაქვს. არა გჯერა? გაჩვენებ! გაგიმხელ ჩემს საიდუმლოს. გაიგებ, როგორ შეიძლება დიდი ცოდვის გამოსყიდვა. შენთვის ჯერ კიდევ არ არის გვიან. პიწიერ ცხოვრებას ჩამოსცილდები და საუკუნო ცხოვრებისაკენ იბრუნებ პირს.

დიდხანს მიწაზე გაკრულები მივიპარებოდით, წინ ფაკირი მიცოცავდა. ცაზე ორი ერთნაირი ვარსკვლავი აკიაფდა, თითქოს უხილავი არსება გვითვალთვალებდა. ბუნაგში მისრიალებულ გველებს ვგავდით. სადარაჯოს რომ გავცდით, წელში გამართვა გავბედეთ და ფაკირი დამელაპარაკა. იგი თავის ალთქმაზე ფიქრობდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გავუგებდი. მისი ნაამბობიდან ესლა დამამახსოვრდა: დიდი ხნის წინათ, მამამისს ეს მარგალიტი ვიღაც ქალისთვის მოუპარავს. ფაკირმა ერთი ლეგენდა იცოდა, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ შესწირა ვიღაც ძმისმკვლელმა ინდოელ ქალღმერთს ორი უმშვენიერესი მარგალიტი, ცოდვა რომ მოენანიებია. ლეგენდის მიხედვით ქალღმერთს ამ კაცისათვის შეუნდია. ფაკირმაც, ამ ლეგენდით ფრთაშესხმულმა, გადასწყვიტა მეორე ისეთი მარგალიტი ეპოვნა, რომელიც სილამაზით მამამისის მოპარულს არ ჩამოუვარდებოდა, რათა მერე ქალღმერთისათვის მიერთმია ორივე და მით მამამისის ცოდვა გამოესყიდა. „ვიპოვნი... არ ვიცი როდის, მაგრამ ვიპოვნი!“ — ერთსა და იგივეს იმეორებდა ფაკირი დაჟინებით და ალგზნებული თვალებით შემომცქეროდა. „რამდენჯერმე დამესიზმრა, რომ უკვე ვიპოვნე... დავინახე კიდეც, ხელიც შეეხე. მარგალიტები ძალიან გავდნენ ერთიმეორეს. ორივე ხელის გულზე დავიწყვე, თავრწმუნდი, რომ ნამდვილად ორი იყო, და არა ერთი... ნირვანს თუ ორი მარგა-

ლიტით მკვლელის სული ჩაბარდა, მამაჩემის სულიც დამშვიდდება. ქვეყანაზე ორი უმშვენიერესი მარგალიტის შეწირვით. ხომ მართალია?“ დავეთანხმე. მე ფეხები უკვე ალარ მემორჩილებოდნენ, ფაკირმა კი, არ იცოდა, რა ეყო დაღლა. მძიმე ნაბიჯებით მიდიოდა. ბოლოს შამბნარში შევედით და გაჩერდა. პირველივე ხიდან ხუთი ეკვსი ფუტი გადაზომა ნაბიჯ-ნაბიჯ. [illegible] ცვლეთისაკენ დადგა და კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მუხლი [illegible] ფეხებით. რკინასავით მაგარი მიწის თხრა დაიწყო. ნიდაყვის სიღრმის ორმო ამოთხარა, იქიდან რალაც წვრილა ამოიღო, მუხლებს შუა დაიჭირა და ორმოს მიწა მიაყარა. შეკვრას შეეხიდე და... სულიც თან ჩავაყოლე. ფაკირი ალარ ჩქარობდა, ფრთხილად ამიჯებდა და ჩურჩულით მეუბნებოდა:

— ითამდე ასეთი სამალავი მაქვს. ფეხი თუ ვინმემ დაადგა, მაშინვე შეეამჩნევ. მარგალიტს იქ ალარ ჩაედებ- ყოველთვის არა მაქვს საშუალება თან ვატარო. ერთხელ კიდეც გადავყლაპე: ორი ინგლისელი შემომხვდა, მათ თვალებში ბოროტი განზრახვა ამოვიკითხე. მერე, მართალია, ხალხი გამოჩნდა... ალბათ ტყუილად მოვიქეცი ასე. მარგალიტმა მთელი შიგნეული გამინათა. ჩემი ტანჯვისა და იმედის ჟამს, ყოველ საშინელ საათს, როდესაც ვევედრები სიკვდილს, ცოტა მაცალოს, დრო მომცეს, რათა ჩემი მარგალიტის წყვილი ვიპოვნო და სულთა მხილველს მივართვა, მარგალიტს ელვარება ეწატება. მისი ვარდისფერი, ცისკრისფერი ციალი იწმინდება და სარკესავით იჩეკლავს ჩემს ტანჯვასა და ვაებას. შეხედე!

პირველად რომ დავინახე, მეგონა ამ უცნაურმა ქაცმა ჩემს წინამე სასწაული მოიმოქმედა. ერთი წუთი ჩემთვის დიდხანს გაგრძელდა. მომეჩვენა თითქოს დედამიწა მეორე მთვარეს გაანათა. მაშინ ერთი ველური მათხოვარი ვიყავი, თითქმის უკაცრიელ ქვეყნებში გავიზარდე. მარგალიტის მაძიებელთა მწარე ხვედრი მერგო წილად. მართალია, მე ზღვის ფსკერზე არ ჩავდიოდი, მაგრამ ყველა სხვა უბედურებას მათთან ერთად ვიტანდი.

მთელი ჩემი ახალგაზრდობა იმის შემყურე ვიყავი, თუ როგორ იყიდებოდა უძვირფასესი მარგალიტები შორეულ ქალაქებში, ჩვენ კი კელავ ღარიბ-ღატაკნი ვრჩებოდით. ყველა ჩვენგანის სანუკვარი ოცნება იყო: იშვიათი მარგალიტი გვეპოვნა; მარტო გასაყიდად კი არა, ხელში დასაჭერადაც... თელი ცხოვრების მანძილზე სასიამოვნო წოგონებად გაგვეებოდა, რომ ეს მარგალიტი შენ მოსტაცე წყალქვეშა კლდეს და ქვეყანას აჩუქე. მარგალიტი წყვდიადში, ფაკირის შავ თითებს შუა, საოცარ სინათლეს გამოასხივებდა. იმ წუთში არ მიფიქრია, რომ ამ საუნჯის ფასი, ოქროს ეფულით, მილიონი იყო: იმ ფულით, რომლის სიყვარულიც ამ დაწყევლილმა ბოლანდიელმა ჩამინერგა. ჯერ არ ალმძვროდა ის ბოროტი, ბინძური ფიქრი, რომ ეს მარგალიტი ფაცებ გამათავისუფლებდა სიღატაკისაგან... ეს გეგმა მერე მომივიდა თავში, როდესაც ხმაური მოგვესმა და ხეს ისე გავეკარით, თითქოს შიგ შეძრომას ველამობდით.

— გესმის?

— ჩუმად!

ერთ ადგილას გავშეშდით. ორი ვარსკვლავიდან, ჩვენ რომ გვითვალთვალებდნენ, ერთი მეორეს მოსწყდა და შავი კამარა გადასჭრა. შიში დავძლიე. მარგალიტზე ვფიქრობდი. დალამბარაკები ვერ შეეასწარი, რომ ფაკირმა თქვა:

— სადღაც შორს არის!

— მხეცია ალბათ!

— მხეცი სჯობია ადამიანს.

— მართალია. მარგალიტი სად არის? კიდევ ერთხელ მინდა დავხედო, რა ბრშვენიერია!

— უკვე გადავყლაპეო, — მიპასუხა ფაკირმა. — ხმაურმა შემაშინა!

შამბნარში დიდხანს ვიდექით. მერე დავიძარით. წადგა, თუ პირ ფაკირმა წინ ნაბიჯი, მისი ბედიც გადაწყდა. განზრახვასა და განზრახულის აღსრულებას შორის ეტყობა წამიც არ გასულა.

ჩემს ბუნებაში არსებობდა ეს აზრი, თუ ვინმემ ჩამინერგა?.. არ ვიცი. აზრი დამეუფლა და ვერ დავძლიე, მისი იარაღი გავხდი! ფაკირის მახვილმა სმენამ, რომელსაც ჯუნგლებში შორეული შრიალიც კი ესმოდა, ვერ გაიგო, თუ როგორ აღვმართე ხელი, მისმა მახვილმა თვალმა ვერ დაინახა ჩემი ხანჯლის ელვარება. ხანჯალი ტარამდის ჩასწვდა ფაკირის ზურგს და თავიდან ბოლომდე გაუპო იგი. მეც ძლივსღა ვიდექი ფეხზე. ფაკირი პირქვე დაეცა. საცოდავად იკრუნჩხებოდა და გადმოტრიალებასა და ბაკვლელის ყელში თითებით ჩაჭიდებას ლამობდა, მაგრამ აღარც თითები ემორჩილებოდა. ერთიმეორეს ვეცით. მეც დავეცი. ხანჯალი ჭრილობიდან ამოვაძვრე და, შიშისაგან გამხეცებულმა, რამდენჯერმე ზედიზედ ჩავკარი. მანამდე ვცემდი, სანამ ჩემი მსხვერპლის სხეული არ გაშეშდა.

სისხლის სუნი და გემო ვიგრძენი. თავი ძლივს შევიკავე: დაფლეთილი შიგნეულის ცხელი, ლორწოვანი სითხე გონებას მაკარგვინებდა. ხანჯალი გვერდზე მოვისროლე და მხეცური გააფთრებით, ხელებით, დავიწყე ფაკირის მუცლის გამოფატვრა. ხელებს საზიზღარი სისწრაფე და სიმტკიცე დაეუფლა... არ მახსოვს, რამდენ ხანს ვეძებე მარგალიტი ფაკირის აკანკალებულ სხეულში.. ვერ წარმოიდგენთ, რა მაგარია ადამიანის მკერდი! ჩემი მსხვერპლის შიგნეული განათებული არ ყოფილა, შიგ წყვდიადი სუფევდა. მარგალიტს, ასე მომეჩვენა, ფერი დაჰკარგვოდა. ვიპოვნე... მერე, გავიქეცი... ასე მგონია, დღემდე არ გავჩერებულვარ. მთელი ჩემი მოხეტიალე ცხოვრება, კაცმა რომ თქვას, გაუთავებელი სირბილია. ჩემს თავს გავურბი...

— ამ ამბის შემდეგ?

სუფრაზე მიშტერებული თვალები ძლივს ასწია მაღლა. ჩუმად შემომხედა, მერე განაგრძო:

— ყველა ადამიანს ებადება ზოგჯერ გამოთქმის სურვილი... უაზრო და აკვიატებული სურვილია! რატომ გამიზიარა იმ ღამეს ფაკირმა თავისი საიდუმლო? იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც დღეს მე თქვენ გიყვებით ყოველივე ამას. გგონიათ ლოჟიდან ვერ შეგამჩნიეთ? უცბად მოვიხედე, არ დამინახიხართ, მაგრამ თქვენი იქ ყოფნა ვიგრძენი. ხელი მოაჯირზე მედო, უცებ ჩამოვიღე, თითქოს სისხლისფერი ხაფერდი გამამხელდა. ფოიეში რომ არ მენახეთ, ხვალ სამინისტროში მოგებინდით...

ვიმეორებ: უაზრო სურვილია, მაგრამ ყველას ეუფლება ადრე თუ გვიან. ცივი და გულჩათხრობილი ადამიანი ერთ მშვენიერ დღეს ველარ იტანს სიჩუმეს და ვინმეს წინაშე გულის გადახსნის სურვილი ებადება... მკვლელობის ღამეს წინასწარი განზრახვით ვმოქმედებდი. იმ ადგილებში ადამიანის სიცოცხლე ძვირად არ ფასობს; ადგილობრივი მაცხოვრებლის მკვლელობის შესახებ, გაზეთ „მატენში" გამოქვეყნებული სამიოდე სტრიქონი ხალხს არაფრად

მიაჩნია. იმის მაგივრად, რომ მიწაში ფაკირის სხეული ჩამეფლო, ჩემი საუნჯე ჩავფალი... ამის მერე კიდევ რამდენიმე ღამეს ვიარე საზღვრებში, ვიდრე კიდევ რამდენიმე მარგალიტს ვიპოვნიდი. სამი ჰოლანდიელს მივყიდე და შვედური გემით ცეილონზე გადავედი. იქ დაახლოებით ერთი წელიწადი დავყოვნდი. ცოტაოდენი ფული შევაგროვე და მარგალიტის მცოდნის სახელოვნებაში. რამდენჯერ მივაჭრია მარგალიტის მაძიებლებთან, ჩუმად, [illegible] ციან: მყიდველი და გამყიდველი ხელებზე გადაფარებული ხელსაბოცის ქვეშ საიდუმლოდ მოლაპარაკდებიან ფასზე და ხელს ართმევენ ერთმანეთს... მთავარია, პირველი ათასი გირვანქა სტერლინგი იშოვნო, მერე ყველაფერი უფრო იოლია. ყველაზე უფრო დიდ შემოსავალს, ყველაზე უფრო თავხედური საქმის მოგვარება მაძლევდა. მარგალიტი ჩემი ბედის ვარსკვლავი გახდა. მარგალიტი ჩემსკენ ანდამატივით იწევდა და ოქროს... ყოველი კაპიტალი, ძალმომრეობის თვითნებობისა და ცრემლის ფასად მოიპოვება! თავის გასამართლებლად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემი დღევანდელი სიმდიდრე ბევრი ცრემლის ფასად დამიჯდა... ყველა რომ თავისი ქონებისა და განძეულობის შეძენის ამბავს მოჰყვეს, ჩემი აღსარება, მათ სისხლიან ბოროტებასთან შედარებით, დიდად არაფრად მოგეჩვენებათ... ვაღიარებ, ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი. თავდაპირველად აშკარად ვგმობდი ყოველგვარ კანონს. დიდ რისკს ვწევდი. შეიძლებოდა ციხეში, ან სახრჩობელაზე, ამომეყო თავი. ბოლოს, ცივილიზებული ადამიანების ჩვეულებას ავუღე ალღო, ვინც ყველანაირი ფანდი იცის და წყლიდან მუდამ მშრალი გამოდის... დიდ საქმეს თუ მისდევ, ორიდან ერთი უნდა აირჩიო: ან სხვა უნდა გადაყლაპო, ან თავად უნდა გადაეყლაპინო ვინმეს. ფაკირის მკვლელობის შემდეგ ჩემი პირველი დიდი საქმე ერთი გაძარცული ჩინური ტაძრის განძეულობის ყიდვა იყო. მძარცველები დავარწმუნე: თქვენს კვალს უკვე მიაგნეს-მეთქი... სახელი გამოვიცვალე, მარგალიტი დავაზღვიე და ავსტრალიასა და ამერიკაში წავედი მარგალიტების ერთი კომპანიის გამოსაკვლევად. გზად კოსკუესში გავჩერდი, ზურმუხტები ვიყიდე და დიდი მოგებით გავყიდე. საქმე როდესაც კარგად მიგყავს, ადამიანები იშვიათად კითხულობენ შენს წარსულს. მეტი წილი შენი დღევანდელი მდგომარეობით და მომავლით არის დაინტერესებული. გამდიდრების გზაზე ვიდექი და უფრო მაღლა მინდოდა აფრენა. მალე ერთი საქმე გავჩარხე, ამაში შესანიშნავი მარგალიტის მფლობელის სახელი მომეხმარა. ჩემი ცხოვრების შემდეგ წლებზე რამდენიმე სიტყვას ვიტყვი: პარიზში დავსახლდი, საფრანგეთის ქვეშევრდომობა მივიღე, დიდი კაცი გავხდი, ცხენები გავიჩინე, ცხენებს ადამიანებივით ვუვლიდი, მოსამსახურეებს კი ცხოველებივით ვეპყრობოდი... უკვე დიდი ხანია, რაც მარგალიტი ჩემთვის მარტო ქონება აღარ არის, იგი თილისმად გადამექცა. ახლანდელი რეკლამის დროს ეს თავისებური აბრაა. დღეს მე ფრანგი ვარ; და ის ადამიანი, რომელსაც მთელი მსოფლიოს ძვირფასი ქვის ვაჭრები შურის თვალით შეჰყურებენ. მართალი გითხრათ, არაერთარი რელიგია არა მწამს, მხოლოდ ჩემს მარგალიტს ვცემ თაყვანს. წლები გადის, მაგრამ იმ ულამაზესი კაცის, შეიძლება წმინდანის, მკვლელობა მოსვენებას არ მაძლევს. ღმერთი არა მწამს, მაგრამ ცივილიზაციამ ჩემში ჯადოს ძალისადმი რწმენა მაინც ვერ აღმოფხვრა. გაგეცინებათ, უსიამოვნო ჩვენების განაქარვებლად მკერდზე ზურმუხტს ვატარებდი, ზედ გამოხატული გარბით, რომელსაც გველთევზა დაეჭირა. ჯერ კიდევ გემზე, როდესაც ჩვენ ერთმანეთი

გავიცანით, ღამე ფაკირი მეზმანებოდა ხოლმე. ამ ცოტა ხნის წინ, ჩემი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ერთ დილით კარი გაიღო და ოთახში მკერდგამოფატრული ფაკირი შემოვიდა სიკვდილთან ერთად. გარწმუნებთ, ეს მოჩვენება არ ყოფილა. ფაკირი ისე ცხადად დავინახე, როგორც ახლა თქვენ გხედავთ... გადავწყვიტე მარგალიტი იმ ტაძრისათვის შემეწირა, რომლისთვისაც თავად ფაკირს უნდოდა შეეწირა, როდესაც მის ცალს იპოვნიდა... მე ვიცი როგორ შეურაცხყოფენ ტაძარს ქურდები. ახლა ვფიქრობ, რომ სულაც გავანადგურო... მე შესანიშნავი ყალბი მარგალიტები მაქვს. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ის მარგალიტი ჩემია... ამ მარგალიტში ჩემი სულია... უამისოდ ალბათ ჩემი ცხოვრება შეიცვლება... დე, შეიცვალოს! ხანდახან მინდა, რომ ხალხმა ნახოს მარგალიტი. ვინმე ქალს დავიქირავებ ხოლმე, როგორც დღეს, და მარგალიტს ყელზე ჩამოვკიდებ. მარტო მე მეცოდინება სიმართლე და სასჯელად ესეც მეყოფა. დიდი ხანია ვფიქრობ ამაზე. ვყოყმანობ. ძალიან მიყვარს მარგალიტი! ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი გატაცება მქონდა: სიმდიდრისა და დიდების წყურვილი. ფეხდაფეხ დამდევს ჩემი მსხვერპლის აჩრდილი! შეხედეთ! აი, იქ კუთხეში! მე ხომ სულ არ დამილევია... როდესაც თეატრში დაგინახეთ, გავიფიქრე ღღეს საღამოს უნდა გადავწყვიტო-მეთქი... ამ ამბავს ბოლო უნდა მოეღოს. ადგილიდან არ დაიძრათ, ხელი არ შემიშალოთ... ასე სჯობია.

სახთიამ ტკაცანი გაიღო და ცეცხლი აკიაფდა. საშაქრიდან ვერცხლის მაშა აიღო. მისმა უშფოთველმა გამომეტყველებამ ეჭვი აღძიძრა, მისტიფიკატორი ხომ არ არის-მეთქი. მაგრამ ცოტა ხნის მერე თვალზე ცრემლი დავუნახე. ცეცხლი გაძლიერდა. ორივენი მდუმარედ ვუთვალთვალებდით: ცისფერი ალი ვარდისფერ ციალად გადაიქცა. ყურში თითქოს იმ კაცის ვნებიანი ღაღადი ჩამესმა, რომელიც მამამისის სამუდამო ტანჯვისაგან გათავისუფლებაზე ოცნებობდა. მარგალიტის ციალთან ერთად, ეს ზმანებაც გაჰქრა.

— დაიფიცეთ, რომ არავის ეტყვით, რაც დღეს საღამოს გაიგონეთ და ნახეთ!

— განა საჭიროა ფიცი? — შეეეკითხე და შეეეცადე ჩემი სიტყვებისათვის ირონიული კილო მიმეცა.

ხელები მარწუხებივით მომიჭირა მხარზე და შეშლილი სახით, გესლიანად გამიშეორა:

— დაიფიცეთ თქვენი ღმერთები, ან ღმერთი! დაიფიცეთ!..

— ვფიცავ-მეთქი, — ჩავილუღლუღე ბოლოს.

მარჯვენა ხელში ჩაბღუჯული სუფრის დანა დავუნახე და დავიფიცე. ალბათ ასე ჰქონდა ჩაბღუჯული ხელში დანა იმ ღამესაც, იქ, უკაცრიელ ყურესთან, სადაც მარგალიტებს ეძინათ ჯადოსნური ძილით.

რესტორნიდან გამოვედით და მაშინვე გამომეთხოვა:

— კეთილი მგზავრობა!

— შშვიდობით!

მართლა არაფერი დაულევია. მომეჩვენა, რომ მაინც ბარბაცით მიდიოდა. რა გაკვირვებული დარჩებოდა მთელი ქვეყანა, მისი ვინაობა რომ გაიგებდა. გმირის სახელის დაფარვა იქნებ არც იყოს საჭირო, იმისათვის, რომ მისი პიროვნებით დაინტერესდნენ? მაგრამ, არა! არაფერს ვიტყვი. დიპლომატის პირველი მცნება დუმილია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილი ქართველი პოეტის ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მდიდარია მხატვრული თარგმანის ნიმუშებითაც. მან ჭარბულად თარგმნა ბევრი რუსი და უცხოელი პოეტი.

ვთავაზობთ მკითხველს ედგარ პოს ერთ-ერთი ლექსის გაფრინდაშვილისეულ თარგმანს, რომელიც მას გაბოუქვეუნებელი დარჩენია. ეს თარგმანი თავისი პირადი არქივიდან მოგვაწოდა ქართული კულტურის ცნობილმა მოღვაწემ შალვა დემეტრაძემ.

ედგარ პო

თარგმანი
ვალერიან გაფრინდაშვილისა

ჭია—მეგატონე

მარად წყვდიადში ეს ზეიმი სხვანაირია
და ჩირაღდნებით თეატრია განათებული.
პარტერში მჯდარი ანგელოზნი ჩუმად სტირიან,
ტრაურულ სევდით მოცულია მათი კრებული.
თრთოლავენ ფრთებით და სცენისკენ იცქირებიან.
საშინელების და იმედის მოდის ჩვენება,
უსმენენ შიშით, მოკრძალებით ორკესტრს ვნებიანს,
და ზეღრუბლიან მუსიკის ხმა მოესვენება.

მსახიობები თვით ღმერთების მსგავსნი არიან,
ჯამბაზობაა
უხეირო მათი თამაში.
წასვლა და მოსვლა თოჯინების ცრუ სიზმარია.
რაღაც უაზროს ბუტბუტებენ მუდმივ ღამეში.

მსგავსი ლანდები მათ ახლავან უზარმაზარი,
რომ არსად წავლენ, და ძნელია მათი ყურება,
ქონდრის ფრთებით აშრიალდა ხორო საზარი,
ჰქრის დაუძირავ, შავ ფრთებიდან უბედურება
ფარსი უაზრო, უთავბოლო, მაგრამ შენ იცი:
საოცარ დრამის დაიწყება არ შეიძლება,
მისდევენ აჩრდილს შეშლილები ამაო ფიცით,
სწრაფად მიცოცავს ის აჩრდილი მაცდურ ნისლებად.
ის სცენის ირგვლივ მიუწვდომი, ცბიერი დარბის
და პირველ წერტილს უბრუნდება ხელუხლებელი.
საკვირველია ამ პიესის სიგიჟე ხარბი,
საშინელება ამ პიესის არის მხლებელი.
ო, ეს ვინ არის, რომ მოძვრება ჯამბაზთა შორის,
ეს სისხლიანი, საზარელი სახე ვისია,
კულისებიდან ატორტმანდა სიმძიმე მძორის,
ეს არის ჭია — ის ნაკლებად უკადრისია.
ის იკლაკნება, იგრიხება, უთუოდ შია,
და მის ხახაში აბრიალდა მსახიობთ ძვლები.
სერაფიმები ქვითინებენ, ჭოფაკი — ჭია
გაუმაძღარი სვამს წითელ სისხლს მხეცური ვნებით.

თეატრში ჰქრება საზეიმო ის ბრწყინვალება,
სული კანკალებს, უსიტყვოა ახლა ყოველი.
და ხალხს ეშვება თავზე ფარდის იდუმალება,
საბედისწერო, ვით სუდარა, ქარის მთოველი.
სერაფიმების პარტერიდან ზორალი დგება,
გაფითრებულნი ამტკიცებენ ავზნებულ პირით,
რომ ამ პიესას გასაოცარს ჰქვია „ცხოვრება“,
რომ არის ჭია — მეფატონე ამ დრამის გმირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაჭავარიანი

საბჭოთა კულტურის, ლიტერატურის განვითარების ზოგიერთი საკითხი

როგორც ცნობილია, მსოფლიოში ახლა დაახლოებით 3 მილიარდი და 600 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. აქედან ორ მილიარდზე მეტი ე. წ. „მესამე სამყაროში", განვითარებად ქვეყნებში, ყოფილ კოლონიებში სახლობს. როგორც წესი, ახალი სახელმწიფოები მრავალეროვანნი არიან.

მსოფლიოში 2795 ენა და 3.000 დიალექტია. აქედან „დიდ" ენად 13 ითვლება. თითოეულ მათგანზე ლაპარაკობს 50 მილიონზე მეტი ადამიანი. მათი გავრცელების მასშტაბები შემდეგი მონაცემებით ასიათდება:

ჩინური	— 700 (მილ. ადამიანი)
ჰინდი (და ურდუ)	— 280
ინგლისური	— 250
ესპანური	— 150
რუსული	— 130
გერმანული	— 100
იაპონური	— 100
ფრანგული	— 80
ინდონეზიური	— 80
პორტუგალური	— 80
არაბული	— 70
ბენგალი	— 60
იტალიური	— 60

ასეთ სახელმწიფოში, როგორც, მაგალითად, ინდოეთია, არ არის ერთიანი ეროვნული ენა. მოსახლეობის ერთი ნაწილი, 280 მილიონი, ლაპარაკობს ჰინდისა და ურდუს ენაზე, 60 მილიონი ლაპარაკობს ბენგალის ენაზე და ა. შ. დაახლოებით ასეთივე ვითარებაა აზიისა და აფრიკის მრავალ სახელმწიფოში.

ასეთი ლინგვისტიკური სიტუაცია დიდ სიძნელეებს ქმნიდა არა მარტო ეროვნული ლიტერატურის, არამედ საერთოდ ეროვნული კულტურის შექმნის, დამკვიდრების, გავრცელების პროცესს. კინოს, ტელევიზიის, თეატრის, მუსიკის, მეცნიერების და კულტურის სხვა მრავალი დარგის საფუძველი ეროვნული ენაა. ერთიანმა ეროვნულ ენა — აი პრობლემა № 1, რომელიც მთელი სიმწვავეით დადგა ახლა, ახალ სახელმწიფოთა წინაშე.

აქედან გასაგებია შეუხელებელი ინტერესი, რასაც იჩენენ, განსაკუთრებით ახალი სახელმწიფოების წარმომადგენლები, ხაბჭოური გამოცდილებისადმი.

რასაკვირველია, თავიდან უნდა ავიცილოთ ამ გამოცდილების ყოველგვარი, ნებსითი თუ უნებლიე, ფალსიფიკაცია. ფალსიფიკაციაა იმის მტკიცება, თითქოს ჩვენს ლიტერატურას ბილინგვიზმი, ორენოვნება, ახასიათებდეს. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით „ხომლის" პირველ წიგნში და აქ საჭიროდ ალარ მიგვაჩნია ამ სიყალბის მხილება. არც ერთი ქვეყნის ლიტერატურის ისტორია არ იცნობს ჭეშმარიტად დიდ მწერალს, რომელიც ორ ენაზე წერდეს: მშობლიურ ენაზე და კიდევ არამშობლიურ, სხვა ენაზე. შესაძლებელია ესა თუ ის ამული სამ თუ ხუთ ენაზეც ამლერებდეს თარეზე, ან დაირაზე, მაგრამ ჩვენ აქ მათ შესახებ არ ვსაუბრობთ.

ამრიგად, ჩვენი ამოცანაა წარმოვადგინოთ საბჭოთა მრავალეროვანი კულტურისა და ლიტერატურის ჭეშმარიტი მოდელი, ისე როგორც ის შექმნა, ნახევარი საუკუნის მანძილზე, კონკრეტულმა, ისტორიულმა, კულტურულმა, ლიტერატურულმა პროცესმა.

რა არის საბჭოთა ლიტერატურა? საბჭოთა კავშირში ლიტერატურა არსებობს 72, თუ მეტი არა, ენაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბჭოთა ლიტერატურა ამ ლიტერატურათა ჯამია. არა მგონია დაეკმაყოფილდეთ ასეთი ერთმნიშვნელიანი არითმეტიკული პასუხით.

ჩვენი კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები ეძიებენ, და პოულობენ კიდეც, უფრო მნიშვნელოვან ნიშანთვისებებს, რომელიც ახასიათებს ერთიანს და ამავე დროს მრავალეროვან, მრავალსახოვან საბჭოთა ლიტერატურას. ამ საკითხებს კარგად ეკვლევა ლეონიდ ნოვიჩენკო, გიორგი ლომიძე, ნაფი ჯესოითი, იური სუროვცევი, სხვებიც, რასაკვირველია.

ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ითქვა, და როგორც ეტყობა ზოგადად სწორად, რომ საბჭოთა ლიტერატურა, საბჭოთა კულტურა, ეროვნულია თავისი ფორმით და ინტერნაციონალური თავისი შინაარსით; მაგრამ ეს განცხადება თვით მოითხოვს კონკრეტიზაციას. მართლაცდა, რა უნდა ვიგულისხმოთ ფორმაში და რა არის შინაარსი? რა კოორდინაციაში იმყოფება ფორმა შინაარსთან, ან პირუკუ? ამ საკითხების გამო კამათი დღესაც გრძელდება.

ცნობილია, რომ ამ პრობლემის ფილოსოფიური ასპექტით დაინტერესებული იყვნენ როგორც ანტიკური ხანის, ისე დღევანდელი მოაზროვნენიც. ბევრია კამათს არ იწვევს დებულება, რომ ფორმა გამოხატავს შინაარსს და ბუნებაში არ არსებობს ანაციონალური, ეროვნულ სახეს. სპეციფიკას, თავისებურებას მოკლებული, რაღაც „ეროვნო, კოსმოპოლიტური ფორმის კულტურა, თუ ლიტერატურა.

ვ. ი. ლენინი სრული გარკვეულობით აღნიშნავდა, „ინტერნაციონალური კულტურა უეროვნო არ არის... არავის გამოუცხადებია არც პოლონური, არც ებრაული, არც რუსული, არც სხვა რომელიმე „წმინდა" (ე. ი. ეროვნულობას მოკლებული — ვ. მ.) კულტურა". (ვ. ი. ლენინი, იხს., ტ. 20, გვ. 9 — 10). უფრო მეტიც, ვ. ი. ლენინმა საჭიროდ მიიჩნია განმარტა თუ რა არის ცნება: ინტერნაციონალური, ნაციონალური. ვ. ი. ლენინი წერდა, „ინტერ—შორის, ინ — არი, ინტერნაციონალური— სანაციონთაშორისო, საერთაშორისო, ნაციონალური — არანაციონალური, არახალხური, უეროვნო, (იქვე: გვ. 9), ვ. ი. ლენინის ამ მსჯელობაში ერთ მომენტსაც უნდა გაესვას ხაზი, ნაციონალურს, ეროვნულს ვ. ი. ლენინი ხალხურსაც ეძახის. აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ვ. ი. ლენინი ეროვნულ სპეციფიკას მოკლებულ კულტურას ხალხურ კულტურადაც არ თვლიდა.

სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სახის და [illegible] ინტერნაციონალიზმი და ულტრათანამედროვეობა, ფორმალიზმი, რომელიც იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული შეგნების დაწლას გამოხატავს, სწორედ ამ თავისი ფუნქციის გამო, სრულიად მოკლებულია ეროვნულ, ხალხურ ნიშანთვისებებს.

იმავე ოცდაათიან წლებში, უფრო გვიანაც, ავტორთა უმრავლესობა ეროვნული ფორმის უპირველეს ნიშნად, მის სპეციფიკად, პირველ რიგში ეროვნულ ენას მიიჩნევდა. შემდგომ ხანაში, ალბათ, თვით ცნება ფორმის, უფრო ზუსტი განსაზღვრისათვის, ოდნავ განსხვავებული მოსაზრებაც გამოითქვა: სწერდნენ, რომ ეროვნული სპეციფიკა დაკავშირებულია არა იმდენად ენასთან, რამდენადაც ეროვნული სტილის სპეციფიკასთანო. საკითხს ჩვენ კვლავ დაეუბრუნდებით (სხვადასხვა გარემოებათა გამო ეს აუცილებელია), მხოლოდ წინასწარ შეიძლებოდა ასეთი კითხვა დაგვესვა: ეროვნული სტილი რაღაა? და ხომ არ შეადგენს ენა ეროვნული სტილის გადამწყვეტ კომპონენტს?

ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორს მიდის, ეს რას წერენ ისინი: „ის რომ ინდოელი და ინგლისელი თავის აზრს ინგლისურ ენაზე გამოხატავენ, არ შეიძლება გამოდგეს არგუმენტად მათი ინგლისური კულტურისათვის მისაკუთვნებლად. თუ ინგლისურ ენას ლიტერატურული ნაწარმოების ეროვნული კუთვნილების მთავარ კრიტერიუმად ვაღიარებთ, მაშინ არ იარსებებდა არც ამერიკული (ავტორს ალბათ უნდოდა ეთქვა, ჩრდილოეთ ამერიკული — ვ. მ.), არც კანადური, არც ნიგერიული, ლიტერატურები". ამას წერს მ. კალინიკოვა სტატიაში — „ინდოეთი ინგლისურენოვანი, ინდოელი და ინგლისელი მწერლების შემოქმედებაში" (იხ. ჟურნალი „Народы Азии и Африки", 1968, № 4).

აქ ლაპარაკია ინგლისის ყოფილ კოლონიებზე, დაბურობთა ენაზე, კოლონიზატორებზე, რომლებმაც ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს ადგილობრივი ლიტერატურა, დამონებულ ხალხებს ძალით მოახვიეს თავზე ინგლისური ენა, მექანიკურად შეაჩერეს ადგილობრივი ენების, კულტურის განვითარება. უმე-

ვლადიმერ მაჭავარიანი

ტეს შემთხვევაში კაპიტალისტური მეტროპოლია ისეთ ისტორიულ პირობებში იბყრობდა აფრიკის, აზიის ქვეყნებს, როდესაც იქ ჯერაც არ იყო ჩამოყალიბებული ერი ყველა თავისი ნიშანთვისებებით; როგორც წესი, იქ თემური წყობილება იყო, ძლიერი იყო გვაროვნული წინააღმდეგობანი, უკეთეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ფეოდალურ დაქსაქსულობას.

ასეთმა ვითარებამ, რასაკვირველია, ხელი შეუწყო დაპყრობილ ქვეყნებში კულტურის, ლიტერატურის სტაგნაციას. დღესაც ტრაიბალიზმი, შეტად რთული ეროვნულ-ეთნიკური და ენობრივი სტრუქტურა, რომელიც ახალ სახელმწიფოებს ახასიათებს, წარმოქმნის უკვე ზისივე წიაღში აღძოცენებულ ეროვნულ პრობლემებს და საკითხებს, აფერხებს ეროვნული ლიტერატურის, კულტურის სწრაფი ტემპებით ჩამოყალიბებასა და განვითარებას, მით უმეტეს, რომ იქაური მოსახლეობის ინტელექტუალურმა ზედა ფენამ კოლონიზატორების ენაზე მიიღო განათლება და კულტურა მრავალი დარგი, ლიტერატურა, დასავლურ ყაიდაზე შეითვისა.

ერთი სიტყვით, ყოფილი კოლონიების მაგალითი არ შეიძლება საფუძველი გახდეს ფართო მნიშვნელობის თეორიული დასკვნებისათვის.

შეიძლება ე. კალინიკოვაისათვის ერთი დამატებითი კითხვა დაგეესვა: რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი მიაკუთვნებს ინდოელ რ. კ. ნარაიანს, იქ რომ არაუერი ეთქვათ: ფოლკნერზე, ჰემინგუეზე, ფროსტზე და ა. შ., ინგლისურ ლიტერატურას ან კულტურას?

ენდა ვიფიქროთ, მთელი ეს თეორიული მსჯელობანი ავტორს იმისათვის დასჭირდა, რომ როგორმე დაემტკიცებინა, თითქოს ეროვნული ენა არ არის კულტურა, ლიტერატურის ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობის ნიშანი.

რაც შეეხება „ნესამე საკუთრის" მრავალეროვან სახელმწიფოებს იქ ეროვნული ენის დამკვიდრების საკითხი იმდენად თავისებურად და რთულად დგას, რომ მისი ეროვნულობანი გადაწყვეტა ალბათ შეუძლებელი იქნება; მართლაცდა რომელი ენა უნდა გახდეს ზოგადად ეროვნული, მაგალითად ინდოეთში, ჰინდი, ურდუ, ბენგალი, ტამილი თუ კიდევ სხვა რომელი ენა? ამ ენებზე ხომ ათეული მილიონი, და ზოგ შემთხვევაში (ჰინდი, ურდუ) ასეული მილიონები ლაპარაკობენ.

რადგანაც კვლავ ენებზე მოგვიხდა ლაპარაკი, საჭიროა ზოგადად, სქემატურად ჰაინც, შევეხეთ ამ საკითხზე.

„ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ფორმალური სტრუქტურით (ფონეტიკური სისტემა, [illegible] სისტემა, კერძოდ: მორფოლოგიური [illegible] და სინტაქსური წესები) და გრამატიკული სემანტიკით, ანუ გრამატიკული ხერხებით გამოხატული კატეგორიებით (მაგალითად, რუსულს აქვს გრამატიკული სქესის კატეგორია, ქართულს არ გააჩნია ასეთი კატეგორია; ქართულისათვის დამახასიათებელია ქცევის კატეგორია — ვ-შენებ, ვ-ი-შენებ, ვ-უ-შენებ; რუსულისათვის ანალოგიური კატეგორია უცხოა და სხვ.), არამედ აგრეთვე ლექსიკური-სემანტიკური სტრუქტურით.

ერთი შეხედვით ქართული სიტყვები „მაგიდა" და „სუფრა" ზუსტ სემანტიკურ ეკვივალენტებს ეძებენ რუსულში, შესაბამისად „стол" და „скатерть" სიტყვათა სახით. მაგრამ საკმარისია განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი და ვნახავთ, რომ აბსოლუტურ ეკვივალენტობას, ე. წ. იზომორფიზმს ადგილი არა აქვს: „კარგი მაგიდა" რუსულად ითარგმნება როგორც „хороший стол", მაგრამ ქართული „კარგი სუფრა" გარკვეულ სიტუაციაში აგრეთვე ითარგმნება როგორც „Хороший стол" („შენანება ასეთი კარგი სუფრის მიტოვება!" — „Жаль оставлять такой хороший стол!"). მეორე მხრივ სხვაგვარ კონტექსტში ქართული „კარგი სუფრა" რუსულად იქნება „Хорошая скатерть" („კარგი სუფრა ვიყიდე" — „купила хорошую скатерть").

ანალოგიური ფაქტები შეიძლება მოვძებნოთ ადამიანის ემოციებისა და განცდების, აგრეთვე ინტელექტუალური საქმიანობის გამომხატველი ლექსიკის სფეროშიც.

ასევეა სურათს ვადასტურებთ ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებში რუსული „тетя" ქართულად „დეიდაც" იქნება, „მამიდაც" და „ბიცოლაც" (ძალუაც, ქართულ-კახურად). საერთოდ ქართულში გაირჩევა „ძმა" და „და". სვანურში კი გვაქვს „შეხვე" — „ძმა ძმისათვის", „ჭუნილ" — „ძმა დისათვის", „დაჩვარ" — „და ძმისათვის".

ქართული „დიდი" რუსულად იქნება „большой" და „Великий" (დიდი სახლი „большой дом" და „დიდი ხელმწიფე" — „Великий государь").

შეადარეთ აგრეთვე ქართული: „ჩქარი, მალი, სწრაფი, მარდი" და რუსული: „Скорый, быстрый, стремительный" და სხვა.

სრული სემანტიკური ეკვივალენტობა ენებს შორის ფაქტობრივად არ დასტურდება. კიდევ უფრო დიდ განსხვავებას ქმნის ენებს შორის იდიომატურ გამოთქმათა, ფრაზეოლოგიზმების, ანდაზების, სიტყვათა, გრამატიკულ კონსტრუქციათა და ფონემათა სტილისტიკური ვარიანტების არსებობა. ისეთი „ეკვივალენტური“ ფრაზები, როგორიცაა: „აბესალომი და ეთერი“ და „აბესალომ და ეთერი“ სტილისტიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველი ჩვეულებრივია, ბანალური, სტილისტიკურად ნეიტრალური, მეორე უჩვეულოა, სტილისტიკურად გამოყოფილია (მარკირებულია), „პოეტური“. რუსულად ორივე იქნება „Абесалом и Этери“. ქართულში არსებული სტილისტიკური ნიუანსი რუსულ თარგმანში დაიკარგა.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ენები ერთსა და იგივე შინაარსებს გამოხატავენ (ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ენებს შეუძლიათ ერთი და იგივე შინაარსის გამოხატვა). მაგრამ ერთი და იგივე (ზოგადი) შინაარსის დანაწევრება (სეგმენტაცია), ფორმალურ-სტრუქტურული ნიუანსირება, სპეციფიკურია თითოეული ენისათვის.

არ არსებობს არც ფორმალურ-სტრუქტურული და არც სემანტიკურ-სტრუქტურული იზომორფიზმი (სრული, ცალსახა ეკვივალენტობა) ენებს შორის.

ყოველი ენა უნიკალურია“[1].

აბსოლუტური უაზრობა იქნებოდა მარხიელობა, თუ რომელი სტრუქტურის ენა გახდება ახლა მეტად ძნელად წარმოსადგენ ისტორიულ მომავალში, საერთო-საკაცობრიო ენა. ეს ალბათ დამოკიდებული იქნება არა მარტო ენის თვისებებზე და მისი წმინდა რიცხობრივი გავრცელების არეზე, არამედ უფრო მეტად, იმ სულიერ სიმდიდრეზე, რომელიც შეიქმნება ამა თუ იმ ენაზე.

ამჟამად კი ენა ყველაზე უფრო საყვარელი, ახლობელი, სანუკვარი, საგოგმანებელი, დიადი რამ არის, რაც კი ხალხმა, ერმა შექმნა თავისი ისტორიული შემოქმედების ათასწლეულების მახმილზე.

იყო, რასაკვირველია, ერთი-ორი შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის ადამიანი, სხვადასხვა გარემოებათა გამო კარგავდა მშობლიურ ენას, ითვისებდა სხვა ხალხის ენას და ამ ახლად შეთვისებულ ენაზე იწყებდა შემოქმედებას. მაგალითად, ესპანელი ხოზე მარია და ერედია, რომელიც თავის განთქმულ სონეტებს ფრანგულად წერდა, ან რომელი იერსეკი, რომელიც ახლა საფრანგეთში ცხოვრობს და ფრანგულად წერს. ამ შემთხვევაში ერედიაც და იონესკოც ფრანგი მწერლები არიან. ჩეხი ებრაელი კაფკა, რომელიც ავსტრია-უნგრეთის მაშინდელი იმპერიის ერთ-ერთ ნაწილში, ჩეხეთში ცხოვრობდა, გერმანულად წერდა და არა მგონია სწორი იყოს მისი ჩეხ მწერლად გამოცხადება. კაფკა გერმანიზებული მწერალია, რომელმაც გეიანბურეუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი, ბევრი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა დააყენა. ჩეხებს ალბათ ეამაყებათ, რომ ასეთი შემოქმედი პრაღაში ცხოვრობდა, მაგრამ ჩეხური ხასიათი ჭაწეკმა აღწერა და საკვეყნოდ ცნობილი გახადა, და არა კაფკამ. კაფკა კაპიტალისტური, კოსმოპოლიტური საყაროს შვილია, აქ ერთი შენიშვნაც არის საჭირო, რომელიც შესაძლებელია საკამათოც იყოს. კაფკა საინტერესოა თავისი პრობლემატიკით და არა სტილისტიკით, კერძოდ მისი გერმანული ამ ენაზე შექმნილ ალეგორიულ ზედმეტებთან ახლოსაც არ მიდის; რომელ ქეთათაფყოფელს მოუვა ახრად შეადაროს კაფკას გერმანული. მაგალითად, თომას მანის, ან მუზილის გერმანულს. იმის დავიწყებაც არ შეიძლება, რომ კაფკასათვის გერმანული წმობლიური ენა იყო, ის რომ ნებსაც, კერძო წერილებსაც გერმანულად წერდა, ჩეხურად მას არაფერი დაუწერია. ყოველ შემთხვევაში კაფკა მაგალითი ბილინგვიზმის პოლოგიისათვის არ გამოდგება.

სპილოს ძვლის კენძელის გამოჩენილი პოეტი, პროზაიკოსი, ლიტერატურათმცოდნე ბ. დიდიე სტატიაში „ადამიანი ორ ენას შორის“ (ეს სტატია მოვიხსენიეთ ჩვენ „ხომლის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ, ზემოთ დასახელებულ სტატიაში) წერს: ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლამ შეიძლება უდიდესი ძრწოლა, შეძრწუნება გამოიწვიოს ადამიანის შეგნებაში, აზროვნებაშიო“ (იხ. ჟურნ. „Иностранная литература“. № 4, 1968, გვ. 246). ჩვენ მხრივ დავუმატებთ: — გრძნობადი სამყაროს სტრუქტურის აღწერაში, შექმნაში.

ზემოთ დასახელებულ „ხომლის“ პირველ წიგნში დაბეჭდილ სტატიაში ჩვენ ვწერდით, რომ მწერალი ენით სარგებლობს არა მარტო

---

[1] ენის რაობის ეს მოკლე დახასიათება ჩვენი თხოვნით დაწერა აწ განსვენებულმა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი მაჭავარიანმა.

ვლადიმერ მაჭავარიანი

როგორც კომუნიკაციის საშუალებით; მწერლისათვის ენა მხოლოდ კომუნიკაციის კი არა, შემოქმედების იარაღია. ის ვინც ენით სარგებლობს როგორც მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებით, ენის მომხმარებელია, მწერალი კი ხალხთან ერთად, მისი კარნახით, ქმნის, ავითარებს, ამდიდრებს, მრავალფეროვნებას ანიჭებს, მრავალწახნაგოვანს ხდის ენას.

ისტორიის მაგალითი გვასწავლის, რომ ჩვენს დროში ძალდატანებითი ენობრივი, კულტურული ასიმილაცია ვერ გადაწყვეტს ინტეგრაციის საკითხს. ჩვენი ქვეყნის გამოცდილება იმას გვკარნახობს, რომ იდეური ერთიანობისაკენ ჩვენ მივდივართ მხატვრული, სტილისტიკური, ენობრივი მრავალფეროვნებიდან. საბჭოთა კულტურის, ლიტერატურის ამგვარი მოდელი ცხოვრებაში დამკვიდრებული იყო მარქსისტულ-ლენინური, ინტერნაციონალისტური, ერის თეორიის საფუძვლებზე.

ეგებ საჭირო იყოს იმის გაბსენებაც, რომ სულ სხვა, თეორიულ და პრაქტიკულ-პოლიტიკურ, წანამძღვრებიდან გამოდიოდნენ სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტები, რეფორმისტები— კარლ კაუცკი, რომელიც წერდა: „თანამედროვე კულტურია ძალა, რომელიც თან მოჰქონდათ გერმანელებს ყოველგვარი ძალდატანებითი გერმანიზაციის გარეშე (!!?—ვ. მ.) გერმანელებად გადააქცევდა ჩამორჩენილ ჩეხ წვრილბურჟუებს, გლეხებსა და პროლეტარებს, რომლებსაც ვერაფერს მისცემდა მათი დაჩიავებული ეროვნება“ (იხ. კ. კაცკი, „რევოლუცია და კონტრრევოლუცია“, გერმანული გამოცემის წინასიტყვაობა).

ადამიანი მეორე ადამიანთან, თავისმაგვარ ორსებასთან გარკვეულ კოორდინაციაში იმყოფება. ეს კოორდინაცია სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის ეთნიკურ ერთობლიობათა მეშვეობით ხორციელდება. ეს ერთობლიობებია: გვარი, ტომი, ხალხოვნება, ერი. ისტორიის გარკვეულ საფეხურზე ეს კოორდინაცია ასეთი სისტემით წარმოგვიდგება: ადამიანი — ერი— კაცობრიობა. ასეთი ბუნებრივი კოორდინაციის დარღვევა სოციალურ ენტროპიამდე მიგვიყვანდა.

ს. კ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე სრულიად სამართლიანად ითქვა: ლენინს არაერთგზეს უთქვამს, რომ ეროვნული განსხვავებანი ტნდა გაქრნენ, ხოლო ეროვნული ენები ერთ საერთო ენად შეერთდნენ, ერთი სახელმწიფოს ფარგლებშიო. ლენინი, პირიქით, პროლეტარ საწინააღმდეგო რამეს ამბობდა, საუბრობდა იმას, რომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის... კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს გასაძლებენ მას შემდეგაც კი, რაც პროლეტარიატის დიქტატურა მსოფლიო მასშტაბით განხორციელდება. ვ. ი. ლენინს არასოდეს უთქვამს, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და ეროვნებათა ინტერესების ერთ მთელად შეერთება ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას უდრის. ვ. ი. ლენინს არასოდეს უთქვამს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში (საერთო საბჭოთა სახელმწიფოს პირობებშიც — ვ. მ.) ეროვნული კულტურის, ეროვნული ენების განვითარება რეაქციული ლოზუნგია, პირიქით, ლენინი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ დავხმარებოდით სსრ კავშირის ხალხებს მათი ეროვნული კულტურის განვითარებაში (იხ. ც. კ. პოლიტიკური ანგარიში ს. კ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობისა), ისტორიის მსვლელობამ, მას შემდეგ რაც ეს სიტყვები ითქვა, საგსებით დაამტკიცა მათი სიზუსტე და სამართლიანობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, მოსკოვში ნათქვამი იყო: „თანასწორუფლებიან ერთა ძმური თანამშრომლობა, ხალხთა ურღვევი მეგობრობა ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძველია.

საბჭოთა ადამიანები სიცხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ განამტკიცონ ძლიერება და ავტორიტეტი თავიანთი სახელმწიფოსი—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, რომლის საქმიანობაში ჰარმონიულადაა შეხამებული მთელი საზოგადოების ინტერესები თითოეული ერისა და ეროვნების განვითარების ეკონომიური, კულტურული და სხვა მოთხოვნებთან. კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ სოციალისტურ ერთა აყვავების საფუძველზე, კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის კვალობაზე, მოხდება მათი შემდგომი დაახლოება, აქ არ უნდა იყოს არც ხელოვნური წაბიძგება და აჩქარება, არც ეროვნული კარჩაკეტილობის, განკერძოებისა და განსაკუთრებულობის რაიმე ტენდენცია“ (იხ. გაზ „კომუნისტი“, 1969. 7. XI. № 260).

ვ. ი. ლენინის, პარტიის უშეალო, პირდაპირი ხასიათის მითითებების საწინააღმდეგოდ, ზოგიერთი თანაბედროვე ვითომ თეორეტიკოსი ფაქტიურად ანტილენინურ, ანტიპარტიულ თეორიებს აყალიბებენ. ახლახან მათ წამოაყენეს ტოტალური „ინტერნაციონალიზაციის“ ფრიად საკვირველი, ვითომდაც ზოგადი სოციოლოგიური კანონი, რომელიც, თურმე ნუ იტყვით, უკვე ჩვენს დღეებში, წამყვანი ტენდენცია გახდა საბჭოთა ხალხების განვითარებისა დღევანდელი ყოფიერების პირობებში.

რას წარმოადგენს „ინტერნაციონალიზაციის“ ეს ზოგად-სოციოლოგიური კანონი? საბჭოთა ხალხი თავისებური გარდამავალი სახის სოციალური ერთობაა. წერენ ისინი. ახლა ეროვნული ერთობა მხოლოდ ფორმაა. თურმე, ახლა ხორციელდება გადასვლა შედარებით დამოუკიდებელ ეთნიკურ ეროვნულებიდან (ასე უწოდებენ სოციალისტურ ერებს ვოლიუნტარისტებისა და სუბიექტივისტების ეს თეორიული მეაბჯრენი — ვ. მ.) მომავალი კომუნისტური საზოგადოების ინტერნაციონალურ ძმობაზე. თურმე საბჭოთა კავშირს, როგორც გარკვეულ ისტორიულ ერთობას, აქვს არა მარტო მრავალეროვანი გაერთიანების ნიშნები, არამედ მას ახლა უკვე ახასიათებს მონოლითური, ჩამოყალიბებული, ერისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშნები. ერის ნიშნებად ეს ავტორები მიიჩნევენ არა მარქსისტულ-ლენინურ ერის თეორიაში მიღებულ ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების, ფსიქიკური წყობის ერთობას, არამედ მათ მიერვე შეთხზულ ახალ ნიშანთვისებებს: სოციალ ეკონომიური წყობის, ისტორიული განვითარების ერთობლივ პირობებს, სახელმწიფოებრიობისა და იდეოლოგიის ერთობას, კულტურის განვითარებისა საერთო პირობებს. ამ შემთხვევაში ეს ახლად მოგონილი თეორეტიკოსები იმეორებენ ავსტრიელი მარქსისტების კარლ რენერის, ოტო ბაუერის და რუსეთში მოღვაწე ბუნდელების რეაქციული კულტურული ავტონომიის პროგრამას, რომლის მხილებას და განიდგურებას ვ. ი. ლენინმა და მისმა მოწაფეებმა მრავალი წელი მოანდომეს.

ჩვენ რომ ახალ თეორეტიკოსთაგან რეკომენდირებული ერის განსაზღვრება მივიღოთ, ბაბინ უნდა ვაღიაროთ, რომ კაპიტალისტურ საქართველოში უკვე კარგი ხანია დამთავრებულია „ეთნიკურ ერთობათა (ე. ი. ერების — ვ. მ.) დამოუკიდებელი განვითარება“ და განხორციელებულა ამ თეორეტიკოსთაგან შეთხზული ე. წ. „ინტერნაციონალიზაცია“. მაგრამ ეს ხომ აბსურდია!

ვ. ი. ლენინი წერს, ერები მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგაც დიდხანს, ძალიან დიდხანს, იარსებებენო და ერთა შერწყმის პროცესი მეტად დიდი დროის მომცველ უსასრულოდ ფასი პროცესიაო. ეს, არცთუ, „ეროვნული“ თეორეტიკოსები, უკვე ერთი სახელმწიფოს ფარგლებში აუქმებენ სოციალისტურ ერებს. აი ამას ეძახიან ჩვენში ჭკუის ჭყლეტას! ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა სახელმწიფოში, წერა-კითხვის უცოდინარობა ნაშობლიური ენის საფუძველზე იყო ლიკვიდირებული. ასე რომ არ მომხდარიყო, ჩვენ საუკუნეების მანძილზე ვერ მოვუღებდით ბოლოს უწიგნურობას. მეცნიერებაც ეროვნული ენის საფუძველზე განვითარდა. საუკუნეების მანძილზე ეროვნულ ენაზე იქმნებოდა ესთეტიკური თუ ეთიკური ღირებულებათა მთელი სისტემა.

ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ მომენტს. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ენა, ლიტერატურა სულიერი კულტურის მრავალი სახის საფუძველს წარმოადგენს. მის ბაზაზე ვითარდება თეატრი, ტელევიზია, კინო, რადიო, მუსიკა, მასობრივი ინფორმაციის და კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები.

საბჭოთა ეროვნულ სურათს იძლევა. სხვა ელემენტებიც, რომელნიც ეროვნული კულტურის სტრუქტურას ჰქმნიან. ალავ, როგორ არ გავიხსენოთ გოეთეს აზრი, რომელიც მან ეკერმანს გაუზიარა: „ვინც მთელი თავისი სიცოცხლე გარემოცულია მაღალი ზვიადი მუხის ხეებით, სულ სხვა ადამიანი უნდა გახდეს, ვიდრე ის, ვინც მბიარულ, ჰაეროვან, არყის ხეებს შორის ცხოვრობს“.

გეოგრაფიული გარემო მგონი ყველაზე უფრო სტაბილური ფაქტორია, ის ეროგვარია. ფაქტიურად უცვლელია როგორც ტომობრივი, გვაროვნული ერთობებისათვის, ასევე განვითარებული სოციალისტური ერისათვისაც. უეჭველად მართალია გ. დ. გაჩევი (იხ. მისი შინაარსიანი და საინტერესო სტატია: „О национальных картинах мира“, ჟურნალში: „Народы Азии и Африки“ № 1, 1967), რომელიც წერს, რომ მხატვრული ლიტერატურის სახეობითი არსებული ბუნებაშიც ძევს.

ადამიანის შემოქმედებისა და კულტურის ფენომენების შექმნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებს, რომელნიც ეს პროცესი მიმდინარეობს. საზოგადოებრივ-ისტორიული პირობები მოიცავენ როგორც კლასობრივ, ასევე ზოგადადა-

მიანურ, ზოგადეროვნულ ფაქტორებს. „ცნობიერება (das Bewusstsein)—ამბობს კ. მარქსი—არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა გათვითცნობიერებული ყოფიერება (das bewusst sein), ადამიანთა ყოფიერება კი, ეს მათი ცხოვრების რეალური პროცესია“ (იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. соч., т. IV, გვ. 16).

ადამიანთა ცხოვრების რეალური პროცესი ხომ გარკვეულ ეროვნულ გარემოცვაში მიმდინარეობს და მისი ცნობიერება ამ ეროვნულ სპეციფიკას ასახავს. ამიტომაა რომ ეთვითცნობიერებული ყოფიერება უეჭველად იტარებს ეროვნულ სახეს. ეს სახე თავის გამოხატულებას პოულობს ლიტერატურის როგორც შინაარსში, ასევე მის ფორმაში. ლიტერატურის, კულტურის ყველა ფორმა, ამ ფორმათა სიმდიდრე და მრავალსახეობა, რომელსაც ადამიანი აღიქვამს, შეპირობებულია ადამიანის საგნობრივი ყოფიერების სიმდიდრითაც; საგნობრივი ყოფიერება ხომ მრავალ შემთხვევაში სწორედ ამ ეროვნულ სახეს თუ ელფერს იტარებს. ამის გათვალისწინებაც საჭიროა.

რაც უფრო კლასობრივად ნაკლებად დიფერენცირებულია საზოგადოება, მით უფრო ძნელი ხდება კულტურის ფენომენების კლასობრივი ნიშნით კლასიფიკაცია. მაგალითად, უფრო ძნელი გამოსარკვევია უშუალოდ რომელი კლასების, სოციალური ფენების თუ სტრატების ინტერესებს გამოხატავს ჰომეროსის ან ფიდიასის შეხედულება, ვიდრე იმისა, თუ ვის ემსახურება და ვის ინტერესს იცავს კაპიტალიზმის დროინდელ ქვეყნის გარკვეული სახის ე. წ. ლიტერატურა და ვითომ ხელოვნება.

უარყოფს თუ არა მარქსიზმ-ლენინიზმი ამ ობიექტურ ფაქტებს? არა, არ უარყოფს, რადგან მათი უარყოფა შეუძლებელია და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. მარქსიზმ-ლენინიზმი ფაქტების ახსნას, ინტერპრეტაციას, გაგებას იძლევა და არა მათ უარყოფას.

ესთეტიკური, ეთიკური ნორმები, რომელნიც დღევანდელი ლიტერატურის საფუძველს წარმოადგენს, გამიზრებულია ხალხის ისტორიით, ყოფით, მხატვრული აზროვნების ფორმებით, რომელნიც თავის გამოხატულებას პოულობდნენ ნითებში, ფოლკლორში, რომლებსაც ხალხი ქმნიდა. ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას. საშობლო გახყენებული ცნება როდია. აქ, ახლა ვერ აღვხუსხავთ ყველა ელემენტს, რომელიც უქმნის ადამიანს გარკვეულ, ამ, და არა სხვა სამშობლოს სიყვარულის გრძნობას. უპირველესად ყოველისა ორითოდ სიტყვა უნდა თქვას დედამიწაზე, სადაც ის დაიბადა, გაიზარდა, ცხოვრობს, შრომობს და რომელსაც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით თვლითა და სულსა [illegible] აყენებს. აქედან წარმოიქმნება ნოსტალგია, [illegible] დაკარგულ, მიტოვებულ სამშობლოზე, მშობლიურ მიწაზე, იმ ადამიანთა შეგნებაში [illegible] დიდი ხანია დატოვეს სამშობლო [illegible], უკვე ასიმილირებული არიან სულ სხვა, ახალ სოციალურ, ნაციონალურ წრეში. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტიც კი, ჯონ კენედი, ირლანდიაში ბრუნდებოდა ხოლმე, რათა მოეხახულებინა მამა-პაპათა საფლავი და ფეხი დაედგა მის ყოფილ სამშობლოს მიწაზე. ყოველ შემთხვევაში მან ასეთი სურვილით ახსნა ერთ-ერთი თავისი მოგზაურობა ირლანდიაში. ამიტომაა, სხვათა შორის, რომ პატრიოტიზმი მუდამ რჩება ლიტერატურის ცხოველმყოფელ თემად.

ეროვნულ ტრადიციათა შესახებაც ჩვენში ცოტა რამ უწერიათ და უკამათიათ. ოღონდ, სამწუხაროდ, ისე, რომ არ შეთანხმებულან ამ ცნებათა ერთგვარ გაგებაში, რომელთა გარშემოც მიმდინარეობდა დისკუსია.

როდესაც ტრადიციებზე ვმსჯელობთ, ალბათ პირველ რიგში ეგულისხმობთ ლირებულებათა ამ სისტემას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შემოინახა ერმა. დღევანდელ დღემდე მოიტანა, როგორც საკუთარის მხატვრული ხილვის, მიცი შეცნობის, განმეორების, ლექსის საშუალება. რასაკვირველია, ლიტერატურული ტრადიცია სრულიად არ გულისხმობს გარკვეული მეტრიკის, სხვადასხვა სახის ტროპების, ლექსთწყობის თუ პროზის კანონიზებული ფორმების შექმნიკურ განმეორებას. ჩვენ ერთხელ უკვე შევნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი მაღალი და დაბალი შაირით წერდა, ლექსთწყობის ამ სისტემით არ უსარგებლიათ არც ბარათაშვილს, არც ვაჟა-ფშაველას, არც აკაკის, არც ილიას, რომ არაფერი ვთქვათ გალაკტიონზე, გიორგი ლეონიძეზე, სიმონ ჩიქოვანზე, დღევანდელ პოეტებზე.

ამრიგად, საკითხი შეეხება არა სამყაროს ხილვის მხატვრულ ფორმებს — ისინი უსაზღვრონი, ცვალებადნი, მრავალფეროვანნი არიან, არამედ ეთიკურ, ესთეტიკურ განმანათლებელ ნორმებს, დირებულებებს, რომელიც ხალხმა შემოინახა, ახლაც მოქმედებენ და თავისი გამოხატულება უნდა იპოვონ კულტურაში და ლიტერატურაში.

„თანამედროვე ხელოვნების სტილი, უნდა პასუხობდეს ხალხის თანამედროვე ცხოვრების სტილს. საქმე ხელოვნების, ლიტერატურის

ეროვნულ თვისებებს კი არ შეეხება, არამედ მათი ცხოვრების კვალდაკვალ განვითარებას... ხელოვნება, ლიტერატურა არ შეიძლება არანაციონალური იყოს, ეროვნული ფორმა მუდმივ განვითარებაშია, მისი განვითარების კანონზომიერება ისაა, რომ ის სულ უფრო და უფრო მეტად შეიმუშავებს ზოგადკაცობრიულს. თანამედროვე ნაციონალური სპეციფიკა — ხალხის თანამედროვე ცხოვრებაშია... ჩვენი ცხოვრების შინაარსი — სოციალიზმი, კომუნიზმის მშენებლობა და ეროვნული ფორმა, რომელიც ასეთ შინაარსს შეესატყვისება, არ შეიძლება ჩამორჩეს ცხოვრებას და ის ვითარდება". ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ჯაფარ ჯაფარლის ამ აზრებს.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ, ტაჯიკეთის სახალხო არტისტის ბ. ქიმიაგაროევის მეტად საინტერესო აზრები, რომელნიც ამ პრობლემებს შეეხება. ბ. ქიმიაგაროევი წერს: „თანამედროვეობის პრობლემა კინოხელოვნებაში მისი ეროვნული თავისებურების პრობლემაა, თანამედროვეობა კინემატოგრაფიაში, თუ ნაბიჯს ჭეშმარიტ რეალიზმაზე აკიდებს, ჭეშმარიტ ხელოვნებას მიუახლოვდეს, აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ თავისებურებას, ყოველი ხალხის ჭეშმარიტი ცხოვრების სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ამ ეროვნული თავისებურების „ფრჩხილებს გარეთ გამოტანა" შეუძლებელია, თუ ჩვენ, რასაკვირველია, არ გვინდა ბავშვიც გავაყოლოთ ტაშტიდან გადაღვრილ წყალს... შინაარსის მომენტი ნაციონალური თავისებურებების მთავარი თვისებაა. ყოფის ატრიბუტები, ტიპაჟი და ა. შ., როგორც ფორმის ელემენტები, თავისთავად, რასაკვირველია, მნიშვნელოვანნი არიან, ოღონდ ისინი თავისებურ ჰურჭლის როლს თამაშობენ, სადაც ეს შინაარსი არის მოთავსებული... მხოლოდ კონკრეტული, ეროვნული პრობლემებიდან მიდიან გზები ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისაკენ... ზოგიერთ რესპუბლიკურ სტუდიაში, განსაკუთრებით როდესაც კეთდება ფილმები თანამედროვე თემაზე, წარმოებაში ჩაუშვებენ ხოლმე ისეთ კინოსურათებს, რომელთა არც შინაარსი, არც ფორმა არ გვიჩვენებს, არ ასახავს ეროვნულ სპეციფიკას. მათი ავტორები ცდილობენ ასეთ პრაქტიკას რაღაც თეორიული საფუძველი მოუძებნონ და აი რას წერენ: ხალხის კეთილდღეობის ზრდა, საბჭოთა ადამიანთა შორის ეკონომიური და კულტურული კავშირების განმტკიცება, ერთსახოვანს ხდის ცალკეული რესპუბლიკების ცხოვრებას. ამის გამო, თითქოს საბჭოთა, სხვადასხვა ხალხის ხელოვნებაში არ შეიძლება განსხვავებული პრობლემატიკა არსებობდეს. მე კი ვფიქრობ, თუ ჩვენ ასეთ გზას დავადგებით, იმ კინოსურათებში, რომელნიც თანამედროვეობას შეეხებიან, ველარ იხილავდა სიმართლეს, წმობლიური მიწის იმ სურნელებას, რომელიც ესოდენ საყვარელია და აუცილებელი ყოველი ადამიანისათვის. ჩვენ დავკარგავდით ცხოვრების იმ წყობას, ფსიქიკის იმ თავისებურებას, რომელნიც ახასიათებენ ერთიანი ძმური საბჭოთა ხალხების კავშირში მცხოვრებ ერებს. თუ ეროვნულ მომენტს, ეროვნულ თვითმყოფობას არაერთარი მნიშვნელობა არა აქვს, რა აზრი აქვს კინოსურათების წარმოებას ბაკოში, დუშანბეში, ნოსკოში, ტაშკენტში, ერევანში, კიევში. გინა არ აკობებდა ფილმების წარმოება კონცენტრირებული ყოფილიყო მოსკოვსა და ლენინგრადში, იქ ხომ არსებობენ ტექნიკურად კარგად აღჭურვილი კინოსტუდიები?

ჯერ კიდევ ძველი ლათინელები ამბობდნენ: „იცვლებიან დრონი, მათთან ერთად ვიცვლებით ჩვენც". ლიტერატურა, რომელიც ამ პროცესს არ ასახავს, ხალხს აღარ გამოადგება.

იბადება სრულიად კანონიერი საკითხი, ხომ არ უშლის ხელს მრავალი ეროვნული ლიტერატურის, კულტურის არსებობა მათ დაახლოებას, მათ ურთიერთგამდიდრებას?

რაც უფრო ეროვნულია, ე. ი. ხალხურია კულტურა, მით უფრო ინტერნაციონალური, ჰუმანისტურია ლიტერატურა; მით უფრო მკაფიოდ, სწორად წყვეტს ის ადამიანისა და თანამედროვე სამყაროს მეტად რთულ პრობლემებს. დაახლოება, ურთიერთგამდიდრება შეუძლიათ ერთფასოვან ლიტერატურებს, კულტურებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი კულტურა, ლიტერატურა, შთანთქავდა მეორეს.

ჩვენ გვგონია სრულიად მართებულად პასუხობს აკადემიკოსი ნ. კონრადი ინგლისელ ისტორიკოს, კულტურფილოსოფოსს ა. ტოინბისა (ა. ტოინბის, როგორც ცნობილია, ისტორიის თავისი ფილოსოფია აქვს, რომელიც აგებულია ე. წ. „მონადების" პრინციპზე). „ჩვენ თავიდანვე კარგად გვესმოდა, რომ კულტურის ერთობა ისეთ ქვეყანაში, სადაც ამდენი სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს, რომელთაც სხვადასხვა გზებით განვითარებული კულტურები აქვთ, არ შეიძლება გამოიხატოს ერთფეროვნებაში. ყოველ ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი კულტურა, ეროვნული კულტურა, და ამავე დროს ეს ეროვნული კულტურები უნდა წარ-

მოადგენდნენ საბჭოთა საზოგადოების, სოციალისტური კულტურის ნაწილს". (იხ. ჟურნ. „Новый мир", № 7, 1967, გვ. 179.

საბჭოთა კულტურა, ლიტერატურა, ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში გაერთიანებული ახალი, მაღალი ტიპის სოციალური სტრუქტურის, სოციალისტური ერების თანამეგობრობის საზოგადებრივი შეგნების ნაწილია. რასაკვირველია, ეს სრულიად ახალი ტიპის კულტურაა, ლიტერატურაა, რომლის არსებას განსაზღვრავს იმ ქვეყნის ხასიათი, რომელმაც ის წარმოქმნა და რომლის წიაღშიც ის ვითარდება, ასეთი ტიპის ლიტერატურას მსოფლიოს კულტურის, ლიტერატურის ისტორიაში წინამორბედი არა ჰყოლია. ეს გასაგებია, ასეთი სოციალური სტრუქტურა ადამიანთა მოდგმის ისტორიაში არ არსებულა.

როგორც ცხოვრების მრავალ დარგში, ამ შემთხვევაშიც ჩვენ ახალი გზის მკვლევარები ვართ, ვაყალიბებთ საბჭოთა ხალხების თვითმყოფი კულტურებისა და ლიტერატურების ახლებურ დამოკიდებულებებს.

რასაკვირველია, ამ სრულიად ახალი კულტურული და ლიტერატურული სისტემის მშენებლობაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სუბიექტური ხასიათის სხვადასხვა სახის კოლიზიებს, შეცდომებს, გართულებებს.

ხაზი უნდა გავსვა იმ გარემოებას, თუ როგორ, რა მასალიდან ვაყალიბებთ ჩვენ ამ ახალ კულტურულ და ლიტერატურულ ფენომენებს, აინტერესებს მთელს მსოფლიოს, იმათ ვინც მოიცილა კოლონიალიზმის პოლიტიკური უღელი და ახლა იბრძვის სრული ეკონომიური და კულტურული ემანსიპაციისათვის, ვინც შეუდგა ახალი ცხოვრების საძირკვლის წმენებლობას, შექმნა თავისი სახელმწიფოებრიობა და ძალას იკრებს, რომ წინ აღუდგეს იმპერიალიზმის იდეურ, იდეოლოგიურ შემოტევებსა და დივერსიებს.

კულტურების, ლიტერატურების, გენერაციის ისტორიულად დიდი დროის მომცველ პროცესს გაუძღვებს მხოლოდ ის ეროვნულ ფასეულობათა სისტემები, რომელთაც მხარს უჭერს, იმაგრებს ინდივიდთა, ხალხთა, ერთა გაძლიერებული ენერგია. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ხაზს უსვამდნენ ინდივიდების, ხალხების, ერების ენერგიის გადამწყვეტ მნიშვნელობას სახელმწიფოების, ერების, კულტურების დამოუკიდებელ ფორმათა შექმნაში და სრულყოფაში. დაძაბუნებული ეროვნული ენერგია, რასაკვირველია, ვერ გაუძღვებს დიდი ხალხების დაწოლას და პროვინციულ ჭაობში მოქცეული ეროვნული ენერგიისგან დაცლილი ხალხის ასიმილაცია გარდუვალი პროცესი გახდება.

სოციალიზმი, უფრო ზუსტად, ვიდრე მანამდე არსებული სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურები, უსაზღვროდ ავითარებს ადამიანებს, ასაკვებებს ხალხთა ენერგიას. ხალხი ისტორიის ობიექტიდან ისტორიის სუბიექტად იქცევა. მას რეალური, მატერიალური წესაძლებლობანი ეძლევა არსებულ კულტურულ, ლიტერატურულ ღირებულებათა ათვისებისა და ახალი შემოქმედებისათვის, ეს ობიექტური ეფექტია. ეს პროცესიც არ შეიძლება სპონტანურად წარიმართოს, ისიც ორგანიზებულ გარკვეულ ეროვნულ ჩარჩოებში უნდა იყოს ჩასმული. ადამიანია გასული შეზღუდულ Orbis terrarum-იდან მსოფლიო ჰორიზონტებისაკენ, სამყაროს ადამიანის პრობლემათა დაყენებისათვის გარკვეულ ისტორიულ პროცესში უნდა მომზადდეს. ჭეშმარიტ სრულფასოვან ინტერნაციონალურ ერთობლიობისაკენ ლტოლვის სასტარტო მოედანი კვლავ ეროვნული ნიადაგი იქნება.

მრავალეროვან საბჭოთა კულტურების, ლიტერატურების ინტერნაციონალური ხასიათი გაპირობებულია ახალი საზოგადოების მშენებელთა მსოფლმხედველობის, მსოფლგაგების, თანამედროვე სამყაროს და ადამიანის პრობლემებისადმი ერთობლივი მიდგომით, გაგებით. ათასი მაგალითით შეიძლება იმის ილუსტრაცია, თუ როგორ გამოიხატება სხვადასხვა ეროვნების მწერალთა შემოქმედებაში, მათ ინდივიდუალურ სტილში, მანერაში, ფორმაში, ამ ზოგადი ერთობის ეს მომენტი.

სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ხალხის ფართო ფენები ერთმანეთთან ინტენსიურ ურთიერთობაში იმყოფებიან. ისინი ამდიდრებენ ერთმანეთს, ქმნიან მრავალხრივ, მრავალფეროვან კულტურას, ითვისებენ საუკეთესო, ჭეშმარიტად ღირებულს, ფასეულს, რაც კი შექმნა სხვა ხალხებმა. ეს სოციალიზმის უდიდესი უპირატესობაა.

სოციალისტური ერების მეგობრული, ძმური თანაარსებობა, ისტორიის ობიექტური კანონები, რომელთა მიხედვით ისინი ვითარდებიან, განაპირობებენ ჩვენი კულტურის, ლიტერატურის სპეციფიკურ ხასიათს, მის ახალ ხარისხს, როგორც თავისებური პოლიფონიური მრავალხმიანი მუსიკისა, რომელსაც ასრულებენ განუმეორებელი, ინდივიდუალური, დამოუკიდებელი, საკუთარი სახის, ნიჭის, მჭონე დიდი მუსიკოსები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორები:
მამუკა ცეცხლაძე და ლია იმერლიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნათელა ქავთარაძე
გაბმაბშვები ხოე ძაჭარიაშვილი
კორექტორი ოლია ცინცაძე

გადაეცა წარმოებას 31/X-69 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/III-70 წ.
ქაღალდის ზომა 70 × 108 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 28,2
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 22,27
ტირაჟი 30.000, შეკვ. № 1353

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати.
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

27381

ეროვნული
ბიბლიოთეკა